

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ვ ა ს ი ლ
ბ ა რ ნ ო ვ ი

თხზულებათა
სრული კრებული

ათ ტომად

19 თბილისი 61

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ვ ა ს ი ლ
ბ ა რ ნ ო ვ ი

თხზულებანი

ტომი
2

1902 - 1911

„საბჭოთა მწერალი“

სარედაქციო კოლეგია

გიორგი ლეონიძე (რედაქტორი)

სოლომონ ყუბანიშვილი

მიხეილ ჩიქოვანი

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები, შენიშვნები და
სიტყვების განმარტება დაურთო რ. კუსრაშვილმა.

მოთხრობები

რომანები

დაეწაფა სურვილით

1

მაისის დამე იყო, ბადრი მთვარით გაბრწყინებული. სოფელ შვინდიანს ჯერ არ ებინა. დიასახლისები ვახშამს ამზადებდნენ; ძილმორეული ბავშვები დედებს გარს ევლებოდნენ, კალთებს უჭერდნენ, არ შორდებოდნენ; დამაშვრალნი მუშაკნი იშმუშნებოდნენ, ვახშამს ელოდნენ; შედრებული გოგოები საუბრით ვერ გამძლარიყვნენ და, თუმცა ბევრჯელ ეთქვათ, დამე მშვიდობისა, მაინც ერთმანეთი არ ეთმობოდათ, სიტყვა ვერ შეეწყვიტნათ, გაყრა უმძიმდათ.

ფოცხვერანთ ბაბუცამ მიართვა თავისებს ვახშამი, თითონაც მოკიკნა ცოტა რამ, ოდნავ შეახო ბაგე ღვინოს და გამოვიდა გარეთ. ღობესთან ურემი ეგდო, იმას დაეყრდნო ქალი. გადაღმა დიაკვნინათ სახლიდა იდგა. იმის იქით იწყებოდა აბიზინებული მინდორი, ხასხასი ყვავილებით მოქარგული; ღამის ნიავს სუნნელება მოჰქონდა იქიდან.

ქალმა მთვარეს დაუწყო მზერა. ის შენატროდა ღამის გუშაგს, შესტროფდა ბრწყინვალეს. ესაუბრებოდა მთვარეს, გულის ნადებს უზიარებდა. სავსე მნათობიც უალერსებდა ქალს, ყელს ეხვეოდა, თმას უვარაყებდა, მკრთალ სახეს უსხივოსნებდა. ზრუნვით დაჩაგრულ გულს უნათებ-უნუგეშებდა. მანგი მესაიდუმლე იყო ბაბუცასი. ქალი უამბობდა მას თავის დარდს და ისიც ზეგარდმო პასუხს აძლევდა, ანუგეშებდა. ბაბუცამ იცოდა, რომ ბადრს არა გამოეპარებოდა რა, რადგან ის ღვთის შვილი იყო ქვეყნის საიდუმლოების მკრეფავი. სხვებს კი მხოლოდ მნათობი რამ ეგონათ უსულო. ბადრს ძალიან უყვარდა ბაბუცა. რამდენჯერმე სხივებიც შემოარტყა წელს და თავისკენ აიზიდა. ქალი მაშინ ისე დადიოდა დარბაზის გვირგვინზე, როგორც ფრინველი რამ. სხვებს კი ავადმყოფობა ეგონათ ეს, ფრთხილობდნენ არ ჩამოვარდესო. შიშით ხმას ვერ იღებდნენ. რა იცოდნენ, რა მაგრა ეჭირა მთვარეს ქალი. თუ ისე მძიმე არ ყოფილიყო სხივებისავით ქალის მიწიერი სხეული, მთვარე სულაც თავისთან მიიზიდავდა გოგონას.

ბაბუცა სხვა მნათობებსაც იცნობდა, სამყაროზე მოფენილებსაც; ბევრჯელ სტკბებოდა მათი მიუწვდომელი სიტურფით. რა საკვირველია ესა? გასაკვირველი კი არაა, შესამჩნევი კი არის, რამდენი ატარებს სიცოცხლეს ისე, ზევით არ იხედება, ან თუ აიხედება, მნათობებით მოოჰვილ სივრცის საიდუმლო სიდიადე-სიმშვენიერეს ვერ შენიშნავს, ვერ შეიგნებს. მარტო შრომის შვილებზე არ ვამბობ ამას, რომლებიც შავს მიწას ჩასცქერიან, რადგან იქიდან ამოაქვთ პური არსობისა; უღელახსნილებზე და იალაღზე გაშვებულებზედაც მოგახსენებთ ამას.

ბაბუცამ რომ ზეცის მზერა იცოდა, ეს მისმა ოსტატმა და დედობილმა ასწავლა მას ანბანთან ერთად, – დიაკვნის ცოლმა მარინემ.

2

ქალი დაღონებული შეჰყურებდა მნათობს: თვალთ ნამი წამოადგა.

– ახ, მთვარევ, მთვარევ, დამწვართ იმედო! – ჩაიღიღინა ქალმა და ცრემლი მოიწურა.

– მე კი ვეღარ მაიმედებ, სასურველო, დათვლილია ჩემი სიხარულის დღეები. მაინც მსურს ჩემი ტანჯვა შენ გაგიბედო. მაშ ვის შევბედო, ვის მივმართო, ვის შევტირო? ჩემისთანა საწყალი ადამიანის იმედი ქვეყანაზედ არ არის, ზეცაშია. ჩემისთანა ბეჩავ კაცს აქ ვინ მოუსმენს?!.. ბედნიერებას ხომ ვეღარ მომანიჭებ, მაგრამ კეთილი ხარ ჩემი და თხოვნა ამისრულე: შენი ვერცხლის სხივებით მოაულერსე ჩემ ქოჩორა ილიკოს! არ კი გააღვიძო, ძილი არ შეუშფოთო! დამაშვრალია საწყალი: დაქანცული ჩამოვიდა წყეულ სკოლიდან და მოსვენება უნდა. შეუბრალებლივ უმუშავებიათ, უტანჯიათ. გამხდარა, გაცრეცილა, ვარდი შეჰქმნია ზაფრანად. თითონ ხომ შებრალება არ აქვს თავისი თავისა: სულ წიგნს ჩასჩიჩინებს; თვალებს იწყალებს, ლამაზ თვალებს. დაადინე, მთვარეჯან, წყნარად დაუხუჭე თვალები; უთხარ, შენთვის გულმკვდარი ბაბუცა გეაღერსება-თქო.

– ერთი წელიწადილა მაკლია და სწავლას გავათავებ, მემრე რუსეთს წავალ, მეცნიერებას შევიძენ, კაცი შევიქმნები, პატიოსან ცხოვრებას შევიძლებო; იცი, ჩემო ბაბუცი, თავის დღეში არ დაგივიწყებ, დაზედ უტკბესად მიყვარხარო. როგორ ამიჩუყდა გული, როცა ამას მეუბნებოდა! თავი ვეღარ შევიმაგრე, ავქვითინდი.

– ვაჰ, ნეტავ შემეძლოს მტლედ დავუდო ჩემი საწყალი თავი მის სიცოცხლეს, თავს შემოვევლო მას. მაგრამ ვინ მე, ვინ ის! ის ნასწავლი, მშვენიერი ყმაწვილი კაცი, მე ერთი საწყალი გლეხის გოგო! პატარაობისას იმასაც კი ვუყვარდი. ეხლაც ვუყვარვარ: მოვიდა თუ არა, ჩემთან მოირბინა. მაგრამ ვუყვარვარ დასავით, დიახ, დასავით... იმის დედას მეც ხომ დედილოს ვეძახი, რადგან მისი ძუძუ მიწოვნია, მისი აზრდილი ვარ. აზა როგორ მიმიხვდება, რომ მიყვარს?! თუნდაც მიმიხვდეს, ჩემისთანების შერთვას რას იკადრებს. მე კი ვიწვი უცეცხლოდ, ვდნები სანთელივით, ვილევი, აღარა ვარ; მე კი უიმისობა აღარ შემიძლიან; მისი უბრალო შეხება მაწამებს, თრთოლას მგვრის! გული მტკივა, გული!.. რა მალე მომესპო ყოველივე ბედნიერება! ჩემი ტოლი გოგოები სიხარულით არიან სავსენი, აგერ ზარივით გაისმის მათი კასკასი; ისინი კეთილს ელიან, მე კი...

3

– უი, ქა! – შეჰკივლა ბაბუცამ, როდესაც ილიკო უეცრად ღობეს გამოსცდა, ხარიხებს გადევნო და მის გვერდზე გაჩნდა.

– შეგაშინე? – შეეკითხა სიცილით ილიკო, – შორიდანვე დაგინახე და მოგეპარე. ისევ შენებურად გიყვარს მარტოობა?

– ვახშამი მივართვი და გამოველ; მთვარემ გამომიტყუა.

– ბაბუციჯან, გიტირნია?! თვალები რადა გაქვს ნაცრემლი?

– ისე უეცრად დავლონდი, ცრემლი მომივიდა; ხშირად ვიცი ესე.

– ხომ ყველანი კარგადა ხართ, ხომ არა გაღონებს რა?

– არა, კარგადა ვართ. ისე, გული რასმე ღონობდა. ან კი რა უხარიან საწყალ კაცს ამ ქვეყანაში.

– სევდა რამ შემოგწოლია, თორემ საწყალი რად იქნები. ან თქვენი ოჯახი ვის ოჯახს ჩამორჩომა, ან შენ ვიზედ რა ნაკლები ხარ. ცოდნით ხომ ამ სოფელში ტოლი არა გყავს. აი, შე ეშმაკო! ალბათ, დანიშნულმა გაწყენინა რამე.

– ვინ დანიშნულმა, ქა?!

– დედამ მითხრა, მეღორიანთ ჭიჭიკა თხოულობსო. რას მიმაღავ?

– უწინამც დღე გაუქრეს იმ ჭიჭიკას, ბაბუცა სათავისოდ არა ნახოს.

– ეგრე იმახით, გული გიმღერით. შენი ჭირიმე, ბაბუციჯან, მითხარ, ძალიან გიყვარს ჭიჭიკა? – შეეკითხა ილიკო.

და წელზე ხელი მოხვია, თვალეში ჩახედა. ვაჟის შეხებაზე ქალს ნეტარების ჟრუანტელმა დაურბინა და თრთოლა დააწყებინა. ილომ იგრძნო და თანაგრძნობით ჩაეკითხა გოგოს:

– ხომ არ გცივა, გენაცვალე? ჯერ ისევ ნესტია, შენ კი ცარიელი კაბით გამოსულხარ. ხომ იცი, სუსტი ხარ. შალი გამოგიტანო?

ვაჟის ამისთანა მზრუნველობამ ქალი უფრო ააღელვა. ბინდბუნდად იგრძნო ილომ ქალის სევდა, ქალის გულის კვნესამ იმასაც გული ატკინა. დაიფანტა ახალგაზრდა, გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩავარდა.

– ილიკო, შენა ხარ, შვილო? – მოისმა ბაბუცას დედიდის ხმა დერეფნიდან.

– მე ვარ, სალომე! შინ მივდიოდი, ბაბუცა დავინახე და შემოვბრუნდი. ნეტავ არ მოვსულიყავ? ბაბო რაღაზედაც არის დაღონებული.

– ამ ბოლოს დროს ეგრე დასჩემდა, დადის დაძმარებული და თვალცრემლიანი, აგრე ორი კვირაა, აქა ვარ და ეგ გაცინებული არ მინახავს, არ ვიცი, რა დაემართა, რა ცოდვა ეკითხა. საწყალმა მაგის დედამაც მაგრე იცოდა. ლამის სამკითხაოდ გაგვიხდეს საქმე.

– აკი გეუბნები, ადამიანო, გათხოვება უნდა და გულს ვეღარ მოჰრევია-მეთქი, – მისცა ხმა ბაბუცას მამამ.

– იცი, ილო, – მიუბრუნდა ყმაწვილკაცს, – მეღორიანთ ჭიჭიკა მთხოვს ბაბუცას და შემოდგომაზე გვექნება ქორწილი. ნეტა ერთი-ორი დღით გამოგიშვებდნენ სკოლიდან.

– თვალი ჭიჭიკასაც დაუდგა! – ჩაიტუტუნა ბაბუცამ და შინ შეტრიალდა.

– შენ ქორწილზე ლაპარაკობ, გოგო კი როგორღაც უარზედ დგას; არ ვიცი, რითი გათავდება საქმე, – უთხრა სალომემ.

– რითი სწუნობს, ადამიანო? შეძლებით მე მჯობია და თითონ ბიჭიც კარგია. მე ვიცი სიმღერას დაუწუნებს! იცი, ილო, ჭიჭიკა რომ შემოსძახებს, გოგოებს სული მისდით.

– ოღონდაც რომ დასაწუნი არ არის, მაგრამ გოგო როგორღაც შორს იჭერს საქმეს.

– დედიჯან! ჩვენ ბაბოსთან გადავივლი, დიასახლისობას მივულოცავ; ვნახამ, როგორ მოეწყო ქმრისას.

– კარგს იზამ, შვილო! წადი, ნახე: გაეხარდება დაღონებულს.

– დაღონებულს თუ გახარებულს?

– დაღონებულს და წყალწაღებულს.

– მემრე რამ დააღონა, რამ მისცა წყალსა მდინარსა?

– რა ვიცი, შვილო! წადი ნახე; იქნება გაიგო რამე. ქალი ის აღარ არის, რაც იყო; ვეღარ იცნობ.

– იქნებ ქმარი ვერ გამოადგა?

– ქმარს რა უჭირს გლეხკაცობის კვალობაზე: მშრომელი კაცია და პატივისმცემელი, მაგრამ ქალმა აითვალისწუნა, შეიჯავრა; ყველა იმისი სიტყვა, თუნდა აღერსი, ემკვლელება, გულს ეკლად ეხირება. ამბობენ, ჯვარისწერისას მგლის ქონი მოსცხესო კაცს და მგლის თვალზე დაანახვესო ცოლს.

– შენც დაიჯერე! სხვა რამ მიზეზი იქნება. იქნება ქალს არ მოსწონდა საქმრო და ძალად მიათხოვეს კაცს.

– ძალად რა პასუხია! ეკლესიაში თანხმობა გამოაცხადა, თავი დაუკრა მღვდელს. ისიც კი უნდა თქვას კაცმა სულ-ქვეშ, რომ ეჭვი ჰქონდათ ქალისა და გარს ალესილები ედგნენ. ვინ იცის, შეიძლება მართალიც იყოს, რასაც შენ ამბობ და ქალს ის კაცი არ მოსწონდა, მაგრამ ეგ ხომ ხშირად ხდება, მემრე ეჩვევიან ერთმანეთს. ბაბო კი გაბოროტდა და გააწამა ოჯახი. ვინ მოელოდდა იმ მშვიდი ქალისაგან მაგისტანა ამბებს.

– საკვირველია, ღმერთმანი! წავალ, ვნახამ; იქნება გავიგო რამე იმათი და ვარგო რამე.

ყმაწვილი რომ გავიდა სახლიდან, დედამ მოსიყვარულე თვალი გაადევნა და ჩაფიქრდა.

– ისე ვგრძნობ, რომ საწყალ ბაბოს ჯიგარი ჰქონდა ჩავარდნილი ჩემი ილოსი. ან რა საკვირველია შესთვისებოდა ამ მშვენიერ ვაჟკაცს, როდესაც ერთად შევზარდე ბალები. რომ წამოღერდნენ ყმაწვილები, უნდა დამემორებინა ერთმანეთისათვის, იმთავითვე უნდა მეფიქრნა, რომ ერთადა ვზრდიდი სხვადასხვა გზით მიმავლებს.

5

ყმაწვილი კაცი რომ შევიდა ბაბოსთან, ქალი საკერავს აკეთებდა, მიემშვიდობა, მოიკითხა. აათვალ-ჩათვალა იერა სახლი. ყველაფერი რიგზე იყო და სუფთად. მოსაქმე დიასახლისის უნარი ეტყობოდა ბინას. ქალიც სუფთად იყო ჩაცმული. ერთი შეხედვით ამ გლეხობის კვალობაზე კარგად მოწყობილ სადგომს არ ეტყობოდა რამე უწესობა, დაუდევრობა, გულის აყრა. ქალის სახეს კი აჩნდა ცვლილება. პირის კანი ატკრეცილი ჰქონდა, კილოიანი ღმობიერი თვალები თითქო დამრგვალებულიყვნენ, წამოკაკლულიყვნენ, სისხლი მოჰრეოდათ; სიმშვიდე გამქრალიყო იმათში. უწინ რომ გულუბრყვილოდ იცოდა პირდაპირ მზერა, ეხლა კაცს თვლას არიდებდა. სხვას რასმე უყურებდა.

ილოს შესვლაზე ქალი ჯერ შეკრთა, ფერი წაუვიდა, შეტორტმანდა, მაგრამ მალე შეიმაგრა თავი და მიეგება სტუმარს. ხმას სილბო დაჰკარგოდა, მჭახე ბგერა ისმოდა იმაში; მოკლედ და მკაცრად გამოიტყოდა სიტყვას. თავი კი ისე ეჭირა ქალს საუბრის დროს, რომ ვაჟს ეჭვი შეეპარა დედის ნაამბობზე, იფიქრა, ალბათ გაზვიადებულია ქალის გაბოროტების ამბავით. ვერაფრის გამოკითხვა ვერ გაბედა, მაგრამ როდესაც ზედდატანებაზე ჭიჭიკა შემოვიდა, ქალს თვალები აერია და სახემ სასტიკი გამომეტყველება მიიღო. კაცის ყველა მოძრაობას ეტყობოდა სიფრთხილე, თითქმის შიში და ეს მით უფრო მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდა, რომ მის მოკრთალებით სავსე თვალებში ცოლისადმი სიყვარული იხატებოდა.

ამაო გამოდგა კაცის სიფრთხილე: როდესაც ის ქალის ახლოს ჩამოჯდა და დალილმა მადიანად ამოიქმინა, ქალმა ისე მედგრად წაუსისინა, რომ კაცს მთავარცნება დააკარგვინა, სირცხვილით გაწურა. ამის შემდეგ კაცის ლაპარაკი, მიდგომ-მოდგომა, ჭამა-სმა, ან რაიმეს მიწოდება და ყოველი მისი მოძრაობა ისეთი ნაძალადევი და უხერხული შეიქმნა, რომ უნებლიეთ ყურადღებას იქცევდა. ქალს ბრაზზე ხეთქავდა ეს, თუმცა კი ცდილობდა დაეფარნა, სტუმრისათვის არ შეემჩნევიანებინა, რომ ქალი შაქზე იდგა და მზად იყო ქმრისთვის ყანყრატო გამოეღადრა, ამას ჭიჭიკაც და სტუმარიც ცხადადა გრძნობდნენ; თითონ ქალიც ხედავდა კაცების უხერხულ მდგომარეობას, მაგრამ თავს ველარ იმაგრებდა. ამ

გარემოებამ შეხუთა სიამოვნება, სული ამოადრო კეთილგანწყობილებას და ვახშამი შხამად გადააქცია. როდესაც ვაჟი გამოეთხოვა ცოლ-ქმარს და გამოვიდა, ისე იგრძნო თავი, თითქო მძიმე რომ ტვირთი მოეხსნაო, თითქო ცუდ სიზმარს გამოერკვაო. თავისუფლად ამოისუნთქა.

– ნეტა რა დაჰმართია იმ მშვიდ ქალს, რომ ესე საშინლად გამოცვლილა, – ფიქრობდა ილიკო. – ბაბუცა არის ისევ, მაგრამ თანც ის არ არის; ისევ ჩემი დობილია, სული კი ფოცხვერისა უდგა, აფთრის გული უძევს.

6

ძნელ გარემოებაში ჩააგდო ბაბუცამ ქმარი და ოჯახი. უფრო ის იყო ცუდი, რომ ქალი ჰხედავდა, რამდენად უდიერად ეპყრობოდა ვაჟკაცს, მისი გონების თვალი ნათელი იყო და ყველაფერს სწორედ ამჩნევდა, მხოლოდ ძალა აღარ ჰქონდა თავი შეეკავებინა. რახან ერთხელ ჩათვალა ჭიჭიკა ბედნიერების მომშლელად, გული ვემარ გაუსწორა იმას; იგი მიიჩნია ავაზაკად, რომელმაც მოსტაცა ქალს თავი და მიითვისა, რომელმაც დაისაკუთრა სხვისათვის გამზადებული სიხარული. მართალია, ქალი გრძნობდა, რომ იგი სხვა მტვირთველი არ იყო ამ ბედნიერებისა, რომ იგი სხვა ვერც კი წარმოიდგენდა ამ სიხარულს სათავისოდ, რომ იგი სხვა არც ჩასთვლიდა სასიკეთოდ ამ კეთილს და ზიზღით ზურგს შეაქცევდა ქალს, თუ დაინახავდა მის ვნებათა ღელვას – ქალი გრძნობდა ყველა ამას, მაგრამ მაინც რაღაცა გაცრუებული იმედებით გატაცებული იბოროტებდა თავს. რა იყო მიზეზი ამნაირი მისი ქცევისა ან მიზანი? მიზეზად მხოლოდ ის მიაჩნდა, რომ ქალს არ დასცალდა თავისი უიმედო სიყვარული გაეცხადებინა ვაჟისათვის, ჭიჭიკამ არ დააცადა ეს.

– თუ ამ ჭიჭიკას არ წამოვეყვანე, იქნება მარჯვე დრო ჩამვარდნოდა ხელში მეთქვა ყველაფერი ყმაწვილისათვის. ვინ იცის, ისეთ გუნებაზე შემდგარიყო, რომ ეჩუქებინა ჩემთვის თავისი თავი. ის ხომ თავის დღეში არას დაიშურებდა ჩემთვის, – ფიქრობდა ქალი.

მიზანი კი ქალის უგვანო ქცევას არა ჰქონდა განსაზღვრული. ქმრის გაქრობა, მისი მოსპობა არ ჰქონდა სახეში. ავი იყო თუ კარგი, მისი ქმარი იყო და ვერც უკეთესს იშოვნოდა, თუნდაც ხელახლა დაჰბრუნებოდა მას მისი ქალობა. მაშ? მაშ და მხოლოდ ეს სტანჯავდა: რადგან თითონ იტანჯებოდა სურვილის გაცრუების გამო, შურდა, რომ მისმა ქმარმა მიაღწია თავის მიზანს და შეუძლიან ნეტარება. აი ამ ნეტარებას უშხამავდა; უნდოდა მიღწეული მიზანი კაცისთვის ტანჯვის ბუდედ გადაქცეულიყო. ესეთი აზრი მოჩანდა ბუნდად მის გონების თვალწინ. მხოლოდ მისი მოქმედება უფრო გრძნობას ემორჩილებოდა: ქმრის ტანჯვა ერთგვარ სიამოვნებას ჰგვრიდა მის გასასტიკებულ გულს და, თუმცა ესმოდა ქალს ამ სიმკაცრის უსამართლობა, მაგრამ ნება მოსდუნებოდა და ღონე აღარ შესწევდა თავი შეემარებინა.

ქალის უკმეხმა ქცევამ გააბოროტა, გაამწარა კაცი, ცხოვრების მიმდინარეობა შეურყია, სიცოცხლის ნაკადი აუმღვრია, მოთმინების ფიალა დააცლევინა. ერთხელ, როცა გაასპიტებული დედაკაცი ცხვირში თითებს სტაკებდა ქმარს და დაჰკიოდა, გაბეზრებულმა კაცმა ველარ მოითმინა, სწვდა ყელში და ტახტზე გულადმა გადაჩეხა მოჩხუბარი. დაჩაგრული კაცი თვითონვე შეკრთა თავის უცაბედ მოქმედებაზე; შეშინდა, ეგონა, ცოლი მთლად გაცოფდებოდა, სირცხვილს დაჰკარგავდა, სიავეს სახლიდან გამოიტანდა, გზას გამოაცილებდა, შარაზე გამოჰფენდა და სახალხოდ თავს მოჰსრიდა ოჯახიშვილს. მთლად შეიხარა, შეიკუმშა ვაჟკაცი ამ უბედურების

წარმოდგენით. ქალს ზაფრანის ფერი დაედო და აკანკალებული ფეხაკრეფით გადავიდა კარისაკენ. თან ყელზე ხელს ივლებდა იმ ადგილას, სადაც მუხრუჭივით მოუჭირა კაცმა თითები. ჭიჭიკა დიდად გაჰკვირდა, ამ შემთხვევას რომ გრიგალი არ მოჰყვა, მაგრამ როდესაც ცოლის თვალებში შენიშნა ზავთი, განუსაზღვრელი სიძულვილი, შერტა, გულმა ცუდი უგრძნო.

ამ შემთხვევის შემდეგ ქალი თითქო დაწყნარდა, შეასვენა ვაჟკაცი. მოემო, თუმცა კაცს ეს ვერ ახარებდა: ის ცოლის თვალებში ისევ ხედავდა ზავთს, რომელიც იმ უბედურ წუთს შენიშნა. ეს ბოროტი ქალის თვალში იზრდებოდა, განსაზღვრულ სახეს იღებდა, განხორციელებას ჰლამობდა. უთუოდ უნდა ეფთქნა ამ გრძნობას, მხოლოდ კაცმა არ იცოდა, რაში გამოისახებოდა ის, და შეეპყრო იგი გამოურკვეველ სიავის მოლოდინს, ქალი კი გაჩუმებულიყო, ერთხელ შეჩვეულ საოჯახო საქმეს უკლებლად ასრულებდა, ტრიალებდა; ყველა თავის მოვალეობას პირნათლად უძღვებოდა. ნათესავები ჰხედავდნენ ქალის სიწყნარე-საქმიანობას და დამშვიდნენ, კიდევ გამხიარულდნენ.

– აკი, გეუბნებოდი, ქრისტიანო, კარგი ვაჟკაცია და ადრე იქნებოდა თუ გვიან ქალს შეიჩვევს-მეთქი, – ამბობდა ერთი.

– ხომ გითხარ, წვერის წმინდა გიორგიმ იცის-მეთქი მაგისტანა მიზეზი. ვენაცვალე იმის მაღლს, რომ შეიწყნარა ვედრება და ოჯახი დაგიმშვიდათ, – ამბობდა სხვა.

– თუ მაგისტანა შემთხვევებში ვაჟკაცმა თავის ძალა არ უჩვენა ქალს და არ დააწყნარა, უიმისობა არ შეიძლება, – ამბობდა კოჭლა ოსანა.

თითონ ჭიჭიკა კარგა ხანს ვერ დაწყნარდა, რადგან ცოლი გულთან ეწვა და გრძნობდა, ქალის მკერდში მისდამი მტრობა ღვიოდა, რომ იმ ბაბუცას გარდა, რომელსაც ყველა ხედავდა და რომელიც ეხლა დაწყნარებული ეგონათ, იყო სხვა ბაბუცაც, რომელსაც ქმარი ხედავდა ცოლის თვალში, რომელსაც იგი გრძნობდა თავისი არსებით.

მართლა და, ორად გაიყო ქალის არსება: ქალი რომ შრომობდა და ცხოვრების ჭაპანს ეწეოდა სხვებთან ერთად, მისი გონება სხვაგან იყო, სხვასა ფიქრობდა, სხვასა გრძნობდა, სხვა სურვილს ემონებოდა. ის მარად გრძნობდა თავის ყელზე ქმრის ხელს, გველებივით შემოჭდობილ მის თითებს და ბეწვი ეშლებოდა. ვერაფრით ვერ ჩამორეცხა იმ საშინელ სალტის კვალი. ქალი წაელო იმის ფიქრს, რით უნდა წაეშალნა ეს სამარცხვინო ჭდე თავის ყელზე. და რომ უნდა წაეშალნა ის ჯოჯოხეთური კვალი, ეს აუცილებელი იყო, რადგან ამ კვალს ხომ ყველა ხედავდა, ამ კვალს ილოც ხომ დაინახავდა და მაშინ მის დამცირებას საზღვარი არ ექნებოდა. ახლა ეს ბოღმა რომ ბურთივით ყელში ებჯინებოდა ქალს, იმას კი ჩარეცხა არ უნდოდა, იმის ჩატანა კი საჭირო არ იყო? წყალი ვერ რეცხდა თითების კვალს, წყალს ვერ ჩაჰქონდა ბოღმის ბუმტი: ქალმა რამდენჯერმე სცადა ეს. მაგრამ ამაოდ.

მხოლოდ თბილი სისხლი მოჰბანდა იმ ჯოჯოხეთურ კვალს და დაშრეტდა ბოღმის ალს.

რაც უფრო იზრდებოდა ეს მისი ჰაზრი, მით უფრო ფრთხილობდა ქალი; მშვიდად იქცეოდა, მორჩილებას იჩენდა. ლაპარაკის დროს თვალები ძირს ეჭირა, ქვექვე იხედებოდა, მითომ და მოკრთალების ნიშნად, ნამდვილად კი იმისთვის, რომ არავის ამოეკითხნა მისი გულის პასუხი, არავის შეენიშნა ის სისხლისმსმელი ფოცხვერი,

რომელმაც გაიღვიძა ქალის არსებაში და რომელიც შესაზარად გამოიყურებოდა მის თვალებიდან. თავის გაზომილი ქცევით ბოლოს და ბოლოს თვით ქმარიც შეცდომაში შეიყვანა და დაამშვიდა. დაიმედებულმა კაცმა შუბლი გაიშალა, წინანდებურად ხალისიანად დაიწყო ცხოვრება.

8

სოფელ შვინდიაში ობა იყო. მელორიანთ სახლი სტუმრებით აივსო. ჭიჭიკამ მოიმხიარულა. რომ შეზარხოშდა, თავისებურად შემოსძახა. დიდი ხანი იყო არ ემდერნა ჭიჭიკას და რახან ერთხელ ყბა გახლიჩა სათქმელად, დავიწყებას მისცა თავი. ისე გულიანად გასძახოდა, ყველა ასიამოვნა.

ბაბუცა შეჰყურებდა გახარებულ ვაჟკაცს და მისი მხიარულება ეკალივით ესობოდა გულს. მაგრამ რას იზამდა? ჩხუბი აეტეხნა და ხმა ჩაეკმინდებინა კაცისათვის, არ შეიძლებოდა სტუმრების გამო; ესეც რომ არ ყოფილიყო, ეშინოდა კიდეც ქალს ქმრისა, რადგან ეხლაც ისევე ცხადადა ჰგრძნობდა ყელში წაჭერილს ქმრის ხელს, თითქო ჯერ არ მოშვებიაო იგი ხელი. ოო! ეს გრძნობა იყო, რომ გულს უწუხებდა ქალს: მძლავრი თითები გველებისავით შემოსჭოდნენ ყელს და სულს უგუბებდნენ, ჰგუდავდნენ. ქალი გაამწარა ამ გრძნობამ და ეს მით უფრო, რომ ბოლმას გულში იტრიალებდა, ვერაფრით გამოეთქვა იგი, გულის ბუხარი ვერ ეყარა. მხოლოდ თვალები ეგზნებოდა ნაკვერხლებივით, როგორც გაძვინვარებულ რამე მხეცს.

თუ ჭიჭიკას შეენიშნა ქალის თვალების გამომეტყველება, ხმა ჩაუწყდებოდა, ენა მუცელში ჩაუვარდებოდა, მაგრამ იმას მსტვენავი ბულბულივით თვალები დაეღულნა და მთელ დუნიაზე თავის ხმის რაკრაკის მეტი აღარა ესმოდა რა. ვაჟკაცის სიმღერას თანდათან ეშხი ემატებოდა. ასამაღლებლებში ყელს გადაიხრიდა და ხმას ათრთოლებდა. თითონ თეთრ-ყირმიზი კაცი იყო, მხოლოდ მზით გარუჟული და სიმღერაში რომ ყელის ნაოჭები ეჭიმებოდა, ნაკვეციები თეთრ ზოლებად მოჩანდნენ; იმ ადგილებში აშკარად გამოსჭვივოდა მოძრავი სისხლი, მეტადრე დატენილ-დაჭიმულ ძარღვებიდან. ქალი უყურებდა და ისე ნათლად წარმოიდგინა იგი სისხლი, რომ იგრძნო მისი სითბო და სუნნი. მოუნდა დასწაფებოდა იმ წითელ ნაკადულს და ამოეწოვნა ფოცხვერივით. ჰო! ჰო! ამ თბილ სისხლს რომ ჩასწაფებოდა ბაბუცა, უთუოდ შვებას იგრძნობდა: ყელში რომ ბოლმა ეტანებოდა, იმ ბოლმას ჩასწმენდდა; გულს რომ ცეცხლი ედებოდა, იმ ცეცხლს დაშრეტდა; ყელზე რომ თითების კვალი ემჩნეოდა, იმ კვალს მოჰბანდა, წაშლიდა, მოაშორებდა. ქალმა ისე ნათლად იგრძნო იმ სისხლის გემო, რომ ნდომით პირწყალი მოუვიდა; თვალები დაეღულნენ, სურვილის ნისლი გადაეფინათ ზედ; ქმრისაკენ წაიგრძელა კისერი, ტუჩები ააცმაცუნა, ხელ-ფეხი ააყოლა, ოდნავი და სწრაფი მოძრაობა დაიწყო მთელი სხეულით.

გინახავთ ქურდულად მიმპარავი ძაღლი, თავის მსხვერპლს რომ ემიზნება? არ კი იღრინება, კუდს ანძრევს, ტუჩებს აცმაცუნებს, კბილებს აკაპუნებს; ფრთხილად წინ იწევს. ისეთი იყო მაშინ ბაბუცაც.

9

ამის შემდეგ ძალიან დაუტკბა ქმარს ბაბუცა. აღარ ეჩხუბებოდა, კიდეც უალერსებდა, მის საქმეს ხალისიანად აკეთებდა, შესაკერი იყო თუ დასაკერებელი,

გასარეცხი იყო თუ დასაფშვნიტი. ვაჟკაცი გაიშალა წელში, სახე გაუბრწყინდა, გახალისდა. აღიღინდა. შავი ღრუბელი გადაეყარა მის ცას, მზემ გამოაშუქა. პირველ ხანში მხოლოდ ის ეხამუშებოდა კაცს, რომ ცოლი სულ ყელში მისჩერებოდა მას, ნდომამორეულ მონისლულ თვალებით.

– ძალიან გიყვარავარ, გოგო? – ჰკითხავდა ქმარი ცოლს, რომელიც ყელში ჩაჰკროდა კაცს.

– ისე მიყვარხარ, როგორც მომკალს ნიავი, – მიუგო ქალმა და ჩაუყარა ალმასივით კბილები ყელში.

კაცს იამა, მაგრამ ემწვავა.

– ჰე, ჰე, ჰე! ძან არ შეგიყვარდი ამ ბოლოს დროს! – უთხრა კაცმა.

და მოიშორა ქალი, რადგან მისმა ბასრმა კბილებმა სისხლამდინ ჩაატანეს.

ქალმა ტუჩები გაილოკა; ძლივს შეიმაგრა თავი, ისე მოსწყურდა სისხლი.

ქალს სურვილი ეზრდებოდა და აუცილებელი შეიქმნა მისი დაკმაყოფილება. იცოდა კიდეც, რომ დააკმაყოფილებდა ამ ნდომას, მხოლოდ ჯერ არ ჰქონდა წარმოდგენილი – რა გზით. მანამდის კი სუნსულებდა, მსხვერპლს გარს ევლებოდა. შემთხვევამ უჩვენა ქალს გზა.

წვიმიანი სადამო იყო გულგასაწყალელებელი. ქალმა თავი დაანება ხელსაქმეს და თვალს ადევნებდა წვეთებს, რომელიც დერეფნის ბანიდან ჩამოდიოდა ტბორში. ყველა წვეთის დაცემაზე წყალი ჩაიზნიქებოდა და მაშინვე ამობურცდებოდა, წვრილ წინწკლებად გადაიშლებოდა, ან ბუმტად ამოჯდებოდა და რამდენიმე წამს დასრიალებდა გუბეში. წვეთის ჭყაპუნი ქალს ნანასავით ესმოდა და თითქმის რული მოჰგვარა. დავიწყებას მიეცა ქალი, ოცნებათ ბურუსში გაეხვია. პატარაობისასაც უყვარდა ბაბუცას წვეთების ხმაურობა და წყლის ბუმტების თვალიერება. თან თავს ჩაუდებდა დედობილს კალთაში და ისმენდა მის საუბარს.

აი, შვილო, – ეუბნებოდა დედობილი, – კაცის ცხოვრება ამ ბუმტსა ჰგავს. წამს გაჩნდება მოციმციმე წყალზე. ათასფრად აზიზილდება ნათელზე და იქვე ქრება, იკარგება უკვალოდ. ადამიანი თავს მალლა იწევს, ყოჩაღობს; ჰგონია, ავყვავდები, ცამდინ ავიმართებიო; ის კი არ ახსოვს, რა ახლო ახლავს მოსპობა და არარაობა.

მეორე მუხლზე ილიკო უწვა ხოლმე. მისი თმა ქალის თმასთან იყო არეულ-გადახლართული. უყვარდა გოგოს ძმობილის თმაში ხელების რევა. ეხლად? ეხლა შორს არის ის მისგან, მათ შუა გადაუვალი ზღუდე აღიმართა... და სულ ჭიჭიკას ბრალი კია ეს: იმას რომ არ ეთხოვნა ბაბუცა, არ დაეჩემებინა ქალი, ის დროს ჩაიგდებდა და გაუმჟღავნებდა ილიკოს თავის დარდს. იქნება ვაჟს უარი არც კი ეთქვა და გაებდნიერებინა თავის ბაბუცა; ხომ იცით, რა გულჩვილი ბიჭია ილიკო და რად იტვირთებდა სხვის ტანჯვას. თვით ბაბუცას ტანჯვას. ეხლა რაღა დროს! ეხლა...

ბაბუცას ფიქრები შეწყვიტა ჭიჭიკას ფეხის ხმამ. კაცმა გადმოაბიჯა ხარისას და შინათკენ წამოვიდა. მთლად გალუმპულიყო. სისველეს ავ გუნებაზე დაეყენებინა; მკვახედ მიჰმართა ცოლს:

– დედაკაცო, რა გულხელი დაგიკრეფია და ჩასცქერიხარ მა წუმპეს? ცეცხლს დამახვედრებდი, რომ ტანისამოსი გამეშრო: ხვალ უნათლებლივ უნდა წავიდე.

– სად უნდა წახვიდე?

– სადა და ძემვის მოსაჭრელად. ხომ ხედავ, ერთი კონა აღარ გდია ეზოში?

დედაკაცი შებრუნდა შინ. ჭიჭიკამ გაიხადა ფეხსაცმელი და გალაფული წინდები ბუხრის თავზე ჩამოჰკიდა.

– ე წინდები კარგად გამიშვნიტე დილაზე, თორემ იმ დღესაც გორახები შეჰყოლიყო!

ჭიჭიკამ წაშოტა წინ ქალმებისაგან დაკოტიტებული ფეხები და წალდს დაუწყო ლესვა; თან ცერით ფხას უსინჯავდა იარაღს.

ხომ იცით, ძეძვს როგორ სჭრიან? ან როგორ წალდსა ხმარობენ მის მოსაჭრელად? არა?! მაშ რაღა იცით! ძეძვის მოსაჭრელად ცული არ ვარგა, არც ის წალდი ვარგა, წვერი რომ ზევით აქვს აშვერილი; ამ საქმისათვის ის სათული სჯობია, რომელსაც ნამგალივით წვერი ქვემოთა აქვს შემოხრილი. ძეძვი დაბალი იზრდება და ბუჩქ-ბუჩქად; რომ მიუდგეს კაცი, ორთითია საჭირო. მარჯვენა ხელით ორთითს მიაბჯენ ძეძვის ბუჩქს, ისე რომ ღეროები გამოუჩნდება, მარჯვენა ხელით წალდს აიღებ და ძირებს დაასხებ, შამბივით მოსთიბავ. წალდი ძალიან უნდა იყოს გალესილი, მეტადრე შემოხრილი წვერი, რადგან იმ ადგილას უფრო ადგია ძალა იარაღს.

ჭიჭიკამ მიაყუდა წალდი ბუხართან და მიწვა. მკვადარივით მიეძინა დამაშვრალს. ძილში თავი გადაუვარდა მუთაქიდან, ყელის ნაოჭები დაეჭიმა, თეთრი ზოლები დააჩნდა ყელზე, დედაკაცი მისჩერებოდა მძინარე ქმარს; თვალები ცეცხლივით უღვიოდნენ. ქალი ხედავდა გადაწეულ ყელის ძარღვებში სისხლის მოძრაობას, ესმოდა სისხლის ნაკადულების ხმა, გრძნობდა თბილ სისხლის სუნს. კისერი წაიგრძელა და სმენად გადაიქცა, თითქო რამ ხმაურობა შემოესმა. მაგრამ არა: ყურმა მოატყუა, ჩამიჩუმი არსად იყო, მხოლოდ ჭრიჭინა ამბობდა თავის განუწყვეტელ სათქმელს. მძვინვარე მხეცმა გაუთამაშა თვალებში. ქალმა წაატანა წალდს ხელი, მიუახლოვდა მძინარეს, გამოუსვა ბასრი ყელში და სურვილით დაეწაფა სისხლის შადრევანს.

[1902 წ.]

სოკო, სოკო!

1

ხომ იცნობთ ცალხელ ჯამბრულას, სოკოს რომ ჰყიდის? არც კი გაგიგონიათ?! ან კი რა გასაკვირველია, როცა იმისთანა ჭიების დანახვა დურბინდითაც ძნელია.

ჯამბრულა სოფელ ფლატიანიდან არის, ამ სოფელს ცხვირწინ რომ ქალაქი უდევს, ზურგზე ტყე აკრავს, რომელიც უზარმაზარ მთას ასდევს ქოჩრამდინ. მეტად სასარგებლო არის სოფლისათვის ეს პატარა ქალაქი: ყველა ნაწარმოებს ფასი აქვს იქ; ქათამი, კვერცხი, ბოსტნეულობა, მხალი, ხილი ტყისა თუ ბაღისა, რძე-მაწონი, – ყველაფერი იყიდება იქ და ანაზღად, თუ კაცს არაფერი მოეძებნება სახლში და ვერაფერს მოიძიებს ბაზარში გასატანად, მაშინ თითონ შრომობს ქალაქში დღიურად და ყოველთვის შოულობს საქმეს, რადგან, რაც უნდა იყოს, ეს ქალაქიც ქალაქია და ათასგვარი მოთხოვნილება აქვს. ფლატიანელი ერთი ძმა რომ სოფლად ირჯება და შინაურს საქმეს უძღვება, მეორე ქალაქში ადგა რომელსამე ხელობას და ამ ორმაგი შრომით წაღმა ატრიალებენ ოჯახს, პირნათლად იხდიან მოვალეობას.

ჯამბრულას ძმა სოფელში ცხოვრობდა, თითონ კი ქალაქში იყო გასული საშოვარზე. მაშინ ცალხელა არ იყო ის, არც ჭაღარა; მარჯვენა ზედვე ჰქონდა ახალგაზრდა ვაჟკაცს. ხელი კი არ იყო დალოცვილი, მანქანა იყო საქებური. იცით, რა მარჯვე იყო და ხვავიანი ის მკლავი! მაგრამ მოსწყდა, დაიმარხა, დაიკარგა: უბედურმა შემთხვევამ უცბად მოამსხვრია ჯამბრულას ხელი. ცეცხლმა გაუარა მაშინ მკლავში. ტკივილი კი არ იყო ის, დადაგვა იყო, ნაკვერჩხლის გატარება ხორცში. გონს რომ

მოვიდა ჯამბრულა, სახლში იწვა მაზარის ქვეშ. მისგან წვა-დაგვით შეგროვილი ფული, მისი ვერცხლის ქამარ-ხანჯალი, მისი საათი, სადღესასწაულო ტანისამოსი, – სულ იმსხვერპლა იმ უბედურებამ. როდესაც ფეხზე წამოდგა ავადმყოფი, ის მაზარაღა შერჩა, რომელიც ზედ ეხურა.

2

ხეიბარი ადგა ჯამბრულა ლოგინიდან. ღონე მოსდევდა, გული ერჯოდა, გარჯა კი აღარ შეეძლო: იარაღი აღარა ჰქონდა ზედ. იტანჯებოდა. მარცხენა შერჩა, მაგრამ რა უნდა ექნა მარტო იმას, როდესაც მხოლოდ წახმარებას იყო ნაჩვევი და თავისთავად საქმის გაკეთების შნო არა ჰქონდა. დარდში ჩავარდა ვაჟკაცი, თავმომწონე ბიჭი, რომელიც აქამდინ არავის ხელში შემაცქერალი არა ყოფილა, რომელსაც თავიც უცხოვრებია და ყველასათვის შემწეობაც მიუცია, ახლა გლახაკი შეიქმნა, სხვის ხელში შემყურებელი საპყარი.

მალეც გამოსცადა, რა ძნელი ყოფილა სხვის ულუფაზე ყოფნა: ძმა, რძალი, პატარები აქამდინ რომ უაღერსებდნენ და მის მზესა ფიცულობდნენ, ეხლა განზე გადგნენ, რადგან აღარას გამოელოდნენ მისგან; უბღვეროდნენ, ზურგს უქცევდნენ.

წყეული მარიკოც რომ შორს გაუხტა! გული კი არა, ქვა სდებია მკერდში გულმკვდარს. ახლა ჯამბრულა სოლომანას ეარშიყება. ჯიბის ბარაქა კი ჰქონდა მისგან გამქრალი. ჰაი მუზიკა, ჰაი დაირა, ჰაი ჯაყვა და ათასი წვრიმალი. ისე როგორ ამოვიდოდა მარიკო ბაზარში, რომ არ ენახნა ჯამბრულა და არ გაჰნახებოდა, ახალი რამ სურვილი არ გაეცხადებინა. მერმე რა სწრაფად უსრულებდა ბიჭი ყველა ნდომას!

– აღარაფერი ახსოვს! მაინც ყველაფერი ალალი იყოს იმაზე: ბღღვრიალა თვალეში რომ დავკოცნიდი, ცხადად სამოთხეში შევდიოდი. რას გიკვირთ? სიტყვა გვქონდა მიცემული, დანიშნულებივით ვიყავით, მხოლოდ მარჯვე დროს ველოდდი. ვაჟკაცი ვიყავ მაშინ საიმედო, ეხლა კი ჩენჩო ვარ გამოფიტული, ყიჭო რამ გულგამოცლილი. ვის რად ვუნდივარ!

საპყარი იყო ჯამბრულა და ყველაფერი უნდა აეტანა, მოეთმინა; ყველას ფეხქვეშ უნდა დაჰგებოდა, ყველასთვის თვალ-წარბში უნდა ეყურებინა. მერმე რა ძნელი იყო ეს! და მით უფრო, რომ მაინც ცივად ეპყრობოდნენ. ბევრჯელ დაჰგმო ბიჭმა განგება, რომ იმ უბედურ დღეს მთლად არ მოუსპო მას სიცოცხლე.

გულდამწვარი კაცი რამდენჯერმე ამოვიდა ქალაქში, მაგრამ აქ უფრო სტკიოდა გული, რადგან საქმეს ხედავდა, სათავისო საქმეს, მისი გაკეთება კი აღარ შეეძლო. იქაურმა ამხანაგებმაც მალე მიანებეს მას თავი; ნახეს დასახირჩებული და გაშორდნენ. მთლად უხმარი შექმნილიყო. ქალაქიდან ყოველთვის გულდასერილი ბრუნდებოდა, ბოღმის ცრემლი სდიოდა.

ჯალაბისაგან მოძულეებულს, ტოლ-სწორისაგან გულაყრილს, სატრფოსაგან მივიწყებულს, ცხოვრების მორევიდან გარიყულ უხმარ ვაჟკაცს ორი გზაღა ედო წინ: სამარისაკენ და მთხოვრობისკენ. პირველ გზას უარჰყოფდა მისი ძალ-ღონით სავსე სიჭაბუკე, მეორეს – მისი თავმოყვარეობა, მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცს ბედისგან განაწირსა: ადამიანი რომ გულქვავად დახვდა საპყარს, ბუნებამ შეიწყნარა ის, მოწყალეებისა ხელი აღუღო მას და მიუპყრა პური არსობისა სავსეებისაგან თვისისა.

ჯამბრულას შემოდგომაზე დაატყდა უბედურება და ზამთრის დამლევამდინ ისე აითვალისწინეს სახლში ეს ხორცმეტი, რომ სისხლი გაუშრეს. გაზაფხულის პირს ხომ მთლად გაუბოროტდნენ: ყველა შრომობდა, მუშა ხელი ოქროს ფასადა ჰღირდა, ის კი ეგდო კოლოტივით, უსაქმოდ აღამებდა დღეს, ჭამის მეტს ვერას ახერხებდა.

ერთ დილას, გაბოროტებულმა რძალმა ისეთი სიტყვები მიართყა საპყარს, რომ მათი ატანა შეუძლებელი შეიქმნა. გამწარებული ვაჟკაცი გამოვიდა გარეთ და დიდხანს ეგდო გომურთან ჩაფიქრებული. დააპირა მდინარისაკენ დაშვება, მის ზვირთებში მოსპობა თვის აწ უხმარ და უაზრო ყოფნისა. ვერ გაბედა: მის ძალ-ღონით სავსე არსებას ცხოვრება სწყუროდა და მოსპობის წარმოდგენამ თავზარი დასცა. დააპირა ქალაქში წასვლა, მთხოვრობის დაწყება, მაგრამ როცა წარმოიდგინა, რომ ხელი უნდა გაეწოდა ნაცნობ ქუჩებში ნაცნობი ხალხისათვის, – იმათთვის, ვისგანაც მხოლოდ კუთვნილი სასყიდლის მიღებას იყო ჩვეული, სირცხვილმა დაწო, აღმური აედინა. ადგა, გასწია უაზროდ ტყისაკენ.

თოვლი გამდნარიყო, მიწა კი ჯერ არ გამშრალიყო, ნიადაგს ისევ ეტყობოდა ღვარის ნადენი. ენძელა მოპურებულიყო, აღარ ხასხასებდა, წითელ იას მოეფინა მინდორი; აქა-იქ – ყუდროზე ნამდვილი იაც გაშლილიყო და მორცხვად ილიმებოდა. მიწა ყველგან აფუებული დახვდა, ნაყოფის გამოსაღებად გამზადებული. ახლად გამოღვიძებული ბუნება ჯერ ისევ იშმუშნებოდა, ტკბილ ოცნებას ვერ გამორკვეოდა, იმედებით სავსე ილიმებოდა.

ჯამბრულამ გაიარა ბუწვნარი, შევიდა აყრილ ტყეში, შეჰყვა ხევ-ხევ. ხევში აქა-იქ ისევ იდო ნამქერი; გაყინული ნაპირი აჰხლეჩოდა მას და იქიდან ჟონავდა ნადნობი. გაჟღენთილი მიწიდან ბალახ-ყვავილს ამოეყო თავი. ტყის პირში რომ ხეებს ფოთლებიც გამოტანილი ჰქონდათ, აქ მხოლოდ ეხლა დახლეჩილიყვნენ დატენილი კოკრები და ოდნავ ჰმოსავდნენ შემწვანებულ ყლორტებს. ირგვლივ გაზაფხულის სუნი იდგა – სუნნელება, რომელსაც გამოსცემს ნაყოფის გამოსაღებად გამზადებული ბუნება და რომელიც ისე ადუღებს მარღვებში სისხლს.

გაფურჩქვნის ხანს ყველა სულდგმული გამოსცემს, როგორც ყვავილი რამ, ახალ სიცოცხლის მომასწავებელ სუნნელებას და იგი სუნნელება ემზზე მოიყვანს სხვას. არ გიგრძვნია ეს?

ჯამბრულას მოეწონა ანკარა ნაკადი. ჩამოჯდა ჯირკზე, ეხლალა იგრძნო დაღალვა; მუხლებმა ჟული დაუწყეს. მოშივნოდა კიდეც, მაგრამ ლუკმა არა ჰქონდა თან: ისევ ეხათრებოდა ძმის ოჯახში პურის აღება და დღეს ხომ რა ჭამისა სცხელოდა, როცა ისე გამწარებული გამოვარდა შინიდან. აქა-იქ ტყის ჩიტები ხმაურობდნენ. ცის სივრციდან წეროების ყრიტინი მოისმოდა.

– ნეტაი თქვენ, რომ უზრუნველადა ცხოვრობთ! – შეჰნატრა ჯამბრულამ, – გამჩენელს უხვად განუბნევია თქვენთვის სარჩო, ყველა ხე ან კლდის ნაპრალი ბინად მოუცია.

– ცოტა სჭირიათ იმათ: მარცვალი და წყალი. მაგრამ განა ადამიანს არ შეუძლიან მცირეთი დაკმაყოფილდეს. თუნდა მე! ნეტა ლუკმა პურის შოვნა შემეძლოს, თორემ ღმერთს როგორ დავგმობდი ან კაცს რად შევაწუხებდი. ვიცხოვრებდი ჩემთვის ტკბილად. ვაი, რომ მომესპო ცხოვრების ყველა სახსარი! ფრთამოტეხილ მფრინველსა ვგვევარ. აბა მოფშენიტეთ მხარი რომელსამე იმ წეროთაგანს, თუ ლაჟვარდ ციდან ქვასავით არ დაემოს ტალახში და შიმშილით არ ამოხდეს სული.

ვაჟკაცს უფრო აერია დარღები, გული ამოუჯდა, თვალთ ცრემლი მოედინა.

– რა ვარ ეხლა მე? მოტეხილი ხე დასალპობად გადებული. ვის რად ვუნდივარ, ვის რით ვარგივარ, ან ჩემ თავს ან სხვას? არავის! არაფრით! როგორც ეს გადაჩეხილი წიფელი, რომელიც დახავსებულა, ლპობა შეჰპარვია. ჩალპება კიდევ უსარგებლო. ტყუილადაა უჭირავს ადგილი, ტყუილადა!

4

უყურებდა ჯამბრულა დაყანდებულ წიფელს, ცნობისმოყვარეობით ათვალთქვებდა. თითქო პირველადა ხედავს აბრუნებულ ხესაო. ამ თვალთქვების დროს, ხის ქვედა მხარეზე ახლად ამოფუჩფუჩებულ სოკოს მოჰკრა თვალი. ამავე დროს ჯამბრულას გაუელვა სასიკეთო აზრმა და იმედის შუქი გაუკვესა უნუგეშოდ ჩაბნელებულ გულში. მივიდა, ხელი შეახო ნაზ სოკოს, უსუნა, გემოდ ნახა. ისე ნაზად ეხებოდა სოკოს ბუნჯგალს, თითქო შუშის სიფრიფანა რამ უჭირავსო ძვირფასი. მოიხადა ქუდი და მადლობა შესწირა ზეცას.

– დაილოცოს, უფალო, შენი სამართალი, რომ არ გასწირავ კაცს და შენ გაჩენილს შენვე დაარჩენ!

ჯამბრულამ ფრთხილად დაკრიფა სოკო; სულ ქორფები დაარჩია; ჩაიწყო მაზარის კალთაში და სიყვარულით შეხედა დახავსებულ წიფელს.

– ხომ მოჩეხილხარ და მიწაზე გდებით დამპალხარ, მაინც გამოსადეგი ყოფილხარ, სიკეთის მოტანა შეგძლებია; მე კი მთლად უხმარი რამ მეგონე, ქვეყანაზე მეტ ბარგად დადებული.

ჯამბრულამ გასწია ქალაქისაკენ. ეხლა ჩქარის ნაბიჯით მიდიოდა. სიმაგრე და სისწორე აჩნდა მის ნაბიჯს, განსაზღვრულ საქმეზე მიმავალი კაცის ნაბიჯი იყო. ქალაქში პირდაპირ იმ ოჯახს მიატანა, სადაც კიდევ ახსოვდათ ჯამბრულა და მისი მარჯვე სამსახური. ბატონმა გასინჯა სოკო, გახედ-გამოხედა მას, ასუნ-დასუნა თავისი მოქნილი საყნოსელით და ორ აბაზად დააფასა მინატანი; თანაც შეაქო ჯამბრულას მხნეობა, მოუწონა იმას, რომ მთხოვრობას არ მიჰყო ხელი.

ჯამბრულა ხალისიანად დაბრუნდა შინ და რძალს გაუწოდა ფული. ეფენამ ჯერ გაკვირვებით დახედა თეთრს, მერე ზიზღი დაეტყო სახეზე და ტუჩები დაებრიცა; ორი თითით აიღო ფული ისე ფრთხილად, თითქო ეშინოდა, რამე მწიკვლი არ ამყვესო.

– გიწყალობეს? მოითხოვე? ახლა უნდა თქვან, ალუდაანთ სახლიდან არის ეს გლახაო: შენისთანა ბედშავისაგან უნდა გატყდეს ჩემი ოჯახის სახელი.

– არ უწყალობებიათ, არც მითხოვნია მოწყალება.

– მაშ ალბათ მოიპარე სადმე.

– რას მაწუხებ, ადამიანო, და ცდილობ უფრო დამჩაგრო?! როდის გინახამ ჩემ ხელში ნაარმევი, რომ ეხლა ეჭვი მოგაქვს? ღმერთმა შემამღებინა შრომით ვიცხოვრო: სოკო გავყიდე და იმისი ფასია.

– მართლა, ბიჭო?! ყოჩაღ! – გაუღიმა რძალმა და ჩაიღო ფული ჯიბეში.

5

იმ დღიდან შეეჩვია ჯამბრულა ტყეს, დაუახლოვდა მას, გაიცნო, შეისწავლა. აქამდინ ხომ ხეების გროვა ეგონა ის უბრალო, ეხლა ნახა, რომ იქ თავისებური ცხოვრება ყოფილა გაშლილი, ჰაზრით სავსე ცხოვრება, ადამიანთა ბრბოსათვის საგულისხმიერო. აქ განიცადა ჯამბრულამ ხელშეუხებელი ბუნება, შეურყეველ-შეუმწიკველი – ისეთი,

როგორც გამოვიდა დამბადებელის ხელიდან. იქ აეხილა ჯამბრულას გონების თვალი, ჩამოეცალა მის მხედველობას ამო ზრუნვათა მტვერი და მიჰხვდა, რასა ჰნიშნამს ის, როდესაც ქმნილება გრძნობს მისადმი მინიჭებულ არსებობის სიკეთეს, როდესაც იგი ნეტარებს ამ მისადმი მინიჭებული არსებობით: შეჰსტრფის და შეჰხარის მცენარე ცხოველმყოფელ მზეს, მისკენ იწვდის ტოტებს, მისკენ მიილტვის მთელი თავისი არსებით; იგი დაჰხარის ჩახჩახა ნაკადს და მადლობითა სვამს მაცოცხლებელ ნამს; იგი სურვილით გადაუშლის გულ-მკერდს უცხო შეზავებულ ჰაერს და ხუჩხუჩებს მის სიწმიდეში.

სხვა არა უნდა რა ამ ახოვან წიფელს, ოღონდ ნუ მოაკლებთ მიწას, სინოტიეს, ჰაერსა და მზეს. და რად უნდა მოაკლოთ, როდესაც ეს ყველაფერი მრავალი მოუმაღლებია გამჩენელს და ყველასათვის საკმაო? რად გინდათ დაიშუროთ ვისთვისმე ესე უხვად მონიჭებული კეთილი? ნურც შეუძღვრევთ ამ სიმდიდრეს, ნუ შეუბღალავთ! მიეცით მაგ ტყის მშვენიებას ნება ცამდინ აღიპყროს ტოტები, ჩაეკონოს დედამიწას ფესვებით და ინეტაროს! მიეცით ამის ნება ახოვანს და იმსახურეთ: ინებეთ მისი ნაყოფი, მოიჩრდილეთ მის ქვეშ. იცით რამოდენა სულდგმულს აძლევს ბინას და საზრდოს ის ბუმბერაზი? არა კმარა ყველა ეს?! მაშ შეეხეთ იმასაც: დააჭერით შტოები, მთლად დაასხიპეთ, ოღონდ თითონ მას კი ნუ მოუსპობთ სანეტარო არსებობას!

აგერ მწყაზარი ირემი, მშვენიერი ქმნილება ღვთისა! ნეკერ-ბალახი, ნამი და ჰაერი; სხვა არაფერი უნდა იმას, რომ იხაროს და დაამშვენოს ტყე. რად გინდათ დაუშალოთ მას ყოფნა, როდესაც ეს ყველა ღვთისწყალობა მრავალია მოფენილი ქვეყანაზე? ნუ მოუსპობთ მას სიცოცხლეს, ნუ აატირებთ! იცით, როგორ შეჰხარის ის თავის არსებობას?!

ამათ მიჰბამეთ! ნუ ინებებთ მიჰბამოთ სისხლისმსმელ მხეცებს, მიელტოდეთ სხვის ვნებას. მაგრამ თქვენ მტაცებლებსაც გადააჭარბეთ: აღარ გეკიდებათ ძღომა; ჰვლეთთ დაუცხრომლად და ჰსრუტავთ სისხლს, ისე ჰბდღვნით და ხვეჭავთ გარშემო, თითქო ათასი წლის სიცოცხლე მოგელოდდეთ; ისე არ ინდობთ არავის, თითქო დედამიწა მხოლოდ თქვენთვის იყოს დაარსებული. გსურთ ყველა სურვილი დაიკმაყოფილოთ, თითქო შეიძლებოდეს ნდომის დაოკება, თითქო სურვილები უფრო და უფრო არ იზრდებოდნენ და არ ძლიერდებოდნენ, როცა უთმობთ მათ. ნდობა ხომ ჭიაკოკონაა, რომელიც უფრო ძლიერდება, რაც მეტს აყრით ჩალა-კაჭაჭს.

სამარის კარამდინ ბრძოლა-დრტვინვაში ატარებთ სიცოცხლეს და აღარა გცალიანთ დასტკბეთ ან თქვენდამი მონიჭებულ არსებობით, ან ქვეყნის სიმშვენიერით. ვაი თუ, უკანასკნელ ჟამს აგეხილოთ გონების თვალი და ჰნახოთ, რომ მთელი სიცოცხლე მხოლოდ მზადებაში, ცხოვრებისთვის მზადებაში დაჰკლიეთ. მაშინ ინატრებთ კიდევ ერთ წუთს, მხოლოდ ერთ წამს, რომ იხილოთ და იგემოთ სიტკბოება არსებობისა და არსთა მშვენიერება, მაგრამ ვეღარ მიხვდებით ამას და გამოუთქმელი სევდა მოიცავს თქვენ გულს, განუსაზღვრელად დაგნანდებათ ფუჭად ჩავლილი ცხოვრება, სინანულის ცრემლები აგითროლოდებიან წამწამზე. მომისმინე, საყვარელო, მერწმუნე! პირისპირ ვიხილე სიკვდილი და არარაობა ვიგრძენ ყველა ეს.

– აღარა მინდა რა, ჩემთვის აღარაფერი მინდა! მაზარა და ლუკმა პური მასულდგმულებენ მე და კმარა! მსურს მხოლოდ დავტკბე იმით, რომ ვარ, დავდივარ ამ მშვენიერ ქვეყანაზე და შემიძლიან მისი მზერა. გგონიათ, ცოტაა ეს? დიდი ზღვაა ეს ნეტარებისა. ღმერთს რომ ჩემთვის ყოფნა მოუნიჭებია, ვტკბები ამ ყოფნით და გული მიღიმის. მსურს, სხვებიც ტკბებოდნენ თავიანთ არსებობით, – უმღერდეთ გული.

შეიცვალა ჯამბრულამ ცხოვრება: წინათ რომ თვალი რჩებოდა ჩაცმა-დახურვაზე და ცხენ-იარაღზე, ეხლა მაზარას და შვინდის ჯოხს ანაცვალა თავის მისწრაფებები; ადრე რომ საჭმელს იყო შეჩვეული და არ მოსწონდა, საცა ნაირ-ნაირი არა მზადდებოდა, ეხლა ხმელ ყუასაც ქადასავით შეექცეოდა, მეტადრე ანკარა წყალში დამბალს; უწინ რომ მტკაველ მიწისათვის მეზობლებს ეტანებოდა და გულზე სკდებოდა, როცა სხვის წარმატება ესმოდა, ეხლა ყველა ამას ზურგი შეაქცია: დაინახა, რომ მის სამკვიდრებლად ქვეყანაზე სამი ადლი მიწა კმაროდა. ცდილობდა, რაც შეიძლებოდა ცოტა ადგილი დაეჭირა სამმო სახლში, რომ უფრო მცირედ შეენიშნათ ის, ფეხქვეშ არავის მოსდებოდა ძმის ოჯახში, არავინ შეეწუხებინა იქ.

მაინც იშვიათად არის ჯამბრულა შინ. მთელ დღეს ტყეში აღამებს. ბევრჯელ ღამესაც იქვე ათევს: თავშესაფარი ადგილები იცის. როცა ბუჩქნარს ასცდება და საირმე ტყეში ავა, მაშინლა ამოისუნთქებს თავისუფლად. წინდაწინ ნადირისა ეშინოდა და ეს უმღვრევდა სიამოვნებას, ეხლა ეს შიშიც გადიყარა გულიდან.

– უვნებელ ცხოველებს მე არას ვერჩი და ისინიც შემეჩვივნენ, აღარ მიფრთხიან; საშიში მხეცების ხასიათი კი შევისწავლე და ადვილად ვახერხებ ავცდე მათ, ან გავაქციო ხმაურობით, თუ მეტი გზა არ არის.

მოეწონება ცალხელს რომელიმე ლაღად აზრდილი, ცამდინ აწვდილი ხე და წამოწვება მის ძირას. ხშირ ფოთლებშუა მაინც მოჩანს ლაჟვარდი ცა. მზის სხივები მხოლოდ სასიამოვნოდ ანათებენ და ათბობენ აქ, მათ სიმწვავეს კი ვერა გრძნობს კაცი: ტყის ჩრდილი და სინოტიე აქარწყლებს მათ სიცხეს.

– რა გრილა, სასურველო! იქ, ტყის იქით კი, სიცხით იწვის ხალხი, გახურებულ ჰაერთან მტვრად ნაქცევ მიწა-ნაგავს ჰყლაპავს და იშხამება. ბული დგა იქ სიმყრალისა და ადამიანს სუნთქვას უხუთავს. ხვრთქელში ცურავს იქ ადამიანთა ბრბო, დელავს გალექებული, იბრძვის. ბრბო მისდევს შესაძენს, რომ გული იჯეროს და იხაროს, კმაყოფილება კი გაურბის მას, გულის სისრულე კი ვერ შეუპყრია, როგორც აჩრდილი რამ. რა იცის ბრბომ, რა ახლოა მასზე ნეტარება ან ვინ დააჯერებს მას, რომ იგი მისდევს მხოლოდ მოჩვენებას, რომელიც ქაქანით მიიყვანს მას სამარემდინ და იქ შემზარავ ხარხარს დააყრის თავს.

ჯამბრულა ხედავს ფოთლებშუა თეთრ ღრუბლებს და მათთან ნავარდობს ცის სივრცეში; ის ყურს უგდებს ფოთლების შრიალს და ესმის, რაზე საუბრობენ ისინი: ისინი დაჰნატრიან თავს, რომ არსებობენ, თბებიან მზის სხივებზე, სუნთქავენ ტურფად შეზავებულ ჰაერით, ჰსვამენ ზეციურ ნამს, მადლობენ შემოქმედს, რომელმაც მიანიჭა მათ ყოფნა. სიყვარულით უმზერს ჯამბრულა ხის ბუმბერაზ ღეროს და ამაცობს მის ძლიერებით, უხარია, რომ წინააღმდეგნი ძალნი ვერ შეჰმართავენ მას, ვერ შემუსრავენ; ესმის მასაზრდოებელი ნამის ჟუჟუნ ამაყ ღეროში და სურვილით ჰკოცნის დედამიწას, რომელიც აძლევს საზრდოს ყოველ არსებას – როგორც ამ ტყის მშვენიებას, ისე იმ პაწაწინა ჭიას, რომელიც აფერადებულა სიხარულით და აგერ მალხაზად მიგოგავს ბალახზე.

– ახ! ნეტავ განუწყვეტლივ მამყოფა ამ ღვთის წყალობაში, ნეტა გამრია ამ არსებებში, შემაერთა მათთან განუყრელად, ისე კი, რომ არ დამეხმოს გონების თვალი, რომ ვხედავდე, ვგრძნობდე ჩემ ნეტარებას.

მაგრამ ჯამბრულას არ შეეძლო სამუდამოდ ტყეში დარჩენილიყო: ღამდებოდა და უნდა დაბრუნებულიყო შინ. ბინდ-ბანდირს რომ შინ მიდიოდა, მისი გონება ისევ იქ იყო, უდაბურ ტყეში, და ბაგეზე ღიმი უქროდა, სახეს ნათელი ეფინებოდა.

მეტად ძნელი იყო ჯამბრულასათვის ზამთარი. კიდევ კარგი, რომ დიდხანს არა გრძელდებოდა ის. ზამთრობით ის გომში ბუნაგდებოდა, რომ კერასთან ადგილი არ დაეჭირა და ვისმე თვალის ეკლად არ მოსჩვენებოდა. მაინც ვერა სძლებდა ისე, რომ რამდენჯერმე არ დაეხედნა ტყისათვის; ვერ გაემლო უიმისოდ, როგორც შეკვეთილს, გაიკვლევდა ნამქერში გზას თავის ნაცნობ ახოვნებისაკენ და მიესალმებოდა მათ, ანუგეშებდა ახალი ცხოვრების მოლოდინით, როდესაც ცხოველმყოფელი მზე ისევ დაუბრუნდებოდა ტურფებს და აამწვან-აყვავებდა მათ.

დატრიალდება თუ არა ჰაერში გაზაფხულის სუნი, ჯამბრულას გული გაედება, სევდა გაულხვება, გულს მოეშვება, კაემანი დაუდნება და იმედთა მიმშრალ-მიმქრალი ნაკადი ნუგეშით აევსება, აუპირთავდება, აუღელდება. ხედავს ცალხელი კეთილის მოახლოებას და სიხარულით გული უმგერ-უმღერის; მთელი თავისი არსებითა გრძნობს ბუნების განახლებას და თითონაც ახლდება, ხალისდება.

დაბლობში რომ თებერვალშივე იწყება გაზაფხული, მწვერვალებს თიბათვეში ძლივს მიაღწევს ისე, რომ როცა თხილიანში გაზაფხულია, აყრილ ტყეში, იალაღებთან მაშინ იმლება გაზაფხულის ყვავილი და იფურჩქნება ტყე, ფოთლით იმოსება, თვალჩაუწვდენელ ღრანტეებში ჯერ ისევ დნება თოვლის ნამქერი და არც კი გადაშლილა ღანძილი. ჯამბრულა სარგებლობდა ამით და როგორც დიდმარხვის პირველ კვირაში, ისევ კალობას, სიცხე-პაპანაქებაში ჩამოჰქონდა ტყიდან ახალ-ახალი სოკო. ქალაქში რომ სიცხით გულშემოყრილი ხალხი ყინულსა და სარდაფებს ეტანებოდა, იქ რომ ბული და მტვერი ხეს ფოთოლს უხრუმტავდა, ჯამბრულა სადამ-სადამობით გაიძახოდა: სოკო, სოკო! და იცით, რა სოკო მოჰქონდა, იცით რა სოკოს ამოლაგებდით, ფრთხილად რომ გადასწევდით ბუერის ფოთლებს? გრილს, როგორც წყაროს წყალს, სუფთას, როგორც ცის ნამს, ფაფუკს, როგორც ღუმას, კარაქივით გემრიელ სოკოს! მე ვიცი, ჭია ეყოლებოდა! ჯამბრულა ერთი შეხედვით იცნობდა სხვა რამ სულდგმულისაგან შელახულ სოკოს და ხელს არ ახლებდა იმას; მხოლოდ შეურყეველ რასმე ჰკრეფდა.

– სოკო ჭიის ლუკმაც არის და თუ იმან მიმასწრო, ხელს აღარ ვახლებ: რად მინდა სიცოცხლე მოვუსპო სულდგმულს, ან გუნება ავურიო ჩემ მუშტარს?!

ჯამბრულამ კარგად იცის, რომელი ხის სოკო უფრო გემრიელია და ნიშანდობრ ახსოვს დაყანდებული ხეები; იცის, რომელი ხისაგან როდის უნდა მოისთვლოს ეს ნაყოფი და როგორც გაზაფხული იწევს თანდათან ზევით, ისევ ჯამბრულა აღმა მისდევს მთას საშოვრისათვის.

სოკოს შესაგროვებლად ორი კალათა აქვს ხურჯინში ჩამაგრებული, გასასყიდად კიდევ ხოკერი უჭირავს ხელში. ეს ხოკერი საწყაოა და იმის ფასიც განიხრულია: უხვობის დროს ორ შაურად ჰყიდის, სიმცირის დროს კი აზაზამდინ ადის მისი ფასი. კალათებს ძირში ჩადუნას უფენს. ხომ გახსოვს, რა დიდხანს ინახავს ჩადუნა ტყის სუნნელებას? ზევით ბუერას აფარებს, ცივი წყლით ნაპკურებ ბუერის ფოთლებს, და იმისთვის არის, რომ მისი ჩამოტანილი სოკო პაპანაქებაშიაც ისევ საღია და სუნნელი!

მიდის ჯამბრულა მძიმე ნაბიჯით ქალაქისაკენ და თან მუშტარზე ფიქრობს, საზრამს, ვის უნდა მიჰყიდოს დღეს სავაჭრო; ვარაუდსა სწევს, ვინ რამდენს აიღებს.

– ზევით ქუჩაზე წავალ, ქვეით ხომ იმ დღეს გავატარე. ნისლიშვილის მეუღლე გადმომძახებს აივნიდან; ერთ კიბეზედაც არ ჩამოსდგამს ფეხს. მთელ კალათს

დამაფასებინებს, მეჩინჩება. არ კი იყიდის; მარტო ერთ საწყაოს აიღებს. ან რად უნდა მეტი? სუბათ არიან, ერთი ყმაწვილიდა დაცანცალებს ოჯახში. ბუერის ფოთოლსაც თან გააყოლებს, ესეთი ჩვეულება აქვს. ეკ. სიბერე შეეპარა, ლაბაბი გულდა ლეღვივით ჩამოეკიდა.

მემრე ეკალანთ ნენე მომეგებება წინ. გასტეხს სოკოს, გემოთ ნახავს, დაიწუნებს; მაინც იყიდის. რამდენსამე გროშს დამაკლებს. ყველას ისე უშვრება, ვისგანაც რას იყიდის. რად უნდა?! ისეც დოვლათზე ზის.

ოსანა გაიგონებს ჩემს ძახილს და გამოვარდება. ნეტა ავცდებოდე! რა შავია, რა წვეტია, რა შამფურაა! აფსუსი არ არის, ი ბეგივით ქმარი ადგა თავს ყურთმაჯშეყრილი.

– გაუმარჯოს ბატონ თენგიზს!

– აა, ჯამბრულ, შენა? ხმა დაგხრინწებია, მგელი ხომ არ დაგინახამს? აბა, მიჩვენე სოკო. კარგია, კარგი! რა მოგცე ხოკერში?

– აბაზი, ჩემო ბატონო!

– როგორ შეიძლება! ამ შუა ზაფხულში რა დროს სოკოა, რომ ძვირადაც აფასებ.

ტყუილად მევაჭრება ბატონი თენგიზი. ეს თითონაც იცის ბატონმა; იმის სახლში მისი ცოლია პატრონი და ეგ უიმისოდ ერთ ბლითსაც ვერ უყიდის თავის ბაღს.

უთუოდ გავუვლი დარიკოს. რა თეთრია, გამჭვირვალე! რა ფაშფაშაა! გული მიდარის მის დანახვაზე. რა კეთილია! უთუოდ მომიკითხამს, სიკეთეს მისურვებს. ნეტა გრძნობსლა მისი ქმარი, რომ სამოთხისთვის მოუხვევია ჩხიმალა მკლავები?

– სოკო, სოკო!

1902 წ.

უძლები

1

მთლად ახალგაზრდა ვიყავ, ახლად კურსშესრულებული და ქვებიც ვარდისფრად მეჩვენებოდნენ. გული მიმღეროდა, ყველაფერს შევტრფოდი, ყველას შევხაროდი, ვეალერსებოდი. ყვავილობის დრო იყო დალოცვილი! დამენანებოდა იგი წარსული, თუ ცოდვად არ მიმაჩნდეს სინანული. მაინც რა შნო აქვს დანანებას, თუ წარსულს ვეღარ ეწევი?!

ამ დროს ჩამაბარეს საკმაოდ სამძიმო საქმე: მგლეთში უნდა ავსულიყავ სასწავლებლის დასათვალიერებლად. ეს მოზრდილი სოფელი აღბულაღის დასწვრივ არის გაშენებული, ხრამის პირზე. ქართველობა შერჩენია სოფელს. ქალი იყო მაშინ მგლეთში მასწავლებლად. არ მესმის, რად ამირჩიეს მე, ის კი ვიცი, ჩემზე კარგს ვერვის გაგზავნიდნენ, ჩემზე მარჯვედ და ეშხიანად ვერვინ შეასრულებდა იმ საქმეს.

ისე ვიყავ ხალისით სავსე, ისე მერჯოდა გული, რომ გათენება ვეღარ მოვიცადე: დამიანად გავუდექ გზას. სოლოლაკის აღმართს რომ ავედი და თბილისს თავს მოვექეცი, ისევ ბინდ-ბუნდი იყო. ქალაქს ჯერ არ გაჰღვიძებოდა, გუგუნი კი რამ მოისმოდა გამოურკვეველი: იშმუშნებოდა. რაც ზევით და ზევით ვიწევდი, კოჯრის სიო უფრო ძლიერდებოდა და დასიცხულ კაცს საგრძნობლად მისისინებდა. როცა ოქროყანას დავუპირდაპირდი, ცა მაშინ შეფერადდა. დუქანი დავინახე გზის პირას და არაყი დავალევი მეეტლეს, გამოვაფხიზლე. მეც დავლიე: კარგია, სისხლს აჩქოლებს, კაცს ახალისებს. ტაბახმელის დასწვრივ მუშა ნამგალს ატრიალებდა. ხელეური გადმომავებეს. მანეთი ვაჩუქე და ვაკოცე. ზინზლის სუნი ასდიოდა. სუნნელებით

გაჟღენთილი ხელსახოცი მოვისვი ცხვირზე. რამდენიმე მისახვევ-მოსახვევი კიდეც და მეეტლემ დაჰკვივლა ცხენებს: გრიალი მივიტანეთ ფოშტის სადგურზე.

2

გამგედ ყმაწვილკაცი იყო, მიმზიდველი სახის შავ-შავი ახალგაზრდა. შრომა გაეწია, სახლის წინ კოხტა ბაღჩა გაეშენებინა. ამ ბიამან ადგილას საამო რამ კორდად მოჩანდა ეს ამწვანებული საგრილობელი. ბევრი კი არა იყო რა შიგ, მაგრამ ყველაფერს მოსიყვარულე კაცის ხელი ეტყობოდა. მეტადრე მშვენივრად იყო მოწყობილი გუმბათივით მოყვანილი თალარი. ლობიო, ფათალო და გოგრა ძმურად ახვევოდნენ სვეტებს და ბუჩქად შეკრულიყვნენ ზევით. გარს ტანმალალი ლილიფარა შემოსჯროდა. ისე შეჰხაროდა ყმაწვილკაცი ამ გალადებულ მცენარეებს, როგორც იონა აყიროს. ბუნებით ბინადარ კაცად აგებული, ცხოვრებას ეულად გადმოეგდო ბიამანზე, მაგრამ თავისას არ იშლიდა ის: იქაც ბუნაგობდა. ღიმილით გადმომეგება. ისე მიმილო, როგორც ძვირფასი სტუმარი.

– ქალაქიდან გახლავან ესენი, – მიმითითა თალარისკენ, – საკუთარი ეტლი აქვთ; დაგვიანებისა ნუ გეფიქრებათ, ეხლავე შეგიბმევინებთ.

გავიხედე, ბაღჩის გვერდზე ორი ეტლი იდგა, ისეთი კეწკეწი და სუბუქი, რომ სადგურისა არ უნდა ყოფილიყო ისინი. მადლობა გადავუხადე მასპინძელს და მივაწოდე ვინაობის ქალაქი.

3

ბაღჩაში, თალარის გარეთ, ორ ვაჟკაცს ეძინა გაუხდელს. ერთს ევროპულად ეცვა სულ უჯრა-უჯრა, წითელი ყელსახვევი გვერდზე მოჰქცეოდა, თეთრი გულისპირი ღვინითა ჰქონდა შეღებილი, ფართო კალთებიანი ჩალის ქუდი სახეზე ეხურა; ხვრინავდა. მეორე ქართულად იყო მორთული; ქვაზე იყო მიწოლილი, თავქვემ ლეგა ფაფახი ამოედო; ხანჯალი დასთავქვევებოდა, ქარქაშიდან წამოვარდნილიყო. შიგ თალარში სამ ქალს ეძინა; ზოგს მუთაქა ედო თავით, ზოგს ბალიში, ერთს საბანიც ეხურა. ლოგინი შეპოხილი; ეტყობოდა, იქვე სადგურში მოენახათ, მხოლოდ ერთი ქალი იწვა ფურფუმებით მორთულ სუფთა ბალიშზე; თეთრად გადმოდებულ მძიმე მკლავზე ძვირფასი სამაჯური უბრწყინავდა. თალარის შუა მაგიდას დაჰყრდნობოდა შალშემოხვეული ახალგაზრდა და ეძინა. მის წინ უხვად ეყარა ნამუსრავი: ყველი, თევზი, ძეხვი, კუპატები, ძვლები, მწვანილეული, ნაფცქვენები; შიგადაშიგ ბოთლები, ხელსაწმენდები და ათასი სხვა. ონავრობა ჩაედინათ და ნაომრისათვის ჯერ ხელი არავის ეხლო.

ჩვენ ხმაურობაზე თალარში მყოფ ვაჟკაცს გამოედვიდა; აილო თავი და ერთხანს გაშტერებული გაჰყურებდა სივრცეს, მემრე შეიშმუშნა, თვალეზი მოიფშვნიტა; გაილიმა, როცა აათვალ-ჩაათვალაიერა სუფრა და გარშემო მწოლარენი. ადგა, თეთრ ქალს საბანი გადახურა. მუქი რამ კაცი იყო, ნუჟრიანი; მითეთქილ სახეზე სიმწვანე გადასდიოდა; ფაჩხატი წვერ-ულვაში მოსდებოდა; განივრად გახლეჩილ ბაგეს მომხო ტუჩები მოსჯროდნენ. სადად ეცვა მიხაკისფერები.

– ქალაქში ცხელა და წუხელ აქ წამოვასხი ეს ჩემი მეგობრები, – მიმითითა იმან და ისე ძმურად გამილიმა, რომ გული შემვარდა იმაზე.

– ქალები ადგებიან და ჩაი მზად უნდა დავახვედრო, – განაგრძო და გასძახა ბიჭს. გამოუტანეს ჩაიდან. დაიწყო ჩაის მზადება. მეც მივეშველე.

– იცი, დათიკო, – მეუბნებოდა ძმურად არჩილი, – ქალების მონადა ვარ გაჩენილი, უცნობნი არიან ისინი თუ შინაურნი. დაიხსომე! დილიდანვე არ უნდა აურიო ქალს გუნება, თორემ მთელ დღეს მოგიშხამავს. მეტადრე ა ის თეთრი ქალი! ხედავ რა ფაშაა?! დაახრანტალებს თუ არა, მაშინვე ლუკმა უნდა მიაშველო, თორემ შენ გადაგყლაპავს.

– როგორც ზღაპრული ფაშკუნჯი.

– ერთ ალაგას რომ საჭმელი შემოაკლდა, ზედ მჯდომმა კუნთი გამოიჭრა, ის მიაშველა.

– მერმე ხომ თითონვე გაუმთელა ფაშკუნჯმა, ფრთა რომ მოუსვა.

– მეც მაგ იმედით ვცდილობ, თავს არა ვზოგავ მაგათთვის.

აიშალა ხალხი. გავაჩაღეთ ჩაი. გავხსენით რომი, ისე მოვეწონე არჩილს, რომ თავისი სატრფო ჩემ მზრუნველობას მოანდო. ვლალბდით, ვიცინოდით, ვხარხარებდით, ვთქართქარებდით. ვის რას ვუშავებდით?!

4

ცოტა ხანში დიდი ხნის მეგობრებით დავახლოვდით: აღარ გვეთმობოდა ერთმანეთი. არჩილმა მოინდომა მგლეთშიც თან გამომყოლიყო.

– აქ მომეწყინა, ქალაქში ჩაბრუნება არ მინდა ამ სიცხეებში; მოდი, ერთად ვიმგზავროთ! – მითხრა იმან, როცა გაიგო, სად მივდიოდი.

– სასიამოვნო იქნება! – მივუგე მე. რას ვაგებდი?!

ამფსონებმა რომ გაიგეს ეს ამბავი, სიხარულით ცას დაეწივნენ, მეტადრე ქალები. ქება შეგვასხეს ამისთანა ჰაზრებისათვის. თეთრმა ქალმა ხელი მომცა საკოცნელად.

ჩაის შემდეგ კოჯრისაკენ ავისეირნეთ. ხომ გახსოვთ, რა ახლოა სადგურიდან ის აგარაკი? სულ ნახევარ საათის სავალი თუ იქნება, საუზმისათვის უკანვე დავბრუნდით. სადგურელებიც ჩვენთან შენაყრდნენ. რა სასმელები გვქონდა!

შუაღლე გადახრილი იყო, როცა გზას დავადექით. თავიანთ ეტლით წამიყვანეს. არჩილი, თეთრი ქალი და მე ერთ ეტლში ჩავსხედით, დანარჩენები მეორეში. მოსიყვარულედ გამოგვეთხოვა სადგურის გამგე. მიჯაჭვული იყო ბეჩავი და შეგვნატრიდა თავისუფლებას.

დავეშვით ბორბალოსკენ. თუ გივლიათ აქეთ, გეხსომებათ, რა ფრიალოს ჩასდევს გზატკეცილი. ზევით ბუჩქნარი მოსჯრია გზას და ჰფარავს ხევს, ქვევით და ქვევით კი კლდე არის მოტიტვლებული და გზა საშიში. მოაჯირიც კი არ ჩასდევს ამ სახიფათოს. ქალაქის ქუჩებს ნაჩვევი ცხენები შიშითა თრთოდნენ, ელმაცრივ ჩასცქეროდნენ ფრიალოს, კლდისკენ იწევდნენ. არჩილი წინ გვეჯდა. ეტლი რომ დათავქვევდა, ძალიან შეკრთა ჩვენი ქალი; როცა ეტლმა ქანაობა დაიწყო ნაპრალებზე და ლოდებზე, ქალმა წივილ-კივილი ასტეხა. გვეშინოდა ხმაურობაზე ცხენები არ დამფრთხალიყვნენ, მაგრამ ვეღარ დავაჩუმეთ ქალი. არჩილმა ხერხი მოიგონა: თითონაც ჩემკენ გადმოჯდა, ქალს აქეთ-იქიდან მოვხვიეთ წელზე ხელი და მუხლებზე გავიმაგრეთ. აღარ ეშინოდა, დამშვიდდა. ვაშლოვნის ხევს რომ გავცდით, მაშინდა ამოვისუნთქეთ თავისუფლად. ბოთლი გავხსენით, მადლობა შევწირეთ უფალს.

ასურეთი მზით გავიარეთ. საღირაშენში ვახშამი ვჭამეთ და თვალი წავიტყუეთ. ათი საათი იქნებოდა დილისა, მგლეთში რომ შევედით.

5

მგლეთი დაფენილ ადგილას ყოფილიყო. ბექს რასმე გადავადექით და წინ გაგვეშალა სოფელი. გამოჩნდა თეთრი საყდარი, მის ახლო თეთრადვე შელესილი სახლი; მაშინვე ვიგრძენი, სკოლა უნდა ყოფილიყო ის. შევედით ეზოში. გაკვეთილი ჯერ არ გათავებულიყო; ღია ფანჯრიდან მასწავლებლის ხმა გამოდიოდა. შეგვიპატიჟეს. მანამ ტანსაცმელს ვიცვლიდით, გაკვეთილიც გათავდა.

მასწავლებლად ახალგაზრდა ქალი გამოდგა, თეთრ-წითელი თმა ჯალჯავით ეყარა, შუათანა ტანისა იყო, მკვიდრად ჩასხმული. სახე რომ ცოტა მოკლე არა ჰქონიყო, სწორედ ლამაზი იქნებოდა. სანდომი რამ კი ჩანდა, მადიანი. კოხტად დაკვერცხილ ხელებზე ეტყობოდა სუფთა ჩამომავლობა. რწმუნების ქაღალდი რომ მივართვი, ფერმა გადაჰკრა, ლურჯი თვალები დაუგანიერდა და მის სახეს მიმზიდველობა მიემატა ჩემთვის, იქნება იმისთვის, რომ მისმა შეკრთომამ სიბრალული აღძრა ჩემ გულში.

– მოგელოდდით, ბატონო, და შეგირდები არ გავეშვით.

სუფთა ხმა ჰქონდა, წკრიალა. გავაცანი სტუმრები.

– მდიდარი ხალხია, განათლებისათვის თავდადებული! მოისურვეს ჩემთან ერთად თქვენი სკოლის ნახვა.

ქალებმა აკოცეს მასწავლებელს, ვაჟებმა ხელი ჩამოართვეს მოკრძალებით.

ყმაწვილების გამოცდას სამი-ოთხი საათი მოვანდომე. მემრე წიგნთსაცავი, დავთრები და სკოლის ყველა მოწყობილება გამოვიკვლიე. ბევრი ნაკლი ვნახე, სასწავლებელს ბევრგან ეტყობოდა გამოუცდელი ხელი. მინდოდა ცოტა მკვახედ მენიშნებინა ქალისათვის ყველა ეს, რომ დაჰხსომებოდა, მაგრამ მე მხოლოდ ვთხოვდი საქმე გაესწორებინა, რადგან ყველა ჩემ შენიშვნაზე ისე საწყლად გააღებდა იმ დიდრონ თვალებს, რომ გული მიკვდებოდა.

მაინც ყოველვის გული მტკივა, როცა ქალსა ვხედავ ლუკმის საშოვარზე გასულს, გასათხოვარ ლამაზ ქალს. ძნელი საქმეა ჯაფა, დღიური საზრდოსათვის შრომა! ღვთის რისხვა არის ადამიანისთვის მუშაობა, გამჩენისაგან სასჯელად მიცემული. საჭმელის საშოვრად ოფლის ღვრა იმ უბედურ ნაბიჯის შედეგია, რომელიც უნებლიეთ გადადგა კაცმა მდიდარ და თბილ ადგილებიდან მწირ და გრილ ქვეყნებისკენ, რომლებიც აღმოაცენებენ ეკალსა და კუროსთავსა, სადაც ტყავი უნდა შეემოსა ადამიანს, რომ აეტანა იქაური სასტიკი ჰავა. მანამდე რა უჭირდა კაცს? ბუნებას თავისი უხვი კალთა მის გარშემო დაებერტყა და ყველაფერი იქვე ჰქონდა, საჭმელიც და საგრილობელიც, ღვთის ბრძანებით მიცემული. ლუკმისათვის ჯაფა! მხოლოდ მონა და მონად დაბადებული შეაქებს ამ შრომას, რომ გული გაიკეთოს სატანჯველში. თქვით, თუ მეტი გზა არ არის, უნდა ვიმუშაოთ, ოფლი ვიწუროთ-თქო, თორემ ჯაფისადმი გულწრფელი ხატობა! არ მესმის, არცა მწამს.

შრომა მწარე ხვედრია მამაკაცისა, როგორც უფრო ძლიერისა. შრომას ძალ-ღონე უნდა, ოფლის ღვრა სჭირია და ეს ძნელია ქალისათვის: იგი ხომ უფრო სუსტია, უფრო მეტ ავადმყოფობათა ბუდე. ქალის დანიშნულება სხვაა: იგი დედაა! იმან უნდა ხორცი შეასხას მომავალს და ააღორძინოს იგი, იმან უნდა ამრავლოს ტომი და განაგრძოს იგი. ეს არის ბუნების ჰაზრი და გამჩენის ნება. ამისათვის არის, რომ სასძლოდ მოწიფულ ქალს შრომა, ლუკმაპურისთვის ოფლის ღვრა ვერა ჰყოფს გულსავსედ, ვერ აკმაყოფილებს, პურისათვისინ დრტვინვაში გატარებული დრო დაკარგულია მისთვის. ერისათვისაც დაკარგულია იგი დრო! მიმდინარე ჟამი უფრო და უფრო აშორებს ქალს მის დანიშნულებას და ასევედიანებს. დარდობს ქალი. მამ ხელი გაშალოს და ჩამოუაროს, როცა ხედავს, უკეთეს ხანს თავის ცხოვრებისას, იმ ხანს, როცა ძალ-ღონით, სიცოცხლით და სურვილებით სავსეა, როცა შეუძლიან საუკეთესო ნაყოფი გამოიღოს

და სიხარულით აღზარდოს იგი ნაყოფი, როცა ხედავს-მეთქი, რომ იმ საუკეთესო ხანას თავის ცხოვრებისას, ყვავილობის ტურფა დროს, სხვა რამ საქმეს ანდომებს, უგემურს.

ბუნებაც რისხავს და სჯის მიზანაცილებულს, მის ურჩს, მის მგმობელს, მის უარმყოფელს: სამ-ოთხ წელიწადზედ ისე იბუგება აკოკრებული გოგონა, რომ თვალცრემლი მოსდის გულჩვილს. მასწავლებლობა ხომ მთლად აშრობ-ახმობს ქალს, სისხლსა სწოვს გულიდან და ჰფიტავს, ფერს უკარგავს, ძარღვს უდუნებს, ვარდს უჭკნობს, სახიდანა შლის, ადუხჭირებს, აბოროტებს. ჩაგიხედნიათ დროთა ბრუნვისაგან მიმჭკნარ ქალწულის გულში? რა ბოღმა ტრიალებს შიგ! სამარის მღილი ბრუნავს შიგ, სამარის მღილი ღრღნის და ხვრელავს მის გულს.

აზია ხომ დიდი მცოდნეა ქალთა ბუნებისა და იგი ყოველთვის წინააღმდეგი იყო გამოეყვანა ქალი გულქვ შრომის მოედანზე და მოეცდინა, აეცდინა უწმინდეს მის მიზნისათვის; აზია ყოველთვის ცდილობდა ადრე შეეყვანა ქალი იმ წალკოტში, საცა უხვი ბუნება დაუცხრომლად წარმოშობავს ახალ ქმნილებებს.

თუ გიყვარვარ, გახსოვდეს, რომ აზიელი ხარ! აზია კალთაა დედაჩვენისა! თავმომწონედ აღიარე ეს და ეცადე აზიურ მცნებებზე მოაწყო ცხოვრება. გააუმჯობესეთ იგი მცნებები, ფრთები შეასხით მათ, ახალი ძალა მოჰბერეთ მათ, მაგრამ უარნუჰყოფთ, ნუ ამოაგდებთ ფესვიანად ჩვენ ხეხილს უცხოური ნერგისათვის. ეცადეთ დაიცვათ და გაავრცელოთ ჩვენი მცნებები, დიდი შრომით და გამოცდილებით, დიდი მოაზრებით დასკვნილი ჭეშმარიტებები!..

მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც მე სკოლას და ყმაწვილებსა ვსინჯავდი, ჩემი სტუმრები ძალიან წყნარად იყვნენ, ზრდილობიანად იქცეოდნენ და მოწიწებით. რამდენიმე შესაფერი კითხვაც მისცეს ბავშვებს და ცოდნა გამოიჩინეს. თეთრმა ქალმა ორჯელ-სამჯერ მანიშნა და დამაწყნარა, რადგან მაინც ვლელავდი და ხმას ვიმაღლებდი ხანდიხან. არჩილი კარზე იყო, რაღაც განკარგულებებს აძლევდა.

6

ხალხი იკრიფებოდა სასწავლებლის ეზოში. მღვდელი, მეზატონე, მამასახლისი და ვიღაც ჯარში ნამყოფი მერუსულე ხომ ჩემთან იყვნენ და თვალ-ყურს ადევნებდნენ ყმაწვილების გამოცდას, სხვები ფანჯრებიდან იყურებოდნენ ან კარებს მოსდგომოდნენ. თანდათან ივსებოდა მიდამო, ხმაურობა მატულობდა.

მოვრჩი ჩემ საქმეს, გამოველ და თვალი გადავავლე იქაურობას. საყდრის გვერდზე ცხვრებს აფეშხოვებდნენ, აქეთ დედლებსა ჰფუთქავდნენ, იქით ინდაურებს ასუფთავებდნენ; ცეცხლი დაეგზნოთ, თხილის შამფურებს სთლიდნენ; მოეზიდნათ პური, ჭურჭელი, ღვინო; სოფლიდან დართული ქალ-რძალი მოეფინებოდა; ბავშვები დარბოდნენ, მიჰქონდ-მოჰქონდათ, ემსახურებოდნენ, მორბედობდნენ; ყველა სამზადისში იყო. გამიკვირდა! გავიფიქრე, ჩემ დასახვედრად ემზადება-მეთქი ხალხი და მიამა.

არჩილი ჩინარს მიჰყუდებოდა და გატაცებით ელაპარაკებოდა ქუდმოხდილ ნაცვალს. მალე გამოირკვა საქმე: არჩილი უმასპინძლებოდა სოფელს. დამინახა, ღიმილით წამოვიდა ჩემკენ.

– მინდა ერთი მოვალხინო სოფელი. ჩემი მოსვლა დავახსომო.

– რამ გაფიქრებინა? ხომ დიდი ხარჯი მოგივა.

– იმოდენა, რაც ერთ ღამეს აბრაგუნეს ბაღში.

– მამაო! – მიუბრუნდა მოძღვარს, – გთხოვთ პარაკლისი გადაგვიხადოთ, სკოლა დაგვილოცოთ!

პარაკლისი ეზოში გადავიხადეთ. შეგირდები გალობდნენ მასწავლებლის ლოტბარობით. ხალხი ხალისიანად ლოცულობდა. ეშხზე მოსულმა მღვდელმა იაზმაც იხადა და გულიანად გვასხურა წვერმოცვეთილ უსუპით. არჩილი ემთხვია და ოქრო ჩაუდო მოძღვარს. პარაკლისის შემდეგ არჩილმა ორიოდ სიტყვით მიჰმართა ხალხს: გადულოცა სკოლას ხუთი თუმანი და უსურვა აღორძინება; სთხოვა ხალხს ეს ღირსსახსოვარი დღე მხიარულად გაეტარებინათ. ღიმილი გადაეფინა ხალხს, მადლობა მოახსენეს. წავდები მეც და დავიწყე. ბევრი ვთქვი და კარგები, ხელოვნურად ავკინძე გამონასკული სიტყვები, მაგრამ ვერავინ გავიტაცე, ვერც ავაღელვე: ის სარჩული აკლდა ჩემ ხმას, არჩილმა რომ დაუდო თავის თქმას.

დავსხედით სადილად. სუფრის თავში არჩილი დასვეს. მარჯვნივ მე მოვუჯექე, მარცხნივ მასწავლებელი. შეიქმნა სმა-პურობა, დატრიალდა ჯამი, აგუგუნდა სუფრული, აჟღერიალდა დაირა, ჩამოტრიალდა ახალგაზრდობა, ტაშის ხმა ღრუბელს უწევდა.

არჩილი აუჭიკჭიკდა მასწავლებელს, ხოტბა შეჰფინა ენატკბილად, ეალერსა რაინდულად, თავს შემოევლო ნარნარად: მეშვიდე ცამდინ ასწია გოგონა.

გასჭრა ღვინომ, არია მონასტერი: ყველა მღეროდა, ყველა ცეკვავდა; ერთმანეთს ვეხვეოდით, აღთქმას ვამღევდით, კეთილს ვპირდებოდით. ბუნებამაც თანაგვიგრძნო: სიხარულით შეიძრა, შეტოკდა, შემოტრიალდა; კარგად მახსოვს, რომ კაკლები ბუქნას უვლიდნენ, ჩინრები თავს გვიკრავდნენ, გვემშვიდობებოდნენ.

მგლეთიდან აღბულაღში წავედით. მთელმა სოფელმა გაგვაცილა. ტკბილად დავშორდით ერთმანეთს, ხვევნა-კოცნით, გამოვეთხოვეთ მასწავლებელსაც. არ ვიცი, ხელზე ვემთხვიე ქალს თუ გულზე, ის კი მახსოვს, რომ მაღალი მკერდი ტალღასავით უღელავდა ცისფერ ფარჩის ქვეშ.

7

მეორე დღეს მოწყენით იყო არჩილი, მეგონა: ნაბახურევი არის, დათენთილი და მალე გამოცოცხლდება. ვერც საუზმის შემდეგ გამობრუნდა. ამფსონებმა დაინახეს მის შუბლზე ნისლი და ეცადნენ გაფანტვას, თუმცა ამაოდ.

დავათვალიერეთ აგარაკი, ვიგემეთ წყაროები, გავედით სასეირნო ადგილებში, ვსინჯეთ ხალხი, შევიხედეთ სალხინოებში. არჩილი ჩრდილივით დაგვდევდა უკან, უხალისოდ მოაბიჯებდა დაღრეჯილ-მოშვებული. არ იქნა, ვეღარ მოვხარეთ ჩვენკენ. ხომ არა გგონიათ, გაცემული ემძიმებოდა, ნახარჯი ენანებოდა? აბა! დღესაც გუშინდებურად აპნევდა საჭურჭლეს, ყველა სურვილს უსრულებდა ამხანაგებს. მხოლოდ სევდა რამ შემოჰყროდა და დაეღრიჯნა, პირი აღარ უცინოდა.

თეთრი ქალიც ერთ ხანს ეცადა თავის რაინდის გახალისებას, მემრე კი მოშორდა, ზურგი შეაქცია ნაწყენმა, ჩემკენ გადმოიწია; წაძრობილი თათმანიც კი მომიცაცუნა სახეზე, ალბათ, იმისთვის, რომ შური აედრა არჩილში, მაგრამ იმან ყურიც არ შეიბერტყა. მთლად მომეკედლა ქალი.

- რა დაემართა მა კაცს, რომ ეგრე ჩაჭკნა უეცრად, ვინ რა დაუშავა? – ვკითხე ქალს.
- არაფერი! მხოლოდ გუშინდელმა ვარდის კონამ დაუწყლულა მას გული და ვეღარც მოისვენებს, მანამ მკერდში არ ჩაიჭკნობს იმ უცხო ყვავილს.
- რა ყვავილს?
- მასწავლებელ ქალს! ახლა იმის სურვილი ჩაეჭრა გულში.
- ხუმრობ!

– არა! მთელ ქონებას გადააგებს, გულის წადილს კი აისრულებს. რამდენჯერ მიცდია! თვეობით უდევნია ციციანათელასთვის, გველის ხვრელში გამძვრალა, ხელში კი ჩაუსრესია პეპელა. მაშინლა დამიბრუნდება.

– მე კი მხოლოდ უბრალო მოქეიფე ვინმე მეგონა.

– რა მოქეიფე, როდესაც ღვინოსაც კი არა სვამს ხეირიანად; ქალაქსა და სხვა მისთანა ყომარბაზობას არ მისდევს. ჩვენა ვართ მაგისი ბედნიერება. მონაა ხორცისა, ყურმოჭრილი ყმა. დიდი ფული გადუგია ქალებზე, უფრო მეტს წააგებს, მთელ დოვლათს დაანთქამს და მემრე რა დოვლათს!

სხვებსაც მოეწყინათ არჩილის ალერსი და ფულის ქისადლა გადააქციეს ის. მხოლოდ ხარჯის გასაწევადლა მიჰმართავდნენ.

გზაზე რამდენჯერმე დამიახლოვდა არჩილი, თითქო რაღაც უნდა გაემჟღავნებინა ჩემთვის, მაგრამ ყოყმანობდა, ვერა ჰბედავდა. მეც ძალას აღარ ვატანდი: ვიცოდი, უიმისოდაც არ ამცდებოდა მისი საიდუმლო, ადრე თუ გვიან ჩემთვის უნდა გაეზიარებინა თვისი გულის დარღები.

ჩავედით ქალაქს, დავცვალეთ სადარბაზო ბარათები და დავშორდით ერთმანეთს.

8

დადგა ზაფხული და გახურდა თბილისი, გავარვარდა. თუნუქის ბანებიდან ლაპლაპით ადიოდა ბული და უერთდებოდა კლდეებზე ნახურებ ჰაერს; ჯოჯოხეთის სიციხე ტრიალებდა ქუჩებში. მოიტუსა და გაშავდა მიდამო. ვინ დარჩებოდა ზაფხულობით ამ საკირეში, თუ არ დაბმული ან უილაჯო?!

თავისუფლად დავფრინავდი იმ ზაფხულს კოჯრიდან კიკეთს, მანგლისიდან აბასთუმანს, ბორჯომიდან სურამს, სოფლიდან სოფლად. აგარაკებში რამდენჯერმე შემხვდა არჩილი. ამაღა ყოველთვის დიდი დასდევდა და მხიარული, თითონ კი გულჩათხრობილი იყო, რაღაც ფიქრით გატაცებული. აგვისტოს მიწურულებში მივალწიე სურამს. ჩემგან პატივსაცემი კაცი ბუნაგობდა იქ და იმასთან ჩაველ სანახავად. არჩილი დამიხვდა იქ და იცით ვისთან ერთად? კაკატოსთან! გამოცვლილიყო ვაჟკაცი. მის ტანზე რომ ახალთახალი ტანისამოსი ყოველთვის დაჭმუჭნულ-დასრესილი მინახავს, სახე მითელილ-მოთელილი, გრძელი თმა მინაბდული და მხოლოდ თითებით ნავარცხნი, დღეს გაპეწკილ ტალავარში გამოწყობილიყო, თმა კობტად გადაევარცხნა, სახე დაებან-დაეწმინდა; მთლად გაჭაბუკებულიყო, გახალისებულიყო. მარტო ახლდა კაკატოს. ამაღა თან არ ჰყვანდა.

ქალიც ველარ ვიცანი: უფრო გამთქვინებულიყო; მოხდენილად ჩაცმული, მაღალქუსლიან ყვითელ წულებზე, სააგარაკო არგნით ხელში კუპატივით გამეკილი დაჟღაჟა გოგო ერთიორად ქცეულიყო. ცოტა აჭარბებდა ქცევაში და გამოცდილი თვალი მხოლოდ ამით შეიტყობდა, რომ ქალი ამ კეთილ ყოფას ვერ იყო შექვსილი, რომ თავისუფლობა და ნავარდობა არ იყო მისი საყოველღეო ქარგა, რომ იგი შემთხვევით იყო დღეს იალაღზე.

არჩილი და კატო უმიზნოდ არ ამოსულიყვნენ ჩემ ნაცნობთან: ქალს თბილისში გადასვლა მოესურვებინა და სთხოვდნენ მის სასარგებლოდ სიტყვა დაემრა.

– გარწმუნებთ, ბატონო, რომ შრომას არ დავზოგავ! – ეხვეწებოდა ქალი.

– უთუოდ აღორძინდება სასწავლებელი ამ ქალის ხელში. მე თითონ ვითავებ ამ სკოლის მზრუნველობას, უხვ შემწეობას აღმოვუჩენ, არაფერს არ მოვაკლებ! თორემ თითონ თქვენი კეთილი თვალი ნახავს ყველაფერს! – ეუბნებოდა არჩილი.

ნაცნობი ხმას არ იღებდა. უსიამოვნოდ აებრიცა ტუჩი, დასავლეთისაკენ მიედრიჯნა დაჩვრეტილი მომხო ცხვირი, კორტოხის მწვერვალებს მისჩერებოდა. ამ სახიფათო მდგომარეობაში არჩილმა და კაკატომ ისეთი თვალით შემომხედეს, რომ აღარ შეიძლებოდა არ ჩავრეულიყავ საქმეში.

– ვგონებ, პატივსადები უნდა იყოს ამ ბატონების თხოვნა! მე მაინც იმ ჰაზრისა ვარ, მგლეთში კაცი ვინმე უნდა იყოს მასწავლებლად, – მოვახსენე.

– რადა?

– იმისთვის, რომ მარტოხელ ქალს, ისიც ნორჩ და გამოუცდელს, ძალიან უნდა გაუჭირდეს იქ.

– ბატონი ბრძანდებით, – მიუბრუნდა ნაცნობი არჩილს, – ვეცდები აგისრულოთ თხოვნა.

– თქვენ კი, – მომმართა მე, – ვგონებ შეგიცვლიათ ჰაზრი ამ მცირე ხანში; მოხსენებაში სულ სხავასა ბრძანდებით: ამ ქალზე სწერდით, სოფელს ძალიან უყვარს ის და მასაც შეუთვისებია სოფელიო.

– მართალია, რომ ქალბატონი ეკატერინე გამოჭრილია იმ სოფლის სკოლაზე, მაგრამ მე საზოგადოდ წინააღმდეგი ვარ, რომ ახალგაზრდა ქალებს მივარდნილ ადგილებში ვამწყვდევთ: ვინ უნდა შეჰხვდეს იქ ქალს თავისი საფერი?!

– თუმცა მივარდნილ კლდეებში ბრჭყვინავს ოქრო, მაინც ათასობით მიიკლავენ თავს მის საძებნელად.

– ეგეც მართალი გახლავთ, მაგრამ ვინ იცის, რამდენი მადანია მიუვალ ადგილას ჩამარხული და მხოლოდ შავ კლდეს ანათებს მისი ბრწყინვალება.

ქალ-ვაჟი ძალიან ნასიამოვნები დაბრუნდნენ სურამიდან.

9

კაკატოს სასწავლებელს მალე შეეტყო ფულიანი კაცის მზრუნველობა: მასწავლებლის ყოველივე სურვილი დუყოვნებლივ სრულდებოდა; რა სასწავლო ნივთი ან სახელმძღვანელო არ შეიძინა სკოლამ ამ მცირე ხანში! არჩილის ქისა ღია იყო სასწავლებლისათვის.

თითონ კაკატო არაფერსა თხოულობდა თავისათვის და კმაყოფილი იყო იმ მოწყობილობით, რომელშიაც წინა ოსტატს ეცხოვრნა. არჩილს უნდოდა გაეუმჯობესებინა ქალის ყოფა და მით დაახლოვებოდა მას, მაგრამ ვერაფერს უბედავდა. ეს კეთილი მზრუნველი ჯერ იმით უნდა დაკმაყოფილებულიყო, რომ ქალთან შედიოდა ხანდისხან და ელაპარაკებოდა, რასაკვირველია, პედაგოგიურ კითხვებზე. საქმეს მხოლოდ ის აძნელებდა, რომ არჩილს ცოტადლა ახსოვდა ეს საკითხავები და სიტყვას ვერ უსწორებდა ქალს, მასლაათს ვერ უბედავდა. დაჰვიწყებოდა ყველაფერი!

არჩილმა მეექვსემდინ მიაღწია გიმნაზიაში და ადვილადაც სწავლობდა. როდესაც ერთადერთი პატრონი შეიქმნა დიდი მამულისა, მას აქეთ ისეთ ცხოვრებას ეწეოდა, რომ თავის სათვალავისათვისაც კი ვეღარ მიეგნო, თორემ წიგნებისათვის სადღა ეცალა. ეხლა შემთხვევით შეისვენა, თავს დაუკვირდა, მაგრამ გვიანლა იყო: კითხვის ხალისი დაჰკარგოდა, წიგნის შრიალი ეჯავრებოდა. უნდა დაჰმორჩილებოდა ბედს და ქალისათვის დაეთმო პირველობა. ასეცა ჰქმნა: მოწიწებით უსმენდა კაკატოს და თავისი მხრივ მხოლოდ საუკეთესო საკითხავებს თუ სურათს უზიდავდა.

მისჩერებოდა ქალს არჩილი და თანდათან იჟღინთებოდა მისი სურვილით, იმსჭვალეობდა მისი ნდომით. იმის მკვიდრად ნაგები ტანი, მორღვეული თვალები, ხუჭუჭი თმა, ნაწნავში რომ ვეღარ ეტეოდა და იბურბენებოდა, მკერდის ღელვა,

ხოხმიკი ტუჩების მოძრაობა – ყველა ეს სასიამოვნოდ აღელვებდა გამოცდილ ვაჟკაცს და აწვალებდა. თითონ ქალი, მისი სხეულის სუნნელება და სავსება იყო არჩილისათვის ტკბილი მუსიკა, თორემ რას ამბობდა ის ან რას კითხულობდა, ეს სულ ერთი იყო მისთვის.

ისე შეუნდა არჩილს ქალი, როგორც მგელს კრავი: სურვილი მოუთმენლად ატოკებდა იმას და ლამის უცაბედად ემოქმედებინა! ძლივსლა იმაგრებდა თავს. იწოდა მით უფრო, რომ ნაჩვევი იყო სურვილების სასყიდლით დაკმაყოფილებას, მაშინვე დაცხრომას. ეხლა შეუძლებელი იყო აღერსის ყიდვა, ამისთანა სურვილის დაჩენაც კი სახიფათო ხდებოდა, რადგან შეიძლებოდა შეეფთხო ეს ახალი მფრინველი და მისი ჭრელი ფრთებიდან ბუმბულიც კი ვეღარ შერჩენოდა ხელში; სიფრთხილე იყო საჭირო, ნილაბ-აფარებული უნდა დაახლოვებულიყო ქალს, ცხვრის ტყავში შეხვეული უნდა შეჰპარვიყო კრავს. ესეც იქცეოდა არჩილი: შესციცივებდა, ოხრავდა, წმინდა სიყვარულს ახსენებდა; თვალებს უბავდა.

ქალი მაინც ადვილად შეამჩნევდა არჩილს თაღლითობას, თუ მის გულში მაინც ყოფილიყო ობოლი მარგალიტი მოთავსებული, თუ მისი გრძნობა მაინც სუფთა ყოფილიყო და გამჭვირვალე, მაგრამ არც მის გულში ჰქონდა საწყალ ამურს ბინა!

ქალი სხვა თვალით უყურებდა ჭაბუკს. არჩილი ერთი ჯირკვა კაცი იყო, ნუჟრიანი და თავის აგებულებით ქალს ვერ გაიტაცებდა, ვერც გონებით მოხიბლავდა მსჯელობანაჩვევს; კაკატოს იზიდავდა მხოლოდ მისი გვარიშვილობა და დოვლათი.

განა ესეთ რაინდს ოცნებობდა კაკატო სასწავლებელში?! მისი ნანატრი ამირანივით ვაჟკაცი იყო შემმართველი, სავსე გმირული შვენებით, ტარიელივით იყო შმაგქმნილი თავის ნესტანისათვის, ავთანდილივით ზრდილი და ჰაზრიანი, ფრიდონივით ერთგული, ასმათივით თავდადებული; მდიდარი, დევთა საჭურჭლის მექონი.

ოო! მაშინ თვალებს დაუყენებს ამხანაგებს, სწავლაში რომ სჯობნიან ეხლა! რა შურით გახეთქავს ამზრდელ ქალს, უსამართლოდ რომ ემტერება ეხლა ან იმ მანჭია მასწავლებელს, ტუჩს რომ აუკრავს ხოლმე.

რა წამოსაყენებელია იმ სხივოსან ქმნილებასთან ვიღაც არჩილი! მაგრამ რა ქნას ქალმა, როდესაც ცხოვრებამ უღმობელი ხელი სტაცა ყანყრატოში და თითქმის გაგუდა? ცხოვრებამ ნელ-ნელა ჩამოაცალა მისგან წარმოდგენილ რაინდს სიმშვენიერე, გატაცებული სიყვარული, სიბრძნე, ქველობა; ერთი თვისებადა შერჩა მის რჩეულს და იმ თვისებას კაკატო ვეღარ შეეღევა, ეს თვისება არის სიმდიდრე, რომელიც ეხლა ერთადერთ სანატრელ საგნად გახდომია ქალს. პანსიონში ფუფუნებით აზრდილმა მალე შეიგნო ფულის მძლეობა და მისკენდა მისწრაფოდა მთელის არსებით; ეხლა ოქროს ქისა გაუგორა ბედმა ფეხქვეშა.

– უნდა მაგრა ჩავჭიდო ხელი ამ შემთხვევას! – ფიქრობდა ქალი. – მაშ რა ვქნა, რამ მაცხოვროს? სამი თუმანი ოცდაათ დღეში! ამით უნდა ჩავიცვა, დავიხურო, ვისაზრდოვო, განვითარებული გემო-სურვილი დავიკმაყოფილო, შავ დღეს გავუმკლავდე. დღეში მანეთი! მუშა ვარ კურტნიანი... ამისათვის მთელი ოთხი საათი უნდა ჩავჩიჩინებდე ვიღაც ლაწირაკებს. მემრე რა სუნი მოაქვთ ბინძურ ოჯახებიდან! უფროსებსაც თავი უნდა მოვუხარო, უნდა ვმადლობდე, თვალბში შევეყურებდე, თორემ ვინ იცის, ჩემ ყოფას რამდენი მშიერი შეჰნატრის სადმე კუთხეში მიჩურთულ-მიდებული.

განა ესე ოცნებობდა კაკატო პანსიონის დარბაზებში! სამი თუმანი ჯიბის ფულადაც არა ჰყოფნიდა მას, ეხლა რომ ოთახი უჭირავს, თავის მოახლესაც არ აკადრებდა იმისთანას. ათ საათზე ადრე ადგომა ვის გაუგონია განათლებული ქალისა?! ნაირ-ნაირი სანოვაგე, ახალ-ახალი ტანთსაცმელი, სამკაული, თეატრი, საკუთარი ეტლი. მითომ რატომ არ უნდა მიჰნიჭებოდა ყველა ეს განვითარებულ ქალს, სუფთა ოჯახის შვილს, ახლად გაფურჩქვნილ მარწყვივით გოგონას? სხვებზე ნაკლებია?! აბა ერთი გავიდეს ცხოვრებაში და ეჩვენოს ხალხს! მნათობივით მიიპყრობს ყველას ყურადღებას სხივოსანი. ბატონიშვილი მიაღერებდა; ნატვრის თვალად გაუგორდება ფეხქვეშ, ზღაპრულ ხალიჩად დაეგება, ჯადო-სუფრად გაემლება წინ. აკი ამგვარი პასუხი შეუთვალა მარგალიტივით ბიჭს, რომელიც უეცრად განიმსჭვალა მისი სიყვარულით და გაუბედა გულის წადილი:

– შენი ჯამაგირი ხილის ფულადაც არ მეყოფა და რით უნდა შემინახო, თუნდაც წამოგყვე ვილაც გლეხის შვილს?

– ჰა, ჰა, ჰა! როგორ გაშრა ახალგაზრდა! თავის ბრალია: სანეკრე რომ ნახა, სახტომიც უნდა გაეზომა: მართლა და რითი უნდა შეენახა ქალბატონი, როდესაც თავის მაღალი შუბლის მეტი არა ებადა რა.

მერე რად გიკვირს კაკატოს საქციელი? ჩჩვილივე მოსხლიტეს ნამდვილ ცხოვრებას, ბროლის სასახლეში ჩასვეს მზეთუნახავი, ცივ ნიავს არ აკარებდნენ, ყველაფერი უზრუნველი ჰქონდა მზამზარეულად, დუგმის შესაკრავადაც კი მოახლე ედგა თავს; ისე ზრდიდნენ, თითქო მის სახელობაზე ათი ათასი თუმანი შეუტანიათ ბანკში და დაასრულებს თუ არა, ოქროს ლანგრით მიართმევენ სალაროსაო. წიგნებშიაც ხომ უზრუნველ და დიდებულ ცხოვრებასა ხედავდა, საცა ფული ჩეჩქივით იბნეოდა. საიდანღა უნდა შეეგნო ქალს ნადვილი ცხოვრების ნიშანწყალი? არსაიდან. და აკი ეზიზღა და ეძძიმა მას იგი ნამდვილი, თუმცა ცხოვრება კიდევ ხათრიანად მოექცა მას და მაშინვე მთლად არ გადაუშალა თავის მარიფათები.

ქალ-ვაჟის ურთიერთობაში ნაზი ამური არ არის. სად შეეძლო მის ჩჩვილ აგებულობას აეტანა მგლური კავშირი?! შორიდან რომ შენიშნა დაახლოვებულნი, სიხარულით მიფრინდა მათთან და ძალუმად მოზიდა სურვილთა მშვილდი, რომ გაეგმირნა ისინი სიყვარულის ისრით, განუყრელად მიემსჭვალა ერთმანეთისათვის, მაგრამ შეფრთხა: ეშმა რამ დაჰხვეოდა მათ გულზე და იმან შეაკრთო. დარცხვენილი დაბრუნდა უმანკო და დიდ მანძილზე ესმოდა ბილწის ხარხარი.

ნაადრევი კი იყო ეს ხარხარი: ქალ-ვაჟი ჯერ ებრძოდნენ ერთმანეთს და ვინ იყო დარწმუნებული, რომელი სძლევდა? ძალიან კი ცდილობდა არჩილი: სიყვარულის ქურქში ეხვეოდა, სიფრთხილით უახლოვდებოდა, ეპარებოდა.

ფრთხილობდა ჭაბუკი, რადგან კარგად ვერა ხედავდა ქალის გრძნობას, ვერ იცნობდა მისწრაფებას; ბინდ-ბუნდად კი გრძნობდა, რომ ქალი სურვილის თვალთა უყურებდა მის დოვლათს და შესაძლებელი იყო ვერცხლის ბრწყყვიალზე მისი მიტყუება; თანაც ეჭვობდა, ვაითუ, ეხლა მიმტყუნოს ამ ანკესმა და თევზი ხელიდან დამისხლტესო. მაინც სიმდიდრე იყო ერთადერთი ძალა არჩილის ხელში და სცადა მისი სიფრთხილით გადაშლა ქალის წინ. ეს იყო მიზეზი, რომ არჩილს მოხსნილი ჰქონდა ქისა და ყოველ მარჯვე შემთხვევაში ოქროს აპნევდა ქალის გარშემო.

შობის დღესასწაულები იყო მოახლოვებული და ბავშვთა მაშველ საზოგადოებამ კრება მოისურვა ყმაწვილებისათვის საზრუნველ რამე საგანზე. არჩილმა ისარგებლა ამ შემთხვევით და სთხოვა მის ბინაზე შეკრებილიყო ხალხი.

კაკატო ფეხით მივიდა არჩილის სასახლეში. მსახურმა რომ გაულო კარები და შეიწვია გაკაშკაშებულ დარბაზში, ქალმა უნებლიეთ დაიხედა ზედ: მასწავლებლის უბრალო ტანისამოსში უხერხულად იგრძნო თავი და მოიკუმშა. არჩილი ღიმილით მიეგება ქალს, პატივი სცა, გული გაუკეთა.

კარებები ღია იყო. სტუმრები თავისუფლად დადიოდნენ ოთახებში, ათვალიერებდნენ. დიდებულს სადგომს, ძვირფასი ავეჯით და ნივთებით სავსეს, დიასახლისის ხელიდა აკლდა, რომ თვალმომტაცად აფერადებულიყო.

– რა უხერხულად არის მიყრილი ამოდენა განძი! – ფიქრობდა კაკატო. – ვაი, ერთი ნატვრა ამისრულდეს და მაშინ ნახავთ: ღმერთების სადგომს დავაგვანებ აქაურობას. და რა ადვილად! ყველაფერი არის, მცოდნე თვალიდა აკლია, გულშემატკივარი ქალის ხელი.

– როგორ მოვაწყობ! იმ ოთახს საპირფარეზოდ ავარჩევ, ბალის მხარეა სასიამოვნო; არჩილის კაბინეტი იქითა სჯობია: მოშორებული ოთახია და აღარ შემაწუხებს მოურავთან ჯიჯინით; სასადილო ოთახად ესა სჯობია, თუ სამზარეულო ახლოა, – ოცნებობდა ქალი და ყურს არ უგდებდა, რაზე ბაასობდნენ შეკრებილნი.

არჩილი სუბუქი ვახშმით გაუმასპინძლდა სტუმრებს. სუნნელოვანი რამ ღვინო მიაართვა ძვირფასი. კაკატო თითონ არჩილმა გამოაცლია. მოწიწებით ჩაისვა ეტლში. ციოდა. თხელ ქათიბში გახვეული ნათბილარი ქალი კანკალმა აიტანა და უნებლიეთ ახლო მიუჯდა კაცს. არჩილმა რომ სითბო იგრძნო, გადირია, თავი ველარ შეიმაგრა და მადიანად ჩაჰკოცნა ტუჩებში.

– რას შვრები, ყმაწვილო? – შეუტია ქალმა და ქოლგა წაატანა მეეტლეს.

არჩილმა მარჯვედ აუკრა ხელი ქოლგას და შეეხვეწა:

– ნუ მიწყენ, კაკატოჯან! შენი ემხით დამწვარმა ველარ შევიკავე თავი, რა ვქნა, რომ მიყვარხარ, რომ ხატი ხარ, სალოცავი ჩემი?! ნუ შემრისხავ, ძვირფასო, ნუ ამიქოლავ შენკენ გზას.

– კარგი, ყმაწვილო! – გამოეხმაურა ქალი მკვახედ და უფრო იქით მიიწია.

– შენ არ იცი, რა გამათახსირებელ ცხოვრებას ვეწეოდი აქამდინ. გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად აღმომიჩნდი და განმინათე გზა ცხოვრებისა, – ჩასჩურჩულებდა აღელვებული ვაჟკაცი, მაგრამ ქალი სულ უკან იწევდა.

– აგერ შენი სადგომიც, გამწყრალი ნუ დამშორდები, ცეცხლს ნუ ჩამიგდებ გულში, მომიტევე შენი მშვენიერებისაგანვე გამოწვეული შეცდომა! – უთხრა არჩილმა და ცალ მუხლზე დაეცა.

– კმარა, ყმაწვილო! – მიუგო კაკატომ ცოტა რბილად, როცა ეტლი შედგა სკოლის კარებზე.

არჩილი მარჯვედ გადმოხტა ეტლიდან და უნდოდა ჩამოესვა ქალი, მაგრამ კაკატომ ხელი არ გაუწოდა ჭაბუკს.

არჩილი ჩავარდა ეტლში და შესძახა:

– სალხინოში!

მეეტლემ ხალისიანად გარეკა ცხენები, მაგრამ ბატონმა შუა გზიდან დააბრუნა ის, პირი შინისკენ აქნევინა. ხასიათმა აღარ მისცა ქეიფში ჩაეფლა ვნებათა ღელვა.

მარტო რომ დაიგულა არჩილმა თავისი თავი ვრცელ სადგომში, ეხოთირა. ნაჩვევი არ იყო მარტოობას, იშვიათად ბრუნდებოდა ამ დროს და ისიც მარტოდმარტო, მთელ ღამეს ქეიფში ატარებდა მშვენიერებით გარშემორტყმული და გათენებისასლა ბრუნდებოდა შინ გამოსაძინებლად. მაგრამ არჩილს ეხლა მარტოობა ერჩივნა: ისეთი დარდი შემოსწოლიყო, რომელსაც თითონ ეხლა უნდა შეჰბრძოლებოდა, რომელსაც ვერც კი ვისმე გაანდობდა, რომ მოეფიქრებინათ მის მაგივრად.

არჩილი ერთადერთი ვნების მონა იყო და ეს ვნება უფლებდა მასზე: სატრფოსადმი ლტოლვილება იყო ყოველთვის მისი საგონებელი და ადვილადაც ისრულებდა სურვილს, რადგან საქმე გულჩვილებთან ეჭირა; ეხლაც ისევ ის მისწრაფება აღელვებდა ჭაბუკს, მაგრამ საგანი მიუვალი იყო წინანდელი გზით: კაკატო შეუნდა არჩილს, მოუთმენლად მოესურვა ის, მისი მოპოება კი წინანდელი სამუალებით არ შეიძლებოდა. ახლა ფულს ხომ არ მისცემდა და თუნდ შეეძლია, რა ფონს გავიდოდა? ერთ ხანს გაიფიქრა მოეტაცნა ქალი და კიდევ გაუხარდა, რომ ამ ფიქრს წააწყდა, რადგან ამ საქმის მოწყობა შესაძლებელი იყო ფულით, მაგრამ უკანვე დაიხია: სახიფათო იყო ეს საკანონო საქმე. კანონთა ბადეს ძალიან უფრთხოდა არჩილი. მამ რა უნდა ექნა? ან თავი უნდა დაენებებინა ქალისათვის და გულიდან ამოერეცხა მისი სახე ან...

– ეჰ, მე რომ კიდევ მოვისურვო კაკატოს თავდანებება, ახლა თავს მანებებს მისი სახე?! კაკატო არ მომცემს შვებას; ის ბატონია ჩემი, მე მონა ვარ მისი მორჩილი და საით წავუვალ? ფიქრიც კი აღარ შემეძლიან სხვა რაზედმე და როგორ ავუქცევ გზას?!

არჩილი დადიოდა ოთახში, თმას იბურძმენდა, მაგრამ ფიქრშეუჩვეველს ჰაზრები ვერ ეფურჩქნებოდნენ, განზე ვერ ეშლებოდნენ, ვერ უფერადდებოდნენ; მის ტვინს მხოლოდ კაკატოს სურათი ეჭირა მის წინ და თანდათან აბრწყინვებდა მას, ეშხს უმატებდა, უფრო და უფრო სანდომიდა ხდიდა; აზიებდა ვაჟკაცს.

მოიქანცა არჩილი და ჩავარდა იმ სავარძელში, რომელშიაც რამდენიმე საათის წინ კაკატო იჯდა. ისე ნათლად წარმოუდგა ქალი, თითქო მის წინ ცოცხალი დგასო; ხელახლად იგრძნო მისი სუნნელება, მისი სითბო, მისი ტუჩების სინაზე და სურვილით დაიხლაკნა ვაჟკაცი. უნდოდა დაეყვირნა, შველა ეთხოვნა ვისთვისმე, მაგრამ ვინ უშველიდა?! ძილი აღარ მიეკარა. ლოგინში უფრო გაუცხოველდა ქალის სურათი, მის გახურებულ ტვინს ცოცხლად მოეჩვენა ჰაერში საყვარელი, ხელი მოხვია ლანდს და ატირდა, რომ ვერ შეიპყრო.

კაკატო თვალწინ ედგა კაცს, მაგრამ ისე კი არა, როგორც პიროვნება, არამედ როგორც ტანი რამ: ის ხედავდა მის თვალებს, მის ბაგეს, მის თმას, თეთრ ყელს, მარგალიტის კბილებს, მის მადლიან სხეულს; არჩილისთვის ამ წუთს ორივე ერთი იყო – არაწმინდა რამ მავნე ბუდობდა ქალში თუ სული ნათელი, აზრდახშული ბინძური რამ ცხოველი თუ ეთერი, ფაქიზი სულით განათლებული: არჩილს მხოლოდ საყვარლის სანდომი აგებულება უკლავდა გულს.

ვაჟკაცში ეხლა იმ ველურ არსებას გაელვიძნა, იმ ხვად წინაპარს, რომელიც შეენარცხებოდა კლდეს თუ მტერს ახალი ჟინისათვის, თუნდაც ასი სხვა ჰყოლიყო ფარაში.

მაგრამ უწინდელი დრო ხომ აღარ იყო ეხლა, რომ თავის ნებაზე ეარნა; ეხლა წესებით იყო ცხოვრება შემოფარგლული და, მეტი ღონე არა ჰქონდა, ამ ფარგალში უნდა ემოქმედნა; ხოლო ამ წრიდან ერთადერთი ბილიკი მისდევდა კაკატომდინ და ეს ბილიკი ეკლესიაზე გადიოდა.

– ესე უნდა გათავდეს საქმე! ჯვარი უნდა დავიწერო: დატყვევებული ვარ ქალის სურვილით, მოხიბლული, არ შემძლიან გზა ავუხვიო მას, ავცდე იმ მანათებელ შუქურს. ვაიმე! ვიცი, რომ წმინდაო ღმერთოა ჩემთვის ისაია, მაგრამ რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე, როდესაც კაკატოს გარეშე ყოველივე უკუნია ჩემთვის ამჟამად და ბნელი გარესკნელი...

13

კაკატო სხვანაირ გუნებაზე იყო და სხვასა ფიქრობდა. არც ის იყო ეთეროვანი სურვილებით მემვიდე ცამდინ აზიდული, სპეტაკ გრძნობებით შუქშემოსილი; ისიც ქვე იხედებოდა, ქვეყნიურს ჩასჩერებოდა, მიწიურით გამსჭვალულიყო, გარნა მას თვით არჩილზე კი არ ეჭირა ხარბი თვალი, მის ჯიბეს მისჩერებოდა.

თქვენა გგონიათ იმის დარდში იყო ქალწული, რომ არჩილმა შეჰბედა და შეურაცხჰყო იგი! სულაც არა! არჩილმა რომ თავი ვერ შეიმაგრა და მიეაღერსა მას, აქ საოცარი და საწყენი არაფერია. რა გასაკვირველია, რომ იმისთანა მშვენებამ ძალუმად მიიზიდოს ჭაბუკი? საკვირველი ის იქნებოდა, არჩილი არ დაჰმორჩილებოდა მის მიმზიდველ ძალას. როცა ეტლში ჩაუჯდა ვაჟკაცი, ქალმა მაშინვე იგრძნო, რა მოხდებოდა და გულში კიდევ უხაროდა, რადგან ეს წინწადგმული ნაბიჯი იყო არჩილის დასაპყრობად. ქალი მხოლოდ იმას ფიქრობდა, რამდენად აზრიანად მოიქცა, რამდენად მარჯვედ გამოიყენა არჩილის მოუთმენლობა.

– იქნება, უფრო მკვახედ უნდა დავხვედროდი, რომ ნდომით ამეპილპილებინა? თუ ემჯობინებოდა რბილად მოვპყრობოდი აღელვებულ ჭაბუკს და გამოთხოვებისას მაინც მეგობრულად ჩამომერთვა ხელი? არა, როგორც მოვიქცე, ისე სჯობია, თორემ სურვილს მიმიხვდებოდა, თავს წავიდოდა.

როგორ ნაწყენი ჩავარდა ეტლში! იმას ეგონა, კაკატო ოთახშიაო, მე კი კარებს უკან ვიყავ ატუზული და თვალს ვადევნებდი. ჰა, ჰა, ჰა! რა მარჯვედ გამოვტრიალდი დერეფანში!

– სალხინოში, უბრძანა მეეტლეს. ფაქიზი რამ წალკოტი კი იქნება ის სალხინო! ეშმაკეული ადგილი იქნება, ქაჯებით სავსე. დამაცა! ხომ გიყვარვარ და რაღა სხვას ეტანები? იქნება, ჩემი უკმეხი ქცევით გული ვატკინე და გაჯავრებული გადიხარა იქით? – ფიქრობდა ქალი და თან ტანისამოსს იცვლიდა: ახლები ხარიხაზე ჩამოჰკიდა, მველმანი რამ ამოიცვა.

– რა საცოდავი ჩანდა ჩემი კაბა მდიდრულად მორთულ ოთახებში! ოქროსა და აბრეშუმში უნდა იჯდეს ადამიანი, რომ გამოჩნდეს რამე იმისთანა ადგილას. არჩილს იქნება კიდევ ვებრალეზოდი ესე უბრალოდ ჩაცმული. ეს ჩემი გვაბანაკიც რომ გაიხუხა! იმის ქურქთან აღარაფერი ჩანდა.

– ვინა თქო, სიღარიბე სამრახისი არ არისო? სულელი ყოფილა! სამრახისია და დიდი უბედურება, ყველა ჭკვათა მყოფელი ადამიანი ვალდებულია განეროს ამ საგმობ სისამაგლეს... მაშ კაკატო არა ვყოფილვარ, თუ არჩილის სიმდიდრე ხელთ არ ვიგდე! ღირსი არა ვარ თუ! სილამაზე მაკლია თუ რამე სხვა? რად უნდა ვიყო მიჩულული და სხვები კი ფარფაშობდნენ?!

გვიან დაეძინა კაკატოს. სიზმრად თავისი თავი დიდებულ ადგილასა ნახა, დოვლათით სავსე და გაბრწყინებული. მოახლეები თავს ევლებოდნენ. სტუმრები მოსულიყვნენ ძვირფასად მორთულ დარბაზში; კიდევ შემოდიოდნენ, იკრიფებოდნენ, ფეხაკრეფით დადიოდნენ, მოწიწებით უბნობდნენ: დიასახლისის გამოსვლას ელოდდნენ. მზად არის კაკატოც, მაისის ვარდივით გაღალანებული. ერთი კიდევ

გადაავლო თვალი თავის თავს სარკეში და აიკრა კაბას ხელი, ნაბიჯი გადადგა გასასვლელად... კინაღამ გადმოვარდა ტახტიდან.

გათენებულიყო. შეგირდები შეგროვილიყვნენ სასწავლო ოთახში და ხმაურობდნენ, მასწავლებელს ელოდდნენ. ეწყინა, გული ატკინა დაფანტულმა დიდებამ, ისე დაჰნანდა, როგორც მშიერს სიზმრად მოჩვენებული ფლავი.

კაკატო უგუნებოდ ასწავლიდა იმ დღეს; თვალი ფანჯრისაკენ ეჭირა; ყოველ წუთს ელოდდა თავის ფულის ქისას, ვერცხლის მადანს, ოქროს ზოდს, თავის საუნჯეს ულეველს, სალაროს უთვალავს, თავის ძვირფას არჩილს. ამაოდ ელოდდა. არჩილი არსადა ჩანდა.

– არ მოდის, ჯიუტობს! იქნება კიდევ დამივიწყოს, სხვაზე გამცვალოს... თუ არ მოვიდა, გადავირევი... უთუოდ უნდა ვნახო სადმე, უთუოდ!

14

ორივეს მოუთმენლად მოსურვებოდათ ერთმანეთი, ნახვა კი გასძნელებოდათ: ვაჟს ეშინოდა, მთლად არ გამიწყრეს ქალი და გამაძეოსო, ქალი თავის თავს აყვედრიდა, – ცივად მოვეკიდე კაცს და შევაკრთეო. ორივეს შეუძლებლად მიაჩნდა კავშირის გაწყვეტა და გონების თვალთ შვერავენენ ერთმანეთს, იკვლევდნენ ერთმანეთისაკენ მიმავალ ბილიკს. ამ კვლევამ თეატრში მიიყვანა ისინი.

არჩილი ადრე მივიდა და წინ დაიჭირა ადგილი. შემოტრიალდა, თვალი გადაავლო დარბაზს, მაგრამ კაკატო ვერ დაინახა. ეწყინა, დაბრუნება დააპირა, რადგან მხოლოდ იმ ქალისთვის მისულიყო იქ. მაინც დარჩა პირველ გამოსვლაზე: კიდევ იმედი რამ უღვიოდა გულში.

კაკატო ყოყმობდა და იმისთვის შეუგვიანდა. მოქმედება დაწყებული იყო, როდესაც იმან დაიჭირა თავისი ადგილი. მაშინვე შენიშნა არჩილი და იამა, ალტაცებაში კი არ მოვიდა, არც გული აუჩქროლდა სიხარულით, მხოლოდ კმაყოფილება იგრძნო: თავისი მისწრაფების საგანი ნახა იქ. თითონ კაცზე ჯავრიც მოუვიდა.

– აქაო და ფული მაქვსო, პირველ ადგილზე წამომჯდარა, უფრო წინ წაიწედა, სკამი რომ მდგარიყო, – გაიფიქრა ქალმა.

მოქმედების გათავებისას შეასწრო არჩილმა თვალი კაკატოს და გაექანა იმისაკენ. ქალმა თავდაჭერით მიიღო ის. ლაპარაკი კომედიის გმირებზე და მათ ურთიერთობაზე ჩამოვარდა. ქალი განყენებულადა სჯიდა საგანს. არჩილმა რამდენჯერმე სცადა უფრო მახლობელ და სასიამოვნო ნიადაგზე დაეყენებინა საუბარი, მაგრამ ამაოდ: ქალი არ აჰყვა. ამან უფრო გაახურა არჩილი. გვერდით მოუჯდა, აღარ მოშორდა. სცენამაც ხელი შეუწყო არჩილის ღელვას: სიყვარულის დახასიათებაზე და მის ქება-დიდებაზე იყო სურათი აშენებული და მთლად ააგზნო ჭაბუკი; იგი დაიხარა ქალისკენ და ჩასჩურჩულა:

– გიგრძენია ოდესმე სიყვარულის ძალა?

ქალმა ხმა არ გასცა, მხოლოდ შეხედა და ამოიოხრა, კაცმა ეს სათავისოდ გაიგო და თავი მოიწონა; მთლად აპრიალდა; არჩილის გულს დაჰკრა იმ ტალღამ, რომელიც გულცივს და ლაჩარსაც კი კეთილს აბედვინებს.

– მიყვარხარ, უშენობა აღარ შემიძლიან: გვედრები მეუღლობას! – ჩააღწა არჩილი ქალს ყურში.

კაკატოს ტკბილად შეესმა ეს ხმები. სიხარულით ძლივს შეიმაგრა თავი; გაწითლდა, თავი დაღუნა. არჩილი მოლოდინად გადაიქცა. ქალმა ცოტა ყოყმანის

შემდეგ ხელი გაუწოდა ვაჟკაცს. არჩილმა იქვე დაუკოცნა ქალს ხელები. ამ დროს სცენაზედაც ნარ-ნარად გამოუცხადა თანხმობა მზეთუნახავმა თავის გმირს.

იგრძნო ამურმა, მოფრინდა ქალ-ყრმასთან და სტყორცნა ისარი, რომ შეემსჭვალა განუყრელად ორი გული, მაგრამ გულმა აისხლიტა ფრთიანი. გაუკვირდა ამურს, დაღონდა, ფრთა ჩამოუშვა.

15

კაკატოს ფრთა დაჰკრა ბედმა, სიკეთე ჩაუგორა კალთაში და ააყვავა. მადლობა იგრძნო ქალმა ჭაბუკისადმი. სიხარულისაგან ამგერებულმა გულმა ააღაჟღაჟა ისეც დაღანა გოგონა, ვარდი გადუფურჩქნა ღაწვ-ბაგეზე; ნეტარებამ ყავლა მისცა ქალს და დაამშვენა, მის მშრალ თვალს სიხარულის ნამი ასხურა.

არჩილმა რომ დახედა დამშვენებულ ქალს, უამა; აღარ დაინანა გრძნობათა ღელვის დროს წარმოთქმული სიტყვა და გული აუთამამდა. ჭაბუკმა ამ წუთს უფრო მეტად დააფასა ქალი, უფრო მალლა დააყენა, სანამ ნდომის რამ საგანი უბრალო. სიყვარულის მაგვარი კეთილშობილური ლტოლვილება იგრძნეს ორივემ და გაეხარდათ.

ისევ გახალისდა ამური, ფრთები შეიკუმშა, ყელი მოიღერა და ზრო გაუსინჯა თავის ისარს, ეგონა ისარმა მიმტყუნაო წელან, მაგრამ ისრის პირი სწორი იყო და მახვილი. გაუკვირდა პატარას.

გამოქვეყნდა არჩილის დანიშვნის საქმე. ბევრი ააყაყანა ამ ამბავმა.

– ბედი ჰქონია ნათელაანთ ქალს! მართალია, კაცი თითონ ვერაფერია, მაგრამ მისი დოვლათი გააბედნიერებს მის ცოლშვილს, – ამბობდა ერთი.

– ღირსიც არის ნორჩი, განათლებული და ლამაზი, – ამბობდა მეორე.

– ლამაზი კი არა! თმიანი ქალია, თეთრ-წითელი, მაგრამ ჯმუხია და კოპიტი; მე ქალს ლამაზს არ ვეტყვი: თუ ნარნარი არ არის და წერწეტი.

– თვალი დაუდგათ კაცებს! ლამაზი და კარგი ისა ჰგონიათ, ვინც გაუღიმებთ; ალბად, ოსტატი ვინმეა ქალი და ჩაითრია ახალგაზრდა. თუ ცოლს ირთავდა, ვერ აარჩევდა სიმდიდრითაც და გვარიშვილობითაც შესაფერს? – ამბობდა გასათხოვრების დედა.

– ნახავთ, მა კაცმა რა ჰქნას! თუ აისრულა გულის წადილი, გველანასავით დაუძვრება ხელიდან და ძალიან ადვილადაც, რადგან ქალს ქომავი არავინა ჰყავს, – სთქვა ავციამ.

– მოქეიფე ყმაწვილია, მაგრამ მაგის ავკაცობა კი არავის გაუგონია: არასოდეს არ ჩაიდენს მაგისთანა ავაზაკობას, – აზიებდა ჯიბრიანი.

ქალ-ყრმა ბედნიერად გრძნობდნენ თავს. ვაჟი დაუბრკოლებლივ ჰკრეფავდა იავარდს სათავისოდ გამზადებულ წალკოტში და ტკბილ ნაყოფის გემოთლებას მოუთმენლად მოელოდა; ქალს წადილისთვის მიეღწივნა და დაემინებული ელოდდა მომავალს. ლოდინიც არ იქნებოდა მათთვის საჭირო, თუ ყველიერი არ ჩამოქანებულიყო მათ შუა.

– კაკატო ჩემო! გაანებე სასწავლებელს თავი; რად გინდა, რომ ჩასჩიჩინებ და იღლები.

– დავიცდი! ჯერ ხომ ჯვარისწერა არ შეიძლება და ბარემ ბოლომდის ვასწავლი. სჯობია კიდევ: მანამ ყველაფერს ჩვენ გემოვნებაზე მოვაწყობთ.

– კარგი, საყვარელო!

საქორწინოდ ემზადებოდა ქალ-ვაჟი. ბუნაგსა რთავდნენ, ბუდეს აგებდნენ. ქალმა დაუარა არჩილის სასახლეს. დიდძალი მამაპაპეული ავეჯი ამოჩნდა. ყველა ეს განძი გაიწმინდა, შეკეთდა, გაახლდა, თავის ადგილზე დაიდგა. ახალიც ბევრი შეიძინეს. მთელი ერთი თვის განმავლობაში ისეთი ამბავი იყო არჩილისას, რომ ხელოსნები მოიღალნენ, მსახურები დაიქანცნენ. ქალს აზრიანი თვალი შეაჩნდა და მშვენივრად არჩევდა ნივთს თუ ფარჩას. გახალისდა არჩილიც, მეოჯახე კაცივით ირჯებოდა.

– ბიჭო! მთლად მოაშინაურა ქალმა არჩილი.

– მეც მეგონა, დააფრენს-მეთქი, ის კი, ხედავ, რა საქმიანობას იჩენს!

– სიყვარულო, ძალსა შენსა, ვინ არს, რომელ არ ჰმონებდეს?!

ქალი აღარ ეკრძალებოდა არჩილს, დანდობილი მისდევდა თავის დანიშნულს მის სასახლეში: ბევრი საქმე ჰქონდა იქ დიასახლისას. თავს კი უმანკოდ იცავდა და მით უფრო აგიჟებდა ისეც მისთვის ხელქმნილ არჩილს.

მიიწურა დიდმარხვა, ბინის მზადება კი ჯერ არ შეწყვეტილიყო, ქალი თანდათან მუყაითად ეკიდებოდა საქმეს, ყველაფერს თავის ხელით ამზადებდა.

– არჩილ! ეს ფარდა დაბლაა დაშვებული, დახე სადა სცემს ფოჩები.

– მაშ როგორ უნდა, სასურველო?

– სკამი მომაწოდე!

ქალი ავიდა სკამზე, მაგრამ ვერ შესწვდა. არჩილმა მაგიდა მიუთრია. კაკატო რომ ფარდას ასწორებდა, არჩილი უძღები თვალით შესცქეროდა ქალს კოჭებში, რამდენჯერმე კიდევ მოეხვია მას მარმარილოს სვეტებზე. ქალი საქმეში იყო გართული და არ უჯავრდებოდა ჭაბუკს, ოდნავა იგერებდა. არჩილი წაახალისა ქალის სილბომ; ადელდა, აირია, აპრიალდა და ბუმბულივით გადაიტაცა ქალი.

უცნაური ხითხითი გაისმა ოთახში: ეშმა რამ ბილწი ხტოდა ბუხრის თავზე, ჩლიქებს აბაკუნებდა, ხელებს იფშენებდა, წვერს აცამცამებდა, ლაშთ იქნევდა, ფრუტუნებდა, კუჭკუჭებდა, კასკასებდა, კვდებოდა სიცილით.

მაისის დამლევს თბილისში ჩამოველ. თავისუფალ დროს ქალაქისკენ ვიწვედი, სოფლად მოწყენილი გასართობს ვეტანებოდი. სალხინოში სადმე შევიხედე. ჩაკეტილი ოთახიდან სიცილ-თქართქარი გამოდიოდა, მტლამა-მტლუმში გულიანი. ვინა ქეიფობს-მეთქი, ვიკითხე. ბატონი არჩილი ბრძანდება ვამეყიანო, მიპასუხეს მოწიწებით. ალბათ უკანასკნელად ლხინობს, ჭაბუკობას ეთხოვება-მეთქი, ვიფიქრე და შევალე კარები.

– ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! – შემომძახეს მოქეიფებმა.

ძალიან უამათ ჩემი მოსვლა: არჩილი გადამეხვია, თეთრმა ქალმა ლოყა მომიშვირა, ყველამ მომიკითხა. მძიმედ დატვირთული სუფრა ეშალათ, სამოთხეში შესულიყვნენ და ქალები ევასებურ ტანისამოსშილა შვენოდნენ. თვალი მოვავლე კრებულს და არჩილს დავაშტერდი.

– გიკვირს? ტყუილად! მე და ოჯახობა! ჯვარისწერის დრო რომ მოვიდა, გული მომიკვდა, დავიტანჯე.

– კაკატო?

– მიყვარს! ვაჰ, რომ მის თვალებში არ არის მოთავსებული ეს ქალობა, მთელი ქვეყნის ქალობა, რომ ყველას მოუალერსო ერთბაშად!

– აზარუ!

- აზბანდარუ!
- დაუკა!

გარე, გარე დავდივარ,
ლამე შინ არ შევდივარ,
ლამაზების გულისთვის
ფეხშიშველა დავდივარ!..

ჩაწმახნა საზანდარმა.

[1903 წ.]

მრუდე მსხალი

1

– ხალხო და ჯამაათო! თქვენ ამის სახეს კი ნუ უყურებთ და ფერს, იმას კი ნუ იტყვით, მუქი პატარძალი მოიყვანაო კანებიანი, თქვენ ამის უნარი ნახეთ და გამრჯელობა! ქალის ჯარასავით ტრიალი ოჯახს წაღმა დააბრუნებს, ამის გავარჯიშებული ხელი, ჭრა-კერვაში დახელოვნებული მარჯვენა სოფელსაც დაეხმარება. ათი თითი სანთელია სახლში შენათებული, აგრემც მიცოცხლებს ღმერთი ამ ჭარუმადათ შვილს! – თქვა ძალუამ მართამ, როცა შეიყვანა პატარძალი სტუმრებით სავესე დარბაზში.

სჯობდა არაფერი ეთქვა ძალუა მართას, რადგან იმისმა სიტყვებმა მეტი ცნობისმოყვარეობა აღძრეს ხალხში და ყველამ თვალები შეანათა მწარიანთ გარუჟულ გოგოს. პატარძალი ისეც კრთებოდა და იბუზებოდა, ეხლა ხომ მთლად დაიწო სირცხვილით, აღმური აედინა, თავი ჩაღუნა, წელში მოიხარა, თუ რამ ყავდა ჰქონდა, ისიც დაჰკარგა და დუხჭირი რამ წარსდგა ხალხის წინ.

– მუქი კი არა, სწორედ ზანგია ეს გულკვდრის შვილი.

– მწარიანთ ჯიშია და კუპრში გამოსული!

– აფსუსი არ არის, ამ თეთრ ბიჭს ნახშირა გოგო ჩაეკრას გულში.

– ეგ თვალდამდგარი იმ ათიოდ თუმანს თუ დახარბდა, რომ აუთქვეს, თორემ ესეთ ჯოჯოს რად აუთრევდა თავის ნანინანატრ შვილს.

– ქრთამის გარდა ოჯახსაც მიეტანა: მწარიანთ ძლიერ კერას დაემოყვრა, ზურგი მექნებო პირველ ხანებში.

– ცალკე გამოსვლას ხომ არ აპირობს?

– არც უიმისოა.

– სახლიკაცებს კიდევ იმისთვის ჩამოსტირით თავ-პირი.

– ხუმრობა ხომ არ არის, მონახევრეა: ერთი ძმისა რომ ეგენი არიან, მეორე ძმისა მალხაზა არის.

ესე ლაპარაკობდა ქორწილის ხალხი და კვლევა-ძიებაში იყო ერთხანს. მალე გადიყარეს გულიდან ფიქრები; შავმა ნუნუამ, უხვმა ვახშამმა დაავიწყეს მექორწილეებს პატარძალიც და ყველა მისი მისადევარიც. აივსო ღვინით ჯერ ისეც ბოზბაშიანი ჯამი, დატრიალდა ყანწი; ხალხი შეზარხოშდა, აჟიჟინდა, კარგ გუნებაზე დადგა და მწარიანთებული აპუხტიც შაქარზე ტკბილად მოეჩვენა, უთეთრესად.

ქორწილმა მაინც ისე მხიარულად ვერ ჩაიარა, როგორც შეეფერებოდა ცალყურაანთ ოჯახს და მათ სამზადისს: უკმაყოფილების ბინდი გადაჰფენოდა ოჯახიშვილებს და სტუმრებსაც უჩრდილავდა სიხარულს.

2

მწარიაანი კანით ხომ შავნი იყვნენ, გულიც შავი ჰქონდათ, გამურული, ჩახვეულ-გაუტანელი. იმათი ქალის წამოყვანა, და ისიც უფროსის დაუკითხავად, არ უამათ ცალყურაანთ; შეფიქრიანდნენ, ვაითუ ჩვენმა განთქმულმა ოჯახმაც ვერ დაიტოს ახალი რძალი და რყევა დაიწყოს, დაირღვესო.

ოჯახი კი სწორედ განთქმული ჰქონდათ ცალყურაანთ, თითოთ საჩვენებელი, ხალხითა და დოვლათით სავსე. ჭდიან დარბაზში რომ თავს მოიყრიდა ჯალაბობა, სტუმრეული გეგონებოდათ. პაპა და დიდედა, მათი უფროსი შვილი დემეტრე, მისი ნაშენი შვიდი ვაჟი და ორი ქალი, რძლები და წვრილფეხობა, მალხაზა თავის დედით; მთელ ჯარს წარმოადგენდა ეს ამოდენა ხალხი.

ეს ერთი ძმა დემეტრე იყო გამრავლებული, თორემ მეორე ძმა თითქმის ამოწყვეტილად ჩაითვლებოდა: თითონ ის ადრევე მოკვდა, იმის ქვრივს უფროსი შვილები დაეხოცა და ერთადერთი შვილიღა შერჩა მალხაზა. ძალუა მართა მხოლოდ მალხაზასღა შეჰყურებდა, ცისა და ქვეყნის შუა მის მეტი არავინ გააჩნდა. როცა დავაჟკაცდა ბიჭი, ძალუა მართამ თავის ნებით შერთო იმას ცოლი. შავი ქალი მოუყვანა, თვალად ნასი, მაგრამ მწარიაანთ თეონა ნამდვილ შინაური პური ეგონა იმას, მახობელა.

ტყუილად გასწია ურჩობა და აწყენინა სახლიკაცებს: მაზლიცა და მაზლის ცოლიც თავაზიანად ეპყრობოდნენ იმას და პატივისცემით, მათი შვილები და შვილიშვილებიც ყოველთვის სიყვარულით ეალერსებოდნენ; მის შვილ მალხაზას უფროსები თავის შვილებიდან არ არჩევდნენ და პატარებმა ხომ არც კი იცოდნენ, რომ ეს ძია სხვა მიეზზე უფრო შორეული იყო მათთვის.

ეს ყველა ესე იყო, მაგრამ ძალუა მართას გული მაინც ნაკლული ჰქონდა, კეთილით სავსე არ იყო მისი გული, ერთ კუთხეში ბოროტი გრძნობა ჩასდგომოდა და დღითი დღე მატულობდა: ძალუა მართას ჰშურდა, რომ უფროსი რძალი შვილებით იყო გარშემორტყმული და ქმარიც ცოცხალი ჰყვანდა, თითონ კი კარგი ქმარ-შვილი დაჰკარგა; უფროსი რძალი აგერ შვილიშვილებითაც აივსო, ის კი ერთ ღერ შვილს შეჰყურებდა თავისას, ჯერ ისევ დაუქორწინებელს.

ძალუა მართას უნდოდა, მისი შვილი გაერჩიათ სხვებისაგან, სხვა მოძმეებისაგან, უნდოდა უფრო მეტი მიეკერძათ იმისთვის, უფრო მეტი შეღავათი მიეცათ და რადგან ამას ვერა ხედავდა, ჯავრობდა, ბოღმა მოსდიოდა. ჰქონდა კიდევ საჯავრ-სადარდი: ნახევარი მამული და სახლ-კარი მალხაზასი იყო, სახლისკაცები კი თითქოს ვერა გრძნობდნენ ამას და ბიჭს თავიანთან ერთად ამუშავებდნენ, მხარდამხარ.

ძალუა მართა მეტადრე მაშინა გრძნობდა თავისთავს დაჩაგრულად, როცა ახალი რძლის მოყვანაზე ჩამოვარდებოდა ოჯახში ლაპარაკი: პაპა რიგ-რიგზე აქორწინებდა ბიჭებს. აგერ ჯერი მეხუთე ბიჭზე იყო მიმდგარი, მაგრამ ეს მეხუთეც მისი შვილი მალხაზა როდი იყო, რადგან ის მეხუთეზედაც უმცროსი იყო, სულ რამოდენიმე თვით პატარა, მაგრამ მაინც უმცროსი ერქვა. მალხაზა კი უცოლოდ რჩებოდა ჯერჯერობით, თუმცა აგერ ოცდასამი წლისა შესრულდა.

– როდემდის უნდა ველოდო მაგათ? როდის დააქორწილებენ ეგენი თავიანთ ბიჭებს, რომ ახლა ჩემი შვილისათვის მოიცალონ, – ჩიოდა მართა.

– ერთადერთი შვილი დამრჩენია და მეჩქარება ვნახო მისი ბედნიერება: ვინ იცის, დღეს რა მოაქვს და ღამეს რა.

ძალუა მართამ ვეღარ მოითმინა და ერთხელ სიტყვა გაუტარა პაპას, მაგრამ იმან გაკვირვებით შეხედა რძალს, წამოიბერტყა ჩიბუხი გამხმარ ხელისგულზე და უთხრა:

– ჩემო რძალო! ერთი მალხაზას უთხარ საფქვავე წაიღოს წისქვილში და დღესვე გამოფქვას, ეხლავ დააყაროს.

– დააყარის, ბატონო, თუ ჯერი მიერგო.

– უთხრას, რომ პირველად იმას ჩამოაფქვევივონ.

– როგორ შეიძლება, ბატონო! თუ სხვისი ჯერი იქნება, არ დაუთმობენ.

– ჰოდა, ჩემო რძალო, თუ იქ ჯერით არის საქმე და წესით, აქაც რიგი უნდა იყოს დაცული და უფროსობა, თორემ ოჯახს პირი ეერთმევა, აიბნევა და დაიქსაქსება, – მიუგო უფროსმა და ჩიბუხს დაუწყო ტენა.

ძალუა მართა ცივად გაბრუნდა და სწორედ მაშინ გადაწყვიტა, აღარ დაჰმორჩილებოდა უფროსის ნებას.

3

სამართლიანი იყო უფროსის სიტყვა და ჭეშმარიტი, მაგრამ სასიამოვნო არ იყო ძალუა მართასათვის და გულის მოსაფხანნი. განა ყოველთვის ტკბილია სიმართლე და ადდგომის კვერცხისავით ხელში სათამაშებელი! ესე რომ იყოს, ყველა ხელს წაატანდა იმას.

ძალუა მართა მოუთმენლად მოელოდა შვილის გაბედნიერებას. ოცდასამი წელიწადი მოელოდა ამ დღეს და რა დროსღა ცდა იყო, ან ჯერი? აკი აღარც დაიცადა! ურჩი გაუხდა ოჯახს, თავწვერაობა გასწია და სახლში რძალი დაუკითხავად შემოიყვანა.

ვაჟკაცებს არ მოსწონდათ ძალუა მართას თვითნებობა, სწყინდათ, რომ წინ წაუარა უფროსებს და შეარყია ოჯახის წესი. მემრე ვისთვის? ვიღაც გონჯი გოგოსათვის, რომელიც უფულ-უმზითვოდ გამოისტუმრეს, თუმცა აღუთქვეს დედაკაცს; არ კი შეჰმევენოდა მწარიანთ ოჯახს ცარიელი ქალის გასტუმრება, არც ცალყურაანთ ოჯახს ცარიელი რძლის მოყვანა.

– თანაც ხმა დაუყრიათ, ისე იხვეწებოდნენ ცალყურაანი, რომ თუ ფეხი დაგვეჭირებინა, თითონ მოგვიტანდნენ საქორწილოსაო.

– რა გვექონდა სახვეწი?! გოგოს სილამაზეს დავხარბდით თუ იმის ჯიშსა და ჯილაგს?!

– თუ ჩემთვის ეკითხა ძალუა მართას, მე მაგ ქალს სახლში არ შემოვაყვანინებდი, – თქვა ბებია.

– მერე რამდენ ლამაზ გოგოს ეჭირა მალხაზაზე თვალი!

– ჩვენ ოჯახს ვინ დაარიდებდა ქალს.

– ალბად, ეგეც ბედია და ილბალი: ცოლქმრობის საქმე ზეცას რიგდებაო.

– რაც მოხდა, მოხდა! ეხლა მწარიანთ თეონაც ჩვენი სახლის შვილია, ოღონდ შეგვითვისოს და ოჯახს რყევა არ დაუწყოს, – დააბოლოვა სიტყვა პაპამ!

მაგრამ პატარძალმა ვერ შეითვისა საქმრეულო, თავიდანვე აითვალისწუნა ცალყურაანთ კერა, გული ვერ გაუსწორა ვერც კაცებს, ვერც ქალებს, ვერც ყმაწვილებს. ქალები იმას არაფერს უშავებდნენ, კიდევ ანებივრებდნენ როგორც პატარძალს, მაგრამ თითონ შნოიანები იყვნენ და დუხჭირმა გოგომ შური აართო იმათ, შეიძულა. იმათი დანაშაული მარტო ის იყო, რომ როცა ქალს ახანებდნენ, ან რთავდნენ და შუსტაკს

უსვამდნენ, ღიმილი ვერ შეეკავებინათ, ბევრჯელ კიდეც ანიშნებდნენ რასმე ერთმანეთს და წასჩურჩულებდნენ. ახალძალა კი ექვიანი იყო, ამჩნევდა ამას ყველაფერს და გესლით ივსებოდა, მაზლებიც აითვალისწუნა; იცოდა, ისინი წინააღმდეგნი იყვნენ მის მოყვანისა და ერიდებოდა, ცივად ეპყრობოდა; კაცებიც გრძნობდნენ ამას და ზურგს უქცევდნენ. რადგან უფროსები უგემურად ეპყრობოდნენ ქალს, ბავშვებიც უფროთხოდნენ, არ ეკარებოდნენ, თუმცა ალერსის ეშხზე მოსული ქალი ცდილობდა მიეზიდნა ისინი. ვერ შეექვსა მალხაზას ცოლი ცალყურაანთ კერას და ოჯახმაც გარიყა ის, ვერ შეისისხლხორცა.

რძალი ხომ განზე გადგა, დედამთილიც მისკენ გადიხარა, მხარდამხარ გაჰყვა მას და ამ ორმა დედაკაცმა რომ გაიწია, მალხაზაც ადვილად გადითრიეს, რადგან ჯამბარით იყო მათზე მიბმული. ოჯახის კედელმა პირი ჰქნა, გადიზნიქა და დანგრევაზე მიდგა ცალყურაანთ განთქმული კერა.

4

– თეონავ, შვილო! ხომ ხევად, როგორ აბუჩად აგვიგდეს და დაგვცინიან, – ეჩურჩულებოდა დედამთილი რძალს – ჩვენ მალხაზასაც ეხლა უფრო მეტს ამუშავებენ, მინამ წინათ: ჰაი ტყე, ჰაი წისქვილი, ჰაი ქირა! სულ მალხაზა და მალხაზა! შინ კი ვეღარ დავინახეთ და...

– იმ დღეს, დედიჯან, სოლომონამ დაუყვირა, ადექ, რაღა დროს ძილია, შუადღე მოვიდაო, ჯერ კი მტრედისფრადაც არ იყო ნანათი.

– გატანჯულია დედამკვდარი მაგათგან.

– ამ წინაზე კიდევ პაპამ უთხრა, ნუ გეზარება, ეხლა ცოლშვილიანი ხარ, მეტი გინდა და უნდა მეტი გაისარჯოვო.

– სწორედ ჩვენთვის დაუბრმავა მა ბერიკაცს თვალები! ცოლშვილიანი რომ არის, მამულიც ნახევარი მაგისია, ბატონკაცურად უნდა აცხოვრონ, საცა სამართალია. არა, აღარ შემიძლიან ამათი გამღლება! კმარა, რაც ჯანი შევალე ამათ.

ესე ტუტუნებდნენ რძალ-დედამთილი და გზას იწალდავდნენ განზე გასასვლელად; თავიანთ სურვილს თითონვე ამართლებდნენ, გაყრის მიზეზი გვაქვსო.

– შვილო მალხაზ! – ეკითხებოდა ძალუა მართა თავის ბიჭს, – ისევ შენ უნდა წახვიდე საზამთროს ქირაზე?

– ჰო, დედი! სხვებს არა სცალიანთ.

– რა ცალი ჰკიდიათ? სცალიანთ, მაგრამ ერიდებიან ბოსტანში წასვლას, არ დაგვცადოსო; წილის წამოსაღებად მარდად ჩამოვლენ!

– რა წილის წამოსაღებად, დედიჯან? – შეეკითხა რძალი.

– არ იცი, გენაცვალე? მაგრამ თქვენებურები ხომ ვერ დადიან ბოსტანში. ალგეთის ბოლოზე დიდძალი ბოსტანია. ნესვ-საზამთროს ურმით ეზიდებიან ქალაქში. თითო ურმის ქირა ოთხი-ხუთი მანეთია. ქირის გარდა მეურმეს ათი-თხუთმეტი ნესვ-საზამთრო ეძლევა ურემზე. ეს არის წილი. ამის შესანახად კოფოსთან არის გოდორი ჩაჭედილი. ამ თავის ნაწილს მეურმე ჰყიდის ან შინ ააზიდვინებს. როდესაც ურმები მიდიან ქალაქისაკენ, აქედან ცხენებს ჩავაშველებთ ხოლმე წილის წამოსაღებად.

რძალ-დედამთილი თავიანთ ვაჟკაცით ერთ მხარეს გადგნენ, ერთი პირობა ჰქნეს, კავშირი დადეს ოჯახის წინააღმდეგ. ჯერ არ გაემჟღავნებინათ სურვილი, გადაჭრით არა ეთქვათ რა, მაგრამ ყველანი გრძნობდნენ მომავალ განხეთქილებას და აურზაურს.

პაპაც ატყობდა ამას და სწყინდა, რადგან ხედავდა, რომ ერთ ოჯახად ყოფნა უფრო ხელსაყრელი იყო იმათთვის, ვიდრე დანაწილება. დიდ ოჯახში მარჯვედ იყო

განაწილებული შრომა, ყველა საქმისათვის მზად იყო რომელიმე მორბედი, მარტოხელი კი ვერ გასწვდებოდა სოფლის აუარებელ საქმეს; დიდ ოჯახში შესამჩნევი არ იყო რომელიმე წევრის ყოფნა ან ავადმყოფობა, რადგან სანაცვლო მშრომელი მოიპოვებოდა სახლში, მცირე ოჯახის ჩარხი კი უნდა დამდგარიყო ამისთანა შემთხვევაში. სიმხიარულეც მეტი იყო დიდ ოჯახში: სადილ-ვახშამი სტუმრეულობასა ჰგვანდა, საუბარს და სიცილ-თქართქარს ბოლო არა ჰქონდა. ამისთანა ოჯახი ბეგარასაც ადვილად იხდიდა, ყველას ადვილად ისტუმრებდა, მღვდელი იყო ის თუ დალაქი, სასოფლო ხარჯი თუ სახელმწიფო. დიდი ოჯახი კავშირი იყო მოქმედ მოძმეებისა, ძლიერი კავშირი და ადვილად უმკლავდებოდა ყოველნაირ მოთხოვნილებას.

მაგრამ ასეთი თვისება რომ ჰქონიყო დიდ ოჯახს, საჭირო იყო თანხმობა, გულწრფელობა, უფროს-უმცროსობა, მორჩილება. პაპამ კი დაინახა, რომ თანხმობა დაირღვა იმის სახლში; მიხვდა, სარგებლობის მაგივრად ვნებასდა მოიტანდა იმისთანა ნაძალადევი ერთობა, აწ შური, ბუზღუნნი და გულღრმობა დაისადგურბდა მათ კერაზე. ამისთვის გადასწყვიტა აესრულებინა ძალუა მართას სურვილი, როცა ის ცხადად გამოსთქვამდა თავის გულისნადებს, თუმცა კი ეძნელებოდა დარღვეული ოჯახის დანახვა.

5

შვილდი მოზიდული იყო, ლამბა დაჭიმული და მცირე რამ მოძრაობა კმაროდა, რომ ისარი გაფრენილიყო ვისიმე გულის გასაგმირად; ცალყურაანთ ოჯახი ისე იყო ზავითით სავსე, რომ საშარის კვრაც ეყოფოდა ბოროტის გადმოსანთხეველად, ქარბუქის ასატეხად. მაინც ქრთილის ტოლა იყო ის ამბავი, რომელმაც არეულობა ასტეხა ოჯახში და დაარღვია ის.

ჩვენი წესია, უმცროსი ქალ-რძალი წინ უნდა მიდიოდეს, გამოცდილები კი უკან მისდევდნენ. საყდარშიაც ამავე რიგზე დგანან. რადა? რა ვიცი! იქნება იმისთვის, რომ გამოუცდელ დეკეულს ზურგით ფოცხვერი რამ არ წაეტანოს. დიდ ხუთშაბათს ცალყურაანთ ქალ-რძალი რომ საყდარში წავიდა, უფროსები ვერ გაჰყვნენ თან, არ ეცალათ. თეონამ შეიგვიანა სახლში და უკან მოექცა ქალებს. იმათ არ მიაქციეს ამ გარემოებას ყურადღება და იმავე რიგზე მივიდნენ საყდარში; აქაც იმავე რიგზე მოუხდათ დგომა, ისე რომ უმცროსი რძალი უკან იდგა. მწარიანთ ქალმა ეს ძალიან ითაკილა და საწყენად მიიღო; ალბად აბუჩად ამიგდესო, იფიქრა და გაწყრა. წყენა მარტო ტუტუნ-მურმურით გათავდებოდა, რომ სახიფათო შემთხვევა არ დართობოდა ზედ.

თორმეტ თავ სახარებაზე ხომ ხალხს სანთელი უჭირავს, სახარების კითხვის დროს ანთებენ, გათავებისას აქრობენ. ამ დროს ბევრი ლეჩაქ-ბაღდადი იტუსება ხალხით გაჭედულ ეკლესიაში, ზოგი შემთხვევით, ზოგი განზრახ. მწარიანთ ქალსაც გაფრიალებულ ლეჩაქზე მისცეს სანთელი და აუბურბურეს. ჩავარდა ჩოჩქოლი. მისცვივდნენ, მოუსრისეს ლეჩაქ-ბაღდადი, გაუქრეს ცეცხლი, მაგრამ რა გამოვიდა; ახალი თავსახურის მაგივრად ნამწვებილა ჩამოსძენძოდა უშნოდ ჩაწნულ ბუწკებზე. ამ ამბავმა სიცილი ასტეხა ახლო-მახლო. სიცილი მოედო გარშემო ყველას, საწიგნემდინ მივიდა იგი სიცილი და დიაკვანი გააცინა, სიცილმა მიაღწია თითონ მღვდლამდინ. კუჭკუჭებდნენ ცალყურაანთ რძლებიც; გზაზედაც სიცილითა კვდებოდნენ, ხელცახოცებს იფარებდნენ.

– აი, ბატონო, ლეჩაქი და ბაღდადი დამიწვეს, მასხარათაც ამიგდეს: საყდარშიაც და გზაზედაც სიცილს მაყრიდნენ, – შესჩივლა დედამთილს თეონამ.

– ვინა, გენაცვალე?

– აი, ამათ! დახე, ეხლაც როგორ ითხიჩებიან; დუქნებ-წინ სულ ხარხარით მომღვედნენ.

აილურსა ძალუა მართა, აიწვერა. რძლებმა რომ შეხედეს, უფრო აუტყდათ სიცილი. იმ გუნებაზე იყვნენ ისინი, როდესაც კაცს თავისთავად ეცინება და კასკასებს, ამან მთლად გაამწარა ძალუა მართა და ხმა აამაღლებინა.

– რას ითხიჩებით? – შეუტია ქალებს, – რძალი გამითახსირეთ და ხარხარებთ კიდევ ღირფად!

– თითონ რომ უშნო იყოს, ჩვენი რა ბრალია, – გაუბედა უფროსმა რძალმა.

– უშნობიცა ხართ და უნამუსოებიც! კიდევ ურცხვად რომ ხმას იღებენ...

– რა ენა წაგიგებლებია და ჰლაშქრავ ყველას! ჰკითხე მაგათაც, როგორ ყოფილა საქმე და ისე ილაპარაკე, – გამოექომაგა რძალს მისი დედამთილი.

– საკითხავი არაფერია! ამოდენა ხანი ვითმენ თქვენ ხელში, ათასი მწარე დღე გამოვიარე თქვენ სამსახურში და ეხლა გინდათ ჩემი შვილ-რძალიც იმავე დღეში ამყოფოთ. არა, დედავ და თვალთ, სხვის შემაცქერლები როდი ვართ, რომ სხვის მონები ვიყვნეთ!

– ეე, ჩემო რძალო! ვიცი, რაც გალაპარაკებს, თორემ, ღმერთმა ხომ იცის, შენ ჩვენ ოჯახში არა გაგჭირებია რა, განზე გადგომა გინდა, გინდა ბიჭი გაგვყარო, მაგრამ ვნახოთ, მარტოწვერაობით რას შეიძენ.

– თუ არას შევიძენთ, ბატონო, წყნარ ცხოვრებას მაინც გავატარებთ, თავისუფალს.

– ასრულდეს ნება ღვთისა!

რახან ერთი დაიწყო გაყრაზე ლაპარაკი, აღარ შესდგა: კამათმა თანდათან იმატა, იზარდა, გაფართოვდა, ჩაითრია ოჯახის ყველა წევრი, ხმა გაიმსხვილა, აიმაღლა, შფოთად გადაიქცა. დათრგუნა ყოველივე კეთილი გრძნობა, აზრი, პატივისცემა.

მაინც ეგრე ვიცით ჩვენში! გაყრა და მამულის გაყოფა ისე საძნელო საქმედა გვაქვს დადებული, ისეთი სახიფათო რამეა ჩვენთვის, რომ თავისი თავისს არ ინდობს, ძმა ძმის ბოროტსა ნდომობს, თვეობით და წლობით ოჯახს მოსვენება არა აქვს და სისხლის ღვრამდის მიდის. ანგარიშს არა ვართ შეჩვეული და ეს მისთვის ხდება. შემდეგ განაყოფები მოშურნეებად ჩაუდგებიან ერთმანეთს და სისხლს უშრობენ.

იბრძოდნენ ცალყურაანი. იბრძოდნენ შინ და გარედ, სახლში და ბანზე, დერეფანში და ეზოში, გომურში, ბაკში, კალოზე, მინდორში, ტყეში; ყველგან იბრძოდნენ! სახალხოდ ლანძღავდნენ ერთმანეთს, ათრევდნენ, ლაფს ასხამდნენ. ვისაც აქამდის კარგის მეტი არა გაეგონა რა ცალყურაანთი, ეხლა მათი ავი გაიგო გადაჭარბებით, ერთიათად. გადმოაბრუნეს სახლი, საქვეყნოდ გამოფინეს, თუ რამ დაგლეჯილ-დაფლეთილი ჰქონდათ ან ჰუჭყიანი! თავზე გადაიბერტყეს, თუ რამ მტვრიანი ებადათ და მწვირიანი. მასხარები შეიქნენ და სამასხაროდ გახადეს თავიანთ კერა. ბოლოს მოხელეები და შუამავლები ჩაერივნენ საქმეში და, როგორც იყო, გააზავეს მებრძოლნი.

რომ გაჭირდა საქმე და სახრინავზე მიდგა, შუაკაცები დასხეს მოსარიგებლად; რამდენიმე ქეთხუდა კაცი მიიწვიეს. შუაკაცებმა ჯერ ურჩიეს ძალუა მართას არ გაჰყრიყო იმისთანა დიდ ოჯახს, რადგან ესეთი ძლიერი კერის მფარველობის ქვეშ უფრო უზრუნველად იცხოვრებდა; მაგრამ როცა დედაკაცი უარზე შედგა, მიჰყვეს ხელი და გაჰყვეს ყოველი უძრავ-მოდრავი.

მამული მამაპაპეული აღმოჩნდა და ზედ შუაზე გადასჭრეს, ნახევარი მალხაზას აკუთვნეს, ნახევარი სხვებს; ამ გარემოებამ გული ატკინა დანარჩენებს; მალხაზას წინათ ძმადა სახავდნენ, თავიანთ თანასწორ მოძმედ, ეხლა კი გამოვიდა, რომ ის ერთი სხვა ყველა ძმებს უდრიდა. ამ გარემოებამ შური აღძრა განაყოფების გულში. თითონ მალხაზას თითქოს შერცხვა და თავი მაღლა ვეღარ აიღო, თვალი ვეღარ გაუსწორა მოძმეებს. ძალუა მართა კი ცას დაეწია სიხარულით და სწორედ გადიხარხარებდა, თუ კაცებისა არ შერცხვენოდა.

შუაკაცებმა სადგომი სახლი დიდ ძმას დაუთმეს, როგორც ჯალაბიანს, და მის საბადლოდ მეტი ეზო მიუზომეს მალხაზას. თანაც ნება მისცეს საკუთარი სახლის ამენებამდინ ისევ საერთო სახლში ეცხოვრა, მხოლოდ ცალკე ოდაში.

მომველდნენ ცალყურაანი, მოისპო მათ შუა ხმამალალი ლაპარაკი, აყალმაყალი, ჩხუბი; განაყოფებს შუა ეხლა ქიშპი ჩამოვარდა, ჯიბრი უსიტყვო, მაგრამ ძლიერი. ძალუა მართა ცდილობდა ისე მარჯვედ წაეყვანა თავისი საქმე, როგორც განაყოფებს მიჰყვანდათ და უფრო უკეთაც და თანაც ისე უნდოდა მოეხერხებინა ყველაფერი, განაყოფების თავი არაფერში დასჭირებიყო; მთლად განკერძოვდა ახალი მოსახლე, აღარაფერი იმშენია საერთო. ოდის კარი და განაყოფების დარბაზის კარი ერთსა და იმავე დერეფანში გამოდიოდა; ძალუა მართამ დერეფანი გაყო, გადალობა, ლასტები ჩახირა შუაში. ფრინველი აღარ გამოაჭაჭანა. განაყოფებმა თითქმის უმძრახად დაიჭირეს ერთმანეთი.

ამ გაბოროტებულ ურთიერთობაში მალხაზას უფრო უჭირდა საქმე, რადგან მარტოხელა იყო. ცალად მუშაობდა ვაჟკაცი, მარტოდმარტო და აბა როგორ გაუსწორებდა უღელს გამრავლებულ ოჯახს. წელზე ფეხს იდგამდა ბეჩავი. ძალუა მართა ხომ თავს არ იზოგავდა და თავის მაგალითით ამხნეებდა ისევ შრომად გადაქცეულ შვილ-რძალს. დასაძინებლად რომ დაეყრებოდნენ, არაქათი აღარა ჰქონდათ ერთმანეთისათვის სიტყვა ეთქვათ.

ეს ჭაპანწყვეტა მაინც ვერ აკმაყოფილებდა იმათ და გული ემღვრეოდათ, ჯავრობდნენ. არამც თუ განაყოფებს არ ელაპარაკებოდნენ ან ლანძღვა-თრევას ეტყოდნენ, ერთმანეთსაც ბუზლუნით ეუბნებოდნენ ქანცაწყვეტილნი. ახლა საჭმლის გაკეთებას არ იტყვით? ძალუა მართა ათვალთვლებდა რასაც ხარშავდნენ განაყოფები და ცდილობდა თითონაც ის მოემზადებინა, იმაზე მეტიც შეემზადებინა. იმას კი აღარ ჰფიქრობდა, რომ მეორე სახლში ათასი მორბედ-მოქმედი ტრიალებდა.

მალხაზას მეტადრე მკაში გაუჭირდა ძალიან. ერთი ნამგალი რა თავწყალ გაადენდა შემოსულ ყანას? ჭირნახული იპნეოდა, მომკალი დასჭირდა. მეკალოეც დასჭირდა. თან სახლის შენებაში იყო გართული. ახლა სოფლის ათასგვარ მოთხოვნილებების გაძლოლა და ყველასათვის პასუხის გაცემა! მარტოხელობას უჩვევმა ვერ აიტანა ამოდენა შრომა და მოიქანცა, ჩაწყდა; გაავდა, აზავთდა, აღრინდა.

არც მეორე მხრიდან იყვნენ გულსავსენი და მხიარულნი. ძალიან სწყინდათ, რომ მთელი მამული ორად გაეყოთ და ყველგან შევიწროვდნენ – სახლში, ეზოში, კალო-საბძელში, ბაღში, მინდორში. რაც აქამდინ თავიანთი იყო, ეხლა სხვისა გახდა და მერმე ისე, რომ ფეხის გადადგმის ნებას არ აძლევდნენ, არ აწაწანებდნენ, ყველგან ღობეს, ხარიხოს ან ლასტს უხირავდნენ, წინ. ბაღიც ხომ შუაზე გასჭრეს და ღობე გადაავლეს.

ესე აზავთებულნი რომ იყვნენ ცალყურაანი, მაშინ მოუხდათ ხიფათი.

მკათათვე განახევრებული იყო, როდესაც მრუდე მსხალს თვალი შეუვიდა. გახსოვს, ეს მსხალი ცალყურაანთ ბაღში იდგა, ზედ შუაზე, ვეება ხე იყო, მაგრამ მაღალი არა ჩანდა, რადგან ღერო წაზნექილი ჰქონდა და მარტო ტოტები აეშვირნა ზევით; ისე იყო ხე წაწოლილი, მარჯვე ბიჭები უხელოდ გავდიოდით ზედ. ვენახი რომ გაჰყვეს ცალყურაანთ, მიჯნამ ზედ იმ ხის ძირზედ გაიარა: ძირი განაყოფიანთ წილში მოჰყვა, ღერო და ტოტები მალხაზას წილში. მაშინ ამ გარემოებას ყურადღება არ მიაქციეს, სწორედ აქ კი ყოფილიყო ეშმაკის მახე დაგებული.

მალხაზაანი ჰკრეფდნენ შემწიფებულ მსხალს და შეექცეოდნენ. ვინ ჰყვანდათ დამშლელი? განაყოფები თავიანთად სთვლიდნენ ამ მსხალს. მაგრამ აზრადაც არ მოუვიდოდათ დაეშალნათ მალხაზაანთვის ხილის მოწყვეტა. მალხაზაანი წააქეზა ამ ამბავმა და მრუდე მსხალს თავიანთი ხე დაარქვეს. ჰაი ჩვენი მსხალი, ჰაი ჩვენი მრუდე მსხალი! მალხაზა ჯერ არ ეთანხმებოდა დედაკაცებს, მაგრამ ბოლოს ისიც დარწმუნდა, რომ მსხალი მართლა მისი იყო.

– რად უნდა იყოს იმათი? მარტო ფესვებია იმათ წილში! მთელი ხე კი საჩვენოშია, – ეუბნებოდნენ დედაკაცები და მალხაზაც ეხლა წინააღმდეგი აღარ იყო. რას აგებდა? რაღაც ეჭვი კი ჰქონდა გულში და ყოყმანობდა.

– მაინც ხომ საიმათოშია ამოსული მსხალი.

– ადგილი კი საჩვენოში უჭირავს და მაშ ჩვენია!

– რა გელაპარაკოთ! ლაჩარი კაცი ხარ, ლაფაჩი რამ და ლუკმას ხელიდან გამოგტაცებენ. სწორედ უგერგილო ხარ, ლუყურტი! მე თუ არ მეზრდოლა, იქნება მთლად უწილკერძო გამოეგდეთ სახლიდან.

ამ ლაპარაკში იყვნენ მალხაზაანი, როდესაც ეზოში გამოვიდნენ, გაიხედეს ბაღისკენ და ელდა ეცათ: ეშმაკად, განაყოფიანთ წენგუა ჩასულიყო ვენახში და მრუდე მსხალს მოჰქცეოდა თავს.

– დედი, დედი! შეხედე, ჩვენ მსახალზე ვიღაც ასულა, – თქვა რძალმა.

დედამთილმა ხელი მიიღო შუბლზე და გაიხედა.

– წენგუაა, შეჩვენებული წენგუა! დახე, როგორ ბერტყვას! დაუჩემებიათ მსხალი, სწორედ დაუჩემებიათ!

– აბა თუ დაუჩემებიათ და მე გიჩვენებთ იმ ბლუკუნას სეირს! – თქვა მალხაზამ, მისწვდა სახრეს და გაექანა.

– შენ, ეი! ამ წამს ჩამოეთრე ძირს, ამ წამს!

– რა გინდა, კაცო?

– ღმერთმა რომ არ გიცის! არ გეყოთ, რაც ჩემი მამული ჭამეთ, რომ ეხლაც არ მასვენებთ?

– რას ამბობ, კაცო? ეს მსხალი ხომ ჩვენია, საჩვენოში ამოსული! – მიუგო წენგუამ და ჩამოვიდა.

– თქვენ წილში მარტო ფესვები აქვს; წადი და ღრღენი ფესვები. მთელი ხე საჩვენოშია გადმოსული და მსხალი ჩვენია.

– კარგი, მალხაზ, თუ ღმერთი გწამს! აგერ კაკალი მთლად გზაზეა გადასული და მაშ გამვლელ-გამომვლელისა იქნება.

– ჩვენია-მეთქი, თორემ ამ სახრეს ხედავ! ძალიან თავს წახვედით ამ ბოლო დროს.

– თავწასულები თქვენა ხართ, რომ მტრად მოგვეკიდებით, აღარ გვასვენებთ, – თქვა წენგუამ და აიღო კალათი შინ წასადებად, მაგრამ მალხაზამ არ დაანება მსხალი, ხელიდან გამოსტაცა.

– რას მიჰქარავ, ბიჭო! – შესძახა წენგუამ და ხელი წაატანა მალხაზას.

მალხაზა გადახტა უკან და მძალვრად დაუქნია სახრე. წენგუა წინ იწევდა, ცდილობდა ხელი მოეკიდნა ბიჭისათვის, მაგრამ ის მარდად ხტებოდა უკან, ხან გვერდზედ და თან მარჯვედ ხმარობდა ჯოხს; სახრეს სულ შხივილი გაჰქონდა ჰაერში.

გიჩხუბნია სახრეებით? არა?! ვაი, რა უშნოდ გაუზრდიხართ გოგოსავით! სახრე სახიფათო იარაღი არ არის, იმით მკვლელობა ან დასახიჩრება შეუძლებელია. იფნის სახრე აიღე, რომ წვრილ წვერში არ გადაგიტყდეს, მარდად გაისარჯე, სხარტად! როგორა ხტის ცერცვისავით! ჰაი, შე უშნოვ! ხარსაც არ დაჰკრავენ თავში და შენ სახეში უმიზნებ?! ქვევით ჩამოჰკარ რბილოსა, კოჭებში დაჰკარ, კოჭებში, რომ დადაგო. რა შხივის! რა ტკაცვიტკუცი გააქვს სახრის წვერს! ცეცხლს უკიდებს, ცეცხლს! რას იღრიჯები, შე ლაჩარო! სასიკვდილოდ ხომ არ გკოდავს, მხოლოდ გწვავს. მოითმინე და შენია გამარჯვება, ოთხ-ხუთ დღეზე ნაშოლტარიც გაქრება.

წენგუა არ ჩამოუვარდებოდა მალხაზას, მაგრამ ხელცარიელი შერჩა უიარაღო და მხოლოდ დასაჭერად ეტანებოდა ბიჭს, ის კი გველანასავით უსხლტებოდა ხელიდან. შეახურა, ალანძა, დაწვა, დადაგა ბიჭი. გამწვავებული წენგუა ბოლოს ერთი გადახტა ვეფხვივით, ჰკრა ორივე ხელები მალხაზას გულში და მსახლს მიაწყვიტა. თუ თავის დიდი ქუდი ჰხურებოდა ბიჭს, არა უშავდა რა, მაგრამ ჩხუბში ქუდი გადაჰვარდნოდა და ტვინი შეანთხია ხეს. სწორედ ამ დროს კიდევ ჩამოემველნენ მოჩხუბრებს. შეიმქნა ალიაქოთი: წყალი, ყურები, ლავიწები, ჯანჯღარი. სულ ტყულიად! მოკვდა ბიჭი, მოკვდა!

8

დედაკაცები უყრებდნენ მალხაზას, როდესაც ის ბალისკენ მივობდა; უხაროდან, როცა წენგუა ჩამოაგდო ხიდან; მხნეობა შეუქქეს, როხა მსხლის კალათა დააგდებინა ხელიდან; როცა სახრე შეიმალლა და ცემა დაუწყო კაცს, მაშინ კი შეშინდნენ, წივილ-კივილი შეჰქმნეს.

– ჯერ მალხაზაა გამარჯვებული, ძალა ჯერ მისკენ არის, მაგრამ წენგუა ხომ ლეკია დაუნდობელი.

ამ ფიქრმა ელვასავით გაურბინა დედაკაცებს და შიშის ზარმა აიტანა ისინი. გაემურნენ ბალისაკენ; ძალუა მართას შიშისგან მუხლი მოეჭრა; მეზობლებმა მიასწრეს, კალოობა იყო, კაცები შინ ირეოდნენ და ჩხუბის ხმაზე მიაშურეს; ვეღარ მიასწრეს: მალხაზა გულშემოყრილი ეგდო, როცა ისინი მივიდნენ. მივარდა მართაც და მოეჭიდა მომაკვდავს: კალთაში ჩაისვენა, ჩასძახოდა, ჰკოცნიდა. მალხაზამ ერთი გაიბრძოლა, თითქო ამოდრომას აპირებსო დედის უბიდან, და გაითანგა.

სახტად დარჩა ძალუა მართა, გაშტერდა, გაშრა. გამოართვეს შვილი ხელიდან; ფარდაგზე დააწვინეს; სახლში აიტანეს; ტახტზე დაასვენეს; ჰბანენ, სისხლსა სწმენდენ; ბალიში დაუდეს თავით, ასწორებენ, ძალუა მართაც ფუსფუსებს, მისდი-მოსდევს, თუმცა ადამიანის სახე აღარ ადევს, თვალები ჩასცვივნია, გაქვავებულია. აგერ მღვდელიც მოფარფატდა, ეზოშივე ჩამოიკიდა ოლარი. მხოლოდ დახედა. არ აზიარა.

– რატომ მაშინვე არ შემატყობინეთ? კიდევ გარდაცვლილა.

– მაინც ვეღარ მოასწრობდით, მამაო, ზიარებას: მაშინვე მოკვდა, ერთი კი გაიბრძოლა და მისცა სული.

– საწყალი ბიჭი! – სთქვა მღვდელმა, პირჯვარი გადასახა მიცვალებულს და თვალცრემლიანმა შეჰვედრა:

– უფალო ყოვლად მოწყალეო, კეთილი ანგელოზი დაადევნე განსვენებულს და შეიწყალე! – მერმე მიუბრუნდა ძალუა მართას:

– პირჯვარი დაიწერე, უბედურო! ილოცე, ცრემლი გაღირსოს: იქნება ჰპოვო რამ შეღავათი.

ძალუა მართა მხოლოდ თვალეზს აჭყეტდა, სმენით კი აღარაფერი ესმოდა.

მოამზადეს მიცვალებული, დასუდრეს; ტახტები აჰყარეს, საფენი ძირს დააგეს; დასვეს ჭირისუფალი, რძალი გვერდით მოუსვეს, ორივე ძაძებში. განაყოფიანთ დედაკაცებიც გარს შემოუსხდნენ ცხედარს. უფროსი რძალი ხმითა ტიროდა, სხვები ქვითინებდნენ. ძალუა მართა მხოლოდ ვაის იყრიდა ნელის ხმით და ლოყასთან ხელს აქანებდა დახოკვის სახით. შემოვიდა მღვდლის ჯალაბი.

– ეს რა მოგსვლია, უბედურო? მოგიკლეს ნანინანატრი შვილი!

– არა, მღვდლის ჯალაბო, ჩემ მალხაზას მხოლოდ სძინავს.

– მტერმა დაიძინოს ესე!

– სძინავს, როგორ არა! გაიღვიძებს და თითონ გაიმბობს, როგორც მოხდა ყველაფერი. არა, შვილო მალხაზუჯან? – შეეკითხა დედა და ცხედარს მიეყრდნო, როგორც ძუძუთას აკვანში; ნანა დაიწყო ნელის ხმით. ნანას თანდათან ძალა მიეცა; მალლა-მალლა წავიდა და შესაზარად ათრთოლდა. ძალუა მართას მიცვალებული კი არ ედო წინ, ჩჩვილი ედგა აკვნით და თავის იმედებს დაჰმღეროდა ზედ, თავის ნატვრებს მოუთხრობდა: პაწაწა მალხაზი, ძუძუს ძლივს იდებს, მოჩიტდა მალხაზა, დედა იცნო, თვალეზში გონება დაეტყო; მოიზარდა, ტიკტიკი შეიძლო; შეღერებული ბიჭი შეიქმნა, გლებურ საქმეში დახმარება შესძლო; თავმომწონე ახალგაზრდაა მისი მალხაზა, საცოლედ გამზადებული; ვაჟკაცია მარჯვე, კოხტა, შინაცა და გარეთაც გამოსადეგი, ყველასათვის სასიამოვნო, საყვარელი; ქორწილია გაჩადებული, მალხაზას ქორწილი; ცალკე მეოჯახეა მალხაზა, სოფლის თვალი კაცი, თითით საჩვენებელი...

ნანის ხმაზე ისინიც შეგროვდნენ, ვინც გარეთ იყვნენ ან შინ ფუსფუსებდნენ, გარს შემოეჯარნენ, გამწარებული დედა რომ უცრემლოდ მოსთქვამდა, სხვები ცრემლად იღვრებოდნენ; კაცებს ქუდები მიეფარებინათ თვალეზზე და ქვითინებდნენ.

როცა ძალუა მართა მოსთქვამდა ნანას ხმაზე იმ იმედებს, რომლებიც თავის მალხაზაზე დაემყარებინა, იქ მივიდა, როგორ უმტყუნა ბედმა ბიჭს, როცა იმან სხვის საკუთრებას წაატანა ხელი დედისა და ცოლის დარიგებით. თუ იმათ არ წაექეზებინათ, არ მიესიათ, მალხაზას ფიქრადაც არ მოუვიდოდა პანტის გულისათვის ჩხუბი და მამ ეხლაც საღსალამათი იჯდებოდა თავის სახლში. ეს უბედური აზრი წარმოუდგა დედას, განათდა, გაზვიადდა და დაიმონავა ის. ძალუა მართამ ეხლა მკვლელად ჩასთვალა თავისი თავი, თავის შვილის მკვლელად, და ამ საზარელმა ფიქრმა ხმა გააწყვეტინა ჭირისუფალს, ალაგობრივ ჩაკვეცა ის.

– უი, ჩამქოლეთ, გენაცვალეთ, ჩამქოლეთ! – შეიხმაურა დედაკაცმა და ლოყას ხელი იკრა, ჩამოიხოკა.

ამ ჭირს ვერ გაამჟღავნებდა უბედური, ვერ იტყოდა, მე წავაქეზე შვილი, მივაგდე სახიფათო საქმეზედაო; მაშინ დედა კი არა, სულთამხუთავი გამოვიდოდა თავის შვილისა. მაგრამ ამ ჯოჯოხეთურ ფიქრის მთლად დაფარვაც რომ არ შეიძლება! ძალუა მართას იქვე გვერდით უზის უბედურობის მოწმე. იგი მოწმე თითონაც შიგ ურევია

საქმეში და პირი აქვს აკანილი, მაგრამ შეუძლიან ოდესმე სათრევად დადოს მართას სახელი, საგმობელ-საზიზღარი გახადოს იგი. ეს მოწმე მისი რძალია, საწყალი მალხაზას შავბნელი ცოლი. მართამ უნებლიეთ შეხედა იმას; რძალმაც თვალი თვალში გაუყარა და აგრძნობინა, რომ ისიც იმაზე ფიქრობდა მაშინ.

– დამქოლეთ, გენაცვალეთ, დამქოლეთ, ვუუ! – შესძახა დედაკაცმა და ლოყები ჩამოიბღღვნა, სისხლის ღვარი დაიდინა.

მოთქმით ტირილი ვედარ მოახერხა ჭირისუფალმა და სევდის გამოსახატავად მხოლოდ ერთხმივლა ღმუოდა.

– ეჰ, კაცს რომ წერა აიტანს და ეშმაკი შეუჯდება, თორემ ხილისათვის თავი როგორ შეაკლა სხვას, – სთქვა ერთმა.

– რა ბიჭი დაიღუპა სულ უბრალოდ!

– გულკეთილი იყო, ხათრიანი და ისე რამ გააბრაზა, ცემა დაუწყო კაცს?

– ალბად, მაცდური შეუჩნდა, მავნე, თორემ განა არ იცოდა, რომ ის ოხერი მსხალი სხვისაა, სხვის წილში ამოსული.

– ეშმაკი კი არა, ხალხო, მე ვიყავ, მე, რომ შევეჩნდი უბედურს და აღარ მოვუსვენე; მე ავაზავთე და წავაქეზე, თორემ ჩემ მალხაზას ჩხუბი არ უყვარდა, ის ხელს არავის ახლებდა, – თქვა მართამ გულში და ისევ შეხედა თავის რძალს.

რძალმა თვალი თვალში გაუყარა დედამთილს. რა გონჯი რამ მოეჩვენა გოგო!

– მე ვარ, ხალხო, ჩემი ბიჭის ბედიმწერალი და დამღუპველი! თავიდანვე მე ავუჩნდი მაცდურად, თორემ აბა ამ ჯოჯოს შეირთამდა, ამ გომბიოს მოიყვანდა?! – ამბობდა გულში მართა.

მაგრამ პირზე კლიტე ედვა და ცეცხლზე ცეცხლი ედებოდა. სიტყვა აღარ ჰქონდა პირში და მხოლოდ საზარლად გაღმუოდა.

რალა უნდა ეთქვა, რალა ეთქმოდა?! სიხარბემ და ზავთმა რომ დასძლია და შვილს აქეზებდა ავ საქმეზე, ეხლა ცხადადა ჰქონდა ეს თვალწინ, მაგრამ ხომ ვერ იტყოდა ამას, და ეს გამოუთქმელი ვარამი ბურთივით ჩასჩროდა ყელში, სიტყვა აღარ ათქმევინა არც ეხლა, როცა მიცვალებული ედო წინ, არც გასვენებისას, არც ეკლესიაში, არც სასაფლაოს გზაზე, როდესაც დედაკაცები უკან ჩამოაყენეს სოფლის პირას და მხოლოდ კაცებმა წაიღეს მკვდარი სამარისაკენ. ჭირისუფალი მხოლოდ გაღმუოდა ჩახლეჩილი ხმით და პირს იხოკდა, თმას იგლეჯდა.

ეს გაურკვეველი ღმუილი შეეთვისა ძალუა მართას, მის საკუთარ ხმად გადაიქცა და მარად ისმოდა მის სახლიდან, დერეფნიდან, მიდამოდან, ბანიდან; ისმოდა იგი ხმა დღედაღამ, ყოველ ჟამს, მარად წუთს, ყოველ წამს.

გაბმით ღმუილმა შეაწუხა შინაურიც და გარეულიც. რძალმა ვედარ გაუძლო შემზარავ ხმას და გაეცალა. მარტოდ დარჩენილმა დედაკაცმა თავი იპოვა და უფრო უმატა ვაებას.

განუწყვეტელმა ზარმა თავისი ნასახი დაადო მართას: თვალეები ჩაუსისხლდა, შეუშუპდა, დაეღარა, სახე მოუტყდა, დაებღნიჯა; წელში მოიხარა, თავის რაცრაცი დასჩემდა.

– გენაცვათ, ბაიყუმი შეიქმნა ეს დაღუპულის შვილი! ამისმა მოთქმამ ილაჯი წაიღო, სასოება დაგვიკარგა.

– ნახამ, თუ კიდევ არ ამოჭამოს ვინმე.

– თავის თავი ამოიჭამოს! თითონვე იყო დამნაშავე, რომ ის საწყალი ცალკე გაიგდო და ააზავთა, – ამბობდნენ განაყოფები.

და ნატრობდნენ ან დღე მოჰღებოდა ბოლო მის ერთხმივ გამახილს ან ღამე, როცა ცოტა მაინც დაესვენა მათ ყურს.

ვაებაში იყო ძალუა მართა, განუწყვეტლივ მისტიროდა დამიწებულს და თან არ აკლებდა მას არავითარ წესს, რომ საიქიოს ყოველი შეღავათი მისცემოდა მას. ზეითუნი, სანთელ-საკმელი, ზედაშე, სეფისკვერი, წანდილი, სულის ახსნა და წირვები, ხილი, ზურგიელი, ყველა თავის დროზე ჰქონდა განსვენებულს.

სულეთისაკენ გზაგანათლებულზე უნდა ევლო გულსავსეს, მაგრამ მურაზით გაუმადარ ბიჭს სააქაო მაინც არ ეთმობოდა და უსხლტებოდა ხელიდან სულთამცველებს, რომ თვალი მოევლო სოფლისათვის, მიდამოსათვის, სახლისათვის. ეს იყო მიზეზი, რომ ძალუა მართა ხშირად ხედავდა შვილს სიზმრად და ყოველთვის საყვედურს ისმენდა მისგან.

– შენ იყავ მიზეზი, რომ შევძულდი ქვეყნად ძმებსა და მეგობრებს, მოვისპე ქვეყანაზე და ვერ დავტკბი მანდ ვერაფრით, – ეტყოდა დედას განსვენებული.

და ისე მტრულად შეხედავდა, რომ დედაკაცი თავზარდაცემული წამოხტებოდა და პირჯვარს იწერდა.

როცა რძალი წაუვიდა, მაშინ უფრო გაბოროტებული ელანდებოდა მალხაზა; ყელში წაუჭერდა, ახრიალებდა, ახრჩობდა. შეშინებული დედაკაცი მეორე დღეს მოახსენინებდა მიცვალებულს; მიდიოდა საყდარში მისატანი მისატანზე.

როგორ ფარფაშობდა დავით დიაკვანი! ისე დაშინაურებული დადიოდა ძალუა მართასას, როგორც თავის ოდაში, ისე ესაუბრებოდა გულგახეთქილ დედაკაცს საიქოზე და იქაურ ყოფა-განსვენებაზე, თითქო თითონ უცხოვრია იქ და ყველაფერი უნახავსო.

– სამწელოა სულეთის გზა და სახიფათო. ეშმაკები უხვდებიან წინ, სამოთხისაკენ არ უშვებენ, ელობებიან, ჯოჯოხეთისკენ ეწევიან; არც აჭმევენ არაფერს, თუ ნაკურთხი არ არის და პირჯვარგადასახული, – უქადაგებდა დედაბერს დავით.

და ასწავლიდა, საფერისცვალებოდ როგორი ტაბლა უამებოდათ განსვენებულებს ან სულთმოფენობას როგორი...

ბეჩავ, დავით დიაკვანო! ერთი-ორი კიდევ უნდა გყოლოდა იმისთანა მსუქანი მკვდარი, რომ ქონი მოგება, დაბზინებულიყავ.

მაგრამ დიაკვნის რჩევაც ვეღარ სჭრიდა: არ იქნა, ვერ დააწყნარეს მიცვალებული, ვერ განუსვენეს მას, ვერ მიახედეს საიქიოსკენ! სააქაოსკენ იმზირებოდა, ერთი ფეხი ამ ქვეყანაზევე ედგა, ერთი თვალი შინათკენვე ეჭირა, მრისხანე თვალი. მტრულად წარმოსდგომოდა მიცვალებული ჭირისუფალს, მოსვენებას არ აძლევდა მას; ძილში აღარ აკმარა ტანჯვა, ცხადადაც ასმინა მის ყურს თვისი ხმა.

შუალამე გატეხილი იყო, როდესაც გულის ძილიდან გამოაღვიძა ძალუა მართა შვილის ძახილმა.

– დედი, დედი! – შემოესმა დედაკაცს და თვალეზი ღია დარჩა.

ჯერ გონს ვერ მოვიდა ბეჩავი, ეგონა მალხაზა ცოცხალი ჰყვანდა და ეძახდა, მაგრამ აზრი რომ მოიკრიფა, შეშინდა და ათრთოლდა! ჭირის ოფლი დაასხა.

ამის შემდეგ მართას ხშირად ესმოდა მალხაზას ძახილი; იძულებული შეიქმნა სხვა დედაკაცი დაეწვინა ღამე თავისთან; იმანაც ვერა უშველა რა. რა ფარ-ხმალი იყო ვიღაც დედაკაცი მალხაზას წინააღმდეგ, რომელიც თავისუფლად დადიოდა თავის სახლში და ხმას აძლევდა ხან აქედან, ხან იქიდან.

გაეწამა ძალუა მართა. ნანატრი შვილი დაჰკარგა და განუწყვეტელი ცრემლითაც ვეღარ გაინელა ცეცხლი, აუტანელი გრძნობაც დაერთო: დაკარგული შვილი მტრად გადაექცა მშობელს და საიქიოდან მოსვენებას არ აძლევდა მას.

შიშმა მოიცვა დედაკაცი და ძრწოლამ: ეშინოდა საყვარელი შვილისა, მის ხილვას უკრთოდა, მის ხმაზე თრთოდა და ეს უმსგავსი შიში უთქმელ ტანჯვას ჰბადებდა მის გულში, ტვინს ურევდა, სისხლს უშხამავდა.

– ვაიმე, შვილო საყვარელო! მოგისპე სიცოცხლე ტკბილი და დავიწვი. მყვედრიდი განა, როდესაც უკანასკნელად გაიბრძოლე ჩემ უბეში და ბოროტად შემომხედე.

– მე ვარ, ხალხო და ჯამათო, დამნაშავე, მე! ნეტავ მორჩილი არა მყოლიყო, იქნება არ დაეჯერებინა ჩემი სიტყვა და აგვცდენოდა უბედურება. ეხლა რაღა ვქნა, რაღა ვუშველო იმას, ან ჩემ თავს?

ვეღარაფერი უშველა ვერც მიცვალებულს, რომ განესვენებინა და დაეწყნარებინა, ვერც თავის თავს, რომ ცოტა მაინც დაემშვიდებინა თავისი გული და გონება. უფროც შეაშფოთა ის, წუთისოფლისკენ გამოადგმევინა მის აჩრდილს ფეხი. ეს დაჭარბებულმა მწუხარებამ ჰქნა, რომელშიაც ურჩობა იხატებოდა განგებისადმი.

ძალიან გადააჭარბა ძალუა მართამ. სადაური იყო?! სულ ტიროდა, არც ერთ ამბავს ცხოვრებაში, არც ერთ მიმავალ წამს არ გაუშვებდა ისე, ზედ თავისი მკვდარი არ დაეტირებინა. მზიანი დღე იყო, გაიძახოდა:

– ყველა მზის სხივით ტკბება მშვენივრად, შენ კი მიწას ამოჰფარებიხარ!

ღრუბლიანი იყო დღე და წვიმდა, მაინც გასტიროდა:

– შავ მიწას ამოსცქერიხარ გულადმა და ღვარი დაგდის ზედ.

სუყველაფერზედ ვაის აყრიდა და უის აფენდა. არ დაასვენა მიცვალებული, ვერ მოასვენა. აკი საარაკო საქმე დაემართა.

ერთხელ ნახირის მოსვლისას მორთო მოთქმა:

– შენი ღრუბელა წინ მოდის, შვილო, შენ კი არსადა ხარ, რომ მიეგებო და შემოაბრუნო!

მრავალმა შეიძალა, რომ ისევ მოსთქვამდა. ეზოში იჯდა კუნძზე, ისე ტიროდა. სოფელი მიწყნარდა, ძაღლის ყეფაც მიჩუმდა. ძალუა მართამ მაშინღა დაუშვა ხმა და შინ შესვლა დააპირა. დასუსტებულიყო, წაბარბაცდა; იქვე ბოდს მიეყრდნო დასასვენებლად. მოესმა ნელი ხმა: დედი, დედი! თანაც იგრძნო, კუნძის გვერდზე ვიღაც იძროდა. შიშის ზარმა აათრთოლა. უძლეველი ძალა ეწეოდა მას მიეხედნა მოჩვენებისაკენ. უნებლიეთ მიიღო იქით თავი და თავის მალხაზა დაინახა კუნძზე ჩამომჯდარი. ჟრუანტელმა დაუარა, ბეწვი აეშალა. მალხაზა შეიძრა, ადგა, წელში გაიმართა, გადადგა დედისკენ ნაბიჯი და ჩაანათა ჩასისხლიანებული თვალები. მართამ ერთი კი შეჰკვივლა და იქვე ჩაიკეცა.

ამის შემდეგ მიცვალებული არამცთუ მხოლოდ ხმას აძლევდა დედას, თითონაც ხშირად ევლინებოდა მას: ლოგინზე დაუჯდებოდა, უკან ჰყვებოდა ჩრდილივით, ბუხრიდან გადმოჰხედავდა ჩასისხლიანებული თვალებით. შეძრწუნებული დედაკაცი დღისითაც ვეღარა რჩებოდა სახლში მარტო და უცხო ვინმე უნდა ჰყოლიყო განუშორებლივ. ამითაც ვერა ეშველა რა: კოჭლი ოსანა კი არა, თვით დავით დიაკვანიც გვერდზე უნდა ჩამომდგარიყო აქ.

– რა ჰსურს იმ საწყალს, ან რა დარჩენია ამქვეყნად ისეთი, რომ ესე დაუდგომლად მოიბრძვის აქეთკენ? ყოველივე წესი მიგვიდევნებია, შეგვისრულებია და რაღა აღონებს იმ უბედურს? – ამბობდა დავით დიაკვანი.

– აგერ, დავით, მალხაზას ხმა მესმის და თითონაც მალე მომეჩვენება, – თქვა მართამ და წალოს დაამტერდა.

– ჩვენთანა არს ღმერთი! – გადიწერა დიაკვანმა პირჯვარი.

ამ გაჭირვებიდან ოსანამ გამოიყვანა ძალუა-მართა: ურჩია მკითხავისათვის ეკითხებინა. დიაკვანიც მიემხრო. მაშ რა უნდა ექნათ! ღვთის გზით რომ ვერ მიაგნეს მიცვალებულის გასაგისს, ეშმაკის გზას უნდა დასდგომოდნენ: ორივე გზა საიქიოსკენ მიდის.

[1903 წ.]

საფლავის ქვაზე

1

ცრემლი ხომ მწუხარების ნიშანია, მაგრამ ისიც სამკაულია მაღლიან სახეზე. ციმციმებს ცვარი ცრემლისა ტურფად ახრილ წამწამზე, თრთის, კამკამებს; ჩამდგარა ცვარი ცრემლისა ბროლის საგუბარში და თვალთა ნაპერწკალი ელვარებს მასში; მარგალიტად აგორებულა ცვარი ცრემლისა ეშხით გაღვივებულ ლოყაზე და ზოგან შერჩენია ზედ, მოწყვეტა დაჰნანებია: ჰსურს ზედ შეაკვდ-შეაშრეს.

ესეთი სახე კორდია ყვავილთა, გაზაფხულის ყვავილთაგან შეთხზილი კორდი, ნამნაბკურები, დაცრემილი.

– რა ძალიან მომწონს ხორცის მშვენება?

– რატომაც არ ვაქებ! ნივთიერი ვარ, ხორციელი; ღვთით, ჯერ მიწაზევე მიდგა ფეხი და თაყვანსა ვცემ ნივთში მომწყვდეულ უკვდავ სიტურფეს. სული! სული! რა იცი, რომ სული იგივე ხორცი არ არის, მხოლოდ წმინდა, განსპეტაკებული, ჰაეროვანი, გამშვენებული, ნათელქმნილი? ძალიან იცი?!

ძლიერ ნორჩი იყო დაცრემილი სახე მარეხისა! სრულიად უდროვო იყო ამ ქალისთვის ძაძა, მორთულობა სამგლოვიარო. სულაც არ შვენოდა ფეხმორთხმული ჯდომა შავბნელად მობურულ დედაბრებში. რა იმათი სწორი იყო ნორჩი მარეხი და ტოლი, რომ შუაში ჩაესვათ და ატირებდნენ! გვრიტი ყვავებში?! მის სახის გამომეტყველებას ჯერ ბავშვური იერი არ დაჰკარგოდა, ბაგეზე ჯერ ნორჩი სინაზე არ შესჰკნობოდა; რა დროს მისი ქვრივობა იყო, ქვრივ-ოხრობაზე ფიქრი თუ დარდი?!

აკი უფრო განკრთომა აღბეჭდოდა მგლოვიარეს თვალეში, სინამ ურვა და მწუხარება. შავ თავსაფარიდან ჯერეთ გაუხუნებელი, ფერუცვლელი, ხასხასი კულულები გამოჰშლოდნენ; ვერა დგებოდნენ, თუმცა ქალი მალ-მალე აწყობდა მათ, მანდილშივე ალაგებდა: არა გლოვობდნენ ცელქები, ვერ შეეგნოთ, რა იყო დარდი! ქალის ნაზ კანქვეშ ჯერ დაუდუღელი სისხლი სჩქეფავდა. ან რა დროსი იყო მისი სავსე მკლავების, ბროლის ხელების მწუხარებით გულზე დაკრება? არა! მთელი ბუნება ამ ახალი ქვრივისა ეწინააღმდეგებოდა მისადმი მისულ უბედურებას, მის შავბნელად დადებას, გარიყვას ქაფქაფ ცხოვრებიდან.

ხმაც ვერ ემორჩილებოდა ახალგაზრდა ქვრივს დარდით მოცულს, უიმედო კილოს ვერ იღებდა.

– ჰო, შვილო, დედას მოახსენე, რაც გითხარი! – სცადა ქვრივმა ოხრული ხმით ეთქვა მოახლისათვის, მაგრამ ყურმა მის ხმაში სამგლოვიარო კილო ვერ შენიშნა: ახალი

რამ ხმა გამოხდა დაუქლელი, წკრიალა, საალერსო სიტყვებისათვის მოწყობილი, ხოლო სიტყვა „შვილო“, ნორჩი ქმნილებისაგან თქმული, ღიმილსა ჰგვრიდა მსმენელს.

არა! მარეხი ჯერ სიცოცხლისაკენ მიისწრაფოდა, თვით სიცოცხლე იყო ის და არაფერი საერთო აღარა ჰქონდა ამ უძრავად მდებარე ჩალურჯებულ კაცთან, რომელსაც მის ქმარს ეძახდნენ, საბრალო აღმასხანს: ამას ცხოვრებისათვის ზურგი შეექცია, გაციებულები; მარეხის ძარღვებში კი ძლიერადა სცემდა ცხოვრების ტალღა, დუღდა, ჰღელავდა, მხურვალე ნაშხეფს აფრქვევდა გარშემო.

2

დიაღ, აღმასხან ქმარი აღარ იყო მარეხისა, ვიღაც უცხო იყო, გამრიელი, რომელიც აგერ უბედოდ გადაჰლობებოდა წინ, უშნოდ გადაჰხირებიყო ცხოვრების გზაზე ვეება სათარივით და შეეგუებებინა მისკენ მოჩანჩქარე ნაკადი ლხენისა. იგი ქმარი კი არ იყო ქალისა, მეუღლე და მფარველი; მოღალატე იყო, რომელმაც ეს მუხთლად დაუხშო კარი კეთილისა, დაუსხა კერაზე წყალი, ჩაუგდო კოვზი ნაცარში, მოაკლო მხიარულებას, წარსტაცა ფიალა ყოველგვარის სიამისა, ძაძით შემოსა ახალგაზრდა ქალი.

– რამ მოკლა ეს საცოდავი?! აკი სულ იმას მეუბნებოდა, საუკუნოდა მსურს შენთან ცხოვრება, მინდა შენთვის ვიცოცხლო, ვისუნთქო, გავძლე შენის მზერითაო; შენით არის ყოველივე ჩემთვის გაბრწყინებული და სანეტარო, უშნოდ ბნელია ჩემთვის ქვეყანა და მოსაწყენიო; შენით აქვს ჩემ სიცოცხლეს ჰაზრიო. მისი ფიცი უბრალო სიტყვა ყოფილა, ყალბი დანაყბედი!

დიაღ, ეს მიცვალებული აღარ არის მარეხის ქმარი აღმასხან, შორს არის მარეხისაგან, შორს!

არც ადრე იყო აღმასხან მარეხის გულთან ახლო. არ იქმნა, ვერ ჩაჰკიდა ვაჟკაცმა ქალის გულს ხელი; ჰგრძნობდა გულის ცემას, ვერ კი ჩაეხედნა მასში, გარს უვლიდა მარეხის გულს, როგორც მარმარილოს რამ კოშკს, კარები კი ვერ ეპოვა შესავალი: ვერ მოჰკრა მან თვალი იმ სხივებს, რომლებიც მხოლოდ ანათებდნენ ქალის გრძნობებსა.

– ახლო ვარ ქალთან, თითქო მივწვდი კიდეც მის არსებას, მის პიროვნებას, მაგრამ როცა ხელს წავატან, მხოლოდ ოცნება მრჩება. წინ მიდგა მწყურვალს ანკარა წყალი; თუ დავეწაფე, მშორდება ბაგიდან. ახლო ვარ ქალთან, მეუღლესთან. მკერდსა მყავს იგი მიყრდნობილი; შორსა ვარ მის არსებისაგან, ვერა ვხედავ მის პიროვნებას, ბუნდია იგი ჩემთვის, მოსილი სიბნელით, განუქვრეტელი წყვდიადით, როგორც რამ საიდუმლო! – იტყოდა აღმასხან დაღონებული.

3

– თუ ესე იყო, მაშ ქალი როგორ შექმნილიყო აღმასხანის მეუღლედ?

– ჩვეულებრივ! ვაჟკაცი ჰკვიანი იყო, უვალო, სამსახურის მექონი, არც გონჯი და მაშ რად იქნებოდა დასაწყენი?! ცოტა ხნიერი იყო, მაგრამ რა ვუყოთ? სჯობს მაგარ აგებულობის ვაჟკაცს ცოლი უმცროსი ჰყვანდეს. მუხა ხნიერი – ნორჩ მურყანზედ უფრო ძლიერი. ქალიც ახალი შეღერებული იყო, სასძლოდ მომზადებული, ლამაზი, მაგრამ ხელმოკლე, ღარიბი. რა დაუშლიდა მათ მეუღლეებას, როცა კაცმა მოისურვა გატაცებით? ქალი გაჰყვა, აასრულა ჩვეულება და უფროსთა სურვილი. მართალია, მისი გული არ იღიმებოდა, მაგრამ არც თუ ჰმუნვით იყო მოღრუბლული.

ხშირად ესე სწარმოებს საქმე. სიყვარული ბრმაა, თვალეზაბმული და მანამ ის მოგაგნებს ან უცაბედად თავს წამოგაწყდება, თუ იცადე, ერიჰა! დაჟამდები, მთას დაგიტოვლავს, წისქვილები დაგიდგება და დაგიდგება თვალეზი.

სიყვარულის გარეშე გათხოვებას თავისი ჰაზრი აქვს: ქალიცა და ვაჟიც ბევრს არას მოელიან ერთმანეთისაგან, რამე ოცნებებით და სანეტარო იმედებით არ არიან გამსჭვალულნი, დიდ სიკეთეს არ ითხოვენ კავშირისაგან, კიდევ ეშინიათ ამ კავშირისა და შემდეგში მცირედიტაც კმაყოფილდებიან; თუ მგლად არ ეჩვენენ ერთმანეთს, ისიც უხარიათ; ცოტა სიკეთისათვისაც მადლობასა სწირავენ ღმერთსა და ერთმანეთს. ამ ნიადაგზე ბოლოს თანაგრძნობა და მკვიდრი მეგობრობა იბადება.

შეყვარებულნი კი სამოთხეს მოელიან თავიანთ კავშირისაგან, ერთმანეთი ანგელოსები ჰგონიათ, სიკეთით დატვირთული რამ სხივოსნები და როცა საოცნებო არსებათა მაგივრად ერთმანეთს უბრალო მომაკვდავები შერჩებიან ხელში, ვერ იტანენ იმედების გაცრუებას, ერთმანეთისთვის ვერ უპატიებიათ შეცთომა და სიხარულის ნაცვლად სიმძიმის ეძლევიან.

– ერთ წამს, პირველ ჟამს, ხომ დიდებული ნეტარება უნდა იგრძნონ შეყვარებულთ.

– მართალია, მაგრამ ყველა ისეთი ძლიერი ხომ არ არის, ერთი წამის სიამოვნება, თუნდ უძლიერესი სიამე, მარად ახსოვდეს და იმითი ათბობდეს შემდეგ ცივ წუთებს.

იქნება მარეხის გულიც გაეთბო ვაჟკაცს, რომ დასცალეზიყო, მაგრამ დღე მოუსწრაფდა და ქალის გული ხელშეუხებელი დარჩა. გრძნობათა ზინეთი ეწყო მასში ღრმად დამარხული, ჯერ უკლებელი და თუ დრო შეხვდებოდა, ქალი გამოჰფენდა ამ გრძნობათა განძს გულის სალაროდან, გადაშლიდა ფერად-ფერადად დასატკობად რჩეულისა.

ქვრივი სამძიმარს ისმენდა, უბედობას ჩიოდა. სხვა რომ ტიროდა, თითონაც იცრემლებოდა, მაგრამ ეს მხოლოდ მისი შავი თვალეზი ტიროდნენ და ცრემლით ივსებოდნენ, თორემ გული არა ჰქონდა ვაებით სავსე, არც სიბრაღულით. მარეხს მხოლოდ გული ემღვრეოდა აღმასხანზე, რომ მოულოდნელად შეუშალა ცხოვრების ნირი, სახალხოდ გამოიყვანა ის, იძულებული გახდა საჯაროდ ემგლოვა თავისი კაცი და ყველასაგან შებრალება მოესმინა. მარეხს ეს ბოღმა შემოსწოლოდა და გული ყელში ებჯინებოდა. მით უფრო აუტანელი იყო ეს მისთვის, რომ ქალი ნაჩვევი არ იყო ჯავრი რამ გულში ეტრიალებინა, გულში ეგუბებინა და თავი მოეწამლნა: ბაღდამის ფიალს ქალი ქმარს მიუპყრობდა, შეასმევდა, მთლად დააცლევინებდა; ქმარზე იყრიდა გულის ბუხარსა. შეყვარებული ვაჟკაციც უსიტყვოდ იტანდა ჩვილს, ავს ამორებდა ქალს, აწყნარებდა.

იტყვიან, გველს რომ შხამი მოერევა, ქვას უკბენს და იმაზე წამოათხევს მოჭარბებულ გესლსაო.

ქალმა დაკარგა შინაყმა ერთგული, მოხერხებული, თავდადებული და აი ეს ყურმოჭრილი მისი მონა აწ უძრავად გაჭიმულიყო მის წინ ურგები, სატირელი. ვილასთვისლა უნდა ებრძანებინა ქალს თავისი სურვილები? ვილაზედ უნდა ეყარნა ამღვრეული გულის ბუხარი და თან ისე, რომ მაინც თავს შემოჰკვლებოდა მას, მაინც ღმერთი რამ ჰგონებოდა ის, ციდან მისთვის ჩამოსული სანეტარო, მხოლოდ მისივე უშნობით გაბოროტებული და მაინც შეუდარებელი, სათაყვანო?!

მარებს წაუხდა ბატონკაცური ყოფა და ამან შეაწუხა, აამღვრია, თორემ ცრემლს ვერ დააფრქვევდა ის აღმასხანის კუბოს.

აგერ უკანასკნელად ეამბორა აღმასხანს მარები და მისი დედამთილი. დამწვარი დედა ძლივს ააგლიჯეს შვილის კუბოს. ან რად არ დამარხეს იმასთან, რადგან შვილის შემდეგ ქვეყანა ცარიელი დარჩა მისთვის და ბნელი? მივიდა მარებიც, შეეხო ტუჩებით მიცვალებულს და დაკრთა, გველნაკბენივით დაიხია უკან: ცივი იყო კანი, ლორწოიანი; რა საშინელი სუნი ჰქონდა! მთლად უარყო ქალის ბუნებამ მიცვალებული, გაწყვიტა მასთან ყოველივე კავშირი. აღმასხან აწ თვით სიკვდილი იყო, არარაობა საზარელი, და მარტო ჰაზრმაც კი, მასთან რაიმე კავშირის ჰაზრმა, შიშის ზარი დასცა სიცოცხლით სავსე ქალს, შეადრწუნა ის.

ამის შემდეგ აღმასხან დღითიდღე განზე იწევდა მარებისაგან, ჰშორდებოდა მას და ჰაეროვანი ხდებოდა, ქრებოდა, ძლივსღა მოსჩანდა არარაობის სივრცეში. ქალს, ცოტა არ იყოს, უკვირდა თავის თავისაგან ქმრის ესეთი მსწრაფლი მომგლოვება, უხერხულადაც მიაჩნდა ეს და თავს ძალას ატანდა: რამდენჯერმე სცადა ცოცხლად წარმოედგინა თავის კაცი, გაეახლებინა ოცნებაში მასთან კავშირი, მაგრამ ამაოდ! ქმარს, სიცოცხლის დროს რომ არ იყო მისი მახლობელი, ეხლა როგორღა დაახლოვებოდა?! გული არა თბებოდა მის მოგონებით, გონება სულ სხვა სურათებს აწვდიდა.

ქალი მაინც მისდევდა ადათს და უკლებლად ასრულებდა მოვალეობას მიცვალებულისადმი. მეშვიდე დღეს საფლავზედ რომ გავიდნენ ქალები, დედა ისე ჩასცქეროდა და ჩასტიროდა აღმასხანს, თითქო ცოცხალი ჰყავს დედმიწაშიო; მარებმა მხოლოდ ახლად აგროვებული მიწა ნახა იქ, რომელიცა ჰფარავდა არარაობად ქცეულს მის კაცს, აღმასხან აღარ არსებობდა მარებისთვის არც მის გულში, არც სამარეში, არც საფლავს იქით; განქრა აღმასხან, აღიგავა პირისაგან ქვეყნისა და ბიამანზე დამრჩალი ქალი უნებლიეთ მომავლისაკენ იყურებოდა.

5

მომავლისაკენვე იყურებოდა ზურაბი და ძალიან გაფაციცებით, რადგან აგერ მეორმოცე წლისაკენ დაქანებულიყო და ჯერ ისევ მარტოხელი იყო, უცოლშვილო; უშვილ-უძეოდ გადაგება კი ძალიან ემძიმებოდა.

ზურაბი უმეუღლეოდ იყო დარჩენილი უბრალო შემთხვევით კი არა და არც მისთვის, რომ არ უნდოდა ცოლის შერთვა, არამედ იმიტომ, რომ დიდ არჩევანში იყო, ბედი კი ჯერ ვერ შეხვედროდა. უზრუნველყოფილი გამოცდილი ვაჟკაცი არც ფულს ეძებდა, არც მისადევარს, მხოლოდ იმას ნატრობდა, ქალს დაეტყვევებინა ის, უნებლიეთ მიეყვანა საყდრის კარამდინ. სიყვარულს ელოდდა ვაჟკაცი, სიყვარული კი არსადა სჩანდა, თუმცა ქალი ბევრი ერტყა გარს და ბევრი ეძლეოდა.

მოწონებით ბევრი მოსწონდა ზურაბს, მაგრამ აქამდის ჯერ ვერავის შეეხოჟა ის, ვერვის შეება მისთვის საბელი, რომ ძლიერად მიეზიდნა იგი თავისკენ. იყო კაცი სურვილის მეიდანზე გაჩერებული და ფალავანივით აქეთ-იქით იყურებოდა თითქმის დარწმუნებული თავის გულის უძლეველობაში.

ამ დროს იყო, რომ მარებს გამოეცალა ხელიდან აღმასხანი. ზურაბის საათმაც ეხლა დაჰკრა და ისე უცბად, მოულოდნელად, მკაფიოდ, რომ გაანცვიფრა ვაჟკაცი.

წინადაც კარგად იცნობდა ზურაბი მარებს, ისიც იცოდა, ლამაზი ქალი იყო ის, მაგრამ მუშტრის თვალით არ შეუხედნია მისთვის, რადგან პატრონი ედგა თავს შეყვარებული და ზურაბი სათავისოდ ვერ მოიფიქრებდა ქალს. იცნობდა ქალს, როგორც მეზობელს, გული კი არ უთქმიდა მისთვის, ვითარცა ცოლისათვის მოყვასისა

თვისისა; ეხლა როცა მარეხი თავისუფალი შეიქნა, ვაჟკაცმა გონების თვალი გადაავლო ქალს. ეს პირველ დღესვე მოხდა, ტირილში. ზურაბმა რომ დაინახა ცრემლებით სავსე შავი თვალები, ნამნაბურებ ვარდად მოეჩვენა დაცრემლილი სახე, სათავისოდ გამზადებულ ვარდად, რომელსაც აქამდინ უიმედოდ დაემებდა ყველგან და რომელიც იქვე ახლო ყოფილა, მის გვერდზე. მისი ვარსკვლავი სხვის ხელში ყოფილა მეზობლად, იმას კი ეს აზრადაც არ მოსვლია. გაკვირდა კაცი, როცა იღბალმა თვალები შეანათა მას, მისმა ნანინატრმა ბედმა, რომელიც თურმე იქვე იმალებოდა, მის გვერდით, სხვის უბეში. თანაც დაღონდა, რომ ეს მისი ბედი სხვას ჩაჰვარდნიყო ხელში, სხვას მიეთვისებინა, სხვას ემღერნა მასზე ტკბილად.

– შემთხვევით ამცდენია თავდაპირველ ეს ქალი. საბრალო აღმასხან! თავის ბედი ჰგონებია და შეჰყვარებია. ქმარი იყო და მაინც შეყვარებული, ცოლის არშიცი, მის ეშხით გატაცებული.

– სიყვარული სიყვარულს გამოიწვევს და, ერთხელაც იქნება, გათბება მარეხის გული, – ფიქრობდა ის. არ კი იცოდა ბეჩავმა, მარეხი სხვის სახელზე იყო გაჩენილი, სხვის იღბალი შემთხვევით მის სახლში მოთავსებული; მარეხის გული ვერასდროს ვერ გათბებოდა მისთვის; მის გულში აღმასხან ვერ მოიპოვებდა ადგილს.

ამგვარ ფიქრებში იყო გართული ვაჟკაცი და თან დაშტერებით შეჰყურებდა მგლოვიარე მარეხს, თვალს ვეღარ აშორებდა მას.

მარეხმა იგრძნო, რომ ვიღაცის თვალთა ისარი ესობოდა მას და შეიშმუშნა, უნებლიეთ კულულებზე გადისო ხელი, ყელი შეიღერა, შესწორდა. უნდოდა თვალი გაეპარებინა ხალხისაკენ და შეენიშნა ის, ვინც მზერით უხიბლავდა მის არსებას, მაგრამ შეუძლებელი იყო ჭირისუფლისათვის თვალთერება და ქალმა წამწამი ვერ ახარა ზევით.

6

მარეხი გრძნობდა გამოურკვეველ ძალის ზეგავლენას, მის ძლიერს და სასიამოვნო მოქმედებას თავისზე, მაგრამ ვერ გამოერჩია ამ ძალის სათავე. ვერ შეეგნო ზემოქმედების მიზეზი: გარემოება ხელს არ უწყობდა დაჰკვირებოდა და შეენიშნა, რაც საჭირო იყო. ან რას ეგვანებოდა, მძიმე შავებში ჩამჯდარ ახალგაზრდა ქვრივს თვალი გადაეველ-გადმოეველო ხალხისთვის!

ამ გამოურკვეველმა ძალამ, მასზედ მოქმედმა საიდუმლო ძალამ, ძლიერი ცნობისმოყვარეობა აღძრა ქალში; რახან ერთხელ ქალის გონება სხვა საგანმა მიიზიდა და ახალი საფიქრებელი გაუჩნდა, შეღავათის კარი გაეღო მის შავბნელ გრძნობებს.

საიდუმლო გამოირკვა მხოლოდ მესამე დღეს, როდესაც აღმასხანის დედა უკანასკნელად დაეკონა თავის შვილს და მარეხმაც მიჰბაძა დედამთილს. ზურაბმა ჯერ დედა ააგლიჯა მიცვალებულს და მემრე ქალს შეახო ხელი ასაყენებლად; ამ შეხებამ აგრძნობინა მარეხს ყოველივე ცხადად.

ქალმა ცრემლებით სავსე თვალები მიაპყრო ვაჟკაცს და იმის თვალებში ამოიკითხა მისი საიდუმლო სულისკვეთება, ხოლო თავისი ახალი ნუგეში.

არც იუცხოვა მარეხმა იგი ნუგეში, არც უარჰყო, როგორც დაჭრილმა არ უარჰყოს მისწრებული ძალამო. მაგრამ ქალ-ვაჟთა შორის ჯერ არაფერი იყო თქმული. ვერც ვერაფერს გაუბედავდა ვაჟი იმ ძნელ გარემოებაში. ზურაბის სურვილი მხოლოდ ის იყო, ქალის გონება როგორმე მიეპყრო, თავისკენ მიეხარა.

უმატა ზურაბმა ზრუნვა მარეხის ოჯახისთვის. მიზეზებიც ბევრი ჰქონდა: ამ არეულობაში ყველგან საჭირო იყო ერთგული მეზობლის სიტყვა და მოსაქმე ხელი.

გავიდა ხანი და მარეხი შეეთვისა იმ ჰაზრს, რომ მას ჰყავს ერთგული მეგობარი, რომელიც თანაუგრძნობს, სიხარულით ეხმარება და დაუზარებლივ ასრულებს მის სურვილს. მით უფრო ადვილი იყო მარეხისთვის ყოველ შემთხვევაში მიემართნა ახალი მეგობრისთვის, რომ ზურაბის დახმარებას ქველმოქმედების სახე ჰქონდა, გაჭირვებულთა ხელის აპყრობის ხასიათი. ეს გარეგნობით, თორემ თვით ქალისთვისაც ამ ქველმოქმედებას სხვა სარჩული ედო, ახალგაზრდა ქვრივისათვის გულმოსალობი.

– ღმერთმა უშველოს ზურაბს! ზოგ მახლობელს და ნათესავსაც არ შესტკივა გული და არ გამოადგება კაცს გაჭირებაში ისე, როგორც ჩვენ გამოგვადგა ჩვენი მეზობელი ზურაბი! – იტყოდნენ ქალები.

ვაჟკაცმა უხშირა მარეხთან სიარულს: ბევრი მიზეზი გამოჩნდა მისვლამოსვლისთვის. დედამთილი ჯერ ვერაფერსა ხედავდა; ცხარე ცრემლს დაევესო მისთვის თვალები და მწუხარებას დაებრძავებინა; ხუთი-ექვსი თვის შემდეგ აიღო იმანაც ალღო. ვაჟკაცს ვერაფერს ამჩნევდა, რადგან ის ერთობ მოკრთალებით და ზრდილად იქცეოდა, რძალს კი შეეტყო გულისთქმა: ქალს გულს ნისლი გადაჰყრიყო, სევდა მოსწმენდოდა, სახე უღიმოდა, გაღალანებულიყო, კოპწიაობდა ძაძაში.

– გინახავს ძაძით მოსილი ქესკუმი ქვრივი, ქვექვეით რომ მიდის მალხაზი და გავლილ გზას სურვილთა ფურცლით ჰფენამს?

– არ გითვალთვლებია?! რა უშნო ხარ!..

დედას ეხლა მეორედ მოუკვდა შვილი და დამწვარმა მწარედ აყვედრა რძალს:

– ქალო! ჯერ შენი საბრალო ქმარი საფლავში არ გაციებულა, შენ კი ჰლალობ და ლამის შეურაცხჰყო მისი სახელი!

რძალს ემწვავა მართალი და ცივად უპასუხა:

– რა კეთილი ვნახე შენი შვილის ხელში? მაინც არ ვუღალატებდი მას, თუ შემრჩენოდა, მაგარამ როცა ის აღარ არის, ჩემ ყმაწვილქალობას რად ჩავალბობ მის სამარეში!..

მართალიც უთხრა ქალმა! რად არ უნდა მოეწყვიტნა ცხოვრების ყვავილი ხელახლად? განა მეორედ გაჩნდებოდა ამ ქვეყნად!

გადადო წელიწადმა თავი თავს. რა შეუძლიან წელიწადს! მარეხაანთ წლის განმავლობაში არაფერი დაუკლიათ მიცვალებულისათვის, ყოველივე წესი შეუსრულეს აღმასხანს, ისე რომ საიქიოს ყოველთვის ახალ-ახალი ტაბლა ედგა მას წინ და უხვი. სულეთში ბევრი შეჰნატრიდა განსვენებულს, რომ ისეთი მარჯვე მომხსენებელი დარჩომოდა ამქვეყნად.

დადგა გაზაფხული და გაღვივებულ ბუნებას მისცეს ბანი კაცთ გულში გაღვიძებულმა გრძნობებმა. ყვავილთ დღესასწაული იყო, სულთმოფენობა და ყვავილებითა რთამდა ხალხი ძვირფას სამარეებსაც. მარეხიც გამოსულიყო სასაფლაოზე, ქმრის სავანე ეკურთხებინა, ვარდ-ზამბახი გადაეფინა. დარდები აჰშლოდა, თვალთ ცრემლი მოსდენოდა და მარგალიტად მოჰბმოდა წამწამს.

ზურაბსაც გამოეტანა ყვავილები თავისიანთ მოსახსენებლად და მათ სამარეების შესამკობლად.

მღვდელ-დიაკვანი აჩქარებით გამოვრდნენ მკვდართა სავანეს. დაღონებული ხალხი ნელ-ნელა მიდიოდა სასაფლაოდან. აქა-იქა მოჩანდა შავით მოსილი მწუხარე, რომელსაც ვერ ეთმობოდა საყვარლის საფლავი. მარეხიც ქმრის სამარეზედ იყო საფლავის ქვაზე ჩამომჯდარი.

ზურაბ ნელის ნაბიჯით მიუახლოვდა მარებს და მოიკითხა. ქალმა რომ შეანათა მას თვალები, ცრემლებით სავსე შავი თვალები, ვაჟკაცს გულს სევდა უკუ ეყარა. თვალთა ციაგი ცისარტყელად გამოკრთა ცრემლებში და იგი ცისარტყელა იყო იმედი თუ სიხარული ვაჟისა.

– ცხონებულის საფლავი გიკურთხებიანებია, ქალო! – უთხრა ზურაბმა და ჩამოჯდა ქვაზევე.

– დიახ, ყვავილებით შევამკე საცოდავის სამარე.

– მეც ჩვეულებისამებრ გამოვედი სასაფლაოზე, მაგრამ ვხედავ, არარაობა სუფევს აქ. ჩვენ კიდეც რაღაცა გვეგულება მიწაში, მაგრამ როცა კი აქ ამოვალ, ყოველთვის ცხადადა ვგრძნობ არარაობას.

– დიად, შორს არიან მიცვალებულნი ჩვენგან, დიდი მზღვარია სიკვდილ-სიცოცხლის შუა.

– რამოდენაც არსებობის და არარაობის შუა.

– ეჰ, ჩვენც ერთხელ ესევე უნდა განვქრეთ.

– მანამდის კი უნდა დავტკბეთ არსებობით, ამ უძვირფასეს განძით, რომელიც მოგვნიჭებია გამჩენისაგან. უნდა შევტრფოდეთ ცასა და ქვეყანას, შევფრფინვიდეთ მზის სხივს, ვილოცავდეთ ტურფად შემკულ სამყაროს; უნდა შევტრფოდეთ ერთმანეთს! – თქვა ვაჟკაცმა და აღზნებული თვალები დაანათა ქვრივს.

ქალმა თავი დახარა, ვარდისფერი გადაეფინა ოდნავ მკრთალ სახეზე; ზამბახის ტოტს დაუწყო ხელში ტრიალი, მუხლებზე რომ ედო იმ ხელში.

ვაჟი შეეხო ზამბახს და უთხრა:

– ხედავ, მარეხი, ერთი ყვავილი რომ მთლად გაფურჩქვნილა ამ ტოტზე, მეორე ჯერ ისევ კოკორშია; როდესაც ის დაჰკნებოდა, მაშინღა გაიშლებოდა ეს მეორე: სადაც ერთი ყვავილი ჰკნება და მოისთვლის, იქ მეორე იფურჩქნება მზის სხივზე. ჩემი ცხოვრების ყვავილი ჯერ ისევ კოკორშია გაუფურჩქნავი. შენ უნდა გაუხდე, მარეხი, მას მალხინებელ სხივად, რომ გადიშალოს სუნნად სუნნელად! – უთხრა ვაჟკაცმა.

და ყვავილის ყლორტიდან ხელი ქალის მაჯაზე გადაიტანა.

ქალმა ოდნავ გასწია მაჯა, არც კი გააცალა. იგრძნო ვაჟკაცმა, რომ დაჰკრა მის ბედნიერების წამმა და სურვილით დაეწაფა ნაქანდაკებ მაჯას.

გაისმა ბუჩქში შრომანის სტვენა: ის უგალობდა ძლევეამოსილ სიყვარულს, რომელიც ჰფურჩქნის დაუცხრომლად ახალ-ახალ კოკორს სიცოცხლისა.

[1905 წ.]

ქ ა ლ ა ქ შ ი

დღესასწაული მოახლოვებულიყო, ხალხი სავაჭროდ გამოეწვია შუა ბაზარში. ზემო ბაზარზე, შეითან-ბაზარში ყანთრის გარშემო – ყველგან მუმტარი ირეოდა. ხორცეულს თუ თევზეულს, ხილეულობას, ჩითრუთს თუ ფარჩეულობას, ჩოხა-ახალუხს, მაზარასა თუ ნაბადს, ტიკინ-სათამაშოებს – ყველაფერს ეხვეოდნენ. ისეთ დუქნებშიაც შესულიყვნენ, სადაც ძნელად თუ შეიხედავს მუმტარი, რადგან იქ ან

დახავსებული სავაჭროა მამასისხლად, ან საქონელს ისეთი ნავსი ვინმე დაჰკანკალებს დაღრეჯილი, რომ მისი დანახვა ჰმხამავს ადამიანს.

სავაჭრო, სანოვაგე თუ ტკბილეულობა, კარზე იყო გამოტანილი ხონებით, ხონჩებით, გრძელ სკამებზე, გაქონილ ფიცრებზედ, პირდაპირ ტალახში ყუთით თუ უყუთოდ. მოქუშულ ციდან სავაჭროს ნამი ეპკურებოდა, თოვლ-ჰყაპი, ხოლო ქვეიდან წუმპე შესდგომოდა. მთელი საქონელი შესვრილი იყო ტალახით. ჟინჯლივე ჟღენტავდა მყიდველ- გამყიდველს, ტალახითვე იყვნენ იგინი შეთხუპნულნი, რადგან ამ ვიწროებში მიმავალი ეტლები ფოსობზე თუ ამოცვინულ ქვებზე ჯაყჯაყში ტალახს ასხურებდნენ ყველასა და ყოველსავე.

წუმპე მოწანწკარებდა რუებად, მოჰქონდა ნაგავი და მოტანილ ბუჩოთივე შეგუბებული ტბორდებოდა ადილ-ადგილ. სახურავებიდან და დაფხავებულ მილებიდან ჩამონადენ წვეთს აეტალახებინა პანელები. შედედებული, კოჭამდის საფლობი ტალახი მოსდებოდა მთელ ქუჩებს; აქა-იქ ღრმად შენივთებულიყო ტლაპო და ზიმზიმებდა დაფერადებული. შიგადაშიგ დინჯად დადიოდნენ ტახები, დინგს დააცურავდნენ წუმპეში და მშვიდის ღრუტუნით იწიალებდნენ იქიდან გადანაყარ ნაწლევს, დამპალ ხილს, ლახანას, თევზის ნაგლეჯს თუ სხვა რამ საკბილოს. ბაზარს უერთდებოდნენ აქეთ-იქიდან ვიწრო ქუჩები და უერთდებოდნენ შავს ტალახს ტალდა-ტალდად. თეთრად თუ ფერადად ნალები კედლები მთლად დაჩითულიყო, გაწუნწკლილიყო.

– აშენდა ჩვენი მუშტარი, აშენდა!

– აშენდა, მა რა მოუვიდა, როცა ლაყუჩებჩამპალი თევზი აჰკიდე!

ბაზრის თავსა და ბოლოს ჩამწკრივებულიყო სოფლელი დედაკაცობა. გასასყიდად ამოტანილი მწვანლეულობა, ხილეული, კვერცხი, ფრინველი, გოგრა, ჭარხალ-სტაფილო, ხახვ-ნიორი, ჩურჩა თუ კერკი, სისირ-ლობიო – ყველა ეს ტალახში ეყარა კალათებით, მწვირიან ხელსახოცებზე თუ პირდაპირ გამყიდველნიც ტალახშივე ისხდნენ მოკეცილნი და დაჟინებით ჩინჩობდნენ შეთხუპნულები. არც ფარდულო მათთვის, არც რამ თავშესაფარო! შიგადაშიგ მოსჩანდა სუფთად ჩაცმული, ჩითის თათმანებით ხელზე. ეს ბაღდადს თუ თავსაფარს იფარებდა ხან ლოყაზე, ხან ბაგეზე, თვალს კი აპარებდა, აბზენდა. არ იჯდა, კაბას უფრთხილდებოდა. მის წინ სავაჭრო არ ეწყო: მას საკუთარი სანუკვარი გამოეტანა ბაზარზე.

მოსიარულე ათასი ჯურა იყო: ქალი, კაცი, პატარა, დიდი, ქართველი, თათარი, სომეხი, რუსი, ლეკი; ევროპიულად ჩაცმული, კაბა-ახალუხში გამოწყობილი. ტყაპუჭიანი, ნაბდიანი, ქურქწამოსხმული თუ მაზარაში გახვეული, ლეჩაქგაფრიალებული თუ შაპოწამორქმული. აჭრელებულიყო ტანისამოსი: მოსჩანდა ყველა მოდა, რაც კი ამ ოც წელიწადში გამოცვლილა.

მიდიოდნენ დინჯად, აუჩქარებლივ. უფრო შუა ქუჩას ეტანებოდნენ. ფეხქვეშ არ იყურებოდნენ, ქვიდან ქვაზედ არა ხტებოდნენ. იცოდნენ, რომ მანძილი არ იყო დიდი და აჩქარება საჭირო; რომ შუა ქუჩაზე უფრო ნაკლები იყო ღრანტე, ხოლო ტალახი უფრო გათქვეფილი და ადვილად საპობი. ესენი ქუდს არ უხდიდნენ ერთმანეთს, მხოლოდ თავს უკანტურებდნენ. არც რას საუბრობდნენ; ნაწყვეტ სიტყვას თუ ესროდნენ ერთმანეთს.

– თენგიზ! ქეიფზე?

– კარგად!

– კონჩხა! რა მიგაქვს?

– კარტოფილი.

– თხუთმეტი შაური?

– თხუთმეტი!

ამათ ზეპირად იცოდნენ ერთმანეთი, მოწყენილი ჰყავდათ ერთმანეთი, როგორც იცოდნენ მთელი აქაურობაც. ესენი აქაურები იყვნენ.

სხვები უფრო პანელს ეტანებოდნენ, ქუჩის ნაპირებს. მოგებაში კი ვერ იყვნენ: მათი ხვედრი იყო დასიპული სასხლტომები, მოლიცლიცებული ფოსოები, ნაჟონი კრამიტებიდან თუ ჟანგით შექმული მილებიდან. ესენი ფეხაჩქარებით მიდიოდნენ, რადგან ეს პატარა ბაზარიც სოფელთან შედარებით მანძილად მიაჩნდათ. მათ ქალებს მაღლა აეწივნათ კალთა, დაეკარწახებინათ. ხშირად ჩერდებოდნენ დუქნების წინ და შესცქეროდნენ გამოფენილ ფართალს თუ გახუნებულ-გაცქვლეფილ სათამაშოებს. ნაცნობებს ქუდს უხდიდნენ, სალამს აძლევდნენ, ხელს უწვდიდნენ, მოუკითხავს არ უშვებდნენ, საკოცნელად იწევდნენ. ესენი მოსულები იყვნენ, სოფლელები. ბულვარშიაც შესულიყვნენ ყელმოდერებულნი: ნევის პროსპექტი ეგონათ გუბეებით სახსე ბაკი.

რამდენჯერმე გაველ ბაზარში და დავბრუნდი დაბარგული.

– დაიწერე, კაცო, სავაჭრო, რომ ათასჯერ არ ირბინო!

– ჭკვიანი რჩევაა! მაგრამ ასრულება არ უნდა? ახლა ჩაწერე ყველაფერი და ბაზარ-ბაზარ სიით იარე! ან რა საჭიროა? თუ დამავიწყდება რამ, კიდევ გავალ. რა დიდი მანძილია?! საინტერესოც არის არეულ ხალხში გარევა. რას არ გაიგონებ, რა სახეს არ ნახავ! სახე უდარდელი, სახე მოღუშულ-დაღვრემილი, სახე ალქაჯი, სახე აზრიანი; თვალი სასტიკი, თვალი მაცთურად მოდიმარე; ღიმილი ქლესა, ხარხარი გულახდილი, მოსწრებული სიტყვა; პირმოხეული ლანძღვა; ხვნემა მუშისა ცხრა ფუთიანი ტომრის ქვეშ და ტორტმანი გალიპულ ქვებზე. ათასი სურათი ჰხვდება თვალს, ათასი ხმა სწვდება ყურს და ართობს ადამიანს. ფიქრს თუ გრძნობას უღვიძებს.

ამ სახითაც უნდა შევიქციოთ თავი წუმპეში მომწყვდეულებმა, თორემ ბოლმა დაგვახრჩობს.

სულ წვრილმანზედაც არ ხურდავდება ყურადღება, მომსხო შთაბეჭდილებასაც შეჰხვდებით. აი ეხლაც, ყანთართან რომ გაველ, კონჩხამ მიიპყრო ჩემი ყურადღება. ვერ იცნობ კონჩხას?! აქაური არა ხარ, თორემ კონჩხას მოხარშულსაც იცნობდი. იჯდა კონჩხა ფარდულქვეშ ფქვილის ტომრებზე. მიჰყრდნობოდა კურტანს როგორც სავარძელს, ფეხები სხვა ტომარაზე ჩამოეწყო. სიამე გადაჰფენოდა სახეზე, ფეხსაცმელს იცვლიდა. ფეხი ძველებით გაიმშრალ-გაისუფთავა, აიღო ახალი წინდა-პაჭიჭი, გადაბრუნ-გადმოაბრუნა; შიგ ჩაიხედა, გაჭიმ-გამოჭიმა, წინდას სახვევი გაუსინჯა. გულდინჯად იცვამდა, აუჩქარებლივ, სასიამოვნო წამებს აგრძელებდა, ქეიფს ეწეოდა. კოხტად ჩაიტანა პაჭიჭი წინდის ყელში და მარჯვედ შემოახვია სახვევი. ჩაიცვა მესტებიც და დაკვირვებით დაუწყო ფეხს სინჯვა: მაღლა ასწია, გადააბრუნ-გადმოაბრუნა, დახედა ზევიდან, შეხედა გვერდიდან. ფეხი იყო, ადამიანური ფეხი! სუმბუქი, პატარა, კოხტა. ისეთი კი არ იყო, როგორც ძველებში: გატყაპნული, მოსვრილი, ნალოსავით მძიმე, ტლანქი რამ უსახო. ფეხი სასიამოვნოდ იდგა მშრალ სამოსში, აღარა გრძნობდა კონჩხა იმ საზიზღარ ლიპ სისველეს, რომელიც ცივად ჭუპჭუპებდა ძველებში ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე.

ნესტის მოგონებაზე შეაჟრჟოლა კონჩხას, უსიამოვნოდ დაედრიჯა სახე. რა ცუდები იყო ძველები! კონჩხამ დამცინავი ღიმილით გადახედა ძველმანს, რომელიც იქვე ეწყო ტომარაზე მწვირიანი, შესვრილი, პირდაღრენილი, დაკონკებულ-დაჯღანებული, საძაგელი.

განა მოიფიქრებდა კონჩხა, ხელღონიერი, მხარბეჭგადაშლილი კონჩხა, რომ ისე დაძაბუნდებოდა, ისე დაეცემოდა, რომ იკადრებდა ამისთანა ლაფიან ჯღანების ფეხზე

ამოცმას, ამისთანა ფეხსამოსით შუა ქალაქში სიარულს! რას მოიფიქრებდა იმედებით სავსე მოხდენილი ახალგაზრდა, რომ მხოლოდ მისი ფართო ბეჭები, მხოლოდ მისი ძალუმი ზურგი შეიქმნებოდა იმის ცხოვრების ღონედ?! განა ესეთი იყო მაშინ კონჩხა და ესე იცვამდა?! ვინ დასდებდა მაშინ წუნს მის სუფთა წინდა-პაჭიჭს, მის კობტად ჩახლართულ ქალმებს, მის გამოწყობილ ჩოხა-ახალუხს! მაშინ ვინ შეჰხედავდა აღმაცერად მოსხეპილ ბიჭს ნაბდის ქუდით ქოჩორზე? ვინ გაიფიქრებდა მის დაჩაგვრას?! თავმომწონე და მოსაწონი კონჩხა ყველასათვის სასიამოვნო იყო მაშინ, არავისაგან არ იყო დასაწუნ-დასაგმობი. დასაწუნი კი არა, ბევრ ოჯახს ეჭირა მაშინ თვალი ამ მარტოხელა მამულის მექონ ვაჟკაცზე, ბევრ ქალს უძგერდა მისთვის გული. თითონაც ეჭირა თვალი მეზობლის ქალზე და სათავისოდ გამოელოდდა მას. შორს დარჩა ყოველივე ეს!

– რომ მნახოს ვინმე მათგანმა ტვირთით ზურგზე, დაკონკებულ-დაჯღანებული, ხვირთქლიან-ტალახიანი! – გაიფიქრა კონჩხამ და აღმურმა აჰკრა სახეზე.

ჩაითრია ქალაქმა, დახარა, დაამაბუნა, მონობის უღელი დაადგა ქედზე და კისერწაწვდილს ამუშავებს მშიერ-ტიტველს, როგორც პირუტყვ რასმე საქონელს. სულ უბრალო შემთხვევამ კი აქნევინა მას პირი ქალაქისაკენ და ჩააგდო იგი ამ ყოფაში, ამ გაჭირებაში, თორემ ეხლა კარგად მოწყობილი ოჯახიშვილი იქნებოდა, პატივცემული და პატივსაცემი. ამისთანა საზიზღარ ჯღანებს ფეხზე კი არა, ეზოშიაც არ დააყენებდა, ნიჩბით გადაჰყრიდა ღობის გარედ – რა დარაკრაკებული ეზო ედგა!

ზიზღით გადჰხედა კონჩხამ ჯღანებს, როგორც მის ბეჩავ ცხოვრების გამომხატველებს, და განზე გაიწია, თითქო ჰსურდა მოშორებოდა მათ.

– მუშა, მუშა! – გაისმა რიხიანად.

კონჩხა მსწრაფლ გამოერკვა ოცნებებს, წამოხტა, დაავლო ჯღანებს ხელი, ამოიჩარა ილღიაში და გაძუნძულდა კურტნის სწორებით.

[1908 წ.]

ლერწამი რხეული

1

– უეცრად მოშორდა ეთერი აქაურობას, გაიჭრა მოულოდნელად, შემკრთალი გვრიტივით გაფრთხილდა ბუდიდან; მოსწყდა ჩვენს არემარეს, როგორც ვარსკვლავი ცის კამარას!

– ვინ იფიქრებდა! იყო თავისთვის შრომაში გართული, ლუკმისათვის მუშაობაში. აქვე მოახერხა საქმის პოვნა, შორს ტანტალი აღარ დასჭირდა; ეს ძვირფასი იყო მისთვის და იმის ხელმოკლე ოჯახისათვის.

– პატივიც დაიმსახურა პატიოსანმა.

– ბოლოს დროს დარდი რამ ემჩნეოდა: გული უჩქროდა, ოხრავდა, საქმეს ერთგულად ვეღარ ეპყრობოდა, ტოლს-სწორს ერიდებოდა; თუ ხალხში მოჰყვებოდა, ღელავდა.

– ამბობენ, გვარად მოუდითო მარგაშვილებს უცნაურობა: ჰხედავთ, სიკეთით არის შემკული ადამიანი და მიდის მშვიდად თავის გზაზე; მოულოდნელად დაჰკრავს ქარი რამ და საოცარს ჩაადენინებს.

– რა სათქმელია! ყველასა სჩვევია უცნაურობა ხანდისხან. მდორე წყალიც შეითამაშებს, შესტყორცნის მოულოდნელ ტალღას. არა, სხვა მიზეზი ჰქონდა ეთერს, სხვა გულის ტკივილი; მას აქეთ დაეტყო ქალს უცნაურობა, რაც დარისპანმა უღალატა.

– ჭკუას ახლოა! ისეთი საქმე ჩაეშალა მაშინ, სიცოცხლედ უღირდა.

– ოღონდაც!

– ამბობენ, მეტად იყოფო დაახლოვებული ყმაწვილ კაცთან.

– იქნება კიდეც იგემა ნაყოფისაგან ხისა მის ცნობადისა.

– თუ ეგრეა, სხვა გზა აღარ ექნებოდა ქალს, აქედან გადაკარგვის მეტი.

ასე უბნობდნენ ეთერზე; დიდი მითქმა-მოთქმა დაჰბადა ამ ქალის უეცრად წასვლამ. დიდ ქალაქში ამისთანა ამბავი შეუმჩნევლად დარჩებოდა, რადგან იქ ყველას მხოლოდ თავისი თავი ახსოვს და საქმე არა აქვს მასთან, რა ხდება კედელს უკან. მაგრამ ამისთანა მცირე დაბაში სხვაა, აქ ჭრელ რამ პეპელას გაფრენაც შესამჩნევია, ეთერი კი ჭრელი ფარვანა იყო აქაურობაში და საამო.

2

ღარიბი ქალი იყო ეთერი. მისი მამა გროშს ემსახურებოდა. სწერდა მთელს დღეს, სწერდა განუწყვეტლივ და თან თავის პატარებზე ფიქრობდა: მათ დღიურ გამოკვებაზე დარდობდა. ამაზე შორს ვერა ფრინავდა მისი ფიქრი, რადგან მხოლოდ გამოკვებაც ოჯახისა, პურის მიწოდება მძიმე ტვირთი იყო მისთვის. ბევრჯერ უნატრია აბრამ მარგაშვილს თუნდ მცირეოდენი ქრთამი ან პოვნა ცოტაოდენის ფულისა, მაგრამ ფულს იმის ბედობაზე არავინ აპნევდა და ქრთამზე ფიქრით კი ამოდა სცოდავდა მუშაკი გულსა შინა თვისსა: ქრთამის აღების შნო არა ჰქონდა, პატივისცემის გახსენებაზე წითლდებოდა; პატიოსნად იყო გაჩენილი ბუნებით, მხოლოდ ბედს ძალიან მოკლედ დაემა და შიმშილით აღრძობდა.

– არა გჯერა, რომ ზოგი კაცი ბუნებით იბადება უანგარო? ტყუილად არა გჯერა!

ამ კაცს ერთადერთ ნუგეზად ის უჩნდა, რომ შვილები საუცხოოდ სწავლობდნენ და მალე დაიმსახურებდნენ ხოლმე ქველმოქმედების ყურადღებას: შრომისმოყვარეობა ძირითადი თვისება იყო დაულალავ მუშაკის შვილებისა.

აბრამას ქალმა ეთერმა წარჩინებულად გაათავა სასწავლებელი და იმ დღიდან შრომობდა ისიც თავჩალუნული. უბრალოდ იცვავ-იხურავდა სადა ცხოვრებას შეჩვეული, არ ანებივრებდა თავს და შრომის ნაყოფს თავის ღარიბ სახლში ატრიალებდა. გვერდში ამოუდგა მამას, ტვირთი შეუმსუბუქა, გულს იმედი ჩაუსახა.

ოჯახზე ზრუნვით მოცული ქალი შრომობდა განუწყვეტლივ, ბუნება კი თავისას თხოულობდა: ნორჩი იყო და ყვავილოვან სიცოცხლეზე ფიქრობდა, ეშხით ღვივდებოდა, სიყვარულით იმსჭვალებოდა, ბედს ელოდდა, ზღაპრულ იღბალს.

მოვა განათლებული, ყოვლად პატიოსანი რაინდი, თვალს გადაავლებს არემარეს და ერთის შეხედვით იცნობს ქალის გულს, მის მოლოდინით გამსჭვალულს და აღფრთოვანებულს. მოვა, გაუღიმებს, მკლავს მოჰხვევს ძლიერს და გაიყვანს ბრძოლის მოედანზე, ქვეყნისათვის სანუგეშო ბრძოლის არეზედ. მისდევს ეთერი თავის ბედის ვარსკვლავს ეკლიან გზაზე, უადვილებს თანაგრძნობით საქვეყნო შრომას, ტანჯულ გულს უხალისებს, უმხნევებს ახალ-ახალი ბრძოლისათვის, ხოლო მის სანაცვლოდ ელის მისგან ტკბილ ალერსს.

– ეთერო ჩემო! ჩემი შრომა და მისწრაფება მხოლოდ სხვას უკვალავს გზას, მხოლოდ მოძმეს უნათებს ბნელ სავალს, შენთვის კი, პირად შენთვის, ურგები ვარ;

უზრუნველი ყოფა ვერ მოგიპოვებ, რომ შენც გაერიო ტოლ-სწორში და მათთან ერთად მოჰკრიფო ყვავილი ცხოვრებისა.

– ნუ, საყვარელო, ნუ! შენი გზა სანატრელია ჩემთვის და სასიქადულო. განა შეიძლება მხოლოდ საჩემოდ გიგულო, როცა შენ მხოლოდ ქვეყნისათვის ფიქრობ! იარე, ნუ შედრკები! ვერავინა სთქვას: სახლზე ზრუნვამ ღონე მიჰხადა ხალხის მუშაკს, – ეტყოდა ეთერი და ტკბილად შეჰხედავდა ოცნებას.

რაინდი ჩაეკონებოდა ეთერს, მის ნათელ თვალებიდანა სწოვდა ბოროტთან საბრძოლველად ახალ-ახალ ძალებს. და ეთერი თავის ჩაფიქრებულ თვალებს მიაპყრობდა სარკეს, რომ განეცადა მათი სიმშვენიერე, სხვისთვის, იმ რაინდისათვის შექმნილი თვალთა სიმშვენიერე.

– მიყვარხარ შენ, მიყვარს შრომა შენი და მსხვერპლად მომირთმევია შენთვის ჩემი არსება! – ოცნებობს ეთერი და სარკეშივე იხედება, რომ კვლავ დარწმუნდეს, რა ღირსი მსხვერპლია მისი მშვენიერი არსება. ბედმა გამიღიმა: ახალგაზრდა, განათლებული, ქვეყნისათვის თავდადებული. გავა ხანი და მთელი ხალხი გაიცნობს მის სახელს, საყვარელ მამულიშვილად დასახავს მას, მაღლობის გვირგვინს დაადგამს მის მაღალ შუბლს და შარავანდედი იმ გვირგვინისა გამანათებს მეც. მაშინ დამნატრებს ქალი ქართველი! – ოცნებობდა ეთერი.

და სახე უღიმოდა მძიმე ტვირთის ქვეშ, გარემენი კი ვერ მიმხვდარიყვნენ, რა ჰქონდა ამ შრომის შვილს სამხიარულო, რომ სიამოვნების შუქი გადაჰფენოდა.

მისდევდა ზამთარი ზაფხულს, მიმდინარეობდა დრო დაუდგრომლად, ეთერი კი ოცნებობდა და შრომობდა. აგერ სამჯერ მოტრიალდა ბორბალი ცისა მას აქეთ, რაც ეთერი შეებრძოლა ცხოვრების ტალღებს, ქალი კი შრომობდა და ოცნებობდა. სიამის სხივი უფრო და უფრო ნათლად ციმციმებდა მის არსებაში, რადგან მისი ოცნებები უფრო ცხოველსმყოფელნი შეიქმნენ და თავს ევლებოდნენ მშვენიერს.

აგერ გამოჩნდა კიდეც ის გმირი, რომელსაც ელოდდა ქალი.

3

მხიარული ზაფხული დაგვიდგა, დიდძალი მოაგარაკე მოაწყდა ჩვენს დაბას. სასეირნო ბაღი და ჭალა, ძლივს იტევდა სტუმარს. ჩვენს პატარა მდინარეს და მის ამწვანებულ ნაპირებს იმდენი უსაქმო ხალხი არ უნახავს. რა ჯურის ტანი არ განიცადეს მაშინ მდინარის მოერვებმა, რა აგებულებას არ ეხვეოდნენ მისი ტალღები! კორდი ხომ არსდა გაუშვეს შეულახავ-შეუბღალავი: მწვანეს დანატრებული მოსული ეალერსებოდა მდელოს და ძოვნას რომ ვერ ახერხებდა, გორავდა ზედ, სთელავდა, ბდღვნიდა. მიიჩრდილა შინაური ხალხი, მიიჩულა. მოსულილა ყოყოჩობდა, მას დარჩა ბურთი და მოედანი.

ხომ პირველობდნენ მოაგარაკენი და სჩრდილავდნენ ყველას, მაგარმ, როდესაც გამოჩნდა ისეთი სხივოსანი ვარსკვლავი, როგორც იყო დარისპან ანდუყაფარის ძე ჰერეთელი, ისინი იძულებულნი შეიქმნენ უკან ჩამომდგარიყვნენ.

ჰერეთელი თავადები არიან ჩვენში, დიდი მამულის პატრონი, ცხოვრებისაგან გალაღებულ-გახარებულნი. ოდესმე მთელი ჰერეთის მმართველნი იყვნენ. ამ თავადებს ეხლაც ამაყად უჭირავთ თავი. რომ შეხვიდე მათ სახლში, რამე ღირსება უნდა გქონდეს უცილებელი: ან ჩამომავლობა, ან სიმდიდრე, ან სამსახური წარჩინებული. სახლი დახშული არა აქვთ, ყველას სიამოვნებით იღებენ, არავის არ არჩევენ გარეგნობით, მაგრამ თუ დააკვირდები, იგრძნობ, ვინ მიაჩნიათ შემთხვევით ნაცნობად და ვინ

თავიანთ ყადრ კაცად. ამას წვრილმანში შეატყობთ. თუნდ იმაში, რომ თავიანთზე მდარეს უფრო ზრდილობიანად, უფრო ფრთხილად და ნაზად ეპყრობიან.

რადგან გვარიშვილობას სიმდიდრეც შესწევდა, მისადევარიც საკადრისი იშოვა ანდუყაფარმა: ქალები პირველ თავადებზე დაათხოვა, უფროს ვაჟს დიდი გვარიშვილი და მდიდარი მეუღლე მოჰგვარა. დარისპანისათვისაც არჩეული ჰყავდა საუკეთესო სასძლო: მშვენიერი, ნასწავლი, გვარისშივილი, მდიდარი.

თითონ ანდუყაფარი იცვამდა ენიან კაბას, აბრეშუმის შარვალს. ქულაჯა ძალიან უხდებოდა. ახალგაზრდობაში ვაჟკაცურის სილამაზით ყოფილიყო განთქმული. რომ ჩამოივლიდა შრიალით ყუთმაჯგადაყრილი ბეგით ვაჟკაცი, უნებლიეთ თავს უკრავდნენ და სალამს აძლევდნენ ბატონს. ნამდვილი ბატონი იყო ანდუყაფარი, ბატონი უწინდელი, სანიმუშოდ შენახული ცნობისმოყვარეთათვის.

სასახლეც უწინდებური ედგა, ორივე მხრიდან კომკებით გამაგრებული. შიგნით კი ახალ გემოვნებაზე ჰქონდა მოწყობილი დარბაზიც და ოთახებიც. ვეება ეზო ფარშევანგებით სავსე; გვერდით – კალო-საბძელი და მინდორი, სადაც ირეოდა ხარკამეჩები, ძროხა, ცხვარი, ცხენი თუ მოჯამაგირე, საბძელთან ურემი, კევრები და ათასი სხვა სამეურნეო იარაღი. კამბეჩების საყარი გუბეც ჯერ არ მოეშალა ანდუყაფარს. ამ დოვლათის მქონე კაცს შვილებიც კარგი ჰყვანდა და ბედნიერადა გრძნობდა თავს, ნამდვილ თავადად, დიდებულად.

აი, ამ ანდუყაფარის შვილი დარისპანი რომ გვესტუმრა, სიცოცხლით სავსე ბრწყინვალე აფიცერი, მაშინვე შენიშნეს ის და ხელისხელ საგომანები შეიქმნა. ქალებმა ხომ ნატვრისთვალად დასახეს ჭაბუკი.

4

დარისპანი იმთავითვე ხალისიანი ყმაწვილი იყო, ცნობისმოყვარე, მოსიყვარულე, მაგრამ რბილი რამ, დუნე. დიდობაშიაც ეს ხასიათი შერჩენოდა. გულჩახვეული გაცალკევება არ მოსწონდა. ჩამოვიდა თუ არა, საზოგადოებაში გაერია.

ეთერს ეს ვაჟი ხატობაში შეხვდა, კერის ანგელოზობას, და დაუახლოვდა.

შეხვედები სულ უცნობ ადამიანს, რომლის სახელ-სახსენებელი არ გაგიგონია, რომლის არსებობა აზრადაც არ მოგსვლია, შეხვედები ამისთანა უცხოს და გაუღიმებ, გაეცნობი, გაუცინებ, გულს უჩვენებ, მიენდობი, დაუმეგობრდები, შეითვისებ. რამდენიმე წუთის შემდეგ ვეღარც კი წარმოიდგენ, რომ სულ ცოტა ხნის წინათ ის არ არსებობდა შენთვის, არარაობა იყო შენთვის წყვილიაღში ჩანთქმული. როგორა ხდება ესა? რა ვიცი! იქნება იყოს ისეთი წარსული რამ უძველესი, ჟამი რამ ადრინდელი, როდესაც ეს სულნი იცნობდნენ და ითვისებდნენ ერთმანეთს უწინარეს თავის აწინდელ განხორციელებისა, ვინ იცის!

დაინახა თუ არა დარისპანმა ეთერი, მისკენ წავიდა ღიმილით, გაეცნო, ხელი ჩამოართვა, გვერდზედ მოუჯდა, მოუალერსა. ეთერსაც იმის დანახვაზე გულს ვარდი გადაეფინა და ისეთის სიამოვნებით მიიღო ახლაგაზრდა, თითქოს სწორედ იმას ელოდდაო.

ქალს მთელი დღე ერთს წუთად ეჩვენა. ისე ჩაიარა ხატობამ, არაფერი არ შეუნიშნავს, არც გაუგონია. გასაგონი და შესანიშნავი კი ბევრი იყო გარშემო: ტოლ-სწორი შურით უყურებდა ქალს და ბევრი მწარე სიტყვა ითქვა მის შესახებ. ეთერმა ვერ გაიგო ვერაფერი, მისი არსება სავსე იყო ახალის ნაცნობით, არ ესმოდა, რას ამბობდნენ მის გვერდზედ, დარისპანის მეტს ვერავის არჩევდა. აქამდის რომ ეთერის აზრი და გრძნობა მისივე ოცნებით შექმნილ რაინდს ევლებოდა თავს, ეხლა ის ოცნება ხორცმესხმული წარსდგა მის წინ და თავისკენ მიხარა ქალი.

შინ რომ დაბრუნდა ეთერი, სიამოვნების შუქი ისევ უთრდოდა სახეზე. მთელი ღამე დარისპანი ედგა თვალწინ. ესმოდა, დარისპან არ იყო საიმისოდ გაჩენილი: ვინ ის, ქალი ღარიბი, შვილი საწყლისა, და ვინ დარისპანი, თავადი ბრწყინვალე, მდიდარი, მშვენიერი! იცოდა დიდი მზღვარი იყო მათ შორის, მაგრამ მაინც მასზე ოცნებობდა. მაშ რა უნდა ექმნა, როდესაც სხვა საგანზე ფიქრი აღარ შეეძლო? ან ვის რას ართმევდა, რომ ოცნებობდა? თუ სასტიკი სინამდვილე ცხოვრებისა სჩაგრავდა მას და უარჰყოფდა, ფიქრთა სამფლობელოში ხომ მძლე იყო იგი და თავისუფალი.

– ვინ გახდის საჩემოდ, თორემ დარისპანია ჩემი ნანატრი. სამხედრო სამსახურში შესულა! შეცდომით მოგსვლია, ჩემო, გზა აგრევია. სხვა სარბიელზე უნდა მოღვაწეობდე შენ! მაგრამ განა ეს დაუშლის მას შეიქმნეს უძვირფასეს მუშაკად? არა! – ფიქრობდა ქალი და საქმეს დაჰკლიმოდა, დაჰკლიდინებდა, დამღეროდა.

ეთერს რომ საგონებლად დარისპანი გაჰხდომოდა, არც ვაჟი იყო მასზე გულცივად. ის გაჰკვირდა, რომ უცნობმა ქალმა ნახვისათანავე ძლიერი შთაბეჭდილება მიიღო მასზე და მაშინვე გულს გამოეხა გადაფურჩქენილ ყვავილად. ძალიან ნასიამოვნები იყო ვაჟკაცი.

– მითხარ, დედი, ეთერი ბავშვობისას ჩვენ სახლში ხომ არ დაიარებოდა და ნაცნობი ხომ არ იყო ჩვენი.

– ვინ ეთერი, შვილო?

– არ იცი? ეთერი მარგაშვილი?

– უთუოდ აიმ ბეჩავი კაცის ქალს ამბობ, აბრამასი?

– დიად, აბრამის ასული.

– არა, შვილო, ვინ ისინი და ვინ ჩვენ?! საიდან იქნებოდა ნაცნობი და ან რად ივლიდა ჩვენსას თუნდ ბაღლობაში. ვიცი კი, რომ მარგაშვილის ქალმა სწავლა დაამთავრა და ეხლა შრომობს, ლუკმას შოულობს.

– რა ჭკვიანია! რა ეშხიანია, ლამაზი, კეთილი!

– ესე უეცრად ყოველმხრივ როგორ გაიცან ქალი?!

– ერთი წუთი ხანდისხან ერთ წელს უდრის! ხომ გინახავს, დედიჯან, ის ქალი?

– მინახამს, არ კი დამითვალაიერებია. ეჰ, ღარიბის სილამაზე გამრჯელობით უნდა გაიზომოს: თუ შრომის უნარი აქვს, არ არის კიდევ განწირული; სიღარიბეში იშვებიან ესენი და გაჭირვებაში უნდა ამოხდეთ სული.

– ვინ ეთერზე ლაპარაკობთ, ელისაბედ, აბრამას ქალზე?...

– დიახ, იმაზე.

– რა საწყალი კაცია მარგაშვილი! თანაც პატიოსნობს: იმ დღეს სამი მანეთი შევადლიე, ქაღალდები რომ გამიკეთა და როდი აიღო.

– მეც მითხრეს, – მიუგო დარისპანმა, – პატიოსანი კაციაო, უანგარო.

– უფრო ცუდი იმისთვის! რა მაგისტანა საწყლის საქმეა რამე მაღალი თვისების ქონა?! – სთქვა ანდუყაფარმა და გავიდა.

– იჰ, შვილო, არც შენი საქმეა იმისთანა საწყალ ქალების დევნა; შენი ტოლი მონახე ვინმე... ნეტა რა ყველას თავს უყადრებ! – დაათავა დედამ.

დარისპანმა ვერაფერი სანუგეშო ვერ შენიშნა მშობლების საუბარში და ჩაფიქრდა. სცადა გულიდან გადაეგდო ქალის სახე, მაგრამ ვერ დასთმო: ქალის სურათი აღბეჭდოდა გულის ფიცარზე და აზრიც იქითვე იწევდა, რამდენიც კი გავიდა ხალხში, ეთერის მეტი ველარავინ დაინახა; სულ მის გვერდით უნდოდა ყოფნა, მასთან უნდოდა საუბარი, მას შეჰხაროდა; იცალკეებდა; მისი კალთა დაიჭირა და აედევნა; ველარ გაეძლო უიმისოდ. განა მარტო იმისთვის, რომ მის სილამაზეს დაეთრო და დაეტყვევებინა, კიდევ იმისთვის რომ ქალმა ძლიერად დაიმონავა მისი აზრი და

გულისთქმა: ეთერს ისე ესმოდა დარისპანის ყოველივე ფიქრი, გრძნობა თუ სურვილი, თითქო ეთერი იგივე დარისპანი იყო, მხოლოდ სხვა სახით განხორციელებული. მამ რა იყო, რომ ქალი ერთის შეხედვით მიხვდებოდა ვაჟკაცის თუნდ ახლად ჩასახულს აზრს და გულთმისნურად კითხულობდა მის სულის ყოველგვარ მოძრაობას?

5

– ქალო, ელისაბედ, ის ყმაწვილი რას მიჰქარავს? ისე ლაპარაკობს, თითქო წერას აუტანიაო.

ახალგაზრდაა, ეშხში მოსული და ღობე-ყორეს ედება. განა მართლა იკადრებს თავის დამცირებას.

– ცუდ ნიშნებს ვხედავ: ძალიან დაუჟინია. მართლა ხელი არ მოჰკიდოს გოგოს და არ შეარცხვინოს თავისი გვარიშვილობა.

– როგორ გაბედავს! შეგნებულისა, ადვილად წარმოიდგენს, რა მზღვარია ჩვენსა და იმით შუა.

– გაბედავს და ჩემი სახლის კარი საუკუნოდ იქნება მისთვის დახშული: ვერც აბრამს და ვერც მის მისადევარს მოყვარებად ვერ შემოვუშვებ, გვერდზე ვერ დავისხამ!

– ღმერთმა ნუ ქნას! კარგი მოუვა, კარგ მძახლებს შემოყრის სახლში!

– იცი, ელისაბედ, მე ამ მომავლებისა არა მწამს რა, რაღაცა ფერადი აზრებითა აქვთ თავი გამოტენილი... მოდი, შევრთოთ ცოლი, ჩვენვე ავურჩიოთ, თორემ თითონ მარგილზე გადაეგება სადმე.

– მეც მაგ აზრისა ვარ. მაიკოს ხომ მაინც ჩვენ რძალს ვეძახდით და გავამართლოთ. ამ მხარეს საუკეთესო სასძლოა. იმ დღესაც იმისმა დედამ სიტყვა გამიკრა.

– მომწონს, ადამიანო, შენი აზრი: ქალი მშვენიერი, განათლებული, გვარისშვილი; სწორედ ჩვენი შესაფერი!

– ვუთხრათ, რომ ქალს შეჰყვარებია და ეს ძალიან იმოქმედებს მასზე.

– სწორედ ჰკუის კოლოფი ხარ, ჩემო მშვენიერო! მოდი ერთი გემთხვიო.

დედ-მამამ დაასკვნა ჯვარი გადაეწერნათ დარისპანისათვის. ეს თავისი გადაწყვეტილება პირდაპირ და მტკიცედ გამოუცხადეს შვილს. რომ გული მოეღბოთ ყმაწვილკაცისათვის, დაუმატეს: ქალს შეჰყვარებიხარ და თავს მოიკლავს, თუ უარს ეტყვიო.

დარისპანს ამ ამბავმა მოუშხადებელს მოასწრო. ის ჯერ სხივებს ეთამაშებოდა, ლალობდა. ეს სამძიმო საქმე შორეულ მომავლად მიაჩნდა. არშიყობის შედეგი ჯერ სიგრძე-სიგანით არ გაეზომა, არც მის სიღრმეში ჩაეხედნა და ამ კითხვის პირდაპირმა დაყენებამ ძალიან ჩააფიქრა.

– ქალი განათლებული და მდიდარი, დიდი გვარისშვილი და პატივსადები, ლამაზი და შეყვარებული. სწორედ შეყვარებული! განა არა, იმ დღეს აღარ მომწყვიტა თვალი. ნამდვილად შეყვარებივარ! – სთქვა თავისთვის ახალგაზრდამ კმაყოფილებით და თავმომწონედ გადაისვა ხელი უღვაშებზე.

– ეთერი, ეთერისადმი სიყვარული?

უყვარს ეთერი, ეტრფის მას, უმისოდ ვერ გასძლებს, მთლად საჭირო შეიქნა ეს ქალი მისთვის. მაგრამ ის სიყვარული ხომ ანაზღად არის შექმნილი და ესე უეცრად აგებულს კოშკს ტრფიალებისას ვაითუ საძირკველი არ გამოადგეს მკვიდრი, ან იქნება, ბოლოს ცალპირი ამოჩნდეს ის სიყვარული.

– მე ხომ მიყვარს, ახლა იმასაც ნამდვილად ვუყვარვარ? იქნება მართლა მის გრძნობას და ქცევას იდუმალი მიზანი ახელმძღვანელებს და სარჩულად უდევს დიდებულ ოჯახში შესვლის სურვილი.

ეს ახალი სიყვარული?

ცალმხრივია იგი: მხოლოდ მაიკოს შეჰყვარებია, დარისპანს კი გული არ უცემს მისთვის, მაგრამ ამ კავშირს ზედ ერთვის დიდებული მოყვრობა, სიმდიდრე, დედ-მამის სიხარული, ოჯახის გაპატიოსნება; იმ სიყვარულს კი, ეთერისადმი სიყვარულს, ზედ ერთვის უარი მშობლების მხრივ, ურჩობა შვილის მხრივ, შელახვა დიდებულის სახლისა, დამცირება გვარისა. არა, ეთერი კი ვერავის დაამცირებს, მაგრამ მისი ნათესაობა... განა აქვს დარისპანს უფლება საკუთარ სურვილების მიყოლით შეარყიოს სახლი და ჩაჩრდილოს მისი შარავანდედი? არავითარი უფლება არა აქვს!

– თანაც საბრალო ქალს შეეყვარებოდა და როგორ შეიძლება სასტიკად მოვექცე, ეხლავე უარი მივახალო პირში, გავუმწარო ყოფა იმასაც, ჩვენებსაც და ქალიანებსაც, – დაასკვნა ჭაბუკმა და არავითარი პასუხი არ მისცა დედას.

– ეთერს კი გული მოუკვდება, რომ პირდაპირ უარი ვერა ვთქვი მაიკოზე. ხომ ვერაფერს დავუმალავ მას, ხომ ყველაფერს მიმიხვდება მაშინვე. ის თავისად გამომელის, ბედნიერების მოლოდინშია, მე კი ვღალატობ, – გაიფიქრა დარისპანმა და უღონოდ გადააგდო კისერი, მოიხარა, მოიღვედა, ხელები დაუშვა დუნედ.

სულაც არ ჰგვანდა ის ამ წუთში ბრწყინვალე გმირს შემმართებელს.

თუმცა საიდანა სჩანდა, რომ ეთერი გამოელოდდა დარისპანს სათავისოდ? ამის თაობაზე მათ შორის არაფერი თქმულა. ქალი მოეწონა, გაუარშიყდა, ხელები დაუკოცნა. მერე რაო? მეტი ხომ არა მომხდარა რა მათ შორის, რომ თავისი თავი ზნეობით ვალდებულად ჩასთვალოს?

– ეჰ, მოვალედ კი არა, მაგრამ მიყვარს ეთერი, ძალიან მიყვარს! – ამოიკვნესა ჭაბუკმა.

6

ღონდებოდა დარისპანი და თავწყალი ვერ გაედინა. გული დატყვევებული ჰქონდა ეთერისაგან, სურვილი კი ვერ აესრულებინა. გრძნობა ეთერისაკენ იწევდა, გონება კი უხატავდა მის უგვარობას, სიღატაკეს, მისის მისადევრების სიბეჩავეს, დედ-მამის რისხვას, ნათესავთა და სწორთაგან ტუჩის აკვრას. ახ! ვერ მოსდგამდა ვაჟკაცობა, ერთის დაკვრით გადაეჭრა ეს ყველაფერი და გზა გაეკაფნა.

ისევ ამ გამოურკვეველ მდგომარეობაში იყო ვაჟი, როდესაც მივიდა ეთერისას: ძალა რამ მიეზიდებოდა მისკენ. ქალმა ერთის შეხედვით შეატყო გრძნობათა რყევა და გული შეეკუმშა. დარისპანმა ორივე ხელი ჩამოართვა ქალს და თვალეში ჩახედა, მაგრამ ვერ შესძლო მზერა და ბეჩავად აარიდა ხედვის ისარი.

– უსიამოვნო რამ შეგმთხვევია, ყმაწვილო, შენს თავზევე ხარ უკმაყოფილო, – უთხრა ქალმა

და რომ ვერ მიიღო პასუხი, განაგრძო:

– სიფლიდე რამ ხომ არ ჩაგადენინეს უგემური?

– სწორედ, გულთმისანო ჩემო! და ღირსი არა ვარ შენის მზერისა.

ქალმა იგრძნო, რაც მომხდარიყო, ცხადად წარმოიდგინა, მაგრამ ვერ გაიმეტა თავისი თავი, დაენანა თავისი გული, თავისი ყმაწვილქალობა, ოცნებები და მაშინვე არ გაიმჟღავნა უბედობა, უნდოდა კიდევ რამდენიმე წუთით მაინც აეცდინა თავიდან შავი ამბავი, ჰსურდა კიდევ იმედის ხავსს რასმე მოსჭიდებოდა და ჩაეკითხა:

– გულს კი ვერ უღალატებდი, გრძნობას ვერ დაგათრგუნინებდნენ.

– თითქმის ვულაატე! ვხედავდი, რომ ვათახსირებდი ჩემს საუკეთესო მისწრაფებას, მაგრამ პირდაპირ ვერ შევებრძოლე.

– მე კი ჩემი მეგონე, ჩემი სხიოსანი ოცნება! – სთქვა ქალმა.

და ჩაინავლა, ჩაჰქრა ადგილობრივ, დაბეჩავდა; დაჩაგრულის ბავშვის იერი მიიღო.

ვაჟს შეებრა ჯალი, მაგრამ თვით ამ სიბრაულელმა, თვით იმან, რომ იგი საბრალო შეიქმნა, დაამცირა ქალი იმის თვალში.

7

– მაიკო ამაყად შეხვდებოდა ამისთანა მარცხს, როგორც შეჰფერის ეს წარჩინებულ გვამს, რომელსაც გვარად მოუდის სიმაღლე და სიმტკიცე, ეთერი კი მხოლოდ ჩაიფუფქა, – ფიქრობდა დარისპანი.

და თან ღელავდა, ჯავრობდა: ეთერის სიყვარულმა ჩააგდო იგი ამ დღეში, შეურყია თავისადმი ნდობა და რწმენა, შეუძღვრია სუმბუქი ცხოვრება. ეთერის მაგივრად მაიკო რომ შეხვედროდა მას სურვილთა გზაზე, წესზე წავიდოდა ყოველივე, არ მოუწებოდა განცდა თავის თავისა, არავისთან დასჭირდებოდა ბრძოლა და ასცდებოდა სამარცხვინო დამარცხებას.

– მაიკოს რომ მოჰსვლოდა ესეთი შემთხვევა, ვეფხვივით გააფთრდებოდა, თითონვე შეებრძოლებოდა ყველას და თავის ბედს არავის დაანებებდა!

ვაჟკაცს სცხვენოდა თავის ქცევისა, თავისთავად წითლდებოდა მის მოგონებაზე და სცდილობდა დაესაბუთებინა თავისი ღალატი, ოდნავ მაინც შეეცვალნა მისთვის ფერი ბნელი.

– სწორედ მაიკო შეეფერება ჩვენს გვარს: მას სისხლში აქვს გამჯდარი ქცევა ამაყი, დიდებული, – ფიქრობდა დარისპანი და უნდოდა ამგვარ ფიქრთათვის შეეფარებინა თავისი გათახსირებული თავი.

ის იხატავდა თვალწინ მომავალ ცხოვრებას დიდებულად, გალადებულად და უტოლებდა მას ეთერის შეუხედავ ნათესავებს: თავადი ბრწყინვალე, დიდის სამსახურის მექონე, მემამულე, მდიდარი და მისი სიმამრი ვიღაც საწყალი აბრამა! მისი განცხრომით ცხოვრება ძვირფასად მოწყობილ სასახლეში და მისი მეუღლის გახუნებულ-დაბეჩავებული ნათესავობა! რა საკადრისია? რა საფერია?! ყოვლად შეუძლებელი იქნება, დასახოს დარისპანმა ისინი თავის სწორად, არ აგრძნობინოს მათ სიმცირე და შეუფერებლობა. მაშ, ეთერს მის სახლში ყოველს წამს წყენა მოელის მის ნათესავების გამო, ხოლო ეს წყენა წამება იქნება მისთვის დაუსრულებელი; მაშინ ოჯახი ეთერისთვის ჯოჯოხეთად გადაიქცევა და მისთვის, დარისპანისათვის, დაუშრეტელ წყაროდ უსიამოვნებისა. სჯობია მომავალი სატანჯველი ეხლავე მოისპოს. ძნელი საქმეა ეს: ამან ქალს სამუდამოდ უნდა მოუკლას გული, ხოლო თითონ ვაჟს დაულახვროს იგი გული და დაუწყლულოს, რადგან მოსწონს, ძალიან მოსწონს ეთერი, უყვარს იგი, მასთან ნეტარება სიცოცხლედ უღირს. მაგრამ სხვა რა უნდა ჰქმნას ახალგაზრდამ, როდესაც ეს სიყვარული არ გამოდგება სამუდამოდ, საბოლოოდ?!

– სჯობს ამთავითვე შევიჭირვოთ ორივემ და პატიოსნად დავადგეთ ჩვენს გზას; სჯობს ეხლავე გადაჭრით განვუცხადო ქალს დაფარული!

სურათი დაჩაგრულის ეთერისა ნელ-ნელა მოშორდა დარისპანის გონებას, განზე გადგა იმის გულიდან, შორს დაიწია, თანდათან მიმქრალდა; ხოლო სახე ძლევამოსილი მაიკოსი შევიდა მის გულში, გამეფდა მის გონებაში, გარნა ვერ გაათბო მისი არსება, ლურჯი რამ ციაგი მოჰფინა მას ცივი.

გამოვიდა დარისპანი გრძობა-ფიქრთ ბარდებიდან, გამოერკვა, გამოივკა, თავისუფლად ამოისუნთქა და დაადგა სხვისაგან ნაჩვენებ შარას: დასთანხმდა დაენიშნა მაიკო.

– ეგრე, შვილო! – უთხრა კმაყოფილებით ანდუყაფარმა, – ჩვენს გვარს მოუდის შორსგამჭვრეტელობა და მოფიქრებით ქცევა. ჩვენთაგანს ჯერ არავის შეურევია სისხლი, უღირსის შეუღლებით და არ დაუმცირებია გვარი.

– ის კი არ გეგონოს, თითონ ეთერსა სთვლიდეს ვინმე უღირსად. ის პატიოსანი, განათლებული და მშრომელი ქალი ყოფილა; მისის სიკეთით მისი საკუთარი ოჯახიც სარგებლობს თურმე. არ არის ჩვენი სახლის შესაფერი: ის სხვა წოდებისა და წრის ადამიანია, ჩვენ სხვისა; ის სხვა ფიქრებზე დგას, ჩვენ სხვაზე; იმას სხვა მისწრაფება აქვს და გულისთქმა, ჩვენ სხვა. დეე, ყველამ თავისი გზა ცხოვრებისა გაიკვლიოს! – უთხრა დედამ და აკოცა შვილს. გაიმართა დარისპანის ნიშნობა და რა ნიშნობა! ბევრ ქორწილს მოუცვდებოდა მასთან. ნიშნობას მოჰყვა დაუსრულებელი მეჯლიში. თავმომწონე ანდუყაფარმა ქუდი ჭერსა ჰკრა. რა დასამრახისი იყო! შვილს აქორწინებდა, და რაღა დღისთვის შეინახავდა საუნჯესა დაფარულსა?! საუნჯე კი ბევრი ჰქონდა დაფარულ-დახურულიცა და პირახდილიც. მის დოვლათს ეხლაც ემატებოდა მდიდარ სასძლოს მოყვანით სახლში.

დარისპანს ჯერ კიდევ დარდის ჩრდილი ედგა გულს და კიდევ სცხვენოდა თავის თავისა, მაგრამ მალე გადაეწმინდა გული.

პირველ ხანს სინიდისი ამხილებდა დარისპანს, ეხლა სინიდისმაც მიიძინა. მის მიფერფლას ხელი შეუწყეს თვით ნაცნობმა ქალებმა, რომელთაც არა თუ არ დაჰგმეს მისი ქცევა ხენეში, არ გაჰკიცხეს ის, არამედ უქეს მოაზრება და მიულოცეს ბედნიერება. კიდევცა სძრახავდნენ ეთერს.

– არა, ქალო, ქალბატონობა მოინდომა და! თვალებს დავუბრმავებ ჩემ ტოლ-სწორსაო. ეხლა თითონ დაეჩიჩქნა თვალები!

– ახია იმაზე! რად დაუწყო მზეს პირდაპირ მზერა!

– არ ერჩივნა, ვინმე თავისი სწორი აერჩივნა?

– ოღონდაც რომ ერჩივნა!

– ან რა სათქმელია, თვალებს დავთხრიო, ვისთან რა ჰქონდა გასაყოფი?

– ისე კი თავს იკატუნებდა, ყველას მოსიყვარულედ გვეჩვენებოდა.

– ჭრელია ადამიანი, მნელი გასაგებია მისი ხასიათი; მარტო ამგვარი შემთხვევები ააშკარავებს მის ნამდვილ სახეს.

ეთერი კი ვედარც ჭრელი იყო და ვედარც წითელი: ის ჩაითუთქა, ჩაშავდა, თავი დახარა და იმის გრძელ წამწამზე აღარ შრებოდა ცვარი ცრემლისა. ან კი რაღა ააშრობდა ამ ნამს, როდესაც მოიცვა იგი წყვდიადმა ცივმა?!

ყველაფერს ბოლო აქვს. მოელო ბოლო ჰერეთლიანთ განცხრომასაც: მოვიდა ბრძანება, რომ დარისპანი უყოვნებლად გამოცხადებულიყო მომქმედ ლაშქარში წასასვლელად. წელი მოსწყდათ დარისპანის მშობლებს. შეკრთა თვით ახალგაზრდაც, შემფოთდა, თუმცა სცდილობდა თავი შეემარებინა და მხნეობა მოეკრიფნა; მიხვდა ეხლა, რომ ლამაზი ტალავარი და ბჰყვრიალა ნიშნები მარტო საკოხტოდ არ ებოდებინათ მისთვის. მიიწივ-მოიწიეს ჰერეთლებმა, მიაწყდ-მოაწყდნენ, რომ როგორმე გადაეხვივნათ გზისათვის და გაენთავისუფლებინათ ყმაწვილი, მაგრამ ყველგან მაღალი ღობე დაჰხვდათ ეკლიანი. უნებლიეთ დაეშო დარისპანი საშიშ გზაზე.

გზა კი სწორედ საშიში იყო და სახიფათო, რადგან დარისპანი მისწრაფებოდა სამოქმედოდ დიდ ბრძოლის წინ, როდესაც ზღვა ლაშქრები დაჰპირდაპირებოდნენ ერთმანეთს და აზვირთებულნი აწვებოდნენ ურთიერთს, რომ წაერღვნათ და წაელექათ ერთმანეთი. აკი ჰპოვა კიდეც ერთმა მათგანმა ჟამი და შთანთქა მეორე.

დარისპანისაგან ერთი წიგნი მოვიდა ბრძოლის დაწყებამდის: წერილი გულადი იყო და მხიარული, თუმცა აღელვებული. მეორე ამბავი მოვიდა ბრძოლის დაწყებისას და შესწყდა კიდეც ცნობები. ორი კვირა გაგრძელდა უმაგალითო მუსვრა. ვიცოდით, რომ დარისპანის რაზმი წინ იდგა და რაღა იმედი უნდა ჰქონოდა მეომრის პატრონს?! ეს უიმედობა იზრდებოდა ჰერეთლიანთ ოჯახში დღითიდღე, როგორც მძვინვარებოდა თვით ბრძოლაც. ცნობების უქონლობას ჯერ იმითი ჰხსნიდნენ, რომ გაცხარებულ ომში ვისღა მოაგონდებოდა ამბების გზავნა და ან როგორ მოახერხებდა იმას; მაგრამ გათავდა ბრძოლა, შესწყდა ძლეულთა დევნაც, დარისპანისაგან კი არავითარი ამბავი არ იყო. შეიქმნა ძებნა, დეპეშას დეპეშაზე გზავნიდნენ, თვით მტრის ბანაკამდისაც მიაწვდინეს ხმა, მაგრამ ამაოდ: ჭაბუკი არც ცოცხალი აღმოჩნდა, არც მკვდარი. ბოლოს გამოვიდა ხმა, დარისპანი დაიჭრაო. აღმოჩნდა მნახველიც, რომელმაცა სთქვა, წინა ლაშქარში ვიბრძოდით, დარისპანი ტყვიით განგმირული დაეცა და მერე თვალთაგან მიმეფარა, რადგანაც მტერმა გადმოგვლახაო.

წარმოუთქმელი გოდება დაჰბადა დარისპანის სახლში ამ შავმა ამბავმა. ყველას დაჰნანდა ახალგაზრდა. ანდერძზე მთელი დაბა შეიკრიბა. მკვდარი არ ესვენა ეკლესიაში, იდგა შუაზე შავით მოსილი ამფიონი და ზედ ვაჟის სურათი ყვავილებში. საშინლად იტანჯებოდა დედა.

წამოდგა წინ დარისპანის დანიშნული მაიკო და დაადგა სურათს ყვავილთაგან შეთხზილი გვირგვინი. თალხებში იყო, მაგრამ მორთული. ამაყი, თვალმშრალი, ყელმოდერებული. ხალხმა გულგრილად მიიღო მისი გლოვა: ის მხოლოდ წესს ასრულებდა, სხვებს კი ნამდვილად გული სტკიოდათ.

წარმოდგა ძაბით მოსილი ეთერი, თვალცრემლიანი, სევდად ქცეული; მივიდა, ემთხვია მიცვალებულის სახეს, მერე მიუბრუნდა დარისპანის დედას, ხელზე დაეკონა და აქვითინდა მწარედ. დედა მოეხვია ქალს, ცრემლის ღვარად გადაიქცა. ყველას გული აუჩუყდა, ატირდა.

არ გაუვლია ამის შემდეგ რამდენსამე დღეს და უეცრად განქრა ეთერი. აი ამის გამო ასტყდა ის მითქმა-მოთქმა, წელან რომ ვსთქვი. იუბნეს, იყაყანეს და დაჩუმდნენ: დავიწყების მდინარეს მისცეს ახალი ამბავი. დაივიწყეს თითონ ეთერიც. სხვა აუჩნდათ სალავბო და სასაუბრო.

მეც მიმავიწყდა ეთერი, თუმცა პირველად გული მტკიოდა მისთვის: აღარ გამხსენებია მისი სახე და სახსენებელი: სხვა ფიქრებით ვიყავი მოცული, სხვა ყვავილები მეხატებოდა თვალწინ. შემთხვევამ ისევ მიმახედა ეთერისაკენ: წიგნი მოვიდა მისგან. ეთერი პირდაპირ ლაშქარში გაჭრილიყო, დაჭრილთ მომვლელებს ხომ სანთლით ეძებდნენ მაშინ და ამით ესარგებლნა. სწორედ სასწაული შეუძლიან გრძნობით თუ აზრით გატაცებულ ადამიანს!.. ზღაპრულ შემთხვევების შემდეგ მიეგნო იმ ადგილისათვის, სადაც დაცემულიყო განგმირული დარისპანი. საყვარლის საფლავის ძებნაში თვით საყვარელი ეპოვნა ეთერს, მაგრამ დაჭრილ-დაშავებული: იქაურებს გადაერჩინათ ახალგაზრდა, შეეფარებინათ.

აამოდრავა კაპიტალი

ზამთარი მიწურულიყო, ისევ კი ციოდა, ფოცხვერა თბილ ღუმელს აჰყუდებოდა: სიცივისა ეშინოდა, სითბო უყვარდა. მომავალზედ ოცნებობდა განმარტოვებული. წინ ორი გზა გადასჭიმოდა ცხოვრებისა. გზები ერთად იწყებოდნენ, მაგრამ თანდათან შორდებოდნენ ერთმანეთს და უფსკრულში ინთქმებოდნენ ცალ-ცალკე. გზების დასაწყისში ეგდო ლოდი და ზედ ეწერა: მარჯვნივ წახვალ, მსხვერპლს შეიწირავ; მარცხნივ წახვალ, მსხვერპლად შეეწირები. ჩაფიქრებული დაჰყურებდა ფოცხვერა მარმარილოს და ვერ გაერკვია, რომელ ბილიკზე შემდგარიყო და რომელ გზას დასდგომოდა. ორსავე კვალს კი კარგად იცნობდა ახალგაზრდა.

მარცხნივ მიმავალი გზა გაეთვალისწინებინა იმის გონებას, მის უკვე განვითარებულ აზრს. მისი მასწავლებლები, ოდნავ შეთვისებული მეცნიერებათა ნაფლეთები, ნაკითხი წიგნები, მთელი გზა მის მიერ სასწავლებლებში გავლილი გატაცებით იზიდავდა მარცხნივ და იქ, იმ გზის დასასრულს, უსახავდა მოწამეთა გვირგვინს სხივოსანს. ეს გზა ძნელი იყო და ეკლიანი. ამ გზით სიარული მხოლოდ იმას შეეძლო, ვინც უარჰყოფდა თავის თავს მოძმეთა სანუგეშოდ. რჩეულნი მიდიოდნენ ამ გზით უშიშრად და ალტობდნენ გავლილ კვალს გულიდან ნაწვეთ სისხლით. ფოცხვერამ იცოდა იმ რჩეულთა სახელები, რომლებსაც გაევიდოდა ეს გზა ვიწრო და აწ მაღლიდან წყვილიადს უნათებდნენ მოძმეებს. იცნობდა იმათაც, რომლებიც ეხლა მიდიოდნენ ამ გზით გმირულად, „ვაშას“ შესძახოდა იმათ, მათ ქერქში ყოფნა კი არ მოსწონდა, მათ შედგომას უფრთხობდა: უსიამოვნოდ აჟრიალებდა ტანში, თუ იმათ ადგილას თავს წარმოიდგენდა.

მარჯვნივ მიმავალ გზას უფრო ახლო იცნობდა ფოცხვერა და გულიც უთქმიდა მისთვის. ამ გზით ვიდოდა ის, ვინც უარჰყოფდა მოძმეს თავის თავის სანუგეშოდ. ეს იყო გზა საკუთარის პიროვნების თავყვანისცემისა, მიმართულება გულცივი და დაუნდობელი. ამ გზის ბოლოს ბრწყინავდა ვერცხლის რამ სფერა, ლაპლაპებდა, თვალს იტაცებდა, გულსა ჰხიბლავდა, ანდამატივით იზიდავდა. მისწრაფოდნენ მრავალნი მბრწყინვალე ბომონისადმი, რომ სწეოდნენ მას და შექმნილიყვნენ ძლიერნი, აღტაცებულნი, მფლობელნი ქვეყნისა, ბედნიერნი. მიდიოდნენ ამ გზით ხელებწაწვდილნი, თვალებმულნი, ვერცხლის ტრფიალით სავსენი; მიდიოდნენ შეუდრკომლად და სთელავდნენ გზა-გზა ყველას და ყოველსავე, ვინც და რაც აბრკოლებდა მათ, სრესდნენ უწყალოდ უგრძობელნი. ეს შარა უძლურთა სისხლით იყო მორწყული, ადამიანთა ტვინი იყო მუნ დათხეული ძლიერთაგან, უხვად ეყარა ადამიანის ტომის გულთა ნაფლეთები კაცთაგანვე ბილწად ნაქელი. მისწრაფებოდნენ მრავალნი. ვისაც მიეღწია ბომონამდის და შეჰხებოდა მას, სწეოდა ბედნიერებას: იჯდა იგი ყვავილოვან წალკოტში განცხრომით, სტკებობდა, ნეტარებდა და ველარა ჰხედავდა, აღარცა ჰგრძნობდა, რომ ის ყვავილები ირწყოდა კაცთა სისხლით, რომ ზღუდე იმ წალკოტისა შეთხზული იყო ადამიანთა ძვლებისაგან, რომ შადრევანთა შრიალში ისმოდა კაცთა გმინვა, ხოლო ტკბილ სანოვაგეს ადამიანის ხორცის სუნს სდიოდა. ეს მარჯვნივ მიმავალი გზა იზიდავდა ფოცხვერას და უფრო ესაბამებოდა მის ბუნებას, რადგან გველი ანგარებისა დაბადებით დაჰყოლოდა მას.

ფოცხვერა მოურავის შვილი იყო, დიდი მამულის გამგესი, მამა მისი ფოცხვერაული, მხოლოდ ანბანის მცოდნე კაცი, შეასუქა ამ ხელობამ, უზრუნველჰყო და დოვლათის გემო გააგებინა. ოქროს ტრფიალმა ისე დაგეშა ის მოყვრის გაცარცვაში, რომ ბატონზე უფრო საშიში შეიქმნა მოყმეებისათვის.

– ახ! ნასწავლი უნდა ვიყო, კალამი უნდა მემარჯვებოდეს, რომ ჩემი შეძლება წლობით კი არა, დღითი დღე ვზარდო! – იტყოდა ხოლმე ფოცხვერაული ნაღვლიანად.

შვილი რომ სასწავლებელში მისცა და არას ზოგავდა მის აღზრდაზე, ეს მხოლოდ იმ აზრით, რომ ესწავლნა და ცოდნა დოვლათის მარჯვედ შეძენაზე მოეხმარებინა.

– მაშინ ჩემს შვილს ამ მხარეს კაცი აღარ ემჯობინება, მაშინ ყველა დაჰნატრებს ჩემს მამობას! – ჰფიქრობდა ის.

არ იცოდა ფოცხვერაულმა, რომ სწავლის კედლები უანგარო მსახურებაზეა აგებული, რომ განვითარებას ხალხის გლეჯა კი არა, მოძმის შველა უსახია მიზნად, რომ ამ აზრს ემსახურება განათლების ყოველივე კერა. მართალია, ეს მისწრაფება ზოგან და ხანდისხან მიმქრალდება და ბუნდდება, ზოგან და ხანდისხან ღვივდება და ჩაღდება, მაგრამ მაინც რაც უნდა გადახრილ-გადარყეული იყოს სასწავლებელი, მაინც ფესვი კეთილზე უნდვია მას. არ იცოდა ეს ყველაფერი ფოცხვერაულმა, მაგრამ მაინც ანგარიში არ წაუხდა, რადგან შვილისათვის დაეყოლებინა ბუნება მძლავრი, ქვეყნიურისკენ მიდრეკილი.

იწვრთნებოდა სასწავლებლებში ფოცხვერას გონება კაცთმოყვარეობის გზაზე და ამ აზრმა იქამდის მაინც იჩინა თავი, რომ ის საჯაროდ კეთილისაკენ იხედებოდა და კეთილს ამბობდა, თუმცა გული ანგარი ედვა და მოსისხლე. ორი პიროვნება აღიზარდა ფოცხვერაში, ერთი ხელოვნურად განვითარებული, მეორე ბუნებრივი; ერთი კეთილისაკენ პირსაფერად მიხრილი, რომელსაც სათნოებისაკენ ეჭირა პირი, მაგრამ მხოლოდ სიტყვით და გარეწრად, ხოლო მეორე მტაცებელი, რომელსაც მთელ დუნიაზე მარტო თავისი თავი მიაჩნდა ღირსად პატივისა და მზად იყო მისთვის სათაყვანებლად დაეხარნა ყველა და ყოველივე თვის გარშემო. ხელოვნურად აღზრდილი პიროვნება თხელ რამ ხასიათად გადაჰფარებოდა ფოცხვერას ტვინს, გრძნობას კი არ ეკარებოდა, ვერ ათბობდა, სურვილებს ვერა ჰბადავდა, ვერც წარმართავდა სამოქმედოდ. ფოცხვერას მხოლოდ იერი ჰქონდა ცხებულისა, გული კი ამოჭმული და ნება კეთილისთვის ამოფიტული.

როგორა თავსდებოდა ეს ორი პიროვნება ერთ არსებაში?

ადვილად: ძირითადად მისწრაფებამ დაჩაგრა და დაიმონავა აღზრდით შეძენილი ზედმეტი. კიდევ გააქრობდა მას და გამოვიდოდა ცხოვრებაში ფოცხვერა შიშველი, მავნედ ყბადაღრენილი, თუ ცხოვრება მხოლოდ ტვინის ამოწვნაზე ყოფილიყო დამყარებული, მაგრამ რადგან ეხლა, განვითარების ხანაში, ცხოველური იგი პიროვნება საგმობია, ავად სახსენებელი და პირსაფერად მაინც უარყოფილი, ამისთვის ფოცხვერამ ბრჭყალები დამალა და ქურქი სათნოებისა წამოისხა. წარსდგა ჰაბუკი ერის წინაშე ორფერი საგანძურით. ხელთ ეპყრა მცნება: მოიხვეჭე კეთილი ქვეყნიური ყოვლითა ღონითა შენითა და დაჰფარე ენითა შენითა მისწრაფებაი გულისა შენისა.

რა ჭრელი იყო!

მომხიბლავი იყო თვალმახარა: სხარტი, მხარ-ბეჭიანი, მწითური, თვალეზამოკარკლული, ულვაშმეგრებილი; შეხამებულად შემოსილი, უხინჯო ფეხსამოსზე შემდგარი; მოქნილი ქცევა; ლბილი ბოხი ხმა; ენა მოქარგული, შაქარლამა სიტყვებით და ფრთოვან ფრასებით მოუბარი.

მაღე შევიდა სამსახურში.

– სამსახური საზრდოა დღიური; პატივსა და ნდობასაც მომიპოვებს. ნიადაგი მექნება გამაგრებული, ადგილზე მედგმება ფეხი და გულდინჯად, მოფიქრებით მოვაწყობ გარემოებებს, რომ უზრუნველვყო ჩემი ცხოვრება, რომ შევიძინო, რადგან დოვლათია ის ერთადერთი ნავი, რომლითაც უშიშრად შეიძლება ცურვა ცხოვრების აღელვებულ ზღვაზე.

და ეცადა ფოცხვერა, და არა ერთგზის მომართ-მოჭახრაკა გარემოებები.

მაშინ განათლებულთა ყურადღება ხალხის კეთილდღეობისაკენ იყო მიქცეული და მოსდევდა ერთი მეორეს ერის საშველად განზრახული თვალწარმტაცი დაწყებულებები: სასწავლებლები და წიგნთსაცავები საზოგადოების ხარჯით, წიგნების გამომცემელ-გამავრცელებელი ერთობები, შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობები, სანოვაგეთა, ჭურჭლეულობათა და ტანთსაცმელთა დეპოები, დაუმუშავებელ მასალის საწყობები, ადგილ-მამულის შემძენი და ხელმოკლეთა დამსახლებელი ძმობები, სამეურნეო იარაღის თუ რჩეულ თესლეულობის მიმწოდებელი მზრუნველობები, საქონლის მომშენებელ-გამსაღებელ კავშირები, ღვინის ბაზარზე გამტანი სარდაფები, სახალხო სახელოსნოები ძველი ხელობის აღსადგენად თუ ახალის გადმოსარგველად. ყველა ეს დაწესებულებები ანკარა წყაროდან მოჩანჩქარებდნენ, ბეჩავთ დახმარების სურვილიდან და თუ ჩვენში ნიადაგი იმდენად ყოფილიყო მზად, რომ თვით ხალხიდან გამოსულიყო სინიდიისიერი მშრომელი, მაშინ ყოველივე ეს მოიტანდა თავის წილს სარგებელს, ზოგი კულტურულ წყაროდაც გარდაიქცეოდა ერისათვის; მაგრამ ჩვენში ამ დაწესებულებათა ჭირისუფლები ხალხის ზედაპირიდან იყვნენ, ცხოვრებისაგან ჩალაბულად ზევიდან მოგდებულ-მოტივტივებულნი და ვერ გაუმარჯვდათ. ან კი როგორ გაუმარჯვდებოდათ, როცა ამ ფაქიზ დაწესებულებებს ეტანებოდა დაუნდობელი ხელი ფოცხვერებისა?!

ყველა ამგვარ დაწესებულებაში ერია ფოცხვერა ან როგორც მოთავე, ან როგორც მოქმედი. ეს ადვილი იყო მისთვის, რადგან ადვილად მოიპოვებდა ხოლმე ნდობას. ვინ არ ენდობოდა ვაჟკაცს სასიამოვნოს, განათლებულს, სამსახურის მექონეს, გამრჯელს, ტკბილ მოუბარს? ვინ შეჰბედავდა ექვის თვალით შეხედვას?! კრებაზე რომ წამოდგებოდა და ფერად-ფერადებს გადაფურჩქნიდა მსმენელთ წინ, ვინ იფიქრებდა, რომ იგი სიტყვები მხოლოდ მოსატყუებლად იყვნენ მისგან ნაჭედნი. კრების დასასრულ ფოცხვერა უსათუოდ მოექცეოდა საქმეს სათავეში. შესდგამდა თუ არა ფეხს, თითონ იცოდა, მკვდარს საით უზამდა თავს: გველი ანგარებისა გაიღვიძებდა მის გულში და თავს იჩენდა საზიზღარი. როცა ბოლოს სიქაგამოცლილი და ძირგამოდრღნილი დაწესებულება მიწას განერთხმოდა, ფოცხვერა თითონვე გამოდიოდა ძაძით მოსილი და დასტიროდა დაღუპულს, მოსთქვამდა საიმედო საქმის დანთქმის მიზეზებს, სხვას აწმენდა ჭუჭყს, ხელს იბანდა პილატესებრ, იმედს იძლეოდა, რომ მარცხით განსწავლილი, სხვა ახალ საქმეს უფრო გულმხურვალედ მოეკიდებოდა, წამოაყენებდა ახალ რამ დაწესებულებას სანაცვლოდ აღსრულებულისა დაზარალებულთა სანუგეშოდ.

– ეხლა რომ გოდებს და იცრემლება, თითონ მაგას არ ებარა მესვეურობა; რატომ თავის დროზე არ მიიღო საჭირო ზომები, თუ ხედავდა ვისიმე სიფლიდეს?

– განა ეს პირველია!

– იქნება ხათრობს ვისმე, ვერ გაუბედნია თავის დროზე გააფრთხილოს საზოგადოება და იმიტომ მოსდის მარცხი?

– კაცებსაც ხომ მაგის ჩვენებით ვირჩევთ ხოლმე საქმის წასამართავად.

– ცუდი ხასიათი აქვს: თუ ერთი მიენდო ვისმე, მერე იჭვს ვეღარ შეატანინებ იმაზე.

– მაინც ყველა საქმე და დაწყებულობა მაგის ხელში ჩაიფუშა; მე რომ ანგარიშს ვუყურებ, თითონაც გაულოკნია თაფლი.

– და მაინც წყლიდან ყოველთვის მშრალი გამოდის.

– საკვირველი საქმეა, სამკითხავო!

ყველა ამისთანა ხიფათის შემდეგ ფოცხვერა გაწვებოდა, ბრჭყალებს მალავდა, ტუჩებს ილოკდა, რომ სისხლის წვეთი არსად დაჰმჩნეოდა, ელოდდა, სანამ

ადღევებული ღვარი ჩაივლიდა და თან წაიღებდა ყაყანს თუ მითქმა-მოთქმას; თან ღრინავდა ბოროტად, თავის თავს უღრენდა:

– არ ღირდა ჩიტი ბდღვნად! დრო და შრომა შევალე, სარგებელი კი ვერა ვნახე სათქმელი. სხვა დაიყრანტალეებს და პირიდან ოქრო სცვივა, მოუსვამს ხელს და მთელ ხელეურ სამკალს მოხვეჭს; ბევრი გაურჯელადაც მდიდრდება, მე კი ლამის სახელიც გამიტეხოს ჩემმა შრომამ და ვერც არა მარგოს რა. – და გველი ანგარების უფრო ეზრდებოდა გულში და ბზინავდა ფერად-ფერადი. თანაც რწმუნდებოდა ფოცხვერა, რომ ყალბ გზას დასდგომოდა: რადგან დოვლათი დაესახნა მიზნად, მთლად უნდა ჩამოჰშორებოდა უანგაროების გზას და პირდაპირ დასდგომოდა მამმონასთან მიმყვანებელ შარას. ფოცხვერაც თანდათან იწევდა ამ გზისაკენ. დროც იყო: დაწვრილშვილდა, შუახნის კაცი შეიქმნა, ჯერ კი უზრუნველყოფილად ვერა ჰხედავდა თავის თავს.

მაინც ერთხელ კიდევ სცადა ფოცხვერამ ეს ორპირი გზა და თითქო კიდევ გაუღიმა ბედმა. ეს იყო მოძრაობის ხანაში. მაშინ ხომ ყველა ალაპარაკდა, უტყვმაც ენა ამოიდგა და ფოცხვერასთანა გაგებული ადამიანი როგორ დადგებოდა უთქმელად. თქვა და რა თქვა!

– აი სად ყოფილა ხალხის მხსნელი, მე კი შორს ვეძებდი! – ამბობდა ემხში მოსული მსმენელი.

იტყოდა მეტყველი და თან თვალი ხალხის ჯიბისკენ ეჭირა, ემზირებოდა: ხელის მოთბობას აპირობდა. მაგრამ მოსტყუვდა მწარედ, აღჩუ ვერ დაუჯდა კოჭი.

სურვილს ვერ ეწია ფოცხვერა, თვალები კი აეხილა: ნახა, რომ მაზარაც ძალას შეადგენს, თუ თავს მოუყრით; გაცრცვილთა და ლატაკთ გროშებიდანაც თანხა შესდგება, თუ შეაქურებთ. ეს გამოცდილება დაიჭდია ფოცხვერამ გულის ფიცარზე და დაუწყო ცდა შესაფერს დროს.

დაუდგა კიდევ ფოცხვერას დრო საფერი. ის ჟამი იყო ეს, როდესაც აზვირთებული ტალღა ერისა შეეხეთქა იმ კლდეს, რომელიც უკვე გამოფუყული ეგონათ, ძირგამოღრღნილი. საღმა შეაკავა აქაფებული ტალღები და ჩაიხვია მკვიდრ ნაპირებში. შესდგა ხალხი შემკრთალი, განცვიფრებული. მას ხელთ შერჩა მხოლოდ ფერად-ფერადი ოცნებები. ერთ იმის ოცნებათაგანი იყო განთავისუფლება ნივთიერის მონობისაგან და გემება ქვეყნიურის კეთილისა. სახტად დარჩენილი ხალხი ჯერ კიდევ ვერ დარწმუნებულიყო, რომ ფრთოვანი წარსული სიზმარი იყო წუთიერი, ის ჯერ კიდევ ელოდდა ზეცით მანანის მოსვლას და თვალს აშტერებდა სივრცეში, ეძებდა მომნიჭებელსა ცხოვრებისასა.

მაშინ მოევლინა ხალხს მესხიად ფოცხვერა.

გაისმა ხმა მისი ტკბილ-სანეტარო. ხალხმა მიიხედა მისკენ, მიისწრაფა მასთან, მიაყრდნო მის მკერდს ტანჯული თავი. სიტყვა მისი საამო იყო ყურთათვის, ესალმუნებოდა გულს, ჰხიბლავდა თვით ურწმუნო ტვინს და იმედის ნავით ოცნებათა მორევში აცურავებდა ადამიანს. მჭევრმეტყველობდა ფოცხვერა.

– ამოდრავეთ კაპიტალი! უძრავად დებული ფული ლოდია უნაყოფო, სამუდამოდ გამოტანილი – თესლია მომცემი. ფული არა გვაქვსო?! გროშიც ფულია, იგივე თანხაა, მხოლოდ პატარა, უჩინარი; ეს ის წვეთებია, რომლისაგანაც შესდგება მდინარე მძლავრი. შეჰყარეთ ერთად ეს წვლილი და შეიქმნება კაპიტალი დიდი, ძალა უძლეველი, ყოვლად შემძლე, ქვეყნის სამოთხედ გარდამქცევი. ტალანტმა დაფლულმა დაფლა და დასწყია დამმარხველი, ტალანტმა გაცემულმა გამოიღო ნაყოფი ასკეცი. ამოდრავეთ კაპიტალი და იგი შეიქმნება წინდად თქვენის ბედნიერებისა, ხელშესახებ კეთილდღეობისა.

მარცვალი ხორბლისა გაძლევთ ნაყოფს ათკეცს, მარცვალი ვერცხლისა გამოიღებს ნაყოფს მრავალკეცს: ვერცხლი ძლიერია იფქლზე! ჯვარი ვერ დაგიწერია, ჭაბუკო, ხელმოკლეობის გამო? შემოიტანე რამდენიმე მანეთი და ჯვარის წერის დღეს მიიღე იმდენივე თუმანი. ვერ გათხოვებულხარ, კეკლუცო, მეზობლის ბიჭზე, ნებას არ აძლევენ, უმზითვოაო? შემოიტანე მინალთუნი თორმეტი და მიიღე ჯვარისწერის დღეს ოქრო ერგასი. გიკვდებათ მოხუცი და არ იცით, რითი აუგოთ წესი და როგორ დამარხოთ? შემოიტანეთ მცირედი და მიიღეთ გაჭირვების ჟამს მრავალი. მეუღლე გყავთ ფეხმძიმედ და არ იცით, რითი გაუძღვეთ ბებიას თუ სხვას? მომმართე მე, მომართვი ფული მცირედი და სავსებით ნუგეშინისცემულ იქნები გაჭირვების დროს. მიიღეთ ჩემგან ყველა შემოტანილ ფულზე საბუთის ქალაღდი. ნუ ეჭვობ, თომავ ურწმუნო, შეახე ხელი ოქროსა და ის დაგარწმუნებს შენ, განუგებებს, გაგახარებს. თქვენ უკვე იცით ამ დაწესებულების სახელი: ეს არის კასსა! განათლებულ ქვეყნებს მოსდებია კასსები; ჩვენშიაც თავი იჩინეს მათ ჩემამდინაც, მაგრამ, ღმერთო ჩემო! რა უნდილად, უგემურად, რა უმადლოდ მიიზღაზნებია იგინი ყველგან! მე კი მივმადლე კასსას ძალა მოძრავი, მივანიჭე უნარი აღმაფრენისა, ჩავსახე მასში ნიჭი შემოქმედებისა და მით ახლად შევქმენ ის! მე გამოვუგონე კასსას ისეთი საჭე, ისეთი ჭახრაკი გამოვუწყე მას, რომ ეს უძრავი და ტლანქი, უსულო და მოუხეშავი მანქანა შეიქმნა მარჯვე, მსუბუქი, მოძრავი. მე სული ჩავუდგი ცხოველი. სცადე და იგემე!

სცადეს და ეგემათ!

– ბიჭო, ეფრემ, ე ზაქები რომ მოგირეკია, ფული ვინ მოგცა? ხომ არ დაიპარე?

– რას ამბობ, კაცო! ფოცხვერას კასსიდან გამოვიტანე დედის სამარხი ოცდაათი თუმანი.

– ბიჭოს! რამდენი შეგიტანია?

– სულ სამთუმან ნახევარი.

– ელისაბედ, რა მშვენიერი საქორწინო კაბა გიყიდნია შენი გოგოსათვის! ნათლია შეეწეოდა.

– იმის დარდი აქვს! ფოცხვერას კასსიდან გამოვიტანე ოცი თუმანი, ღმერთიმც უშველის! სულ ოცდახუთი მანეთი კი შემატანინა.

– ეგ რა გიკვირს, ადამიანო, დურგლიანთ ესტატეს სამი ჰყოლია ჩაწერილი და ას თუმნამდის ფული აუღია.

– დედაკაცო, ყველა მდიდრდება და შენ რაღა ყური წაგიგდია, რატომ არ ჩასწერ შენს რძალს მაკრინეს?

– რა ვქნა, ნათლი, სახლში ფული არა მქონდა; ეხლა კიკნას ვესესხე და მამცემს თუ არა, შევიტან.

– გამარჯვება, მურყან! ამბობენ, ოთხი ჰყავსო კასსაში ჩაწერილი; საიდან იშოვნე ფული?

– სახლი მივყიდე ბრუტიანს. უნდა დაშალოს და გადაიტანოს. საწყალი მამაჩემი რომ კვდებოდა, მითხრა, ამ ხის სახლის მაგივრად ქვის სახლი დადგო და მინდა ანდერძი ავუსრულო. პაპას ადგილი შეუძენია, მამას ხის სახლი ჩაუდგამს, მე კიდევ ქვის სახლს ჩავდგამ, მივიღებ თუ არა კასსიდან ფულს.

გავარდა ხმა ფოცხვერას კასსის მოქმედებაზე. ყველა იმაზე ლაპარაკობდა, ვინ რამდენი გამოიტანა და რა უყო ფული, ვინ როგორ მოახერხა კასსაში შესატან ფულის შოვნა და რა მოგება ნახა. იმატა მითქმა-მოთქმამ, გაიზარდა, გაზვიადდა, აზღვავდა, აქაფდა. ფოცხვერას კასსა შიოს მარნად დაისახა უღვევლად, სასწაულის სახე მიიღო მისმა მოქმედებამ. დაგირავდა და გაიყიდა, თუ რამ დასაგირავებელი ან გასასყიდი იყო, გამოსხნეს, თუ სადმე ძონძებში გამოკრული ფული ჰქონდათ შავ დღისთვის

მიგდებული; გამოიტანეს სახელმწიფო კასსებიდან, თუ ვისმე რამ ჰქონდა შეტანილი; მოგავ-მოჩხრიკეს ყოველივე კუთხე და დაურუვეს მთელ ქონებას ფოცხვერას უძირო კასსისაკენ. მიაწყდა ამ კასსას ბრბო დასტა-დასტა.

- რისთვის გასჯილხართ?
- ბიჭი უნდა დავაქორწინო, შენი ჭირიმე.
- შემოიტა ხვედრი და მიიღე წიგნაკი!
- შენ რაღა გინდა, დარეჯან?
- ჩემი რძალი მინდა ჩავწერო, დასაწოლია.
- დადე ფული! კინწუხ, ე წიგნაკი გადმომაწოდე.
- რა გატირებს, ნათლიდედ?
- რაღა რა მატირებს, ნათლი, ი თქვენი ნათლიმამა ხელიდან მეცლება.
- საწყალი! ფული ხომ იშოვე?
- აი ფული.
- მოიტა! გარდაიცვალოს თუ არა, მოწმობა მამიტანე და მიიღე სამარხი.

შემომტანი ათასჯერ მეტი იყო გამტანზე. ივსებოდა დახლი და გადადიოდა ფული ხაზინაში ფოცხვერას სახელზე. გადმოსქდა წყარო ვერცხლისა, გარდაიქცა იგი ნაკადად, თანდათან მატულობდა ჩხრიალა და ისწრაფოდა გარდაქმნილიყო გალადებულ მდინარედ. მარჯვედ და საოცარის სისწრაფით იზრდებოდა ხალხში ფოცხვერას კასსისადმი ტრფიალი, გადამდები სენივით ვრცელდებოდა ოჯახიდან ოჯახზე, უბნიდან უბანში, სოფლიდან სოფლად; მთელ თემს მოედო იგი ტრფიალი. ფოცხვერა ეხლა ფიქრობდა, თავის კასსის განყოფილებები დაეარსებინა საქართველოს ყველა კუთხეში და ფულის საჭერი ბადე გადაეფარებინა მთელ ამ ქვეყნისათვის. კიდევ დააარსა რამდენიმე ნაყოფიერი განყოფილება. დიდძალი დოვლათი შეიკრიბა ფოცხვერას ხელში.

- ვინ მოიფიქრებდა, რომ ამოდენა ფულის შექუჩება შეიძლებოდა დაგლახაკებულ ხალხში! მაგრამ დიდმა აზრმა ნაყოფიც დიდი გამოიღო, - ფიქრობდა ფოცხვერა თავმომწონედ და უღიმოდა თავის თავს, ხელის გადასმით უაღერსებდა თავის ფართო შუბლს.

ხელოვნურად იზრდებოდა ფოცხვერას კასსა, ახალ-ახალი ტოტები და ყლორტები გამოჰქონდა ამ საარაკე მცენარეს, განზე და განზე იდგამდა გაუმადლარ ფესვებს და იწევდა მეტი ადგილისათვის მოეხვია თავისი ჯირკვები, რომ სიჩხინტე გამოეწონა ყველასათვის და ყოვლისათვის: ბევრი, ძალიან ბევრი საზრდო ეჭირებოდა მის ახოვან ტანს და საზრდო მზამზარეული, რადგამ ამ ეშმაკის ქმნილებას თვითმოქმედების უნარი არა ჰქონდა, რისამე დამუშავების შნო არ მიჰმადლებოდა და მხოლოდ იმის ჩანთქმით ცხოვრობდა, რაც სხვას დაემზადებინა, რაც სხვის სარჩოს შეადგენდა და სიცოცხლეს. ეს კასსა არც სავაჭრო სახლი იყო, რომ ალებ-მიცემაში სარგებელი ენახა და იმით ხარჯიც გაესტუმრებინა, მოგებაც ეჩვენებინა წევრებისთვის და თითონაც დარჩენიყო რამე მმართველს; არც მასალის შემამუშავებელი რამ მოქმედება იყო, რომ დამუშავებული საქონელი მეტ ფასში გაესაღებინა და ამ ზედმეტით გაეცა ყველასათვის პასუხი; არც მიწის შემამუშავებელი და ბუნებიდან სიმდიდრის გამომღები დაწყებილება იყო, რომ ქვეყნის პირიდან მოხვეჭილი, თუ ქვეყნის გულიდან ამოღებული დოვლათი მოეფინა თვის გარშემო. ეს კასსა თვალთმაქცურ ანგარიშზე იყო დამყარებული უნაყოფოზე: ათისთვის უნდა გამოერთვა, რომ ერთისთვის მიეცა გამორთმეული და თითონაც ესარგებლნა; თუ ათი ჰყვანდა დასაკმაყოფილებელი, ასისთვის უნდა დაეტყუვნა ფული, რომ მიეცა ნადავლი იმ ათისათვის და თავის თავიც არ დაევიწყნა; რამდენადაც დასაკმაყოფილებელთა რიცხვი იზრდებოდა, ათჯერ და ასჯერ მეტად

უნდა ჰზრდილიყო დამაკმაყოფილებელთა რიცხვი. ეს ორი რაოდენობა, გამტანთა და შემომტანთა რაოდენობა, ესე იყო ერთმანეთზე შედუღებული. ის წუთი ბნელი იქნებოდა დაწესებულებისთვის, რაკი თუნდ ოდნავ იკლებდა შემავსებელთა რიცხვი, მაშინვე ეს ყალბად ნაშენი გოდოლი სიმდიდრისა დაინთქმოდა და ჩამარხავდა თვის ნანგრევებში თავის მოსავ-მოტრფიალებს.

ეს თვისება თავის კასსისა ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი ფოცხვერას და ამიტომ მთელი მისი ენერგია, მთელი მისი დაულალავი მეცადინეობა მიმართული იყო წევრების შექმნაზე და სამოქმედო ასპარეზის გაფართოვებაზე. ისიც იცოდა ფოცხვერამ, რომ ბოლოს მაინც უნდა დამდგარიყო დრო შავი, ჟამი აღსასრულისა, როცა მთლად მოიკრიფებოდა მოსაკრეფი, როცა დაილეოდა სიმრავლე შემომტანთა და გაქრებოდა რაზმები ახალ-ახალი წევრთა და, მაშასადამე, დაინთქმოდა ფოცხვერას ტადარი, დაინთქმოდა და სისხლის ცრემლი აატირებდა ურიცხვ მის მოსავს. მაგრამ აქ სადარდელი მაინცდამაინც არა იყო რა: სამოქმედო ასპარეზს ჯერ სამზღვრები არ უჩანდა, მაშ დალუპვის დრო ჯერ შორს იყო და, ესეც არ იყოს, რა არის ამ სოფლად უსამზღვრო და დაუსრულებელი, რომ ფოცხვერას კასსა ყოფილიყო სამარადისო?! მთელი ჩვენი ქვეყანაც, მთელი სამყაროც ჟამიერია და წარმავალი...

მთლად გაიტაცა ფოცხვერა ანგარებამ. ჩაითრია მზრუნავ მორევში, ოქროს ლაპლაპმა თვალეზი აუბა და მან ხელი შეახო ფულს თავის ხვედრის გარეშეც. ეს ჯერ შემთხვევითა ხდებოდა: ფოცხვერა სესხულობდა საზოგადო თანხიდან, რადგან საჭიროება ითხოვდა; უნდა დაეხსნა მამისეული მამული, შემთხვევით იყიდებოდა ოჯახის ძვირფასი მოწყობილება და არ შეიძლებოდა არ შეეძინა, ბანკი საჯაროდა ჰყიდდა საუცხოვო სახლს და ფოცხვერამ დაინარჩუნა ის. რა უშავდა? თავის ხვედრიდან შეავსებდა ნაკლს.

ესე სჯიდა ფოცხვერა, მაგრამ გველი ანგარებისა უელავდა მას წინ და იმის თვალეზიდან კითხულობდა ის, რომ ამ ნაკლს არასოდეს არ შეავსებდა, რადგან რაც უფრო მეტსა ხვეჭავდა, იმდენად უფრო ეგზნებოდა მეტის სურვილი, იმდენად უფრო ეძნელებოდა ფულის გაღება. მთლადაც სძლია ფოცხვერა აღორძინებულმა ვნებამ. ანგარების გველი ეუფლა მთელ მის არსებას, დაეხვია ტანსა და ყელს, მოედო შუბლს, ვერცხლებრივ პრიალებდა მის ჭადარაში.

რა საზარელი იყო!

აწ შეუკავებელი თაღლითობა დაიწყო ფოცხვერამ, მრავალ ოინბაზობას მიჰმართა. ფულს აღარ უშვებდა კასსიდან: თუ მეტი გზა არ იყო, სცდილობდა უკანვე დაებრუნებინა გატანილი ფული; თითონვე ყიდულობდა ყოველგვარ საკასსო გვამს და ხვედრი ფული გაჰქონდა პიდაპირ თუ მახლობელთა დახმარებით.

– შენ გირჩევნია, ჩემო თედო, დააფასო შენი ავადმყოფი და ჩემგან მიიღო ნაღდი, ისე რომ ცალი ფულიც არ დახარჯო.

– ეგ როგორღა მოხერხდება, შენი ჭირიმე?

– ადვილად: შენ მაგივრად მე შევიტან კასსაში ხვედრ ფულს, როდესაც დრო დადგება, მოგცემ დანაპირს და ხელს მოგაწერინებ მთელ გამოსატან ფულზე. რამდენი უნდა მოგცე?

– რასაც გაიმეტებ, ბატონო! რა ხარჯი მიმიძღვის, რომ ბევრი მოვითხოვო.

– ხუთი თუმანი გეყოფა.

– თუ მიბოძებთ, თქვენი წყალობა იქნება.

და მოჰქონდათ მოწმობები და გაჰქონდათ მხოლოდ დაპირებული, და ხელს აწერდნენ მთელ გასატანზე.

– მოხვედ მშვიდობით, ბერდიავ!

- დამხვდი მშვიდობით!
- დაბრძანდი, ამბავი?
- მშვიდობა! დავსწერე ჯვარი ჩემს ქალს. აი მოწმობაც.
- კანონიერია! მიიღე შენი ორმოცი თუმანი და ხელი მომიწერე.
- შენი წყალობა ნუ მომიშალოს ღმერთმა!

– ე ფული ხომ მიიღე და მოდი მეგობარ კაცს ერთი რჩევა დამიჯერე: მაგ ფულიდან ათი თუმანი აიღე სახარჯოდ, დანარჩენი ოცდაათი თუმნით ხუთი სხვა ჩასწერე; როცა მოწმობებს მოიტან, თითოში ისევ ორმოც-ორმოცი თუმანი გერგება.

- ჰაი, ჰაი კარგია, მაგრამ ვინდა ჩავწერო?

– ნაცნობი გეყოლება ან მოხუცი, ან დასანიშნი, ან ფეხმძიმე. რამდენი გამოგართვეს ამ მოწმობაში?

- ხუთი მანეთი.

– მიეცი თუმანი და თუნდ იმის მოწმობას მოგცემენ, რომ ქვა გარდაიცვალა. ჭკვიანი კაცი ხარ და მიჰხვდები: ეს სოვდაგარობაა, რას დავეძებ, პეტრე მოკვდა თუ მართა დაქორწინდა, ოღონდ შემოსატანი ფული იყოს შემოტანილი და მოწმობები გამოწყობილი.

ყაბულდებოდა აზრში ჩავარდნილი ჭკვიანი კაცი, სტოვებდა მიღებულ ფულს კასსაშივე და იღებდა ახალ წიგნაკებს, ამ საკვირველ თამასუქებს საკვირველის ბანკისა, და მოსდევდა მათ შეთხზული მოწმობები, და იზრდებოდა მოქმედება კასსისა.

ვინ იცის, კიდევ რამდენი ხანი იბრუნებდა ეს გამანადგურებელი ბორბალი, რომ ღერძი არ ჩაჰლეწოდა მას პატრონისაგანვე გამრუდებული: ვნებამ ხომ გაიტაცა ფოცხვერა, შეუნდობელი შეცდომა ჩაადენინა: იმ წევრებს, რომლებიც თითონ ფოცხვერასა ჰყვანდა ჩაწერილი თავისი თუ თავის მახლობელთა სახელზე, უფრო ადრე დაუწყო ხვედრი ფულის ძლევა, თანაც დაუბრკოლებლივ და ერთბაშად, სხვებს კი სადღეხვალიოდ გაუხდა საქმე, ატანტალებდა, ერთბაშად არ აძლევდა, ხელში უწყალებდა. ჯერი შეშალა ფოცხვერამ, რიგი დაარღვია და სიყალბის დაღი აშკარად დაასო თავის მოქმედებას. ეს იწყინეს იმათ, ვისაც ჯერი ასცდა და მედგრად მოითხოვეს ხვედრი. გაისმა უკმაყოფილების ხმა და ამ ხმაურობამ ეჭვი დაბადა წევრებში. ამ ეჭვით შეპყრობილებს და დაჩაგრულებს წაეხმარნენ ისინი, ვინც შურის თვალით უცქეროდა ფოცხვერას და ჰსურდათ მისი დამხობა. ამათ ყველას ბანი მისცეს იმათაც, ვინც ადრევე ხედავდა ფოცხვერას სიყალბეს, მაგრამ ხმას არ იღებდა სილაჩრით თუ დაუდევრობით. შესდგა საგრძნობელი ჯგუფი მოწინააღმდეგეთა და ახმაურდა.

- ანგარიში, ანგარიში! – გაისმა ყოველ მხრივ.

ამ ხმაურობამ გამოაფხიზლა ბრბო. დამფრთხალმა ხალხმა მოჰკრა ქისას პირი და ხელი მოუჭირა ჯიბეს. სწრაფად იკლო ვერცხლის ნაკადმა. ფოცხვერამ მოავლო არემარეს გამოცდილი თვალი, შენიშნა აუცილებელი საფრთხე და შეფიქრდა ერთ წამს. მაგრამ მალე მოეგო თავს. წყალქვეშ ერთ გოჯზე ხარ თუ ერთ ადლზე, ორივე ერთია, ორსავე შემთხვევაში დახრჩობა აუცილებელია, გაიფიქრა იმან და უკვე შეტოპილმა მთლად დაიყურყუმელავა: რაც კასსის ფული იყო შენახული ხაზინაში თუ სხვაგან სადმე, გამოიტანა და გადაძალა, უმთავრესი საბუთის წიგნები დასწვა და წარსდგა ხალხის წინ ფოცხვერი პირსისხლიანი.

– ხალხო და ჯამათო! საქმე დავიწყე მომავლიანი, საშვილიშვილო, ნამდვილ სოვდაგრული, საქმე ისეთი, რომ ჯერ არსად თქმულა, არც გაგონილა. ავამოდრავე კაპიტალი, ვადულ-ვაქორქორჩე ცხოვრება გარინდებული, მიძინებული, მიმკვდარი. სასიქადულო ჩემი დაწყებულობა, ხვავიანი ჩემი მოქმედება სწორედ დიდ ნაყოფს გამოიღებდა თქვენს სანუგეშოდ, ჩემს სასახელოდ და ქვეყნის საიმედოდ, რომ არ

შევებოჭეთ უჟამოდ და ნება მოეცათ მოქმედებისა. მაგრამ აჰყვა ბოროტი ამ კარგ საქმეს, როგორც ჩრდილი საგანს: გაჩნდნენ მოშურნენი, ააღელვეს წევრები და შეაკრთეს, შეაწყვეტინეს ფულის შემოტანა. და თუ წევრები ფულს არ შემოიტანენ, თუ ახალ წევრთა რიცხვი არ იმატებს, მაშ ძველი წევრები რა ფულსდა გაიტანენ, ან როგორღა შეივსება გატანილი?! ავი დაცარიელდა კიდეც კასსა და დაემხო მტერთა გასახარად...

ხალხში ჯერ სიჩუმე სუფევდა სამარისებური, მერე ყრუდ გაისმა გაურკვეველი რამ ხმაურობა; იმატა ხმამ, გართულდა და გარდაიქცა გრგვინვად საზარლად, შემხუთველად, შემადრწუნებლად.

[1908 წ.]

დ ე დ ა

გავიდა ზაფხული და დავღონდი, გული ჩამიშავდა. რად მიყვარს ზაფხული? იმისთვის მომწონს და მიყვარს, რომ მზე მაღლა სდგას, თავს დამყურებს, უხვად მაფრქვევს ცხოველმყოფელ სხივებს, გულს მიშუქებს და მითბობს; მთელ არსებას მინათებს. იგი, რა სიამოვნებასა ვგრძნობ, როცა მის ბჰყვრიალა სხივებში ვარ გახვეული, როგორც სატრფოს სურნელოვან თმაში?! რად გიხარიან მზის სიახლოვეო! ბარემ ისა მკითხე, რად ვნეტარებ მშვენიერის უბეში... მზეც ხომ მშვენიერებაა და თვით სიცოცხლე.

თუ გიყვარვარ, ნუ ემალები მზეს! დატკბი მისი ელვარებით, მაღლი შესწირე მაღლით მოსილსა, თაყვანი ეცი მას: ღვთის თვალია იგი; თვით შემოქმედია იგი ჩვენის ქვეყნისა და ცხოვრების მომცემელი...

კიდეც იმისთვის მიყვარს ზაფხული, რომ ნიავევით თავისუფალი ვარ მაშინ. სხვა დროს მიჭედილი გულსაქენჯ საქმეზედ და თავჩაკრული, ზაფხულობით ახსნილი ვარ, აშვებული, უბორკილო. ისე მომსურვილდება ზაფხული, როგორც სწყურის თავისუფლება ხელსაფქვაზედ მიჯაჭულ მონას, რომელიც შეუფერხებლივ დადის ირგვლივ ერთფერად, რომ ატრიალოს დოლაბი და ფქვას საფქვავი.

ტურფა ფერებით არის ჩემთვის ზაფხული დაფერადებული იმ თვალწარმტაც საღებავებით, რომლებიც მხოლოდ სინათლეს და თავისუფლებას შეუძლიანთ შეაზავონ.

აკი ვსარგებლობ კიდეც იმ უძვირფასეს წუთებით. ხან ვზივარ მზის სხივებით გარემოცული, შევმზერ სივრცეს და ვსტკბები ჩემის ყოფნით, ვნეტარობ იმ შეგნებით, რომ ვარ, ვცოცხლობ, ვსუნთქავ, ვსულდგმულობ; რომ გამოვრკვეულვარ არარაობათა წყვდიადიდან და მომმადლებია ძვირფასი ნიჭი არსებობისა. სხვა დროს, ძალდატანებითი შრომის ჟამს, ამას ვერა გრძნობს ადამიანი, მაშინ ის არ არსებობს ცალკე, იგი მხოლოდ გორგოლადაა უზარმაზარი მანქანისა, რომელს ვერ შეუძლიან ან შესდგეს, ან აჩქარდეს თავისთავად... ხან დავდივარ სოფლიდან სოფლად, თვალს ვადევნებ ბუნებას თუ ცხოვრებას და გული მევსება სიხარულით ან სევდით, როცა ვხედავ სიცოცხლის გაფურჩქვნას თუ მის ჩაჭკნობას.

ახ, მალე გადის ძვირფასი წუთები თავისუფლებისა და მხოლოდ მოგონებადა მრჩება დაღონებულს...

წლეულაც გაველ სოფლად. ნაცნობი ჩამაცივდა, მივდივარ ხალხურ სიმღერების ჩასაწერ-შესაკრებად და წამოდით. ნეტავ არ წავყოლოდი! ისეთ შემთხვევას წავაწყდი! ისეთი სურათი ჩამეჭრა გულში, რომ ჩამიმწარა ყოფა, ჩამიშხამა იგი ზაფხული.

ივრის ხეობაზედ გადავედით, იმ ადგილას, სადაც ერწოს მთებისა და ცივ გომბორის შუა იორს გზა გაუკვალავს, ღრმა ღელე გაუჭრია. მარჯვნივ თუ მარცხნივ მრავალი ღელე თუ ნაკადული უერთდება აქ მდინარეს. მარჯვნივ ჩამოუდის მოზრდილი წყალი ღელვარა. ისიც იორივით კალმახიანია. სადაც ეს ხევი უერთდება იორს, იქ არის გაშენებული სოფელი თინათკარი. ახლომახლო სხვა სოფლებიც მოსჩანან. სამოცამდინ კომლი ითვლება. სოფელში თავადი არა სცხოვრობს. ერთი კომლი აზნაური მოსახლეობს, თინაშვილი. ქვითკირის მოზრდილი შენობა ედგა თეთრად შელესილი. სოფელში რომ შევედით, იმ სახლისაკენ მოგვითითეს, სტუმართმოყვარე ოჯახიანო.

სახლი ღარიბი ჩანდა, მაგრამ სუფთად შენახული. კარმიდამოს, ოთახებს, ავეჯს თუ ჭურჭელს, საფენს თუ ფარდა-სუფრას – ყველაფერს მზრუნველი ხელი ეტყობოდა, ფაქიზი. ტკბილად მიგვიღო დიასახლისმა, გულით გაეხარდა ჩვენი მისვლა. ისე გვექცეოდა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ვყოფილიყავით. ქართულად იყო ჩაცმული მუქებში. შუათანა ტანისა. სუფთა აგებულობისა. ქალის სახის უძვირფასესი სამკაული იყო მისი დაღონებული თვალეები. ეს თვალეები უძირო ტბა იყო გულკეთილობისა და პატიოსნებისა. კახეთიდან ყოფილიყო გაღმა მხარიდან. სასწავლებელი დაემთავრებინა. ადრე დაქვრივებულს ყმაწვილქალობა თავის ვაჟისათვის შეეწირნა. განვითარებული აღმოჩნდა ქალი, ნაკითხი.

– მეუღლის გარდაცვალების შემდეგ სოფლიდან ფეხი არ გამიდგამს; მთელი ჩემი დრო და ღონე ჩემს პატარა მამულს შევალიე, რომ როგორმე მეცხოვრა და უვალოდ გამომეზარდნა შვილი, – გვითხრა ქალმა.

შემოვიდა მისი შვილიც. ძალიან ცოცხალი ახალგაზრდა ჩანდა. დედის ლამაზი თვალეები დაჰყოლოდა, დიდრონი, მაგრამ იმის თვალეებში ბედისადმი მორჩილების მაგივრად ვაჟკაცური შემმართებლობა იხატებოდა, ხოლო თვალის კილოებში ოდნავ დამცინავი ღიმილი. გულლიად მოგვესალმა. დედა ყოველ მის მოძრაობას სიყვარულით ადევნებდა თვალს. ჩემი თანამგზავრის გვარი რომ გაიგო ყმაწვილმა და ჩვენი მოსვლის მიზანი, ძალიან ესიამოვნა.

– მე თითონაც მიყვარს სიმღერა, მასალაცა მაქვს შეგროვილი, – სთქვა ფარნამ.

და გამოიტანა რვეული, რომელშიაც საკმაოდ ჩაეწერნა სიმღერა თუ საგალობელი.

– განა თქვენ იმდენი იცით, რომ სიმღერის ჩაწერაც შეგიძლიანთ? – ჰკითხა თანამგზავრმა.

– როგორ არა, ბატონო, – მიუგო ფარნამ.

და იქვე ჩვენ წინ წაიმღერა ჩაწერილი ხმა. ჩემი თანამგზავრი მუსიკის მოტრფიალე იყო და მაშინვე დაუმეგობრდა ახალგაზრდას, შეიტკბო იგი. ხუთი დღე დავრჩით იქ და ამ ხნის განმავლობაში არც ფეხი ჩაუდრეკიათ, არც პირი დაუყენებიათ: დღე სოფელ-სოფელ დადიოდნენ და სწერდნენ ყველა ხმას, რომლის ჩაწერაც კი შეიძლებოდა; ღამე კიდეც მოსვენებას არ გვაძლევდნენ: ღიღინებდნენ, მღეროდნენ, უბანებდნენ, შესძახოდნენ; იმეორებდნენ იმ ხმებს, რაც კი გაეგონათ და ჩაეწერნათ. რა შეგვეძლო მოთმინების მეტი?!

მე კი იმ სოფელს აღარ მოვცილდი. დიასახლისმა იტვირთა ჩემი წინამძღოლობა და გართობა; მეც მისი კალთა დავიჭირე და ავედევენე. ქალმა გამაცნო თავისი პატარა, მაგრამ ეშხიანად მოწყობილი ოჯახი: დამატარა კარ-მიდამო, კალო-საბძელი, სათამბაქოე თუ ბოსტანი, სახნავი, სათიბი. ტყის პირასაც ავედით. ყველაფერი

პირიანად იყო მოვლილი. ამიწერა, საიდან რა შემოსავალი ჰქონდა, რას ახმარებდა იმ შემოსავალს.

– სჩანს, უდიდესი ნაწილი შემოსავლისა თქვენი ფარნას აღზრდაზედ გიხარჯნიათ, – შევნიშნე მე.

– თითქმის მთელი შემოსავალი! რა ვქნა: ტფილისში ყველაფრის სიძვირეა, ჩემს ფარნას კი არ შეუძლიან მომჭირნედ ცხოვრება; სუსტია, ნაზი და დაიჩაგრება.

სოფლის მიდამო მთლად შესწავლილი ჰქონდა; იცოდა, სად რომელი ბალახი იზრდებოდა და როდის ყვავოდა, ან თესლს როდის იკეთებდა; მათში რომელი და როგორ იხმარებოდა საღებავად თუ წამლად. ისეთ სახელებს მეუბნებოდა მცენარეებისას, რომ არც გამეგონა, ვერც ლექსიკონებში ვნახე, ჩაწერილი მაქვს ის სახელები; ბევრგან სახელთან გამხმარი ბალახი თუ ყვავილიცა მაქვს ჩაკრული.

არც თითონ სოფელი გაეშვა ქალს უყურადღებოდ. თვითეულ კომლს დაახლოვებით იცნობდა, ყველას ავლა-დიდება გაეგო, სუყველას დარდი თუ გასაჭირი გაეთვალისწინებინა, ნდობა და სიყვარული დაემსახურებინა. ყველგან სიხარულით ეგებებოდნენ, როგორც სასურველ სტუმარსა და მეგობარს.

– ბევრი შრომა დამჭირდა, დაფიქრებით თვალის დევნება, სანამ ხალხს შევიჩვევდი და თავს შევაყვარებდი. ქმრის დროსაც აღმაცრივ მიყურებდნენ, თითქმის მტრულად; მხოლოდ იმის ცდაში იყვნენ, რამე ეზარალებინათ, წაეგლიჯნათ. მარტო რომ დავრჩი, ჩემს ოჯახს ისე დაუწყეს ყურება, როგორც ყვავ-ყორანი დაჰყურებს დავარდნილ ცხოველს, მათ საჯიჯგნად გარდაქცეულს. ნელ-ნელა შევიჩვიე სოფელი. ეხლა, ვგონებ, ადამიანი არ მოიძებნება აქ ჩვენი ავისმდომელი. უსათუოდ კი უნდა შემეყვარებინა თავის სოფლისათვის, რადგან ეს იყო ჩემი საცხოვრებელი ადგილი; აქ უნდა ამეზარდნა ჩემი პატარა და სოფლის მტრობა ხელს შემიშლიდა, გზას დამიცარავდა.

– მაინც როგორ მოახერხე, ქალო, ეგ ყველაფერი და მეტადრე ეხლა, როდესაც უფრო გადაუვალი შეიქმნა ზღვარი ხალხისა და მემამულეთა შორის?

– თითონ მე დავუახლოვდი ხალხს: დავუწყე სოფელს დახმარება, არა ვზოგავდი არც შეძლებას, არც შრომას, ოღონდ შეღავათი რამ მიმეცა გაჭირვებულისათვის. სესხი დასჭირდებოდა თუ თხოვება, დასაწერი რამ იქნებოდა თუ წასაკითხი, ავად გაუხდებოდათ ვინმე თუ სხვა რამ რჩევა დასჭირდებოდათ, ყველაფერში ვეხმარებოდი ყველას შეძლებისდაგვარად. უფრო ავადმყოფობის დროს დახმარებამ გამიკვლია მათკენ ბილიკი. ამ მხარეს ექიმი არ მოეპოვება და ჩვენი თავისათვის ჩვენვე უნდა გვეშველნა. შევიძინე ცოტა რამ აფთიაქის წამლები, შევისწავლე სოფლური ექიმობა და წამლების შემზადება, მოვიპოვე კარაბადინი თუ ახალი საექიმო წიგნები და შევუდექი საქმეს. თავს არა ვზოგავდი: რაც უნდა ძნელი და საშიში ავადმყოფობა ყოფილიყო, მაინც შევბედავდი და ვშველოდი წამლით თუ დარიგებით. ვძრწოდი შიშით, ავადმყოფობა არ გამომეყვს და ჩემს ფარნას არ გადავსდო-მეთქი, მაგრამ მაინც ვბედავდი. ყველა ამან გაადნო ის ყინულის ზღუდე, რომელიც ამართულიყო ჩვენსა და მაგათ შორის, – მითხრა ქალმა.

და მიჩვენა ხელის ყუთი, რომელიც სავსე იყო ათასგვარი წამლებით და ბალახ-ბულახით.

– ჩემი ფარნაც ბევრჯერ მომირჩენია ამ წამლებით! – თქვა კმაყოფილებით.

– ის რაღაა, ქალო, რომ ყველა ნათლიას გეძახის? ნათლი, მოზრძანდი! ნათლი, როგორ ბრძანდები? ნათლი, ვინ სტუმარი მოგსვლია? ნათლი, ფარნა სადა გყავს?

– ეგეც ერთი ხერხია ჩემი მაგათთან დაახლოვებისა: აქ ძალიან სწამთ ნათლიობა, ნათესავად მიაჩნიათ ნათლია და ამით ვისარგებლე. იშვიათი ოჯახია, ნათლული არა

მყვანდეს. მართალია, ხარჯი უნდა ამას, რადგან არ შეიძლება ნათლულს ყურადღება არ მივაქციო, მაგრამ ეს ყველაფერი აუცილებელია: თუ სოფელი არ შევიყვარე და არა ვარგე რა, არც სოფელი შემეყვარებს, არ მასიამოვნებს.

– თქვენი კეთილი გული და ღმობიერი ხასიათია თქვენი ხალხთან დაახლოვების მიზეზი, თქვენ კი ყველაფერს იმას აწერთ, მითომ მეტი გზა არა გქონდათ.

ამ მიაღერებაზედ ქალმა მორცხვად დახარა წამწამი, შეფერიანდა. ერთხელ ბოგირზედ გადავდიოდით და ქვეშ, ჩალიანში, გველი დავინახეთ. ქალს ფერი ეცვალა, გაშეშდა ადგილობრივ, თვალის იერი დაჰკარგა; გული მისდიოდა. ძლივს დავაშოშმინე. გონს რომ მოვიდა, მითხრა: ძალიან მეშინიან გველისა, მისი შიშით დანქრეული ვარ ზაფხულობით. რა საშუალებას, რა წამალს არა ვხმარობ, რომ სახლის ახლო არ გავაწაწანო წყეული! მას აქეთ დამიშინდა გული, რაც ერთხელ ჩემი ფარნას აკვნის კამარაზედ ვნახე მცურავი გადახვეული. ეხლაც თრთოლა მომდის, როცა გამახსენდება ის საშინელება.

– ბევრი იცის აქ გველი?

– ძალიან ბევრი! მეტადრე ამ ხევში. მე ხომ ესე შემზარავს ხოლმე მცურავის დანახვა: ჩემს ფარნას კი სრულებით არ ეშინიან; რამდენჯერმე კიდეც მოკლა.

მე რომ იმ ადამიანს ვათვალიერებდი და ყურს ვუგდებდი, ის მაკვირვებდა: ყველა საგანი შვილს აგონებდა, ფარნაზედ უთითებდა. რაც უნდა ამბავი დაგვეწყო, მაინც ფარნას ხსენებით გათავდებოდა. ადგილს რასმე მივაქცევდი ყურადღებას თუ მოქმედებას, მის თვალში საგანიც, ადგილიც, ყოველი მოძრაობაც იმდენად შეფასდებოდა, რამდენადაც დამოკიდებულება ჰქონდა ფარნასთან. სხვა საზომი არ ეჭირა ქალს ხელში. თავისი თავი მხოლოდ იმდენად ახსოვდა, რამდენადაც იგი საჭირო იყო ფარნას აღორძინებისა და კეთილდღეობისათვის. დედა აღარ არსებობდა, როგორც ცალკე პიროვნება შვილისაგან განკერძოებული; ვერც ვაჟი წარმოედგინა ცალკე, მისგან უკვე განყოფილ გვამად: ფარნა მხოლოდ განგრძობა იყო დედის არსებისა, განგრძობა განახლებული და საუკეთესო. გამიკვირდა-მეთქი, რადგან არ მეგონა, ადამიანს შეეძლო ამ ზომამდინ მისცემოდა თავის დავიწყებას, თავის ყოფნის ჩადნობას სხვის არსებობაში. ფარნა ერთადერთი ნათელი იყო დედისათვის ამ ბნელ ქვეყნიერებაში და მცირე ღრუბელსაც კი, რომელსაც ოდესმე გარდაევილო შვილის ბედის ცაზედ, უხვად ეწურნა ცვარი ცრემლისა დედის დაღონებულ თვალებიდან.

ესეთი იყო ის პაწაწინა ოჯახი, რომელმაც იტვირთა ჩვენი მასპინძლობა და რომელმაც ისე შეგვითვისა, თითქო ამაგდარი ნაცნობები ვყოფილიყავით. ჩვენც ხომ გული ჩამოგვიხდა იქ და სიამოვნებით განვაგრძობდით იქ ყოფნას. ბოლოს კი ცუდი ამბავი დაგვატყდა თავს და შეგვირყია მყუდროება, შეგვიცვალა სიხარული სიმძიმით; გუნება მოგვიშხამა.

ეზოში, იქვე ახლო, პანტა იდგა და იმის ქვეშ ტახტი იყო გამართული. იქ უყვარდა დიასახლისს საღამოობით დასვენება. ჩვენ იმ ხის ქვეშ ვიყრიდით თავს ვახშმის მოლოდინში. იმ საღამოსაც იქ შევიყუყუნით. ჯერ მარტო მე და დიასახლისი ვისხედით და ვმუშაიფობდით. მერმე ფარნა და ჩემი თანამგზავრიც მოვიდნენ. კარგ გუნებაზედ იყვნენ, მხიარულად: ვინმე მომღერალს შეჰხვედროდნენ და ახალი რამ ჰანგი ჩაეწერნათ, იქვე გვიმღერეს. მაგრამ როცა ნახეს, რომ ჩვენ, მე და დიასახლისი, ვერ მოველით ისეთ აღტაცებაში, როგორსაც მოელოდნენ, იწყინეს და იმ სიმღერის დამატკობელ მიხვრა-მოხვრას გვითვალისწინებდნენ. ამ დროს მოიბრინა ჩვენთან ერთმა ახალგაზრდამ და ამბავი მოგვიტანა შემაკრთობელი: ბოქაული ჩამოხდა მამასახლისისას შეიარაღებული მხლებლებით და ფარნას სახელს ახსენებენ, ფარნას

კითხულობენო. ფერი ეცვალათ დედა-შვილს. ფარნაც წამოხტა, შინ შეირბინა, დამბაჩა ჩაიდო ჯიბეში და იმ წამსვე გამოვიდა კარზედ.

– სჯობს ცოტა ხნით გავეცალო სადმე; მიწყდება ხმაურობა და ისევ მოვალ, – სთქვა მან.

– განა დანაშაული რამე მიგიძღვის? – ვკითხე მე.

– სრულებით არაფერი! მაგრამ სიფრთხილეს თავი არ ასტკივა; ალბათ ვინმემ მიმტრო, დამაბეზლა, რამე ცილი დამწამა.

ჩამოგვართო ხელი, გადაეხვია დედას და გავიდა ეზოდან. ხომ ვსთქვი, სახლის წინ ხევი ჩამოდიოდა-მეთქი. ნაკადის გაღმა შამში იწყებოდა ბუერიანი. ჭაბუკი იქით დაეშვა. დედა ერთ ხანს გაქვავებული იდგა და რეტად აყოლებდა თვალს დაფანტული. მაგრამ როცა ფარნა გაემართა, ქალი გონს მოვიდა, ფეხდაფეხ გაჰყვა შვილს. ალბათ ჰაზრადა ჰქონდა ტყის პირამდინ მაინც მიეცილებინა. ჭაბუკი გასცდა წყალს, შამშიანში შეერია. იქით ნაპირს ბეჭობი იყო დაქანებული. აღმართზედ ახალგაზრდა დაიხარა და ერთ ალაგას ხელებიც მიიშველა. უცაბედად ხელი დააჭირა აქ მწოლარე გველს. მცურავი მსწრაფად შეიხლაკნა, ყელზედ მძლავრად შემოეჭდო ყმაწვილს და სისინით ჩააცხრა ლოყაში. ფარნას დაკვივლებაზე დედა გადახტა ვეფხვივით, დაავლო წყეულს ხელი, აჰგლიჯა და გადასტყორცნა. რომ ნახა ჩაშხამული ლოყა, ჩააკვდა ნაკბენს ტუჩებით და ამოწოვა. ბეჩავს გაეგონა, თუ ახლად დაგესლილი ადგილი ამოიწოვა, შხამი ამოვა და გადარჩება დაკბენილიო. გავფრინდით მათკენ, მივცვივდით. გაკაწრული თუ ჰქონდა ქალს ღრძილი ან ლოყა შიგნიდან გაფხაჭნილი: მალე შეაჩნდა მას პირში სიმსივნე.

[1908 წ.]

სახიფათო სიყვარული

1

1641 წელს აღდგომის მეორე დღე ისეთივე მშვენიერი გათენდა, როგორც თითონ აღდგომა. ცა მოწმენდილი იყო, მხოლოდ მაღლა, ძალიან მაღლა, ცის კამარაზე აქა-იქ ღრუბლის ქულები გაფანტულიყო. მზე ბრწყინვალედ ანათებდა არეს. გუშინდელივით კი ამოსვლისას ბატკანს აღარ ათამაშებდა; მისი სხივები ჯერ არა სწვამდნენ დედამიწას, მხოლოდ ათბობ-ანათებდნენ.

მზეს უხაროდა, რომ სძლია მომაკვდინებელ ზამთარს და მოარიდა იგი შეღონებულ დედამიწას. ეხლა მკაცრი ყინვის მაგივრად თითონ ჰხვევდა მას ცხოველმყოფელ სხივებს, ნაზად ეალერსებოდა, ეკონებოდა. სცდილობდა მთლად გამოეფხიზლებინა დამძრალი და ფერმიხდილი ბუნება, გამოერკვია იგი, გაემხნევებინა და ღონე მიეცა მისთვის, რომ სიხარულით აღეზარდა ახლად გამოსახული ნაყოფი.

დედამიწაც შეჰხაროდა ცხოველმყოფელ ნათელს და მისკენ აღეპყრო გაღიებულ მდელოთა ღერო: ჰსურდა ეჩვენებინა, რომ მისი მისწრაფება გულსავსედ მიიღო და აღმოაცენა სასურველი ნაყოფი სიამისა.

მზე და დედამიწა ეხვეოდნენ ერთმანეთს; ორივენი ერთად შეჰხაროდნენ ახლად გაღვიძებულ მდელოს, პირმშოს თვის ტრფობისას.

ყოველივე სულდგმული თანაუგრძობდა მზისა და მიწის დღესასწაულს, ქებას უძღვნიდა, დიდებასა სწირავდა; შეჰნატროდა მათ დაუშრეტელ ძალას, თაყვანსა სცემდა; ახმაურებულიყო მინდორი, ტყე, წყალი, ჰაერი.

გულს ჟანგი მოჰშვებოდა ადამიანსაც, პირს ღიმი დაჰფენოდა, სადღესასწაულოდ გამზადებულიყო.

2

სადღესასწაულოდ ემზადებოდა ყაფლან არსიანელიც. ეზოში ორი ურემი იდგა, ერთი დაჩარდახულ-მოფარდაგებული, მეორე სავსე ხურჯინებით, ქვაბ-ჭურჭელით, ფიჩვ-საფენით. ურმის თავზე ვერძი იყო ჩაკრული. იქვე ეგდო ღვინით სავსე კოლოტი; ურმის ბოლოზე იდგა ლოგინით გატენილი მაფრაშა. უკან კურატი იყო გამობმული. ბიჭები გარს უვლიდნენ ურმებს: უწყობდნენ, ასწორებდნენ, ამაგრებდნენ, აკრავდნენ. ხარ-კამეჩისათვის თივა დაეყარნათ, ცაცხვის ქვეშ შეკაზმული ცხენები ება.

აივანზე ისხდნენ მსუბუქად შეიარაღებული ვაჟკაცები და საუზმობდნენ. ერთი მათგანი უფრო ხნიერი იყო, წვერმოპარსული, უღვაშში ხშირი ჭაღარა ერია, ყურთმაჯები გადაეყარნა. ამ კაცის უკან მწევარი იწვა და მარჯვედ იჭერდა გადაგდებულ ლუკმას. წითელ-ყვითლად აყვავებული მოახლეები მიდი-მოდიოდნენ, ამზადებდნენ, ემზადებოდნენ.

მარჯვნივ მაღალი ტყრუმული ჩასდევდა და ჰყოფდა ეზოს ბალისაგან. ბაღში აუზი იყო გამართული, შადრევანი ამოდიოდა. აუზის პირას ჩამომჯდარიყო პირისფერებში მორთული ქალი, ხელში პური ეჭირა და წყალში ნამცეცებს ისროდა. თევზები ეტანებოდნენ ნამცეცებს, მარჯვედ იჭერდნენ. წყალი მაღაროებით იყო გამოყვანილი. მაღაროები დიდ მანძილზე მოსდევდნენ სოფელ ერტისის ბოლოდან. ბაღი ჯერ არ იყო მთლად შემოსილი, მცენარე ეხლა იფურჩქნებოდა. ვენახი დიდი იყო, თავდებოდა ხევის პირას. ზაფხულობით ეს ამწვანებულ-აღაღანებული ბაღი, როგორც ბატონის ეზო-სასახლეც, მშვენება იყო სოფელ კოდისა, რომელსაც წყალი ნაკლებადა ჰქონდა და სიციხის გამო იტუსებოდა.

ბატონის სასახლე ზემოდან დასცქეროდა სოფელს და სავსე იყო ყოველივე დოვლათით. რა გინდა, სულო და გულო, რომ აქ არ მოიპოვებოდა! თევზიც კი ესხდათ აუზში, რომ სურვილი უმაღ დაეკმაყოფილებინათ, რადგან მდინარე ალგეთი მოშორებით ჩამოუდიოდა სოფელს. ეს თევზები ძალიან უყვარდა ბატონის ერთადერთს ქალს ტასიკოს; ეს ქალი იყო მათი განსაკუთრებული მომვლელ-მფარველი. ეხლაც, ხატობაში წასვლის წინ, თავის ხელითა ჰკვებავდა მათ. ოდნავ მომღელვარე ანკარა წყალში კრთებოდა ახალგაზრდა მშვენიერი სახე და იღებდა სხვადასხვა იერს, ხანდისხან სასაცილოს, ყოველთვის სანდომს.

ადგა ყაფლანი, მოიხადა ქუდი. წამოიშალნენ ყველანი. ხუცესმა წარსთქვა ლოცვა. პირჯვარი გადიწერეს.

– შვილო, ფარნა, დრო არის წასვლისა, – მიუბრუნდა ყაფლანი ახალგაზრდა ვაჟკაცს, რომელიც იქვე იდგა გვერდით.

– მოახსენეთ ქალბატონს, გამობრძანდეს! – უბრძანა ფარნაოზმა.

მოახლეები გაიქცნენ ოთახისკენ. გამოვიდა ქალბატონი. მიძიმედ იყო მორთული სარტყელ-გულისპირით, ლეჩაქ-თასაკრავით; ტანთ ქათიბი ეცვა. კავ-ნაწნავი ჰინითა ჰქონდა შეღებილი. საყურ-ბეჭედი უბრწყინავდა. მისეალმნენ. უშველეს ურემზე ასვლა. მწვანე წულები ჰსცმოდა მოქარგულ ქოშებში.

– ქალო ტასიკო, მოდი, შვილო, დრო არის წასვლისა! – გასძახა ქალბატონმა ქალს.

ქალი გამოცქრიალდა. ფარნაოზს უნდოდა ეშველნა მისთვის ურემზე ასვლა, მაგრამ ტასიკომ არ აცალა, თითონ შეფრინდა და დამცინავის ღიმილით გადმოხედა ჭაბუკს. შეჯდა ცხენზედ ყაფლანი. შესხდნენ ყველანი. გადაიწერეს პირჯვარი და გაემართნენ სამებისკენ.

3

სამება განთქმული ხატია საბარათიანოში. გათათრებულ ქართველებსაც ახსოვთ და სწამთ ეს სალოცავი. ეკლესია სოფელ კუმისის თავს არის აშენებული სალ კლდეზედ. მარჯვნივ ხევი ჩამოუდის პაწაწინა ნაკადულით. საყდრის გარშემო აკაკები სდგას; ხევის პირას ლეღვი ჰხარობს. კოდიდან საცალფეხო გზა კუმისზე ადის, ურმის გზა – ვაშლოვანზე. გრილი ადგილია, სიო არასოდეს არ აკლია.

ყაფლანიანთ ბინა ხევის პირას დაედოთ, საიდანაც ნაკადული ჩაჩქრიალებდა ძირს. კარავი კუმისს და მის ტრიალ მიწვევებს გადაჰყურებდა. არსიანელთ ღამის თევა ჰქონდათ შეთქმული.

მლოცავი ზოგი მოსულიყო, ზოგი მოდიოდა; მეორე დღეს სამებობა იყო, ღამის მთვევლები იკრიბებოდნენ. ეკლესიას პატრუქს ავლებდნენ, სანთელს ანთებდნენ. დიდძალი ზვარი მოეყვანათ: კურატი, ცხვარი, მამალი. არსიანელთ ცეცხლი გააჩაღეს, ვახშამს შეუდგნენ. ყაფლანის უკან იდგა მისი მოურავი თევდორე და გადად-გადმოდიოდა, ფეხს იცვლიდა.

– ალბათ სათქმელი რამ გაქვს, ბიჭო, რომ ირყევი ნასახლარის ნარივითა, – შენიშნა ბატონმა.

– დიად, ბატონო, მინდა მოგახსენოთ, მაგრამ ვერ გამიბედნია.

– ისეთი რა უნდა იყოს?!

– თქვენი მშვიდობა! ხვალ როსტომ მეფე უნდა ამობრძანდეს ქალაქიდან. ბარგი კიდევ მოვიდა. ბატონი ზურაბიც თან ახლდება, თქვენი სიმამრის შვილი...

ამის გაგონებაზე ქალბატონი აღელდა, ტასიკოს სახე გაუცოცხლდა და სიხარული აღებეჭდა თვალებში; ყაფლანმა კი შუბლი შეიჭმუხნა, ფიქრი რამ გადაეფინა მის სახეს.

– მეფე როსტომიო?! ვინ უკურთხა ყიზილბაშს საქართველოს გვირგვინი? სთქვი, ხოსრო-მირზა-თქო! – შეუტია ბატონმა მოურავს.

და ისევ ჩაფიქრდა.

– ნეტავ რა უნდათ ამ წმინდა სალოცავში ან ხოსრო-მირზას, ან იმ ჩემი სიმამრის შვილს ზურაბ-ხანს, რა ხელი აქვთ ყიზილბაშებს ქართველთა ხატთან?

– რა ხელი აქვთ და უნდა დაგვირღვიონ სიმშვიდე, მოგვიშალონ მყუდროება, დაგვიკარგონ სასოება, შეგვილახონ სიწმინდე! – მიუგო სხვამ.

– ბატონო, მაჰმადიანებიც დადიან აქ სალოცავად. იქნება სამების ძალმა კვლავ მოაქციოს განდგომილნი და შემოუერთოს წმინდა ეკლესიას.

– გისმინოს უფალმა! – მიუგეს აქეთ-იქიდან.

– ხოსრო-მირზა და ზურაბი უთუოდ მოვლენ ჩემთან, რაკი გაიგებენ, აქა ვარ. არ მივიღო, არ იქნება; მიღება არ შემიძლიან: სჯულისა და მამულის მოღალატეებს ვერ შევირიგებ, გულს ვერ გავუსწორებ.

დიდხანს ვერ დაადგა ყაფლანი ამისთანა ფიქრებს. ქართველ კაცს ჰქმუნვა არ შეჰშვენიის ხატის კარს, დარდის დაჩენა ცოდვად მიაჩნია; დაღვრემილი ვერ წარსდგება კეთილისმყოფელის წინაშე. დაბეჭვილი ტანისამოსი და მოქუშული სახე უმადურობა იქნება ყოვლად მოწყალის წინ, ხატს გაანაწყენებს, გაარისხებს. ყაფლანმა ძალა დაატანა თავს, ჯავრის ღრუბელი გადაიყარა სახიდან.

– სამების ძლიერება ყოველსავე სასიკეთოდ მოაქცევს თავის მოსავთათვის! იქნება ასრულდეს ხუცესის სიტყვა და საქართველომ კვლავ მოიპოვოს თავისი წარწყმენილი შვილი, – სთქვა ბატონმა.

და მიუბრუნდა მოურავს:

– იმისთვის მომწონხარ, თევდორე, რომ თავის დროზე გამიგებ ყველაფერს. გადიარე შინ და შავსაყდრული წამომიღე კიდევ ერთი ტიკი: ხვალ თავის გამოჩენა მოგვინდება.

– აკი მაჰმადიანები ღვინოს არა სვამენო?! – იკითხა ტასიკომ.

– ეგენი, შვილო, აღარც თათრები არიან, აღარც ქართველები; მაჰმადის სჯულსაც ღალატობენ და ქრისტეს სჯულსაც ჰგმობენ, – მიუგო მამამ.

და ისევ ჩაფიქრდა.

– სიფრთხილე გვმართებს! ხოსრო-მირზა მოღალატეა ღვთისა და არ შეიძლება მაგისი ნდობა: ბევრი სისხლი დაუღვრია მართალი; იქნება მიზეზები მოგვიკრიფოს და წამოგვექელოს.

ყაფლანის სიტყვებზე შეკრთნენ ქალები.

– რას ბრძანებ, ბატონო?! ჩვენი წამოქელვა! – გაიკვირვა ფარნაოზმა.

ყაფლანმა სიამოვნებით შეხედა ამ წერწეტ ახალგაზრდას და თითქმის შერცხვა თავის სიტყვებისა.

– კმარა! როგორ შეიძლება ხატის კარს ამდენი შიში თუ ფიქრი?! – სთქვა ყაფლანმა.

და შემოსძახა. ძლიერი ბანი მისცეს ვაჟკაცებმა, სიმღერის ხმა გუგუნით ჩაეფინა კუმისის ღრანტეებს.

4

ყაფლან არსიანელი პატარაობიდანვე იცნობდა მეფე როსტომს: სვიმონ მეფის ტყვეობის დროს მისი ძმა დაუთ-ხანი რომ გამეფდა და ქვეშის ციხეში სცხოვრობდა განცხრომით, თანა ჰყვანდა მაშინ პატარა როსტომი. დაუთ-ხანი ანებივრებდა ბავშვს, რადგან იგი უფრო ბედნიერადა ჰგრძნობდა თავს ამ ვაჟის დედასთან, ვიდრე თავის კანონიერ მეუღლესთან.

შემდეგ როსტომი მიეფარა ყაფლანს თვალიდან. მხოლოდ მაშინ მოაგონდა არსიანელს როსტომი, როდესაც გიორგი მეფემ დაასახელა ეს ვაჟი ქსენია ბორისის ასულის საქმროდ. როსტომმა უარი სთქვა რუსის მეფე გოდუნოვის სიძეობაზე და სპარსეთს წავიდა. ეს ამბავი ძალიან გაუკვირდათ ქართველებს და ყურადღება მიაქციეს ამ ვაჟს. ყეენის კარს როსტომმა მაჰმადიანობა მიიღო, მაშინ უწოდეს მას ხოსრო-მირზა.

1634 წ. შაჰ-სეფემ დასვა როსტომი საქართველოს მეფედ, ნაცვლად განრისხულის თეიმურაზისა. ზოგიერთ დიდებულს ეწყინა ეს, არ მიიღო როსტომი და გაუდგა. უკმაყოფილოთა რიცხვში იყო ყაფლან არსიანელიც.

არსიანელის სიმამრის შვილი ზურაბი დიდი მეგობარი იყო როსტომ მეფისა, ძმადგაფიცული. ზურაბი თეირანში გაეცნო როსტომს და დაუახლოვდა. გიორგი სააკაძე რომ გაიჭრა შაჰ-აბაზის კარს, ზურაბი თან წაჰყვა იმას. თეირანში დიდ-მოურავმა ხოსრო-მირზა წარუდგინა ყეენს, როგორც ლუარსაბ მეფის მეტოქედ გამოსადეგი კაცი. შაჰ-აბაზი მიხვდა, რა მოხერხებული იარაღი შეიქნებოდა სპარსეთის ხელში ხოსრო-მირზა, რომელმაც უკვე უარჰყო რუსეთთან დამოყვრება და რომელიც, გამაჰმადიანებული, აღარასდროს არ დაუჭერდა მხარს რუსეთთან შეერთების აზრს. შაჰ-აბაზმა მიიჩნია ხოსრო-მირზა, დაიახლოვა; ისპაჰანის მოურაობა უბოძა.

ხოსრო-მირზა რომ მომხრე იყო სპარსეთისა და უარმყოფელი მოსკოვთან დაკავშირებისა, ზურაბიც ესეთივე რწმენით იყო გამსჭვალული. ეს აზრთა ერთობა იყო

უმთავრესი მიზეზი ამ ორი კაცის დამეგობრებისა. ხოსრო-მირზას თანამოაზრე და მეგობარი იყო კიდეც იორამ სააკაძე, დიდმოურავის შვილი.

როსტომი რომ წამოვიდა საქართველოში ტახტის დასაჭერად, ზურაბი და იორამ სააკაძე თან ახლდნენ მას. საქართველოშიც მეგობრად შერჩნენ ესენი როსტომს და დიდი დიდება მიიღეს მის კარს.

ყაფლან არსიანელი მტრულად უყურებდა გამაჰმადიანებულ როსტომს და ზურაბ-ხანს, მოღალატეებად მიაჩნდა ისინი. ყაფლანიც იმათსავით იყო დარწმუნებული, რომ სპარსეთთან მეგობრული კავშირი საქართველოსთვის ბუნებრივი იყო და ბრძნული, რადგან ადგილმდებარეობა ქვეყნისა, სულიერი მისწრაფება ამ ორ ძველის-ძველი ხალხისა და მათი ისტორია უფრო შეესაბამებოდა ერთმანეთს, ვიდრე შორეულ ჩრდილოეთს; მაგრამ ყაფლანის აზრით, საქართველო უთუოდ თავისუფალი უნდა ყოფილიყო: ხელუხლებელი ქართველთა მიწა-წყალი, შეულახავი ქართველთა ზნე-ჩვეულება და სარწმუნოება. მეტადრე დიდ მნიშვნელობას აძლევდა ყაფლანი სარწმუნოებას.

– საქართველო საქრისტიანოა, ქართველთა ერი შედუღებულია მართლმადიდებლობასთან და ქრისტიანობის უარყოფა იმავე ქართველობის უარყოფაა, ქრისტიანობის ღალატი იმავე საქართველოს ღალატია, – ფიქრობდა ყაფლანი.

ეს იყო მიზეზი, რომ ვერ შეპრიგებოდა როსტომ მეფეს, თუმცა ვერც განდევნილ თეიმურაზის დამცველად გამოსულიყო, იმ თეიმურაზისა, რომელიც სცდილობდა გაეღო დარიალის კარები და ჩრდილოეთის ძალით დაემხო სპარსეთი.

– ბატონ თეიმურაზს ავიწყდება, რომ მისი სამეფო ხიდად არის გადებული ჩრდილოეთსა და სპარსეთს შუა. ირანზე მიმავალმა ჩრდილომ საქართველო უნდა გადმოლახოს და რით არის მეფე დარწმუნებული, რომ იმ ბუმბერაზის მძიმე ნაბიჯი არ ჩასრესს ჩვენს სამშობლოს, – ამბობდა ყაფლანი.

5

როსტომ მეფეს აღდგომის მეორე დღეს საიდუმლო ბჭობა ჰქონდა თავის სასახლეში. მხოლოდ იორამ სააკაძე და ზურაბ-ხანი იყვნენ მეფესთან, მხოლოდ ამ გამოცდილ მეგობრებს გაანდო მეფემ თავისი ხვაშიადი. ამბავი მოეტანათ, რომ თეიმურაზ მეფეს მომხრეებს შეთქმულება მოემზადებინათ როსტომის დასაღუპად. თვით მეფის კარსაც ჰყოლოდათ შეთქმულებს კაცები. დაასკვნეს, თვალი ედევნებინათ ორგულებისათვის, დაჭემმარიტებით გაეგოთ ყოველივე და ერთის დაკვრით მოესპოთ საშინელი დაწყებულება. ბჭობის შემდეგ მეფეს უგუნებობა ეტყობოდა.

– მე კი ხატობაში ვაპირებდი წასვლას: სამებობაა ხვალ, – დაარღვია სიჩუმე ზურაბმა, – გადავდებ: ეტყობა, ლხინის დრო ჯერ არ დაგვდგომია.

– ეს საქმე რას უშლის ხატობას? – უბრძანა მეფემ; – იქნება უკეთესიც იყოს ჩვენთვის ხალხში გარევა.

– ჩემი სიძე ყაფლანი იქ იქნება ოჯახობით; მომსურვილდა მათი ნახვა.

– შენ ხომ შემომწყრალი ხარ, კაცო, შენ სიძესთან! – უთხრა იორამმა.

– მე კი არა ვარ შემომწყრალი, თვითონ ის გამირისხდა, მოღალატე მიწოდა.

– და მაინც გინდა იმის ნახვა?! – გაიკვირვა მეფემ.

– დიად, ბატონო, მინდა მისი და მისი ოჯახობის ნახვა. ვიცი, რომ ვუყვარვარ, მაგრამ სჯულის გამოცვლა ვერ უპატიებია.

– მეც მაგისტვის გამიდგა არსიანელი, მეც სამშობლოს მოღალატედ მივაჩნევარ; ჩვენთვის კი, ზურაბ, საჭიროა იმისთანა მძლავრი კაცი, მეტადრე ეხლა, როდესაც შეთქმულებს კიდევ დაუბარებიათ თეიმურაზი.

– მართალსა ბრძანებთ, ბატონო, ყაფლანი უთუოდ უნდა გადმოვიბიროთ, ჩვენი კაცი უნდა შეიქმნეს ყაფლანი. თეიმურაზი კი საშიში არ არის: ის იმედდაკარგულია და ვეღარ მიხვდება წადილს. ჩრდილოეთისკენ უჭირავს მას თვალი, იქიდგანდა მოელის შვებას.

– როგორილა იმედდაკარგული ყოფილა, თუ ისეთი ძლიერი სახელმწიფოს სასოება აქვს?

– იმედი სხვისა და მხოლოდ სხვისა! კრულ არს კაცი, რომელმა დაამყაროს იმედი თვისი მხოლოდ სხვაზე! ჩრდილოეთი... ჯერ შორს არის ჩრდილო, დიდი მანძილი სძევს იქამდის; არა სცალიან ჩრდილოეთს ჩვენთვის და თუ მოიცლის, ნუთუ თეიმურაზის შერყეული ტახტის გამაგრებას მოანდომებს თავის ძლიერებას?! მოზღვავდება იგი აზვირთებული და წარღვნის ყოველსავე.

– მართალს ამბობ! – ბრძანა მეფემ. – ვერც შეეთვისება ჩვენი ერი ჩრდილოს: სხვა ჯიშის ხალხია იქ, სხვა ხასიათისა, ჩვეულებისა, მისწრაფებისა; სხვა ისტორიისა. სარწმუნოებრივი ერთობა იტაცებს ჩვენებს იქით, მაგრამ ეს ერთობაც მხოლოდ მოძღვრების ერთობაა, ძირითადი ჭეშმარიტების ერთობა, თორემ თვით ხალხის სჯული და თაყვანისცემა დიდად განსხვავებულია. გაიგეთ? მოსკოვის ელჩებს მოუთხოვნიათ, ალავერდი მეორედ უნდა ვაკურთხოთ და მხოლოდ მაშინ სწირავს იქ ჩვენი მღვდელიო. თითქო ნაკურთხი არ იყოს ტაძარი წმინდა! არც იცის თეიმურაზმა, რა ბედს უმზადებს სამშობლოს და მთელ წინა აზიას. შემოქმედს აღუმართნია ჩვენ შორის ზღუდე მტკიცე, იმათ კი ჰსურთ დასცენ ეს ბუმბერაზი საფარი. კავკასიონის იქით თვალუწვდენელ მინდვრებზე ყოველთვის არსებობდა აუარებელი ერი დაუდგრომელი, უწყალო. იგი ხარბის თვალით დაჰყურებს აზიის მდიდარ ქვეყნებს, დიდებულ სამფლობელოებს და აქამდისაც ჩანთქამდა მათ, თუ კავკასიონი არ სდარაჯობდეს ჩრდილოეთით. დაკეტილია კარი ძლიერი კავკასიონისა და მის მცველად სდგას ქართველი, – აი დიდი ისტორიული მნიშვნელობა პატარა საქართველოსი! „და განიხვნენ კარნი კლდისანი, და გარდმოსქდნენ ჩრდილონი ღვარად წარმღვნელად, და დაჰფაროს ქვეყანა ბნელმან გარესკნელმან!..“ არ ახსოვს თეიმურაზს სიტყვა იგი წინასწარმეტყველისა და მიილტვის ჩრდილოისაკენ, როგორც ზვარაკი უგუნური!

– ჭეშმარიტსა ბრძანებ, ბატონო მეფევ! – მოახსენა იორამ სააკაძემ, – თურმე დიდებული შაჰ-აბაზი ბრძანებდა, ქართველები დაჰლუპავენ თავიანთ თავსაც და სპარსეთსაც, თუ ახსნეს დარიალის კარებიო; ეს მამიჩემის გიორგისაგან გამიგონია.

– ზურაბ! თურმე შენი სიძე ყაფლანიც ამნაირი აზრისაა, ისიც ეჭვით და ძრწოლით უყურებს სამშობლოს დაკავშირებას ძლიერ ჩრდილოეთთან და მიკვირს, ჩემ მტრებთან ერთად რაღად მოქმედობს, რატომ ჩვენ არ გვიჭერს მხარს?! – იკითხა მეფემ.

– არც თქვენ მტრებთან ერთად მოქმედობს, ბატონო; სულ განცალკევებულია. თეიმურაზის ქცევა რომ არ მოსწონს, არც ჩვენ მოვწონვართ. ის ამბობს: კავშირი სპარსეთთან და სჯულის შეუცვლელადაო.

– მესმის, მაგრამ ირანი აღარ ენდობა ქრისტიან მეფეებს, ჩვენებმავე დაუკარგეს ქვეყანას ნდობა; ყეინს რომ ერთს ეუბნებიან, სხვაგან სხვასა სთვლიან; თეირანში ეს ყველაფერი იციან.

– ან რას უშლის, ბატონო, მაჰმადიანობა? ბიძათქვენი სვიმონ მეფე რომ მაჰმადიანი იყო, ვერ იყო სასიქადულო მეფე ქართველთა?

- მთელი საქართველო ამაცობდა სვიმონ მეფით! – სთქვა იორამმა.
- ჩემ წინააღმდეგ კი შეთქმულობასა ჰმართავენ! – სთქვა მეფემ დარდიანად.
- და ამაოდ დაურჩებათ განზრახვა შავი! – მიუგო ზურაბმა.
- არ გაუმარჯვდება ჩემს მტერს: ხელთა მაქვს შეთქმულთა ქსელი. ეტყობა დაავიწყდათ არაგვის ერისთავის დათუნას ხვედრი, – სთქვა მეფემ აღელვებით, მაგრამ მალე დაწყნარდა, ჩაფიქრდა და განაგრძო:
 - მაშ ხვალე სამებაში აპირობ წასვლას, ზურაბ?
 - დიად, ბატონო!
 - მეც მინდა წამოვიდე. ბაღლობისას მინახავს სამება, როცა ცხონებული მამაჩემი დავით მეფე იყო იქ ღამის სათევლად. მომინდა იმ ადგილების ნახვა. ბრძანება გასცა, მომზადებულიყვნენ ხატობაში წასასვლელად.

6

სამეფო კარავი მალლობზე დაჰკრეს, ისე რომ თავს დაჰყურებდა ეკლესიის მიდამოს. ჭრელი ფარჩა ჰქონდა კარავს შიგნიდან გაკრული. მოჰფინეს ხალიჩებით, მორთეს. თავს დასდეს ხვერდის ბალიში ოქრომკედით მოქარგული. ბალიში იდვა თეთრ ხალიჩაზე, რომელზედაც ოქრომკედით და ფერადი აბრეშუმით იყო ამოქარგული სხვადასხვა ცხოველი, ფრინველი, მცენარე. ადგილ-ადგილ თვლები ჰქონდა ჩაქსოვილი.

წირვა უკვე გამოვიდა, როცა მობრძანდა მეფე. თეთრ ცხენზე იჯდა დარახტულზე. წყნარად მოდიოდა. სამოცამდე ვაჟკაცი მოსდევდა შეიარაღებული. ხნიერი კაცი ჩანდა, ჭარმაგი. წვერი მოკლედა ჰქონდა შეკრეჭილი, ჰინით შეღებილი. მის დიდრონ თვალებს ჩაფიქრებული გამომეტყველება ჰქონდათ, მცირედ ცბიერი.

მეფეს მიეგება ხალხი, გამარჯვება მოახსენა. ზოგი გამოერჩია, წინ წარსდგა. ყაფლანიც თავის ოჯახობით მლოცავებში იყო, არ კი წარუდგა მეფეს. ზურაბმა ცხენდაცხენ რაღაც მოახსენა მეფეს. იმან ყაფლანისკენ გადაიხედა და ისევ დაუშვა თვალები.

ჩამოხდა მეფე, ფეხით გაემართა. კარავთან შეჩერდა, ხელი ადაპყრო. თათრის წესზე ლოცულობდა, მაგრამ მაჰმადს კი არ ევედრებოდა ამჟამად. ხალხს მცირედ ჟამს სიმშვიდე დაეტყო; მაგრამ თანდათან ისევ აჟიჟინდა, ახმაურდა, გამხიარულდა.

გაჩაღდა სადილები. ყველა მხრიდან ისმოდა საკრავების ხმა, სიცილ-თქართქარი, სიმღერა, ყიჟინა. ცეკვამდნენ. სუფრებიდან მოსაკითხს უგზავნიდნენ ერთმანეთს.

სადილს მიირთმევდა მეფეც. მის წინ ეშალა მწვანე სუფრა, რომლის არშია ოქრომკედით იყო ნაკერი. სხვების წინ კარავში და კარავს გარეთ ეშალა ლურჯი სუფრები თეთრად გამოყვანილ ნახატებით.

თანდათან მოიმხიარულა როსტომმა, ეშხში შევიდა, ჯილა გადიწია; მასში გაიღვიძა დაუთ-ხანმა, მისმა მამამ. მაშ რა უნდა ექმნა? თუმცა ისლამს აღიარებდა, მაინც ქართველი იყო, ქართველად დამრჩალი და ზეციერ მამის სახლში ისე მოილხინა, როგორც კეთილ მამის სახლში შორიდან მოსულმა შვილმა.

- სულით დავისვენე ხატის კარს! მხოლოდ ერთი რამ აჩრდილი ადგია ამ ჩემ სიამეს, – ბრძანა როსტომმა.
- რა აჩრდილი, ბატონო?
- რა დარდი იგრძენით, ბატონო მეფევ?
- ის დარდი, რომ აქ არის ყაფლან არსიანელი, მე კი არ მახლავს!
- ეს დიდი შეცოდებაა არსიანელის მხრივ!

- შეცოდება?! საშინელი თავხედობაა და ბოროტება.
- ბრძანეთ და თრევით მოვიყვანთ თქვენ წინ, ბატონო!
- თქვენს მუხლს ვაკოცინებთ!
- ავკუწავთ!
- მეფემ თვალი მოავლო ამაღას და ჩაფიქრდა.

სიჩუმე ჩამოვარდა სუფრაზე. როსტომს დაეშვა თვალები და შეექცეოდა. მის აწ გაქვავებულ სახეს არავითარი ღელვა აღარ ეტყობოდა, თუმცა მის გულში ორი მძლავრი გრძნობა ებრძოდა ერთმანეთს: შეურიგდეს ყაფლანს, გადადგას პირველმა ნაბიჯი, თუ განრისხდეს და მოსპოს იგი ეხლავე, როცა მარჯვე დრო აქვს და შემთხვევა. თვალებში ხან ბოროტი ნაპერწკალი უკრთოდა, ხან კეთილგონიერება აქრობდა ამ ცეცხლს დამწველს. სიტყვის თქმას ვერავინა ბედავდა: იცოდნენ, მეფე ამ ჟამს ყაფლანის იღბალს ათამაშებდა ხელში და ვერ გაეგოთ, ხელს მოუჭერდა მას მოსაშთობლად, თუ გაშლიდა მის გასანთავისუფლებლად. სახიფათო იყო, ფიქრი შეეკრთოთ მეფისთვის. როსტომმა ზურაბისკენ გააპარა თვალი. ეს გაფითრებულიყო, სიკვდილის ფერი დასდებოდა. სძლია კეთილმა! ზურაბისადმი მეფის სიყვარულსაც უნდა უმადლოდეს ყაფლანი ამისთვის. ბრძანა მეფემ:

– ზურაბ! კერძი მიართვი ჩემი სუფრიდან შენს სიძეს ყაფლანს. მოიკითხე, უთხარ – შეგირიგდეს: გიბრძანებს-თქო.

საკვირველია კაცის გული, ბოროტი სთესია მის ძირზე: მეფის წყალობა თითქო ეწყინათ იქ მყოფთ. განა ის კი ეამებოდათ, წყრომა ებრძანებინა და დაეღუპა ყაფლანი? ზოგნი იქნება კიდეც დაჰხმარებოდნენ ყაფლანს გაჭირებაში, მაგრამ ეხლა კი გულს შეაკლდათ: თითქო გასართობს რასმე მოელოდნენ, ასაღელვებელს და იმედი არ გაუმართლდათ.

– ეს დიდი წყალობაა მეფისაგან იმისთანა კაცისთვის, რომელიც ღირსია განწირვისა!

– ყველაფერში ბედი აქვს არსიანელს!

– ამაოდ განიზრახავთ ბოროტს და დრტვინავთ: ხატის კარს სიმდაბლე გვმართებს და კეთილი!

– ჭეშმარიტსა ბრძანებს ბატონი მეფე!

– გული ცხებულისა ნათლადა გრძნობს ყოველსავე!

მოსაკითხი ვერცხლის ლანგარზე ეწყო, კულით ღვინო იდგა ზედ. კრძალვით უახლოვდებოდა ზურაბი სიძის სუფრას. ყაფლანი უფროსი იყო იმაზე და ზურაბს მამასავით მიაჩნდა, ეხლა კი განრისხებული იყო მისგან. ძვირად უღირდა ზურაბს თავისი მახლობელნი და მისადევარნი, თავისი ერთადერთი და. ეხლა კი მოწყვეტილ-მოშორებული იყო მათგან; ბედნიერი კაცი იყო ზურაბი, გამოჩენილი, მეფის კარს დიდად მიჩნეული, კმაყოფილებას კი ვერა გრძნობდა მისი გული, რადგან უარყოფილი იყო თავისიანებისაგან. გულს უღრღნიდა ჯავრი. შემკრთალი იყო ვაჟკაცი: ისე ჰქონდა წარმოდგენილი, თითქო სიძესთან და დასთან ერთად მისი მშობლებიც საგვარეულო აკლდამიდან საყვედურით და ზიზღით უყურებდნენ, როგორც სჯულის გამტეხს, სამშობლოს მოღალატეს, ქართველთაგან საგმობელს და გმობილს.

– სამშობლოს ღალატით კი არა, სამშობლოს სიყვარულით მივიღეთ სხვათა სჯული, წავწყმინდეთ სული, რომ შეძლება მოგვცემოდა დავხმარებოდით მამულს: ეს

ერთადერთი გზა იყო ხელგახსნით გვემოქმედნა მამულის სასიკეთოდ. როგორ გავაგებინო, როგორ ვაგრძნობინო სხვას ჩემი გულის თქმა?! – ფიქრობდა ზურაბი.

და უახლოვდებოდა სიძის კარავს. შერიგების იმედი მცირედ ჰქონდა, რადგან შეუძლებელი იყო ხელახლად სჯულის შეცვლა, უსჯულოს კი ყაფლანი არ შეურიგდებოდა, არ მიიღებდა.

– სახიფათო იქნება ყაფლანისათვის, თუ გაჯიუტდა: მეფემ სახალხოდ გაუწოდა მას ხელი, გამოუცხადა მეგობრობის სურვილი და თუ სიძემ უარჰყო ეს, მერე არავითარ კეთილს არ უნდა გამოელოდეს როსტომისაგან, – ფიქრობდა ზურაბი.

– ძია მოდის! – დაიძახა ტასიკომ.

და წამოხტა შესაგებებლად.

– ჩემი ძმა ზურაბი! – წარმოსთქვა ღელვით ქალბატონმა.

– ზურაბს მეფის მოსაკითხი მოაქვს თქვენთან, ბატონო! – მოახსენა მოურავმა.

ყაფლანმა გაიხედა და შუბლი შეიჭმუხნა. ანიშნა ფარნაოზს მიჰგებებოდა. ზურაბმა გამარჯვება უთხრა, მშვიდობა უსურვა და მიჰმართა ყაფლანს:

– ბატონმა მეფემ მოსაკითხი გამოგიგზავნა! გვიბრძანა, დავივიწყოთ წარსული და შევრიგდეთ.

ყაფლანს ერთ წუთს გრძნობათა ბრძოლა აღებეჭდა სახეზე, მხოლოდ ერთ წამს. მაშინვე გაითვალისწინა, რამდენად უხერხული იქნებოდა ეხლა ჯიუტობა; გადიხარა კეთილისკენ. წამოდგა ფეხზე და ისე მიიღო მეფის მოსაკითხი. მერე გადაეხვია ზურაბს, გადაჰკოცნა თვალცრემლიანმა.

შერიგებამ საერთო სიხარული გამოიწვია სუფრაზე: დამ მიულოცა ძმას და აკოცა, ფარნაოზი გადაეხვია ზურაბს, ტასიკო სიხარულით დახტოდა და გარს უვლიდა ძიას. ყაფლანი კმაყოფილი იყო: დაკარგული მახლობელიც შეიძინა, მეფესაც ისე შეურიგდა, თავი არ მოიხარა მის წინაშე.

8

– ხატის კარს მაჰმადიანები ჩვენზე უფრო სათნოიანნი გამოდგნენ, – თქვა ყაფლანმა.

და უბრძანა შეემზადებინათ მისი სუფრიდან საუკეთესო მოსაკითხი.

– ფარნაოზ, შვილო, ლანგარი შენ წამოიღე, – უთხრა ყაფლანმა.

და თან ოდნავ ანიშნა ხმალზე.

ფარნა წამოხტა, შემოირტყა ხმალი, გაჰყვა. მეფემ კეთილად მიიღო ყაფლანი. მთელი მისი სახლობა მიიწვია სუფრაზე. მეფის სუფრას განზე გაეწია: ვინც კი შესამჩნევი იყო მლოცავთაგანი, კაცი თუ ქალი, ყველა მეფეს ჰხლებოდა. ყველა აქ მხიარულობდა.

ნადიმის დროს როსტომმა რამდენჯერმე შეხედა ტასიკოს გამოცდილის თვალთ და მოეწონა. კმაყოფილების ნიშნად წარბი აიწია, წვერზედ ხელი ჩამოისვა. კარგა ხანი იყო, ამისთანა სანდომ ქორფას არ შეხვედროდა. რამდენიც უფრო მეტს აკვირდებოდა ქალს, იმდენი უფრო მოსწონდა კეკლუცი. განსაკუთრებითს მშვენებას აძლევდა ქალს ის, რომ მოხდენილად უღიმოდა თვალები; უღიმოდა კი არა, უცინოდა ხან მხიარულად, ხან დამცინავად. ტასიკოც დააკვირდა მეფეს. მის ცისფერ თვალებში სრულებითაც არ აღიბეჭდა კრძალვა რამ, მხოლოდ ცნობისმოყვარეობა გამოკრთა და თან დამცინავი კილო, თითქოს, ეს არის, გამკილავი ხარხარით უნდა გადიხარხარონ თვალებმაო. შენიშნა მეფემ ამგვარი სულის მოძრაობა ქალისა და შეკრთა, უხერხულობა იგრძნო; თავის ტანსაცმელს გადაავლო თვალი, ჯილა გაისწორა, მიიხედ-მოიხედა.

– მშვენიერებაა! მშვენიერება თავისებური, თავისუფალი! – ფიქრობდა როსტომი: – ეს ფეშქაში ყვინს და ერთი ოქროს სალტა კიდევ მოერტყმის გარს ჩემსა და მის მეგობრობას... მაგრამ რად უნდა შაჰინშაჰს ამისთანა საიშვიათო ნობათი?! იმისთვის, რომ მცირე ხნის შემდეგ სხვას გაუბოძოს? აფსუსი არ იქნება ეს იშვიათი ყვავილი ჩასჭკნეს ჰარამხანაში? არა! განმარტოებით უნდა იდგეს სუნნელოვანი, რომ სავსებით დააკმაყოფილოს ყნოსვა თუ თვალთა ხედვა.

– მშვენიერი ქალი გყოლია, ყაფლან, ნამდვილი სადედოფლო!

– ეს ერთადერთი ქალი მყავს, ბატონო მეფე, მემკვიდრეა ჩემი და სულისდგმა.

სმეულობა ძლიერდებოდა. ღვინომ, სიმღერამ და ბანოვანთა სიახლოვემ ყველანი აღტაცებაში მოიყვანა, მეფე ძალიან გამხიარულდა. მაჰმადს გადუდგა, ნოეს ეტრფიალა. გაახარა ღვინომ გული მლოცავთა, გაალაღა, ააფრთოვანა. კარვის წინ ცეკვა გააჩაღეს. მანდილოსანთა რხევამ უმეტესად ააღელვა ბატონი, ახალგაზრდულად უჩუხჩუხებდა მიბრუნებული სისხლი; გრძნობათა ტალღამ ამოხეთქა მის გულის სიღრმიდან და ძლიერად გადუარა მის გონებას, დაიმორჩილა, წალექა. ტასიკო რომ გამოცქრიალდა საცეკვაოდ, როსტომი წამოდგა. ქალი ნაზად გადიხარა წელში და მისი ნორჩი ტანის ნაქვთები ცხადად დახატა რბილმა ფარჩამ. მეფემ მიაპყრო ხარბი თვალი მწყაზარს და ვეღარ მოაცილა. ქალის ყოველივე მიხვრა-მოხვრა ცეცხლებრივ იბეჭდებოდა მის მჩქროლავ გულზე.

ახ, შორს იყო მაშინ მეფის გულიდან მისი მეუღლე მარიამი, ოდესმე ლამაზი, ეხლა ხნიერი, მოდუნებული, მოსაწყენი და მოწყენილი მარიამი!

იორამ სააკაძემ შენიშნა მეფის გულის მოძრაობა; სიამოვნებით გადიგრიხა ულვაში:

– დედოფალო მარიამ! სამების მადლმა და ძალამ აწ მომცა შემთხვევა მარჯვე, რომ გამოვდევნო შენი ჩაფერვლილი სახე მეფის გულიდან, შენც მეფის სასახლიდან! გებრძანებინა, ამოვიჭამ იორამ სააკაძესო. ვნახოთ, ვინ ვის მოინარიკლებს!

– ქალო ტასიკო, საშენო შაბაში არა მაქვს რა აქ და აი ეს იქონიე ჩემ სახსოვრად! – უბრძანა როსტომმა.

და გადასცა ქალს ოქროს კუტალი, რომელიც სასმლით ედგა წინ.

კუტალი მომცრო იყო, ძვირფას ქვებით მოჭედილი. ქალს გაეხარდა, ბალღური სიამოვნება გადღვინა სახეზე და უფრო მიმზიდველი შეიქმნა, სანდომი, სანატრელი, საოცნებო.

ხატობა დიდი ჭიდაობით და ჯირითით დასრულდა. მეფემ თასი დაადგმევინა. ბევრმა ამაოდ სცადა მისი გადმოგდება ჯირითით. ფარნაოზმა გაუთამაშა; დაუახლოვდა მიზანს; ისე სწრაფად შეაყენა გაქანებული მერანი, უკანა ფეხებმა ტყუპად ჩხრიალი მიიღეს წინა ფეხებთან. ჰკრა ჯირითი. თასი წკრიალით წამოვიდა. ვაჟმა ადგილობრივ ყალყზე შეაყენა ტაიჭი და შემოატრიალა. თვალის დახამხამებაზე მოხდა ეს ყველა. დასცეს ყიჟინა, შეაქეს. სააკაძემაც კი მოუწონა ნატყორცნი.

მეფე როსტომი ნასიამოვნები დაბრუნდა ხატობიდან.

ეს ამბავი იმის შემდეგ მოხდა, როცა არაგვის ერისთავი დათუნა სასტიკად დაამარცხა როსტომმა და თავი მოჰკვეთა. დათუნას შვილმა ზურაბმა არ დაუთმო როსტომს, შურისძიება განიზრახა, არ დასცხრა. შეჰკრიბა ჯარი, შეიერთა თეიმურაზის მომხრენი, გადმოატარა ეს განდევნილი მეფე დუშეთზე, შეესია კახეთს, დაამარცხა კახეთის მფლობელი სელიმ-ხანი და დასვა იქ მეფედ თეიმურაზი.

გული მიეცათ თეიმურაზის მომხრეებს, ეხლა საადვილოდ მიიჩნიეს როსტომის ამოფხვრა და თეიმურაზის გამეფება მთელ საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად შეთქმულება მოაწყეს. შეთქმულთა მოთავეებად იყვნენ არაგვის ერისთავი ზურაბ, იოთამ ამილახვარი, ციციშვილი ნოდარ, გოჩაშვილი გიორგი, ქათალიკოსი ევდემოზ დიასამიძე. შეთქმულება თანდათან ვრცელდებოდა. მეამბოხენი ძალას იკრებდნენ, კაცებს შოულობდნენ.

როსტომ მეფემ ხომ დროზე გაიგო, რა მზადდებოდა მის წინააღმდეგ, იცოდა კიდეც, ვინ აღელვებდა ხალხს, მაგრამ ჯერ გაკვლეული არა ჰქონდა ძალა მტრებისა და გეგმა მათის მოქმედებისა. ამიტომაც ის და მისი მესაიდუმლეები შორიდან ადევნებდნენ თვალს საქმის მსვლელობას. გულდინჯად იყო როსტომი, რადგან თეიმურაზის მომხრეებს იმდენი ძალა არა ჰქონდათ, თითონ გამკლავებოდნენ როსტომს, გარეშე მტრისა კი არ ეშინოდა; სპარსეთი ხომ მეგობარი იყო მისი, რუსეთი კი ჯერ ვერ გამოჰგზავნიდა ლაშქარს თეიმურაზის საშველად.

– საქართველო მტრად სთვლის მართლმადიდებელ ჩრდილოეთსაც ისევე, როგორც ყველა სხვა ხალხს, რომელსაც კი ჰსურს დაიპყრას ეს მხარე. ხალხი არ ენდობა ჩრდილოს, თუმცა თეიმურაზი სხვას უთვლის იქ და სხვასა ჰწერს. მეც აქა ვდგევარ ლაშქრით და ზურგი გამაგრებული მაქვს სპარსეთის მხედრობით. ამისთანა გარემოებებში გაუვალსა და უგზო-უკვლო მთებში ჯარის გადმოშვება ნამდვილი თავხედობა იქნება. ამისთანა შეცდომას არ ჩაიდენს გამოცდილი და ცბიერი ჩრდილო, – ფიქრობდა როსტომი.

მით უფრო დინჯად იყო როსტომი, რომ იცოდა, თვით კახეთში ყველა თანაგრძნობით არ უყურებდა თეიმურაზს, არ ემორჩილებოდა. კახელები ხარჯს არ აძლევდნენ მეფეს და მის ამაღას ბევრჯელ ულუფაც კი აკლდა. თითონ თეიმურაზიც არ ენდობოდა ქვეშევრდომებს, ერთ ალაგას ვერ შემდგარიყო საცხოვრებლად; უდაბურ ადგილებში აფარებდა თავს.

თუმცა ესეთ უნუგემო მდგომარეობაში იყო თეიმურაზი, შეთქმულნი მაინც იმედს არა ჰკარგავდნენ, არა სცხრებოდნენ და სცდილობდნენ ყველგან მოეპოვებინათ მომხრეები. ერთი შეთქმულთაგანი, გოჩაშვილი გიორგი, თვით როსტომის კარსაც იყო შეტყუებული და მისგან ნდობით აღჭურვილი.

როსტომი რომ სამებაში იყო სალოცავად, ეს გოჩაშვილი თან ახლდა და ყველაფერს თვალს ადევნებდა. არ უამა მას, რომ ხალხი ერთგულად შეხვდა მეფეს; არ უამა მეფის მოაზრებული ქცევა, რომელიც თანაგრძნობასა სძენდა მას ხალხის მხრივ. არ უამა არც ყაფლან არსიანელის შეთანხმება მეფესთან. დაბრუნებისას დაფიქრებული მოდიოდა გოჩაშვილი და უკმაყოფილო.

– საკვირველია, რომ საბარათიანოში დიდის პატივისცემით ეპყრობოდნენ დაუთხანს და პატივისცემითვე ეგებებიან მის უკანონო ჩამომავალს როსტომსაც. როგორი მეფური დიდებით მიიღეს ვიღაც ხოსრო-მირზა!.. სპარსეთისკენ უფრო აქვთ ამათ გული... დიდი იმედი გვქონდა ყაფლან არსიანელისა, რადგან თუ თეიმურაზი და მისი ქცევა არ მოსწონს მას, არც ურჯულო ხოსრო-მირზა მოსწონდა და მისი გამეფება. ჩვენი რომ ყოფილიყო ამისთანა ძლიერი თავადი, დიდ შემწეობას მოგვცემდა, ეხლა კი დაკარგულია ჩვენთვის არსიანელი და მასთან ხრამ-ალგეთის ხეობა. არსიანელის მოპოება ბრძოლის მოგებას უდრის... ჭკვიანი კაცი სჩანს ეს როსტომი, – ფიქრობდა გოჩაშვილი.

– გოჩაშვილო! – გაუსწორა ცხენი იორამ სააკაძემ: – ცოდვად არ ჩაგეთვალოს, ხატობიდან რომ ეგრე დაფიქრებული ბრუნდები. არსიანელთან შერიგებამ ხომ არ ჩაგაფიქრა? ნუ გეშიანიან! უფრთხილდი კი, გულის პასუხი არ გამოგიმჟღავნდეს.

შეკრთა გიორგი. უნდოდა პასუხი რამე მიეცა სააკაძისათვის, მაგრამ ის უკვე მეფისკენ მიაფრენდა ტაიჭს.

10

ახალი ზაფხული. სიცხეები დგებოდა. მეფე როსტომ ტფილისში იყო. თითქმის მთელი სანაპიროები მოვლო იმ გაზაფხულს და ისე დაბრუნდა. ღამე გატეხილი. ტფილისს მისძინებოდა. სასახლეშიც სიჩუმე ჩამოვარდნილიყო: ყველას მოესვენა, მცველთა ხმაც აღარ ისმოდა. არ ეძინა მხოლოდ მეფეს. თავის ახალ სახლის ფართო აივანზე იყო. მტკვარს გადაჰყურებდა. მთვარეს შემოეშუქებინა და გაენათებინა იქაურობა, მტკვრის შხრიალი ნანად ესმოდა. ოცნებობდა მეფე: წარსულს იგონებდა, აწმყოს აკვირდებოდა, სცდილობდა განეჭვრიტა მომავალი.

ბედი უღიმოდა როსტომს. ეხლა ცხადი იყო, რომ თეიმურაზი ძლეული შეიქმნებოდა მისგან და მალე მთელი აღმოსავლეთი საქართველო შეერთდებოდა მის სკიპტრის ქვეშ.

– აღმოსავლეთი საქართველო! ეს ხომ მხოლოდ ერთი ფრთაა იმ შევარდნისა, რომელსაც ეწოდება საქართველო, ცალი ფრთა კი, თუნდაც ძლიერი, მარტო ბრალია; როგორ იფრენს ორბი სივრცეში, თუ მეორე მხარი დაბმული ექნება, შეკრული, მოწყვეტილი?! ავხსნი მეორე ფრთასაც საქართველოს და შემოვიერთებ! მთლად განვათავისუფლებ ბაგრატიონთა საბრძანებელს; ქართველთა სამკვიდროს! შავი ზღვიდან ვიდრე თეთრ ზღვამდის... – ოცნებობდა როსტომი.

და ნათელ ფოქრთა დასი თავს ევლებოდა, უალერსებდა, შესტრფოდა, შეჰნატროდა, ამხნევებდა, სასიამოდ აღელვებდა.

– ბიძაჩემს სვიმონს კარგად ესმოდა ეს დიდი საქმე. მისი მახვილი გონების წინ ცხადად იყო დახატული შეერთებულ საქართველოს ძალა. განახორციელებდა კიდევ თავის სათაყვანებელ აზრს, თუ ერთობ გაუფრთხილებელი არა ყოფილიყო ეს ნიჭიერი სარდალი, თუ შმაგი არა ყოფილიყო, ხელი, თავხედი... უბრალო შემთხვევას შესწირა თავი და დაამხო სამეფო. შეერთებული საქართველო! იცით, რა ძალას, რა სიმდიდრეს, რა დიდებულს და გულწარმტაც სურათს წარმოადგენს შეერთებული საქართველო?! დიდი ირანი მაშინ დაჰნატრებს პატარა საქართველოს, ამ სიმდიდრით სავსე ბუნებრივ ციხეს, როცა ქართველთა ტომი შეიგნებს ამ სანატრელ ერთობას. მაშინ საქართველო შეიქმნება უძლეველი, გადიშლება, თვალწარმტაც წალკოტად გადიფურჩქნება ფერად-ფერად ყვავილთაგან შეთხზილ თაიგულად და დაამშვენებს დასავლეთ აზიას.

ფოქრთა ზღვაში შეცურებულიყო როსტომი, ოცნებათა ტალღებს გაეტაცნათ მისი გრძნობათა ნავი და აქანებდნენ ნაზად, არწევდნენ, ნანას ეუბნებოდნენ, ჩასჩურჩულებდნენ, ზღაპრად მოუთხრობდნენ საქართველოს ბედს, უძლეროდნენ ტკბილ ხმაზე, ანებივრებდნენ. ამ ჟამს როსტომს ესმოდა მტკვრის საიდუმლო დუდუნი, იდუმალი მისი საუბარი ივერიის წარსულზე და მის მომავალზე; სიტყვა-სიტყვით ჰკრებდა მის ნაამბობს. მთვარე შუა ცამდის აწეულიყო, ნახევარი გზა გაევლო; უფრო განათებულიყო, გაბრწყინებულიყო, მაგრამ უფრო დაღეულიყო. ეხლა ნახევარი აივანი ბნელს მოეცვა, ნახევარზე კი გადმოხატულიყო ახვეულ ვაზის აჩრდილი. როსტომიც მოქარგულიყო ვაზის ფოთლის აჩრდილით. მეფის ოცნებასაც ჩაჰქსოვოდა შიგადაშიგ აჩრდილი სევდისა.

– უნდა განვაგრძო ბიძიჩემის სვიმონის ანდერძი. შევაერთებ საქართველოს და გავამაგრებ, გაძლიერებულს დავტოვებ ჩემს შემდეგ... მაგრამ ვის დავუტოვო სამეფო ჩემს შემდეგ? არა მყავს მემკვიდრე: დამსაჯა მეუფემ, არ მომცა ძე... მეუღლე ჩემი მარიამ, ასული ლევან დადიანისა, ქვრივი სვიმონ გურიელისა... შევირთე, რომ ლიხს

იქითაც მქონიყო მჭიდრო კავშირი, დასავლეთ საქართველოშიც მქონოდა ხელი... არ აკურთხა უფალმა კავშირი ესე ჩემი: არა მყავს მემკვიდრე... თითქო ლამაზიც იყო, როცა მოვიყვანე და რამ მოტეხა, ღმერთო ჩემო, ესე უდროვოდ, უეცრად? თმა, ჯალჯივით ნაწნავები, ძირს დაეცა, ღაწვები ამოუჯდა, ცხვირი უფრო დაუკავდა, თვალები!!

და თვალების გახსენებაზე ცხადად წარმოუდგა ცისფერი თვალები, მხიარული, მაცდურად მოლიმარ-მოცინარე თვალები ტასოსი. ვაჟკაცმა ველარ მოსწყვიტა აზრი იმ მომხიბლავ ცისფერ თვალებს, რომლებიც დაჰნათოდნენ ზედ ნორჩს, ჯერ ისევ ბუსუსიან, მაგრამ მეტად სანდომ სახეს.

11

საწოლს შევიდა როსტომი და გადახედა მეუღლეს. გრძნობამ არ გაუღიმა მის დანახვაზე, გული შეუხუთა. ბალიშებზედ მიშვებული ხილაბანდიანი დიაცი სულაც არ დაესახა მიმზიდველად, არ ეჩემა. საბანი გადახდოდა, ფარჩის ფაქიზ ლოგინზე უშნოდ გადაეყარა ტლანქი მკლავები. გონჯი რამ ჩანდა, უემხო. თვალი აარიდა.

– რითა ჰგავს ეს დედაკაცი დიდებულ დედოფალს საქართველოსას?! – გაიფიქრა როსტომმა.

უსამართლოდ ფიქრობდა! თითონაც ხედავდა, რა უმადურობა იყო, რომ დედოფალზე ესე აეყარნა გული: გონების თვალით ხედავდა ამას, გრძნობა კი აღარ ემორჩილებოდა აზრს, გული აღარ იხსენებდა არც ერთ წინანდელ სიამეს დედოფალთან, რომ იმ მოგონებით მაინც გაექარვებინა კაემანი.

კრულია გული კაცისა, უმადური! იგი ეხლა სხვისკენ ისწრაფოდა, სხვას ემორჩილებოდა, სხვას ემონებოდა. მასში ეხლა ჩანერგილიყო სხივოსანი სახე ტასიკოსი და წაეშალნა იქ ყოველივე სხვა კვალი. დამათრობელი რამ გრძნობა გამეფებულიყო როსტომის გულში და დაეთრგუნა მისი გონება, მისი მისწრაფება, მისი სურვილები, მისი ნება; მთელი მისი არსება ძალუმად დაეხარნა თავისკენ.

პირველ ნახვიდანვე აჩრდილივით აჰყვა როსტომს ტასიკოს სახე. მისი სურათი თანდათან მკაფიო ხდებოდა მის გონებაში, ცოცხლად ეხატებოდა თვალწინ. ეხლაც რომ უყურებდა მძინარე მარიამს, მის გვერდით ნათლად ჰხედავდა ტასიკოს: პერანგის ამარას, ძვირფას თმა გაშლილს; შოლტივით მოქნილს, სანდომ, უძლეველ ტასიკოს. როსტომი მზად იყო სამეფო გვირგვინი დაეგდო მის ფერხთა ქვეშ, ოღონდ კი ნება ჰქონიყო შეჰხეობდა მის სუნნელოვან ტანს. მთელი თავისი სამეფო მისწრაფებანი და მოსაზრებანი ფუჭად მიაჩნდა ამ მომლიმარე თვალებში კოცნასთან შედარებით.

არცა სცდებოდა როსტომი. განა უბრალო თაღლითი არ იყო მთელი მისი დიდება და სიმდიდრე ამ განხორციელებულ ნეტარებასთან შედარებით? თუ არა, აბა მოევაჭრნა ტასიკოს გულწრფელი სიყვარული, მისი თავისუფალი მხიარული ალერსი მრთელის თავის დიდებისა და განძის ფასად. შეუძლებელი! შეუფასებელი იყო ტასიკოს სიყვარული, საგანძურით ვერ შეიძლებოდა მისი მოპოება და უძლურად იტანჯებოდა კაცი; სტკიოდა გული, უკვნესოდა, უკვდებოდა.

როსტომს ძილშიც შეჰყვა ეს ფიქრთა დენა, სიზმრებში განუხორციელდა ათასგვარ მიუწდომელ სახით და არ ასვენებდა, სტანჯავდა.

არც შემდეგ მოშორებია როსტომს ეს ფიქრი, უფრო და უფრო განუცხოველდა იგი და დააშორა მის გულს დედოფალი მარიამ, ჩააქრო მისი სახე, ჩააბნელა; ხოლო დაუახლოვდა სუნნელოვანი არსება ტასიკოსი, გაანათა იგი, გააბრწყინა.

– ნორჩია ჩემთვის, პატარა. მე შუახნის კაცი, ის კი თითქმის ბალდი, მაგრამ რა უშავს: ჭარმაგადა ვარ ჯერ კიდევ, ჯანსაღად. ბევრჯელ შეურთავს ხნიერს ახალგაზრდა, ცხოვრების კალო კი ერთად გაულეწიათ, ისტორიაშიც არის ამისი მაგალითები და ზღაპრებშიც, – მსჯელობდა როსტომი.

და უცხოველდებოდა უიმედო სიყვარული.

დედოფალი გრძნობდა ქმრის გულცივიობას და ავდებოდა, ხოლო მათ ზნეობრივ დაშორებას ეს უფრო უწყობდა ხელს. ის ხშირად იგონებდა წინანდელ ქმარს და როსტომს ადარებდა. იმას კიდევ ვუყვარდი და ყველაფრით უკეთესიც იყო. აყვედრებდა. ცოლის ჟინიანობა და საყვედური ამწარებდა კაცს, გულნაკლულად ჰქმნიდა, გაციებულ გრძნობას უყინავდა, გულქვაობას უძლიერებდა, გაყრისა და განშორების გზაზე აყენებდა.

ბევრი ატყობდა მეფეს ცვლილებას, ხოლო იორამ სააკაძე ისე ცხადად ჰხედავდა ყველაფერს, როგორც ჯადოქარი სარკვეში: ძლიერ იყო მასთან დაახლოვებული და შესწავლილი ჰქონდა მისი ზნე. მეფის გუნების ცვლილებას ძალიან აფასებდა იორამი და ცდილობდა იქამდის აეგზნო მისი გულისთქმა, რომ დაენთქა დედოფალი, რადგან ისინი მტრად წაჰკიდებოდნენ ერთმანეთს.

– უშვილოა მეფე, უმემკვიდრო და ის ადარდებს, ხალისს უკარგავს ყოველ საქმეში. განა უფლება არა აქვს მეფეს, ამისთანა გარემოებაში მოითხოვოს განქორწინება და სხვასთან შეუღლება? ჰაი, ჰაი, რომ აქვს! არსიანელის ქალი სწორედ შესაფერი სადედოფლოა: დაამშვენებს ტახტს, შესძენს მემკვიდრეს, დაანათესავებს არსიანელს, რაიც განამტკიცებს მის მეფობას. უნდა ვისარგებლო მარჯვე შემთხვევით!

როსტომს გარს ერტყა მთელი ჯგუფი გამაჰმადიანებულ ქართველებისა. უმეტესი მათგანი სპარსეთში გათათრებულიყო და თან მოჰყოლოდა. ისინი იყვნენ მისი მცველნი და თანამშრომელნი. ამ ჯგუფს მიეკედლნენ ის ქართველები, რომელთაც არ უნდოდათ მეორედ გაებატონებიანთ განდევნილი თეიმურაზი; ამისთანანი მაშინ ბევრნი იყვნენ საქართველოში. ჯგუფის მესვეურად ითვლებოდა სარდალი იორამ სააკაძე.

დედოფალ მარიამს კი არ მოსწონდა იორამი. პირველადვე ცუდ თვალზე ნახა და ველარ შეურიგდა, ველარ ენდო, ვერ შეითვისა. ცდილობდა მოეშორებინა ის მეფისათვის და დაეღუპა. იორამმა იცოდა ეს, შორიდან თვალს ადევნებდა დედოფალს; ძალიან უფრთხილდებოდა.

ამ უჩუმარ ბრძოლის დროს მოუვიდა იორამს ფიქრად განედევნა დედოფალი სასახლიდან. თავისი გაბედული აზრი იმაზე დაამყარა, რომ მეფეს მემკვიდრე არ ჰყავდა და არც იმედი ჰქონდათ ჰყოლოდა ამ დედოფალთან. ძნელი იყო ამ ფიქრის განხორციელება, თითქმის შეუძლებელი, მაგრამ სააკაძეს შემთხვევამ შეუწყო ხელი.

სამეობას რომ შენიშნა სააკაძემ მეფის გულისთქმა და ძლიერ ვნებათა ღელვა, მაშინვე უღვაშზე ხელი გადისო და მოიაზრა საქმე. საჭირო იყო მიეზიდნა თავისკენ ჯარისკაცთა ჯგუფი, თანაც საიდუმლოდ დაეცვა თავისი განზრახვა. ამის გამო იმან თავისი გულის პასუხი მიანდო მხოლოდ ზოგიერთ თავის მახლობელს. ამ კარისკაცთა მცირედმა ჯგუფმა ნელ-ნელა, უგრძნობლად, მაგრამ დაჟინებით შეამზადა მეფე ამ სამნელო ნაბიჯისათვის. ესენი მალ-მალ ჩამოუფდებდნენ საუბარს არსიანელზე და მის მშვენიერ ქალზე; აზვიადებდნენ სიკეთეს, რომელიც შეეძლო მოეტანა მეფისთვის არსიანელთან დაახლოვებას; სანდომად უხატავდნენ ქალის სინორჩეს, მის სილამაზეს,

ხასიათის იშვიათობას, განსწავლას, ზრდილობას, ქცევა-ყოფას. სწორედ ტახტის დამამშვენებელი შეიქმნებოდა ტასიკო. ცოდვა იქნებოდა, იმისთანა ძვირფასი ქალი ვისმე უბრალოს გადაჭფურჩქნოდა მკლავზე და ჩასჭკნობოდა უბეში; თანაც განუწყვეტლივ იმის დარდში იყვნენ ეს კარისკაცნი, რომ მარიამ დედოფალთან მეფეს მემკვიდრე არა ჰყავდა, რომ უფალმა არ ინება კურთხევა მათის კავშირისა.

მეფის გულსა სწვდებოდა ესეთი მღერა კარისკაცთა, რადგან საკუთარი გრძნობაც სწორედ ამას ჩააგონებდა. ამ ორმაგი ძალით მოიხიბლა როსტომი და დაასკვნა, აესრულებინა თავისი გულისთქმა, რომელიც ესე საკვირველად ეთანხმებოდა კარისკაცთა თუ დიდებულთა სურვილს და რომელსაც თვით სახელმწიფოს კეთილდღეობა მოითხოვდა.

როდესაც ესე ყოველმხრივ შეამზადეს ნიადაგი, იორამმა მიჰყო ხელი მოქმედებას. სამღვდელთაგან სააკაძეს ეხმარებოდა სიონის დეკანოზი ტარასი ერტელი.

13

საბოლოო თათბირი ამ საქმეზე იორამ სააკაძეს თავის სახლში ჰქონდა, სალაყბოს პირში, მეფის სასახლის გადასწვრივ.

– თქვენ იცით, ბატონებო, რა საქმისთვისაც შეგკრიფეთ. მოგეხსენებათ, მეფე ჩვენი უშვილოა, მარიამ დედოფალთან მემკვიდრე არა ჰყავს მას. ბატონი როსტომი იმის ფიქრშია ეხლა, ვის გადასცეს სამეფო თავის შემდეგ, ვინ მიიწვიოს მემკვიდრედ. დედოფალმა გავლენა მოიპოვა მასზე ამ სამძიმო საქმეში და დაიყოლია იშვილოს თენგიზ დადიანი, დედოფლის ძმისწული. ჩემის აზრით, სრულებით სასურველი არ არის, ბაგრატიონთა სამეფო ტახტი დადიანებზე გადავიდეს! ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ დადიანი მტერია სპარსეთისა და მომხრე რუსეთისა, როგორც თვით ჩვენი დედოფალი მარიამიც; თენგიზი ისეთივე მეფე იქნება საქართველოსი, როგორც განდევნილი თეიმურაზი, – მოახსენა იორამ სააკაძემ.

– ყენი არ იყაბულებს როსტომის მაგისტანა განზრახვას და აგვეშლება.

– თუ ეგრე მოხდა, შინაური მტერიც ფრთას აისხამს და დავიძლევი; შეირყევა და დაირღვევა როსტომის ტახტი.

– ისეთი კაცის გამეფებით, რომელიც ჩრდილოეთისკენვე დაიწყებს მზერას, კეთილს ვერაფერს შევიძენთ. თეიმურაზ მეფეც ეგეთია და აკი იძულებულია გარე-გარე იაროს.

– თუ ეგრეა, მაშ ისევ თეიმურაზი მოიწვიოს სამეფოს ტახტზე ან მისი შვილი დავითი; რაღა შორს მიდის!

– უნდა მოვახსენოთ მეფეს, რომ ეგეთი მისი სურვილი უარყოფაა მთელი მისი და ჩვენი ღვაწლისა.

– უნდა მოისპოს მეფის ეგეთი აზრი და მიმართულება.

– როგორ უნდა მოვსპოთ? თქმა ადვილია.

– არც ასრულებაა მეტად ძნელი: ჯერ კიდევ ჭარმაგია მეფე ჩვენი; მარიამ დედოფალთან რომ არა ჰყავს მემკვიდრე, განა სხვასთანაც არ ეყოლება!

– მესმის! სჯული ნებას აძლევს მრავალცოლიანობისა.

– არა! ქართველები მაინც ისე უყურებენ მეფეს, როგორც ქრისტიანს, არ ახსოვთ, არც სწამთ მაგის მაჰმადიანობა, მეტადრე მას აქეთ, რაც მზრუნველობა გამოიჩინა ეკლესიაზე. მაგის მეორე ცოლს მხოლოდ ხასად მიიღებს ხალხი.

– მაშ?!

– მეფე უნდა განქორწინდეს დედოფალს მარიამს და სხვაზე დაიწეროს ჯვარი. ეს ხალხმა უნდა მოსთხოვოს მეფეს! – სთქვა გადაჭრით იორამმა.

– ძნელი საქმეა. მარიამ დედოფალი უბრძოლველად არ დაგვითმობს. მეგობრები და მომხრეები ჰყვანან.

– ვინ მომხრეები?

– თუნდ კათალიკოზი ევდემოსი.

– კარგი, ვთქოთ, დავითანხმეთ მეფე და ყველაფერი მოვაწყეთ, მერე ვინ უნდა ავურჩიოთ დედოფლად ისეთი, რომ გულიც დაუხვიოს მეფეს და სახელმწიფოსათვისაც ხელსაყრელი იყოს?

– ალბად შენიშნავდით, რომ მეფის გული თავისუფალი აღარ არის და მის ტყვემქმნელს შეშვენის კიდევ დედოფლობა, როგორც სიტურფით, ისე გვარიშვილობით: მეფესა ჰსურს შეირთოს ყაფლან არსიანელის ქალი ტასო, – სთქვა სააკაძემ.

– არსიანელის მომხრობა ხომ მთელი ალგეთის ხეობის მომხრობა იქნება; მაშინ თეიმურაზმა სამუდამოდ უნდა დაკარგოს იმედი ამ მხარეს მომხრეების პოვნისა, – ჩამოართვეს სიტყვა იორამს.

– რას იტყვი, ზურაბ? პირდაპირ შენ შეგეხება ეს საქმე, – მიმართეს არსიანელის სიმამრის შვილს.

– რა მეთქმის საწინააღმდეგო, თუ ჩემი დისწული მაგ დიდებას მიაღწევს! მაგრამ ყაფლანი მეფესაც არ მისცემს ქალს ჯვარდაუწერავად, ეს კი ძნელი მოსაწყობია.

– არც ისე ძნელია! მე ვტვირთულობ მაგას, – დაასკვნა იორამმა.

ბჭებმა მიიღეს სააკაძის აზრი და აღუთქვეს დახმარება.

14

არსიანელთ კარს მოადგა ცხენოსანი და მიართვა მეფის ბრძანება. ყაფლანმა მიიღო სტუმარი, ჩამოართვა ქალაქი, მოისმინა მეფისაგან დაბარებული სალაპი, მდებლად მადლობა გადაუხადა. დასხდნენ. ისაუბრეს მცირე რამ. ყველანი ცნობისმოყვარეობით უყურებდნენ ქალაქს, რომელიც მუხლზე ედვა ყაფლანს. მერმელა გახსნა წერილი. ფარჩაში გახვეული ეტრათი ორად იყო შეკეცილი. გადაშალა, ჩაათვალიერა. ჩაფიქრდა.

– ღმერთმა ქმნას, რომ პირნათლად შეესრულებინოს ჩვენს ფარნაოზს მეფის ბრძანება, – თქვა ყაფლანმა.

– მეფის კარს სრული იმედი აქვსთ ყმაწვილკაცისა და ძალიანაც აქებენ.

– გამბედაობა და სიმამაცე არ აკლია, მაგრამ ახალგაზრდაა და ვაითუ გამოუცდელობით მარჯვედ ვერ მოაგვაროს ყველაფერი, – სთქვა ყაფლანმა.

და შეხედა ფარნას.

– მამი! ისეთი რა ძნელი საქმეა, რომ ფარნამაც კი ვერ შეასრულოს? – შეეკითხა ტასიკო, რომელიც ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდა ხან მამას, ხან სტუმარს და ეხლა ვედარ მოითმინა სიჩუმე.

მამამ სიყვარულით გადახედა ქალს და გაიღიმა.

– ჩემ ქალს ჩვენი ფარნაოზი ამირანი ჰგონია, – უთხრა სტუმარს.

ფარნაოზი ცნობისმოყვარეობად გადაქცეულიყო და ძლიერ ღელავდა, მაგრამ თავს იმაგრებდა, ცდილობდა ღელვა არ დასჩნეოდა.

– თუ გამოუცდელია ყმაწვილი კაცი, თქვენი გამოცდილება წაატანეთ თან: დაარიგეთ, ჩააგონეთ.

– დარიგება მცირედ თუ შეეწევა ათას სახიფათო შემთხვევაში, კარზე ვერ გამოდგება შინ გარიგებული საქმე. თქვენი სიტყვა მაინც მომწონს; თან გავატან ჩემს გამოცდილებას, ვახლებ ჩემს მოურავს თევდორეს, კაცს ჩემთან ნავალს და ჩემგან გაწვრთნილს.

– ორმოციოდე კაციო, – განაგრძო ხმამაღლა ყაფლანმა, – რა საჭიროა? სჯობს ცოტა და მარჯვე.

– ისე მოაწყეთ ყოველივე, როგორც საუკეთესოდა სცნოთ: საფრთხილო დავალებაა, აწონ-დაწონა უნდა.

დავალება მაინც ძნელი იყო, საფრთხილო. ყაენს განეზრახა ოსმალების განდევნა საათაბაგოდან და გაწმენდა მათგან მთელი მტკვრის სათავეებისა. ის სწერდა როსტომს: იმ ქვეყნებსაც საქართველოს შემოვუერთებ, შენს სამფლობელოს, რადგან საქართველოსივეა ის ადგილები; ეს იქნება ჯილდო შენის ერთგულებისათვის. ყენი ნებას აძლევდა სპარსთა ჯარი დაეხმარებინა იმდენი, რამდენიც უნდოდა. როსტომს ძალიან მოსწონებოდა ეს დაწყება, რადგან იმის მისწრაფებაც ის იყო, რომ შემოეერთებინა საქართველოს მოწყვეტილი ნაწილები. როგორც ფრთხილი კაცი, როსტომი შესდგომოდა თადარიგს, ბრძოლის დაწყებამდინ კი განეზრახა, დაეზვერა ის ადგილები, გაეგო ციხეებისა და ჯარის მდგომარეობა და, რამდენადაც შეიძლებოდა, ხალხიც მიეზირნა თავისკენ. ეს სამძიმო საქმე სააკაძის რჩევით მეფეს ჩაებარებინა ყაფლანისათვის და ებრძანებინა¹ გაეგზავნა საათაბაგოში ფარნაოზ კიანელი.

კიანელი იქაური კაცია, მამული იქითა აქვს და ადვილად შეიძლება შეეტყუოს ოსმალებს, როგორც თავის საგვარეულო მამულში მისული კაციო.

სააკაძის მოაზრებით ესეთი ბრძანება მეფისა ყაფლანსაც გულს მოუგებდა, რადგან როსტომი ამჯერად საიდუმლო საქმის ჩაბარებით სრულ ნდობას გამოუცხადებდა მას. გარდა ამისა, ამ ბრძანებას კარგა ხნით, იქნება სამუდამოდაც, უნდა გაეშორებინა ფარნაოზი ყაფლანის ოჯახისათვის და სწორედ ეს იყო უმთავრესი სურვილი იორამ სააკაძისა.

– მაშინვე შევნიშნე, რომ იმ ქალ-ყრმას უყვართ ერთმანეთი, თუმცა ჯერ თითონაც ვერ შეუგვნიათ სიღრმე თავიანთ სიყვარულისა. იქნება თითონ ყაფლანს არც კი მიუქცევია ყურადღება, მაგრამ ახალგაზრდები ძალიან შესჩვევიან ერთმანეთს. ან არსიანელთ რა ეთქმისთ იმ სიყვარულის წინააღმდეგ? მართალია, მხოლოდ აზნაურია ფარნაოზ კიანელი, მაგრამ დედულ-მამულის პატრონია ერთადერთი. თითონაც მშვენიერია, ახოვანი. ყაფლანს ვაჟი არა ჰყავს და ბაღლობიდანვე შვილად აუზრდია ის კაცი. როცა გაითვალისწინებს ქალ-ვაჟის ტრფობას, არ მოუწამლავს მათ ნეტარებას, არ მოისურვებს მათ უბედურებას. ფარნაოზისთანა ვაჟკაცს არც ის გაუჭირდება, ხმლით იმოვოს თავადობა. ეხლავე უნდა მოვიცილოთ ვაჟი თავიდგან, რომ არ გადაელობოს ჩვენს განზრახვას. შორს წასული ახალგაზრდა საქმეში გაერთობა, მიივიწყებს ქალს. იქნება ქალსაც გაუფერმკრთალდეს ტრფობა და აი მაშინ შევადლებთ მას საქართველოს დედოფლობას! უთუოდ წაიტყუებს ეს დიდება. და თუ ნებით ვერა მოვაგვარეთ რა, სხვა ღონეს მივმართამ! – ფიქრობდა სააკაძე.

როსტომი რომ ბეჭედს ასვამდა ბრძანებას.

ყაფლანი დინჯად მუსაიფობდა სტუმართან, ხოლო თვით საქმეზე კი ხმას აღარ იღებდა; მუხლზე ედვა მეფის წერილი, მსჯელობდა მის შესახებ, თითონ წერილის შინაარსს კი არ უზიარებდა, არა ჩქარობდა მოკლედ მაინც გადაეცა მეფის ბრძანება.

¹ ეს მეფის ბრძანება დაცულია კიანელთა საგვარეულო ქაღალდებში (ავტორის შენიშვნა).

გარშემო კი ყველას ესწრაფებოდა მისი გაგება. ბოლოს ქალბატონმაც ვედარ მოითმინა და შეეკითხა ქმარს, მაგრამ ვერც იმან მიიღო სასურველი პასუხი.

– მცირეოდენი საქმეა სახელმწიფო; ფარნაც შესძლებს ამის პირნათლად შესრულებას, – მიუგო ყაფლანმა.

ამ სიტყვის გაგონებაზე ტასიკომ დინჯად და პატივისცემით შეხედა ფარნაოზს: ვაჟკაცი გამხდარხარ, სახელმწიფო საქმესაც კი განდობენ და შენი დაცინვა აღარ შეიძლებაო. მაგრამ წამიერი იყო მისი სიდინჯე და მოწონება: ტასიკოს თვალებმა გაიღიმეს; მაცდურად გახლიჩა ისინი და ხარხარად გადაიქცა, ვაჟის დამცინავ ხარხარად. ვაჟს არა სწყენია ქალის სიცილი, თვით მის გულმაც ხმა მისცა ქალის სიცილ-დაცინვას. ტასიკომ ხელები მიიფარა პირზე და გაიქცა. ყველა გამხიარულდა.

15

ყაფლანმა მაშინვე არ წაუკითხა შინაობას მეფის ბრძანება და არ დააკმაყოფილა სავსებით ყველას ცნობისმოყვარეობა, რადგან ეჯავრებოდა აჩქარება, თორემ მარტო თავისით საქმის დაჭერა არ იცოდა, მნიშვნელოვან რამე საქმეში ყოველთვის ჯალაბს ეკითხებოდა. ეხლაც, ორიოდე დღის შემდეგ, რაკი მოიფიქრა ყოველივე, საჯალაბო თათბირი გამართა. თათბირზე მისი მოურავი თევდორეც დაესწრო. ტასიკოს არ უშვებდნენ, მაგრამ გაჯიუტდა და თავისი გაიყვანა.

ყაფლანმა წაიკითხა მეფის ბრძანება და თან უამბო, როგორ აპირებდა მის ასრულებას. სახლობამ გულმოდგინედ მოისმინა ყოველივე, დაწუნებით კი ვერაფერი დაუწუნა, ვერაფერი შეასწორა. მოურავი იქვე იდგა და გადად-გადმოდიოდა, ირყეოდა.

– შენ რიღას თქმა გინდა? – მიუბრუნდა ბატონი თევდორეს.

– გავბედავ, ბატონო, და მოგახსენებ: თუ ფარნა კიანეთში გადავა და განაცხადებს უფლებას თავის მამულზე, მტრები ამოუჩნდებიან; მაგის მამული სხვებს უჭირავთ ეხლა და პირველად ისინი აეშლებიან. თათარიც იმათ მხარს დაიჭერს და ავნებენ. ეს საქმე კი ისეთი სათუთია, რომ საჭიროა, რამდენადაც შეიძლება, მტერი ავიცილოთ.

– მაშ როგორა ფიქრობ, ბიჭო, როგორ უნდა მოვაგვაროთ საქმე!

– უბრალოდ, ბატონო! თქვენი ცხვარი ხომ იქითა დგას მთაში და აი ცხვრის დასახედად უნდა გაკვზავნოთ ფარნაოზი რამდენიმე კაცით, როგორც კვზავნით ყოველთვის. იქიდან შესაძლებელი იქნება უგრძნობელად შესრულდეს მეფის ბრძანება.

ბატონმა მოუწონა მოაზრება. სხვებსაც ჭკუაში დაუჯდათ. ამ გზას დაადგნენ.

– მხოლოდ, ჩემო თევდორე, შენ თითონ უნდა გაკვევ თან ფარნაოზს. ყმაწვილია, გამოუცდელი და შენი გამოცდილება და ერთგულება უნდა წაუმძღვარო წინ.

გადაწყვიტეს, იმკვირიავე გამგზავრებულიყვნენ.

ფიქრი რამ დააჩნდა ფარნაოზს, დარდი შემოაწვა გამოურკვეველი. წასვლა უხაროდა, სამძიმო დავალებით თავიც მოჰქონდა, დარწმუნებული იყო, პირნათლად შეასრულებდა მას; დარდი მაინც არ ეშვებოდა, გული ეხურებოდა.

რადა სტკიოდა ყმაწვილს გული, რას ჩაჰკვნესოდა იგი მას?

ყაფლანის ოჯახს შეეთვისებინა ახალგაზრდა, წევრი გაეხადა თავისი და ეხლა სახლს რომ ჰშორდებოდა, სიმძიმელი აჩნდა განშორებისა.

მართალია ეს, მაგრამ მისი დარდი რომ უფრო რთული იყო და ძნელი, მინამ წარმავალი სიმძიმელი გაყრისა?

არსიანელთ სახლში გულის გამათბობელ-გამანათებელი შუქი ასჩენოდა მას, ამ ნათელს ძალუმად მიეზიდნა ჭაბუკი და მის განშორების მოლოდინში გული უცივ-უბნელდებოდა. ეს კაემანი დასწოლოდა მას ლოდივით, სუნთქვას უძნელებდა, სულს

ჰხუთამდა და რაც ჟამი გადიოდა, იმდენად უფრო აუტანელი ხდებოდა მისთვის ტანჯვა.

ამგვარ მდგომარეობით გაკვირვებულმა ფარნაოზმა პირველად ჩაიხედა თავის გულის სიღრმეში და შიგ ტასიკოს სურათი დაინახა ნათლად დასახული, ღრმად ამოჭრილ-ამოჭედილი.

აღარც ტასიკო იყო მხიარულად: აღარ გაისმოდა სახლში მისი კასკასი და სიმღერა; თვალები აღარ უღიმოდნენ, მალ-მალ ცრემლით ევსებოდნენ. მასაც დარდი რამ შემოსწოლოდა და ეს მისი სევდა ფარნაოზის დაშორება იყო. ახალგაზრდას რომ სხვაგანა გზავნიდნენ, თითქო ქალს გულიდანა ჰგლეჯავდნენ მას: თურმე მის გულსაც ფარნაოზი შეჰხორცებოდა, ფარნა მისი გულის ნაწილი გამხდარიყო, განუყრელი ნაწილი მისი არსებისა.

ამ გრძნობამ გაიტაცა ტასიკო და სხვა ყველაფერზე ხელი ააღებინა, სხვას ყველაფერს მის თვალში ცრიატი ფერი დაედო, მკრთალი; თავისი საყვარელი თევზებიც კი მიავიწყდა ტასიკოს! საწყლები, ამაოდ ტივტივებდნენ აუზში, ნაპირს ეტანებოდნენ, მკვებავს ელოდნენ, ათვალთვლებდნენ. მათი პატრონი ველარა ჰხედავდა მათ, მათ პატრონს ნისლი გადაჰფარებოდა თვალეზზე და ყოველივე დაეჩრდილი მისთვის.

ეს ორი ახალგაზრდა მსურველი იყო ერთმანეთისა, ერთმანეთს კი ერიდებოდა. აქამდინ რომ გულუბრყვილოდ ცელქობდნენ თუ ხუმრობდნენ, ეხლა თვალს ველარ უსწორებდნენ ერთიმეორეს; სიყვარულის ძლიერი ხელი ეზიდებოდა მათ ერთმანეთისაკენ, იმათ კი უძნელდებოდათ დაახლოვება; რაღაც უნდა გაეგებინებინათ ერთურთისათვის, ვერ კი მოეხერხებინათ; რაღაც უნდა გაემჟღავნებინათ, ვერ კი გამოეთქვათ; ბევრი რამ უნდა ემცნოთ ერთმანეთისათვის, ენა კი აღარ ემორჩილებოდათ. განმარტოებით შეხვედრა ტკბილი იყო მათთვის, ერთად შეყრილნი კი უხერხულად გრძნობდნენ თავს, წითლდებოდნენ; ერთურთის დანახვა სამოთხედ მიაჩნდათ, ერთმანეთს კი თვალს არიდებდნენ. იტანჯებოდნენ, იწვებოდნენ, ეწამებოდნენ.

წასვლის წინა დღეს ბაღში შეიყარნენ ახალგაზრდები. ქალი ცოტა გვერდშექცევით იჯდა და ყვავილს ფურჩქნიდა. ვაჟი სივრცეში გაიყურებოდა და მხოლოდ ტასიკოს კი ხედავდა. ისევ ქალმა დაარღვია სიჩუმე.

– მეტირება, რომ მიდიხარ! თითქო გულიდან რამ უნდა ამწყდესო.

– მეც ვიტანჯები, ჩემო ყველავ, ცრემლები ველარ შემიკავებია, ძლიერ მიმძიმს, რომ ველარ დაგინახავ.

– დიდი ხანი დარჩები?

– არ ვიცი. ვერ გავძლებ!

– დავალებული უთუოდ უნდა შეასრულო! რას ეგვანება, ვერაფერი გაარიგო, ისე მოხვიდე? როგორიღა ფარნა იქნები?! მაგრამ მე რომ მარტო დავრჩები, დავლონდები.

– ვერ გავძლებ უშენოდ! – ამოიკვნესა ვაჟმა და ახლო მიიწია.

ქალმა თავი ჩაღუნა და მთლად ჩაფურცლა ყვავილი თითებში.

– ძვირფასი გამხდარხარ, ქალო, ჩემთვის, ფასდაუდებელი, ვერ გავძლებ!

– მაინც უნდა წახვიდე!

– სახსოვარი რამ მაინც წამატანე.

– რა გაგატანო?

– ეგ გიშრის კულულები რომ გაყრია! – სთქვა აღელვებულმა.

და უნდოდა ხელი წაეტანებინა ქალისთვის, მოჰხვეწოდა, მაგრამ ვერ შეჰბედა.

– გამატანე! როცა გამიჭირდება ყოფა, ამოვიღებ, დავხედავ, დავკოცნი, გავმხნეველები, გავცოცხლები.

- გაჭირების ტალკვესი შეიქნება შენთვის, – უთხრა ქალმა და ქვეშ-ქვეშ გაუღიმა.
- თილისმა იქნება ზღაპრული, ჩემო ყველავე!

მეორე დღეს საგზაოდ გამოწყობილი ფარნაოზი ემშვიდობებოდა თავისიანებს. ცხენი ბიჭს ეჭირა. თანამგზავრებიც მზად იყვნენ. ყაფლანმა აკოცა ფარნას და გზა დაულოცა. სხვებმაც ყველამ გადაჰკოცნეს და გზა მშვიდობისა უსურვეს. აკოცა ტასიკომაც და ნეტარების აღმა აჰკრა ორივეს, ვარდისფრად გაანათა ორივე. ცხენდაცხენ ერთი კიდევ გადმოჰხედა ვაჟკაცმა სატრფოს და მკერდზე ხელი მიიღო. ტასიკომ იცოდა, რომ გულზე ჰქონდა დაკერებული მისგან მიცემული თილისმა და გული აუჩუყდა, წამწამი დაენამა.

16

როსტომის მახლობლებს დრო დაუდგათ გაეცხადებინათ ყაფლან არსიანელისათვის თავიანთი აზრი და მეფის გულის წადილი. ეხლა ქალი განმარტოებული იყო. შორს ჰყვანდა მეგობარი სულისა, რომელსაც შეეძლო ქალი მიეზიდნა თავისკენ და სასტიკი წინააღმდეგობა გაეწინა მათთვის. ეხლა სურვილის აღსრულება წინანდელივით ძნელი არ იქნებოდა. აი ამ აზრით ეწვია არსიანელს თითონ იორამ სააკაძე. გამოცდილმა სარდალმა იცოდა, რომ გასაჭირში გულდაგულ მისვლა სჯობდა და თითონ იდგა თავს საქმის მოწყობა. იორამმა თავისი განზრახვა პირდაპირ განუცხადა ყაფლანს.

– უნდა იცოდე, ბატონო ყაფლან, რომ მე შუამავლად ვარ შენთან მოსული: როსტომ მეფე დატყვევებულია შენის ქალის სურვილით და მოსვენება ვეღარ მოუპოვებია.

– როსტომ მეფე? ჩემის ქალის სურვილით?! როგორ? ხოსრო-მირზას სპარსეთი ხომ არა ჰგონია აქ, რომ ვისი სახლიდანაც ჰსურდეს, ხასა აირჩიოს! – წამოიძახა ყაფლანმა და წამოხტა გველნაკბენივით.

იორამ ადგილიდან არ დაიძრა, მხოლოდ გამოცდილი თვალები ააყოლა ყაფლანის მარჯვენას, რომ ხიფათი აეცდინა თავიდან.

– ნუ სჩქარობ, ყაფლან!

– და შენ მიბედავ მაგას?! როგორ თუ ჩქარობ!

– ნუ ისწრაფი, ბატონო, ნუ ღელავ! მომისმინე; ავსა ჰფიქრობ; უწმინდური სურვილი რომ დაჰბადებოდა ბატონ მეფეს, მისი ხელის მომმართავი არავინ გამოჩნდებოდა ჩვენთაგან. გიმეორებ: თქვენი ქალის სახე გულს ჩასჭრია მეფეს, უიმისოდ სიცოცხლე აღარ შეუძლია და განა სიყვარული გასაკიცხია ან საწყენი?!

– გასაკიცხია და საწყენი, როდესაც იგი უმსგავსია და ურცხვი! როსტომს უკაცური აზრი ჩაუდვია თავში: მეფეა დღეს, მამა ქვეყნისა და მზრუნველი, თითონვე კი განუზრახია ბინძურად დარღვევა კანონისაც და ჩვეულებისაც. განა ეს საგმობელი არ არის?! კაცი აგერ ჩემი ხნისაა, გული კი ბაღლისათვის უთქვამს: განა ეს საკადრისია?! უკანონოა მისი გულის თქმა, ბილწი და საზიზღარი... მაგრამ, მართალია, თათრის სჯულში ხომ მეორე ცოლიც კანონიერია. როსტომს, ალბათ, ჰგონია მთელი საქართველოც გათათრდა ჩემთან ერთადაო.

იორამ მკაცრ წინააღმდეგობას მოელოდდა, მშრალ უარს, და როდესაც ყაფლანმა მხოლოდ უკანონობაზე და შეუფერებლობაზე გადუხვია, იმედმა გაუღიმა.

– ყაფლან! – განაგრძო ენა მოქარგულმა, – სწორედ ვიწყენდი შენგან ამისთანა პასუხს და მეფის შეურაცხყოფას, თუ დიდად არ გაფასებდე შენ. თუ როსტომი გაჰბედამდა, თუნდაც გრძნობათა ძალდატანებით, რამე შეურაცხყოფა მიეყენებინა თქვენის ოჯახისათვის, რამე ჩრდილი მიეყენებინა თქვენის სახლისათვის, განა მე

დავთანხმდებოდით, შენთვის გადმომეცა მისი სურვილი, განა მე მთელი ჩემი არსებით წინააღმდეგობას არ გავუწევდი მას?! კარგი, თუ მე აღარ მენდობი, შენი ცოლის ძმა ზურაბი? განა ხმას არ ამოიღებდა თავის ნათესავთა დასაცველად? ისიც ხომ იქ იყო თათბირში! არც თვითონ როსტომია ისეთი კაცი, რომ ვისიმე დაჩაგვრა იტვირთოს უმიზეზოდ და მერმე ისეთი მძლავრი კაცისა, როგორც შენა ხარ. პირიქით: შენი მეგობრობა ძალიანა ჰსურს მას და ესაჭიროება; არა, ყაფლან, ეგრე არ არის საქმე.

– მითხარ, მაშ როგორ არის! – უთხრა უფრო დამშვიდებულმა ყაფლანმა.

– დაბრძანდი, ყაფლან, მშვიდად მომისმინე და ნუ დამზოგავ, თუ რამ საქვო აღმოჩნდეს თქვენის გვარისა, ოჯახისა ან სახელისთვის. მართალია, კაცი გადარეულია ქალის სურვილით და იქამდის, რომ დაჰვიწყებია თავისი ხანიც, თავისი უაღრესი ხარისხიც, მაგრამ ამ თავის პირად სურვილს ვერც კი გააცხადებდა ჩვენთან, თუ იგი სურვილი არ იყოს დაფუძნებული სრულ კანონიერებაზე და სახელმწიფოს სარგებლობაზე.

– ვერ მესმის, ვერ გამიგია!

– მომითმინე და მომისმინე! მოგეხსენებათ, რომ როსტომი ბედნიერი მეფეა და უფრო ბედნიერი შეიქმნება მომავალში. მან დაამშვიდა საქართველო და მოუპოვა ისეთი ძლიერი მოკავშირე და მფარველი, როგორც არის მფლობელი ირანისა, რომლის შიშით ვერც ერთი მტერი ვერ შემოჰბედავს ქართველს. გარდა ამისა, ჩვენ ვიცით ეხლა, მე და შენ, რომ ყეენმა მოისურვა მთელი საქართველო შეაერთოს როსტომის ხელში, მთელი საქართველო თამარ მეფისა და გაამლიეროს. შორსა სჭვრეტს დიდებული ყეენი, შორსა სჭვრეტდნენ სპარსეთის გამოცდილი და დაბრძნილი მფლობელები: ირანსა ჰსურს ჩრდილოეთით იყოლიოს ძლიერი და ერთგული მოკავშირე, რომლის ხელშიც უნდა იყოს კავკასიონის გადმოსასვლელი გზები. ამით დიდს ჩრდილოეთს მოესპობა შეძლება გადმოლახოს მთები. კავკასიონის გადაღმა თვალუწვდენელ ველებზე მცხოვრებ ურიცხვ ხალხთ ადრიდგანვე ეჭირათ თვალი წინა აზიის მდიდარ და განთქმულ სამეფოებზე და მათ ეს თავიანთი მისწრაფება დიდს რუსეთს დაულოცეს. ჩრდილო უაღერსებს საქართველოს, რადგან მის ხელშია გასაღები მთელის დასავლეთ აზიისა. იგი დაჰყრდნობია სარწმუნოებას დასარწმუნოების ერთგვარობას ასახელებს ხალხთა ერთობის საფუძვლად, იგი მფარველად ევლინება საქართველოს, უფროს ძმად, მაგრამ მეგლია კრავის ტყავში გახვეული, მტაცებელია ულმობელი: გადმოსვლის უმაღვე შენთქამს პატარა საქართველოს და კბილით დაუღრჭენს დიდ სპარსეთს. ირანს გულითა ჰსურს საქართველოს მეგობრობა; იგი იძულებულია საქართველო თავისკენ იყოლიოს; იგი ვერ დაუთმობს საქართველოს, თუ არა ჰსურს თავისთავის დაღუპვა. სპარსეთი არ ეხება საქართველოს სჯულს, არც მის ზნეს და ჩვეულებას, არც მის შინაურს ცხოვრებას და მართვა-გამგეობას, ოღონდ საქართველომ მისკენ მიიბრუნოს გული, ოღონდ ჩრდილოეთისაკენ არ დაიწყოს მზერა, ოღონდ კი სხვას არ გაუწოდოს ხელი; მაგრამ როცა ჩვენ მეფეებს, ჩვენი ქვეყნის პატრონებს, არ ესმით ეს და ჩრდილოეთისაკენ იყურებიან, მას ემუდარებიან, მუხლმოდრეკილნი ევედრებიან, მაშ რა უნდა ჰქმნას ირანმა, თუ ძალა არ იხმაროს, თუ არ მოისურვოს ქართველთა გაჟლეტა, რომ თითონ დაიპყროს კავკასიის მთები და თავის ხელით ჩაკეტოს მისი გადასავალი გზები... ირანმა იცის, რა ძნელია ეს, მან რამდენჯერმე გამოსცადა, რომ შეუძლებელია ამ აზრის შესრულება და დიდად აფასებს ისეთ ქართველ მეფეებს, რომელთაც შეუგვნიათ სიკეთე თავიანთ ქვეყნისა და მასთან ერთად სპარსეთისა. მაგრამ დანაწილებულ და დაქსაქსულ საქართველოს შეერთება ერთ ძლიერ და ირანის მეგობარ სამფლობელოდ ისეთი ადვილი არ არის, რომ მალე განხორციელდეს. დღეგრძელიმც იყოს როსტომი, მეფე საქართველოსი, მაგრამ ცას ხომ ვერ შეაბერდება! შვილი კი არა ჰყავს, მემკვიდრე

საფერი, აზრდილი ამ ჭეშმარიტ აზრზე, შეგნებული დამფასებელი მამის შრომისა. ვის უნდა დარჩეს როსტომის ტახტი? თეიმურაზს ან მისს შვილს დავითს? ისინი ვერ მისწვდებიან მეფის დიდებულს აზრს! ივინი მიისწრაფებიან ჩრდილოეთისაკენ, ივინი მხოლოდ სჯულის ერთობაზე ამყარებენ სამშობლოს ბედს. სცდებიან მწარედ: თავის ფეხით მოუძღვიან საქართველოს და მთელ დასავლეთ აზიის დამღუპველ გულცივ გოლიათს... ყაფლან! ეს არის იმის მიზეზი, რომ მეფემ განიზრახა განქორწინება და ჩვენც ხელი მოვუმართეთ, იქნება, უფალმა აკურთხოს გვირგვინი მისი ახალი და მიანიჭოს მემკვიდრე. კათალიკოსმა აკურთხა ეს მისი განზრახვა. მეფე უკვე ეძებდა შესაფერ სადედოფლოს. და აი ამ დროს აუძღერა გული თქვენმა მშვენიერმა ქალმა, ჭეშმარიტად სადედოფლომ.

– დიდ საგონებელში ჩავარდნილა მეფე და ძნელი საქმე უტვირთნია, – სთქვა ყაფლანმა დაფიქრებით. – მაგრამ ვინ მე და ვინ მეფე! რადგან განუზრახავს განქორწინება, ვინმე მეფისავე გვარისა უნდა დასვას ტახტზე.

– რომელი მეფის ან მთავრის გვარიდან? არ შეიძლება როსტომმა ეძებოს მეუღლე საქართველოს მეფეთა და მთავართა ოჯახებში, იმ მფლობელთა საგვარეულოში, რომლების დამხობა ჰსურს მას, რომ შემოუერთოს განუყოფელ საქართველოს მათი საბრძანებელი. რუსეთის სამეფო სახლიდან სარძლოს მოყვანა ყოვლად შეუძლებელია, რადგან მეფე მტერია რუსეთისა და მეგობარი სპარსეთისა. მაშ, სად უნდა ეძებოს სადედოფლო, თუ არ შიგ სამეფოში? მაგრამ თუნდაც შესაძლებელი იყოს და ადვილი სხვაგან მონახვა სადედოფლოსი, ახლა აღარ არის საჭირო ვეძებოთ, აღარც უფლება გვაქვს ძებნისა: მეფის გულმა თვით იპოვნა სადედოფლო შესაფერი. ჩვენ სიხარულით ვასრულებთ მეფის გულის წადილს, რადგან იგი წადილი წრფელია და ღირსეული. ყაფლან! მეფის ნებიერი გული გამსჭვალულია ტრფიალით, მეფეს ჩვენს სიყვარულის ჯაჭვი აბია ყელზე და თქვენს ხელშია იმ ჯაჭვის წვერი.

საგონებელში ჩავარდა არსიანელის ოჯახი. უეცრად აღიძრა იმათ სახლში ისეთი კითხვა, რომელსაც სრულებით არ ელოდნენ, რომელზედაც ჯერ ფიქრს არ აპირებდნენ. ტასიკო ჯერ ისევ პატარა ეგონათ, მის მომავალ ბედზედ არა ზრუნავდნენ, ფიქრადაც არ მოსდიოდათ მისი გათხოვება.

ამ ბოლო დროს მაინც არსიანელთ ჩაკეტილი კარი მოულოდნელად იღებოდა, ძალაუნებურად. რას უქადადა მას ყოველივე ეს, ჯერ არ იყო გამორკვეული. ცხოვრების ჩვეულებრივ გზას გადაცილებულ სახლობას შეშფოთება ეტყობოდა და ღელავდა.

მძიმე კითხვა კი პირდაპირ იყო დაყენებული და გადაჭრით. არც სახუმარო იყო ეს კითხვა.

– თუ უარი უთხრან მეფეს, ვაი თუ განრისხდეს და ძალით აიღოს ის, რასაც ეხლა ნებით თხოულობს და ხვეწნით; ვაი თუ გამწყრალმა დიდად ავნოს მათ, რადგან ძალა შესწევს. ან რა მიზეზით უარყოფენ მის წინადადებას? საქართველოს ყველა დიდებული ცას დაეწეოდა სიხარულით, ამისთანა ბედნიერი შემთხვევა რომ მისდგომოდა კარს, და მითომ არსიანელნი რაღა იყვნენ, თუკი წესიერი იყო მეფის მოთხოვნილება, რად ვინ უნდა ეწინააღმდეგოს მეფის კანონიერს და სუფთა სურვილს?

– კაცი რომ ხნიერია და ქალისთვის შეუფერებელი?

– ხნიერია, მაგრამ ჭარმაგი და მხნე! რა უშავს?! განა ეს პირველია, ხნით შეუფერებელნი რომ ქორწინდებიან? სულაც არა! რამდენია ამისთანა მაგალითი. ესეც

არ იყოს, სასიძო უბრალო ვინმე ხომ არ არის, რომ კბილი უშინჯონ. მეფეა დიდებული, საქართველოს მფლობელი, ყეენის მეგობარი, მისგან პატივცემული.

– დედოფალი მარიამი და მისი მომხრეები? ხომ საშიშნი არიან ისინი, ხომ შეუძლიათ ხიფათი რამ მიაყენონ არსიანელთ!

– მაგრამ არსიანელნი რა შუაში არიან აქ, რა დანაშაული მიუძღვისთ დედოფლის წინაშე? მეფესა და მის კარის კაცებს დაუწყიათ საქმე, ისინივე ათავებენ მას. არსიანელნი არამც თუ არა რეულან შიგ, არც კი სცოდნიათ ამაზე არაფერი. გარდა ამისა, რახან განქორწინდებიან, დედოფალი მამის სახლში წავა სამეგრელოში და საშიში აღარ იქნება: შორს არის ეგრისი.

– არა, არავითარი უფლება არა აქვს ყაფლანს წინ გადაეღობოს ქალთან მიმავალ ბედნიერებას, დაუხშას მას სვე დიდებული, რომელიც სამეფო ტახტისაკენ იწვევს მას.

– თითონ ქალის გული? მისი ნაზი გრძნობა? იქნება ქალს არ მოსწონს კაცი, იქნება გული არ მისდის მასზე და ხომ ცოდვაში ჩავდგებით და გავაუბედურებთ შვილს, – ფიქრობდნენ არსიანელნი.

– ღმერთმა გვიხსნას სხვის ცოდვაში ჩადგომისაგან და მით უფრო საკუთარ შვილისა! მის სრულ სურვილზე უნდა დავამყაროთ ყოველივე, მის სრულ და თავისუფალ ნებაზე!

გული მაინც არ მისწევდათ არსიანელთ როსტომისაკენ, გონებას ვერ გამოენახა უარის საბუთი, გული კი მაინც ვერა თანხმდებოდა, უარზე იყო. გამოურკვეველი გრძნობები უმძიმებდნენ ყაფლანს გულს, აღონებდნენ. იქნება ის ემძიმებოდა, რომ ვერ შესთვისებოდა ბედის მოულოდნელობას, რადგან მას სულ სხვა იღბალი ჰქონდა ტასიკოსთვის წარმოდგენილი, სულ სხვა ქარგაში ჰქონდა მისი მიმავალი ჩაქსოვილი და სხვა ფერადებით შეხამებული; ვინ იცის!

– ფარნაოზი მაინც აქ იყოს! შვილია ოჯახისა, წევრი ერთგული. ნეტავი შეიძლებოდა მასაც დავეკითხოთ. ვინ იცის, ის რაღას იტყოდა... მაგრამ შორს არის ფარნა და სწორედაც არ ვიცით, სად არის იგი. არც ის ვიცით, როდის იზამს პირს შინისკენ; რამდენი ხანია, წერილიც არ მიგვიღია მისგან.

არსიანელთ დაასკვნეს, ქალს დაჰკითხებოდნენ, რომ მას თითონ გადაეწყვიტნა თავისი ბედ-იღბალი. მართალია, ქალი ჯერ ისევ ნორჩი იყო, ჯერ ისევ უმღერ-უცინოდა მას ჭკვა და არ შეეძლო დაწყნარებული მსჯელობა, დინჯად მოფიქრება, მაგრამ მაინც ქალს უნდა დაჰკითხებოდნენ და მისი სურვილით ეხელმძღვანელათ. მაშ რა უნდა ექმნათ? თუ გამოცდილება და გონების ძალა აკლდა ნორჩ ქმნილებას, შეუბღალავი გრძნობა ხომ ჰქონდა და ის უხელმძღვანელებდა მას გასაჭირში, ის დააყენებდა მას სიმართლის გზაზე.

18

– ქალო ტასიკო! გეყოფა ამდენი თამაშობა და ცელქობა. პატარა აღარა ხარ, აგერ მეთექვსმეტე წელიწადში გადასდექი. ჩაფიქრდი, აზრები დაიწყნარ-დაილაგე, მოდი, შვილო, დაჯექი.

ქალმა მსწრაფლ მიაქცია ყურადღება საუბრის ამგვარ კილოს და გაკვირვებით შეხედა დედას. დედა ტახტზე იჯდა, კრიალოსანს ათამაშებდა. ქალს ბუნდი რამ წინათგრძნობა დაებადა და გამოურკვეველმა შიშმა აუთრთოლა გული.

– რა არის, დედილო, ცუდი ამბავი ხომ არა გაგიგონია-რა, – ჰკითხა ქალმა. და მისი გონება ფარნაოზისაკენ გაფრინდა.

– როგორ არა, შვილო, საიშვიათო ამბავია; შენ შეგეხება.

ქალს ოდნავ ფერი ეცვალა, სპეტაკ შუბლზე ნაოჭის აჩრდილმა ჩაურბინა. დაჯდა, მოიკეცა, ხელები მუხლებზე დაიწყო, უსიამოვნებისათვის შეემზადა.

– გულდასმით მოისმინე ყოველივე! – დაუძახა მამამ, – ბედმა სიკეთისთვის გამოგირჩია შენ, მაგრამ მაინც თითონ უნდა გადასწყვიტო მომავალი შენი იღბალი. მართალია, ჯერ ისევ პატარა ხარ, გამოუცდელი, მაგრამ მეუფემ ინება და მოგიწოდა დიად საქმისათვის; იგივე ჩაგაგონებს ბრძნულ პასუხს.

ამან უფრო ჩააფიქრა ქალი, დააღონა; იგი ჩაიკრიფა, თვალთ ცრემლი მოედინა.

– გახსოვს, შვილო, – ჩამოართვა სიტყვა დედამ, – სამებაში მეფე როსტომი რომა ვნახეთ და მის სუფრაზე ვიყავით?

როსტომ მეფის მოგონებაზე ქალს სახიდან ნისლი გადაეწმინდა, თვლებში ღიმილმა გაურბინა. წარმოუდგა მას დინჯი კაცი, რომელსაც ყველა თავს ევლებოდა; წარმოუდგა მისი გაფითრებული, თითქმის ჩაყვითლებული სახე, გაკრეჭილი წვერით გარმოდებული, ძვირფასი ჯიღით თავზე. სწორედ სპარსსა ჰგვანდა ის კაცი.

– როგორ არ მახსოვს, დედი! თათარსა ჰგვანდა, ჰინით წვერშელებილი. რამდენჯერმე შემომხედა. ცალ წარბს რომ ასჭიმავდა, მე სიცილს ვიკავებდი; კინაღამ მის წინვე გადავიხარხარე. დედი, მართლა ქართველია ის კაცი?

– გარეგნობითა აქვს, შვილო, შეთვისებული თათრული სჯული და ქცევა, თორემ ქართველია, მეფე ქართველთა, ჭკვიანი და გულშემატკივარი. ერთი შეხედვით შეატყობს კაცს და დააფასებს. აი ჩვენი ფარნაც მაშინვე იცნო და შეაქო.

ფარნას მოგონებაზე ქალს გულმა გაუღიმა და სიამის ციაგმა გაანათა მისი სახე.

– როგორ მარჯვედ გადმოაგდო თასი! ყველამ შეაქო მაშინ ფარნას სიმარჯვე! – სთქვა ქალმა აღტაცებით.

– იცი, შვილო, იმ როსტომ მეფეს ფარნაოზი ხომ მოეწონა, მაგრამ შენ უფრო ძალიან მოსვლიხარ თვალში. შეჰყვარებიხარ. ისე შეჰყვარდნია შენზე გული, რომ მას აქეთ მოსვენება ვეღარ მოუპოვებია. სწორედ სადედოფლო ქალიაო, უბრძანებია.

ქალმა ბუნდად იგრძნო სიტყვის ძალა, მაგრამ აზრი კი ვერ გამოარკვია და დაბნეულად გადაავლო თვალი თავისებს.

– რას იტყვი, შვილო, – ჩამოართვა სიტყვა მამამ, – როსტომ მეფეს მოუსურვებია შენი შერთვა, შენზე ჯვარის დაწერა და უნებებია საქართველოს დედოფლად დაგსვას შენ.

ქალმა ეხლა ნათლად შეიგნო ძალა სიტყვისა. მსწრაფლ წარმოუდგა გონებაში მეფის სურათი, მკაფიოდ აღებეჭდა მეხსიერებაში მიძველებული ვაჟკაცის სახე და მის გულში მხოლოდ უარყოფა გამოიწვია ამ სურათმა. თვალ-მარგალიტში ჩამჯდარმა და პატივისცემით გარემოცულმა ხნიერმა მხოლოდ შიში და ზიზღი გამოიწვია ქალის გრძნობაში და შეაჟრჟოლა. ქალის გული სიცოცხლისათვის მღეროდა, აღტაცებულ ახალგაზრდა სიყვარულს შესტრფოდა, ყოვლად ტკბილ და დამწველ გრძნობისადმი მიისწრაფოდა. მას კი გზაზე გადაეღობა გული უკვე გაციებულ-ჩაფერფლილი, ტრფობა გამოვლილ-მოწყენილი, მხოლოდ ჟინისლა მექონი. როსტომი წარმოუდგა მას გველეშაპად, რომელიც პირდაპირნილი მიცურავდა მისკენ, რომ ჩაენთქა მისი სინორჩე. ამავე დროს ცხადად აღებეჭდა გონებაში ფარნაოზის ჭაბუკი სახე მისადმი ნეტარის გრძნობით გამსჭვალული. ამ სახემ ანდამატივით მიიზიდა ქალის გული. ტასიკოს არსება მძლავრად წაესწრაფა ფარნაოზისკენ და მან უნებლიეთ წამოიძახა განცვიფრებით:

– ჩვენი ფარნა?! ფარნაოზი ხომ...

მაგრამ მაშინვე გამოერკვა ქალი, შესწყვიტა სიტყვა, ხელები მიიფარა პირზე და გავარდა ოთახიდან.

დედ-მამას ჩამოეცალა ბინდი გონების თვალიდან. წინ დაუდგათ უძლეველი ძალა სიყვარულისა, რომელიც აღმოცენებულიყო და აღზრდილიყო მათ წინ, ხოლო მათგან შეუმჩნეველად, და განცვიფრებით გადახედეს ერთმანეთს. უკვირდათ: რატომ აქამდის არ მივხვდით ამ ღვთაებრივი ძალის ჩვენს გვერდზე არსებობასაო.

შეიჭრა ტასიკო ბაღში, გასცდა აუზს, გაიარა ხეივანი და ავიდა ბაღის თავში. აქ, ხევისკენ, იდგა უზარმაზარი კაკალი. ხე მაღალი იყო, განზე გასული; ქუდივით შეკრული; კარავივით დაეჩრდილა მწვანე მიდამო. ფოთლებით შებურული მშვენიერი იყო ეხლა. მთელ ოჯახს უყვარდა ეს ხე და მეტადრე ტასიკოს.

ამ კაკალქვეშ უყვარდა ტასიკოს ყოფნა. თითქმის ამ ხის ქვეშ გაიზარდა ის. გაშლიდნენ ხალიჩას, დაჰყრიდნენ მუთაქებს და აქა თამაშობდა ბაღლი ტიკინებს თუ ხუხულას. ბუქნელაც ამავე ხის ტოტზე ებათ. რა შეედრებოდა მზეში თუ წვიმაში ამ ხეს! მზის სხივები ვერ ატანდნენ, ვერც წვიმის ცვარი. უყვარდა ტასიკოს ეს ბუმბერაზი. ისიც იცოდა, მის გარშემო სად რომელი ყვავილი ამოდიოდა, როდის იფურჩქნებოდა, ან ხმებოდა. ამავე ხის ქვეშ იზრდებოდა და ფრთოვანდებოდა მისი ოცნება. ამ ხის ქვეშიდანვე უყვარდა ცის თვალიერება, მიმავალ ღრუბლებთან ერთად ფრენა, მათი ალერსი. ბოლოს ხომ ამ ხის ქვეშვე აეხილა გონებას თვალი, ჩამოეცალა მის არსებას ის ნათელი, რომელიცა ჰბურავდა მას და თვალეში უციმციმებდა, რომ პირდაპირ არ შეეხედნა ჭემმარიტებისათვის: ამ ხის ქვეშ ჩაიხედა ტასიკომ თავის გულის სიღრმეში და დაინახა მუნ სურათი ფარნაოზისა, სიყვარულის ალით ჩახატულ-ჩადაღილი სურათი. მას აქეთ, ფარნას წასვლას აქეთ, უძვირფასესი შეიქმნა ქალისთვის ეს ადგილი. დარდი რომ შემოაწვებოდა მის ნორჩ გულს, რომ დაუმძიმებოდა კაემანი, აქ მოდიოდა ცრემლთა საფრქვევად, ფიქრთ გასართველად.

აქ, ამ ხის ქვეშ, ოცნებით გატაცებულ ქალს ფარნას სურათი ისე ცხადად ეხატებოდა, როგორც ცოცხალი, ხორცშესხმული. იგი ესაუბრებოდა იმ სურათს, შესტრფოდა მას და ესე ზრდიდა თვის სიყვარულს. და აღორძინდა იგი სიყვარული, და ვეღარ იტევდა გული, და ეფრქვეოდა თვალთაგან ცრემლად გრძნობა ნადული.

ეხლაც, ამ გაჭირვების დროს, ამავე ადგილს მიჰმართა ქალმა.

მიეყრდნო გახურებული შუბლი ხისათვის და ღრმად ჩაფიქრებულიყო; დარდი შემოსწოლოდა მის უმანკო გულს, სევდა მძიმე, შემღონებელი.

– არ ვუყვარვარ ჩემს დედ-მამას, სრულებით არ ვუყვარვარ! თუ ვუყვარდე, ჩემი გულის პასუხსაც მიხვდებოდნენ. შენს ბედნიერებას ვისწრაფითო! ჩემი ბედნიერება თუ ჰსურთ, უნდა ეფიქრათ, რომ გული არ დამლახვროდა. გულგაგმირულს, გრძნობამკვდარს რაღად მინდა თუნდ გვირგვინი სამეფო? განა დიდება გააცოცხლებს მკვდარ გრძნობას?! გადატეხეთ ღერო ყვავილისა და მერე აპკურეთ წყალი, მიუჰყარით მზის სხივს!.. რას არგებს მას ან ერთი ან მეორე? მაცოცხლებელი ნამი და სითბო მისთვის მხოლოდ დამაჰკნობელ-დამალჰობელნი შეიქმნებიან. რითი არგებენ მას, რით გაალაღებენ, რითღა გაახარებენ? როგორ შეიძლება გული ჩემი მიიზიდოს წარმავალმა რამ კეთილმა გარეგანმა, თუნდაც სამეფო პორფირმა ისე, რომ ჩაანელოს მასში აღგზნებული ცეცხლი ნეტარებისა, ჩააქროს იგი, შებღალოს აღბეჭდილი მასში სურათი სასურველი?! არას გზით! ეს უნდა ეფიქრა ჩემ დედ-მამას და ისე უნდა მიეცა პასუხი, ერთადერთი პასუხი.

– რა აქვს ჩემს გრძნობას, ჩემის გულის ძგერას საერთო სიმდიდრესთან, სიდიდესთან, პატივთან ან სხვა რამ მოსაზრებასთან, თუნდ სახელმწიფო

მოსაზრებასთან? არაფერი! სრულებით არაფერი! ყველა ეს ჩემს გარეშეა, ჩემის გრძნობათა კვეთების გარეშე. მიყვარს ფარნაოზი! ფარნა იგივე ჩემი გულია, იგივე ჩემი სიცოცხლეა, განხორციელებული სურვილია ჩემი ძლიერი, სპეტაკი, სანატრელი. იგი სულის დგმაა ჩემი და როგორ გაიცვლება პურზე თუ ფულზე, დიდებაზე თუ პატივზე, მეფის პორფირზე თუ გლახაკის კონკეზე? ტრფობას რა აქვს მათთან საერთო? ტრფობა ნიჭია ზეციური და უკვდავი, ესენი მტკვრნი არიან ქვეყნისა, უსულო, წუთიერი.

– გული მატკინა დედამ! თუნდ თავისუფალი ყოფილიყო ჩემი გრძნობა, როსტომ რა შესაფერი იყო ჩემთვის?! იმას თავის დრო კიდევ მოუჭამია. როგორ მიიზიდავს ის ქალის გულს? მეფეა ჩვენი და ვემსახურებით, ეს მოვალეობაა ჩვენი; მაგრამ ხელმწიფე რომ არის, განა გულის ვარდიც არის, განა სატრფოც არის?! თუ სიყვარული მოვალეობაა და მორჩილება? არა! ტრფობა თავისუფალია, როგორც სხივი მზისა. მაშ რად მამცირებს მე დედ-მამა? ალბათ არ ვუყვარვარ?! სწორედ არ ვუყვარვარ.

– როსტომს ძალიან მოსწონებია, შეჰყვარებია. მეფეა როსტომ, ხელმწიფე და ნაჩვევია ისრულოს სურვილი. მაგრამ ის არ არის მეუფე ჩემის გულისა და ვერც შეიქმნება! ჩემს გულს მხოლოდ ერთი მეუფე ჰყავს მორჩილი, ერთი ბატონი ჰყავს მონა, ერთი მბრძანებელი ჰყავს ფეხთამტკერი. მე აღარ ვარ პატრონი ჩემის გულისა: გულს დამონებული ვყევარ და ფარნასკენ მივყევარ სიამის ბორკილით შეკრულ-შებოჭვილი.

– ფარნაოზ ჩემო! გული ჩემი ყოვლად დასაწველ მსხვერპლად მომირთმევია შენტვის. ვერვინ გამოგწირავს შენ იმას! წარმტაცებენ სიცოცხლეს, ხოლო ვერ ამოჰშლიან ჩემის სულიდან შენს სახეს!

ქალმა ბეჭებზე გადიყარა სახეზე წამოშლილი თმა და თავი მაღლა აიღო ამაყად, წელში გასწორდა. თვალეები უფრო დასდიდრონებოდა, სახე გაჰფითებოდა, მაღალ შუბლზე გარკვეული ფიქრის ნასახი აღბეჭდოდა და დაემშვენებინა. ქალი რამდენიმე წლით გაზრდილიყო ამ რამდენსამე წუთს; ბავშვობის იერი მთლად ჩამოსცლოდა, მეგრძოლს დაჰგვანებოდა შემმართებელს.

– ფარნაოზი? რას იტყვის, რას იგრძნობს ფარნაოზი, როცა გაიგებს ამ შესაზარ ამბავს? გული გაუსკდება ჯავრით. იქნება, კიდევ იფიქროს, რომ მე შემაცდენს გვირგვინი სამეფო, იქნება, გაბედოს ეჭვი, იქნება გულში გაივლოს ჩემ მიერ ღალატი?! ხომ სევდა მოაშთობს მაშინ მას. არა! როგორ გაბედავს ეჭვით შემომხედოს და დამამციროს?! მაგრამ ვაი, თუ შეაკრთოს ვაჟკაცი ამ ამბავმა, შეაშფოთოს და გული აუძვრიოს, ფიქრი შეურყიოს; ვაითუ, სიცრუვე მოუთხრას ვინმემ ჩემზე და დააღონოს, სიცოცხლე მოუშხამოს. თავს მოიკლამს, გულს გაიგმირამს! მაშინ მეც აქვე მოვიკლამ თავს, აქვე, სადაც განვიცადე მისი სიყვარული! – დაასკვნა ქალმა.

და თვალეებში ფიქრმა რამ გაუელვა სასტიკმა.

– ადრევე უნდა გეფიქრა, რომ ეს ქალი-ყრმა დაუახლოვდებოდნენ ერთმანეთს. ფარნა შნოიანი ჭაბუკი დადგა, ქალიც შედერდა, მოიწიფა და, რასაკვირველია, რომ ქალის გამოუცდელი გული გაღებულებოდა ვაჟისათვის. თითონ ფარნაოზს რომ შეჰყვარებია ქალი, ეს მესმის: ქალი მშვენიერია, დიდი ჩამომავლობისა და ერთადერთი მემკვიდრე. მე ვიცი, უკეთესს ვისმე იშოვნოდა! მაგრამ ტასიკოს უნდა ეფიქრა, რომ ფარნა კიანელი შესაფერი არ არის ყაფლან არსიანელის ქალისათვის. შენ ადრევე უნდა გაგეგო მაგათი გულის წადილი. დიასახლისი ხარ, ცხრა თვალი უნდა გქონდეს და ცხრა ყური; არაფერი უნდა გამოგეპაროს ოჯახში, – უსაყვედურა ყაფლანმა მეუღლეს.

– შვილივითა მყვანდა სახლში, და-ძმასავითა ვზრდიდი ყმაწვილებს და რას მოვიფიქრებდი მაგათგან ამ საქმეს!

– შვილივით გავზარდეთ და მშობლებისავითაც ვუყვარვართ; მაინც უცხოა. და-ძმასავით ავზარდეთ და ეგრეც უყვარდათ ერთმანეთი, სანამ პატარები იყვნენ, მაგრამ რომ წამოიზარდნენ, უბრალო სიყვარული ტრფობად გადაჰქცევიათ. ამაზე გვმართებდა დაფიქრება...

– მართალი გითხრა, ძალიან მომწონს ფარნა და მათ შეუღლების წინააღმდეგი არაფერი მეტყმის. მე ეგ მიორჩევნია უცხოს შემოყვანას სახლში; ვიცნობთ ყოველმხრივ და ცუდს ვერას ვიტყვით. ყმა-მამულიც საკმარისი აქვს. ერთხელაც იქნება, დაუბრუნდება. მხოლოდ ეს არის, რომ დიდი გვარის შვილი არ არის.

– კარგი მასალა ჰკლებია, თქვენმა მზემ! დიდი გვარისა კი არა, უბრალო აზნაურია. მერე უნდა სთქვან, არსიანელმა ვიღაც აზნაურს მისცა ქალიო. შვილს მეფე სთხოვდა, იმან კი ვიღაც აოხრებულს გადაუგდოო. რა გაჭირვებაა? უგვარტომოა ქალი, გონჯი, თუ ღარიბი?! ვერ დავთმობ ამას, მამიჩემის სულის განათლებამ!

– ვერ დასთმობ, არ აუსრულებ ქალს გულის წადილს და ძალის-ძალად კი მიაჩეჩებ ქალს, შენ ნანინატრ ტასიკოს, ვიღაც ხოსრო-მირზას, ისპანელ თათარს, დაუთხანის ნაბიჭვარს! – გაჯავრდა დიასახლისი.

– ბიჭო!..

– თავადობის მოპოვებაც ხომ შეიძლება გამჭრიახობით თუ სიმდიდრით?! შენ რომ მხნე კაცი იყო, შენ რომ სიტყვასთან საქმიანობაც შეგწევდეს, დაეხმარებოდი ფარნას ამგვარ ცდაში.

– ბიჭო! მალე გადახრილხარ ფარნას მხარეს! ალბათ შენის თანხმობით მოაწყეს, ქალბატონო, იმათ საქმე. მე უბრალოდღა მალაპარაკებ. იმას არ ვამბობ, უთუოდ აასრულოს ტასიკომ მეფე როსტომის სურვილი, გაჰყვეს მეუღლედ: ტასიკო იმაზე გათხოვდება, ვიზედაც გული შეჰვარდება. მაგრამ ის კი მსურს, რომ ჩემი მოყვარე ჩემი ყადარი კაცის შვილი იყოს. მხოლოდ მაშინ დავლოცავ მის გვირგვინს!

დაჩუმდა დიასახლისი, ხმა აღარ გასცა: ეშინოდა, ყაფლანი არ განრისხებულიყო და არ დაეფიცა, თორემ ვეღარ გადაათქმევინებდნენ, ვეღარ დასძრამდნენ, გაჯიქდებოდა, ქვად იქცეოდა.

ყაფლანმა ერთი კიდევ გადმოხედა ცოლს გაკვირვებით და გავიდა სახლიდან.

დედას თვალები კარისაკენ ეჭირა, ეგონა ან ეხლა შემობრუნდებოო ტასიკო, ან ეხლა, მაგრამ ქალი არ შებრუნდა სახლში; ეზოშიაც კი არსადა სჩანდა. დედა ბალისაკენ გაემართა და იქ ნახა თავისი ქალი. ტასიკოს ცრემლები შეჰშრობოდა, თუმცა ნაცრემლი ისევ აჩნდა. ჩაფიქრებული შეხედულება მიეღო ქალს; ტანჯვა აღბეჭდოდა სახეზე.

– შვილო ტასიკო, რატომ წინათვე არ შემატყობინეთ, თუ გიყვარდათ ერთმანეთი, რატომ არ გამომიტყდით? ხომ იცი, მე შენთვის ბოროტს არ მოვინდომებდი.

– ფარნამ მხოლოდ წასვლის წინა დღეს გამოაცხადა, რომ ვუყვარვარ. მე ყოველთვის მიხაროდა, როცა ის ჩემ გვერდით იყო. პირობა მივეცი.

– პირობა?!

– დიალ! ნიშნად ჩემი კულული დავაკერე გულზე. მამამ იცის, ულვაშის ერთი ბეწვი ყველა წერილზე უმტკიცესიაო. უიმისოდ თავს არ ვიცოცხლებ!

– მამაშენს არ მოსწონს შენი ქცევა, სწყინს: თანახმა არ გახდება. ვაჟი კარგია, მაგრამ უგვარტომოაო; ვინ არსიანელი, ვინ კიანელიო!

– მამას არ ვუყვარვარ! ის მხოლოდ გვარზე ზრუნავს, ჩემზე კი არა ფიქრობს. ამიტომ უნდა მიმცეს ხოსრო-მირზას, რომ ის მეფეა და აამაღლებს მას, გაადიდვაცებს. ჩემი გაყიდვა განგიზრახიათ.

– ნუ ამბობ მაგას, შვილო! ცოდვაა მამაშენზე მაგისი თქმა. სიცოცხლედ უღირხარ. თვალის სინათლე ხარ ჩვენი. მეფის სურვილი სრულებითაც არ დაგვიჯდა ჭკუაში. იმისთვის გკითხეთ, რომ თითონ შენ გადაგეწყვიტა შენი ბედ-იღბალი. მაგრამ იმაზედაც ნუ გაამტყუნებ მამაშენს, რომ ზრუნავს შენ მომავალ გვარზედაც: მისი მოვალეობაა ეს. ფარნა შვილივით გაგვიზრდია და გვიყვარს. წუნს ვერ შევსდებთ იმ ახალგაზრდას, მაგრამ ის გვაფიქრებს...

– განა თითონ ფარნა კი არა წუხს! იმან იცის თქვენი აზრი, გულთმისანივით კითხულობს თქვენ გულში. მანამ არაფერს არ გავუბედამ შენს დედ-მამას, სინამ ჩემის ხმლით თავადობას თუ არა, პატივს მაინც არ დავიმსახურებო. რად უნდა თავადობა? სრულებითაც საჭირო არ არის! თავს მოვიკლამ, სხვას არ გავყვები!

დედა აკვირდებოდა ქალს და განცვიფრებაში მოდიოდა. სად იყო აქამდის, რომ ვერ შენიშნა თავის ქალს ზრდა-შეღერება? ბავშვი ეგონა თავისი შვილი, ეს კი მოწიფული ქალი გამხდარა, ხასიათმტკიცე; მისი გული ჯერ ისევ ბალღური გრძნობით სამსე ეგონა, ეს კი ქალი შექმნილა, პატრონი თავის თავისა, ბატონი თავის სურვილებისა. გაახსენდა სიყვარული სასწაულთ მოქმედიანო, უძლეველ გმირად აქცევს თვით სუსტ ქმნილებასაო, და პატივცემით შეხედა ქალს.

თითონ იმან ხომ ეს სიყვარულის ძალა მხოლოდ შორიდან იცოდა აქამდის, ზღაპრებში და წიგნებიდან თუ გაეგონა ეს თილისმა, თორემ თითონ არც გამოეცაძნა, არც თვალთ ენახნა. ის რომ გაათხოვეს, სიყვარული კი არა, უბრალო თანაგრძნობაც არა ჰქონდა გულში გაღვიძებული. ეხლა კი მის ტასიკოში განხორციელებულა ეს ძალთა ძალი. დედამ მოწიწებით და ცნობისმოყვარეობით დაუწყო მზერა თავის ქალს...

მარიამ დედოფალი ვერ იყო მხიარულ გუნებაზე: ფიქრი ეტყობოდა უსიამოვნო, უნდობლად იყურებოდა, ეჭვიანად. ის ეხლა უფრო ფაქიზად ეპყრობოდა ყველას. მოსიყვარულედ იღებდა მიმსვლელს; მაინც ყველა ატყობდა, რომ მხოლოდ გარეგნობა იყო ეს, ქერქი რამ მოსაჩვენებელი, შედეგი კარგი წვრთნისა, ზრდილობიანობა უბრალო, თორემ დედოფალს დარდი აწუხებდა, აბოროტებდა.

მუსაიფის დროს უნებლიეთ სხვა ფიქრს ეძლეოდა, საუბრის ძაფს სწყვეტამდა. ხან შიში მოიცვამდა, გამოურკვეველი ეჭვი აიტანდა და ყველაფერს ერიდებოდა, ყველას უფრთხოდა, ვერავის ენდობოდა, კარსა ჰკეტავდა. ხან სიმკაცრე მოუვლიდა და ფოცხვერივით დაუნდობელი შეიქმნებოდა, სისხლის მსმელი. თვალეში რომ ბოროტი ცეცხლი გაუთამაშებდა, მის საყვარელ მოახლესაც კი შიში იპყრობდა, მის კესოს, რომელიც მამის სახლიდანვე ჰყვანდა წამოყვანილი და ერთგული მონა-მორჩილი იყო ჯერ გურიაში, მერე აქ, როსტომის კარს.

იმ დროიდან დაიწყო ესეთი მდგომარეობა დედოფლისა, როცა როსტომმა დრტვინვას მოუხშირა, მემკვიდრე არა მყავსო.

გაჭირვებით და ღვაწლით ეღირსა ხოსრო-მირზა სამეფო ტახტს, ბევრჯერ განსაცდელში ჩავარდა იმის გულისთვის, სჯულიც კი უარჰყო ამისათვის; ხოლო როცა გაუმარჯვდა, როცა აისრულა სანატრელი ოცნება, როცა სავსებით შეიგნო დიდებული ჰაზრი სვიმონ მეფისა და მარჯვედ წაესწრაფა საქართველოს შეერთებისადმი, როცა დარწმუნებულია, რომ განახორციელებს იმ აზრს და აღადგენს ბაგრატიონთა სამფლობელოს – სწორედ ამ დროს არა ჰყავს მას მემკვიდრე სისხლ-ხორცი თვისი, თავისთან და თვისგან აღზრდილ-განსწავლული, მისი მისწრაფებით გამსჭვალული,

რომ სიბერის დროს შეიქმნას მისთვის კვერთხი საიმედო და სიკვდილის შემდეგ სავსებით დაენაცვლოს მას, შეასრულოს მისგან დაწყებული: ააგოს ის დიდებული ძეგლი საქართველოს შეერთებისა, რომლისთვისაც არა თუ მოუძნადა მან მასალა საიმედო, არამედ რომლის საძირკველიც მკვიდრად ჩაჰყარა; არა ჰყავს ამ საქართველოს დავითს მემკვიდრე სოლომონი, რომ ბრძნულად დაამთავროს მარჯვედ დაწყებული ტაძარი სამშობლოს კეთილდღეობისა.

ვის უნდა გადასცეს ამოდენა შრომით მოპოვებული და დამყარებული სამეფო ტახტი? ვინმე უცხოს, რომლისათვისაც უცხო იქნება და შეუწყნარებელი როსტომის მისწრაფება, რომელიც უარყოფს ერთადერთ ჭეშმარიტ აზრს საქართველოს კეთილდღეობისას, რომელიც სუსხიან ჩრდილოს მიაპყრობს თვალს და დაამხოვს სამშობლოს. უცხო ვინმე ვერ მიხვდება სავსებით როსტომის განზრახვას, ვერ შეისისხლხორცებს მის ამაგს, ვერ დააფასებს მას.

– დამსაჯა უფალმა ცოდვისათვის ჩემისა, არ აკურთხა გვირგვინი ჩვენი, არ მოგვცა მემკვიდრე, – ფიქრობდა მწარედ როსტომი.

და რისხდებოდა დედოფალზე, ბოროტდებოდა უნაყოფო მეუღლეზე, გრძნობით შორდებოდა მას, გულსა ჰყრიდა.

დრტვინავდა როსტომი და მხოლოდ დედოფალსა სახავდა მიზეზად უბედურებისა. იგი თანდათან ჩამოშორდა მეუღლეს. სიყვარული გახუნდა მათ შორის და მიჰკნა. დედოფალს გველმა უკბინა გულზე. ეჭვით და სევდით გესლით მოშხამულმა ბრძოლა განიზრახა მედგარი. განა ისეთი ჩამომავლობისა იყო დედოფალი, რომ ვისთვისმე უბრძოლველად დაეთმო ასპარეზი?! მაგრამ აჟ, მისთვის უცხო მხარეში, ვის უნდა დანდობოდა თავის ძნელ საქმეში, ვისთვის უნდა გაენდო თავისი ხვაშიადი, ვინ უნდა ეგულეებინა თავის ერთგულად, გულწრფელ მეგობრად, შეურყეველ თანამოაზრედ? არ იცოდა, არვინა ჰყავდა ესეთი!

– ვხედავ, ბევრს ნამდვილად გული შესტკივა ჩემთვის, ბევრნი მადლობელნი არიან ჩემი, კეთილნი, მაგრამ გასაჭირში, ამისთანა ძნელ გასაჭირში, ვერ გამოდგებიან. მოუხერხებელნი არიან აქაურები, მოუხეშავნი. მძიმეა აღმოსავლეთი საქართველო! მე ეხლა ცეცხლივით კაცი მინდა, მკვირცხლი, ყველგან და ყოველთვის მოხერხებული. ამისთანას ვერავის ვხედავ ჩემს კარს. არ ვიცი, ვის ვანდო ჩემი აზრი, ვის ვანდო ფიქრი ჩემი დაფარული. ამათ ხომ დაკრძალვის შნოც არა აქვთ, საიდუმლოს შენახვისა. ქვეყანას შემეყრის, განგაშს ასტეხენ და მთლად ძირს დამიცემენ ისეც შერყეულ ოჯახს.

– უსათუოდ კი საჭიროა ერთგული მომხრე! რაღაცას მიპირებენ, რაღაც უბედურებას მიმზადებენ, იორამ სააკაძე... იმთავითვე ცუდი თვალით შემომხედა იმან, თავისი თავი გიორგის სწორი ჰგონია, თავის მამისა. ჩემთანაც კი ამაყოფს, დიდ დადიანის ქალთან, საქართველოს დედოფალთან. ჯერ გასავალი აქვს მის სიტყვას, ჯერ დიდი გავლენა აქვს მეფეზე, მაგრამ...

ლონობდა დედოფალი და არ იცოდა, საიდან დაეწყო საქმე. თავისი თავი მთლად უბედური ეგონა, ბედს კი ჯერ არ დაჰვიწყებოდა ის, ბედი ჯერ ისევ ცალის თვალით მისკენ იყურებოდა: შემთხვევას მისკენ მიჰყვანდა მისი მოულოდნელი მოკავშირენი, რომელთაც განეზრახათ მეფის და მის სპასალარის იორამის დალუპვა და რომელნიც ემზადებოდნენ დედოფლის ხელით მოეწყვიტნათ ეს ნარი.

კარისკაცი გიორგი გოჩაშვილი, ერთი შეთქმულთაგანი, ამ ბოლოს ჟამს სრულიად აღარ შორდებოდა მეფე როსტომის ამაღლას და თვალს ადევნებდა მეფის ყოველსავე ნაბიჯს; ის მარჯვედ შეეტყუა მტერს და დაიმსახურა მისი ნდობა. შეეცადა, სააკაძესაც დამეგობრებოდა, ისიც დაებრმავებინა, მაგრამ ვერ მიაძინა მისი შვირი თვალი. იორამს გული უგრძობდა და თავის მხრივ თვალყურს ადევნებდა გოჩაშვილს, ზომავდა მის თვითეულ ნაბიჯს და მოძრაობას. მეტადრე არ მოსწონდა იორამს გოჩაშვილის მეგობრობა ევდემოზ ქათალიკოზთან, რომელიც დაუძინებელი მტერი იყო როსტომ მეფისა, თუმცა ეხლა რიდე აეფარებინა და ეალერსებოდა მას. ჯერჯერობით კი ჩუმად იყო სააკაძე, მეფეს არაფერს ატყობინებდა, დროს ელოდდა. ბოლოს სააკაძემ ვეღარ მოითმინა და აგრძნობინა გოჩაშვილს, რომ მეფის კარს ბრმა-ყრუდ არ არიან, აქაც ფხიზლობენ და ბევრი რამ იციან. ეს მოხდა სამების გზაზე, როცა იორამმა თითქოს შემთხვევით წასმახა გოჩაშვილს, არსიანელის მეფესთან შერიგებამ ეგრე ძლიერ რად ჩაგაფიქრა, გულის პასუხი არ გამოგიძღვენდესო.

შეკრთა გოჩაშვილი, როცა ეს სიტყვები გაიგონა სააკაძისაგან, შეიკუმშა, ავი თვალი გააყოლა მას და დაასკვნა, ჩამოეშორებინა ის როგორმე მეფისათვის და, თუ შეიძლებოდა, დაეღუპნა კიდეც.

– თუ ეს კაცი არ მოვსპუთ, არ ჩამოვიცილეთ გზიდან, მთლად დაირღვევა ჩვენი განზრახვა. მიხვედრილია საიდუმლოს! მაშ რას ნიშნავს ესე მარჯვედ ნასროლი სიტყვა ან ორაზროვანი ღიმილი? ჩვენ შეთქმულებას ვამზადებთ და იქნება ჩვენვე გვავლებენ გარს უფრო საშინელ წრეს შეთქმულებისას. მაგრამ კიდეც ვინ უნდა იცოდეს ეს ჩვენი განზრახვა, ვინ გაგვცა? აქ, ამ სასახლეში, ერთი მე ვიცი საიდუმლო, ერთი ევდემოზ ქათალიკოზმა. არა! ტყუილი ეჭვებია: ალბათ უცაბედად წამოისროლა იორამმა სიტყვა, – გაიფიქრა გიორგიმ.

მაგრამ ვერ დაწყნარდა, შიში ვერ მოიშორა თავიდან.

დედოფალი რომ სათვისო კაცს ეძებდა განზრახვის ასასრულებლად, ის რომ მომხრეებს ათვალერებდა, გოჩაშვილიც ეძებდა მეფის კარს თავის მომხრეებს, რომ საბოლოოდ შებრძოლებოდა სააკაძეს და გადაეგდო გზიდან. ამ ძებნაში დედოფალს მიაპყრო თვალი.

– იორამ სააკაძემ ძლიერი მახე დაუგო მეფეს და ყვავილებში დამალა იგი მახე. ვგონებ, კიდეც გააბა ხოსრო-მირზა. მაგრამ ამ ბადის ქსელმა ჯერ დედოფალი უნდა მოაშთოს და ისე გააბედნიეროს მეფე. თუ ეს მოახერხა იორამმა, მაშინ ის უფრო დიდ ძალას მოიპოვებს მეფის კარს, შეუზღუდავ გავლენას. ეს სრულებით სასურველი არ არის ჩვენთვის! მაშინ გამარჯვების იმედი აღარ უნდა ვიქონიოთ. ყველაზე პირველად განსაცდელში ჩავვარდები თითონ მე: ძალიან ვძულვარ და აღარცა მალავს თავის სიძულვილს, – ფიქრობდა გულჩახვეული გოჩაშვილი.

ღრმა ფიქრის შემდეგ რაღაცა აზრი გაირკვია. სახე აეტკრიცა, თვალეზი ბოროტად აენტო და მუშტმოღერებული დაემუქრა:

– ეჭვი, იორამ, გალაღებულო იორამ! ნუ გგონია, სხვებივით დამჯახბნო, ნუ გგონივარ სხვათა მებრძოლთა წესითა! მაშ გიორგი არა ვყოფილვარ გოჩაშვილი, თუ შენივე კბილით შენი ხორცი არ გაგლეჯინო!

მაგრამ გოჩაშვილი მაშინვე მიხვდა, რომ ამისი თქმა უფრო ადვილი იყო, ვიდრე აღსრულება და ისევ ჩაფიქრდა.

– კარგი, – განაგრძო ფიქრი გოჩაშვილმა, – დედოფალს რომ შევატყობინო და განვუმარტო, როგორ გაასინჯა და მოაწონა არსიანელის ქალი მეფეს და რა განსაცდელი წარმოსდგება აქედან დედოფლისათვის, მაშინ დავიხსნი მას დიდის უბედურებისაგან და დავიმეგობრებ, დედოფალი უპირველესად ეცდება ჩამოაშოროს იორამი სამეფო

ტახტს და დაღუპოს. ჩემთვის, ჩვენთვის ყველაზე საჭირო ეს არის, რადგან მანამ იორამი სასახლეშია, ჩვენ ვერ მოვახერხებთ ჩვენის განზრახვის აღსრულებას; თანაც დედოფალი უნებლიეთ ჩვენ დაგვიანლოვდება და ამით ძალიან ვისარგებლებთ... ეს ესე, მაგრამ დედოფალი რომ ძლიერ აღელდეს, თავი ვერ შეიმაგროს და უდროოდ გამცეს, ან რომ ვერ მოახერხოს იორამის დამხობა, ან გულგრილად მიიღოს ჩემი მოხსენება და არც კი შეუდგეს ცდას!.. მაშინ მთლად დავიღუპები, მაშინ დაიღუპება ჩვენი დიადი განზრახვაც. არა, ძნელი საქმეა ეს. არ შეიძლება არ შევეკითხო ქათალიკოზს. ევდემოზი სულის ჩამდგმელია ამ შეთქმულებისა და უფრო აზრიანი კაცი. ბატონმა თეიმურაზმაც ხომ ისე ბრძანა, ევდემოზის დაუკითხავად ნურას დაიწყებთო. უნდა ვამცნო ქათალიკოზს.

დაასკვნა ეს გიორგი გოჩაშვილმა და ეახლა ქათალიკოზს. ყველაფერი მოახსენა. ევდემოზი ძალიან ჩააფიქრა ამ მოხსენებამ.

– დიდმნიშვნელოვან საქმეს შესდგომოდა იორამ სააკაძე, მეფის განქორწინებას და არსიანელის ქალზე ჯვარის დაწერას არასასურველი შედეგები მოჰყვება ბატონ თეიმურაზისათვის. ჯერ ერთი, მთელი საბარათიანო მიემხრობა როსტომს და მისი ერთგული შეიქმნება, რადგან ხრამ-ალგეთის ხეობაში ერთი არსიანელია იყო როსტომის მოწინააღმდეგე, თუმცა თეიმურაზის ერთგულ მომხრედაც არ ითვლებოდა ის. გარდა ამისა, ამ ახალმა ქორწინებამ, შეიძლება, შესძლვას მეფეს მემკვიდრე და სამუდამოდ გამოსწიროს ტახტი თეიმურაზს და მის შთამომავლობას. თვით შეთქმულობის მსვლელობაც დიდ განსაცდელში ჩავარდნილა: რაკი სააკაძეს ალლო აუღია, მიმხვდარა ის შეთქმულობის არსებობას, უთუოდ დაგვლუპავს, ჩაშლის ჩვენ დაწყობილებას და გააქარწყლებს თეიმურაზის იმედებს, – სთქვა ქათალიკოზმა.

და დასთანხმდა გოჩაშვილს, რომ მას მოეხსენებინა დედოფლისათვის საქმის ვითარება, აეზავთებინა იგი იორამ სააკაძის წინააღმდეგ.

რაკი განიზრახეს დედოფლის ხელით მოეგლიჯათ ის შხამიანი ეკალი, რომელიც მათ გადალობებოდათ გზაზე, გოჩაშვილმა მაშინვე იწყო გადახრა დედოფლისაკენ. ყოველ მარჯვე შემთხვევით სარგებლობდა დიდის პატივით, გადაჭარბებული მორჩილებით და თაყვანით მოჰპყრობოდა დედოფალს, სცდილობდა დაემსახურებინა მისი ყურადღება. დედოფალმა მალე შენიშნა გიორგის ქცევა და დაიახლოვა. გოჩაშვილმა ჩაიგდო დრო, გაუმჟღავნა მას დაფარული.

– ძნელი ამბავი მსურს მოგახსენოთ, ბატონო, თქვენთვის სამძიმო და შესაზარი. ჩემთვის ოღონდაც რომ საშიშია და სახიფათო ამისი გამჟღავნება, მაგრამ თქვენი ერთგულება იძულებულ მყოფს მოგახსენოთ ყოველივე.

– ეგეთი რა გაქვს სათქმელი?

– მოგახსენებთ! მხოლოდ გვედრებით, არ გამირისხდეთ? და არ გამათახსიროთ, თუნდ საწყენი იყოს ჩემი მოხსენება; მფარველ მექმენით, არ მიმცეთ დასანთქმელად.

დიდმა ცნობისმოყვარეობამ მოიცვა დედოფალი. ყველაფერი აღუთქვა, ოღონდ კი მალე ეთქვა სათქმელი. გოჩაშვილმა მოახსენა მას ყველა ის, რაც იცოდა და ენახა მეფის ახალ სურვილების შესახებ. ამცნო, რომ იორამმა და მისმა მეგობრებმა შეთქმულება შეამზადეს დედოფლის წინააღმდეგ, მეფეს ჩააგონეს, რა შიში მოელის სახელმწიფოს მემკვიდრის უყოლობის გამო, გაასინჯეს ყაფლან არსიანელის ქალი, ჯადოქარობით შეაყვარეს იგი და დღე დღეზე განახორციელებენ თავიანთ უკეთურ განზრახვას.

განქორწინებული დედოფალი იძულებული შეიქმნება დაბრუნდეს თავის მამის სახლში, თუ ამის ნება მაინც მისცეს და არ გამოამწყვდიეს იგი რომელსამე მონასტერში.

ამ ამბის გაგონებაზე დედოფალი ჯერ გაფითრდა, გაშრა, ენა დაუდუნდა; ქანდაკებას დაემსგავსა. მერე აღელდა, თვალეები აეგზნო, სიწითლე კვერ-კვერად დაემჩნა სახეზე, წამოხტა, გააფთრებულ ვეფხვს დაემსგავსა.

შეკრთა გოჩაშვილი, შეშინდა, შეძრწუნდა. ეგონა, დედოფალი თავს ვედარ შეიმაგრებს და ეხლავე პასუხს მოსთხოვს მეუღლესაო. მაშინ ხომ დაიღუპება გოჩაშვილი გიორგი, დაინთქება უაზროდ, მოუფიქრებლად! დიდი თავხედობა იყო მისგან, რომ ესე ერთბაშად ანდო დედოფალს საიდუმლო, რომელიც, შეიძლება, სიცოცხლედ დაუჯდეს მას. განა საფიქრებელი იყო, მოეთმინა დედაკაცს ეს ამბავი, დაეფარნა დროებით და ნელ-ნელა შესდგომოდა იმის ჩაშლას, დამნაშავეების ხელში მოგდებას და დასჯას?! ეჰ, გოჩაშვილო, ვერა ყოფილხარ შორსგამჭვრეტელი! შურისძიებამ და შიშმა დაგაბრმავა, აგაჩქარა და, ლამის, კლდეზე გადაგჩეხოს. აბა, გოჩაშვილო, მოიკრიფე გონება და იმდენი მაინც მოახერხე, რომ დროზე თავს უშველო. ნუ ჰყოფნი, გოჩაშვილო! – ფიქრობდა გიორგი.

და თან თვალს არ აშორებდა დედოფალს.

მაგრამ დედოფალი არც ისე გულუბრყვილო იყო და გამოუცდელი, რომ მაშინვე მიჰხდომოდა მეუღლეს და ცეცხლი გადაეყარა თავზე; იმდენი გონება და ხასიათი კიდევ შერჩა, რომ დროებით თავი შეეკავებინა. გარდა ამისა, დედოფალმა შეატყო გოჩაშვილს შეძრწუნება და ამან მსწრაფლ შესცვალა მისი ფიქრები, სხვა მსვლელობა მისცა მის გრძნობებს. მწარე ღიმილმა გაუპო დედოფალს გაფითრებული ბაგე. დაცინვით დააკვირდა მთხრობელს.

– შენვე შეგაკრთო, გოჩაშვილო, შენმა ნათქვამმა. რისა გეშინიან? შემადრწუნებელია ეგ თხრობა, მაგრამ მხოლოდ ჩემთვის და არა შენთვის! – სთქვა დედოფალმა.

– ერთი მითხარ, გოჩაშვილო, – განაგრძო მან უფრო დამშვიდებით, – რა მზეთუნახავია ის ქალი, რა ეთერია ისეთი, რომ გრძნობის ცეცხლი ააგზნო როსტომის გაყინულ გულში და მოხიბლა იგი?

გიორგის უამა, როცა ნახა, დედოფალი მშვიდდებოდა და თითონაც მცირეოდნად დაწყნარდა.

– არც ეთერია, ჩემო ხელმწიფევ, არც მზეთუნახავი: სულ თექვსმეტოდე წლის ქალია, თითქმის გამხდარი, თუმცა მაღალ-მაღალი; თვალეები ბალღურად უცინის; სახეც ისევ ბავშვური აქვს, ჯერ რძე არ შემორობია პირზე; არც ქცევა აქვს დინჯი, ცელქად იქცეოდა, თავისსავე თავს ეთამაშებოდა! რა შესადარებელია დარბაისელ ადამიანთან! მაგრამ, აკი მოგახსენეთ, ჯადოს ბევრი რამ შეუძლიან.

– თეთრია თუ შავგვრემანი? თმა როგორი აქვს?

– ჭრელია, დედოფალო, ჭრელი! თითონ თეთრია, თვალწარბი კი შავი აქვს, თმაც შავი აყრია, ხუჭუჭი.

– ეს თვალდამდგარი ან ბრმა არის, ან მე მაბრმავებს! ლამაზი ქალი ჰყოლია არსიანელს, ახალგაზრდა. მე კი გადავიხარე შუა ხნისაკენ; შეცვდა ჩემი სილამაზე, შეჭვნა, – გაიფიქრა დედოფალმა და ისევ აღელდა.

– ეტყობა, გოჩაშვილო, რომ ევდემოზ ქათალიკოზიც ჩემი მტერი ყოფილა და ბოროტმოქმედი. მე კი მეგობარი მეგონა და პატივითა მყვანდა მიღებული.

– როგორ, ბატონო?

– ალბათ ევდემოზიც დაუყოლებიათ, რადგან განქორწინება ხომ მას ექვემდებარება. მხოლოდ სიძულვილს და ვერაგობას ვხედავ ჩემს გარემო, მხოლოდ მტრობას...

– ნუ ბრძანებთ, დედოფალო! ევდემოზი ჩვენი კაცია, ჩვენ მოთავედ ითვლება და არ წავა თქვენ წინააღმდეგ.

– მოთავე? როგორ თუ თქვენი მოთავე?! ვინ თქვენი? ვერ გამიგია, გოჩაშვილო, რას ამბობ? – თქვა დედოფალმა და ჩააკვირდა მთხრობელს.

გიორგი ეხლა კი მთლად დაიბნა: შენიშნა, რომ უფრო მეტი წამოსცდა ამ საშიშ დედაკაცთან, ვიდრე საჭირო იყო. სცადა გაესწორებინა სიტყვა.

– ის უნდა მომეხსენებინა, ქალბატონო, რომ ევდემოზმაც იცის ეს ამბავი და ორივენი მომხრენი ვართ თქვენი; ის არასოდეს არ ინებებს თქვენ წინააღმდეგ მოქმედებას.

– მხოლოდ ეს? შენ სიტყვებში კი სხვა ბნელი აზრი გამოკრთოდა...

– მხოლოდ ეს, ჩემო ხელმწიფევ!

– თუ ეგრეა, მაშ ისინი ვერ შეასრულებენ თავიანთ განზრახვას: ამისთანა შემთხვევაში ქათალიკოზის ნებართვაა საჭირო.

– მართალსა ბრძანებ, დედოფალო!

– მაგრამ, ვაი თუ მეფემ თვით ქათალიკოზსაც გვერდი აუქციოს ან გზიდან ჩამოიცილოს იგი.

– ღმერთმა ნუ ქნას!

24

ამის შემდეგ ქათალიკოზიც მალე დაუმეგობრდა დედოფალს. ამ სამთა კავშირის მიზანი ის იყო, რომ ჩაეშალათ მეფე როსტომის ახალი მისწრაფება და გაეცრუებინათ იორამ სააკაპის დაწყებულება; ხოლო იდუმალი აზრი დედოფლის მოკავშირეებისა ის იყო, რომ თუ ამას მოახერხებდნენ, მაშინ ადვილი შეიქმნებოდა იორამის გამეფება ან მისი დამხობა, რადგან მეფე უკმაყოფილო შეიქნებოდა მისი. ამ კაცის მოშორებით გზა ეხსნებოდა შეთქმულებას.

ქათალიკოზი იმ აზრს დაადგა, რომ იგი განქორწინების ნებას არ მისცემდა მეფეს, რადგან არავითარი კანონიერი საბუთი არ არსებობდა ამგვარი მოქმედებისათვის.

– დიაღ, ჩემო ხელმწიფევ, ეს მძიმე საქმე უჩემოდ ვერ შესრულდება. განქორწინებისა და ახლად კანონიერად შეუღლების უფლება ჩემგან უნდა მიიღოს მეფემ, ხოლო მე ვერ მივცემ ამის ნებას, – სთქვა ქათალიკოზმა.

– რახან ეგრეა, თქვენო უწმინდესობავ, მაშინ მაგათი ცდა ამაოა, ხოლო მაგათი დაწყებულება უსაძირკვლო. ყაფლან არსიანელი თავის ცოცხალი თავით ისე არავის გაატანს ქალს, თუ არ კანონიერ მეუღლედ, – დასძინა გოჩაშვილმა.

– თქვენ მართალნი იქნებოდით, თუ კანონიერ მოქმედების გარე არ არსებობდეს სხვა გზა, სხვა რამ ხერხი მოულოდნელი. ერთი მიბრძანეთ: რა დაუშლის მეფეს, ძალით წაართვას ქალი ყაფლანს, ან ხელს ვინ შეუშლის, მას და მის თანამშრომლებს ახალი ქათალიკოზი დასვან და სწორედ ისეთი, რომელიც აასრულებს მათ სურვილს?

– კანონი დაუშლის! იგი კანონი უფლებას არ აძლევს, ახალი ქათალიკოზი აირჩიონ, როდესაც ძველი ისევ განაგებს ეკლესიას, რა უფლების ძალით განრისხამენ პირველს? ესეც არ იყოს, ეკლესიის გამგებლის განდევნა თუ არჩევა ეკლესიისავე უფლებათა, მთელი ხალხისა საქართველოში და არა მხოლოდ მეფისა, – მიუგო ევდემოზმა.

– მაშინაც, თქვენო უწმინდესობავ, როდესაც აღარ არის ქათალიკოზი, როდესაც მას უკვე მიუწოდა უფალმა წიაღთა შინა აბრამისათა? – სთქვა დედოფალმა.

და დამცინავის კილოთი შეხედა ევდემოზს.

ქათალიკოზს ფერი ეცვალა, პირჯვარი გადაისახა.

– ღმერთმა ნუ ქნას! – წამოიძახა გოჩაშვილმა.

– გისმინოს უფალმა! მაგრამ შესაძლებელია ესე მოხდეს, როცა წინააღმდეგობას გაუწევთ მეფეს. ისე რომ, თქვენ მიერ ამორჩეული საშუალება მეფის სურვილის ჩასაშლელად არ არის მტკიცე და შეურყეველი. სხვა რამ გზა უნდა მოვნახოთ ხსნისა.

დედოფლის აზრთა მიმდინარეობამ ძალიან დააფიქრა ევდემოზი და გოჩაშვილი, მათ ვეღარ მოეფიქრებინათ, რა გზას დასდგომოდნენ ან როგორ მოემსგავსებინათ საქმე. მათ განიზრახეს სააკაძის დალუპვა და ამ აზრით დაუახლოვდნენ დედოფალს, ეხლა კი ლამის თითონვე ჩაცვივდნენ განსაცდელში, ლამის, მათგანვე გათხრილი ხარო მათ ფეხქვეშე მოიმზღვრეს, თითონვე გაეზნენ თავიანთ ნასროლ ბადეში. ვეღარ გაეგნოთ გზა ხსნისა. ეხლა ორივე ნანობდა, რომ შეუდგნენ ამისთანა მძიმე საქმეს, მათთვის შეუძლებელს. გულში ევდემოზი გოჩაშვილს ემდურებოდა, რომ მოუფიქრებლად შეაცურა იგი მორევში, გოჩაშვილი კი თვით ევდემოზზე იყო უკმაყოფილო, რომ ამ გაჭირვებულ მდგომარეობაში უძლურად ჩამოეყარნა ხელები და აზრთა სალარო აოხრებოდა.

– ესეც შენი ფიქრიანი კაცი და შეთქმულების მოთავე! ამისთანა უბრალო შემთხვევაში დაიბნა და დიდ დაწყებულებას როგორღა გაუძღვება? არა, მიზანს რომ ვერ მისწვდება და ყველას განსაცდელში ჩაგვყრის, ეს ცხადია, – ფიქრობდა უკმაყოფილო გოჩაშვილი.

დედოფალი კი უყურებდა მათ დამცინავის ღიმილით და თითქოს სტკბებოდა მათის ტანჯვით.

– შეუძლებელია ამათთანა მოუხეშავ-მოუქნელ ხალხთან კავშირის დაჭერა! აბა თუ მიაგნონ რამე ბილიკს საცალფეხოს და პირდაპირს, ხიდს გადამეყვანელს, ხვრელს გასადრომს, – ფიქრობდა დედოფალი.

და ჯავრი მოსდიოდა თავის შემთხვევითს მოკავშირეებზე. თითონ კი ფიქრს ფიქრზე აბამდა, აზრთა ბადესა ჰქსოვდა, მოქმედების გეგმას აწყობდა. ბოლოს წარმოსთქვა ბრძანებითი კილოთი:

– მოველინა განსაცდელი ჩემს სამეფო ოჯახს და ეს მხოლოდ იმისთვის, რომ იმ ეშმაკეულთ მოხიბლეს მეუღლე ჩემი, თილისმა რამ გაუკეთეს, შეჯაჭვეს იგი, შეადუღეს მისი გული არსიანელის ქალის გულთან. ძნელია, შეუძლებელია გახსნა, ჩახლართულის ჯადოსი. უნდა გაიკვეთოს იგი ჯადო. უნდა მოისპოს ყაფლან არსიანელის ქალი ტასო! მხოლოდ მაშინ გაქრება განსაცდელი, რომელიც მოელის ჩემს ოჯახს და აგრეთვე პირად თქვენ!

– მოისპოს ყაფლან არსიანელის ერთადერთი მემკვიდრე, უმანკო, უცოდველი ახალგაზრდა ქმნილება? – უნებლიეთ წამოიძახა ევდემოზმა.

– განქრეს ჩემის გზიდან! არ ვინატრი მის სიკვდილს, მაგრამ ვინც მაფასებს, ვისაც კეთილი უნდა ჩემთვის, ის გზიდან ჩამომაცლის მე იმ ქალს, მთლად გამანთავისუფლებს მისგან. მაშინ დაინახავს ამისთანა კაცი, რომ საქართველოს დედოფალმა მარიამმა იცის სიკეთის გადახდა; ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში... – აღარ დაათავა დედოფალმა სიტყვა და ამაყად გავიდა დარბაზიდან.

ევდემოზმა და გოჩაშვილმა გადახედეს ერთმანეთს, როგორც ხაფანგში მომწყვდეულებმა: მიხვდნენ, რა სახიფათო მდგომარეობაში ჩაცვივდნენ, რა განსაცდელი მოელოდათ მათ.

– შვილო გიორგი! – ეუბნებოდა იმავე ღამეს ევდემოზი გოჩაშვილს, – დედოფალმა ადვილად გადასწყვიტა ეს სამწიფო საკითხი, მკაფიოდ გამოსთქვა თავისი სურვილი, ასრულება კი ჩვენ მოგვანდო. ხოლო ძნელია თავსდება ამისთანა ცოდვისა: იგი წამაწყმედელია სულისა და მავნებელი ხორცისა.

– მაინც უნდა ავასრულოთ ეს ბრძანება! თუ არა, გამომჟღავნდება ყოველივე, იქნება, განზრახული ჩვენგან შეთქმულებაც და დავიღუპებით სულით ხორცამდის. ხომ ნახე, ეჭვით შემოგვხედა დედოფალმა, თითქმის მიგვიხვდა. უნდა ასრულდეს ბრძანება, უნდა მოისპოს არსიანელის ქალი, თუ არა და, აღარ გვედგომილება აქ, მე მაინც აღარ მედგომილება, – სთქვა შეძრწუნებულმა გიორგიმ.

– დაწყებულია საქმე სამძიმო და უნდა მივყვეთ მას, უნდა დავამთავროთ იგი სადიდებლად სჯულისა და მამულისა. უნდა მოისპოს საქართველოს სამეფო ტახტზე უსჯულოება, უსჯულომ არ უნდა შეაგინოს ადგილი წმიდა; მაგრამ ღმერთმა გვიხსნას უმანკო სისხლის დანთხევისაგან.

– რომ აუცილებელი შეიქმნა ესეთი მსხვერპლი!

– მე ვიტვირთებ, შვილო, ბრძანების აღსრულებას. შენგან, იქნება, მხოლოდ დახმარება დამჭირდეს.

– მონა ვარ მორჩილი, მარად მზა ავასრულო ბრძანება თქვენი! – მიუგო გოჩაშვილმა.

და თვალეში ჩააკვირდა ევდემოზს, რომ ამოეკითხნა, რა აზრმა გაურბინა მას, მაგრამ ქათალიკოზი სდუმდა დაფიქრებული.

25

ფარნაოზმა არ იცოდა ეს შინაური ამბები. არც შეძლება ჰქონდა გაეგო: ის ახალგაზრდული ხალისით და თავგამოდებით შეუდგა მინდობილობის ასრულებას და ისე გაიტაცა ამ საქმემ, რომ მისი გულისთქმაც კი ჩაჩრდილა. დადიოდა ოსმალოსაგან დაპყრობილ ადგილებში ხან როგორც მგზავრი უბრალო, ხან როგორც მეცხვარე ან ვაჭარი, ხან გლეხურად ჩაცმული: ზოგან მკიდა, ზოგან კალოზე შველოდა. ყველაფერს თავის თვალით ათვალიერებდა, თავის ხელით სწონავდა, თავის ფეხით ზომავდა.

მიიწურა ზაფხული და ფარნაოზმაც შეასრულა დავალება. უხაროდა ყმაწვილკაცს, რომ პირნათლად ასრულებდა მოვალეობას. კარგად იცოდა, ემსახურებოდა მამულს, თავის დანაწილებულ სამშობლოს. პირად მისთვისაც სასარგებლო იყო ის ღვაწლი, რადგან ყველას დაანახვებდა თავის უნარიანობას. ტასიკოსაც ხომ ძალიან ეამება მისი გამარჯვება, უფრო ღირსეულად ჩასთვლის და გააორკეცებს სიყვარულს. კმაყოფილი იყო ფარნაოზ. გული უმღეროდა.

– დროზედ მივუტანთ სასიამოვნო ამბავს, ჩემო თევდორე. ვერ გვეტყვიან, ბევრი ხანი შეალიეთ კვლევა-ძიებას და დაიგვიანეთო, – ეუბნებოდა ფარნაოზი მოურავს.

– ვერც იმას გვეტყვიან, ცუდად დამაშვრალხართ, ვერაფერი გაგირიგებიათო, – მიუგო თევდორემ.

– ეხლა კი დროა შინისკენ ვიბრუნოთ პირი და ამბავი მივუტანოთ. ჩემის აზრით, ის ემჯობინება, ეხლავე შეემზადნენ სალაშქროდ და ზამთრის პირში დაეცნენ ოსმალებს: ისინი არ მოელოდებიან ლაშქრობას, დაწყნარებულნი არიან.

– კარგი მოსაზრებაა, ოღონდ კი მშვიდობით გავახწიოთ აქედან და ვაცნობოთ ყოველივე. არ არის ძნელი მათის აზრის ასრულება. მხოლოდ ის მაფიქრებს, არ გვიგრძნონ, არ დაგვბოცონ.

– ტყუილად შიშობ! ეჭვი არავის დაუკრამს, აზრადაც არვის მოსვლია მაგისტანა რამ.

– ვინ იცის! ნახე, იმ დღეს კარწახის ტბაზე რა კილოთი დაგიწყეს მეთევზეებმა ლაპარაკი.

– მაშინ ჩვენ თითონ გადავაჭარბეთ: ძალიან გულახდით ვლაპარაკობდით საქართველოს ბედ- იღბალზე.

– თქვენ გადააჭარბეთ, ყმაწვილო! ალბათ ისე გგონიათ, ყველა ქართველი ოსმალოს მტრად სახავს თავს და სიხარულით მიიღებს თავისუფლების ამბავს. ის დაგვიწყებია, რომ ბევრი ქართველი მიითვისა ოსმალომ. ხომ გახსოვს, რა გვითხრეს: თქვენი მეფეც თათარია და მაშ რა ბედენაა, შემოვუერთდებით საქართველოს, თუ ისევ ოსმალების ხელში დავრჩებითო. კმარა, ბატონო, დროა, გზას დავადგეთ.

– მეც მომწყურდა შინ დაბრუნება, შინაურ ამბების გაგება: რაც წამოვსულვართ, არაფერი ამბავი არ მოგვსვლია.

– საიდან მოგვივიდოდა?! მთელ ამ ხნის განმავლობაში ბინა არსად დაგვიდვია და სადგური. იმედი კი მაქვს, ცხვარში ამბავი დაგვხვდება ბატონებისა; უთუოდ წიგნი იქნება თქვენთან.

ბინაზე ძალიან საყურადღებო ამბავი დახვდათ. ამ ამბავმა ფარნაოზს მთლად დაავიწყა თავისი მინდობილებაც, თავისი თავიც და მთლად ქვეყნიერებაც. სამყარო გახუნდა ფარნაოზისათვის, დაჰკარგა ყოველივე მიმზიდველობა.

ქალბატონი დაწვრილებით სწერდა ფარნაოზს იმ ამბავს, რომელიც წაეკიდა მათ. როსტომ მეფე ტასიკოსა მთხოვს, დედოფალს უნდა განქორწინდეს და ჩემი ქალი შეირთოსო. ქალი დიდ უარზე სდგას. არც ჩვენ გვიხარიათ მეფის სურვილი, მაგრამ ვერაფერი გავგიბედნია; ვაითუ შეგვამთხოვოს რამე ავი და ეს მით უფრო, რომ ისეთი კაცია შუაში, როგორც იორამ სააკაძეო. უარი რომ ვერ ვკადრეთ, ვთხოვეთ ცოტა მოეთმინა. სააკაძე მიმხვდარიყო და დიდი მუქარა შემოეთვალა ჩვენთვის.

– ესე, შვილო, – ათავებდა ქალბატონი წერილს, – დარდი შემოგვაწვა შენის წასვლის შემდეგ და გაჭირვებაში ჩავცვივდით. ბატონი ყაფლანი დიდად დაღონებულია და დაფიქრებული.

ამ წერილმა გულზე უკბინა ფარნაოზს. სხვებიც ყველანი დააღონა: მიხვდნენ, რომ არაფერ კეთილს არ უქადდა ეს ამბავი ბატონის ოჯახს, შეარყევდა ეს ამბავი არსიანელთა მყუდროებას.

– უნდა გავეშუროთ, ვარგოთ რამ ჩვენებს: მე რომ ვხედავ, ხიფათი შემთხვევით მათ, – სთქვა ფარნაოზმა.

შეეშხადნენ დასაბრუნებლად, მაგრამ ჯერ არ დამრულიყვნენ ბინიდან, რომ შინიდან მოვიდა კაცი და ფარნაოზს ფარჩაში გახვეული წიგნი მოართო. გახსნა ახალგაზრდამ წერილი და გული გადუქანდა: წერილი ტასიკოსაგან იყო. სიყვარულის ლახვრით განგმირულის გულის ტანჯვა პირველად იყო მასში გადაშლილი და მათრობელ სუნელებას აფრქვევდა. მთელი წიგნი, ყველა სტრიქონი, ყველა სიტყვა, ყველა ასო ნორჩის სურვილით იყო გაჟღენთილი, ძირში ჭიაგავლილი და უიმედო სურვილით, მიუწვდომელ სიყვარულით, ხოლო მით უფრო ტკბილით და სანატრელით. ქალი დარწმუნებული იყო, ძალით აჰგლეჯდნენ მას გულიდან ფარნაოზს და უნებლიეთ წაიყვანდნენ სასახლეში.

– მაგრამ, ჩემო, ვერ ვუღალატებ შენდამი ტრფობას, ვერ დავთრგუნავ ჩემს გულს; შევიძლებ უარვეყო ის, რაც ეზიზღება ჩემს არსებას, რაც შემწიკლავს ჩემს გრძნობას წმიდას. ვერ გავხდები როსტომისა! შენთვის მომიცია გული. თავს მოვიკლავ სასახლეში და შენს სურვილს ჩავიტან სამარეში!

გულს ისარი დაესვა ფარნაოზს მოშხამული. რამდენჯერმე გადიკითხა წერილი და ყოველ წაკითხვაზე უფრო ღრმად ესობოდა იმის გულს ისრის პირი. შესწუხდა ვაჟკაცი, ჯავრმა დაიმორჩილა, დაჯაბნა, დააძაბუნა. ვეღარ შეიმაგრა თავი: ჩამოჯდა ქვაზე და ცრემლად დაიღვარა.

უყურებდა თევდორე. გამოუთქმელი მწუხარება აღბეჭდოდა სახეზე. შეუფერებელია ვაჟკაცის ცრემლი, ძნელია მისი ყურება, ხოლო მდულარე ცრემლი ისეთის ახალგაზრდისა, როგორც იყო ფარნაოზი, აუტანელი შეიქმნა.

– დიდი რამ უბედურებაა ჩვენს თავს, ხელშეუბრუნებელი უბედობა, რომ ესე დასცა ფარნაოზი. ყმაწვილობისასაც არ მინახამს მის თვალზე ცრემლი! – უკვირდა თევდორეს.

და ცხადად წარმოუდგა ის ამბავი, როცა ფარნა ყმაწვილობისას ნამგალზე წაქცეულიყო, ბარძაყი მთლად გადასეროდა, იარა ღრმად იყო პირდაღებული, მაგრამ კერპი ბავშვი ხმას არ იღებდა, მხოლოდ კბილთ აღრქენდა სიმწარით.

როცა ცოტად დამშვიდდა ფარნაოზი, თევდორე მიუახლოვდა მას და სთხოვა ეცნობებინა მიზეზი მწუხარებისა. ფარნაოზმა უაზროდ შეხედა მოურავს, შეუგნებლად მიაწოდა წერილი. მოურავმა გულდასმით წაიკითხა წიგნი. ჯერ ძალიან გაუკვირდა, რომ ქალ-ყრმის გრძნობა, რომელიც ესე გაზრდილა და შეუჯაჭვავს ორივე, არ შეუნიშნავს მას; ეგონა კი, რომ ყაფლანის სახლში ჩრდილი რამეც არ გამოეპარებოდა. მერე იამა ამბავი, რადგან კავშირი ქალ-ყრმისა ისე ბუნებრივი იყო, შესაფერი და სამართლიანი, ფარნაოზი სწორედ შვილი იყო ყაფლანის ოჯახისა და ცოდვა იქნებოდა იგი სახლი სხვას დარჩომოდა. შემდეგ შეჰსატრა ნორჩ ქმნილებათა ნეტარებას. ბოლოს გულისტკივილით იგრძნო, როცა გაითვალისწინა, რა ძლიერი საფრთხე გადაჰლოვებოდა მათს ბედნიერებას. ეხლა ბეწვზე ეკიდა მათი მომავალი და თევდორემ გადასწყვიტა მთელი თავისი გამოცდილება შეელივნა ზედ ამ შემთხვევისთვის, სასურველად დაებოლოვებინა იგი.

– ბატონო ფარნაოზ! – უთხრა მოწიწებით თევდორემ, – მომილოცნია ბედნიერება! მეც და სხვებიც ბედნიერნი ვიქნებით, როცა ეგეთი კეთილი და ახოვანი ბატონი გვეყოლებით, როგორც ბრძანდებით თქვენ. იმ დაბრკოლებას კი, რომელიც გადაგლობებიათ გზაზე, შებრძოლება უნდა და თავიდან აცილება: ვის მოუკრეფია ვარდი უეკლოდ?!

– რას ვუშველით, რითი გამოვაბრუნებთ წასულ საქმეს, რა შეგვიძლიან?

– ბრძოლა მოხერხებული! გამოვტაცოთ ბატკანი ლომს: სახლიდან იდუმალ გამოვიტაცოთ ქალი.

ამ მოსწრებულმა და მათთვის ადვილად შესასრულებელმა აზრმა სხივივით ჩააშუქა ფარნაოზის ჩაბნელებულ გულში, გამოაცოცხლა ის. მადლობით შეხედა მოურავს, გაუღიმა.

– მომწონს! აზრს ვერ მოვლენ, ვერ მოიფიქრებენ, რომ ჩვენ გამოვიტაცეთ ქალი, რადგან იციან, რა შორსა ვართ და ალბათ ჰგონიან, შინაური ამბებისა არა ვიცით რა.

– მეც სწორედ ეგრე ვფიქრობ, ბატონო ფარნაოზ!

ფარნაოზის წასვლის შემდეგ გულჩათხრობილი დარჩა ყაფლან არსიანელის სახლი, ხოლო როსტომ მეფის შუამავალმა და მის მიერ მოტანილმა ამბავმა მთლად შეაწუხა იგი, დაადარდიანა. შავმა ფიქრებმა გული ჩაუჩრდილეს ოჯახის წევრებს და დააშორეს ერთმანეთს. ეხლა ისე ერიდებოდნენ ისინი ერთმანეთს თითქო საერთო არა აქვთ რაო, თვალს არიდებდნენ ერთუროს, გაუჭირებლად ხმას აღარა სცემდნენ. სადილ-ვახშამზედაც აღარ მასლაათობდნენ. უწინ რომ სუფრაზე ათს ამბავს ამბობდნენ, ისტორიებს მოუთხრობდნენ, ან ორაზროვანის სიტყვებითა და ხმებით ახმაურებდნენ იქაურობას, ეხლა მასპინძლებიც და მათი სტუმრებიც სდუმდნენ, მგლოვიარებს

დაჰმგზავსებოდნენ მოწყენილნი. სადღა იყო ჩვეულებრივი სიცილ-თქართქარი და ოხუნჯობა?!

ბოლოს სტუმრებმაც უკლეს დენა. წინად რო თითო ქორწილის ხალხი სადილ-ვახშმობდა არსიანელისას, ეხლა ხშირად მარტონი რჩებოდნენ სუფრაზე. ყველა ჰგრძნობდა, რომ მძიმე ჰაერი შეგუბებულიყო ამ სახლში და სულსა ჰხუთავდა. გამორკვევით არავინ იცოდა, რის მომასწავებელი იყო ყოველივე ეს, ის კი ცხადი იყო, არაფერს კეთილს არ მოასწავებდა.

ყველაზე კი საბრალო ყაფლანის ოჯახობაში იყო მისი ქალი ტასიკო. შემრა ახალგაზრდა, თვალები ჩაუცვივდა, დაუღრმავდა, დაუდიდრონდა, უცნაურმა ციაგმა დაიწყო მათში ელვა. აქამდის რომ სიცილი უთამაშებდა თვალის კილოში, ეხლა ცრემლის საგუბარი გამხდარიყო იგი თვალის კილო. მთლად განმარტოვდა ქალი, თავი გაითავისწინა, გული აღარავის გაუღო, არ გაუერთა, არავის გაენდო, აღარავის დაუახლოვდა. ბევრი ეცადა დედა, მიაღერებოდა ქალს და ნუგეში რამ ეცა, მაგრამ ამოდ, ახლო არავის იკარებდა ტასიკო, მაგრა შებეჭდილიყო სადაფში ეს მარგალიტი, კარი დაეხშა, შეეკეტა, ეკალთა რამ ჯარი აეშვა გარს.

ტასიკომ ეხლა ერთი-ორად შეიყვარა დიდი კაკლის ხე: აქ განმარტოებით იყო, აქ არვინ უშლიდა, თავისუფლად მისცემოდა ფიქრს თუ ოცნებას, ცხადად წარმოედგინა თავისი გზად წასული მიჯნური და ტკბილად ესაუბრნა მასთან, ნაზად ეაღერსნა მისთვის ფიქრთა სამფლობელოში. ქალი ისე შეეთვისა, ისე შეეჩვია ფარნაოზზე ოცნებას, რომ ვაჟი ხშირად ხორცშესხმული ევლინებოდა და ტასიკო მოჯადოებული შეჰფრფინვიდა მის სანატრელ სურათს. აქვე თავისუფლად აფრქვევდა ქალი ცრემლს, როდესაც წარმოიდგენდა შავ ბედს, რომელიც ემუქრებოდა დაემორებინა იგი საყვარლისათვის, მიეცა მისი უებრო ქალწულება პორფირში გახვეულ საზიზღარ მამაკაცისათვის. ისე შეაჟრჟოლებდა ქალს ამის წარმოდგენაზე, თითქო მყვარს რასმე შეეხო ლორწოიანსა.

აქვე, ამ კაკლის ქვეშ, საათობით იჯდა ქალი გარინდული, უგრძნობელი, ქანდაკებად გარდაქმნილი, გაქვავებული, მძლავრის ხელით ქვეყნით გაღმა გასრეული.

აქვე, ამ კაკლის ქვეშ, იყო გატანჯული ქალი, როდესაც დაიკარგა უეცრად, განქრა კვამლივით, მიეფარა მოჩვენებასავით.

ეს ამბავი მოხდა მარიამობისთვის სამს, ხუთშაბათს. ცხელი დღე იდგა. მზის ლაპლაპი დილიდანვე ჩრდილოს აძებნიებდა ადამიანს: გვალვა იდგა და მნათობს გაეორკეცებინა თავისი ძალა. სოფელში კალოობა იყო გახურებული. ყაფლანის ბიჭები თუ გოგოები კალოზე იყვნენ. სადილი მიირთვეს ბატონებმა და მოისვენეს. ტასიკო ჩვეულებისამებრ ბაღში შევიდა. კაკლის ხეს შეეფარა, განმარტოვდა. გოგო-ბიჭები განცხრომას მიეცნენ ჩეროებში და ლაზღანდარობდნენ. მთელი კარ-მიდამო მიწყნარებული იყო. ქათმები და ძაღლებიც კი შეჰფარებოდნენ შამბს თუ სხვა საჩრდილობელს.

ტასიკოს კაკლის ძირზე მიედო მუთაქა და ზედ მიჰყრდნობოდა ბეჭებით. ცალი ფეხი შეკეცილი ჰქონდა, მოქარგულ წულაში გამოწყობილი, მეორე წინ გამოეშალნა. ყვავილს რასმე ფურჩქნიდა, ფურცელს ითვლიდა ჩაფიქრებულის ამოსაცნობად. უეცრად ხევის პირიდან ძახილი მოესმა:

– ქალო, მშვენიერო ქალბატონო, ვაშლი გადმოგვიგდე!

ტასიკო შეკრთა და გაიხედა. ღობეს მოსდგომოდნენ ბოშები და ელრიჯებ-
ეხვეწებოდნენ.

– თვალთმაქცები ჩამომხდარან, – გაიფიქრა ქალმა.

წამოდგა, მოუკრიფა ხილი და მიუბრუნებინა. საღმოსტელებმა ჩამოართვეს ხილი და
შეაყენეს ქალი. დედაკაცი ახალგაზრდა სჩანდა. თავი დაბლა ჩამოემვა, პირი აეხვივნა.

– ქალო, ტურფა ბატონიშვილო, არ გინდა, გიკითხო? ყველაფერს გაგიგებ, შენს
ბედს გაგიგებ, – ეუბნებოდა თვალთმაქცი ალერსით.

ტასიკოს ჯერ უარი უნდა ეთქვა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ დასძლია და
დასთანხმდა.

– ღობეს მოუარეთ, ბიჭები კარებს გაგიღებენ და შემოგიშვებენ, – ასწავლა ქალმა.

მაგრამ ბოშებმა მოვლა არ მოისურვეს და ელვასავით გადაეკლნენ ტყრუშულს.
მივიდნენ კაკლის ძირს. ჩამოსხდნენ.

– ქალო, მშვენიერო, აბა მარჯვენა ხელი მომეცი, ხელის გულზე უნდა გიკითხო.

ქალმა გაუწოდა ხელი. ბოშა გულდასმით დააკვირდა პაწია ხელის გულს, ხაზებს
გააყოლ-გამოაყოლა თითი და დაიწყო:

– დარდი გაქვს, დიდი დარდი! წინათ მხიარული ყოფილხარ, ეხლა სევდა
შემოგწოლია. აი შენი იღბალი! შორს არის, სხვა ქვეყანაში მოსჩანს. ეხლა პირი შენკენა
აქვს. ვერ მოუღწევია: ვიღაც ჩაგდგომიათ შუაში. წყენა რამ მოგელის დიდი.

მკითხავი რომ ლაპარაკობდა, ქალს ენიშნა და თანდათან უფრო ყურადღება
მიაქცია იმის სიტყვებს. ეხლა ცალმუხლზე წამომდგარი გულმოდგინედ უსმენდა.
მეორემ იდროვა, მსწრაფლ სწვდა ქალს ყელში და უხმოდ გაგუდა. დაღებულ პირში
ბაღდადი ჩასჭედეს, პირი აუკრეს, გრძელი რამ ჩამოაცვეს თავზე, შეხვიეს და
გადიტანეს ხევში. ისე მოიპარეს ქალი, მე-ქრისტიანმა ვერ გაიგო.

ამის შემდეგ თუნდა სამი საათი გავიდა, სანამ ტასიკოს მოიკითხავდნენ. ჩოჩქოლი
ჩავარდა, განგაში ასტყდა, მთელი ოჯახი ყაფლანისა, მთელი სოფელი, საყმო
არსიანელისა ფეხზე დადგა. ყოველი კუთხე მოჩხრიკეს, ყველა მადაროსა და ხვრელში
ჩაანათეს, გასინჯეს და ყველა გზა-ბილიკი შეჰკრეს, ხეები და მაცვლოვანი გასინჯეს,
მაგრამ ვერაფერ კვალს ვერ მიაგნეს. თითქო დედამიწამ უყოვო პირი, ან მიწის მგელმა
ჩანთქა ქალიო. მხოლოდ საღამოზე მწყემსებმა მოიტანეს ამბავი: შორიდან შეენიშნათ
ორი ცხენოსანი, რომელნიც თურმე ხევ-ხევ მიეჩქარებოდნენ თავქვე.

უსაზღვრო მწუხარებას მიეცა ბატონი ყაფლანი და მისი სახლობა: მთელი მისი
საყმოც ჰგლოვობდა ზღაპრულად დაკარგულ ბატონიშვილს.

ყაფლანმა გამოაცხადა, ვინც დაკარგულ ქალის ამბავს მომიტანს, დიდად
დავასაჩუქრებო; თუ ყმა იქნები ჩემი, გავააზატებო. ამან ბევრს გამოადებინა თავი,
ბევრი შეუდგა ქალის ძებნას, მაგრამ ამაოდ: არავინ გამოჩნდა მისი ამბის მცოდნე.
აფრინეს კაცი ფარნაოზთან ამ უბედურების შესატყობინებლად.

ქალის დაკარგვის ხმამ მიაღწია სასახლემდის და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა
იქ. იქ დღე-დღეზე მოელოდნენ არსიანელთა მხრივ დასტურს და მხოლოდ იმის
ფიქრში იყვნენ, ისე მოეშორებინათ მარიამ დედოფალი, რომ დიდი განგაში და მითქმა-
მითქმა არ ატეხილიყო. ეხლა გამოჩნდა, რომ ამისთანებზე ფიქრი ამაო იყო და
უნიადაგო. გული ჩასწყდა როსტომ მეფეს. იორამ სააკაპემ ცეცხლი მოიღო,

ნაპერწკლებსა ჰყრიდა პირიდან. ყაფლანის ცოლის ძმა ზურაბი შეშინდა, ვაითუ იფიქრონ, ყველა ეს არსიანელთ მოახერხეს თვალების ასახვევადაო.

მაინც ასე მოხდა; სააკაძემ ის აზრი გამოიტანა, რომ არსიანელთ განზრახ მოუქმედებიათ ესაო. ესევე მოახსენა ბატონ როსტომს და სთხოვა სამაგალითოდ დაესაჯა არსიანელი მისის ვერაგობისა და წინააღმდეგობისათვის.

– დარწმუნებული ვარ, როცა გაუჭირდება ყაფლანს, იტყვის, სადა ჰყავს დამალული ქალი და შეგვედრებათ. მაგრამ ღირსი აღარ არის არსიანელი, რომ მისი ქალი გვირგვინოსანი მეუღლე შეიქნას თქვენი: უნდა დაჰმორჩილდეს თქვენს ბრძანებას და სურვილს! – ეუბნებოდა იორამი.

მეფე როსტომ სხვაგვარად უყურებდა ამ ამბავს, სხვანაირად სჯიდა.

– იორამ, – შეეკითხა მეფე, – შენ, ვგონებ, მითხარი, რომ ქალი იმ ყმაწვილ კაცს ჰყვარებია, საათაბაგოში რომ გყავს გაგზავნილი. იქნება, იმ ჭაბუკმა მოიტაცა ქალი. გაიგებდა ჩვენ სურვილს და გაგვაცლიდა. ქალის ნებაც ხომ იქნებოდა და მაშინ ადვილი გასაგებია, როგორ უნდა მომხდარიყო ისეთი მარჯვე გატაცება ზედ შუადღის გულზე.

იორამი დააფიქრა მეფის სიტყვებმა. ყაფლანს ხომ არა ჰსურდა ფარნაოზისთვის მიეცა თავისი ქალი, ქალს კი უყვარდა ვაჟი. შესაძლოა ქალ-ყრმა შეითქვენენ, ყაფლანმა არა იცოდა რა.

– თუ ეგრეა, ბატონო მეფე, ადვილი გამოსარკვევი იქნება ეს შემთხვევა; ფარნაოზს დახმარებას აღმოუჩენდნენ ის ბიჭები, რომელნიც თან ახლავან მას და, მოგეხსენებათ, თუ საიდუმლო რამდენიმე კაცმა იცის, გამომჟღავნდება, – მიუგო იორამმა.

– ყოველ შემთხვევაში, დაკარგულია ის ქალი ჩემთვის. ძალიან კი მომწონდა! ეჰ, ბედი არა მქონია: ვერ ამისრულდა გულის წადილი, მეფე კი მქვიან! – ამოიოხრა როსტომმა.

იორამს გულზე უკბინა მეფის საყვედურმა, რომელიც უფრო მისკენ იყო მიმართული, სანამ ბედისკენ. ძალიან ეწყინა, რომ მისი მოსაზრებები ჩაიშალა. დაიფიცა კვალდაკვალ მიჰყოლოდა ამ საქმეს, თავი გამოება მისთვის და უთუოდ დაესაჯა ისინი, ვინც პირიდან გამოჰგლიჯა მეფეს მისთვის გამზადებული მსხვერპლი და დააღონა ის.

– მაიცათ, მე სააკაძე არა ვყოფილვარ, თუ გაჩენის დღე არ გაწყევლინოთ მაგ ვერაგობისთვის! – იმუქრებოდა იორამი.

დედოფალმა რომ გაიგო ტასიკოს დაკარგვის ამბავი, ჯერ ძლიერ იამა, გაუხარდა. სწორედ გოჩაშვილმა და ევდემოზმა მოაწყეს ეს საქმეო, იფიქრა. მხოლოდ არ იცოდა, მთლად მოსპეს იგი მეტოქე მისი, თუ კიდევ არსებობს სადმე და შეიძლება ოდესმე გამოჩნდეს, შეარყიოს მისი მყუდროება.

– როსტომის უკანასკნელი სიყვარულია ის ქალი, სიყვარული ძლიერი და ხელშეუბრუნებელი. მის გრძნობას გაათვევებს ქალის დაკარგვა და თუ კვლავ გამოჩნდა სადმე, როსტომი ვეღარ დასთმობს მას, თავის პორფირს დაუფენს ფიანდაზად, – ფიქრობდა დედოფალი.

მხოლოდ ერთი ვერ გაეგო, საიდან გაჩნდნენ ქალის მოსატაცებლად, ან რა უყვეს მას.

– იქნება გაჰყიდეს ქალი, რომელსამე თათრის აღალარს მიჰყიდეს. გოჩაშვილი ხომ ყველაფერში თავის სარფას ეძებს. იქნება, მოსყიდული მკვლელები იყვნენ. ვაითუ მოსაჩვენებლად მოიტაცეს, ჩემ მოსატყუებლად და დასაწყნარებლად. ევდემოზმა და გოჩაშვილმა სწორედ დროებით გადაძალეს ქალი, ვითომ აასრულეს ჩემი ბრძანება, თორემ რატომ იქვე არ მოკლეს, მოტაცება რაღად უნდოდათ, მემრე ისეთი სახიფათო?! – ეჭვობდა დედოფალი და ერთ წამს დამშვიდებული გული ისევ უშფოთდებოდა.

მას შეეძლო გამოეკითხა ყველაფერი გოჩაშვილისათვის ან ევდემოზისათვის, მაგრამ ეხლა მათთან კავშირი ძლიერ საშიში იყო, ყოვლად შეუძლებელი. თვით დედოფლისთვისაც: სამძიმო ამბავმა იჩინა თავი, რომელშიც ერივნენ ის კაცები.

მეფე ძლიერ შეწუხდა ქალის დაკარგვის ამბავზე, შემძიმდა. საკვირვლად იმატა გრძობამ, რაკი უცნაური და უძლეველი დაბრკოლება გადაეღობა წინ და ისეთი ცხოველი შეიქმნა, რომ დაიმონავა ვაჟკაცი; ყველაფერი დაავიწყა, ყველაფერზე გული ააცრუებინა. არას ამბობდა, მისი გული ცხრაკლიტულში იყო ჩაკეტილი, მაგრამ გამოცდილი თვალი კარგად ხედავდა ვაჟკაცის უზომო ტანჯვას.

სწორედ ეხლა უფრო საჭირო იყო როსტომისათვის მეფური სიბრძნე და გამჭირახობა: მეტს ყურადღებას ითხოვდნენ მისგან სამეფო და სახელმწიფო საქმეები, რადგან საშინელი განზრახვა გამოქვეყნდა, საზარელი შეთქმულების კვალი აღმოჩნდა, რომელსაც შეეძლო წაეღებო მთელი ნაშრომ-ნაღვაწი როსტომ მეფისა და აღეგავა თვით იგიც პირისაგან ქვეყნისა.

დედოფალიც და ბევრი კარისკაციც შეამრწუნა ამ საზარელმა ამბავმა, რადგან ემინოდათ მათთვისაც არ მოეცხოთ მწიკვლი რამე, იგინიც არ ჩაეტანათ შიგ და არ დაეღუპნათ. მართალია, საკუთარის გრძობით გატაცებული მეფე ჯერ ღირსეულ ყურადღებას ვერ აქცევდა ამ შესანიშნავ გამჟღავნებას, მაგრამ მეფის მახლობელნი მაინც დიდ უბედურების მოლოდინში იყვნენ: კარგად იცოდნენ, რომ როსტომი გონს მოვიდოდა, ძალუმად შეიშმუშნებოდა; ვაჟკაცურად შეებრძოლებოდა გასაჭირს და მეხს დასცემდა ყველას, ვინც კი მონაწილე აღმოჩნდებოდა ამ შეთქმულებაში.

და ვინ იყო ეხლა დარწმუნებული, რომ მონაწილეები ამ შეთქმულებისა გაჭირვებაში უნებლიეთ არ დაასახელებენ თავიანთ თანამოაზრეებს და ან განზრახ არ ჩაიტანდნენ სხვებს, რომ გადაბრალებით მცირედ მაინც შეემსუბუქებინათ თავიანთი დანაშაული და სასჯელი?

ამ შეთქმულების მოთავენი და მომწყობნი ყოფილიყვნენ: ქათალიკოზი ევდემოზ დიასამიძე, გიორგი გოჩაშვილი, არაგვის ერისთავი ზაალ, იოთამ ამილახვარი და ნოდარ ციციშვილი. ღალატს აზრდა ჰქონდა ისევ თეიმურაზ მეფის დასმა საქართველოს სამეფო ტახტზე, ხოლო როსტომ მეფის და მის თანამშრომლების ერთის დაკვრით დამხობა და ამოწყვეტა. შეთქმულება ისე მოხერხებულად ყოფილიყო მოწყობილი, რომ უსათუოდ მიაღწევდა თავის მიზანს, თუ შემთხვევით არ გამომჟღავნებულიყო.

როსტომ მეფე დროზე გამოფხიზლდა, მარჯვედ მოიაზრა გეგმა მოქმედებისა, გაანდო საქმის ვითარება თავის სარდალს იორამ სააკაძეს და ისე სწრაფად და მოულოდნელად მოევლინა რიდეჩამოფარებულ მტრებს, რომ მთლად დააბნია იგინი. შეთქმულები ტყვედ ჩაუვარდნენ როსტომს. დედოფალი შიშმა აიტანა, უთუოდ გამცემენ ევდემოზი და გოჩაშვილი. ბევრი სხვაც ძრწოდა, ვისაც კი რამე კავშირი ჰქონდა მემბოხებთან.

იორამ სააკაძემ ისარგებლა ამ მარჯვე შემთხვევით და შეთქმულებთან ერთად რამდენიმე თავისი პირადი მტერიც დაღუპა. დააპატიმრეს ყაფლან არსიანელიც. უნდოდათ თავი მოეკვეთათ, რადგან დაუმტკიცდა, რომ წინათ მოღალატეებთან მისვლა-მოსვლა და კავშირი ჰქონდა, მაგრამ მეფემ შეუმსუბუქა მას სასჯელი. დაპატიმრება მიუსაჯა, თანაც ციხეში კი არ ჩამწყვდევინა ის, თავის საკუთარ

სასახლეში დააპატიმრა, ერთ-ერთ საკანში. ესეთი აღმოჩნდა მეფის შეურყეველი ნება. მთელი სარჩო-საბადებელი შეთქმულებისა აკლებულ იქმნა ან სახელმწიფოდ დაიდო.

30

ფარნაოზმა კარგად მოიფიქრა, როგორ უნდა აესრულებინა თავისი განზრახვა. მისი აზრის შესრულება მით უფრო ადვილი იყო, რომ ქალის მხრივ არავითარ დაბრკოლებას არ ელოდდა: დარწმუნებული იყო, ტასიკო აღტაცებით მიიღებდა ამ აზრს; შეეშველებოდა კიდევ მას, ხელს შეუწყობდა.

ეს იყო მიზეზი, რომ ყმაწვილმა დარდი გადაიყარა გულიდან და მხიარულად დაადგა გზას. მიდიოდა, მიიმღეროდა, მიაქროლებდა. გზა გრძელი ეჩვენებოდა, მოთმინება ელეოდა:

ჯერ ნახევარი გზაც არ გაევილო, რომ წინ კაცი შემოეყარა და ძნელი ამბავი მოუტანა: ბატონიშვილი ტასიკო უგემოდ დაიკარგაო, თითონ ბატონი ყაფლანი დააპატიმრეს, რადგან შეთქმულების მონაწილედ დასახეს; ელდაზე ქალბატონი ლოგინად ჩავარდაო; დაიღუპა არსიანელთ განთქმული ოჯახიო. ფარნაოზს ურჩევდნენ, თავს გაფრთხილებოდა, რომ იმასაც ყაფლანის ბედი არა სწეოდა.

მდულარება გადაესხა ფარნაოზის გრძნობათა ყვავილს და ჩათუთქა გაუფურჩქნავი; მის ადგილას აღმოცენდა ეკალი სევდისა და გულს ეგმირა გესლიანი. გული რომ დაელახვრა ვაჟს, ხალისიც მოესპო; აზრთა დენა შეეყინა, გონება გაუქვავდა. უბედურებამ დაიმონავა იგი, დაამაბუნა, სული ამოჰხადა, ხეს რასმე დაამსგავსა გრიგალისაგან მოფშენეტილს.

ამ რამდენიმე კვირის წინ რომ სავსე ოჯახი დასტოვა, დოვლათით, სიყვარულით, სიხარულით და ყოველივე კეთილით მოპირთავებული, ეხლა გაციებული კერაღა მოელის, სადაც ფრთა გაუშლია შავ-ბნელ უბედობას; წინათ რომ ოჯახი ნაკურთხი იყო, ძალ-ღონით სავსე, სიცოცხლით აყვავებული, მიმზიდველი, საამური, ეხლა გაბდღვნილიღა ეგდო იგი ოჯახი – გაბასრული, გავერანებული, სავალალო; აქამდის რომ ფარნაოზი უმცირესი წევრი იყო სახლისა, რომლისგან არავის არავითარი მზრუნველობა არა სჭირდებოდა, ეხლა ის ერთადერთი ჭირისუფალიღა შექმნილიყო დანგრეულის ოჯახისა, რომელიც მისგან მოელოდდა შველას, ხელის აპყრობას, შურისძიებას.

მაგრამ რა არის ფარნაოზი ეხლა ან რაღა შეუძლიან მას? მხოლოდ ერთი: შესწიროს თავისი თავი დანთქმულებს. მათ შეიფარეს ჩჩვილი, გაუწიეს მშობლობა, აღზარდეს, დაავაჟკაცეს; მათვე სახლში აღმოუჩნდა მას ბედის ვარსკვლავი და მათვე შესწირავს მათგანვე აღორძინებულ თავის სიცოცხლეს. მხოლოდ რა სარგებელს მოუტანს გამოუცდელი კაცი ამისთანა ძნელ შემთხვევაში? ბევრს არაფერს, სრულებითაც ვერაფერს...

– ტასიკო? იგი ხსნას მოელის ჩემგან, შურისძიებას მოითხოვს შევიწროვებული. იქნება, სისხლის აღებასაც მითვლის უკვე მოსთვლილი... მესმის ხმა მისი განწირული! მიხმობს, მეძახის, მევედრება... სადა ხარ, სიყვარულო ჩემო უმანკო, საით მომესმის ხმა შენი ტკბილი? ნიავს მოაქვს სუნთქვა შენი სურნელოვანი, გარნა არ ვიცი, საიდან; ფოთოლთ შრიალში მომესმის ფეხის ხმა შენი, გარნა ვერ მიმიკვლევია ნავალი; მეპკურება ცის ნამთა ცრემლი შენი, არ კი ვიცი, საიდან მომდინარეობს ის; მესმის გმინვა შენი უკუნი ღამის კვნესაში, მაგრამ ვერ მიაზრია სავანე შენი წყვიდადი. სად ხარ, სიცოცხლე ჩემო? საით გეძებო, სატრფოვო ჩემო დაღონებულო? ქვეყნის პირს, თუ შავ

მიწაში? ჰაერში გძებნო, ჰაეროვანო, თუ უკვე ზეცას, სანატრელთა შორის, სანატრელო ჩემო? მითხარ, საით გადავიხარო, რა გზას დავადგე? მიმიზიდე შენკენ, მითვისე...

სწორედ პირქვე იყო დამხობილი ყაფლან არსიანელის ოჯახი; დიასახლისი მკვდრის სახით იდვა ლოგინზე, ელდით მეხდაცემული, ხოლო გულის შემატკივარნი არ დასტრიალებდნენ თავს, სახლის თავი და ბატონი პატიმრად იყო და არც კი იცოდნენ, რომელ ხაროში ეგდო ის, ან კომპში; გაეტაცნათ ქალი, ერთადერთი მემკვიდრე ყაფლანისა, და არავინ იცოდა, იყოლა იგი სადმე ცოცხალი, თუ არა; მსახურ-მოახლეს თავი ეპოვნა და ყველაფრისათვის თავი მიენებებინა ან აეკლო; ყმები განზე გამდგარიყვნენ და ცივი ცნობისმოყვარეობით იყურებოდნენ სასახლისაკენ; ნათესავ-ნაცნობები შემოჰფანტოდნენ, რადგან ოჯახს ორბივით დასტრიალებდა მეფის რისხვა, და ძრწოდნენ, მათაც არ მოჰხვედროდა მისი ბასრი ბრჭყალი.

ამისთანა მძიმე მდგომარეობაში, თავდადებული და თანაც გამოცდილი ადამიანილა მოაგვარებდა რასმე, შესძლებდა შეეფერხებინა მოზღვავებული უბედურება და დაეხსნა სახლი საბოლოოდ წალექვისაგან. აქ გულდასმით მოფიქრება სჭირდებოდა ყოველსავე წვრილმანს და სიფრთხილით გაკეთება. ფარნაოზი ეხლა ვერ გამოდგებოდა ამისთანა მძიმე გარემოებაში; არც მისი გული და გონება, არც მისი ნება მას აღარ ეკუთვნოდნენ; მისი სული გამსჭვალული იყო მხოლოდ ერთი მისწრაფებით და ეს მისწრაფება იყო დაკარგული სატრფოს ძებნა თუ გლოვა.

31

არსიანელთ გაჭირვებულ მდგომარეობაში ძვირფასი ერთგულება და დიდი უნარი გამოიჩინა მათმა მოურავმა თევდორე ძაბილაშვილმა. აკი ბოლოს თავისუფლებაც მიიღო არსიანელთაგან და საკმაო მამულიც.¹

თევდორემ იქიდან დაიწყო, რომ გაანთავისუფლა ფარნაოზი ოჯახზე მზრუნველობისაგან და გაამგზავრა დაკარგული ქალის საძებნელად; ავადმყოფ ქალბატონს მიუჩემა შესაფერი მომვლელნი, მსახურები და მოხელეები თავის ძველ წესზე და ადგილზე დააყენა. ყმებს ბატონისადმი სამსახური გაახლებინა. სახლის ჩარხი ისევ წაღმა აატრიალა. გარეგნობით ეხლა კაცი ვედარც კი შეატყობდა, რომ გული გამოჰქმული ჰქონდა სახლს, სულის ჩამდგმელები აღარა ჰყვანდა და უსულო რამ გვამს მიემსგავსებოდა შეფერილს.

შემდეგ თევდორე იმის საფიქრებელში შევიდა, როგორმე მოეგო იორამ სააკაძის გული, რომ მისი შემწეობით სამართლიანობა მოეღოთ არსიანელზე, არ აეოხრებინათ ის, როგორც ეს უყვეს სხვა მოღალატეებს. თევდორემ იცოდა, რომ ყაფლანს მეფის წინაშე არავითარი დანაშაული არ მიუძღოდა და სამართლის მიწყვაც დიდი ბედნიერება იქნებოდა მისთვის. ყაფლანი არ იყო მოღალატე და მისი სიმართლე ადრე თუ გვიან გამომჟღავნდებოდა. იმის იმედიცა ჰქონდა თევდორეს, რომ ფარნაოზმა და იმან დიდი ღვაწლი დასდეს სამეფო საქმეს, დიად, ძვირფასი ცნობები შეუკრიბეს მეფეს და იმ იმედით წამოვიდნენ, რომ საათაბაგოს დაპყრობა და შემოერთება სულ ცოტა ხანში შეიძლებოდა მოხერხებულიყო და არც დიდ მსხვერპლს მოითხოვდა. თევდორემ წესზე მოიყვანა ყველა ცნობები, რაც კი შეეკრიბათ იმათ; ისე ანუსხა ყველაფერი, თითქო თავის ბატონს სამოურავოს ანგრიშს აბარებდნენ, და მთავრობა იორამ სააკაძეს.

¹ ძაბილაანთ ნაოხარი ეხლაც არის სოფელ კოდაზე. ნაცვლად ოდესმე დოვლათიან ოჯახისა, ნახევრად გამხმარი კაკალილა სდგა, ტოტებმოფშენეტილი (ავტორის შენიშვნა).

სააკაძემ გულდასმით გადაათვალიერა ყოველივე, მოუსმინა ნანახი და გაგონილი; ძალიან მოუწონა აზრიანი მსჯელობა. გამოცდილმა სარდალმა ერთის თვალის დაკვრით დააფასა შეკრებილი ცნობები.

– შენ ხომ მოხერხებული და ჭკვიანი კაცი ყოფილხარ, მაგრამ ფარნაოზიც ძალიან გამბედავი ჭაბუკი გამოდგა. არ მეგონა, თუ ასე მარდად და მარჯვედ შეასრულებდით ამ სამძიმო და სახიფათო მინდობილობას, – უთხრა იორამმა.

და აღუთქვა მეფის წყალობა.

– დავალება მართლა და სახიფათო გახლდათ, ბატონო, მაგრამ ღმერთი გვფარავდა. მეუფე ჰფარვიდეს ჩვენს მეფეს და დაუმონოს უსჯულო! ცოდვა არ არის, ის წმიდა ადგილები უსჯულოს ხელში! რა მშვენიერი ტაძრები, რა შეუვალი ციხეები და კოშკები, რა მდიდარი კუთხე საქართველოსი! მე სხვა იმისთანა არაფერი მინახამს, ქვეყანა კი დამივლია, – მოახსენა მოურავმა.

ბოლოს, გაბედა თევდორემ და შეევედრა, დახმარებოდა ბატონ ყაფლანს, ეგება არაფერი დაეშავებინათ მისთვის, რადგან იცოდა მისი ცამდინ სიმართლე; იმაშიაც დარწმუნებული იყო თევდორე, ქალის გადამალვაში მას არაფერი მონაწილეობა არ მიუღია.

– არსიანელთ, მართალია, არ გაჰხარებიათ მეფე როსტომის სურვილი, მაგრამ არც წინააღმდეგნი ყოფილან და ყველაფერი თითონ ქალის ნებაზე მიუგდიათ. რაც შეეხება ფარნაოზს, ის მთლად მართალია ამ საქმეში. ფარნამა და მე მხოლოდ დაბრუნებისას გავიგეთ ქალის მოტაცება. ეს საკვირველი ამბავი საიდუმლო შემთხვევაა და შიგ ცხადადა სჩანს ძლიერი ხელი, – მოახსენა თევდორემ.

იორამი ყურადღებით ისმენდა საუბარს, აკვირდებოდა ყოველსავე სიტყვას. თევდორე ძალიან წაათამამა ესეთმა მოპყრობამ და გაბედა:

– ბატონო! უნდა გავკადნიერდე და მოგახსენოთ ერთი საწყენი სიტყვა, მხოლოდ ნუ დამსჯით თავხედობისათვის.

– ისეთი რა უნდა მითხრა?

– სოფლად ხმა დადის, ვითომ მეფემ მოატაცებინა ის ქალი და სასახლეში ჰყავს. ყაფლანი რომ პასუხს აგვიანებდა, იმაზე გარისხდა მეფეო.

– როგორა ჰბედამენ! – შესძახა იორამმა და ფეხზე წამოდგა.

მაგრამ იქვე დამშვიდდა და განაგრძო:

– კარგია, რომ მითხარი! გადაეცი ყველას, ვინც მაგისთანა სისულელესა ყბედობს, რომ მეფე როსტომს არ ესაჭიროება ფარული მოქმედება: ის პირდაპირ შესძლებს თავის სურვილის ასრულებას, თუკი ინებებს!

– მაშ, თევდორე, შენ დარწმუნებული ხარ, რომ ქალის მოტაცებაში ხელი არა აქვს არც ყაფლანს, არც ფარნაოზს? – შეეკითხა იორამი ცოტა ფიქრის შემდეგ.

– დაჭემმარიტებით მოგახსენებთ! თუ ტყუილი აღმოჩნდეს ჩემი ნათქვამი, აჰა ჩემი კისერი და შენი ხმალი, – უთხრა თევდორემ.

და გაშლილი ხელის ყუა დაიდო წაწვდილ კისერზე.

იორამმა ხანგრძლივ შეხედა თევდორეს და ჩაფიქრდა. მიხვდა ის, რომ მართლა და ვიდასიც ძლიერი მარჯვენა მოქმედებდა აქ და არ ინდობდა არც მეფის სურვილს, არც არსიანელთ. ვინ უნდა იყოს მოქმედი ან რა აზრით უნდა მოქმედებდეს იგი? სააკაძე ყოველთვის თავს ევლებოდა მეფეს, თვალხმიერად იყო, მეფის გარემო სხვა რამ ძალა არ გაბატონებულიყო მის ნაცვლად, არ დაენთქა სარდალი. ეს იყო მიზეზი, რომ ამ ამბავმა ძალიან დააფიქრა ის.

ბედმა ზურგი შეაქცია ფარნაოზს, ძნელ ყოფაში ჩააგდო, გული დაეცალა ვაჟკაცს, გაუშრა, გამოეფიტა. აღარაფერი არ იზიდავდა მის არსებას. ქვეყანა ერთფერ რადმე ეჩვენებოდა, უაზროდ, მოსაწყენად. ვეღარ გაეგო, რად დაჰკამპაშებდა ბადრი მთვარე შავ დედამიწას, ან რად ათბობ-ანათებდა მას ბრწყინვალე მზე, რად ხმაურობდა სულდგმული, რად იბრძოდა ხალხი, მიდმოდიოდა, უბნობდა.

ქალბატონი ლოგინად ჩავარდნილიყო, სახე მოჰლრეჯოდა; რალაცას ეუბნებოდა ფარნაოზს, ევედრებოდა. ფარნაოზი დაჰყურებდა მას, ვერ კი ხედავდა; ვერც ის შეეგნო, რად იწვა ის, ესმოდა სიტყვა მისი, ვერ გაეგო, რას ეხვეწებოდა ან რად ემუდარებოდა.

იცოდა, რომ ყაფლან აღარ ტრიალებდა სახლში, მისი რიხიანი ხმა აღარ ისმოდა კარ-მიდამოში, პატიმარი იყო იგი უწყალო, გარნა მის გრძნობას არა ხვდებოდა ყოველივე ეს, მის ყურადღებას სცდებოდა ეს.

გული აღარ უცემდა მკერდ ქვეშ, სიპ ლოდად ქცეულიყო ის და ცხოვრების ხმა სხლტებოდა მასზე. არც ერთი გამაცოცხლებელი ნამი არ აღწევდა მის გულის სიღრმეს, არ ათბობ-ალაღებდა მას. გამეფებულიყო იქ წყვილიადი, ბნელი გარესკნელი. ციოდა იქ, ჰყინამდა. ეს სიბნელე და ყინვა მისის სულისა მხოლოდ ერთს რასმე ეუბნებოდა მას, ერთ რასმე ჩააგონებდა, ერთს მოაგონებდა:

– შენს სატრფოს, შენის გულის ჯერეთ გაუფურჩქნავ ყვავილს სიბნელე შემოჰხვევია გარს და სულს უგუბებს, ყინვას შეუბოჭავს ის და დააზრობს. ქალი ხელს იწვდის შენკენ უფსკრულიდან, გევედრება, მზის სხივი მიაშუქო მის ჩამავებულ ყოფას, ხელი აღუპყრო, იხსნა.

და ეძებდა ფარნაოზი ტასიკოს, მოუწოდდა, ეძახდა.

გარნა შავბნელი ქალი ვერსაიდან ვერ აძლევდა მას გარკვეულ პასუხს. დადიოდა ვაჟკაცი უაზროდ, უგზო-უკვლოდ, უიმედოდ. დაუცხრომელ ძებნას მცირედაც ვერ მიეახლებინა ფარნა დაკარგულისათვის.

კარგა ხანმა გაიარა ძებნაში. ფარნაოზმა თავიანთ მხარე შემოიარა; უფრო ბორჩალოში ეძებდა და განჯა-ყარაბალისაკენ, აქეთ ხომ არსაით გაჰყიდესო ქალი. ყოველმავე ცდამ ამოდ ჩაიარა. არსიანელთ ნაცნობი ბეგებიც შეწუხდნენ მათის უბედურობით, ისინიც ყველაფერში ხელს უწყობდნენ ფარნაოზს, მაგრამ ვერ ამოაჩინეს ვერც შორეული კვალი ქალისა.

იმედმიხდილი ფარნაოზი ისევ იმ მწყემსებს დაუბრუნდა, რომლებსაც ქალის დაკარგვის დროს შეენიშნათ ხევში ორი ცხენოსანი. იმათ ფარნაოზს იგივე უთხრეს, რაც წინათ არსიანელთ, მხოლოდ ეს დასძინეს: თუ ის მგზავრები მართლა ქალის მომტაცებელნი იყვნენ, ვერ გაბედავდნენ ხევს ამოსცილებიყვნენ და ალგეთისკენ დაეხივნათ, რადგან იქით მხრიდგან ურმების ალალი მოდიოდაო.

თუ ესე იყო, მაშინ კოდის ხევს უნდა ჩაჰყოლიყვნენ მტაცებელნი, ეს ხევი კი კუმისის ტბის მიდამოებისაკენ უხვევს.

ამ გზას დაადგა ფარნაოზი და მალე დარწმუნდა, რომ სოფლიდან ერთადერთი შეუმჩნეველი გზა ეს ხევი იყო, რადგან ხევს და ხევის პირებს ლელი მოსდებოდა და მაყვალი. ხევი კუმისის ტბის ხრამებში და ფლატეებში თავდებოდა. ფარნაოზმა მოვლო აქაც ყოველივე სიღრმე, ყოველი ფლატე თუ მაყვლოვან-ლერწამიანი. ამოდ! არავითარი კვალი არ ამოჩნდა დაკარგულისა. გაჰყვა მტკვრისაკენ. აქ ერთ ღამეს ბაღში მოუნდა მას თავის შეფარება, მტკვრის პირას, ქარკაპების გადასწვრივ. საშინლად წვიმდა. მებაღეებმა ისტუმრეს. მარანში გაათენა ღამე. იცნეს მგზავრი, მოისმინეს მისი

გაჭირება. ერთმა მათგანმა უცნაური რამ ამბავი გაიხსენა, რომელსაც სწორედ კავშირი უნდა ჰქონოდა ფარნაოზის დარდთან.

– ვგონებ, მკათათვის მიწურულებში იყო თუ მარიამობის პირველობაში, – სთქვა მებაღემ, – ბატონს მოველოდდი ვენახში. მინდოდა რითიმე მესიამოვნებინა მისთვის და ბაღე წავიღე მტკვარზე. ფონი ხომ იცით, გადაღმა რომ ფონია? ჰოდა იმ ფონის ქვეით მორევი ტრიალებს, ნაპირს ახლო. იმ მორევი ვესროდი ბაღეს. ვნახოთ, ფონს მოადგა ორი შეიარაღებული ცხენოსანი.

– როგორ ცხენებზე ისხდნენ? – ჰკითხა მოუთმენლად ფარნაოზმა.

– წითელ ცხენებზე ისხდნენ, დიად, სწორედ წითელ ცხენებზე.

– მწყემსებმაც ეგრე მითხრეს, – სთქვა ფარნაოზმა.

– იმას მოგახსენებდით: მოადგა ორი ცხენოსანი მტკვარს. ერთს ნაბადი ჰქონდა მოგდებული. გამიკვირდა, ამ სიციხეში ნაბადი რაღად უნდა-მეთქი. შედგნენ ფონის პირს. აუარ-ჩაუარეს. მოიხსნა ნაბადი. უკან ქალი სჯდომოდა.

– ქალი?!

– დიახ! კარგად დავინახე, რომ ქალი იყო. ქალს ხელები ვაჟკაცის სარტყელში ჰქონდა ჩაკრული. გადაყარეს ცხენები წყალში. ცოტა მოდიდებული იყო და გამიკვირდა, რომ გაბედას. თავებიღა უჩანდათ ცხენებს. ალბათ გაჭირვებულნი არიან და ეჩქარებიან, ვიფიქრე. სწორედ საცოლე მოუტაცნია ჭაბუკს და მარჯვედ დააღწია-მეთქი მდევარს თავი. გულში შევაქე მისი გაბედულობა, გამარჯვება ვუსურვე.

– სწორედ არსიანელის ქალი იქნებოდა! – სთქვა მეორემ.

ფარნაოზი ყურადღებად იყო გადაქცეული, რაღაც იმედი დაებადა, ნუგემის მაგვარი მოძრაობა იგრძნო გულში.

– არ არის მკვდარი! – გაიფიქრა იმან. – თუ მოკვლა სდომებოდათ, გზაზევე მოკვლამდნენ, ტბის ყურში სადმე და მისი პოვნა იმ ფლატეებში შეუძლებელი იქმნებოდა. არც თათრებზეა გაყიდული: მაშინ ქვეით უნდა წაეყვანათ, ალგეთისაკენ. სწორედ ცოცხალია ისევ და საქართველოში... მაგრამ თუ სხვასა ჰყავს, თუ სხვამ დაისაკუთრა იგი ძალით? – გაიფიქრა ფარნაოზმა.

და სევდის ცეცხლით ჩაინავლა ადგილობრივ.

მეორე დღეს ფარნაოზმა ნახა ის ადგილი, გაჩხრიკა ყველაფერი ახლო-მახლო და იმავე ფონით გავიდა მტკვრის გაღმა.

33

ქალის ძებნა მტკვრის გაღმაც უნაყოფოდ ჩაივლიდა და ფარნაოზი ვერ მისწვდებოდა საწადელს, თუ კვლავ შემთხვევა არ შეშველებოდა მას.

ქალი რომ დაიკარგა, იმ ხანებში თავი იჩინა მეფის წინააღმდეგ შეთქმულებამ. შეთქმულთა არ გაუმარჯვდათ: იორამ სააკაძემ ანაზდად გაანადგურა იმათი ძალა, შეიპყრო მეთაურნი და მიჰგვარა მეფეს. ყაფლან არსიანელიც მაშინ დააპატიმრეს.

ხმა გავარდა, სასტიკი სასჯელი მოელის შეთქმულებს, იმათ ველარავინ ვერ დაიხსნის სიკვდილისაგანაო; ყაფლან არსიანელსაც აღარ დაინდობენ, გასწირავენო. ამ ხმამ ფარნაოზამდისაც მიაღწია. ეს იყო მიზეზი, რომ ჭაბუკი ცოტათი გამოფხიზლდა თავის სევდისაგან და ჩაბრუნდა თბილისში, იქნება როგორმე მოვახერხო აღმზრდელის ან დახსნა, ან სასჯელის შემსუბუქებაო.

მართლა და სასტიკად დასაჯეს მოღალატეები: გიორგი გოჩაშვილს თვალები დასთხარეს, ქათალიკოზ ევდემოზ დიასამიძეს განჯის კარიდან გადმომზღვრევა მიუსაჯეს; სხვებიც ყველანი ძალიან დააზარალეს. ყაფლანის დასჯა კი ჯერ გადასდეს, რადგან არა სჩანდა, რომ ისიც შეთქმულთა ჯგუფში რეულიყო.

სასჯელის წინ ევდემოზ ქათალიკოზმა უეცრად მოითხოვა, ნება მიეცათ მისთვის პირისპირ ენახნა ყაფლან არსიანელი. გაუკვირდათ ევდემოზის ესეთი სახიფათო სურვილი.

– უნდა მოესაზრებინა საბრალოს, რომ მისი სურვილი ეხლა დიდად სავნებელია ყაფლანისათვის, რადგან დაამტკიცებს, რომ მათ შორის საიდუმლო რამე ამბავი ყოფილა და შეთქმულებაში მასაც მონაწილეობა მიუღია, – ამბობდნენ ყველანი.

ასე იმოქმედა ამ ამბავმა მეფის მახლობლებზედაც. მათ მოითხოვეს ყაფლანის დასჯაც. მეფე არ დასთანხმდა: არსიანელის ღალატში მონაწილეობა გამორკვეული არ არისო და ევდემოზსაც ნება მისცა პირისპირ ენახნა ყაფლანი. ქათალიკოზმა ინახულა პატიმარი და მძიმე ცოდვა აღიარა მის წინ:

– შეთქმულებს გვინდოდა სასახლეშიაც გვეპოვნა ძლიერი თანამოაზრე და თანამგრძნობელი. ამ მიზნით მე და გოჩაშვილი დავუახლოვდით დედოფალს. დედოფალი დიდად უკმაყოფილო იყო მეფისა და მოსისხლე მტერი მეფის მახლობელთა. მეტადრე იორამ სააკაძე სძულდა, რადგან მათ განიზრახეს მეფის განქორწინება და შენი ქალის მოყვანა დედოფლად. დედოფალი ჯერ მოგვეყვა, ჩაგვითრია, გამოგვტყუა საიდუმლო და მერე საშინელი მსხვერპლი მოგვთხოვა: დაგვაგალა მოგვესპო თქვენი ქალი და სამუდამოდ მოგვეშორებინა მისთვის მეტოქე.

– მერე? მოჰკალით ჩემი ქალი, მოჰკალით?! – ჩაეკითხა ათრთოლებულის ხმით ყაფლანი.

– არა! გვიბრძანა ქალის მოკვლა და თან ცხადად გვაგრძნობინა, რომ უარი მრისხანებას გამოიჩვევდა მის მხრივ, შურისძიებას. საშიში იყო: გაგვეცმდა, დაგვლუპავდა, ჩვენ დაწყებულებას ჩაშლიდა. სულ კი გოჩაშვილის საქმე იყო ამეების დაწყება და საიდუმლოს გაცემა. ღმერთმა აპატიოს! მეტი რაღა გზა იყო!.. გავებით მის მახეში და უნდა აგვესრულებინა მისი ბრძანება.

– და აღასრულეთ უკეთური განძრახვა თქვენი?!

– მომისმინე, შვილო ყაფლან, მომისმინე!.. კაცის კვლას ხომ ვერ ვიტვირთებდი და ვერ შევბღალავდი უმანკო სისხლით ამ მარჯვენას, რომლითაც ტარიგსა ვწირავდი წმინდა ტრაპეზზე! სხვა ხერხი მოვიგონე: ვუბრძანე ჩემს საყვარელ მმისწულ სარიდონს, გაეტაცნა ის ქალი და დაემალნა ისე, რომ ვერვის შესძლებოდა მისი ამბის გაგება. ვამცნე, რომ ამ საიდუმლოს შენახვაზე იყო დამოკიდებული თვით ჩემი სიცოცხლე. ამხანაგად ვაახელ დიდად გამოცდილი და ერთგული ჩემი ყმა. ძალიან მოხერხებულად შეესრულებინათ ჩემი დავალება.

– მაშ ისევ ცოცხალია ჩემი ქალი?!

– ჩემის აზრით, ცოცხალი უნდა იყოს. სარიდონი ალბათ თავის სახლში მიიყვანდა მას, ერწოში, მდინარე აძეძის მარჯვენა, სოფელ გვირაბიანში. ეს მინდოდა მომეხსენებინა თქვენთვის, ბატონო ყაფლან, და მეთხოვნა გეპატიებინათ ჩემთვის საშინელი შეცოდება ჩემი, – დაათავა ევდემოზმა.

და მიწამდის თავი მოუხარა ყაფლანს.

– ყოველივე შევუნდოთ ერთმანეთს, რადგან მალე უნდა წარვსდგეთ წინაშე საშინელსა სამსჯავროსა ქრისტესსა! – მიუგო ყაფლანმა.

და ეამბორა ქათალიკოზს.

დიდი ცნობისმოყვარეობა აღძრა ამ საიდუმლოებით მოცულმა ნახვამ, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ათასგვარ მოსაზრებას მოუთხრობდნენ ამ შეხვედრის შესახებ; ცდილობდნენ გამოეცნოთ საუბრის საგანი. ბოლოს ყველანი იმ აზრს დაადგნენ: ძნელი რამ გაანდო ყაფლანს შეთქმულობის შესახებო.

როდესაც ფარნაოზმა გაიგო ეს ამბავი, მაშინვე გულმა უგრძნო, საქმე უნდა შეჭებოდა პირად ყაფლანს ან მის ოჯახს, რადგან იცოდა, ყაფლანს არავითარი დამოკიდებულობა არა ჰქონდა შეთქმულებთან.

– იქნება ტასიკოს დაკარგვის ამბავს შეეხებოდა იმათი უკანასკნელი საუბარი, – გაიფიქრა ფარნაოზმა.

რახან ერთხელ გულმა ესე უთხრა ფარნაოზს, მისმა აზრებმაც ესეთივე მიმართულება მიიღეს და ათასი იმედი დაუხატა გახურებულმა ოცნებამ. როცა ფარნაოზმა თვისი მოსაზრება გადასცა თევდორეს, რომელიც, ბატონის დასჯის მომლოდნელი, ქალაქშივე იყო, იმანაც ჭკუას ახლო სცნო ეს მოსაზრება.

ეხლა საჭირო იყო როგორმე ენახნათ ყაფლანი ან თევდორეს ან ფარნაოზს. მაგრამ თევდორეს ნება არ მისცეს ბატონის ნახვისა, ხოლო ფარნაოზს ურჩიეს ნაცნობებმა, არამც და არამც არ გაეცხადებინა თავისი თავი, რადგან იმასაც ღალატს დასწამებდნენ არსიანელივით და საპყრობილეში ჩააგდებდნენ.

ფარნაოზი მაინც ვერა სცხრებოდა. ის გაიტაცა ყაფლანის ნახვის სურვილმა და სცდილობდა როგორმე მოეხერხებინა ეს.

34

როსტომ მეფემ როცა ახალი სამეფო პალატები ააშენა ტფილისში, ძველ საძირკველზე ამოიყვანა შენობა, მხოლოდ გაამაგრა ეს საძირკველი, გააფართოვა და წაუმატა ქვეით მტკვრის ჩაყოლებით. არც საჭირო იყო ახალ საფუძვლის ამოყვანა: აქ სალი კლდეა მტკვრის ნაპირას და ამ კლდეში იყო ძველი საძირკველი გაჭრილი, დუღაბია ჩასხმული და ისეთი შეურყეველი რამ კედელია ამოყვანილი, რომ მისთვის დღევანდლამდისაც ვერ დაურევია ხელი ვერც მძვინვარე მტკვარს, ვერც ჟამთა ბრუნვას. რომ მაინც უკეთ დაეცვათ მდინარისაგან შენობა, რამდენიმე ბურჯი წასწიეს წინ.

ეს საძირკველი ძირში ბითუმი იყო, ხოლო ზევით წვრილ-წვრილი სარდაფები ჰქონდა დატანებული, მთლად თალად ნაქცევნი. ამ სარდაფების ძლიერ ვიწრო და მაღალი ფანჯრები მტკვარს ესე ორი ადლის სიმაღლიდან დაჰყურებდა. ფანჯრებს შუაზე ბორჯღიანი რკინა ასდევდა. ეს ფანჯრები და თითონ ჯურღმულები უფრო საქარეებსა ჰგვანდა, ჰაერის სამუშაოდ დატანებულებს. ადიდებული მტკვარი ხანდისხან უწევდა ფანჯრებს და ჯურღმულებს, მაგრამ რას დააკლებდა ქვაზედ უმაგრეს კედლებს! ზევიდან ქვის ვიწრო ხვეული კიბე ჩასდევდა ამ სარდაფებამდის.

ჯურღმულების ზევით იყო გამწვრივებული თალიანივე ფართო და ნათელი სარდაფები, რომლებიც შეადგენდნენ სასახლის საკუჭნაოს და სავსენი იყვნენ ყოველივე კეთილით.

სარდაფების ზევით იდგნენ თვით პალატები მეფისა.

მარჯვნივ და მარცხნივ მდინარის პირს გასდევდა სასახლის წალკოტი, ანჩისხატიდან ისნის ხიდამდის. მთელ ამ წალკოტის სიგრძეზე მტკვრის პირ-პირ ჩასდევდა დუღაბითვე ამოყვანილი კედელი და იმის დაყოლებით ადგილ-ადგილ წარდგმული ბურჯები.

როსტომს ძალიან უყვარდა ამ წალკოტში განცხრომა. შეექცეოდა ყავას თუ ყალიონს თალარის ქვეშ.

ყაფლანი რომ შეიპყრეს, უნდოდათ სხვა მოღალატეებთან ერთად ისიც ნარიყალაში დაეპატიმრებინათ, მაგრამ მეფემ არ ისურვა ეს და უბრძანა ჩაეგდოთ ჯურღმულში, სასახლის ქვეშ. იქნება იმ აზრითაც იყო დატანებული ეს ჯურღმულები,

რომ საჭირო შემთხვევაში საპყრობილედაც გამომდგარიყვნენ. ამგვარად ერთი ამ საკანთაგანი შეიქმნა ყაფლან არსიანელის საპყრობილედ.

რა აზრი ჰქონდა როსტომ მეფეს, რა ფიქრი უთამაშებდა თავში, როდესაც დაიფარა სიკვდილისაგან ეს კაცი და სასახლის ქვეშ დააპატიმრა? იქნება ეგონა, თითონ ყაფლანმა გადაამალვინა თავისი ქალიო და იმედი ჰქონდა, გამოუტყდებოდა მეფეს, რომელმაც დიდი წყალობა მიიღო მასზე და სიკვდილისაგან დაიხსნა. ამით ხომ არსიანელი მადლობასაც გადაუხდოდა მეფეს და დამხოვილ დიდებასაც კვლავ აღიდგენდა. ვინ იცის?! სიყვარულით შეპყრობილი გული ძნელად ეძლევა სრულ უიმედობას, ვერ ცივდება სრულიად ერთხელ გრძნობით აღზნებული.

მოსწყდა ყაფლანი ქვეყანას, სოფლის ხმაურობა აღარ აღწევდა მის ნესტიან და ბნელ საკანს. მხოლოდ მტკვარი ჩაჭხრიალებდა ყურში, ამბებს მოუთხრობდა. მაგრამ მტკვრის საუბარი ჯერ სულ უცხო იყო ყაფლანისთვის, ვერ შეეგნო იგი საუბარი და მხოლოდ ბეზარს მოჰყვანდა პატიმარი მის განუწყვეტელ ჩხრიალს, ან შიშის ზარსა სცემდა უკუნ ღამეში.

არ ეცალა პატიმარს ყურადღებით ესმინა მტკვრის თხრობები და შეეგნო მისი ნათქვამი. ყველაფერი დაჰვიწყებოდა ეხლა ყაფლანს, თავისი პატიმრობაც კი, მხოლოდ ერთ აზრს შეეპყრო მისი გონება, ერთ გრძნობას გაემსჭვალა მისი გული, ერთ ნდომას დაეჩრდილა ყველა მისი მისწრაფება: მისი ყურადღება მიქცეული იყო მხოლოდ დაკარგულ ქალზე, მისი ერთადერთი სურვილი იყო გაეგებინებინა ვინმე ერთგულისათვის ის საიდუმლო, რომელიც უთხრა მას ევდემოზმა; თორემ დაიკარგებოდა ის კვალი, რომლითაც მხოლოდ შესაძლო იყო მიეგნოთ დაკარგულის ბინისათვის. ეს სურვილი ცეცხლის ასოებით აღებეჭდა პატიმრის გახურებულ ტვინს.

ვისთვის უნდა გადაეცა ეს თავისი საიდუმლო ან როგორ? ერთადერთი ასეთი ადამიანი იყო ფარნაოზი: მხოლოდ იმისთვის შეიძლებოდა ეთქვა სათქმელი, მხოლოდ მას შეეძლო ქალის მიკვლევა და დახსნა, მხოლოდ მას შეეძლო სიხარულით აესრულებინა ეს და თავი დაედო მისთვის. მაგრამ სად იყო ეხლა ფარნაოზი?

– იქნება კიდევ დაილუპა იქ, სადაც იყო გაგზავნილი. იქნება მასაც ცილი დასწამეს, მოღალატე ხარო და დააპატიმრეს. იქნება თავიც მოიკლა, როდესაც გაიგო ტასიკოს დაღუპვის ამბავი: ხომ უყვარდა ჩემი ქალი. იქნება დადის უგზო-უკვლოდ და უიმედოდ დაემებს დაკარგულს. არ ვიცი! ვინ რას მეტყვის ცოცხლივ დამარხულს... თუნდაც ცოცხალი იყოს ფარნაოზი და ახლოც, როგორ გადავცემ ჩემ საიდუმლოს? ჩემთან არავის უშვებენ; არც ნებას მაძლევენ წიგნი მივწერო ვისმე. თუნდაც მომცენ ნება, განა შეიძლება ვანდო ქალადდს საიდუმლო? როსტომს რომ ჩაუვარდეს ხელში წერილი, აპოვნინებს ქალს და შეურაცხყოფს, – ფიქრობდა პატიმარი.

და ბრუნავდა მოუსვენრად.

– სწორედ ტვინს შევანთხევ ამ წყეულ კედლებს, თუ არ მეშინოდეს, რომ საფლავში ჩამყვება საიდუმლო და სამუდამოდ დამელუპება ქალი! ტასიკო ჩემო! იქნება აღარც კი ხარ ცოცხალი, იქნება, მიწას ამოჰფარებიხარ შავს... იქნება, არსებობ სადმე მანდილ მოხდილი, შეურაცხყოფილი... ყაფლან არსიანელის ქალი შეგინებული? სიკვდილი გირჩევნია, სიკვდილი! მაინც უთუოდ თავს მოიკლავდი. ახ, მითხარ, გამაგონე, შვილო საყვარელო, ცოცხალი გიგულო სადმე გაჭირვებული თუ მკვდარი? ნიავს დააბარე ამბავი შენი: ის შემომიტანს მე სარკმლიდან; უთხარ მზის სხივს, უამბე: ის შემომიშუქებს დილით და მომითხრობს შენს გასაჭირს; ცრემლად ჩააწვეთე დარდი შენი მდინარეს – ის მომიტანს აქ, მიაშობს.

მაგრამ არც მზის სხივს შეჰქონდა მასთან ტასიკოს ამბავი, არც დილის ნიავს, არც მტკვარი მოუთხრობდა რასმე ტასიკოზე. იყო ყაფლანი მიჯაჭული, უიმედო, სევდიანი, საპყარი.

უბედურებამ დაჰქროლა არსიანელის ბედნიერ ოჯახს, გაანიავა და გაჰფანტა იგი; სევდის ისრით გაუგმირა გული თითოეულ წევრს ოჯახისას.

ვინ იცის, კიდევ მოიწმინდება მათთვის ცა ლაჟვარდი, კიდევ ამოვა მათთვის ბრწყინვალე მზე სიხარულისა, თუ მოისპო მათთვის კეთილი და უნდა აღიგავონ პირისაგან ქვეყნისა?

35

ფარნაოზი შიშით მოელოდა შეთქმულთა განსამართლებას. ყაფლანიც მოღალატედ დაესახათ და არავინ იცოდა, იმას რაღას მიუსჯიდნენ. ყველა დარწმუნებული იყო, პატიმრებს თავებს დაჰკვეთდნენ. ფარნამ იცოდა, უბრალო იყო ყაფლანი, მაგრამ მაინც იმედი არა ჰქონდა იმის გადარჩენისა და ეს მით უფრო, რომ ეგონა, როსტომი შურს იძიებდა და სავსებით გადაუხდიდა ყაფლანს, ჯავრს ამოიყრიდა. ნაღვლობდა ფარნაოზი, რომ შველა შეუძლებელი შეიქმნა.

როცა გამოირკვა შეთქმულების ბედი და ყაფლანს გადარჩა სიკვდილს, ფარნაოზს უფრო მეტის სიმწვავეთ დაუბრუნდა თვისი სევდა. სევდა უშველებელი იყო: სამეზარი კვალ-დაკარგული გამოდგა. მტკვრამდის ხომ მიაკვლია ქალის გზას, მტკვარ გაღმა კი აღარავითარი კვალი არ აღმოჩნდა, ისეთი აღარავინ შეხვდა, რომ მცირეოდენად მაინც სცოდნოდა დაკარგულის სავალი: მდინარეს წმინდად აერეცხნა მისი კვალი.

სუსტილა რამ შუქი მოსჩანდა მკრთალი იმედისა და ეს ნუგეში იმ უცნაურ შემთხვევაზე იყო დამყარებული, რომ ევდემოზ ქათალიკოზი სიკვდილის წინ გაენდო ყაფლანს.

– უნდა გავიგო, – ეჭიდებოდა ფარნა ხავსს, – უთუოდ უნდა გავიგო, რა საიდუმლო ანდო ქათალიკოზმა ყაფლანს. „სახელმწიფოს არ შეეხება ჩემი სათქმელი, – შეჰფიცა ევდემოზმა როსტომს, – მხოლოდ პირად ყაფლანს და მის სახლობას ეხებაო“. არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ იმის სიტყვაში: უკანასკნელი ანდერძი იყო ეს მისი. რა პირადი საიდუმლო უნდა ყოფილიყო ყაფლანსა და ქათალიკოზს შორის? ყმა-მამული საერთო არასოდეს არ ჰქონიათ იმათ და ფული. მაშ რა საჭირო საქმე იყო ესეთი, რომ სასიკვდილოდ გადადებულმაც არ დაივიწყა? იქნებ თითონ ყაფლანს შეეხებოდა ის, მის უკანასკნელ ბედს, იქნება ისეთი რამე უთხრა, რომ სიკვდილისაგან დაიხსნიდა არსიანელს? მაგრამ ხომ იცოდა ევდემოზმა, რომ ყაფლანს აპატია მეფემ და არ დასაჯა სიკვდილით. იქნება ქალის საკვირველ დაკარგვას შეეხებოდა ის საიდუმლო? ყაფლანისათვის ხომ ეს ამბავი იქნება ყველაზე ძვირფასი! იქნება ტასიკოზე იცოდა რამე განწირულმა... უნდა ვნახო ყაფლანი, უთუოდ უნდა ვნახო...

როგორ უნდა აესრულებინა ფარნაოზს ეს თავისი სურვილი? თითონ ყმაწვილი კაცის გამოჩენა საშიში იყო: შეიძლებოდა ისიც დაეპატიმრებინათ, როგორც სახლის შვილი ყაფლანისა და თანამოაზრე ღალატისა. თუნდ ესეც არ ყოფილიყო, მაინც ვინ მისცემდა ყაფლანის ნახვის ნებას? ციხეში რომ ყოფილიყო დაპატიმრებული, მეციხოვნის შესყიდვის იმედი მაინც ექნებოდა; სასახლეში კი აბა ვინ შეუშვებდა მას! ზურაბი მთლად უძლური იყო ამ საქმეში, რადგან თითქმის განრისხებული იყო: იმასაც ეჭვი დაჰკრეს ყაფლანის გამო. მაშ რა უნდა ექნა ფარნაოზს? ერთადერთი საშუალება დადარჩენოდა: როგორმე უნდა შეჰპარვიყო მცველებს ტყვესთან.

რაკი ეს განზრახვა ჩაიდო გულში, შეცვლილ ტანისამოსით დაიწყო სასახლის გარემო სიარული, – ათვალიერებდა. გამოლმიდან შეუვალი აღმოჩნდა სასახლე. ახლა

გაღმიდან დაუწყო შენობას თვალიერება, რიყის მხრიდან. აქედან მთლიანად მოსჩანდა სამეფო სასახლეც და წალკოტიც. ერთხელ, თვალიერების დროს ფარნაოზმა შეამჩნია როსტომი თალარ ქვეშ და ჩაიცინა გესლიანად:

– ვერა ყოფილხარ, ხოსრო-მირზავ, ისეთი ფრთხილი, როგორც გაქებდნენ! მტკვრის მხრიდან ღიაა შენი სასახლეც და ბაღიც. იქნება გგონია, სულ ისეთი გაუფრთხილებელი მტრები გყავს, რომლებიც დაჰკლუპე? ფარნაოზი არა ვყოფილვარ, თუ შენი ყოფა არ გავაქრე: შენა ხარ მიზეზი ჩემის უბედურებისა!

შესაძლებელი იყო მდინარის მხრივ დაახლოვებოდა მეფეს და მარჯვე ნასროლით ბოლო მოეღო მისთვის. ეს შეიძლებოდა აქედან, მაგრამ დამალვა ვეღარ მოხერხდებოდა, ფარნაოზს კი ჯერ არ გაეწირნა თავისი თავი: ფარნა არ ეკუთვნოდა თავის თავს.

– ჩემს ხელთა ხარ, ხოსრო-მირზავ, მაგრამ ბედი შენი, რომ ჩემი სიცოცხლე ჯერ მე არ მეკუთვნის: იგი ტასიკოსია, მის ძებნას და დახსნას უნდა შევალაო ის. მაგრამ ვაი შენ, თუ საბოლოოდ გამიცრუვდა იმედი!

ჯავრის ამოყრა უკანასკნელი მოქმედებაა სასოწარკვეთილ ადამიანისა. ფარნაოზს კი ჯერ ისევ შეეძლო განეგრძო ბრძოლა, მიეგნო რამე საშუალებისათვის და გულდასმით ათვალიერებდა ციხე-სასახლეს, გამოცდილის თვალთ ზომავდა ყველაფერს.

ფარნაოზის ყურადღება მიიქცია სასახლის ქვედა სართულის ფანჯრებმა, რომლებიც ზედ მდინარის პირას იყვნენ ამოყვანილნი და რკინებით გადაჭედებულნი, სწორედ აქ უნდა ყოფილიყო ის საზარელი ჯურღმულები, რომლებშიაც საიდუმლოდ ალპობდა როსტომი თავის საშიშ მტრებს და მოძულეებს:

– რა ვიწრო ფანჯრებია და გადაჭედებელი! რა ახლოა მტკვარი! სწორედ აქ სადმე უნდა იყოს ჩამწყვდეული საცოდავი ყაფლანი. ვგონებ, შეიძლება ხმაც მივაწვდინო, – მოისაზრა ფარნაოზმა.

სასახლის წინ მტკვარი მარჯვნივ დაქანებულიყო, ბურჯებისაკენ. მეორე მხარეს გაშლილი მიდიოდა, ფართოდ. ბურჯებისაკენ რომ სჩქეფდა მდინარე და ღრმა იყო, აქათ მდორედ მოდიოდა და წყნარად. საზოგადოდ კი ეხლა დაშვებული იყო მდინარე, დაწყნარებული.

საღამოხანზე ამ ადგილას გამოჩნდა მეთევზეების ნავი. ერთი ბადეს ესროდა აუჩქარებლივ, მეორე იჯდა ნავის თავს, ნავს ამუშავებდა და თან მღეროდა მაღალის ხმით. მეთევზე დახელოვნებული ყოფილიყო სიმღერაში: საუცხოოდ ათამაშებდა ზარივით ხმას. სასახლიდანაც მიაქციეს მას ყურადღება. თითონ მეთევზე კი არავის არ აქცევდა ყურადღებას, მუშაობდა და მღეროდა. ბედი სწყალობდა, ბადეს თევზი მოსდევდა, კაპუეტი ნავის ძირზე ელვარებდა. მეთევზის სიმღერამ ყაფლანის საკანშიაც შეიწვრიალა და გამოარკვია ტანჯვისაგან მიბურდოვებული პატიმარი.

ქვეყანა შესძულებოდა ყაფლანს, კაცის სახე დასანახავად ეჯავრებოდა, ადამიანის ხმა უსიამოვნოდ აღელვებდა, მტკვრის განუწყვეტელი შხუილი აწამებდა, ტვინს ურყევდა, აცოფებდა კაცს. ამ სიმღერამ კი მისი ყურადღება სიამოვნებით მიიპყრო და რაღაც ნაცნობი ჰანგები მოაგონა, ნაცნობი ხმა ჩააწვეთა ყურში. ყაფლანი გულმოდგინედ უგდებდა ყურს მომღერალს; თანდათან სახე უბრწყინდებოდა, თვალეში მიმქრალი ცეცხლი უღვივდებოდა.

– ღმერთო ჩემო! – წარმოსთქვა პატიმარმა, – სულ ფარნაოზის ხმას მაგონებს ეს ხმა და მის სიმღერის კილოს... სადა ხარ, შვილო ფარნაოზ, ცოცხალი ხარ სადმე, ჩემსავით უნუგეშო, თუ მკვდარი? იქნება შენც ჩემსავით საპყრობილეში ღპები...

ფარნაოზის მოგონებამ გული მოუღბო პატიმარს და გაფიცებულ-გამხმარ თვალეზე ნამი მოჰგვარა. მეთევზე ისევ მღეროდა გატაცებით. წამოდგა ყაფლანი, მივიდა ფანჯარასთან, მოსჭიდა რკინას ხელი და მოახერხა გახედვა.

– მეთევზეები ყოფილან, ბადეს ესვრიან. ბედნიერები! თავისუფალნი თავისუფალ ჰაერში, თავისუფალ წყალზე... რა ძლიერ მაგონებს მისი სიმღერა ფარნაოზის სიმღერის ხმას!

მეთევზეს შეუნიშნავი არ დარჩა პატიმრის გახედვა, მაგრამ ის მალე ჩამოშორდა სარკმელს და ფარნამ ბევრი ვერა გაარჩია რა. ძნელიც იყო რისამე გარჩევა, რადგან კედელი სქელი იყო, ფანჯარა ვიწრო და დაჭედილი. მაინც მოუთმენელი ცნობისმოყვარეობა აღეძრა ფარნაოზს.

მეორე საღამოს ისევ გამოჩნდა ნავი. მეთევზე ისევ მღეროდა ყაფლანისათვის დიად ნაცნობის ხმით და ნაცნობს ჰანგებს... ნავი უფრო დაუახლოვდა ბურჯებს. ყაფლანი სიმღერის პირველ გაგონებაზე ასწვდა ფანჯარას და დააკვირდა მენავეს. ძალიან ჰგვანდა ფარნაოზს. მენავემ შენიშნა ფანჯარაში აჩრდილი, მთლად მიბრუნდა იქითკენ და გასწორდა. ყაფლანმა იცნო ფარნაოზი და გული შეუფერდა სიხარულის ელდით. ნავი შევიდა ჩქარში და დაეშვა ქვევით.

– ფარნაოზი, ფარნაოზი! ყოჩაღ, ბიჭო! მარჯვედ მოუხერხებია. ვინ უგრძნობს! აქ ხომ ხშირად თევზაობენ ნავებით. მაგრამ რა ჰსურს, რა განუზრახავს? ჩემი გაპარება ხომ არ შეიძლება აქედან, არასგზით არ შეიძლება: ხომ არ გაარღვევს სალ-კლდეს! რა ერთგულებაა და გამბედაობა! რომ უგრძნონ, ჩანთქამენ. კარგი ყოფილხარ, ჩემო ფარნა, თავდადებული. ტასიკოს გულს უფრო ადრე უცვნიხარ, მე ვერ გაფასებდი ღირსეულად.

ყაფლანი მიჰხვდა, რომ მოხერხებული ჟამი იყო გაეგებინებინა როგორმე ფარნაოზისთვის ის საიდუმლო, რომელიც შეიტყო მან ევდემოზისაგან ტასიკოს შესახებ. სწორედ ფარნაოზს შეჰფეროდა მიეღო მისგან ეს საიდუმლო: იგი მიჰყვებოდა ქალის კვალს და დაიხსნიდა განსაცდელისაგან. მაშინ, მიჰხვდებოდა ვაჟი თავის გულის წადილს. ღირსიც იქნება ვაჟკაცი, ღირსეულის სასყიდლისა. ხვალ ისევ გამოჩნდება ფარნაოზი მის საპყრობილის წინ, მაგრამ როგორ რა გააგებინოს, როგორ მიაწვდინოს ხმა?... ახლო იქნება ფარნაოზი, როგორც დღესაც იყო ახლო, სულ რამდენიმე ნაბიჯზე იქნება მისგან, მაგრამ მაინც მიუწვდომელი იქნება მისგან: განუვალი ზღუდეა მათ შორის ამართული.

ყაფლანმა დაკვირვებით მოავლო თვალი თავის საპყრობილეს, მაგრამ საკანში ნესტისაგან გაჟღენთილი კედლების მეტი არა იყო რა. სასოწარკვეთილებაში ჩავარდა კაცი, უიმედობას მიეცა. მიეგდო თივაზე, რომელიც ფიცრებზე დაეყარნათ. ფიცარი რომ დარახუნდა, აზრმა გაურბინა ყაფლანს: გასინჯა ფიცრები, ერთს მოსტეხა ნაპირი და დააჭდია ზედი: „ერწო, გვირაბიანი, დიასამიძისას. დაიხსენ!“

გამოჩნდა მესამედ იგივე ნავი. ეხლა ყაფლანი სიმღერის ხმას აღარ ელოდდა. დილიდანვე ფანჯარას არ მოჰშორებია. მეთევზემ ორჯელ-სამჯერ კი ესროლა ბადე და შეაგდო ნავი ზვირთებში; ცდილობდა დაახლოვებოდა ბურჯებს. მას განზრახვა ჰქონდა, შეეძახნა სარკმელიდან, რომ ეცნობებინა პატიმრისათვის თავისი თავი. ამ დროს ფანჯრიდან გადმოვარდა ფიცრის ნატეხი. ზვირთებმა შეათამამეს ფირფიტა და დააქანეს. ნავი დაედევნა ნაფოტს. მორევში მისწვდა. ფარნაოზმა გადაათვალიერა განძი და ამოიკითხა დაჭდეული სიტყვები.

ფარნაოზი მაშინვე დაადგა გზას. საშური სავალი ჰქონდა და ძნელი; რაც შეიძლებოდა, მალე უნდა მიჰმეღებოდა ტყვექმნილს, რომ მთლად არ ჩამჰკნარიყო ის სხვის ხელში, არ ჩამავებულიყო გატანჯული. თანაც დიდი სიფრთხილე ჰმართებდა და გამჰყრიახობა, რომ კვალი არ აზნეოდა და მიეგნო დაჩაგრულისთვის. ქალი კი სწორედ დაჩაგრული იყო და გაჭირებული. ელდა ენახნა, განსაცდელი გამოეველო და სასოება წარხოცოდა, უიმედობას მისცემოდა.

ავაზაკი რომ შეეტყუა ტასიკოს და ყელში სწვდა, ცეცხლები დაუტრიალდა მას თვალეში, იქვე დაეხშო მთავარი სუნთქვა. გრძნობდა, როგორ ჩამოაცვეს თავზე რაღაცა, შეხვიეს, გამოიტანეს და შემოიგდეს ცხენზე. რამე შებრძოლებაზე ან ხმაურობაზე ფიქრიც შეუძლებელი იყო. ქალს სული უგუბდებოდა, იმასლა ცდილობდა, როგორმე შეეწოვნა ჰაერი და არ მოშთობილიყო. მერმე გონება დაუბნელდა და მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, როდესაც გადმოიღეს ცხენიდან, გაანთავისუფლეს სახვეველისაგან და წყალი მიუპყრეს.

ტასიკომ მოავლო თვალი იქაურობას. ხევი რამ მთავრდებოდა. გაგანიერებულიყო, გაშლილიყო. ნაკადული იფანტებოდა, ჭანჭრობს ეფინებოდა. ჭაობს იქით ქვიშას თეთრად მოჰფენოდა მარილი. ტბის ყურე იყო. ტბა ოდნავ ღელავდა და ჰრეცხდა მარილოვან შლამს. საშინელი ჩალა და ლერწამი ატეხილიყო. ძალიან ცხელოდა. აუარებელი კოლო ირეოდა.

– ამისთანა მივარდნილ ადგილას მშველელი ვერსაიდან გამომიჩნდება, დახსნაზე ფიქრი ამაოა, – მოისაზრა ქალმა.

აყოლ-ჩაყოლა თვალი მტაცებლებს. დედაკაცურად ჩაცმულს ტანთ გამოეცვალნა. ახალგაზრდა იყო, წვერ-ულვამ ახლადამლილი, თეთრ-წითელი, მხარბეჭიანი.

– წელან კი როგორი შავი იყო, ალბათ ესო რამე პირზე; ჩამოუბანია, – გაიფიქრა ქალმა.

მეორე ხნიერი იყო, დაღვრემილ-დაღრეჯილი.

– იცი, გიორგი, ამ ტბის პირებში საშინელი გველი იცის; საქონელსაც აზარალებს, – გამოეხმაურა ახალგაზრდა.

– ცხელი ადგილია, წყლიანი და მივარდნილი; რა დაუშლის წყეულის გამრავლებას!

ამის გაგონებაზე ქალმა უნებლიეთ კალთა აიკრიფა და აქეთ-იქით მიიხედა. ქალს ჯერ ხმას არა სცემდნენ. ღელავდა პატიმარი, ეგონა, მტარვალების მსხვერპლი შეიქნებოდა. არავითარი საშუალება არ ჰქონდა თავის დაცვისა, თუნდა თავის მოკვლით. ეს იყო მიზეზი, რომ ქალს გაუხარდა, როცა ახალგაზრდა მივიდა მასთან და სთხოვა დაწყნარებულიყო, რადგან არავითარი განსაცდელი არ შეემთხვეოდა მას, თუ ჩუმად იქნებოდა და დაჰმორჩილდებოდა თავის ბედს.

– მაგრამ თუ წინააღმდეგობა გაგვიწიეს სადმე ან საშველად უხმე ვისმე, ან აცნობე ვისმე შენი ვინაობა, იძულებული ვიქნები მოგკლა, – დაასრულა ახალგაზრდამ მტკიცედ.

და მუქარის გასაძლიერებლად ნახევრად ამოაჩინა ქარქაშიდან პრიალა ხანჯალი.

ქალმა უნებლიეთ მორჩილებით მოუსმინა ყოველივე.

– ახ, ეხლა აქ უნდა გაჩნდეს ფარნაოზი, რომ შეგანანიოს თავხედობა. მაგრამ რა? მარტო ქალი ვარ და უნდა შეგრჩეს კადნიერი ლაპარაკი – გაიფიქრა ტასიკომ.

სულ რამდენიმე წუთი არ შემდგარან ტბის ყურს, მსწრაფლ შეუდგნენ გზას.

ქალი ახალგაზრდას უჯდა უკან. გაქანებული მივიდნენ მტკვრის პირს. აქ ერთ წამს შეყოყმანდნენ მგზავრები, შეფიქრიანდნენ. მერე ჭაბუკმა მაგრა ჩაიკრა სარტყელში ქალის მაჯები და შეაგდო ცხენი მდინარეში. მეორემ ერთი კი დაუძახა ამხანაგს, ფრთხილად, სარიდონო, და თითონაც გადააგდო ცხენი. ქალი აიტივტივა წყალმა, ცხენის გავიდან აგლეჯა დაუპირა. ტასიკოს შიშით სული შეუგუზბდა. ცოცხალ-მკვდარი გაიტანეს ნაპირზე. დასველებული და გულგახეთქილი ქალი ვერხვის ფოთოლივით თრთოდა. აქაც არ შეფერხდნენ. მხოლოდ ნაბადში გახვიეს ქალი და გაჰკრეს. ქალაქში არ შესულან, ისნის ბოლოზე გაიარეს. ქალმა გორაკებიდანლა მოჰკრა თვალი ქალაქის ზედიზედ მიყრილ სახლებს. მხოლოდ მაშინ შედგნენ, როცა ტყეს შეაფარეს თავი.

ღამე ტყეში გაატარეს. დიდი ცეცხლი ენთო. ცხენებს ფეხები ჩაუკრეს. ქალს ნაბადი გაუშალეს ცეცხლაპირას. პური მოიმტვრიეს. ყარაულობდნენ რიგ-რიგად იარაღით ხელში. დაღვრემილს ორი სიტყვაც არ დაუძრამს. იყო ჟამი, როცა ორსავე ვაჟკაცს მიეძინა. გაპარვაზე მაინც არ შეიძლებოდა ფიქრი: გარშემო ისეთი ბნელი მოსჯროდა ცეცხლს, რომ ქალს გული უსკდებოდა. დროთი-დრო ხმაურობა რამ გამოისმოდა ტყიდან: ღმუილი, შრიალი, სისინი, ლეწა-მტვრევა. ხანდისხან ახლოვდებოდა ხმაურობა და შემინებული ქალი ცეცხლისკენ იწევდა, უნდოდა დაეძახნა, მაგრამ ვერა ჰბედავდა ხმის ამოღებას. დაღვრემილმა მალე გამოიღვიძა და წამოხტა. შეხედა ქალს, ნახა ცხენები, გარს შემოუარა ბინას. მეორეს ისევ ეძინა უდარდელად. სახე დასწყნარებოდა, ბალღური იერი დასდებოდა: აღარაფერ საშიშს არ წარმოადგენდა ჭაბუკი.

– როგორ მარდად გადმოფრინდა ღობეზე! გამბედავი უნდა იყოს და მარჯვე. ხელი ხანჯალზე უდევს. სრულიად არ შეეშინდა წყალში. როგორ მაგრა მომხვია მარჯვენა! თუ არა, სწორედ მომიტაცებდა წყალი, მომიტივტივა. უჰ, როგორ მოჰქანებდა, რა ცივი იყო, ღრმა, საშინელი! – ფიქრობდა ქალი ნაწყვეტ-ნაწყვეტ.

– ვინ იცის, მამა სად დამეძებეს გამწარებული. მთელს თავის საყმოს შეჰყრიდა. ახ, თუ ფარნაოზი მყოლოდა შინ, მაშინ ვერ გამიბედავდნენ ავს, ვერ შემკადრებდნენ, მაშინ ესე წყნარად ვერ მოისვენებდნენ ჩემი მტარვალნი: მისი გული იგრძნობდა განსაცდელს, თვალს არ მომამორებდა, ქვესკნელსაც რომ ვყოფილიყავ, იქაც მიპოვნიდა. ერთის შეტევით დაიმონებდა ამათ ფარნაოზ! – ამოუკვნესა გულმა უნებლიეთ.

ღამის წყვდიადით შეძრწუნებული ქალი თვალებს აფეთებდა, უნებლიეთ კაცებისაკენ იწევდა. ეგონა ნადირი დამეცემა ტყიდან, ქვემძრომი შემომეხვევა ბალახიდან, რამე მტაცებელი ჩამოფრინდა ხის ტოტებიდან, მავნე რამ სული დამეტანება ბნელიდანაო. ძალიან გაგრძელდა ღამე! ცეცხლი გუზგუზებდა ძლიერი. ქალმა რამდენჯერმე უბრუნა გვერდი. გათბა, გამრა, გახურდა. ძალიან კი იყო დამტვრეული. ჩასძინებოდა.

მეორე დღეს ტყე-ტყე იარეს უგზო-უკვლოდ. აყრილი ტყე იყო წიფლიანი. ცამდის აწვდილმა ხეებმა თვალი წარტაცეს ქალს. მშვენიერმა ჰაერმა და სუნნელებამ მოახედა ქალი, გულს უფონა. აღმა-აღმა მიდიოდნენ. მთის წვერზე ვაკე რომ გამოჩნდა ბალახოვანი, მცირედ შეისვენეს. წყარო გადმოსჩქეფდა, ქვეით მისწრაფოდა ღელესაკენ, გალაღებული შამბი ჩასდევდა ნაკადულს. დაემვნენ თავქვე, დაჰყვნენ ხევის პირს. ჯერ ისევ ნათელოდა, როცა დათხელდა დაბურული ტყე და თხილნარად შეიცვალა. მიაღწიეს ტყის პირს.

– აი, ქალო, ხევის პირს რომ სოფელი მოსჩანს, იქ იქნება შენი ბინა. ეჰ, დროებითი ბინა, რასაკვირველია! იქ არის ჩემი სახლი. დედაჩემი შვილივით მიგიღებს. ერთი შენხელა დაცა მყავს, დაგიმეგობრდება, – უთხრა ახალგაზრდამ ტასიკოს.

ქალმა მზრუნველობა რომ იგრძნო ჭაბუკის ხმაში, სიტბო რამ კეთილისა და ვერ გაეგო, რამა ჰყო იძულებულ ეს ვაჟი ისე მტრულად და მკაცრად მოჰქცეოდა მისთვის სულ უცხო ქალს, ესე უწყალოდ რომ მოსწყვიტა ის მშობლის სახლს!..

კარგად რომ შეღამდა, მხოლოდ მაშინ წაიყვანეს ქალი სახლში.

38

ბნელოდა, როცა მგზავრებმა გაიარეს ხევი და შევიდნენ სოფელში. გადაიარეს ფართო რამ ეზო. შედგნენ სახლის წინ.

– შვილო, სარიდონ, შენა ხარ? – გამოეხმაურა დედაკაცი: – მოხვედ მშვიდობით!

– დამხვდი მშვიდობით, დედი! ჩვენა ვართ, მე და გიორგი გუდანელი.

– რაზმიდან თუ მოდიხარ, შვილო? რა ამბავია, რა იმედი?

– მშვიდობა იყო და გამარჯვებას ველოდდით. ეხლა კი არ ვიცი, რა ამბავია: ერთი კვირაა, რაც ჯარს გამოვცილდი, – მიუგო სარიდონმა და განაგრძო:

– დედი, აი ეს ქალი მოგგვარე. სტუმარია შენი და შვილივით მიიღე, გაუფრთხილდი.

– ვინ ქალი, შვილო? – შეეკითხა გაკვირვებული დედაკაცი, მაგრამ პასუხს აღარ მოუცადა და მივიდა ტასიკოსთან.

ბნელოდა, ვერაფერი გაარჩია სარიდონის დედამ: ხელი დაუჭირა ქალს, სახლში შეიყვანა. ტასიკოს თავი დაეხარნა, ცრემლები მოჰრეოდა. დედაბერმა მიუნთო ჭრაქი და სინჯვა დაუწყო. ტასიკოს გული ამოუჯდა, ქვითინი მორთო. ძალიან მოეწონა დედაკაცს მტირალი ნორჩი, გაიღიმა, თანდათან სახე გაუნათდა სიამით. ამ დროს გარედან შემოვარდა ახალგაზრდა, უბრალოდ ჩაცმული ქალი და გადაეხვია სარიდონს, მაგრამ ჯერ სწორედ არც კი ევოცნა, რომ მოსწყდა ძმას და შემფრთხალი შველივით შესდგა სტუმარ ქალის წინ. გაკვირვებული ხან ქალს შესცქეროდა, ხან ძმას. თვალეზი აღტაცებით აეგზნო და მისალმების მაგივრად პირდაპირ გადაეხვია ტასიკოს.

– ნუ სტირი, მშვენიერო!

– შინაურიმცა ხარ, შვილო! ჩემ სახლში არა გაგიჭირდება რა. ნუ ინადვლი, საყვარელო! – მიუბრუნდა დედაბერი მტირალს.

დედას ეგონა, ჩემ შვილს შეუთვალეიერებია სადმე მზეთუნახავი და გამოუტაცნიაო. რახან ქალი პირველისავე შეხედვით ძალიან მოეწონა, სიამაყე იგრძნო დედაკაცმა: ნახეთ, რა საქები ბიჭი გამომიზრდიაო, და მიუბრუნდა შვილს:

– აი, შე ეშმაკო! მეტყოდი მაინც, თუ ქალის მოყვანა გეგულა, რომ ღირსეულად დავხვედროდი ამ ღვთის შვილს.

ამ სიტყვების გაგონებაზე ტასიკომ ტირილს უმატა, ვაჟს კი რაღაცამ უკბინა გულზე და დაღონებულმა უპასუხა:

– არა, დედილო, ეს ქალი მე ბიძაჩემის ევდემოზის ბრძანებით გამოვიტაცე. ქალაქს დამიბარა და მიბრძანა, ქალი ისე უნდა მოიპარო და გადამალო, რომ მე-ქრისტიანმა არ გაიგოსო; შენ მოხერხებაზეა დამოკიდებული ჩვენი შეთქმულობის ბედი, ჩემი სიცოცხლე და თვით ამ ქალის სიცოცხლეო. დიდ განსაცდელში ჩავცვივით ყველა, თუ ვერ შეასრულე ეს მონდობილობა და გაგიგესო, დაამთავრა ევდემოზმა.

– რას მეუბნები, შვილო?! ვისი ქალია ეს ქალი?

– ეს არის თავად ყაფლან არსიანელის ქალი, ტასო. ერთადერთი მემკვიდრეა მისი. მაგრამ გახსოვდეთ, თქვენ არ იცით ამ ქალის ვინაობა, არც რამე გაგიგონიათ ამის გატაცებაზე თუ დაკარგვაზე: საიდუმლოდ უნდა დარჩეს ეს ყოველივე.

– ქალო! – მიუბრუნდა სარიდონი ტასიკოს, – ჩემი სახლი შენ სახლად იგულე, დედაჩემი –დედაშენად; მხოლოდ ერთის პირობით: არას გზით არ აცნობო ვისმე შენი ამბავი. გახსოვდეს ეს; თუ არა, იძულებული ვიქნები, არ დაგინდო.

– არსიანელი! გამიგია, მახსოვს, როგორ არა. ჩემი მაზლი ამბობდა: თუ ის თავადი მივიმხრეთ, მაშინ ბატონ თეიმურაზის საქმე მოგებული იქნებაო, – ამბობდა სარიდონის დედა.

და თან ისევ სტუმარს ათვალიერებდა, მზერით ვერა ძლებოდა.

– მიკვირს, შვილო, ეგეთი ძნელი საქმე მოუნდვია შენთვის ბიძაშენს. ხომ შეიძლებოდა, და ძალიან ადვილადაც, თავი გენაცვლებინა ამ საქმისათვის, ან, ნეტავი ვიცოდე, ეგეთი რა საიდუმლოა დაკავშირებული ამ ნორჩ ქალთან?

ქალს მოუალერსეს, დააწყნარეს, მოუსვენეს.

39

მისდევდა განუწყვეტლად დღე დღესა და ღამე ღამეს, დაუსრულებლად ეჩვენებოდა ტყვექმნილს დღე-ღამე. აგერ თითქმის მთელი თვე გავიდა, რაც ტასიკო ახალ ბინაზე სცხოვრობს დაბა გვირაბიანში. ძნელად ეჩვეოდა ქალი თავის ყოფას. სარიდონის დედამ და დამ მაინც ძლიერ განუქარვეს ქალს სევდა, შეაძლებინეს უბედურობის ატანა: შეიყვარეს, ხელს უწყობდნენ, უვლიდნენ, თითქო ნათესავი ყოფილიყოს ძვირად სანახავი და სასიამოვნო. მაინც დაბაშიც ისე გააცნეს ტასიკო, როგორც სტუმრად შემოხიზნული ნათესავი, დაობლებული. ქალი დარდობდა, გულჩათხრობილი იყო, დაღონებული. სცდილობდნენ ენუგეშებინათ, გაერთოთ, გაეხალისებინათ. ხან მეზობლებში მიჰყვანდათ, ხან ტყეში, ხან წყლის პირას.

გვირაბიანი დიდი სოფელი იყო, მდიდარი, ქვითკირის სახლებიანი. ხევის პირას იყო გაშენებული. ხევი აქ ძალიან ფართოვდებოდა, განივრად შეჰფენოდა გვერდაები. ანკარა წყალი მოდიოდა საწისქვილო. სოფლის თავში კოშკი იდგა, რიყის ქვით ნაგები; კოშკიდან იწყებოდა გვირაბი და ჩასდევდა ხევს ნაკადამდის. სოფელი დასავლეთ ფერდობზე იყო გაშენებული, მზის მხარეს, და ძალიან მყუდრო ადგილი ეჭირა. ბაღები დაბლა ჰქონდათ გაშენებული, ნაკადის პირას. სარიდონის ეზო-ყურე წყლამდის ჩასდევდა. წყლის პირას ბექობში კაკლის ხე იდგა. მთელ ამეძის ხეობაში კაკალი არსადა გვარობდა, აქ კი ეხარებინათ, გაეზარდნათ. სარიდონსაც და მთელ სოფელსაც თავი მოჰქონდა ამ კაკლის ხით. დაბერტყვაში ყველასა ჰპატიჟობდნენ სარიდონიანი!¹

ტასიკომ ამ სოფელში გაატარა რამდენიმე კვირა. თუმცა მთელ ამ დროს განმავლობაში დარდის ბურუსი ეხვია გულს, მაინც სიამოვნებით იგონებდა შემდეგში ამ მდიდარ და მშვენიერ სოფელს. მეტადრე პატარა მდინარე შეუყვარდა ტასიკოს. ქვებზე მოჩანჩქარებდა ანკარა ნაკადი. ზოგან ჩახრიალად ჩარბოდა, ზოგან მორევად ეხვეოდა. ეს სუფთა მთის წყალი სავსე იყო თევზით. ერთი პაწია მორევი კაკლის ძირში ტრიალებდა. ქალს ეს მორევი თევზით სავსე აუხს აგონებდა თავიანთ ბაღში. აქაც თევზების კვებით ირთობდა თავს, ჩამოიტანდა პურს და ნამცეც-ნამცეც უყრიდა. შეეჩვივნენ თევზები, მის დანახვაზე სიღრმიდან გამოდიოდნენ, ნაპირს ეტანებოდნენ.

¹ ქარტეზში და აღწერებში ვეღარ ვიპოვე სოფ. გვირაბიანი. მე რომ ვინიშნე, იმ ადგილას აღნიშნულია ტოლათ-სოფელი, ამეძის ტოტზე. უნდა კი იყოს ახლო სადმე იქ გვირაბიანის ნანგრევები. კაკლის ხის კვალი არა მგონია დარჩენილიყოს (ავტორი შენიშვნა).

ქალი იჯდა აქ დაღონებულ-დამძარებული. ოცნებათა ტალღებში სცურავდა მისი ფიქრთა ნავი. მისი ფრთაშესხმული ნატვრა ფარნაოზს დასტრიალებდა თავს.

ექებს ფარნაოზი ტასიკოს, აგერ-აგერ მოეშველება მას, იხსნის ტყვეობისა და განსაცდელისაგან. საფრთხე კი სწორედ მოელის ქალს, თორემ კი ბუნებით კეთილი სარიდონი ესე სასტიკ მცველად არ დაადგებოდა მას. ვგონებ, თითონ სარიდონმაც არაფერი იცის ტასიკოს მომავალზე, არც ის იცის, რა ავი დასტრიალებს მას თავს. უთუოდ ამასაც ის ძლიერი მარჯვენა ამოდრავებს უჩინარი, რომელიც ამოქმედებდა თვით ევდემოზს.

– ვინ არის ის ძლიერი და საშიში ადამიანი, რომელსაც უბრძანებია მისთვის ჩემი გატაცება და გადამალვა? იქნება ისიც უბრძანა, მოჰკალითო, იქნება, კიდევ მომკლან... არა, მეფე როსტომი არ უბრძანებდა ჩემს ტანჯვას: იმას ხომ შევეყვარებივარ მე. მაშ ვინ არის დაუძინებელი მტერი ჩემი? ვინ დამიხსნის მისგან? მიხსნის ფარნაოზი, მიპოვის და განმათავისუფლებს! ის არ შეუშინდება იმ უჩინარ ძალას. არავის შეეპუება შეუპოვარი!

დაჰყურებს ქალი მოკამკამე მორევს და მის ოცნებაში თანდათან ფაქიზს და ანკარა სახეს იღებს მისი გულის გმირი: უმწიკველოა ფარნაოზი. ქალს მისი გული გადაშლილი აქვს თვალ-წინ და იქ ხედავს ყოველსავე მის გრძნობას თუ ფიქრს, როგორც ამ ანკარა მორევის ძირში ყოველს კენჭს თუ თევზს.

– და ყოველივე გრძნობა ფარნაოზისა, ყოველივე ფიქრი მისი, ყოველივე სურვილი მისი ჩემკენ მოისწრაფის, მე მეტრფის, მეხვევა, თავს მევლება. ახ, როგორ იტანჯება უჩემოდ!

ქალის ოცნებაში გადიდდა ჭაბუკი, გმირი რამ შეიქმნა სახელოვანი, რომლის წინააღმდეგობა არავის ძალუძს. აი ამ კაკლის ხის ოდენაა და ისეთივე ამაყი, გაუტეხელი, ცამდის აწვდენილი, თავს არავის მოუხრის, არც დიდ ქარიშხალს. ეს ბუმბერაზი თავს დასტრიალებს ტასიკოს, როგორც აჩრდილი ამ ბუმბერაზ ხისა დასტრიალებს თავს ამ ანკარა მორევს, ციმციმებს მასში, ეტრფიალება მას. ესენი ერთნი არიან, ეს უზარმაზარი ხე და ეს ანკარა პაწია მორევი, შემამკობელნი ერთმანეთისა და მაშვენებელნი. განა შეიძლება ამ პატარა მორევმა არ დაჰკარგოს თავისი სიკეკლუცე, თუ მოუსპობთ მას ამ ხეს ან თითონ ხემ მიძიდეველობა და მისმა ფესვებმა მაცოცხლებელი ცვარი, თუ ამოუშრობთ საგუბარს? მძლავრი მცენარე იხედება ანკარა საგუბარში და მის გულში ხედავს თავის სახეს შეუშლელს.

– ფარნაოზ ჩემო! შენი სახეც შეუშლელად არის აღბეჭდილი ჩემს გულში, იქ ჰპოვებ შენს სურათს, ჩემ სალოცავ-სათაყვანებელს. სადა ხარ, სატრფო ჩემო ლომგულო? სადა ხარ, რომ მკადრებენ მე ტყვეობას?! ყორანი დამტრიალებს თავს შავბედიით. განგმირე მისი გული! მოვედ მწედ ჩემდა, ისწრაფე, მოვედ!

ელოდა ტასიკოს გული მშველელად ფარნაოზს, როგორც ცვარს რასმე მცენარე უდაბნოში, როგორც მზის სხივს ბნელით შეწუხებული, როგორც სითბოს ყინვით დამზრალი. დაობლებული გული უსაზღვრო სივრცეში ეძებდა გულს თანამგრძნობელს, შორით მოუხმობდა მას, ეხვეწებოდა.

იქვე კი ახლო მის სხივზე ცვილივით დაღბილებულიყო გული კაჟისა, დამდნარიყო; იქვე კი ახლო დაჰმონავებოდა მას სული ახოვანი, მოდუნებულიყო მკლავი რვალისა: სარიდონი დაჰლონებოდა თავის დედას, ისარი დასმოდა მის გულს, ტკბილ შხამიანი და უკურნებლად დაეკოდა იგი.

აღარ ისმოდა სარიდონის ხმა ბრძანებისა, აღარ ისმოდა მისი მაღალი სიცილი; მისი მხიარული სიმღერა აღარ ეფინებოდა დაბლა ღელეს და მაღლა მთას; მისი თარი აღარ წკრიალებდა სამხიარულოდ, აღარ უკრავდა სახალისო ჰანგებს მთვარიან ღამეში: იგი ეხლა ქვითინებდა, ტიროდა უიმედოდ, აცრემლებდა მსმენელთ. ფეხაკრეფით დადიოდა ბრგე ვაჟკაცი, სიტყვაგამქრალი, ხმაჩანელებული, თავდახრილი. ცრემლებიც კი შეენიშნათ სარიდონის თვალებში, ნამი ცრემლისა. რამდენჯერმე სცადა ჭაბუკმა სახლიდან წასვლა, შორს გადაკარგვა, მაგრამ ამაოდ: ანდამატის ძეწკვით იყო დაბმული და ერთსა და იმავე ადგილს დასტრიალებდა.

სარიდონი გადიოდა სანადიროდ და მოართმევდა ქალს საუკეთესო ფრინველს თუ ნადირს; სცდილობდა ესიამოვნებინა რამე თავის ტყვესათვის. საუბარს კი ვერ უბედავდა, – ვაითუ ჩემი თქმა არ ესიამოვნოსო, ვაითუ ეწყინოს და წარბი შეიხაროს გარისხებულმაო. უცეცხლოდ იწვოდა ვაჟკაცი.

და რაც უფრო დრო გადიოდა, მით უფრო ძლიერდებოდა უიმედო ტრფობის ალი.

– თუ ფარნაოზ იქა მხლებოდა, შენ ვერ გამიბედდი წყენასა, არ გაგიმარჯვდებოდაო, მითხრა იმ დღეს და თავი დახარა. ახ! ნეტავი, ვინ არის ის ფარნაოზი, ბედნიერი, ნეტარი?!

შინაობა ატყობდა სარიდონს, რა სწვავდა ვაჟკაცს, ვის დაეტყვევებინა იგი, თანაუგრძნობდა მის გრძნობას. ძლიერ უნდოდათ დიასამიძიანთ მათი სახლის შვილი შექმნილიყო ეს ქალი. მაგრამ სხვაგან ჰქროდა მშვენიერის გონება, სხვა მხარეს მიიზიდებოდა მისი გული, სხვა გზას ათვალერებდნენ მისი ნათელი თვალები. დაღონებული იყო სარიდონის შინაობაც.

გარედანაც დასაღონებელი ამბები მოდიოდა. მოვიდა ამბავი, შეთქმულება გამჟღავნებულა და თეიმურაზის მომხრე ლაშქარი სასტიკად დაუმარცხებია იორამ სააკაძესაო. შემდეგა სთქვეს, ევდემოზ ქათალიკოზი და სხვა შეთქმულები შეუპყრიათო. მოვიდა შავი ამბავიც, სასტიკად დაუსჯიათ პყრობილნი: ევდემოზი განჯის კარის კოშკიდან გადმოუგდიათ, გოჩაშვილისთვის თვალები დაუთხრიათო. გლოვა შეიქმნა სარიდონის სახლში, ძაძით შეიმოსა იგი ოჯახი.

აღარ მხიარულობდა ბუნებაც. მთის მაღლა წვერები დაითოვლა, ნიავი თანდათან საგრძნობელი შეიქმნა, ჩაყვითლებულ-ჩაშავებული ფოთოლი კვნესით ჰმორდებოდა მასაზრდოებელ რტოს. ბუნებას ეგრძნო ზამთრის სიახლოვე და ფრთები დაეშვა დაღონებულს.

41

ჰპოვა ფარნაოზმა დაკარგული სატრფოს კვალი და მიჰყვა მას დაუყოვნებლივ. იმავე დღეს გავიდა ქალაქიდან. ჩქარობდა, უნდოდა დროზე მიესწრო, რომ ქალი არსად გადაეკარგნათ იმ ბინიდან ან არ მოესწრაფებინათ მისთვის დღე. მოსალოდნელი იყო ყოველივე ბოროტი; ძლიერი ხელი ათამაშებდა მის ბედ-იღბალს, დაუნდობელი; იქნება აღარ ეკმარნა მას ქალის დაკარგვა და მოესურვებინა მისი დაღუპვა. ვიღაც ძალის მექონეს და ბოროტს პირადი ანგარიში ჰქონდა იმ ქალთან. უნდა აჩქარებულიყო ფარნაოზი, დროზე მიჰმეველებოდა.

– მივასწრობ კი, ვიპოვი კი, მოვახერხებ მიშველებას? ვაი თუ გვიანდა არის!.. – გაიფიქრა ვაჟკაცმა.

და მთელი არსებით წინ წაისწრაფა.

ახ, ფრთები არა ჰქონდა – გაფრენილიყო, ფრთები!

– გაიტაცეს უმწეო ქალი. ვინ იცის, რა უგზო-უკვლოდ ატარეს, სად დაუღამ-
გაუთენეს, რა ხიფათი შეამთხვიეს, რა გასაჭირი. ავაზაკების ხელში ქალი უპატრონო... –
ფიქრობდა ვაჟკაცი.

და შავ-ბნელი ეჭვი უღრღნიდა გულ-ღვიძლს.

– თავს მოიკლავდა ტასიკო, უთუოდ თავს მოიკლავდა! მისცეს კი დრო თავის
მოკვლისა ან შეძლება?..

გამოუთქმელად იტანჯებოდა ჭაბუკი, ცხენს აჩქარებდა, გზა კი უფრო
გრძელდებოდა, არ ილევოდა. გადაიარა ვაკე, შევიდა ტყიან გორაკებში, განვლო რიყიანი,
გადავლო მომცრო მთა და ჩაეშვა თემის ღელეში. დაიღამა. დასვენება უნდოდა ცხენს.

ალიონზე რომ შეხედა ფარნაოზმა, წინ ვეება მთა აჰყუდებოდა უდაბურ ტყით
შემოსილი. ნისლი ეხვეოდა მთის წვერს. ეს მთა უნდა გადაევიდა, რომ ჩაშვებულყო
ერწოს ვაკეში. გზა არსადა სჩანდა. ბილიკი რამ მისდევდა ხვეული, სახიფათო
გადასავალსა ჰგვანდა. ფარნაოზი ნავალი არ იყო აქეთ. სიფრთხილეს ნაჩვევმა
ახალგაზრდამ ფიქრიანად მოავლო თვალი არეს. მარტოდმარტო იყო მსუბუქად
შეჭურვილი, ცხენზე კი კარგზე იჯდა. მოიმარჯვა იარაღი და შეუდგა მთას.

ბილიკი მალე მიიმალა თვალიდან: უხვად ჩამოსულ ფოთოლს ყველგან და
ყოველივე დაეფარა. ერთ წუთს შესდგა მგზავრი, დაფიქრდა და ხევისკენ გადუხვია.
ხევს შეჰყვა, რადგან თუმცა აღმაცრივ მიდიოდა იგი და დასავლეთისკენ იწევდა, მაინც
მთის წვერამდის უნდა აეყვანა. ხევი ჩახერგილი აღმოჩნდა ნარიყით თუ ქვით და
ძნელი სავალი. მოსწყდა ცხენი, მუხლი აუთრთოლდა, მაინც წინ მიდიოდა. მგზავრმა
მიაღწია მწვერვალს. დიდებული სანახავი გადაეშალა თვალწინ. ამპარტავნულად
მოელერებინა ყელი ამაყ ბუნებას, კაცთაგან შეულახავს, დიდებულს, მშვენიერს,
დალოცვილს. პირველ წყევას ვერ მიეღწია იქამდის და ვერ მოეწამლნა ბუნების სახე.
შეისვენა. დანაყრდა.

თავქვე იმოდენა აღარ იყო. მალე ჩაათავა და გავიდა ველად. მოზრდილი რამ ვაკე
ჩანდა ირგვლივ ტყიან მთებით შემოზღუდული. იარა. მდინარის სათავეს რასმე წაადგა
ჭანჭრობიანს. აძეძიაო, დაუსახელეს. იკითხა სოფელი გვირაბიანი. მიასწავლეს. ბევრით
დასცილებიყო სოფელს: უნდა ჩაევიდა მდინარის მარჯვნივ, თითქმის გაენახევრებინა
ველი და იქიდან შეჰყოლიყო ხევს, რომელშიაც ჩამოდიოდა მოზრდილი ნაკადი, აძეძის
მარჯვენა ტოტთაგანი. მიაგნო ხევს, შეჰყვა. ხევი მთისკენ იწევდა, უფრო და უფრო
ღრმავდებოდა, ფართოვდებოდა. ტყის პირში, ხევის მარჯვენა ფერდობზე, გამოჩნდა
სოფელი. გვირაბიანიო, უთხრეს. გზა ზევით დარჩენილიყო. ეგრე იარე ხევ-ხევ და
ზედ მიხვალ დიასამიძის სასახლესთანაო, მიასწავლეს.

უახლოვდებოდა ფარნაოზი სოფელს და გული უფრო და უფრო უძგერდა,
უჩქროლავდა, საგულეში აღარ დგებოდა. ეხლაც თუ ასცდა სამებარს, ეხლაც თუ ვერ
იპოვა თავისი სულისდგმა, სევდა გულს გაუპობს. აქამდის რომ მოუთმენლად
ისწრაფიდა წინ, ეხლა უნდოდა გაგრძელებულიყო ხანი. ცხენი შეაფერხა: ემინოდა,
მოეახლოვებინა გაცრუებულ იმედთა წამი.

სოფლის ბოლოს ჩამოხტა. ცხენი შეაქაქანა, ტანთსაცმელი გაისწორა, იარაღი
გასინჯა, შეკაზმულობა შეასწორა და მოახტა მერანს. ტაიჭი გადაფრინდა და გაექანა
წინ. ამაყად იჯდა მხედარი, როგორც რამ ქანდაკება. მის სახეზე მხოლოდ შეუპოვარი
გამბედაობა აღბეჭდილიყო: გული გაეკლდევებინა და გაუტეხელად დახვდებოდა
ბედისგან ნასროლ ისარს თუ მტრისაგან მოქნეულ მახვილს. გული რაღაცას
ჩასჩურჩულებდა ფარნაოზს, მაგრამ ის ყურს აღარ უგდებდა მის თხრობას:
საბრძოლველად მიდიოდა წინ, რადგან არ ეგონა, უბრძოლველად დაუთმობდა ვინმე

მას ძვირფას მარგალიტს. გული მაინც არა სცხრებოდა, სიხარულით ივსებოდა, ილიმებოდა, რაღაცა ბედნიერებას უცინოდა. მაინც ვერ მიახედა თავისკენ მხედარი.

ტასიკო დღესაც ჩამოსულიყო კაკალთან, თევზებს ეთამაშებოდა, ეალერსებოდა, ნამცეცებს უყრიდა. მოესმა ფეხის ხმა, ვინმე ცხენოსანი უნდა ყოფილიყო. ბუჩქები ეფარა. ქალი წამოხტა და მიაპყრო თვალი. გამოსცდა ფარნაოზი უკანასკნელ ბუჩქს და პირისპირ შეხვდა ტასიკოს. ქალ-ყრმა ერთ წამს შედგნენ გაქვავებულნი: უეცრად აზვირთებულმა გრძნობებმა ვერ შესძლეს მსწრაფლ გამოსულიყვნენ; მაგრამ მალე განხორციელდნენ იგი გრძნობები, გამოკრთნენ და შეუერთდნენ ერთმანეთს. ვაჟი გადმოფრინდა, გადაეჭდო ხელაბყრობით მომავალ ქალსა.

– ტასიკო!

– ფარნაოზ!

ერთიღა შეიქმნა განუყოფელი არსება ორი, მოისპო განცალკევება მათი და იქნენ ორნი ერთხორც და ერთსულ. საიდუმლო ბედნიერებისა! იმ ჟამს კაცი ღვთაებაა ყოვლად ნეტარი.

და წამი იგი შვებისა, ვითარცა წელი ათასი! იმოდენა ბედნიერებაა შენივთებული იმ ერთს წამში, რომ იგი სწვდება და ჰფარავს მთელ შემდეგ სიცოცხლეს, ჰყოფნის მას.

ვაი, რომ ბედნიერება ცოტაა, მცირედ არის გაბნეული სამყაროში, იშვიათია! შემოქმედს უხვად არ შეუფრქვევია ნეტარება ქვეყნიერებისათვის და თუ ერთს ჰხვდა წილად იგი ნეტარება, სხვა იქვე, იმისვე გვერდზედ, უნდა იწოდეს უბედობით და ჰგმობდეს შემოქმედს.

ფარნაოზ-ტასიკოს რომ ცა გაეხსნათ და დაეფინათ ნათელი სიამისა, სარიდონ დიასამიძეს მიწა გაუსქდა და წყვდიადმა მოიცვა მისი არსება.

ზევით იდგა სარიდონი თავის ეზოში და იქიდან უმზერდა ტასიკოს, თვალს ვერ აშორებდა, სტკბებოდა შორიდან მისი არსებობით. გაჩნდა უცხო მხედარი ქალის ახლო. სარიდონ მსწრაფლ დაეშვა მისკენ, მაგრამ, როდესაც ქალ-ყრმა გადაეჭდო ერთმანეთს, სარიდონი შესდგა, დაიხარა, ჩაიკრიფა, ჩაიკეცა.

და წუთი იგი წამებისა, ვითარცა წელი ათასი!

იმდენი უბედურებაა შენივთებული ამგვარ ერთს წამში, რომ იგი სწვდება და ჰგესლავს მთელ შემდეგ სიცოცხლეს ადამიანისას.

[1908 წ.]

სოვდაგარი

1

– ამბობენ, ქართველს ვაჭრობაში შნო არა აქვსო. ეს მართალი არ არის: მთელ დასავლეთ საქართველოს ეხერხება ვაჭრობა. თანხა არა აქვთ, თორემ ნახავდით, რა უნარს გამოიჩენდნენ ალებ-მიცემამი. აქათაც, ქართლ-კახეთშიც, ბევრმა შესძლო ვაჭრობის მოწყობა და თავი ისახელა.

– ვინ ისახელა თავი? ათასში ერთი თუ ღონღიალობს. არამც თუ კერძოდ ვერ უძღვება ჩვენი კაცი ვაჭრობას, ამხანაგობებმაც ვერ შესძლეს სოვდის როგზე წაყვანა: ან დაიკეტნენ, ან დღე აქვთ დათვლილი.

– ძალიან უიმედოდ უყურებ საქმეს! შენ სიტყვებში თუ ცოტა სიმართლეა, მხოლოდ იმისთვის, რომ ჩვენ სხვანაირ ცხოვრებას ვატარებდით: ხმალ ქვეშ ვიყავით,

წყნარი ცხოვრებისთვის არ გვეცალა და გამოცდილება გვაკლია. ნიჭით კი არ ჩამოუვარდებით არავის. მართლა და, რითი მჯობია თუნდ მე ვიღაც პაპარ-კონია, ან თავდიდა, ან ქოსა აბრია? რა იციან ჩემზე მეტი, რითი არიან ჩემზე ჭკვიანნი? სრულებითაც არაფრით! გავა დრო, შევეჩვევით ამ ჩვენთვის ახალ საქმეს, გამოვიცდებით და კეთილად წაგვემართება ხელი.

– ღმერთმა ქმნას! მე კი არა მჯერა, რომ ქართველმა ოდესმე გამოიჩინოს სოვდაგრობის ნიჭი.

– ტყუილადა ხარ გულგატეხილი, ყმაწვილო! გეუბნები, ხელი მომიმართე, საქმე მომიწყე და დარწმუნებული იყავი, რომ ცხოვრების ბორბალი წაღმა დატრიალდება ჩვენთვის, ბედი გვეწვევა.

2

ასე ლაპარაკობდნენ დიმიტრი ბაქარიანი და მისი ძმა ბაქარ-ბეგი, სოფელ გადამწვარის აზნაურები. ბაქარიანთ საკმაო მამული ჰქონდათ, სახნავ-სათესი, ტყე თუ ზვარი. სახლი მაგარი ედგათ ქვისა. საბძელ-სახვავე თუ ბელელ-სასიმიინდე ჯერ ჯანსაღად გამოიყურებოდა, წელში არ იყო წახრილი, არც ჩამოფლეთილ-ჩამოწელილი. მაგრამ სახლ-კარის კეთილსანახობა აწ გარეგნობადა იყო, გული კი ფუფი ჰქონდა ამ ოჯახის კეთილდღეობას, დაყანდებული. იგი ოჯახი გარედან მტერს უყენებდა თვალს, შიგნიდან პატრონს.

ეს ყველაფერი ამ ცოტა ხანში მოხდა, როდესაც მამულმა ჩვეულებრივი ნაყოფი ვეღარ მიუძღვნა პატრონს. მიწა ეხლაც წინანდებურად აბერტყავდა თავის უხვ კალთას მომვლელს, მაგრამ მის სიუხვიდან გადმონადენ კეთილს ეხლა სხვა გზა ეპოვნა, ბაქარაშვილების კარებს ასცდენოდა.

წინათ ბაქარიანთ ოჯახი დოვლათიანი იყო. პატრონს უღიმოდა. უვალო არ იყო. რაღა ქართველ კეთილშობილის ოჯახი იქნებოდა, უვალო რომ ყოფილიყო! ვალი ჰქონდა, მაგრამ შემოსავალი სახლსაც ჰყოფნიდა, სარგებელსაც პირნათლად უძღვებოდა, თავნ-ვალსაც შეაგლეჯდა ხოლმე ხორცებს. ეხლა მიწის მუშას ზურგი შეექცევინა მემამულისათვის და შემოსავალი უეცრად დაშრეტილიყო.

დიმიტრი შეაფიქრიანა ამ გარემოებამ და უმატა შრომას, აღარ დაზოგა თავი, ყველაფერი იკისრა, მაგრამ ფონს ვეღარ გავიდა, მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალია, შრომაში ხომ საბრალოა და საპყარი. რას გასწვდებოდა ცალი კაცი აუარებელ საქმეს შინ თუ გარეთ, როცა მშრომელმა ხალხმა მთლად ზურგი შეაქცია მას და მისთანებს!

– კაცო, ბაქარ, ძნელი დღე დაგვიდგა და შენც დამეხმარე რამეში. შენ რომ მხარში ამომიდგებოდე, ჩვენს ბედს ვერ შეარყევდა ეს მოულოდნელი ქარიშხალი. თუ არა, დავილუპებით: მამულს ვალში გაგვიყიდიან და კერას ჩაგვიქრობენ.

– ნუ ხარ სულმოკლე, ძმაო დიმიტრი! ეს ამბავი დროებითია, წუთიერი, გაივლის რამდენიმე ხანი და ჩავარდება ქარიშხალი, ჩადგება წყალი ნაგუბარში. ისევ ისე დავიწყებთ ცხოვრებას, როგორც გვიცხოვრნია აქამდის, როგორც უცხოვრნია ჩვენს მამა-პაპას, როგორც შეჰშვენის ჩვენს კეთილშობილებას.

3

ბაქარ-ბეგი ამას გულწრფელად ამბობდა. იმას უშრომლად გაეტარებინა თავისი დღენი, უჯაფოდ ეცხოვრნა გემრიელად და ვეღარც კი წარმოედგინა ისეთი დრო, როცა შეიძლებოდა კეთილი ცხოვრება მოჰშლოდა. იმთავითვე მადლიანად გადაეშალა ბაქარ-ბეგს ცხოვრება და შეაჩვია უზრუნველობას.

ბაქარი უმცროსი შვილი იყო ბაქარიანთ ოჯახში და ხელისხელ საგოგმანები, რადგან იმის მამას, პაატა ბაქარიანს პირველ ვაჟის შემდეგ ზედიზედ ქალები გაუჩნდა და ამან დააღონა მეუღლეები. ბავშვი ისე სათუთად აღზარდეს, თითქო ვინმე ბატონიშვილი ყოფილიყოს. ნებივრობა ხვედრი შეიქმნა ამ ბავშვისა, ცივ ნიავს არ ადენდნენ.

ცოტა გვიან გაიმეტეს სასწავლებელში მისაცემად. სკოლის მძიმე უღელი ვერ აიტანა და სამი წლის შემდეგ ბაქარი სამუდამოდ დაბრუნდა სახლში. განა უნიჭო იყო, მაგრამ სწავლას შრომა უნდოდა, იმან კი არ იშრომა. დაბრუნებულ ბაქარს სახლში ჯერ ყველა აემრიზა, სოფელშიაც რამდენჯერმე დასცინეს, მაგრამ მისმა მშვიდმა თვალებმა, მოსიყვარულე ხასიათმა, მისმა გულკეთილობამ და სუფთა ქცევამ ყველა შეარიგა მასთან, ყველა დაუმეგობრა. სცხოვრობდა ბაქარი სახლში ნებივრად, წყნარად; ალაღებდა ხორცს, აღორძინებდა. ისეთი ვაჟკაცი გადიფურჩქნა, მტერსაც ეამებოდა მისი შეხედვა.

შუა ტანისა იყო ბაქარ-ბეგი, მოხდენილად ნაგები, თეთრ-წითელი, ფუჩფუჩი. გვერდზე გადავარცხნილი რბილი თმა ყურებამდის სწვდებოდა. სუფთად შენახული ბურცა ხელი არქიელის თათს უგავდა საკოცნელს. მშვენიერი უღვაში გაეზარდა, გრძელი, ბოლო დაშვებული. წვერს იპარსავდა, ცოტაოდენ წვერის თივთიკს უღვაშებს უმატებდა და ისეთი ყავლიანი უღვაშები საგანგებო ბილებადა დგებოდა. ბაქარ-ბეგი ლაპარაკში წყნარად გადისვამდა უღვაშზე ხელს და იტყოდა:

– მაშ ეს უღვაში მომპარსე, თუ...

და იცით, რა უბედურება იქნებოდა ბაქარ-ბეგისათვის, მართლა რომ მოეპარსნათ მისთვის უღვაშები? რაღას ეგვანებოდა. ბაქარ-ბეგი უუღვაშებოდ?! რქებ მომტვრეულ ჭოტას დაემსგავსებოდა დაუშნოებულს. ყურთმაჯიანი კაბა, ვერცხლის ქამარ-ხანჯალი, ფირუზის ბეჭედი, კალმუხის ქუდი ჩატეხილი, დაკრიალებული ჩექმები. ძალიან თვალს ადევნებდა ბაქარი სისუფთავეს. საუბარი ჭკვიანური იცოდა, მოხერხებული, დინჯი, თავაზიანი. ხმა ლბილი ჰქონდა, ნაღებივით ნოყიერი. ძალიან თავდაჭერილი კაცი დადგა, ფხიზელი, სუფთა ქცევისა.

სწორედ სასიამოვნო ვაჟკაცი იქნებოდა ბაქარ-ბეგი, რომ მთლად უქნარა არა ყოფილიყო. საქმეს არ ეწყობოდა, საქმე სძულდა; საქმის დანახვაზე სული ეხუთებოდა, გულს ეყრებოდა. დიდი უბედურება იყო მისთვის შრომა, ჭემმარიტად წყევა ღვთისა, და რახან თავისი დღენი უქმობაში დაელივნა, ვერც ეხერხებოდა მუშაობა: საქმე ხელიდან უვარდებოდა, წვალობდა, იტანჯებოდა. რა საბრალო სანახავი იყო ბაქარ-ბეგი საქმით ხელში! გული მოუკვდებოდა გულჩვილს მის დანახვაზე.

ბაქარ-ბეგს ნირი შეუშალა ახალმა ხანამ, აუფურტკნა დაწმენდილ-დაბზინებული ბეწვი, მაგრამ ის ჯერ აბრუს არ იტეხდა და იმ იმედითა სცხოვრობდა, რომ უწინდელი მზა სუფრა დაუბრუნდებოდა. სცდილობდა ეს იმედი თავის ძმის გულშიაც ჩაენერგა, რომ უიმედობას არ მისცემოდა ის და უღონოდ არ ჩამოეყარნა მშრომელი მკლავები. მაგრამ როგორღაც ვერა სრულდებოდა ბაქარის იმედი: ცხოვრება წინანდელ კვალში ველარ დგებოდა, თუმცა აქათ-იქიდან სცდილობდნენ ნაჩვევ არხისკენ დაერუვებინათ იგი. ბაქარიანთ ოჯახიც თანდათან ძაბუნდებოდა, ირყეოდა, ჭრიალი გაჰქონდა და დიმიტრის მშრომელი მარჯვენაც ველარ იმაგრებდა საძირკველიდან შერყეულ სახლს.

შეტორტმანებული და ბალანაშლილი ბაქარ-ბეგი კი ჯერ ისევ აღმაცრივ უმზერდა ყოველგვარ საქმეს, ჯერ ისევ განზე იწევდა ყოველგვარ შრომისაგან. ეხლა ის უფრო ხალხში იყო, სანამ შინ. დროებით ენახსნილი ხალხი აჭიკჭიკდა უცხო ჰანგებზე და ბაქარ-ბეგიც აქ ხალვათ ქარგაში ჰგრძნობდა თავის თავს. ლაპარაკის მუსუსი, საუბრის ემზის მცოდნე ენას იქავლებდა კრებებზე დუქნების წინ, სოფლის სამმართველოში თუ საყდრის გალავანში. ხალხს მოსწონდა მისი დარბაისლური საუბარი, გასართობად მიაჩნდა მისი სიტყვა და ერთხელაც არ შეუხედნია მისთვის მრუდედ, არ აღელვებულა მის წინააღმდეგ, არ განუზრახავს მასზე ძვირი, თუმცა სხვა იყო იგი, სხვა წოდებისა: ბაქარ-ბეგი უვნებელი იყო სოფლისათვის, მისგან წყენა არავის ახსოვდა; ეს ბუნებით კეთილი და ზრდილი კაცი ვერ იქნებოდა ავის მქნელი. იგი კეთილის მოსურნე იყო ყველასათვის და რომ მის ხელთ ყოფილიყო, იხსნიდა სოფელს ყოველგვარ გასაჭირისაგან, ხოლო უპირველესად გაანთავისუფლებდა ყოველგვარ მუშაობისაგან, რადგან შრომა მიაჩნდა თავისთვის და ყველასათვის უმთავრეს უბედურებად.

– სწორედ შეუჩვენებია ადამიანი შემოქმედს და განუწირავს, თორემ რად არის, რომ მხოლოდ ადამიანმა უნდა ჭამოს პური ოფლითა თვისითა ამ უხვ ქვეყნიერებაში, მარტო ადამიანი რად უნდა ჩასცქეროდეს შავს მიწას და ალტობდეს მას თვის ოფლით თუ ცრემლით! – ფიქრობდა გაკვირვებული ბაქარ-ბეგი და ვერ გაეგო, რად უწოდებდნენ შემოქმედს სამართლიანს და მოწყალეს, როდესაც ადამიანისთვის ესეთი ტვირთი აეკიდნა, მძიმე, უფერი, დამამცირებელი.

ახ! არ მოსწონდა შრომა ბაქარ-ბეგს; არ მოსწონდა ახალთაობის პირში მოწოდება შრომისადმი, – მხოლოდ ეს არ მოსწონდა. ეშინოდა, მისთვისაც არ დაედგათ ფაფუკ ქედზე ეს შეუსაბამო უღელი შრომისა; თავს იქნევდა, უკან-უკან იწევდა, რაკი დაინახავდა ამ უღელს სამისოდ ამართულს და იკვებებოდა იმ იმედით, რომ დაუბრუნდებოდა მას უწინდელი ტკბილი დრო განცხრომისა.

მაგრამ ცხოვრება ყურადღებას არ აქცევდა ბაქარ-ბეგის გულისთქმას, იგი დიდის სისწრაფით მიექანებოდა საითღაც და უფრო და უფრო უჭერდა უქნარებს მარყუმად გამონასკულ საბელს.

5

აი ამ დროს დაადგა უნებლიეთ ჩაფიქრებული ბაქარი იმ აზრს, რომ რაკი მეტი გზა არ არის და შრომა აღარ ამცდება, სჯობს ვაჭრობას მივყო ხელიო: რაც უნდა იყოს, ოფლის საღვრელი ხელობა არ არის; ისიც შესაძლოა, სოვდაგრობით ადამიანი გამდიდრდეს და უზრუნველყოფილი შეიქმნესო. ეს თავისი ახალი ფიქრი ამცნო თავის ძმას დიმიტრის და რამდენჯერმე გაუმეორა, მაგრამ დიმიტრი ეჭვით უყურებდა ბაქარის საქმიანობას და ვერა ჰბედავდა აესრულებინა ძმის წადილი.

ცხოვრება კი თანდათან ძნელდებოდა და ბაქარიანთ საქმე სახრინავზე მიდგა. საგონებელში ჩავარდა დიმიტრი. მისმა გამოცდილმა თვალმა შეატყო, რომ მამულის მოვლას და საქმის წალმა დატრიალებას ვეღარ შესძლებდა; რომ მამული ვეღარ იტვირთებდა ოჯახს და თითონაც ჩაიჩეხებოდა სვაგ-ყორანთა გასახაროდ. დაასკვნა, როგორმე სხვანაირად ეშველნა წამხდარ საქმისათვის.

სწორედ ამ დროს მიჰმართა დიმიტრის დიდმა ბატონმა, რომელიც თითონ საზღვარგარეთ სცხოვრობდა მამულის შემოსავლით, ხოლო მის ქონებას განაგებდა დაქირავებული მოურავი. წინანდელი მეთვალყურე დაეთხოვნა და ახალს ეძებდა.

– ... გთხოვ კეთილსაიმედო ვინმე მიშოვო მამულის გამგებელად. თითონ შენ რომ თავს იღებდე ამ საქმეს, ბედნიერად ჩავთვლიდი ჩემს თავს. შენი მამულის მოვლას შენი ძმაც შესძლებს და, მოდი, პატივი მეცი, ჩემს მამულში ჩადექი. თვეში ათ თუმანს

მოგცემ. ვიცი შენი პატიოსნება, შენი უნარი და ვგრძნობ, რომ მეტი ეღირება შენი შრომა, მაგრამ ჯერ მეტს ვერ აიტანს მამული, შემდეგში კი შენ გასამჯელოს წაემატება შენისავე საქმიანობის შემწეობით, – სწერდა ბრწყინვალე თავადი.

დიმიტრისათვის ეს წინადადება მისწრება იყო. დაასკვნა დასთანხმებოდა.

– მამულის მოსავლელად მოჯამაგირეს დავიჭერ და მეც ხანდისხან დავხედავ. ბაქარიც შესძლებს ცოტაოდენ ყურის გდებას. თითონ ბაქარს ავუსრულებ სურვილს: მოვუწყობ დუქანს და დეე, შეუდგეს საქმეს. იქნება ღმერთმა ქმნას და ვაჭრობაში ნიჭი შეაჩნდეს, – ფიქრობდა.

6

სოფელი გადამწვარა თითქმის ნახევარი სომხებისაგან შესდგება. იმათ ცალკე ეკლესიაცა აქვთ იქ. ვაჭრობა მათ ხელში იყო. შუა სოფელში შვიდი დუქანი ჩაემწკრივებინათ. სოფელს შუა ადგილი ეჭირა იმ არემარეში და გარშამო სოფლები იქა ვაჭრობდნენ. დუქნების მწკრივი ბაქარიანთ ბაღჩასთან თავდებოდა. ყველაფერი მოიპოვებოდა დუქნებში: სანოვაგე თუ სასმელები, საციქველი, ფებთსაცმელი, წვრიმალი; ქალაქის თუ სოფლის საქონელი. ჰყიდდნენ ნაღდზე, სცვლიდნენ სოფლის საქონელზე, რომ ერთიორად გაესაღებინათ სოფლელებზევე. გარდა ამისა თვითეული ამ დუქანთაგანი წარმოადგენდა გამსესხებელ სალაროს, რადგან ყველა მედუქნე თანაც მევახშე იყო. თუმცა ეს ხელობა მაინცდამაინც ვერ ასუქებდა გადამწვარელ მედუქნეებს, რადგან უმთავრეს გამსესხებელ ბანკს წარმოადგენდა სესია ღვარძლიანის სახლი, რომელსაც დიდი თანხა ჩაეგდო ხელში და მის ძალით სისხლსა სწოვდა იქავრობას.

დიმიტრი რომ დაჰყვა ბაქარს, გაეხსნა მისთვის დუქანი, იმანაც აცდინა, რომ დუქნის დაქირავება არა სჭირდებოდათ. რა ადვილი იყო მათთვის დუქნის გაკეთება და სარგებლობა, ეს ცხადად დაუხატა დიმიტრის ბაქარმა.

– კაცო! ეს ბაღჩა გზის პირას არის, ბაღჩის ღობე თავდება სახლთან, დიდ ოთახის კედელთან. ავხსნათ ეს კედელი, იმის მაგივრად გავმართოთ დარაბები და დუქანი გამოვა მშვენიერი. ბაღჩა შუაზე გადილობება და ამგვარად დუქანს ექნება საგრილობელი ადგილიც და ცხენის თუ ურმის სადგომიც. ის ხარჯი, რაც დუქნის გაკეთებაზე მოგვივა, არ არის დაკარგული: ჯერ ის, რომ დუქნის ქირას არ გავიღებთ; დუქანი რომ ზედ სახლზე იქნება მიდგმული, იმასაც დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენთვის, რადგან მე შემემძლება მუდმივი თვალყური მეჭიროს დუქანზედაც და სახლზედაც. ვსთქვათ, საქმე ვერ წარგვემართა. არა, დარწმუნებული ვარ, რომ საქმეს მშვენივრად მოვაგვარებ, მაგრამ მაინც საბრძოლველად გასულის მხრივ თავხედობა იქნება, აიჟინოს, გინდა თუ არა, მე ვძლევი. ჰო, ვთქვათ, ღმერთმა არ ინება ჩემი საქმის წამართვა, ფული მაინც ამაოდ არ იქნება დახარჯული, რადგან შეგვრჩება ხელში მშვენივრად მოწყობილი საკუთარი დუქანი, რომელიც ყოველთვის შეგვეძლება კარგ ფასში გავაქირავოთ.

– კაცო ბაქარ, კარგად ჰლაპარაკობ და ჰაზრიანად; ჭკვაში მიჯდება შენი სიტყვა. იმ დიდ ოთახის მოჭრით ჩვენ სახლს არა დააკლდება რა, სამი ოთახი კიდევ დაგვრჩება და სხვა შენობები; დუქანი კი და მერე ეზო-ბაღჩიანი კარგ ფასში გავა, – მიუგო ბაქარის საუბარით მოხიბლულმა დიმიტრიმ და მიჰყო ხელი საქმეს.

დიმიტრის ხომ მაინც ყოველთვის მოსწონდა ბაქარის სიტყვა.

ჰაი დურგალი, კალატოზი, ჰაი მუშები, მასალის ზიდვა და ორ კვირაზე დუქანი გამოიჭიმა შენი მოწონებული. პეტრე დურგალი რომ დარაბებსა და ყაფაზებს აკეთებდა, ფიშტალს რომ სდგამდა და დუქნის მოწყობაზე მუშაობდა, თან თავს იქნევდა, გაკვირვებული იძახოდა:

– აი დიდება შენდა, ღმერთო! იმ დღესაც მოვესწარ, რომ კეთილშობილებმა ვაჭრობას მიჰყვეს ხელი...

ბაქარ-ბეგი თავს დასტრიალებდა მუშებს და დინჯად განუმარტავდა:

– ვაჭრობა, ჩემო კარგო, სუფთა ხელობაა და სრულებითაც არ არის საძრახისი. კეთილშობილნიც უკვე გამოვფხიზლდით და შევიგენით, რომ შრომა არის წინდი ხალხის კეთილდღეობისა და წარმატებისა. ხომ გესმით, ეხლა როგორ ყველა აქებს და ადიდებს შრომას.

მუშებს კი ესმოდათ, რა საქებ-სადიდებელიც იყო შრომა, ქედზედ ჰქონდათ იგი გამოცდილი და კანზედ ნაგრძნობი, მაგრამ როგორღაც ეჭვით შეჰყურებდნენ ბაქარ-ბეგის შრომისადმი ახლად გაღვიძებულ ტრფიალს და უნდოდ აქანებდნენ თავს.

7

დასრულდა დუქნის მზადება, გაივსო იგი ათასნაირ სავაჭროთი. სოფლის საქონელი ხომ თითონაცა ჰქონდათ და იქვეც იყიდეს, ქალაქის საქონელიც დიმიტრიმ თავის ხელით უვაჭრა ყოველივე. დაიქირავეს ბიჭი, დადგეს სასწორი, დაჰკიდეს დერეფანში ლიფლიფა, დადგეს ბაღში მაგიდა. ყველაფერი მარდად მოაწყეს, რადგან დიმიტრის ეშურებოდა თავის ახალ შრომისაკენ, დაყოვნება აღარ შეიძლებოდა.

– ძმაო დიმიტრი! ხომ ამოდენი სიკეთე მიყავი, საწადელი ამისრულე და მოდი, ერთი სიტყვაც მომისმინე, საქმე სასიამოვნოდ დამიმთავრე.

– კიდევ რაღა უნდა გავაკეთოთ, კაცო?!

– ისა, რომ ავასრულოთ მამა-პაპის წესი და ჩვეულება: ხვალ კვირაა, პარაკლისი ვახდევინოთ, ვაკურთხებინოთ ახალი დაწყებულება ჩვენი, იაზმა ვასხურებინოთ. მღვდელ-დიაკვანი ხომ იქნება და ერთი-ორი ქეთხუდა კაციც დავისწროთ, მცირე რამ საუზმე მივართვათ, დავალოცვინოთ.

– კარგი და პატიოსანი, მაგრამ ხარჯი რომ ხარჯს ემატება და იზრდება, – სთქვა დიმიტრიმ დაფიქრებულმა.

– მართალია, მაგრამ საქმისათვის ემჯობინება ესე მოვიქცეთ: პატივისცემა ხალხს გულს დაუხვევს ჩვენკენ, ხათრს გაუძლიერებს, სიყვარულს დაუნერგავს, შემოგვაჩვევს და ეს ხომ მუშტრის შეჩვევა იქნება, რადგან სწორედ ეგ ხალხი უნდა გახდეს ჩვენი მუშტარი.

– მაგას კი მართალს ამბობ!

მეორე დღეს პარაკლისის შემდეგ მცირე რამ საუზმე გამართეს რჩეულთათვის: ყველი, მოთალი, ტარხუნა, მწვანელი, ღვინო-არაყი, ზურგიელი, ორიოდ შამფური მწვადი. მოიმხიარულეს, ისაუბრეს, იოცნებეს, წარმატება უსურვეს ახალ საქმეს. დიმიტრის გზა დაულოცეს; გულწრფელად დაინანეს, რომ იმისთანა პატიოსანი და კეთილი კაცი დროებით ჰშორდებოდა სოფელს.

– კაცო, ეს ჩვენი საუზმე სადილს დაეგვანა! ბევრ სადილს მოუცვდება ამ ტკბილ სუფრასთან.

მეგობრულმა პურის ჭამამ და ტკბილმა ჭუჭყუკმა თბილი შთაბეჭდილება მოახდინეს დიმიტრიზე და წაახალისეს.

– სწორედ ჭკვიანი კაცია ეს ჩემი ძმა ბაქარი! რას ეგვანებოდა, ისე დაგვეწყო საქმე, არ დაგველოცვინებინა მეზობლებ-მეგობრებისათვის, ან მე ისე წავსულიყავი, არავის დავმშვიდობებიყავ?! უჟმურობა გამოვიდოდა ეს, უზრდელობა, – გაიფიქრა გულაჩუყებულმა დიმიტრიმ.

უფრო კი ის მოეწონა დიმიტრის, რომ საუბრეზე ბაქარი ზრდილობიანად და მეგობრულად ეპყრობოდა სესია ღვარძლიანს, თითქმის გულში ჩაუძვრა იმ უჟმურ კაცს, მოხიბლა და კეთილის თვალთ მიახედა ბაქარიანთ დაწყებულეზაზე, ამ ნავს ადამიანის დაძლევა და გადმობირება ბრძოლის მოგებას უდრიდა, რადგან იგი საშინელ ძალას წარმოადგენდა სოფელში.

და როგორ წყნარად, დინჯად, ზრდილობიანის სიამაყით, თითქმის მფარველობით ეპყრობოდა ბაქარი იმ ღვთის გარეგან მოვახშეს, როგორ ადვილად დაიმონა ის ეჭვით სავსე ადამიანი და მოხიბლა სიტყვით!

აგრილებისას სხვებმაც შეიარეს ბაქარიანთ ეზოში დუქნის დასათვალიერებლად. მეზობლების დედაკაცებმა და ქალებმაც გადაისვირნეს. მათში ერია სესიას დონცხო გოგოც. მორთულიყო ღვარძლიანთ მარეხა და ტოლ-სწორში წითლად ღაღღაღებდა.

არც ეს მოსეირნე ხალხი დასტოვა ბაქარმა უყურადღებოდ: ყველას ხმა გასცა, მიუალერსა, აამა. მეტადრე რაინდულად მოექცა მარეხს და თავი მოაწონებინა ტოლ-სწორში. ბაქარი რომ მარეხს საალერსოს ეუბნებოდა ტკბილის ღიმლით, ქალი სიამოვნებით აღელდა, თეთრი ყელი გადააგდო, ჩაფუებული მკლავები გადაყარ-გადმოყარა, გაითხლიშა.

8

ბაქარს მუშტარი პირველსავე ხანში მიაწყდა. სასმელები, ჩაი-შაქარი, მარილი, მარცვლეულობა, თევზეული, ხორცი, ლილა-საპონი, კევი და ყოველივე კეთილი მოიპოვებოდა ბაქარისას, პირიანადაც იყიდებოდა. ურმები და ყოველგვარი ეტლი, მგზავრი – ცხენიანი თუ ფეხითი მალე შეეჩვივნენ დუქანს, რადგანაც კარგად მოწყობილი ეზო ჰქონდა და ფართო თავლა. თითონ დუქნის პატრონს ხომ ქება აღარ უნდოდა: გულკეთილი სოვდაგარი გამოდგა, მართალი, პატიოსანი, მომთმინო. მუშტარი დღითიდღე მატულობდა. მართალია, ყველა ნაღვზე ვერა ყიდულობდა, ნისიად გაჰქონდათ, მაგრამ რა უშავდა? რომელი დუქანი და მაღაზია ვაჭრობს უნისიოდ, რომ ბაქარ-ბეგს ევაჭრნა მხოლოდ ნაღვზე?!

– არაფერიც არა უშავს რა! ჩვენებიანთ ივანემ წაიღო ნისიად, ცოტა რამ ნაჩხატაანთ კონამ, მღვდელმა ჩაი-შაქარი, სესია ღვარძლიანმა რამდენიმე რამ. განა ფული არა აქვთ თუ გინდ სესიას, თუნდ მღვდელს, მაგრამ ალბათ ხელად არ იყო. თავის დროზე ჩამაბარებენ. არაფერი დაიკარგება, ყველაფერი მიწერია დავთარში, – იმედეულობდა ბაქარი და უღვაშქვემ უღიმოდა დაწყებულ საქმეს.

სწორედ ხელსაყრელი საქმე გამოდგა ბაქარისათვის ეს სოვდაგრობა: შრომა არავითარი არ სჭირდებოდა. უბრძანებდა დუქნის ბიჭს, პირი დაეხანინებინა; გადივარცხნიდა თმას, ილოცამდა, გადისვამდა ხელს უღვაშზე და დინჯად გავიდოდა დუქნის გასაღებად. ბიჭი გადაშლიდა დარაბებს, დაამაგრებდა. მალე ორი ბიჭი დაიჭირა ბაქარმა, ერთი პატარა – ხელზე მოსამსახურე, მეორე დიდი – დახლიდრობას ასრულებდა. თითონ ბაქარი თვალყურს ადევნებდა, სწერდა დავთარში, ემუსაიფებოდა მუშტარს. ბიჭი დილითვე ჩაიდანს დაუდგამდა და ჩაის მიართმევდა. მაინც დუქნისათვისაც საჭირო იყო ჩაი: მუშტარი თხოულობდა. ბაქარი ჩაის დუქნის წინ მიირთმევდა, საჩხე ქვეშ. წინ რომ ცაცხვი იდგა, დილის ნიაზე მისი ფოთლები სასიამოვნოდ შრიალებდნენ და უტკობდნენ ბაქარს სმენას. დუქანში ყოველივე ღვთის მოწყალება მოიპოვებოდა: ყველი, კარაქი, გამტკიცული. დაბრძანდებოდა ბაქარ-ბეგი და შეექცეოდა. კარაქისა თუ ყველის შეტანება უყვარდა, ორი ჭიქის მეტს არა სვამდა. გაათავებდა ჩაის. კვალად გადისახავდა ჯვარს და იტყოდა:

– ღმერთო, ბარაქას ნუ მოაკლებ ჩემი ძმის დიმიტრის მარჯვენას!

შუადღემდის ბაქარი გართული იყო მუმტარში და ყოველ კუთხეში გაისმოდა მისი ხმა:

– ბიჭო, გიო, ნახევარ თუნგი მიაართვეი გეგენას, წითელი ღვინისა!

– ნუ აწყენინებ ჩვენს ნენეს! კალაპოტიდან მოუჭერ საპონი; წვრილ ნაჭრებს შინაც მოვიხმარებთ.

– თევზიო, ბიჭო! ფული რატომ აღარ გამოგატანეს? კარგი, მერე იყოს, არა უშავს რა.

– აა! მობრძანდი, მობრძანდი: კარგა ხანი კი იდგომილე ქალაქში. ცხენი ჩამოართვეი, ბიჭო!

– დედამ დამაბარა, ერთი გირვანქა შაქარი და ერთი შაურის ჩაიო.

– ფული, გოგო?

– დედა შეგეხვეწათ, ნათლიჯან, ავადმყოფისთვის მინდა და ნუ დამიჭერო, ფასში კვერცხებს მოგართმევო.

– აუწონე, ბიჭო!

სადილს შიგნით მიირთმევდა ბაქარ-ბეგი. დუქნის ერთი კუთხე გადაფიცრული იყო ერთ ფანჯრიან პაწაწინა ოთახად. ოთახში იდგა მაგიდა და სკამები. უფრო პატივსადებ სტუმრებს შეიწვევდნენ იქ. სასადილოდ ეს ოთახი ამოირჩია ბაქარმა, რადგან მყუდრო იყო, არავინ შეაწუხებდა, ხოლო ეს აუცილებელი იყო მისთვის: წყნარად იცოდა პურის მირთმევა, აუჩქარებლივ; არ უნდოდა ამ დროს დაემახნათ, აეყენებინათ, ლუკმა გაემწარებინათ მისთვის. ჩამოსთლიდა ზურგიელს, გადასჭრიდა ყველს, შემოატანინებდა კიტრს თუ მწვანილს, დააწყობინებდა მწვადებს; წვნიანი ხომ დილიდანვე იხარშებოდა. მოართმევდნენ სველ-სველ ჩარექას. ბაქარი პირჯვარს გადიწერდა, გასტეხდა პურს და შეევედრებოდა:

– ღმერთო, ბარაქას ნუ მოაკლებ ჩემის ძმის დიმიტრის ჯიბეს!

დაიწყებოდა სადილი ბატონკაცური. ღვინოს არასოდეს არ მოიჭარბებდა, მაგრამ უღვინოდაც ლუკმა ყელში არ ჩადიოდა. ყურთმაჯშეყრილი, ქუდგადაწეული, სარტყელმოშვებული მიირთმევდა ნებივრად, სუფთად, აუჩქარებლად, მაღიანად. გენახა, ეშხში მოხვიდოდი. ეს წუთები საუკეთესო წუთები იყო ბაქარის ცხოვრებაში.

სტუმრებიც ხშირად ჰყვანდა ბაქარს. შემოესწრებოდნენ პატივსადები კაცები და რა ექმნა?! მეტადრე ხშირად იყო მასთან სესია ღვარძლიანი. ხომ უქმური ადამიანი იყო, ექვიანი, მიუკარებელი, მაგრამ ბაქარ-ბეგს კი გული შეაწყო. ვის უნახავს ღვარძლიანის პურ-მარილი, ბაქარ-ბეგი კი რამდენჯერმე მიიწვია სადილად და მშვენიერადც გაუმასპინძლდა. ამის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ ღვარძლიანის გაქვავებულ გულშიც ჩამრჩალიყო კუთხე რამ, რომელიც ვერ ამოეხმო ანგარების სახმილს; ამ ნამნაბკურებ კუთხეში ობლად გაშლილიყო სიყვარულის ყვავილი და ეს ყვავილი სუნნელოვანი იყო მისი ქალი მარეხი. მეორე მის ქალს, დაავადებულ თიკოს, აღარც კი ჰქონდა მამის გულში ადგილი თავისუფალი. აი ამ მარეხს ჩასჭროდა გულში ბაქარის სიყვარული, განდობოდა თავის მამას და ამისთვის შეჰყვარებოდა სესიასაც ეს ვაჟი.

თითონაც კი მოსწონდა ღვარძლიანს ბაქარი, როგორც გულხალვათი, კეთილი, ზრდილი, სიკეთის დამხსომებელი ადამიანი. თითონ რომ ხელმოჭერილი იყო და ძუნწი, თითონ რომ სასტიკი იყო შეძენაში და ულმობელი, გულში როდი ეტრფოდა თავის თავს, კიდევცა სძულდა ჟამითი-ჟამად თავისი თავი, მაგრამ შეცვლა თავისი ბუნებისა ვერ შეეძლო და ჯავრით უფრო სასტიკდებოდა, ულმობელი ხდებოდა და ეს მით უფრო, რომ ყველას თვალში ატყობდა სიძულვილს და ზიზღს თავისადმი.

ხედავდა ღვარძლიანი, რომ თავის ნაჭირნახულევს თითონ ვერ მოიხმარდა, იგი ვერ შესძლებდა მოეკლო რამე თავის დოვლათისათვის თუნდ თავისავე სასიამოვნოდ; ხედავდა ჭკვიანი კაცი, რომ დაჰკრავდა ჟამი და ნასისხლი ქონება მისი სხვას ჩაუვარდებოდა ხელში მის საყვარელ ქალთან ერთად, გამრიელს ვისმე, იქნება ისეთს, რომელიც ხარხარით გაფლანგავდა მის ნაამაგევს, გმობით მოიხსენიებდა შემძენელს და მისივე ფულით გალადებული დასჩაგრავდა მის ქალს, შეაგინებდა მის ხსოვნას, შეარყევდა მის საფლავს. ამას რომ წარმოიდგენდა ღვარძლიანი, ცოფი ერეოდა. რას გააწყობდა?!

ბაქარ-ბეგი კი ესეთი არ იყო, მეამიტი ბაქარი სუფთა იყო თავის ზნეობაში. ბაქარი ეხლაც ისეთის ნათელის თვალით უყურებდა სესიას, როგორც სხვა კეთილ ვისმეს. ვისიმე სახსენებელის შეურაცხყოფას ვერ იკადრებდა, ვერ შესძლებდა. ვერც ვისიმე ავად მოჰყრობას იტვირთებდა, მეტადრე თავის ცოლისას. ღვთის შვილი იყო ბაქარი, ტკბილად მცხოვრები.

– სწორედ კარგი მეუღლე იქნება ბაქარი ჩემის მარეხისათვის, მშვიდი ვაჟკაცი, მოსიყვარულე ადამიანი დადგება თავის ცოლ-შვილისა. არც მე მომიხსენიებს ავად ჩემსავე ამაგზე. ჰხედავ, პურს არ გასტეხავს ისე, რომ თავისი ძმა დიმიტრი არ შეავედროს. ცოტაოდნად მაინც რომ შეითვისებდეს ზრუნვას, შეუდარებელი შეიქმნებოდა. ახლა მარეხსაც რომ გაგიჟებით უყვარს! დეე, სესია ღვარძლიანიც დაემოყვროს ტახტის აზნაურს, ერთი ფეხით კეთილშობილთა წრეში გადააბიჯოს! ოღონდ კი მოხერხდეს, მტრებმა ხელი არ შემიშალონ, – ფიქრობდა სესია.

მოუხშირა ღვარძლიანმა ბაქართან სიარულს. თვით ბაქარიც ხშირად მიჰყავდა სადილად და ძალიანაც ასიამოვნებდა. ქალს ხომ წინდაწინაც მოსწონდა ბაქარი და ეხლა მთლად შეეჩვია. მოუთმენლად ათონთქოლდა მარეხის გული, ამგერდა; ამოდრავდნენ ძლიერად მისი მომხო გრძნობები, მთელი, მისი მადიანი ტანი აატოკა გრძნობათა ღელვამ და ერთხელ, როდესაც სადილთ უკან ბაქარი დაიმართოვა თავიანთას ტახტზე წამოწოლილი, კარებიდან შესძახა მკაფიოდ:

– შენამც შემოგვევლება თავს შენი მარეხი!

ბაქარმა მიიხედა კარებისაკენ, მაგრამ კაბის ბოლოსდა მოჰკრა თვალი. ისე მადიანად გაუღიმა ბაქარმა მარეხის აჩრდილს, როგორც გაუღიმებს ნამარხულევი დიაკვანი შილაფლავს. რა ექნა, როდესაც ძალიან უყვარდა მადლიანი ლუკმა! ოცნებათა მორევში შეაცურა ფიქრთა თვისთა კატარღა. ცხადად წარმოუდგა ბაქარს მარეხი ჯერ ისევ მოკლე კაბაში, მისი სვეტებივით ჩამოსხმული ტოტები, ძეხვებივით ჩამეკილი მკლავები, იდაყვთან რომ იჩრუტნებოდნენ; აწ მადლიანად აბორცვებული გულ-მკერდი, კალოსავით გადაშლილი სახე, ბარაქიანად გაფუებული ტანი. ნდომის ქარმა ჟრუანტელად დაუარა ჯერ უცოდველ ვაჟკაცს. ისე ცხადად წარმოუდგა მომავალი სიამე, რომ ნოყიერი სიხარულით აევსო გული და ნეტარებათა ტალღებს მიანდო თავი. რომ გამოერკვა ბურანს, ფარჩის საბანი ჰქონდა ოდნავ წამოფარებული. იგრძნო ბაქარმა მზრუნველი ხელი მარეხისა და გული მადლობით მოუპირთავდა ქალისადმი. ისეთი კეთილშობილურის ზრდილობით გადუხადა ქალს მადლობა, რომ სიხარულის ნამი აპკურა მის დადაგულ გულს. წასვლისას ბაქარმა მოხდენილად აკოცა მარეხს ხელზე და მით შეაწება თავისი თავი ემხით დამწვარ არსებასთან გულმკვდარის მარეხისა.

ფრთები შეისხა ბაქარ-ბეგის დუქანში სავაჭრომ და მიფრინავდა ყოველ მხარეს. დაიფუკა კოლოტები და ტიკ-ტიკჭორა, ჩანაკლულდა ბოთლები, დაცალიერდა

უჯრები, შეიბერტყა ყაფაზები, ჩაიჩულა ტომრები და ტოპრაკები. მართალია, სწორედ ამავე ხანში დავთრის ფურცლები ბლომად აჭრელდა ნაწერებით და უშნო ფაშვივით გაიბერა ბარათებით, მაგრამ დახლი კი მშრალად იყო, გამოფიტულ-გამოფხევილი.

სოვდაგარი ყველა ამას წყნარად უყურებდა, წარბ შეუხრელი. ან კი რა ჰქონდა დასაღრეჯი და რაზედ უნდა დაწუხებულიყო, როდესაც ყოველივე შექმული თუ გაყიდული, ნანისიავებული თუ ნისიად გაცემული ჩაწერილი იყო და პირნათლად ნაანგარიშებული?! თანხა, მართალია, ბარდებში გაბმულიყო და მილეულ-მიმკვდარებულიყო, მაგრამ ეს ხომ დროებითი მოვლენა იყო, აუცილებელი ყოველგვარ ვაჭრობაში. მაინც საჭირო იყო დუქნის შევსება და ბაქარმა მისწერა ძმას, რომ ჩასულიყო ტფილისს, ევაჭრნა ყოველივე, რაც კი მისგან გაგზავნილ სიაში იყო ანუსხული, და მიემველებინა დუქნისათვის.

დიმიტრი დააფიქრა ამ წერილმა, რადგან ვერ გაეგო, რატომ თითონ ბაქარი არ ჩამოსულიყო სავაჭროდ ან სიასთან ერთად რატომ სავაჭროსათვის ფული არ გამოეგზავნა.

– ალბათ ვერც დუქანს დაანება თავი, ვერც ნაღდი ანდო ვისმე, – გაიფიქრა დიმიტრიმ.

ჩავიდა ტფილისში, უვაჭრა ყველაფერი წინდაწინ აღებულ ჯამაგირით და გამოუგზავნა. ურმით კარს მიაყენეს ბაქარ-ბეგს ყოველივე კეთილი.

„აი, ძმაო, გიგზავნი სავაჭროს. მეც მივაწყნარებ აქაურობას და ჩამოვალ რამდენიმე დღით,“ – სწერდა დიმიტრი.

ბაქარმა მზითვიან პატარძალივით მორთო დუქანი, კმაყოფილებით გადისვა ხელი ულვაშზე და ყურთმაჯშეყრილმა წყნარის ნაბიჯით დაიწყო სიარული დუქნის წინ. დაღონდნენ გადამწვარელი ვაჭრები. ისინი ისე უცქეროდნენ ბაქარ-ბეგის მიმჭლევებულ დუქანს, როგორც კაჭკაჭნი ზურგაყვლეფილ ჯაგლაგს; ეგონათ, ან ეხლა გადაიქცევა ჩვენ გასახარად, ან ეხლაო და როცა ნახეს, რომ იგი ისევ აივსო სავაჭროთი, ყურები ჩამოყარეს. ან რა გასაკვირველი იყო: ბევრ მუშტარს სტაცებდა იმათ ბაქარ-ბეგის ვაჭრობა!

ისევ მოტბორდა ბაქარიანთ მუშტარი. უფრო წაემატა ბაქარ-ბეგის სუფრასაც. აქამდისაც ხომ არა უშავდა რა, ეხლა კიდევ უფრო აივსო: რა ხიზილალა, რა ლორი, რა წნილეულობა სხვადასხვაგვარი! ტანისამოსიც უფრო აიყვავა ბაქარმა: ფარჩის ახალუხი, მაუდის შალვარი, ყაფალიანი წაღები, ენიანი კაბა. მაშ რაღა ექმნა? დანიშნული იყო ვაჟკაცი, აყვავების ხანი დასდგომოდა და იფურჩქნებოდა თვალთწარმტაცად. ბედი უღიმოდა ბაქარ-ბეგს, კეთილში დააცურვებდა და სიკეთისკენ მიაგელვებდა. მაშ რა იყო, თუ არა იღბალი, როცა ღვარძლიანმაც კი თავისი პირით სთხოვა სიძეობა და საკუთარის ხელით მიუპყრა მათ თეთრი გოგო და დოვლათი?!

ჩამოვიდა დიმიტრი. ძმებს გაეხარდათ ერთმანეთის ნახვა, მოეხვივნენ ერთმანეთს. იმ ღამეს ტკბილად იჭუკჭუკეს. მოიგონეს წარსული, თვალი გადაავლეს აწმყოს, იოცნებეს მომავალზე. უყვარდათ ერთმანეთი როგორც ძმებს და როგორც აღზრდილ-აღმზრდელს, რადგან დიმიტრის პატარა აღეზარდა ბაქარი და ამაგი გაეწია იმაზე. როდესაც მომავალზე ლაპარაკობდნენ, ბაქარს უნდოდა შეეტყობინებინა ძმისათვის თავისი დანიშვნის ამბავი, მაგრამ როგორღაც დაირცხვინა და გადასდო.

მეორე დღეს დიმიტრიმ დაათვალიერა სახლ-კარი, კალო-საბძელი, შემოუარა ბოსტანს, შეიარა ზვარში და დაღონდა: მოუვლელი დახვდა ყველაფერი, პატრონის

ხელი აღარ ეტყობოდა, თავმინებებული იყო. – სახლი დაუუკაცურებიათ, – გაიფიქრა დიმიტრიმ, და გული ეტკინა. ძლიერ უყვარდა თავისი მამული, რომლისათვისაც სიყრმიდანვე ღონე შეელივნა. მიხვდა დიმიტრი, რომ შესცდა მაშინ და ტყუილად დაამყარა იმედი ბაქარზე. გულმა უგრძნო, რომ ბაქარის ხელში სწორედ ესეთივე ხიფათი შეემთხვეოდა მათ სავაჭრო სახლს და თავში შემოიკრა.

– თუ იმ ბიჭმა დუქნის საქმეც ესე თავმინებებულად აწარმოვა, სწორედ წაგებულნი და შეჭმული იქნება ყოველივე; მაშინ კი ნამდვილად ჩაგვივარდება კოვზი ნაცარში, – გაიფიქრა მწარედ.

საფიქრებელიც იყო, რადგან იმ დუქნის მოწყობაზე თუ ავსებაზე ბაქარიანთ უკანასკნელი დახარჯეს, ვალში ჩავარდნენ და დიმიტრიმ ხომ რამდენიმე თვის ჯამაგირიც ზედ წააჭყლიტა. შეეშინდა დიმიტრის, შეჰხებოდა ამ ახალ იარაღს და უნდოდა მეორე დღისთვის გადაედო დუქნის დათვალიერება, მაგრამ მოვიდა ბიჭი და მოახსენა, ბაქარი გთხოვთ დუქანში მობრძანდეთო.

დიმიტრიმ გადაავლო დუქანს თვალი და შევიდა პატარა ოთახში. ხუთ თუმნამდის ნაღდი აღმოჩნდა; მაგიდა სავსე იყო ნისიების ბარათებით; დუქანში შემოსული სავაჭრო ბევრით სჭარბობდა დუქნიდან გასულს; ახლად მოსული საქონელი უკვე მისუსტებულიყო. აიძვრა დიმიტრი.

– ყველა-ყველა და ე სესია ღვარძლიანს რომ ამოდენა ნისია გაუტანია, ეს რაღა ცოდვის კითხვაა?! ხომ ფული თავსაყრელად აქვს ი უკაცურს!

– სესიაზე ნულარ ვიტყვით ავს, ძმაო ჩემო: ის ეხლა ჩვენი ნათესავია და მოყვარე, – უთხრა ბაქარმა დარცხვენით.

– ნათესავი!

– სესიას ქალი ავირჩიე მეუღლედ, და თუ შენი ნებაც იქნება, ხვალ ნიშნობა გავმართოთ: შენ მოგელოდებით და უშენოდ ნიშანი არ ვაკურთხებინეთ.

დიმიტრი არ მოელოდდა არაფერს ამისთანას და სახტად დარჩა. ერთხანს გაშტერებული შესჩერებოდა თავის ძმას.

– იმას ნუ მიძრახავ, ძმაო, რომ ჩემი მოქმედება გვარს შერევს, რადგან გლეხს ვემოყვრები: ეხლა სხვა დროა, ეხლა ყველა თანასწორობას ქადაგებს. ქალსაც ვუყვარვარ და ცოდვა იქნებოდა უარი მეთქვა, გული მომეკლა.

მაგრამ დიმიტრი სრულებითაც ამაზე არა ფიქრობდა, რომ ღვარძლიანთან დამოყვრებით მისი საგვარეულო სისხლი უნდა შემღვრულიყო; ის ეხლა მწარედ დაჰყურებდა შრომისაგან დამონავებულ თავის ხელებს, ჯაფისაგან დაკოჟიჟებულ თითებს და უკვირდა ბაქარის ძლიერი ალლო ცხოვრებისადმი. დიმიტრის უკვირდა, რომ ბაქარი ყოველთვის ხელგაუნძრევლად ახერხებდა თბილ ცხოვრებას, რომ ბატონკაცური ყოფა თითონ ილტოდა ბაქარისაკენ. აი ეხლაც, ღვარძლიანიც და მისი ცხოვრებაც ამ კაცისა გამხდარა და მანამ სესია ფეხზე იდგება, ბატონ ბაქარს არა გაუჭირდება რა. თითონ დიმიტრი კი შრომობს განუწყვეტლად და ჰგრძნობს, რომ სიკვდილამდის ვერ დააღწევს თავს შრომის და ნაკლულოვანების მძიმე უღელს. თითქო შური იგრძნო დიმიტრიმ ბაქარისადმი, მაგრამ მალე მოეგო თავს და იქვე მოაშთო ეს ავი გრძნობა გულისა.

– მომწონს, ძმაო, შენი არჩევანი: შეძლებული ოჯახი, ქალი ჯანსაღი და გამრჯელი, სიმამრი მხნე და მდიდარი. არა გაგიჭირდება რა მათ ხელში. ღმერთმა გაგაბედნიეროს! – უთხრა დიმიტრიმ და გადაეხვია ბაქარს.

ტკბილი დუღუკი

1

დაუვიწყარია სიყრმის მეგობარი. თუნდ გაგყაროთ ცხოვრების გზამ, მაინც მისი სახე ნათლად არის აღბეჭდილი გულში, როგორც ბალღობისავე დროსთან შეკავშირებული სურათები ცხოვრებისა თუ ბუნებისა. ხომ დიდი ხანია, რაც ჩემი ძმობილი მიხა დამშორდა, მაგრამ დღესაც თვალწინ მიდგა მიძვირდელი მისი სახე. ბიძაშვილები ვიყავით და დიდი მეგობრები ერთმანეთისა, ძმად შეფიცულნი.

ჩვენი ოჯახებიც მეგობრობდნენ ერთმანეთს, თუმცა განაყოფები იყვნენ და მტრები უნდა ყოფილიყვნენ. ეს იმისთვის, რომ ჩვენი სახლი უფრო დაწინაურებული იყო ცხოვრებაში პატივითა თუ დოვლათით და არაფერს ედავებოდა ჩამორჩენილ განაყოფს; ბიძა და ძალუა კი ისეთი კეთილი, ისეთი ღვთისნიერი ხალხი იყო, რომ მათ გულში ვერ ისადგურებდა შური.

თითონ მე ძიანთ ღარიბ ოჯახში უფრო მიხაროდა, სანამ ჩვენ შეძლებულ სახლში: პატარა მიხა ხომ მიზიდავდა იქით, ძალუა და ძიაც გულს მიხვევდნენ, მიაღერებდნენ, მანებივრებდნენ. იმათი ცხოვრება უფრო წყნარი იყო და ტკბილი; ცოლ-ქმარი უსიტყვოდ იტანდნენ შრომას თუ გაჭირებას. მუშაობდნენ ყოველჟამს, საყვედური და გმობა კი არ გამოიგონია მათგან არასოდეს. შეწყობილად სწევდნენ ცხოვრების უღელს, თანხმობით: ერთმანეთს რომ ალერსით შეხედავდნენ, ერთმანეთს რომ ტკბილად გაუღიმებდნენ, დარდი დნებოდა მათ გარშემო.

ისე ვმუშაობდი ძიანთ ოჯახში, როგორც მათი სახლის შვილი. ჩვენები მიშლიდნენ, მაგრამ ვერ შევიგენი, რად არ უნდა მეშრომნა იქ, სადაც მიხა ირჯებოდა. თავი დამანებეს. ყველა სამუშაო გაზიარებული გვექონდა. წყალი ერთად ამოგვექონდა წყაროდან, კვერზე ერთად ვუსხედით, კალოს ერთად ვგვიდით, გუთანზე ჯერი ერთად მიგვექონდა; ბზეს ვუყრიდით ხარ-კამეჩს, ვუურვებდით. მომწონდა სოფლური სამუშაო. ჩვენ ოჯახში კი არაფერი ესეთი არ იყო, რადგან ჩვენები პურსა თუ ღვინოს სოფლიდან ჰკრეფდნენ, უბრალო საქმეს კი მოჯამაგირე აკეთებდა და დედაკაცი. რა უნდა გამეკეთებინა შინ? წიგნში ცქერა კი არ მომწონდა. მე და მიხას ძალიან გვიხაროდა, როცა ძია ტყეში წაგვიყვანდა. იმ ღამეს ძალუაანთა ვიძინებდი, რადგან უნათებლივ უნდა გავდგომოდით გზას. ეხლაც ყურში მიდგა ძიას ნაღვლიანი ურმული. გრილოდა, ძიას ნაბადში ვეხვეოდით, მზის ამოსვლას ველოდით.

– ბიჭო, დათიკო, აგერ მგელი, ჩვენკენ იხედება, – მეტყოდა შემკრთალი მიხა.

– მართლა, კაცო, ჩვენკენ მოდის, – მივუგებდი ამხანაგს და კოფოსკენ ვიწვევდით შეშინებულნი.

რომ მივუახლოვდებოდით, ჩვენვე გვეცინებოდა ჩვენ შიშზე: პირდაღრენილ ნადირის მაგივრად ჯირკი დაგვხვდებოდა ან ჯაგი. ტყეში ვშველოდით ძიას: ხარებს ვყარაულობდით, ურემს საგორავს მივცემდით, ფიჩხს მოვათრევდით, ვათვალიერებდით საორთითე ტოტს თუ სასურუხე ხეს, ვჭრიდით სახრებს. მიხას ძამას უყვარდა ხის მუშაობა და შეშის თუ ფიჩხის ურემს უთუოდ წამოაყოლებდა გამოსადეგ მასალას, რომ მოცლილ დროს ეჩორკნა იგი. კაბდოს თუ ფიწალს, არნადს თუ ნიჩაბს თითონა სთლიდა. დავძვრებოდით ტყეში. ხეებს ვათვალიერებდით, ხილს ვეტანებოდით, ფრინველს ვაფრთხოვდით, ციყვს ვესროდით, ვგლეჯდით ჩადუნას თუ ბუერას. ხანდისხან მივიყუჩებოდით ხის ძირას და ყურს ვუგდებდით ტყის ათასნაირ

ხმაურობას. მიხას გატაცებით უყვარდა ეს უცნაური ხმები. შიში შეგვიპყრობდა, ჟრუანტელი გვივლიდა ტანში. მეტადრე თუ მისწყდებოდა ძიას ნაჯახის ხმა.

– ბიჭო, დათიკო, აქ კიდევ ვყოფილვართ ჩვენ, არ გახსოვს?

– არა... როგორ ვიქნებოდით, როცა აქეთ არასოდეს არ წამოვუყვანივართ ძიას?!

– როგორ არა! მე ვყოფილვარ. მაშინაც ასეთივე ხმები მესმოდა; ხეები კი უფრო დიდრონი იყო მაშინ, – მეტყოდა მიხა და შემკრთალი ახამხამებდა გაგანიერებულ თვალებს.

ვერ გამეგო, რად ეჩვენებოდა ასე მიხას! როცა ამის მამასა ვკითხავდით, ისიც დასცინოდა ბაღღს. გვარწმუნებდა, აქეთ ჯერ არა ჰყოფილხართო. მიხას მაინც არა სჯეროდა, მაინც დარწმუნებული იყო თავის სიმართლეში. ესევე მოსდიოდა მიხას, როცა სათევზაოდ მივდიოდით, ან მინდორში ყვავილებისა, ცერცვისა და ბარდანის დასაკრეფად: უეცრად შესდგებოდა გაფითრებული და დაიჟინებდა, სწორედ ეს კიდევ მინახავს, ეს ხმა კიდევ გამიგონიაო. მეტადრე სცნობდა ხმებს. უცნაური ხმები ესმოდა მიხას, რომლებიც ჩემს ყურს ვერ ახწევდა. გაინაბებოდა, სახე გაეცრიცებოდა, თვალები უელავდა და მიეპყრო ყური იდუმალ ხმებისთვის, თუმცა გარშემო სიჩუმე იყო და მყუდროება.

– ადრეც გამიგონია ეს ხმები, ვიცნობ! გესმის შენც?

– არაფერიც არ მესმის, კრინტსაც არავინა სძრავს.

– როგორ? მართლა არ გეყურება?! – მეტყოდა გაკვირვებული და ნალველი შეაჩნდებოდა თვალებში.

2

თავისებური ბავშვი იყო მიხა. სუფთა სახე, გამხდარი, ფერმკრთალი; გატაცებული, ქვეყნის გაღმა მაყურებელი თვალები. როცა რამე საგანზე ლაპარაკობდა, ვისმე ესაუბრებოდა, თითქო ვერ ჰხედამდა საგანს, ვერც მოსაუბრეს: შორს იყურებოდა, სივრცეში. მაგრამ თუ გამოაფხიზლებდი, თუ მიიზიდავდი იმის სრულ ყურადღებას, მისი თვალები მიიღებდნენ გამორკვეულ გამომეტყველებას, აეგზნებოდნენ, მთელ სახეს აცისკროვნებდნენ; სახე ცოცხლდებოდა, მიმზიდველი ხდებოდა. მჭევრმეტყველიც იყო მიხა და ეს იყო მიზეზი, რომ ძალიან გვიყვარდა, როცა ზღაპარს მოგვითხრობდა ან რამე საშინელ შემთხვევას გვიამბობდა, რომელიც ცოტათიღა ირჩეოდა ზღაპრებისაგან, რადგან იგი ნახევარზე მისი ოცნების ნაყოფი იყო. ისე უბრწყინავდნენ მაშინ მიხოს თვალები, რომ ბნელშიაც ანათებდნენ. სასალი ბიჭი იყო, მაღალი, სუსტი აგებულობისა. გლახურ შრომას ვერ იტანდა: ღონე არ მოსდევდა იმდენი. მე ვჯობდი ამგვარ მუშაობაში. თუმცა სხვანაირად ვიყავი აღზრდილი. ვერც ეწყობოდა გლახურ გარემოებას. შრომობდა, თავს არა ზოგავდა, მაგრამ გული მაინც სხვა მხარეს მიეზიდებოდა, ოცნებათა სამფლობელოსაკენ ეწეოდა. ჩაცმა სუფთად უყვარდა, მოხდენილად, იმის ტანზე ფარატინი უფრო მშვენიოდა, ვიდრე სხვის ტანზე ახალი: კოხტა ბიჭი თითონ ამშვენებდა ტანისამოსს.

ანბანი მიხამ ჩვენ სახლში ისწავლა. მამაჩემმა ასწავლა წიგნი და მაშინვე დავითნი მისცა ხელში, რადგან აზრად აჰქონდა ოდესმე დიაკვნობა მიეღებინებინა.

– კარგი დიაკვანი დადგება მიხა: გარკვევით კითხულობს, ხმა სუფთა აქვს და გალობის კილოსაც ადვილად ითვისებს, – იტყოდა მამა.

მაგრამ მიხა ვერ შეეთვისა ეკლესიურს, მუყაითობა ვერ გამოიჩინა ფსალმუნთა ზეპირობაში. თუ თავისუფალ დროს იპოვიდა, ზღაპრებსა და ლექსებს ეწაფებოდა მწყურვალევით; ამგვარ წიგნებს სულ უბით ატარებდა. ბატის ფრთის კალამს ჩემზე

მარჯვედა სჭრიდა. ყველაზე საყვარელი საგანი იმისთვის სიმღერა იყო. თუ მწყობრ გალობას ან სიმღერას გაიგონებდა, სმენად გადაიქცეოდა და მაშინ ხმების გარდა ამ ქვეყნად აღარა არსებობდა რა იმისთვის. თითონაც იცოდა ღიღინი, მაგრამ წელი ხმა ჰქონდა.

– სუსტი ხმა იმისთვისა აქვს, რომ ჯერ ბაღია და ნაზი, დავაჟვაცდება, ხმა გაუძლიერდება და თუნდ დიდ ტაძარს შეამკობს თავისი გალობით! – იტყოდა მამა.

დიდ აღტაცებაში მოჰყავდა მიხა მუსიკის ხმას. სალამური, თარი, ჩანგური, დუდუკი და ყოველგვარი შეწყობილი ლბილი ხმა საშინლად აღელვებდა. ზურნის მაღალ ხმას კი ვერ ეწყობოდა, ვერც დაირ-ნაღარის დგრიალს. ყურსა მტკენსო, იტყოდა. ზოგიერთ ხმას ან ჰანგს უკიდურეს აღტაცებაში მოჰყვანდა მიხა. მაშინ სრულებით ვეღარ იკავებდა თავს და ხან ნეტარების ღიმილად გარდაიქმნებოდა, ხან სევდის ცრემლებად იღვრებოდა.

– ბიჭო, დათიკო, მოგვარ თუ არა ყური იმ ხმას, მაშინვე მენიშნა, მაშინვე მივხვდი, რომ ნაცნობი ჰანგი იყო. ის ხმა კიდევ გამიგონია, როდესაც დიდი ვიყავ და სულ სხვანაირად ვცხოვრობდი! – მეტყოდა საიდუმლოდ ფერმიხდილი და ათრთოლებული მიხა.

– რას ამბობ, ბიჭო! როგორ იქნებოდი დიდი ან როდის იცხოვრებდი სხვანაირად, ან სად გაიგონებდი მაგისტანა ხმებს სხვაგან?! შენ ხომ ამ სოფლიდან ფეხი არსად გადაგიდგამს?! – ვეტყოდი გაკვირვებული. მაგრამ მიხა ვერ დამერწმუნებინა. არ ამიხირდებოდა, მხოლოდ ნაღვლიანად შემომხედავდა.

ფრთხილი ქცევისა იყო, სულ იმასა სცდილობდა, არავისთვის ეწყენინებინა, არავისთვის დაეშავებინა რამე. სხვის ტანჯვაზე თითონაც იტანჯებოდა გულჩვილი. ქათამს ვერ დაჰკლავდა გაჭირვებაში; სხვის უმართებულო ქცევაზე თუ სიტყვაზე თითონ წითლდებოდა უმწიკვლო.

3

ვიზრდებოდით მეგობრები და თანდათან შორდებოდნენ ერთმანეთს გზანი ჩვენი ცხოვრებისა: ჩემი გზა ხელოვნური იყო და გადადიოდა სხვადასხვა სასწავლებლებზე, ხოლო მისი ბილიკი ბუნების კალთას ასდევდა და დედამიწის წიაღს არა შორდებოდა, თუმცა კი მიხას მისწრაფება თუ აღფრთოვანებული გრძნობა-გონება უფრო შეეფერებოდა ხელოვნებას ან მეცნიერებას. ჟინჟილივით ბიჭი ვიყავ, ქედმაღალი, მკლავძლიერი, ბუნების შვილი, მისი ტრფიალი. იცით, როგორ მიყვარდა ბუნება, იცით, როგორი ტკივილი ვიგრძენი, როდესაც ამგლიჯეს დედამიწის კალთას და გადამრგეს ქალაქის მოკირწყლულ ქუჩაზე, სადაც ბალახის ხილვა მენატრებოდა?! ეჰ!..

შემდეგში ხილად ვეწვეოდი სოფელს და ვხედავდი, რომ გულითაც ვშორდებოდი მას, ახალი გზა მიპყრობდა და ძალით მარონინებდა აღნიშნულ მიზნისაკენ. მიხა მაინც ვერ შესთვისებოდა სოფელს, თუმცა სოფლის ცხოვრებას მაგრა ჩაებოჭა ბიჭი, მაგრამ თავის სისხლ-ხორცად კი ვერ გარდაექმნა; იგი ისევ ოცნების კაცად რჩებოდა. ოცნებები უფრო უძლიერდებოდნენ, მთლად სნთქავდნენ მის არსებას.

გადიოდა დრო. უღვაში ამოგვიზიზინდა, ხმა შეგვიბოხდა. ქალებს მუშტრის თვალით დავუწყეთ მზერა. აქაც გამოჩნდა, როგორ განსხვავდებოდა ჩვენი შეხედულობა ამ სანუკვარ საგანზე: მე რომ მიხაროდა ქალი, მე რომ სხეულით ვაფასებდი მას, მე რომ ნაწილ-ნაწილ ვსწონავდი მას და პირდაპირ გული მითქმიდა

მისთვის, ის, ქალს რომ უყურებდა, თავის ოცნებას ეძებდა მის პიროვნებაში და მარად იტანჯებოდა, რადგან ვერც ერთში ვერა პოულობდა იმ ოცნების ნასახს.

– რა ვქნა, დათიკო, ხომ კარგი ქალია შუქური, ხომ ლამაზიც არის, კეთილიც, გამრჯელიც, კარგი ოჯახისაც, მაგრამ მაინც გული ვერ შემიწყვია მასზე, გული არ მიმწევს მისკენ: შუქური ის არ არის, რომელსაც მე ვეძებ.

– ახლა ვინ გინდა, რომ შეგხვდეს, რომელი მზეთუნახავი? გლეხის გოგოს კვალობაზე მაგ ქალს წუნი არა აქვს. მე დიდის სიამოვნებით შევირთავდი მაგას შენს ადგილას.

– განა უკეთესს ვეძებ, მაგრამ ეგ არ არის ჩემი ცოლი. მე ჩემს მეუღლეს ვიცნობ, ვნახამ თუ არა, მაშინვე ვიცნობ, ხმაზე და თვალებზე.

– შენს ცოლს, თუ შენს საცოლეს?..

– ცოლს-მეთქი, კაცო, მეუღლეს! – მითხრა მიხამ და შეწითლდა: თვალებში მოკრთალება რამ გამოეხატა.

– როგორ?!

– გეტყოდი, მაგრამ არ მომისმენ, გაგიკვირდება, – განაგრძო იმან ხმადაბლა.

– მიხა! რიღაცის თქმა გინდა, ვერ კი მნდობიხარ. მაშ ჩვენ მეგობრობის ქსელში მაფი ჩაწყვეტილა? – ვუსაყვედურე მე.

– ძმა ხარ ჩემი და მიყვარხარ, მაგრამ მაინც მეძნელება გულახდით გაიმბო ყველაფერი; მეშინიან, ვაი თუ შენც ვერ გაიგო ჩემი დარდი და გამკიცხო.

ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო და მივეფერე, რომ მეთქმევიინებინა საიდუმლო. მიხა დამყვა.

– ყური დამიგდე! განმარტოვებულად ვგრძნობ თავს. გარშემო ბნელა. მყვანან დედ-მამა, ნათესავები, ნაცნობები, მაგრამ მე იმათ ვერა ვცნობ, ვერა ვხედავ, ისინი ჩემთან არ არიან; ვერც ისინი მხედავენ, ვერა მცნობენ, მათ ვერ ჩამოუხედნიათ ჩემს გულში, რომ დაინახონ ჩემი გულისკვეთება. ერთადერთი მეგობარი შენა მყებარ ამქვეყნად, მხოლოდ შენთვის ჩამივლია სარტყელში ხელი, მაგრამ ხანდისხან ისე მეჩვენება, თითქო შენც უნდა ხელიდან დამისხლტე და მიეფარო ჩემს თვალთაგან. მაშინ მე მთლად მარტო დავრჩები ამ თვალუწვდენელ სივრცეში და ჩამნთქავს ბნელი. ყოველთვის კი ეგრე არა ვყოფილვარ. მახსოვს, ბინდბუნდად მაგონდება ის დრო, როდესაც წინათ ვსცხოვრობდი ისევ ამ ქვეყნად. ისევ აქ. ხომ ბევრჯერ მითქვამს შენთვის, მაგონდება-მეთქი ესა თუ ის ადგილი თუ მდებარეობა ტყეში, მინდორში, მდინარის პირას, ან სხვაგან. თანდათან გამოვირკვეე გონებაში ეს ყველაფერი და ეხლა დანამდვილებით ვიცი, რომ ოდესმე კიდევ ვცხოვრობდი ამ ქვეყანაზედ.

– როგორ, კაცო, მეორედ ხომ არ გაჩნდებოდი ამ ქვეყნად?!

– დაიცა, სიტყვას ნუ შამაშლევიანებ! ზოგიერთ ადგილას ხომ ჯერ არა ვყოფილვარ, მაგრამ რომ ჩავფიქრდები, მაშინვე მომაგონდება, იქ რა არის ან როგორ არის მოწყობილი არე-მარე და როცა მივალ, სწორედ ისე დამხვდება ყოველივე; როგორც წარმოდგენილი მქონდა. ეს იმისთვის, რომ ვიცი იქაურობა. უწინაც ვყოფილვარ იქ. მაშინდელი მახლობელნიც მაგონდებიან სიზმარით, მაგრამ ისინი სხვები იყვნენ, სხვანაირნი. მაშინ მე ცოლიცა მყვანდა და ძალიანაც მიყვარდა. ცხადად მახსოვს მისი ხმა, მისი თვალები. შევხვდები თუ არა, მაშინვე ვიცნობ. მისი ხმა შიგადაშიგ მაგონდება: ფრინველთა გალობაში, წყლის ჩხრიალში, დუდუკის ტკბილ რაკრაკში, სალამურის სტვენაში თუ თარის წკრიალშია ჩაწნული მისი ხმის ბგერა და მე ვარჩევ იმ ტკბილ ხმებს, მე ვგრძნობ მათ. მისი ხმა უფრო კი დუდუკის სევდიან ჰანგებშია ჩაქსოვილი.

- არა, ძმავ, ვერ გამიგია, რას უბნობ. თუ ღმერთი გწამს, მაგისტანებს ნუღარ გამაგონებ.
 - აკი გითხარი, ვერ მიმიხვდები და დამცინებ-მეთქი.
 - არ კი დაგცინი, მაგრამ თუ ჩემი ხათრი გაქვს, მაგისტანა ამაო ოცნებებს თავი დაანებე!
- მიხამ ნაღვლიანად შემომხედა და გაჩუმდა.

4

რაკი წამოიზარდა მიხა, უფრო აჰყარა გული სოფელს და სოფლის შრომას, თვალი ქალაქისაკენ დაიჭირა. არც მაგდენი სამუშაოდა იყო სოფლად იმის სახლში: მიწა ძალიან ცოტა ჰქონდათ, ტყე სულ არ გააჩნდათ, ხოლო სხვის ტყეში გადასახადი წაუმატეს; ვენახიც აღარაფერს იძლეოდა, რადგან ვაზს ავადმყოფობა მოერია და ვენახის წამლობა კი ჯერ არ იყო შეთვისებული ჩვენში. ბაღს გული აჰყარეს ძიანთ და სხვა სამუშაოს ორი ვაჟკაცი აღარა სჭირდებოდა. რადგან მიხა საშინლად მიიჩვენდა ქალაქისაკენ და სოფლადაც უიმისოდ არა ფუჭდებოდა რა, ამისთვის დართეს მას ნება ქალაქში ჩასულიყო, იქ ეცადნა თავისი ბედი. ტფილისში მიხამ რამდენჯერმე იცვალა ადგილი და ბოლოს მიეკედლა სოვდაგარ მეწვრილმალეს: ჯერ უბრალო ბიჭად მსახურებდა მასთან, მერე უფრო მეტი საქმე ანდეს და ბოლოს, რაკი შეიგნეს მისი მუყაითობა და პატიოსნება, ნოქრად დააყენეს, მით უფრო, რომ წერა-კითხვა კარგი იცოდა და დავთრების წარმოება შეეძლო.

მიხა კმაყოფილი შეიქმნა თავის ბედისა. ჯამაგირი ჰყოფნიდა, კიდევცა რჩებოდა, რადგან მცირე მოთხოვნილებები ჰქონდა. წიგნის კითხვას ძალიან მიეჩვია; ბევრ ქართულ წიგნს იძენდა და სწავლობდა. ერთადერთი მისი გასართობი მუსიკა იყო. სადაც შეიძლებოდა საკრავების ხმის გაგონება, მიხა იქ გაჩნდებოდა უეჭველად. უფრო ნაღვლიანი ხმები მოსწონდა თარისა თუ დუდუკისა. უყვარდა სიმღერაც, მაგრამ მხოლოდ წყნარი და სევდიანი. ამ ხმებში, საკრავებისა თუ სიმღერის ხმებში, მიხა ალტაცებაში მოჰყვანდა ზოგიერთ ბგერას, ზოგიერთ მიმოხვრას ხმისას. როცა მიხა ყურს მოჰკრავდა იმათ, ფითრდებოდა, ღელავდა ხან სიამოვნებით, ხან სიმძიმით. სიმღერის თქმაში თუ საკრავების ხმაში მიხა დაეძებდა უფრო იმ აღნიშნულ ამოძახილს, იმ განსაზღვრულ ბგერას. თუ ახლო ვიჯექი, მაშინვე მანიშნებდა, რომ ყურადღება მიმექცია სწორედ იმ ხმებისთვის.

- იგი, დათიკო, ის ჩემი მომხიბლავი ხმები დიდი ხნის გაგონილნი არიან ჩემგან და ნაგრძნობნი; ისინი მე მაგონებენ უწინდელ დროს, დიდი ხნის წარსულს. ის ხმები თანაც გარს ევლებიან ჩემთვის დაუვიწყარ სახეს. ვაი, რომ ყველა ეს მაგონდება მხოლოდ გაკვრით, იგი წარსული მხოლოდ გაიელვებს ჩემს გონებაში და მსწრაფლ მიეფარება! გარკვევით კი ვერაფერი დამისახამს გონებაში. როცა ხმებს ვუგდებ ყურს, იმ დაკარგულ ძვირფას სახეს მივსდევ გონების თვალთ, მაგრამ ვერ მივწვდენივარ, ვერ გამომირკვევია იგი სავსებით. ეს არის ჩემის ტანჯვის დაუშრეტელი წყარო.

მე ალლო ავიღე და შევნიშნე ის ხმები, რომლებიც სწვდებოდნენ ჩემის მეგობრის გულს და იტაცებდნენ. იმ ხმების გარკვევაში და შესწავლაში მეხმარებოდა თითონ მიხას სახისმეტყველება, მისი სახის ცვლილებანი უტყუვრად მაჩვენებდნენ იმ ბგერებს, ისე რომ ბოლოს ის ხმები მე მთლად დავიხსომე და გავირკვიე. იგი, რომელი ხმები იყო? ეს ის ბგერა იყო, როდესაც საკრავის ჟღერა უახლოვდება ადამიანის ხმას, როდესაც სიმთა თრთოლაში ხორციელდება ადამიანის ამოძახილი: სიმებში ხომ ადამიანის ხმა არის ჩაწნული.

საკრავის ხმის მოსმენის შემდეგ მიხა ყოველთვის ძლიერ დელავდა, მოუსვენრად იყო, ტანჯვას განიცდიდა სულიერს, რადგან ის ხმები საიდუმლოობით მოცულს ჟამს აგონებდნენ, სანეტარო რამ ადგილს და დროს, სანუკვარს რასმე ცხოვრებას გარდასრულს. მიხა იგონებდა იმ ძნელ მოსაგონს, სცდილობდა გამოერკვია ბნელიდან უწინდელი თავისი ცხოვრება, სცდილობდა ცხადად დაეხატა გონებაში მიმზიდველი სურათი ძვირფას არსებისა, რომელიც ატკბობდა ოდესმე მის ყოფას, მაგრამ იგი წარსული უსხლტებოდა მის გონების თვალს და განუჭვრეტელის ბურუსით იმოსებოდა. ესა სტანჯავდა მიხას, აწამებდა, ასევდიანებდა მისი გონების თვალი იმ მიმზიდველს, ხოლო ბინდით მოსილ სურათს მიეპყრო, იმ სურათს მიეზიდნა მისი არსება, როგორც ანდამატს ძლიერს და ეს იყო მიზეზი, რომ მიხა სავსებით არ ცხოვრობდა აწმყოთი, იგი ვერ შეცურებულყო ცხოვრების ზღვაში, ვერ შეჭრეოდა მის ტალღებს და სოფლის გარე გაიყურებოდა, სხვა რამ ცისკროვან არესაკენ ეჭირა თვალი.

მიჰქროდა დრო. მე უკვე გავათავე სწავლა, შევედი კარგ სამსახურში და გამოწყობილმა დავიწყე სეირნობა ქვაშვეთის ბაღში თუ ბულვარზე. ქალის კვალი ნათელ რამ სრედ მეჩვენებოდა და მივსდევდი მას გატაცებით. ახალი ხალხი გავიცან, ახალი ნაცნობები გავიჩინე. განათლებულთა და წარმატებულთა წრისაკენ ვიწვედი, რადგან ჩემს თავს განათლებულად ვსთვლიდი, ჩემი თანამდებობა შესამჩნევი მეგონა და დაწინაურებასაც ველოდი. გულის ვარდსაც მაღალ წრეებში ვეძებდი. ზვიადად მეჭირა თავი, ამყად.

თუმცა პირს ვარიდებდი ძველ ნაცნობებს, მაგრამ გულიდან კი ვერ ამოვირეცხე ისინი, მეტადრე ზოგიერთი მათგანი: ვერ ვივიწყებდი მდაბიო, გარნა კეთილსა და გულუბრყვილო ოჯახებს, ვერა ვწყვეტდი მათთან კავშირს. მიხაც ისევ მიყვარდა, მეგობრობის გარდა პატივისცემასაც ვგრძნობდი მისადმი, მაგრამ, თუმცა ნასწავლი ვიყავი და საპატიო, მაინც ვხედამდი, რომ ვერა ვსჯობდი მას ვერც გრძნობათა სიფაქიზით, ვერც ბუნებრივის გამჭრიახობით გონებისა, ვერც თვალად-ტანად. მაღალ-მაღალი, ტანწვრილი; ფერმკრთალ სახეზე შავი ხუჭუჭი წვერ-ულვაში; მარად გატაცებული დიდრონი თვალები, სუფთა ქცევა, უკიდურესი უანგარობა. ყველა ამას ვგრძნობდი და ვხედამდი, ყველა ამას ვაფასებდი, ყველა ეს უნებლიეთ პატივისცემას იწვევდა მიხასადმი და მით უფრო, რომ ჩემს ახალ ამხანაგებში და მეგობრებში ვერ ვპოვებდი ამგვარ თვისებებს. გონება რომ აფასებდა მიხას, გულიც მისკენ იყო, სიყრმიდგანვე მასთან შექვსილი გული. მასთან სულით ვისვენებდი, მასთან მოვიხსნიდი ჩემს ხელოვნურ მედიდურობას და გადავდებდი; ვჭუჭკუკუბდით მეგობრულად, ვუზიარებდით ერთმანეთს გულის ნადებს.

უმთავრესი საგანი ჩვენი საუბრისა იყო ის უცნაური შეხედულობა ქვეყნიერებაზე თუ ცხოვრებაზე, რომელიც ჰქონდა ჩემს მეგობარს და რომელიც ეხლა შეურყეველ რწმენად გარდაქცეოდა: ბევრს ახალ საგანს თუ არსებას, ბევრს ახალს მოვლენას ბუნებაში თუ ცხოვრებაში ისე უყურებდა ის, როგორც უკვე ცნობილს და გამოცდილს, რომელიც ადრევე ენახა ან გადაჰხედოდა. ხომ პატაროობითვე ჰქონდა მას ესეთი მიმართულება გონებისა, ეხლა ესეთი ჰაზრთა დენა ისე გაუძლიერდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში წინასწარმეტყველებრივ განსჭვრეტდა მომავალს და დანამდვილებით მოუთხრობდა მას. ის გონების თვალთ ჰხედამდა ზოგჯერ იმას, რაც ჯერ არ არსებობდა, განსჭვრეტდა თვით დაფარულ ფიქრებს, ჯერეთ სიტყვებში განუხორციელებელს ჰაზრებს თუ გრძნობებს და ამ სანახაობით ჰხიბლავდა ჩემს

გონებას, არყევდა ჩემს რწმენას, ლამის ცრუმორწმუნებათა ტალღით წაელექა ჩემი მსოფლშეხედულობა. თუ სცოდნოდათ ჩემი მეგობრის ესეთი ნიჭი, სწორედ გულთმისნად დასახამდნენ მას.

მე ვუხსნიდი, რომ ამა თუ იმ საგანს ან ადგილმდებარეობას, ან ცხოვრებას ის პირველადა ჰხედამდა, მაგრამ რადგან მის გარკვეულს ცნობიერებას აღნიშნულ საგანზე წინ უსწრობს მისივე გაურკვეველი ცნობიერება იმავე საგანზე, ამისთვის საგანი მეორდება გონებაში; იმას კი ჰგონია, მეორედ ვხედამო. მაგრამ მიხა ნაღვლიანად მიყურებდა და თავს იქნევდა უთანხმოების ნიშნად. იმას ღრმად სწამდა თავისი შეხედულობა.

მიხას ჰქონდა დასახული იმ ქალის სახეც, რომელსაც ის სათვისოდ გამოელოდა, რომელიც ჯერ არ შეჰხვედროდა მას; ის კი თავის მეუღლეს ეძახდა და დარწმუნებული იყო, შეეყრებოდა და იცნობდა. იმ ქალის თვალებს, მის ხმას ნათლად ამიწერდა მიხა და მოელოდა მას მოუთმენლად.

– ვგრძნობ, დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ცოლი, სწორედ ის ქალი, რომელიც მეუღლე იყო ჩემი, სცხოვრებს ეხლა ამ ქვეყნად; გული მეუბნება, რომ შევხვდები მას. მაშინ შევიქნები ბედნიერი, მაშინ ქვეყნიერება ისეთი ბნელი აღარ იქნება ჩემთვის. ჩვენნი სულნი იცნობენ ერთმანეთს, რადგან ჩვენ კიდევ გაგვივლია ერთად გზა ცხოვრებისა.

– მაშ მიაბე, როგორა სცხოვრობდით მაშინ, ან სადა სცხოვრობდით, ან რითი დათავდა მაშინ თქვენი არსებობა?

– ახ! ვერ შემიძლია მოვიგონო, ჩემს გონებას ბუნდი რამ ზეწარი აქვს გადაბურვილი და იგი ფარდა ჰფარავს ჩემს უწინდელ არსებობას. სწორედ ესა მტანჯავს გამოუთქმელად. ვიცი, რომ გვიყვარდა ერთმანეთი; ეხლაცა ვგრძნობ იმ ტანჯვას, რომელმაც განვლო ჩემს გულში, როდესაც მოვსწყდი მას. ყველა სხვა გარემოება წაშლილია ჩემს გულში და წყვდიადით მოსილი. ნაწყვეტ-ნაწყვეტად მაგონდება მისი საყვარელი სახე და იერი, შიგადაშიგ მაგონდება მაშინდელი ცხოვრების ვითარებები, მაგრამ ძალიან იშვიათად და ისიც შემთხვევით.

– მაშ იცნობ, რომ შეგხვდეს შენ საბედოდ გაჩენილი ქალი?

– მაშინვე! მახსოვს მისი თვალები, ყურში მიდგა მისი ხმის ზოგიერთი ბგერა, მთლიანად კი ვერ წარმომიდგენია ჩემის გულის ვარსკვლავი.

– იმან რომ ვერ გიცნოს და არ გამოგყვეს?

– ღმერთმა ნუ ქნას! დავიღუპები მაშინ, წყვდიადი დამნთქამს სამუდამოდ.

ამას და ამგვარს რომ მეტყოდა ჩემი მეგობარი, სახე უფითრდებოდა, თვალები ეგზნებოდა და უცნაური ღელვა იპყრობდა მთელ მის არსებას. ბევრჯერ ჟრუანტელს დაურბენია ჩემთვის ამისთანა საუბრის დროს, მეტადრე თუ ღამე ჩამოგვივარდებოდა ამ საგანზე ლაპარაკი; ბევრჯერა ვცადე კეთილგონიერ გზაზე დამეყენებინა ჩემი მეგობარი, ამეღებინებინა ხელი ამისთანა საკვირველ ცრუმორწმუნებაზე, მაგრამ ამაოდ. მაინცდამაინც საშიში კი არ იყო მისთვის ამისთანა რწმენა, რადგან მას არამც თუ არავითარი მავნე გავლენა არა ჰქონდა მის ცხოვრებაზე, არამედ სწორედ ეს რწმენა და სულის სწორის მოლოდინი იყო იმის მიზეზი, რომ ახალგაზრდა პატიოსნად ინახამდა თავს და ფაქიზად.

ჩემ ძველ ნაცნობებში ერთი ისეთი ოჯახი ერია, რომელიც არ ეკუთვნოდა არც დაბალ ხალხს და არც შუათანას, არც ხელოსან ვაჭრების წრეს, არც მოხელეებისას. ჩუღურეთში სცხოვრობდნენ, ხევის პირას. იქ საკუთარი ქობნახობა ჰქონდათ.

დიასახლისი მშრომელი იყო, წესიერი, ოჯახისათვის თავდადებული. ერთი ქალი გათხოვილი ჰყავდათ ვიღაცა გადამწერალზე; მეორე, ქეთეთო, ესე ჩვიდმეტ-თვრამეტი წლისა იყო. დიასახლისი თხელი ქალი იყო, სუსტი აგებულებისა; კაცი ბრგე, წარმოსადეგი, ევროპული ტანისამოსი ეცვა შეხუნებული. ოდესმე გადამწერად ყოფილიყო სადღაც სამდივნოში. შემდეგ ბაზრის ზედამხედველის ჯაჭვი ეგდო კისერზე; ერთხელ წყლის მილის მეთვალყურედ იყო, ხან სამსჯავროში დადიოდა მოსყიდულ მოწმედ ან რომელიმე აბდალ გლეხის ვექილად. კეთილშობილადა რაცხდა თავს, რადგან აზნაურობის მაძიებელი იყო, თარი კარგი იცოდა, ქეიფი – თავადური. ვაი, რომ წელი არ მოსდევდა! ფუყი კაცი იყო, აგორებული. იმდენსაც ვერა შოულობდა, ტანზე მიეკრა რამე. თუ არა საკუთარი სახლი და დიასახლისის მხნეობა, გაუჭირდებოდა ყოფნა. ქეთეთოც ეხმარებოდა დედ-მამას. თუმცა სუსტი იყო, ხელსაქმეში თუ სახლის სარისტაში არ ჩამოუვარდებოდა დედას. ქმრის ნაცნობ-მოსადევარი დაბალი მოხელე იყო ან ფუჩეჩა აზნაური, მისი ცოლის ნაცნობ-ნათესავი კი – ხელოსანი თუ ვაჭარი ხალხი.

მე იმ ოჯახს ადრიდანვე ვიცნობდი, რადგან ბავშვობიდან იმ უბანში გავიზარდე. მაშინაც არ შევწყვიტე მასთან კავშირი, როცა სამსახურში შევედი. ტკბილად მიღებდნენ, უხაროდათ ჩემი მისვლა. ხშირად კი არ დავდიოდი მათთან. იქნებ, სულაც მიმეტოვებინა ისინი, თუ გული არ დაეხვია ჩემთვის ქეთეთოს: იმ ქალის გვერდზე მყუდროობასა ვგრძნობდი, სულის სიმშვიდეს. როცა ჰკერავდა რასმე ან ჰქარგავდა, თან დაჰლიღინებდა და ეს ნაღვლიანი ღიღინი მოქმედობდა ჩემზე დამამშვიდებლად. დაღონებული თვალები ჰქონდა, შავი წარბები რკალებივით მოსჯროდნენ ზედ; დაშვებული გიშრის წამწამი ღაწვებამდის სწვდებოდა. მთელ მის სახეს ყოველთვის დარდის ზეწარი ჰქონდა გადაბურული. ხანდისხან ახლეჩდა გუგას, მთლად გააღებდა თვალებს და გადმოგხედავდა ერთ წამს; მაშინ განცვიფრება რამ მოსჩანდა მის თვალთა სიღრმეში. მხოლოდ ღიმილი შემინიშნავს მის ბაგეზე, არ მახსოვს გაცივებულ-გადახარხარებული. ხანდისხან საქმე ხელში გაუჩერდებოდა და რამდენსამე წუთს გასცქეროდა სივრცეს, თითქო რასმე ჰხედავდა იქ, რაღასაც უღიმოდა. იცოდა წერა-კითხვა; რუსულს ახერხებდა. მაკვირვებდა მისი დალაგებული მსჯელობა, გეგონებოდა, ცხოვრებისა და წვრთნისაგან დაბრძნობილ გონებასთან გაქვს საქმეო. გულჩვილი იყო: მისი კარიდან გლახაკი გაუკითხავი არ გაბრუნდებოდა.

ტკბილად და თავაზიანად რომ მიღებდნენ, იქნება რამ აზრი ჰქონდათ ჩემ შესახებ. მე კი გულუბრყვილოდ ვიყავი მათთან და ნაცნობობის მეტი არაფერი აზრი არ ჩამიდვია გულში მათ შესახებ: ქეთეთო ვნებათა ღელვას არ იწვევდა ჩემში და, გარდა ამისა, მე მეუღლეს უფრო მაღლა-მაღლა და შემღებულ ოჯახებში ვემებდი. დასავით ვუყურებდი ქეთეთოს, მფარველობით დავყურებდი. ბევრჯერ თვეობით მივატოვებდი მათ ოჯახს, თუ გართული ვიყავი და ბედნიერადა ვგრძნობდი თავს. მხოლოდ მაშინ მომაგონდებოდნენ ჩემი ძველი ნაცნობები, როცა რამე უსიამოვნება აღელვებდა გულს.

მახსოვს, კვირა დღე იყო. ჩვენი სამმართველოს უფროსს ნადიმი ჰქონდა და მეც იქ ვიყავი სადილად. თავისი ყადრი სტუმრები მიეწვივნა: მაღალ განათლების მექონნი, დაწინაურებულ ხარისხისა, წარჩინებულ შთამომავლობისა. თურმე ზევიდან დამცქეროდნენ. ჯერ ვერ ვიგრძენი ეს და ხასად ვიქცეოდი: თავს ვეველებოდი ქალებს რაინდულად, მივდგებ-მოვდგებოდი გაბედვით, თავმომწონედ ვიგრძებდი უღვაშს, სადარბაზო ღიმილი მიქროდა სახეზე. სადილად როგორღაც სუფრის ბოლოზე მომაქციეს, სადღეგრძელო ბოლოსდა დალიეს და თამადა თითქო დაცინვის კილოთი შემეხო. ავენთე. იქნებ კიდევ მომეჩვენა ყველა ეს და ჩემმა გოროზობამ დამიგო მახე. ცუდ გუნებაზე გავხდი. გამოვეთხოვე და ჩემ ნაცნობებთან წამოველ.

ჩაიდანს ესხდნენ გარს. კაცი შინ არ იყო. მომესალმნენ. დადამდა. დერეფანში მთვარე შემოდგა. ქალმა დაღონება დამატყო და თარი ჩამოიღო; იცოდა, რომ მისი სიმღერა და სიმთა ხმა კაემანს უკუმყრიდა. ჩამოჰკრა სიმებს, შეხედა მთვარეს და დაჰმღერა მნათობს სადიდებელი რამ ჰიმნი. ჩაგხედე თვალეში ქეთეთოს, ყური მიუჰყარ იმის ხმის წკრიალს და ბინდი ჩამომეცალა თვალთაგან: მის თვალეში, მის შეხედვაში, მის ხმის ბგერაში ვიცანი სწორედ ის თვალეები, სწორედ ის ხმეები, რომლებიც ბავშვობიდანვე ელანდებოდნენ ჩემს მეგობარს. განვცვიფრდი. გადავწყვიტე, უთუოდ გამეცნო ეს ოჯახი მიხასთვის. ჩამოვაგდე ლაპარაკი ჩემს მეგობარზე, შევაქე იგი ყოველმხრივ და ვთხოვე, ნება მოეცათ მომეყვანა მათთან. დამთანხმდნენ, თუმცა უგემურად. ქალმა ხმა არ ამოიღო, მხოლოდ წამწამთა დასი დახარა დაბლა და ამოიოხრა.

7

როგორც იყო, დავითანხმე მიხა და წავიყვანე ჩემ ნაცნობებთან. გამოუსვლელი კაცი იყო, მოკრთალეზულ-მორიდებული და უძნელდებოდა სხვა ოჯახში შესვლა, ახალი ხალხის გაცნობა. სადამო ხანზე წავედით. კინაღამ გზიდან გამექცა. როცა სახლი დაინახა, გამხნედა, გამამაცდა, რადგან სახლი უბრალო იყო და მიხვდა, განდიდებულ ოჯახში არ მიმყვანდა იგი, სადაც შეიძლებოდა რამე უხერხულობა ეგრძნო. დიასახლისმა ისე გულიანად მიგვიღო, ისე ტკბილად მოგვესალმა დალოცვილი, რომ მიხამ მაშინვე თავისუფლად ამოისუნთქა. ხელოსნის ქალი იყო და მალე მიხვდა, როგორ უნდა მოჰქცეოდა ახალ ნაცნობს ან რაზე უნდა ესაუბრნა მასთან. მე ის მაფიქრებდა, როგორი თვალით შეხედავდა მიხა ქეთეთოს, ისევე ცივად მოეპყრობოდა, როგორც სხვა ქალებს, თუ რასმე მიშზიდველს იპოვიდა იგი მასში და მიაძსგავსებდა იმ საიდუმლო არსებას, რომელიც დასახული ჰქონდა ოცნებაში და რომელიც ბავშვობიდანვე იზიდავდა მას.

ქალი მეზობლისას ყოფილიყო. გაგზავნეს დასაძახებლად. მალე შემოვიდა. ხელი ჩამოვართვი და მივმართე:

– ეს მიხეილი გახლავს, ქალო, ჩემი გულითადი ძმობილი და ბიძაშვილი.

ქალი მიბრუნდა მიხასკენ და თავისებურად შეანათა თვალეები. მიხამ ფეხი წამოდგა შესაგებებლად, მაგრამ ძლივს მოახერხა ხელის ჩამორთმევა. სიტყვა ბაგეზე შეაშრა. უხერხული წუთი იყო. ჩავერიე, გავიცინე, ცნობაზე მოვიყვანე ახალგაზრდა. ისევე გაება საუბარი. როცა ქალი ლაპარაკში ჩამოერია და მიხამ იმის ხმას მოჰკრა ყური, უფრო აღელდა, გაფითრდა. დიასახლისმა მსწრაფლ შენიშნა უხერხული მდგომარეობა სტუმრისა და მარჯვედ დაუარა თავს, არ აფიქრებინა, რომ ჰხედავდა იმის მღელვარებას. მიხაც თანდათან დაწყნარდა, იმის თვალეში ისევე დაისახა აზრი, მისი ქცევა გონთა მყოფ ადამიანის ქცევას დაეგვანა. ეს კი იყო, რომ თვალი ველარ მოსწყვიტა ქალს. მოგვართვეს ჩაი, მურაბები, ხილი. ვთქვით ამ მთისა თუ იმ ბარისა. ვისაუბრეთ შინაურებზე თუ გარეულებზე. ქეთეთო დაღონებული მეჩვენა, ახალ ნაცნობის უხერხულმა ყოფამაც კი ვერ მიიზიდა მისი ყურადღება. მხოლოდ ერთხელ გაელიმა იმის უცნაურ ქცევაზე. ვატყობდი, ჩემკენ იწევდა ქალის გული, თითქო ნუგეშისცემას გამოელოდა ჩემგან. ვერ გამეგო, რა აწუხებდა ქალს ან რას დაეჩაგრა მისი გული, მაგრამ რომ ჩემკენ იყო დახრილი მისი არსება, ამას კი ცხადადა ვგრძნობდი. კაცი შინ არ იყო. ბატონ ივანე ივანეს ძესთან არისო, მითხრეს.

– ამ ბოლოს დროს ძალიან დაუახლოვდა ივანე ივანეს ძეს, სულ ერთად არიან. ჩვენთან ხშირად დაიარება ის, – მითხრა დიასახლისმა.

– ისევე მაგიდის გამგეა, თუ რამ ახალი წარმატება მიიღო?

- რაღაც წარჩინება მოსვლია, სამსახურში წარმატებას მოელოსო.
- ისევე სვამს?
- ხანდისხან. იმ დღეს ამბობდა, რაკი სახლობას მოვეკიდები, სმას ავკრძალავო.

ამ კაცის ხსენებაზე ქალი შეწითლდა და უსიამოვნების ჩრდილმა გადურბინა სახეზე. შევწყვიტეთ ამ საგანზე ლაპარაკი, მდუმარების ანგელოზმა ჩამოიარა. რომ დამერღვია უხერხული დუმილი, ვთხოვე ქალს რამე ემდერნა თარზე. ამისრულა თხოვნა: აკი გითხარით, ჩემკენ ჰქონდა-მეთქი გული. მომართა თარი და დააწკრიალა, რაღაც სევდიანი ჰანგი დამღერა. სიმთა წყნარი ჟღერა გადაეხვია ქალის ნაღვლიან ხმას, ჩაექსოვა, ჩაეწნა. ეს ხმები გარს შემოეხვივნენ ჩემს გულს დაჩაგრულს და მძლავრად მიმზიდეს ქალისაკენ. ქვეყანა დამვიწყებოდა, მისი ხმისათვის მენაცვალეობინა ყველა არსი; თვალთ ცრემლი გადმომდგომოდა. გათავდა ხმები, გამოვერკვიე გრძნობებს, შევხედე ჩემს მეგობარს და ელდა მეცა: ფეხზე იდგა გაფითრებული, თვალედაკარგული, მარმარილოს ქანდაკებად ქცეულიყო. დედა-შვილმა შენიშნეს ეს საკვირველი ყოფა სტუმრისა, მაგრამ რადგან სიმღერის ძალას მიაწერეს, არ ეჩოთირათ, სასიამოვნოდაც დარჩათ.

წამოვიყვანე ამხანაგი; შემეშინდა, არა წამოროშოს რა და უფრო მეტს უხერხულ მდგომარეობაში არ ჩამაგდოს-მეთქი. გამოვცდით თუ არა სახლს, მიხამ შემაყენა და ჩამჩურჩულა საიდუმლოდ:

- ის არის, ძმავ, ის!
- ვინ ის?
- ის ... ჩემი მეუღლე!..

– რას ამბობ, კაცო, ქეთეთო შენი მეუღლე რად იქნება?! – ვუთხარ მე უკმეხად და გამოვტრიალდი.

მიხამ რომ ქეთეთოს თავისი მეუღლე უწოდა, თავისი ცოლი, მე გულში ტკივილი ვიგრძენი, შურმა და სიავემ ამიტანა, თითქო ჩემს ვისმეს შეჰხებოდეს ის მოუხეშავად. იმისთვის მომივიდა ეს, რომ ჯერ ისევ იმ თბილ გრძნობის გავლენის ქვეშ ვიყავი, რომელიც აღძრა ჩემში ქალმა. ახ! წუთიერი იყო იგი გრძნობა და წარმავალი! მე ქეთეთო ჩემთვის არ მინდოდა. აკი ვთქვი: მეუღლეს სხვაგან ვეძებდი და სხვანაირს. მიზნად მქონდა დადებული განდიდება და გამდიდრება, ხოლო ჩემს შეუღლებას ერთ-ერთ საშუალებად ვსთვლიდი ამ მიზნის მისაღწევად. მაშინვე ვიგრძენი ეს ყველა, სწრაფად მოველ გონს და შევინანე, რომ უმიზეზოდ გავათახსირე და დავჩაგრე ჩემი მეგობარი. მაგრამ აღარ მოვისურვე მისკენ მიხედვა: ბოროტი სჭარბობდა იმ ჟამს ჩემში; მაშინ ხასიათის სიმტკიცე მეგონა ეს უგვანი ქცევა და უგულობა.

8

ოთხ-ხუთმა დღემ გაიარა და ჩემი მეგობარი თვალთ ვერსად დავინახე: თითონ არ მოვიდა ჩემთან და მეც ველარ წავედი, რადგან არ მეცალა, თორემ ის წუთიერი უსიამოვნება მაშინვე გაქრა, კიდევ დამავიწყდა. ველარც კი გამეგო, რად ავენტე მაშინ ისე უეცრად და უაზროდ. მიკვირდა, რომ იმ საღამოს წუთიერ გრძნობას ავყევი და მეგობარს გული ვატკინე. ვინ მე და ვინ ქეთეთო ან თუნდ მიხა?! იარონ იმათ თავიანთ გზაზე! მე ჩემი გზა მაქვს საკუთარი და ჩემი მიზანი.

ის იყო, თათმანი გავისწორე და ცალ ქუსლზე შემოვტრიალდი კარებისაკენ, როდესაც გაიღო კარი და ფეხაკრეფით შემოვიდა მიხა.

- უდროვოდ შემოვედი, წასასვლელად გამზადებულხარ.

– რა უშავს! მარტო ვიყავი, მომეწყინა და გავლა მოვისურვე, თორემ საქმე არა მაქვს რა.

– იქნება ნაცნობებში მიდიხარ ან ქეთეთოსთან? – შემეკითხა მიხა და ეჭვიანად შემომხედა.

– არსად არ მივდივარ ნაცნობებში! რა მინდა ქეთეთოსთან? სასეირნოდ მივდიოდი და თუ გინდა, ერთად წავიდეთ.

– შენ წადი! მე არ მეხალისება, გული არა მაქვს. მერე როდესმე შემოვივლი.

დავაკვირდი ახალგაზრდას. ტანჯულ სახეზე შიში რამ აღბეჭდოდა და კრძალვა. რიდაცის თქმა უნდოდა, ვერც კი ბედავდა.

– როგორი გატანჯული სახე გაქვს, კაცო?! რაღაც გაწუხებს, არც კი მეუბნები.

– არაფერსაც არ გიმალავ! შენს კარგად იცი, რაც მალონებს და რაცა მტანჯავს.

– ქეთეთოს სახე ხომ არ დაგაჩნდა დაღად მაგ დამწვარ გულზე?

– რას დამცინი?! იმ დღესაც გამიწყერი და გამობრუნდი. თუ შენთვის გინდოდა ის ქალი, რაღად გამაცან და ჩასდექი ჩემ ცოდვაში?

ისე გულმტკივნეულად მითხრა მიხამ ეს საყვედური, რომ ვიგრძენი, რა ძნელი იყო მისთვის ეს ამბავი და ამისთვის გადაჭრით ვუთხარი:

– არა, ძმაო, მე არც შეყვარებული ვარ, არც ჩემთვის გამოველი ქეთეთოს, თორემ აქამდისაც გადავიწერდი ჯვარს. ვითომ რა დამიშლიდა?

– რა და რა! ქალს უყვარხარ, ბედნიერო!..

– როგორ შეატყე, გულთმისანი ხომ არა ხარ?

– შეჰყვარებიხარ ქეთეთოს, მაგრამ შემცთარა: ჩემი ბედია ის, ჩემთვის არის გაჩენილი.

– გამიგონე! მე ქეთეთოს შემრთველი არა ვარ, ის არ არის ჩემი საფერი. მომწონს კი ქალი, დად მიმაჩნია და გამეხარდება, თუ შენი მეუღლე შეიქნება, – ვუთხარი მე მტკიცედ.

თუმცა კი იმ წუთში გული აღარ დაეთანხმა გონებას; გრძნობა მომიჩვილდა, როცა მიხამ მითხრა – უყვარხარო. ეჰ, ჯერ კიდევ არ ვიცოდი მაშინ, **რა იშვიათი მარგალიტი ყოფილა წრფელი სიყვარული. მხოლოდ უგვანი ადამიანი დასთრგუნავს მას.** მიხა ერთხანს დამაკვირდა ეჭვიანად და გადამეხვია.

– მართალს მეუბნები? რა კარგი ხარ! რა კეთილი ხარ! რა ბედნიერი ვარ!

– ისე უეცრად როგორ შეგიყვარდა, კაცო, ის ქალი?

– უეცრად კი არა, ეგ ის ქალია, რომელზედაც მე გელაპარაკებოდი. ეგ უწინვე იყო ჩემი მეუღლე, მაგისი ხმა და თვალები ადრიდანვე მახსოვს, მხოლოდ სახის იერი და ტანადობა ველარ წარმომედგინა. აკი აგიწერდი ხოლმე მაგის თვალებს, განიშნებდი მაგის ხმას.

– იცი, მიხა, მაგისთანა უცნაურ ლაპარაკს იქ მაინც თავი დაანებე, თორემ ვერაფერს გაიგებენ, შენი სიტყვა შეაკრთობთ და ვერ მიაღწევ საწადელს.

– თუ ვერ მივალწევ საწადელს, თავს მოვიკლავ! ისიც დაილუპება მაშინ. მაგრამ ამოა შიშია: ქეთეთოს გული მიცნობს მე, შემიერთდება ისევ და მაშინ გამინათლდება ცხოვრების გზა ბნელი.

მიხა იდგა ერთს წამს გაჩუმებული და პირს ღიმილი უქროდა. მისი გონების თვალის წინ ჭრელი რამ ჩვენება გამოსახულიყო და მას შესტრფოდა იგი, მას შეხაროდა. იმ წუთს არც კი ჰგრძნობდა, სად იყო და ვისთან.

– მიხა! არ გინდა, წავიდეთ ქეთეთოსთან? ხვალ საღამოზე თავისუფალი ვიქნები და ვეწვივნეთ, – გამოვარკვიე იგი ოცნებიდან.

– წავიდეთ, შენი ჭირიმე! იცი, დათიკო, ველარ მომიგონია, რა ერქვა მაშინ ქეთეთოს, თუმცა ენის წვერზე მადგა ის სახელი.

9

მეორე დღეს მე და მიხა წავედით ქეთეთთან. მიხა მორთულიყო, სულ ახლები ეცვა. მოხდენილი ახალგაზრდა ჩანდა. თვალეში ხან იმედი ესახებოდა და სახეზე სიამე გადურბენდა, ხან უიმედობა მოიცავდა მას, და სახეზე ტანჯვა აღებეჭდებოდა. მივსდევდი მიხას, ჯოხს ხელზე ვატრიალებდი, ოდნავ ვუსტვენდი და ამ სტვენით ვიგერებდი იმ აზრს, რომელიც დაჟინებით მეტანებოდა, მოსაბეზრებლად დამტრიალებდა თავს:

„შენდამი სიყვარულს რომ სხვას უთმობ, განა კიდევ მოელი საიდანმე მაგისტანა განძს?“

„ღმერთი იმდენს მომცემს, შინამდინაც ვერ მივიტანო!“ ვუპასუხებდი ზღაპრიდან ამოღებულ ფრაზით და ეს ფრაზები წინ მიძლოდნენ, უკან მომდევდნენ, გარს მივლიდნენ, არ მეშვებოდნენ.

ყველანი შინ დაგვიხვდნენ. მასპინძელმა ზრდილობიანად და მხიარულად მიგვილო. ჰკითხა ჩემს მეგობარს საკითხი, დარბაისლური საუბრით გაუმასპინძლდა. შეხედულობით, ქცევით თუ ენით კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ქეთეთოს მამამ მიხაზე. მე ვიცი, სიტყვა-პასუხი არ უვარგოდა! მართალია, ცოტა მედიდურად ექცეოდა კაცი მიხას, მაგრამ ისე კი არა, რომ საწყენი რამ ეგრძნობინებინა. გამხნევდა ახალგაზრდა, თავი მაღლა აიღო.

– თქვენ, ყმაწვილო, კარგ ხელობას დასდგომიხართ: დახელოვნდებით ვაჭრობაში და შეიქმნებით სოვდაგარი, მდიდარი, საპატიო, – შეაქო ახალგაზრდა.

– მართალსა ბრძანებთ! – მივუგე მე, – ეხლა სიმდიდრეს უფრო მეტი ძალა აქვს და პატივი, ვიდრე კეთილშობილებას; ფული ძალაშია და იმონებს ყველას და ყოველსავე.

– მეცა ვხედავ მაგას და კიდევ გამოვცადე, მაგრამ წარმოიდგინეთ, ისევ ძველ აზრზე ვდგევარ: ადამიანს უფრო მეტ პატივსა ვცემ, ვიდრე ფულის პარკს. ხომ ხელმოკლე კაცი ვარ, მაგრამ დღესაც კეთილშობილი მირჩევნია მოუხეშავ მდიდარს. აი ჩემი ქალისათვის რამდენი შეძლებული კაცი ამიჩნდა, ხელოსანი თუ ვაჭარი, მაგრამ ისევ მოხელე ვირჩიე: უფრო სუფთა და განათლებული ცხოვრება ექნება.

– თქვენ თითონ მოხელედ ნამყოფი ხართ და იმისთვის თანაუგრძნობთ მოხელეებს, – შევუბრუნე სიტყვა.

– ნეტავ რა მოგცა მოხელეობამ? მთავრობა არ აფასებს შრომას და აი, სიღარიბეში ჩავცვივდით ბოლოს დროს, – უსაყვედურა ცოლმა.

– ეხლა ვაჭრობას იმისთვის არა აქვს პატივი, რომ ჩარჩობისა და მძარცველობის ნიადაგზე სდგას: ვაჭრობა მოიცვილებს ყალბ ნიადაგს და სოვდაგარი სიმდიდრესთან პატივსაც დაიმსახურებს.

– ჩემს მეგობარს ასე აქვს ცხოვრების მიზანი დასახული: ჰსურს შეიქმნეს სოვდაგარი პატიოსანი. კიდევ მიაღწევს მიზანს, რადგან ფხიზელია, გამრჯელი, სუფთა ქცევისა და მარტივ ცხოვრებას მისდევს, – შევაქე მეგობარი.

– კარგად ლაპარაკობთ, მაგრამ სანამ მაგისტანა ნიადაგზე დადგება საქმე, ბევრი წყალი ჩაივლის და ჩემი სიტყვა მანამდის არ იქნება სიმართლეს მოკლებული. აი თუნდ ივანე ივანეს მე: ჯერ შუახნის კაცი არ არის, მაგიდის გამგებლობა კი აბარია! – განმარტა

მასპინძელმა და სიტყვა „მაგიდის გამგებელი“ ისეთის რიხით წარმოსთქვა, თითქო იგი მაგიდა საქართველოს სივრცე მაინც ყოფილიყო.

ქეთეთო ტახტზე იჯდა და ჰკერავდა. ივანე ივანეს ძის ხსენებაზე ფერმა გადაჰკრა და ხელები უღონოდ ჩამოჰყარა მუხლებზე. ეს მისი უნებლიეთი მოძრაობა შენიშნა მამამ და მიუბრუნდა:

– ტყუილადა ჰღელავ, ქალო! ივანე ივანეს ძე ძალიან კარგი კაცია და წარჩინებული. თუ მართლა მოისურვა შენი თხოვნა, ბედნიერი ქალი შეიქნები და პატივცემული.

ქალმა გადმოიხედა ჩემკენ თითქო საყვედურით და ჩაღუნა თავი. წამწამის ბოლოზე ცრემლი გადმოეკიდა.

– იცით, ყმაწვილო, – მომიბრუნდა მასპინძელი, – იმ დღეს ჩვენსა იყო და გამოთხოვებისას მითხრა, მე თქვენი დამოყვრება მწადია და მალე განვახორციელებ ჩემს სურვილს, თუ თქვენთვისაც სასიამოვნო იქნებაო. მე გამეხარდა, მაგრამ დიასახლისი სულ სხვას ამბობს.

– შვილის ბედნიერებაზე ვფიქრობ და იმიტომ ვამბობ! მართალია, სამსახური კარგი უჭირავს, მაგრამ ჩვენი ქვეყნის კაცი არ არის, ჩვენ იმისა არა გავგეგვბა რა და იმას ჩვენი. გარდა ამისა, მსმელია და...

– და ათას რასმე სხვას იტყვიან ეხლა დ მოაჭორებენ! ჰშურთ, ადამიანო, რომ ჩვენ ოჯახში დადის და ტყუილებს უგონებენ, რა არის, ქალი არ გაუბედნიერდეთო!

– დიასახლისის მხარე უნდა დავიჭირო: უცხოელნი და ჩვენ არა ვვარგევართ ერთად ოჯახში. სხვადასხვანაირი გვაქვს მოდგმა, ხასიათი, ჩვეულებები, მისწრაფება. და თუ მსმელიც არის, დაღუპულია თითონაც და მისი ოჯახიც, – წარმოვსთქვი მე.

მთელი ამ საუბრის დროს მიხას ხმა არ ამოუღია და მეც არ შემიხედნია იმისთვის. ეხლა გადავხედე და შევკრთი: ზაფრანის ფერი დასდებოდა, თვალები დაჰკარგოდა, აზრი აღარ ეტყობოდა შუბლზე. ვიგრძენი, რომ რამე შეუნდობელ შეცთომას ჩაიდენდა და მივბრუნდი მისკენ, რომ დროზე შემეყენებინა. გვიანდა იყო, წამოდგა კაცი, განაპყრო ხელი ქეთეთოსაკენ და წარმოსთქვა:

– თქვენი ქალი ჩემი მეუღლეა, ჩემი მეუღლე უნდა შეიქმნეს! ჩვენ ერთმანეთისანი ვართ, ერთმანეთისათვის გაჩენილი. ვეძებდი მაგას ცხოვრების მორევში და ვიპოვე. ნუ დაგვაშორებთ ერთმანეთს, თორემ ორივეს დაგვანთქამს ცხოვრების წყვდიადი.

ქეთეთოს დედ-მამა განცვიფრებით შეჰყურებდა ხან მიხას, ხან ქალს. ქალს თავი აეღო მალა და დაბნეულად აყოლებდა თვალს. მე შევკრთი, ერთ წამს დავიბენი, მაგრამ მალე მოვედი თავს და მივმართე:

– მომისმინეთ! ჩემმა მეგობარმა გადაწყვიტა თქვენი ქალის შერთვა. პირველ ნახვაზევე შეუყვარდა და ისე ძლიერ, რომ უმაგისოდ სიცოცხლე ვერ შეუძლიან. მსურდა შემემზადებინეთ ამ ამბისთვის, მაგრამ ხომ ჰხედავთ, ვეღარ შესძლო ახალგაზრდამ გრძნობის დამორჩილება.

ჩამოვარდა სიჩუმე. წამოდგა მასპინძელი და მომმართა გადაჭრით:

– ყმაწვილ კაცს თითონ ქალი მისცემს შესაფერ პასუხს. ძალას არავის დავატანთ, მაგრამ დღეს ჩემი მოვალეობაა ქალის ბედზე ზრუნვა და გეტყვით: მე ჩემთავად ვერ გავცვლი წარჩინებულ მოხელეს და კეთილშობილ კაცს ვინმე ნოქარზე, თუნდ თქვენ ნათესავსა და მეგობარზე! მწყინს კიდევ თქვენი შუამავლობა, თითქმის...

საშინლად მეწყინა ესეთი ჩემდამი მომართვა. ავენტე, ფეხზე წამოვიჭერ. შედგა მეტყველი, სიტყვა გაუწყდა პირში. ქალმა ყვედრებით შეხედა მამას. დედა ბოდიშს იხდიდა. ჩაკვიდე ხელი მეგობარს და გამოვედით. ღამის წყვდიადმა ჩანთქა ბედკრული.

ცულ გუნებაზე დავბრუნდი სახლში. უეცრად ჩაგვეშალა დაწყებული და სამუდამოდ. თუ ხასიათის სიმტკიცე გამოეჩინა მიხას და თავი შეეკავებინა, იქნება შესაძლებელი ყოფილიყო იმ საქმის ნელ-ნელა ჩვენკენ დახრა და მისი ჩვენ სასურველად დაბოლოვება. თუ ვერ შევძლებდით იმას, აზრიანად მაინც ვიმოქმედებდით და აღარ გავწილდებოდით ესე გონჯად. ისეთი მკაცრი პასუხი, რომელიც მიიღო მიხამ, შეურაცხყოფა იყო მისი და ჩემი, რადგან მიხა მე გავაცანი მათ და მევე ვიტვირთე შუამავლობა. მაგრამ როცა გრძნობა მძლავრობს, გონება იხშობა და თვითმოქმედი ნება უძღურდება. მიხას კი ისე უეცრად და ძლიერ მოედო ტრფობა, როგორც ცეცხლი ბალახს განხმელს; ტფრობის ალმა დაბუგა მისი გონება და ნებაც.

– კიდევ არაფერი, რომ პირდაპირ ჩემთვის არ მოემართნა საყვედურით. არა, მოუაზრებელი კაცი კია ე მიხაც, მოუხერხებელი. მართალია, რაინდული იყო მისი ქცევა, გაბედული, სწორედ ისეთი, როგორც შეჰშვენის ფაქიხს და უძღვევლ გრძნობით გამსჭვალულ ვაჟკაცს. მაგრამ რა სარაინდო ასპარეზი იყო იქ და ან რა ხელსაყრელი იყო იქ რაინდული გულწრფელობა! მაშ არა სჯობდა მოზომილი მოქმედება? ჰაი, ჰაი, სჯობდა, მაგრამ მიხასთანა გონებაგაუხსნელ ადამიანს რა გაეგება მოზომილის ქცევისა! – ვჯავრობდი ჩემთავად.

ჩემი ფიქრები უნებლიეთ მიხასაკენ გაემართნენ და ნისლივით შემოეხვივნენ მის პიროვნობას. საიმედო კი ვერა შენიშნეს რა: კაცი თავგანწირული იყო, თითქმის ატაცებული და საშიში იყო, არა აეტეხნა რა თავის თავისათვის, სასოწარკვეთილის, უიმედობის შხამით დაგესლილს. ეს იყო მიზეზი, რომ მეორე დღეს სამსახურიდან პირდაპირ მიხას მაღაზიისაკენ წავედი. მიხა იქ დამხვდა; სუფთად გამოწყობილი მუშაობდა; ჩვეულებრივ მომიკითხა, კიდევ გამიღიმა. წამოველ დამშვიდებული და მალე დავიწყებას მივეცი ჩემი მცირეოდენი წყენაც, ქეთეთოც, მიხაც და ყველა მისი მისადევარიც. ისევ ჩემის ბედის ვარსკვლავს დავუწყე თამაშობა, დარწმუნებული ვიყავ, ოდესმე მოვწეოდი მას.

გავიდა ერთი თვე და მივიღე წერილი: ქეთეთოს ქორწილში მპატიჟობდნენ, თანაც ბოდიშს იხდიდნენ, იმ დღეს უნებლიეთ გაწყენინეთო. პასუხი არ გავეცი, არც წავედი; თავს შეურაცყოფილადა ვთვლიდი და აბა რა წამიყვანდა? ეხლაც ჩემი ფიქრები ისევ ჩემი მეგობრისაკენ დაბრუნდნენ და მეც წავესწრაფე მის სანახავად. ქეთეთოს ჯვარისწერის ამბავი მიხასაც ეცოდინება და ვაითუ თავს რამე აუტეხოს-მეთქი, ვიფიქრე. მიხა შინ დამიხვდა: ძალიან გაეხარდა ჩემი მისვლა.

– კარგია, მოხველ! ეს იყო, მე უნდა წამოვსულიყავ შენთან: მინდა, ეს სადამო ერთად გავატაროთ.

დავსხედით, ვილაპარაკეთ. თითონვე ჩამოაგდო ქეთეთოზე საუბარი. უჯრა გამოსწია, ქალის სურათი ამოიღო და დაჰყურებდა.

– ვინ მოგცა, კაცო, ქალის სურათი, რომელ ფოტოგრაფს გამოართვი? – შევეკითხე მე.

– ფოტოგრაფს კი არა, თითონ ჩემმა ქეთეთომ მიძღვნა და თავისივე ხელით დააწერა ზედ, – მითხრა მიხამ და გადმოაბრუნა სურათი.

– როგორ, კაცო, როდის?! – დავეკითხე გაკვირვებული.

– იცი, დათიკო, მე მოვახერხე და თვალი ვადევნე ქალს, – მითხრა მიხამ: – გავიგე მისი დანიშვნის ამბავიც, მისი ჯვარისწერის დღეც. ისიც გავიგე, რომ საქმრო არ უყვარს ქალს, კიდევ ეშინიან მისი, მეტადრე როცა ნასვამი მიდის, მაგრამ დედ-მამა დაჟინებით ურჩევს, ძალას ატანს. გუშინწინ პირდაპირ წაველ ქალის სახლში, რადგან უთუოდ

უნდა მეთქვა სათქმელი. არ შეიძლებოდა. ჩემს დანახვაზე ქალი და დედა ჯერ შეკრთნენ, მაგრამ როდესაც ნახეს, რომ მე მათთვის კეთილის მეტი არა მინდოდა რა, დაწყნარდნენ. შევევედრე ქალს, ნება მოეცა მხოლოდ რამდენიმე წუთი მეყურებინა მისთვის, რომ გამეახლებინა ჩემი გულის ფიცარზე აღბეჭდილი მისი სახე, უფრო გამენათებინა იგი. ქალმა ამის პასუხად თავისი სურათი მიძღვნა. ჩამოვართვი ხატი და გავუბედე ის, რასაც წინადვე ვხედავდი მის შესახებ.

– ქეთეთო! შენ სწორედ ისა ხარ, რომელთანაც ოდესმე შემაკავშირა განგებამ. შენი თვალები ცხადპყოფენ ამას. ეხლაც ერთმანეთისათვისა ვართ ჩვენ მოვლინებულნი ამქვეყნად. მაგრამ მავნე ძალა გვძლევს ეხლა, გვჯობნის და გვაშორებს ერთმანეთს, ტანჯავდა მოგველის, წამებით გავივლით ეხლა წუთისოფელს. წამებითა ვძლევთ იმ ბოროტ ძალას და ოდესმე კვლავ შევერთდებით! – ვუთხარ ეს, დავუკოცნე ხელები და წამოველ.

მიხას თვალები აღეგზნო ამ ლაპარაკში, კვლავ აღელდა საშინლად, კვლავ გამოსცადა ის წარსული მძიმე წამები. მერე ისევ დამშვიდდა ნელ-ნელა და მითხრა:

– სევდიანი გული მაქვს და მოდი, ამაღამ ერთად გავატაროთ სადმე დრო.

11

წავყევი. არ შეიძლებოდა თავი დამენებებინა, რადგან ეს წუთი მძიმე იყო მისთვის, აუტანელი. გარეგნობით დაწყნარებული სჩანდა ახალგაზრდა, მაგრამ ცეცხლი ეგზნო მის გულში შემწველი. მივდიოდით ჩუმად. ძლიერ სევდაში სიტყვა უძღლურია, მხოლოდ ახლო ყოფნით თუ ანუგეშებ ბედშავს.

მუშტაიდისკენ წამიყვანა. იქ ახლო სალხინო წალკოტია, იმ სალხინო ბაღში შევედით. მე ვთხოვე, იქვე საჩრდილობელქვეშ დაგვესვენა, მაგრამ ნება არ მომცა, ქვეით წამიყვანა მდინარისაკენ. ზედ წყლის პირს ყოფილიყო თალარი და იქ შემოვუსხედით მაგიდას. ბევრჯერ ვყოფილვარ იმ ბაღში, მაგრამ ის ადგილი არა მქონდა შეთვალაიერებულს. გადავხედე იქაურობას: ორ ნაბიჯზე ჩამოდიოდა მტკვარი, წყლის პირი ვაკე იყო, ბექი არა ჰქონდა. შრიალებდა მდინარე, ნაპირზე ქვას აცურებდა, აბრუნებდა, აჩხრიალებდა. გაღმა მაღალი კლდოვანი ბექი მოჩანდა კედელივით და იმ კლდის ძირში წყალი ზვირთდებოდა, ეხეთქებოდა სალს, აქაფებული ბრუნდებოდა უკან, ტრიალებდა. მდინარის ტალღები მუქად ბრჭყვიალებდნენ შესაზარად. ხომ შუა ქალაქში მდებარეობდა ის ადგილი და ისე მივარდნილი იყო, ისეთი ბიამანი, რომ შევეფიქრიანდი, თითქმის შიშმა ამიტანა.

– ეს რა ბიამანი ადგილია ამ შუა ქალაქში?! – გავიკვირვე მე.

– არ მოგწონს? მე კი მიყვარს, ხშირად ვარ აქ, მაღაზიიდან რომ გამოვდივარ დაღლილ-დაქანცული, აქეთ მოვდივარ დასასვენებლად.

– მერე ამისთანა მიყრუებულ ადგილას რა სასიამოვნოა ყოფნა? საშიშიც კი არის: შეუძლიანთ დაგახრჩონ და მდინარეს მიგცენ.

– მაინც მომწონს ეს ადგილი: მყუდროა და შეიძლება ადამიანმა აქ თავი გაიმარტოვოს. იქნება საშიშიც იყოს, მაგრამ ვინ რას მაგულებს, რომ ბოროტი შემამთხვიონ. სოფელს მაგონებს ეს ადგილი, ჩვენი მდინარის პირს. აქ აღარ ისმის ქალაქის დაუდგომელი ხმა და არ მიწუხებს სულს; ამ პაწია ადგილას ბუნება ისევ თავის სახით არის, კაცი თითქმის ვერ შეჰხვებია მას და ვერ შეუბღალავს. მე აქ ისევე ვუყურებ მდინარეს და შევტრფი ბუნებას, როგორც სოფელში. ამ ძლიერი წყალის დენაში და ჩხრიალში, ამ ხეების შრიალში იგივე საიდუმლო ხმები მესმის, რომლებიც მხიბლავდნენ ჩვენის მდინარის პირს.

– იცი, დათიკო, – განაგრძო მიხამ ცოტა სიჩუმის შემდეგ, – მე აქ ორჯერ-სამჯერ დუდუკიც დავაკვრევი, რომ სავსებით ამეკრიფა ის ძვირფასი ხმები, რომლის მექონსაც დავეძებდი ამქვეყნად. ეჰ, ნეტავ არ მეპოვნა! მე მწამდა, რომ თუ შევხვდებოდი, მიცნობდა, გავხსენდებოდი, მოიგონებდა ჩვენგან ოდესმე ერთად გავლილ ჟამს. დროთა დიად მსვლელობას მისი გონებიდან გადურეცხნია ჩემი სახე, გადუწმედია მისი გულიდან ჩვენი სიყვარული. ჩემთვის კი იგი სიყვარული დაუსრულებელია, საუკუნო.

– გამიგონე! შენ ეხლა ისე გგონია, რომ მხოლოდ ქეთეთო იყო სწორედ ის, რომელსაც დაეძებდი. მე კი დარწმუნებული ვარ, კიდევ შეჰხვდები ცხოვრებაში ქალს, რომელიც შენთვის გაჩენილად მოგეჩვენება, რომელზედაც ეგრევე დაიწყებ ლაპარაკს, რომელიც შეიქმნება შენი ოცნების განხორციელება, რომელიც მოიცავს და აავსებს შენს არსებას. ოღონდ ხასიათის სიმტკიცე გამოიჩინე, თორემ ჯერ ახალგაზრდა ხარ, ხანგრძლივი სიცოცხლე გიძევს წინ და ბევრ მაგისტანა სუნნელოვან ყვავილს მოგიპყრობს ცხოვრება მოსასთვლელად.

– არა, ძმავე, დღეს რომ იქ ქეთეთოს ქორწილია, აქ დასამარებაა ჩემი გულისა. ეხლა ისლა დამრჩენია, სანამ ცოცხალვარ, სიწმიდით დავიცვა თავი, რომ გავასპეტაკო ჩემი არსება და იმ ქვეყნად ღირსი შევიქმნე ჩემი ანგელოზის ხილვისა... იცი, დათიკო, მოდი, მცირე ვახშამი მოვითხოვოთ, – განაგრძო მიხამ და დაუძახა ბიჭს.

უკიდურესად იტანჯებოდა კაცი და ვერ ვეწინააღმდეგე მის სურვილს. მოგვართვეს მცირე რამ. მთლად ჩამოღამდა. ბალის თავიდან ელექტრონის სინათლე დასწვდა ჩვენ მყუდრო ალაგსაც და ალაპლაპა მდინარე. მიხამ ხელი ვერ შეახო საჭმელს: მწარედ ეჩვენებოდა ყველაფერი, ყელში არ ჩასდიოდა. აშტერდებოდა საზარლად მოლაპლაპე მდინარეს, თვალს ვერ აშორებდა მას. მეც უნებლიეთ გავყურებდი მტკვრის ზვირთებს და საშიში გრძნობა მიხუთავდა სულს: მეფიქრებოდა, ვაჟკაცმა მდინარის ცივ ტალღებს არ მიანდოს-მეთქი თვის გულის სახმილის ჩაქრობა.

– დათიკო, ერთი-ორი ხმა დავაკვრევიანოთ დუდუკზე! – შემეხვეწა მიხამ.

მწყობრი ხმებით ახმაურდა ის მყუდრო კუთხე. დუდუკის სევდიანი მოთქმა უერთდებოდა მტკვრის დუდუნს. ხმები ხან გულში ეკვროდნენ მდინარეს, ხან სხლტებოდნენ მის კამკამ მკერდზე და მარგალიტის მარცვლებად იბნეოდნენ მიდამოში. შევყურებდი მეგობრის სევდიან სახეს, ვისმენდი ნაღვლიან ჰანგებს ტკბილის დუდუკისას და მეც განუსაზღვრელი ნაღველით მევსებოდა გული. მიხას დაეყრდნო ხელი მაგიდაზე და გაჰყურებდა სივრცეს გამშრალ თვალებით გაქვავებულ სახეზე.

მძიმე გრძნობებით აღსავსენი წამოვედით ბაღიდან. გამოთხოვებისას ძმურად გადავეხვიე მიხას: მის განუსაზღვრელ ტანჯვას ვეამბორე, იმ გამოუთქმელ მსოფლიო სევდას, რომლითაც გამსჭვალულია მთელი არსი და რომელიც უღმობელის ძლიერებით საცნაურქმნილიყო აწ ბედშავი მეგობრის გულში.

მეშინოდა, მიხამ ღელვას დაიწყებს ამ მისთვის სასტიკ უბედურების გამო და ვაითუ დარდი ვერ აიტანოს-მეთქი იმედმიხდილმა, მაგრამ დიდი სიმტკიცე გამოიჩინა ხასიათისა და გარეგნობით არც კი შეიმჩნია ეს უბედობა. იგი უბრძოლველად მიეცა შავის ბედის ტალღებს და თავი მიანდო მათ დენას. თავის სიყვარულის გაცუდებას ის ისე უყურებდა ეხლა, როგორც უკვე გარდასულ მოვლენას, რომელთან ბრძოლა შეუძლებელია იყო; უბედობას უკვე გამოეცა მთელი თვისი სიმწარე და იგი სიმწარე

მიხას უნდა დაელივნა ნელ-ნელა, უნდა დაეცალნა ფიალა ვარამისა. მაინც რაღას გააწყობდა? მომხდარს ხელი ვეღარ შეუბრუნდებოდა, საქმის მისკენ მიხვრა შეუძლებელი იყო. მართალია, გულჩათხრობილი დადიოდა ვაჟკაცი, ხშირად უნებლიეთ გმინვა აღმოჰხდებოდა გულიდან, მაგრამ ეს ხომ აუცილებელი იყო და ბუნებრივი მის ყოფაში: მის საყვარელს ჯვარი დასწერეს სხვაზე და მას წილად ჰხვდა მხოლოდ ოხვრა უბედურისა. მაინც მიკვირდა, რომ მიხას დიდი მღელვარება არ ეტყობოდა. დარდი კი მქონდა მისი და ხშირად დავდიოდი მის სანახავად შინ თუ მაღაზიაში. მიხა ყოველთვის მხნედ გამოიყურებოდა, თავისებურად სუფთად ეცვა, ჰაზრიანად და მოხერხებულად ელაპარაკებოდა მუშტარს, მუყაითად ასრულებდა ყოველსავე თვის საქმეს. გამიღიმებდა, მომიკითხამდა.

– აღარ უშავს რა, ღმერთია მოწყალე! ვარამმა ვერ წარღვნა მისი გონება, ვერც დაიმონა მისი ნება თავისუფალი; მოზღვავებულ უბედურებას მამაცურად დაუხვდა, – ვიფიქრე მე და დავმშვიდდი.

შემდეგაც ყოველთვის ესეთ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე მიხა, თუმცა ქალი კი არ დაჰვიწყებოდა ჯერ და თითქო არც აპირებდა მის დავიწყებას: ქეთეთოს სახე პატარად აელებინებინა და უბის საათში ჩაესმევინებინა. სურათი რომ შევნიშნე, გამოვართვი საათი და სინჯვა დავუწყე.

– ქეთეთოს სახეა, პაწაწად გადავალბინე საათისათვის: მინდა მარად თვალწინ მქონდეს ჩემი ოცნების სურათი, – მითხრა მიხამ და საუბარი სხვა საგანზე გადაიტანა.

– ეჰ, მალე შეაჩვევ თვალს მაგ ხატსაც. შემდეგ ჩაგიქრება ის მწვავე გრძნობა, რომელსაც ეხლა გიღვივებს ეგ სურათი და ბოლოს გასცვლი მაგ აჩრდილს უსულოს და ცივს რომელსამე ხორცშესხმულ, ცხოველსმყოფელ ყვავილზე და გაიხარებ, – გავიფიქრე მე და თავი მივანებე მეგობარზე ზრუნვას.

აღარც მეცალა მისთვის: ეს ის დრო იყო, როდესაც მთლად ჩამითრია და ჩამიხვია ცხოვრების მორევმა: სამსახურში წინ წავიწიე, გავიცან რამდენიმე სახლობა წარჩინებული ხარისხით თუ ჩამომავლობით ან შეძლებით, დაუცხრომლად ვცდილობდი მხარდამხარ მივყოლოდი მათ, არ ჩამოვრჩენოდი არაფერში. რა მიხასათვის მეცალა! ახალ ნაცნობებში დაჟინებით დავემბედი ჩემს იღბალს, რომელსაც ვერცხლით უნდა მოეკირწყლა ჩემი ცხოვრების გზა, რომ დაუბრკოლებრივ მევლო ამ გზით წარმატებისა და დიდებისაკენ.

ათასში ერთხელ მაინც შევივლიდი მიხასთან და ვრწმუნდებოდი, რომ იმასაც შეეგნო ცხოვრების ეშხი: სახლი სუფთადაა ჰქონდა მოწყობილი, თითონ უნაკლულოდ იცვამ-იხურავდა და თან ახერხებდა წითელ ოქროს გადაგდებას შავი დღისათვის. შეემლო კიდეც, რადგან თითონ სადა ცხოვრებას ეწეოდა და მაღაზიის პატრონიც ძალიან აფასებდა თავის უანგარო ნოქარს, ხოლო ნიშნად პატივისცემისა ჯამაგირს უმატებდა მას. ერთი რამ ზნე კი დასჩემდა ჩემს მეგობარს: ხანდისხან ჩაიდებდა ფულს და გასწევდა საქეიფოდ. უფრო „ვაზა“ ჰქონდა ამოჩემებული, ის ბალი, სადაც მე და იმას ვახშამი გვქონდა ქეთეთოს ჯვარის წერის ღამეს და იგივე ადგილი. მოითხოვდა სანოვაგეს, სასმელებს, მოიხმობდა დასტას და ისმენდა დუდუკის ფერად-ფერად ჰანგებს. თუ ამხანაგი შეესწრებოდა, კიდეც კარგი, თუ არა და მეზურნეებს თუ მსახურებს შეაქმევდა ფულს და ცალიერი დაბრუნდებოდა შინ. ნეტა თითონ მაინც ეჭამნა ან დაელივნა! მეც შევსწრებვიარ ამისთანა მის ქეიფს. დროს გატარება ყოველთვისა ჰგვანდა იმ ვახშამს, რომელიც ჩვენ იქ პირველად გვქონდა: ისევ ის სევდიანი ხმები, ისევ ის დარდით მოცული გაქვავებული სახე და მშრალი თვალები. ქეთეთოს სახელს კი აღარ ახსენებდა, კრინტს არა სძრამდა იმაზე. ბევრჯერ მოვინდომე იმ ქალზე ჩამომეგდო საუბარი, ბევრჯერ დავუახლოვე საუბარი ამ საგანს, მაგრამ

ამაოდ: ქეთეთოზე ის ხმას არ იღებდა, თითქოს ქალის სახე ამოფხვრილიყო მის მუხსიერებიდან; ნამდვილ კი იმ ქალს დასტრიალებდა მისი ფიქრები, მას შეჰკვნიესოდა მისი გული. გახსნიდა საათს, დააკვირდებოდა ქალის სახეს და სასტიკი რამ გრძნობა გაურბენდა თვალებში.

გავიდა წელიწადი. მიიწურა მეორეც. მიხას ამგვარ ცხოვრებას კი ცვლილება არა ჰქონდა. ვცადე წამეყვანა ნაცნობებში, ახალი სახე მეჩვენებინა მისთვის, ახალი სული გამეცნობებინა, რომ ეგებ ახლა მას შემოჰხვეოდა გარს ვაჟის ოცნება თუ გრძნობა. მაგრამ მიხა ყველას ერიდებოდა; უზარმაზარ ქალაქში სცხოვრობდა ისე, როგორც განდეგილი ვინმე განმარტოებული. გული ჩასთხრობოდა ვაჟკაცს, ჩაჰხვეოდა, ჩაჰბნელებოდა.

სხვად ძლიერ წმიდადა სცხოვრობდა მოწიფული ახალგაზრდა, უმანკოდ; თითქო აღარც კი ამჩნევდა თავის გარშემო ქალთა ძვირფას არსებობას. მე რომ ისე არ გავუშვებდი ქალს, რომ თვალი არ ამედევენებინა და გულისთქმის ვარდი არ მესროლნა მისთვის, ის ზედაც არ უყურებდა ამ ცხოვრების მაშვენებელ არსებას. რამდენჯერმე ვეცადე შემეგნებინებინა მისთვის, რომ უარყოფა უდიდესის ქვეყნიურ სიამისა არის გმობა მთელის ბუნებისა, მაგრამ ვერაფერი შევასმინე გაქვავებულს. მწყინდა ესეთი მისი უგრძობლობა, ჯავრი მომდიოდა. ვერას გავხდი: არც ერთხელ არ ინება შესულიყო წალკოტს სანუგეშოდ და მიელო ევასაგან ნაყოფი ხისა მის ცნობადისა. მე მაინც გულში დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს დროებით მოვლენა იყო მიხას ცხოვრებაში და დაჰკრამდა ჟამი, როდესაც იგი კვლავ იგრძობდა სიხარულს. მაგრამ აღარ დასცალდა მას.

შეუსრულდა ნატვრა ქეთეთოს მამას: მიათხოვა ქალი ივანე ივანეს ძეს, მაგიდის გამგებელს, კაცს ჩინებულს და წარჩინებულს. დიდ ვინმედ მიაჩნდა სიძე, პატივსადებლად. თითონ სამსახურში გადამწერლობას ვერ ასცდა, მარადის მონა იყო ამისთანა მოხელეებისა, ეხლა კი სიმამრი შეიქმნა სახელოვანის გვამისა! კეთილშობილთა რიცხვში მოექცა მისი ქეთეთო, აღმატებულთა გუნდში. ამაყობდა კაცი ამისთანა გამარჯვებით, ულვაშს იგრეხდა თავმომწონედ.

– მაშ, ქალო! თუ მე არ ვცდილიყავ, არ მომეალერსნა კაცისთვის, გული არ დამეხვივნა, ასეთს ბედს ვერ შეეყრებოდა ჩვენი შვილი. იქნებ შენ იმ ვიღაც ნოქრისათვისაც კი მიგეგდო ქალი!..

ცოლი როგორღაც ვერ თანაუგრძნობდა თავის ქმარს, ვერ უზიარებდა მას აღტაცებას. მიზეზიცი ჰქონდა ამისი და ამ მიზეზს დედის გამჭრიახი თვალი პირველ დღეებიდანვე ჰხედავდა, თუმცა კი ჯერ არავის უმხელდა: არ უნდოდა ცოლ-ქმრის საქმეში ჩარეულიყო. დედას იმედი ჰქონდა, რომ ქეთეთოს ოჯახში ჩრდილი დროებითი იყო, წუთიერი და მალე განქრებოდა. სცდებოდა გული დედისა: ჩრდილი რომ დაჰყვა ქეთეთოს ბედ-იღბალს. თანდათან იზრდებოდა; იგი ჩრდილი ისწრაფოდა გადაქცეულიყო სიბნელედ და ჩაენთქა ქალის გარშემო ყოველივე შუქი სიხარულისა.

უბედობა ის იყო, რომ ქმარმა პირველ დღიდანვე მრუდედ დაუწყო ყურება თავის მეუღლეს. ქალი წმინდად ვერა ლაპარაკობდა ქმრის ენაზე და ეს არ მოსწონდა კაცს, იმრიზებოდა, მეტადრე როცა სტუმრები ჰყვანდა; ქალს უყვარდა ფეხმორთხმული ჯდომა, ესე იყო შეჩვეული, ხელსაქმეც ესე უფრო ეხერხებოდა, ქმარს კი გული ემღვრეოდა ამაზე და სცდილობდა დაევიწყებინა ეს ჩვეულება; ქალს უცხო საქმელი არც მოსწონდა და არც ეხერხებოდა, კაცი სადილ-ვახშამზე უკმაყოფილო იყო და

ბუზღუნებდა. მოჰგლიჯა ქალს ჩიქილ-თასაკრავი და შაპო წამოარქვა. ქალი მოკრძალებული ქცევისა იყო და წყნარი, კაცს ეს დაჩაგრულობად მიაჩნდა და დასცინოდა. კაცი თხოულობდა, რომ ქალს სანოვაგე თითონ ევაჭრნა, თითონ ევლო ყასაბთან თუ ბაყალთან, ქალმა ვერ შესძლო ეს და კაცი ცოფდებოდა ამაზე. ქალს ქართული კითხვა უყვარდა, გულს აყოლებდა, სიამოვნებდა, ქმარს ქართული სიტყვა არც ესმოდა, არც მოსწონდა; იქამდის მივიდა საქმე, რომ ქალი წიგნსა ჰმალავდა ქმრის ფეხის ხმაზე. ქალს უყვარდა ღიღინი, ქართული ხმების შეწყობა, თარიც იცოდა და მის სიმთა ჟღერაში აღნობდა გულის ვარამს; ქმარს არ ესიამოვნებოდა ეს ხმები, მისთვის ეს ნაზი და თავისებური ჰანგები გაუგებარი იყო და უაზრო.

ათასგვარ წვრილმანში ირჩეოდნენ ცოლი და ქმარი ხასიათით თუ აღზრდით: ყველა წვრილმანში გამოსჭვიოდა მათი გემოვნებისა თუ ზნე-ჩვეულების განსხვავება, მათი სხვადასხვა შეხედულება ოჯახზე თუ ხალხზე. იშვიათი იყო ისეთი რამ მათ ცხოვრებაში, სადაც იმით გემოვნება თუ შეხედულება ერთგვარ ყოფილიყო და შეთანხმებული. კაცს კი არც იმდენი ხათრი ჰქონდა ცოლისა, არც იმოდენა მოთმინება, რომ ცოტა რამ დროებით მაინც დაეთმო ქალისთვის. ნორჩს გულს ქალისას სიყვარული სწადოდა აღტაცებული, ხოლო ქმარი მიუძღვნიდა გულს გაციებულს, გრძნობას დაჩქლეთილს, გამოფიტულს. ქალი სცდილობდა მოთმინებით დაეძლივნა ყოველივე და ჩამოეგდო სიმშვიდე ოჯახში, სცდილობდა შესჩვეოდა ქმარს, გული შეეწყო მისთვის, მაგრამ შეუძლებელი გამოდგა მათ შორის სულიერი კავშირი და თუნდა აჩრდილი ერთობისა. ვერ შესძლო ქალმა ასეთი ყოფა და თრთოდა, კვნესოდა, ილეოდა. მთლად აუტანელი ხდებოდა კაცი, როცა ნასვამი ბრუნდებოდა. სასტიკად გამოიყურებოდნენ მისი გამორეცხილი ცივი თვალები.

– არაყი! არაყში მსურს ჩავადნო დარდი ჩემი მოუწელებელი! – გასცემდა ბრძანებას ჩახლექილის ხმით.

მოუჯდებოდა წინწანაქარს და სვამდა ნელ-ნელა, სვამდა დაჟინებით, სვამდა დაუსრულებლად. სვამდა და მოსთქვამდა თავის უბედო ბედს, იღვერფლებოდა, სანამ კინწი არ მოსწყდებოდა და არ ჩაეძინებოდა. ქალი გადააწვენდა კაცს ტახტზე, მიხურავდა და ჩამოჰყრიდა უღონოდ ხელებს, მიეცემოდა მძიმე საგონებელს. დარდობდა ქალი, რომ ბედმა უმუხთლა მას, შეაუღლა უფერ კაცთან, სამუდამოდ ჩაუშავზნელდა ცხოვრება. განა ამისთანა ვაჟკაცზე ოცნებობდა ქეთეთო! მისი ოცნების გმირი არ იყო რაინდი საკვირველი, იგი იყო მუშაკი ტკბილი, წყნარი, ცოლ-შვილისათვის თავდადებული. ქალის ოცნებაში ეხლა თანდათან ირკვეოდა და სხივოსნდებოდა სანდომი სახე მისი სიყვარულით გატაცებულ მიხაკოსი. თუმცა ქალი ირიდებდა ამ სახეს, თავის ფიქრებს გარს არ ეხვეოდა, რადგან ამგვარ ფიქრთა დენა ცოდვად მიაჩნდა და ღალატად თვისის გვირგვინისა. დარდობდა ქალი და თავის დარდს არავის უმხელდა, დედასაც კი არ უზიარებდა, თუმცა ამაოდ სცდილობდა დაფარვას: მისი ჩაფერფლილი სახე ცხადყოფდა მის დუხჭირ ცხოვრებას.

ყველა ეს დარდი არ აკმარა ქალს მისმა მწარე ხვედრმა. ერთხელ სამსახურიდან ძალიან ავგუნებაზე დაბრუნდა კაცი: უფროსს შენიშვნა მიეცა მისთვის, დაეტუქსნა. სმას შეუდგა ჭირთ საფონებლად. გაჭირვეულდა გალოთებული და ჭიქა დაანარცხა იატაკზე. სასმისის ჭაქანზე ქალი ზე წამოვარდა, შეჰკვივლა. კაცმა ძლიერ იწყინა და გაცოფებულმა ხელი ჰკრა ცოლს გულში, ქალი გადიმზღვრა იატაკზე: გული შეუწუხდა.

ვიცი, რომ ქეთეთო ავადმყოფობდა, გულს იტკივებდა, ზერაქვერად იყო, მაგრამ ის კი არ მეგონა, ისე მალე მოესწრაფებოდა დღე იმ ნორჩ ქმნილებას. ბოლოს ჟამს ქალს ქმარი სულ დაჰვიწყებოდა, პირი შეექცია მისთვის, აღარ ახსოვდა მისი ვინაობა. სხვა რამ სურათი დაჰსახოდა მის გაწამებულ გონებას და ავადმყოფი იმ სურათს შესტრფოდა ეხლა.

კაცი გამოეგზავნათ ჩემთან. ქალი ბალიშებზე იყო მისვენებული. თვალცრემლიანი დედა გვერდს ეჯდა და უსიტყვოდ ჩასჩერებოდა. მძიმედ სუნთქავდა ქეთეთო, ხრიალით. თვალები მოჰრღვეოდა, მიფერვლილ სახეზე გრძლად დაჰფენოდა გიშრის წამწამი; ხელებს აცოდვილებდა მოუსვენრად. ავადმყოფმა გააღო თვალები, მიიხედა-მოიხედა და გაკვირვებით შეხედა დედას.

– რა იქნა, დედიჯან, მიხაკო? ეხლა ხომ აქ იჯდა ჩემთან.

– ვინ მიხაკო, გენაცვალე?

– ჩვენი მიხაკო, ქა, ჩემი დანიშნული! – სთქვა ქალმა და ჩარჩეულ ლოყებზე სიწითლემ გადურბინა.

მაშინვე მივხვდი, ვინ მიხაკოს კითხულობდა ქალი. გავექანე ეტლით და მოვგვარე ჩემი მეგობარი. ქალი გარინდებული იწვა, ხელი გადმოეგდო ბალიშზე. მიხა მივიდა სარეცელთან, ცალ მუხლზე დაიჩოქა და ხელზე აკოცა ავადმყოფს.

– მიხაკო, შენა ხარ, ჩემო სიცოცხლე?

– მე ვარ, გენაცვალე! ეს რა ამბავია შენს თავს?

– დაჯექ, სიყვარულო, ჩემს ახლო დაჯექ!

დედა ფეხაკრეფით მოშორდა ქალის საწოლს.

– ვკვდები, გენაცვალე, და მომსურვილდა შენი ნახვა. ვიცი, ვიცი მოხვდობი.

– სულ შენთანა ვარ, ჩემო სიცოცხლე! ბაღლობიდან ჩემი გონებიდან განუშორებელი იყო შენი თვალები, შენი სახე, შენი ტკბილი ხმა. გნახე და მაშინვე გიცანი. მას აქეთ შენითლა ვცოცხლობ, შენით ვსულდგმულობ. აი, საყვარელო, – უთხრა ვაჟმა და უჩვენა ქალს მისი სახე საათში.

– ჩემს გონებას კი ბინდი ჰქონდა გადაფარებული. რაღაც სახეს ევლებოდა თავს ჩემი აზრი, ვიღაცას ეტრფოდა ჩემი გული, მაგრამ ჩემმა საწყალმა გონებამ ვერ გამოარკვია იგი სახე და ვეღარ გიცანი, როდესაც გნახე... წყალი, გენაცვალე!

მიხამ მიუპყრო ქალს ჭიქა. ქალმა დაისველა გაფიცებული ტუჩები და განგრძო:

– შემდეგ ნელ-ნელა ჩამოეხსნა ფარდა ჩემს გონების თვალს და ეხლა ვიცი, რომ შენა ხარ ჩემი ერთადერთი სიყვარული; უწინ რომ ვცხოვრობდი, მაშინდელი ჩემი სიხარული, თურმე შენ მოგელოდდა გული კრული! აზრმა კი დახშულმა ვერ გიცნო შენ.

– იცი, ქეთეთო ... ახ, უწინ სხვა სახელი გქონდა, ვეღარ მომიგონია. იცი, ქეთეთო, მე ცხადად მახსოვდა შენი თვალები, აი ეს მშვენიერი თვალები, – უთხრა მიხამ და ნაზად შეეხო ქალის წამწამს: – შენს ხმასაც კარგად ვარჩევდი, მაგრამ სახე კი მიეფარა ჩემს გონებას, ვეღარ წარმომედგინა, სანამ არ შეგხვდი.

ქალს სიხარული დაეტყო, აღტაცება რამ დაესახა, მიმქრალი თვალები ნათელმა გაუშუქა!

– ამაყენე, გენაცვალე!

ვაჟმა მოხვია ხელი და ფრთხილად წამოსვა, ბალიში გაუსწორა.

– ეგრე იყავ, საყვარელო, ხელს ნუ მომაშორებ! – უთხრა ქალმა.

და გადისვა ხელი სახეზე, თმა გაისწორა, მერე მხარზე დაეყრდნო ვაჟს დაქანცული.

– გახსოვს, გენაცვალე, ჰაერთა სივრცეში რომ მივცურავდით ესე გადაჭდობილნი? – შეეკითხა ქალი.

– მახსოვს სიზმარივით.

– როგორი წყვილია იყო! როგორ ციოდა! იცი, სიყვარულო, ის მძაფრი სიცივე უკვე გამიჯდა ეხლა ჯანში, – სთქვა ქალმა და შეაჟრჟოლა.

ვაჟმა გულში ჩაიკრა ავადმყოფი, სცდილობდა გაეთხო იგი.

– მაშინ აკი მივაღწიეთ კიდეც ნათელთა სამფლობელოს, ვერ კი ვეღირსენით იქ დამკვიდრებას. ხომ გახსოვს ხმა: ძლიერია თქვენი სიყვარული, გარნა ტანჯვით უფრო განასპეტაკებთ მას და იგი სიყვარული შეგაერთებთ საუკუნოდ!

– ეხლაც ყურში მიდგა იგი ხმა ციური! – მიუგო ვაჟმა.

– რა საშინელი ჰაერის მცველნი გვეყვებოდნენ თან! როგორ სცდილობდნენ გავეყარენით, დავეშორებინეთ ერთმანეთს საუკუნოდ. ჩვენი სიყვარული გვინათებდა, არ უშვებდა მათ ჩვენთან.

– კვლავ გაგვინათებს იგი სიყვარული წყვილიადს უსაზღვროს, ჩემო სიცოცხლე! – მიუგო ვაჟმა ალატაცებით.

– მეშინიან იმათი! ჰაერის მცველებისა მეშინიან! იქ დამიხვდებიან მარტოს, ამედევენებიან, – სთქვა ქალმა

და მიეკრა ვაჟკაცს.

– ნუ, გენაცვალე! აი შენთანა ვარ.

– იქ, იქ მარტო დავრჩები, ჩვენი სიყვარულის ლამპარი ჩაქრება უშენოდ და ბნელი მომიცავს, წყვილია ჩამნთქამს. მეშინიან! – წამოსთქვა ქალმა

და ძრწოლა აღებეჭდა სახეზე.

– არა, გენაცვალე! ჩაუქრობელია ჩვენი სიყვარულის ლამპარი, ეხლა უფრო ბრწყინვალე იქნება იგი, რადგან ჩვენ იგი ჩვენი სიყვარული გავასპეტაკეთ დიდი ტანჯვით. ოხ, ძლიერ ვიტანჯებოდი ამ ორ წელიწადს უშენოდ.

– მეც ვეწამებოდი უშენოდ, სიყვარულო! გავიგე ჩემი შეცთომა, გიცანი, მაგრამ გვიანდა იყო. მინდოდა გამეზიარებინა შენთვის ჩემი ტანჯვა, მაგრამ ეს ღალატი იქნებოდა ნაკურთხი გვირგვინისა. ეხლა სხვაა: ეხლა აღარ ვეკუთვნი ამ ქვეყანას.

– ეხლა სხვაა: ეხლა ჩემი ხარ, ეხლა შენთანა ვარ საუკუნოდ! ველარავინ მომტაცებს შენს თავს, ველარავინ დამაშორებს შენს გულს ვეღარც აქ, ვერც იქ, იმქვეყნად!

– მაშ ისევ გიყვარვარ, მაშ არ დამტოვებ, მაშ არ გამიშვებ მარტო?

– არა, გენაცვალე, არასოდეს!

– მაკოცე, სიყვარულო!

ვაჟმა ჩაიკრა გულში სატრფო, დაუკოცნა ბაგე და ფრთხილად მიაწვინა ბალიშებზე, ხელი კი არ მოაშორა. ქალი დამშვიდდა, სიამის რამ ნათელი წყნარი გადაეფინა სახეზე.

კუკიის სასაფლაოზე დავკრძალეთ ქეთეთო, განაპირას, გორაკების მხარეს. ორი დღის შემდეგ იქვე გავუთხარეთ სამარე მიხაკოს. ბანგი დაელივნა. ანდერძში მეხვეწებოდა, ქეთეთოსთან დამმარხეო. იმასაც მავალეებდა, ყოველწლივ მომეხსენებინა მათი სული და დუდუკი ამეკვნესებინა მის საფლაგზედ იმ ხმების მოსაგონებლად, რომლებიც ჰხიბლავდნენ მას ცხოვრებაში. ორივეს ერთნაირი ქვა ადევთ. უკლებლივ

ვასრულებ მეგობრის ანდერძს და ყოველწლივ მის გარდაცვალების დღეს ტკბილი დუდუკი დასტირის შეყვარებულთა სამარეს.

[1909 წ.]

ბედის ვარსკვლავი

1

ზამთრის ღამე იყო, ცივი, სუსხიანი, ბნელი. გაყინული ნიავი სისინებდა ბოროტად, გაჰქონდა სახლიდან უკანასკნელი სითბო. ბედიანის ბინა თუ დახშული იყო მისთვის და ჩაბეჭდილი, უბედოს სადგომში ხალვათად გრძნობდა თავს და დანავარდობდა თავისუფლად. აქ ყველა მხრიდან გზა ხსნილი ჰქონდა: კარ-ფანჯარა, ბუხარი, ჭერი თუ იატაკი განზე გამდგარიყო იმის წინ, პირი ექმნა, გზა მიეცა სასტიკისათვის.

მიყრუებულიყო პატარა ქალაქი ჩაშავბნელებულიყო. ხმას აღარ იღებდა სულდგმული; ძალღივ კი აღარ იყეფებოდა ბუნაგში ჩათბუნებული. მხოლოდ წყვილიადიდან ხანდახან ფრთათა შრიალი გამოისმოდა ძლიერი და ხარხარი რამ გადურბენდა თავს ჩამკვდარ ქალაქს: მავნე დასტრიალებდა თავს კაცთა ჩაქოლილ ბინას, კისკისებდა მათ დაბეჩავების და შეწუხების ხილვაზე. ადამიანთა შევიწროვება ახარხარებდა ბოროტს, გულიანად ახითხითებდა.

ემინა მთელ ქალაქს, ემინა დიდსა თუ პატარას, მდიდარსა თუ ღარიბს: ამ მოსაწყენ ქალაქის ერთგვარი უგემური ცხოვრება ყოველ ჟამს ძილად იწვევდა მიდუნებულ-მიბურდოებულ მცხოვრებს და მეტადრე ამისთანა ბნელს, ცივს, სასტიკ ზამთრის ღამეში.

ჯერ არ ემინა მხოლოდ დაბად კოპრუას პატარა ბიჭს ბესოს, მისჯდომოდა ის მაგიდას, დაეყრდნო თავი ხელებზე და ჩასცქეროდა წიგნს. ტყავის ქუდი ეხურა, ბეწვიანი ტყავივე ჰქონდა წამოსხმული. ციოდა სახლში და ბავშვს კარგად იფარავდა ეს ქურქი. ფეხი კი მაინც ეყინებოდა, რადგან მიწური იატაკი ნესტს აძლევდა; უბერავდა კიდევ საიდანღაც. თავდავიწყებით კითხულობდა პატარა, გატაცებით. აღარ ესმოდა, სად იყო ან რა ხდებოდა იმის გარემო. აზრით აზდევენებოდა საკითხს და იმის გონების თვალწინ ნათლად იხატებოდა ყოველივე მოთხრობილი. ჭუჭყიანი პატარა მაგიდა ბავშვის წინ მარჯვედ მოწყობილ სცენად გარდაქმნილიყო და ზედ საკვირველის სიცხადით იფურჩქნებოდა ცხოვრებისა და ბუნების სურათები ხელოვნურად ჩახატულ საკითხში. ბავშვის აღფრთოვანებული ოცნება თითონაც დასძენდა სურათებს, ჰქარავდა მათ ფერადით, აშუქებდა მიბნელებულ კუთხეებს, აყვავებდა ყოველსავე ხრახნილს, ამკობდა ოქროს ვარაყით. გამოუთქმელ სიამესა გრძნობდა ამ გაყინულ ოთახში, როგორც რამ ყოველივე კეთილით და კეთილსანახაობით სავსე ზღაპრულ დარბაზში. ამ წამს მთელი არსება ბავშვისა მოწყვეტილი იყო სინამდვილის დუხჭირობას და აღმაფრენას მისცემოდა განსაცხრომელს. აღრაფერი არ აკავშირებდა ბავშვს ნამდვილ ცხოვრებასთან, გარდა გახრწნილ ტყავების საზარელ სიმყრალისა, რომელიც შეერთებულიყო თრიმლის მძიმე სუნთან. ეს საზიზღარი სუნი ძლიერად ასდიოდა კუთხეში მიყრილ ტყავს და სტანჯავდა პატარას. ვერაფერი ოცნება ვერა ჰვანტავდა ამ მძორის სუნს, რომელიც დაბუდებულიყო ბავშვის საყნოსელში. ეს სუნი თანა სდევდა ბესოს ყველგან და ყოველთვის, ერთს წუთს არ აძლევდა მოსვენებას,

ყოველსავე სიხარულს უწამლავდა. სხვები რომ შესჩვეოდნენ ამ სუნს სახლში და ვეღარც კი გრძნობდნენ მას, ბესო არ იქმნა, ვერ შეექვსა და ვერ შეურიგდა. ეხლაც მხოლოდ ეს მძლავრი სუნი აკავშირებდა მას გარემო ცხოვრებასთან.

მაგიდაზე ეწყო სუფთა რვეულები, მიძველებული სახელმძღვანელოები, საწერ-კალამი, შიმშა, ფანქარი. ბავშვს უკვე მოემზადებინა გაკვეთილები და ეხლა საკითხ წიგნს ჩასცივებოდა. მამალმა ერთი პირი კიდევ იყივლა, ბავშვი კი ისევ კითხულობდა. მისი ძმა ვანო და დედ-მამა ტახტზე იწვნენ მიგლეჯილ საბნებქვეშ მოკრუნჩხულები. ბაღლის დედა გაიჩმუჩნა და ლამპრის შუქმა რომ შეანათა, თვალები გააღო და წამოიჯდა.

– ისევა გღვიძავ, ბიჭო?! რაზედა ჰბუგავ მა ნავოს? შუა ღამე გადასულა და შენ კი ისევ წიგნს ჩასჩიჩინებ. რით ვერ დაისწავლე გაკვეთილები?

– გაკვეთილები ვიცი, დედილო: წიგნსა ვკითხულობ.

– შენ და შენი წიგნი, ილაჯი წაიღე! გააქრე ეხლავ ლამპარი და დაწექ!

ბავშვმა მოსწყვიტა წიგნს თვალი, ჩააქრო ლამპარი და ჩაწვა ლოგინში ძმის გვერდით. მაშინვე კი არ დასძინებია პატარას: ისევ წაკითხულს მისდევდა ფიქრით და აღფრთოვანებული გონება ათას სანახავს უსახავდა.

2

დაბალი კოპრუა ქალაქის განაპირასა სცხოვრობდა; იქ ეზო ჰქონდა ნაქირავები, ნაკადის პირას, ხევში. იმის ხელობისათვის საჭირო იყო მუდმივ მომდინარი წყალი და ამისთვის თავის ეზოში ვერ გაემართნა სახელოსნო. უფროსი შვილი მოსწრებული ჰყვანდა, დუქანში მუშაობდა, მხარში ამოსდგომოდა მამას. დაბალის ცოლი სახლ-კარს უვლიდა, მატყლს ართავდა წინდა-პაჭიჭისათვის, ჰგრეხდა აპურებს თხის ბეწვიდან: ტყავებს ხშირად მოსდევდა მატყლი თუ ბალანი და ამ მასალის გამოყენება ხელსაყრელი იყო ოჯახისათვის. ჰყიდდა წინდა-პაჭიჭს, აპურებს და სახლს ეშველებოდა, თორემ მარტო ქმრის ხელობას რომ დანდობოდა, შიმშილით ჩაიხოცებოდნენ. აპურების გრეხაში ქმარ-შვილი ჰშველოდა მოცლილ დროს.

ძნელი ხელობა ეჭირა კოპრუას, მხოლოდ ყელგადაგდებულ კაცს შეეძლო ამ ხელობისათვის შეებედნა: მუდმივ ასუნებულ ტყავებთანა ჰქონდა საქმე, თრიმლთან თუ ათასნაირ საღებავთან. დიდი ჯაფა უნდოდა ყოველგვარ ტყავის გამოყვანას. ბარძაყებამდის დაკარწახებული, იღლიებამდის დაკაპიწებული ზელავდა ტყავს ფეხით თუ ხელით და აბრუნებდა. ზამთარში ხომ სწორედ სასტიკი იყო ეს ხელობა და საშიში: გაყინულ წყალში ტყავების ფეხშიშველა ზელვა დილიდან საღამომდის აუტანელი ტანჯვაა მშრომელისთვის. მჭვალი თუ სხვა ამგვარი ავადმყოფობა მუდმივ კარს უდგა ამისთანა მუშაკს. ერთადერთი ამათი ნუგეში და გამამხნეველები საშუალება არის არაყი და ღვინო: სასმელი ახალისებს მათ, უხშობს თანაც გრძნობას და მუშაკი ვეღარ ამჩნევს სამუშაოს სიძნელეს, სიცივის სისასტიკეს და ტყავების თუ მათ გამოსაყვან-დასაფერად საჭირო წამლების სუნს.

ძნელი ხელობა იყო დაბლობა კოპრუასთვის და თანაც უმადური: იმდენს ძლივსა რჩებოდა, რომ ლუკმა პური მიეწოდებინა თავის ოჯახისთვის. ეს იყო მიზეზი, რომ უფროს შვილს ვერაფერი სწავლა ვერ მიაღებინა, მხოლოდ თავისი ხელობა ასწავლა და მუშად გამოიყვანა. თანხა რამ რომ ჰქონოდა, არაფერი უშავდა, ფულსაც მოიგებდა, რადგან მაშინ შორს წავიდოდა, დაუმუშავებელ მასალას პირიანად იპოვნოდა და ეს ძალიან სარფა იქნებოდა მისთვის. ეხლა კი იძულებული იყო იქვე ახლო ეყიდნა ტყავები ყასბისაგან და ისიც ნისიად, დამუშავებულ საქონლის გაყიდვამდე. აქ კი

მოგებას ველარა ჰხედავდა. ტყავებს მამასისხლად აფასებდნენ, შვეაჭრება და ჩინჩი კი არ შეიძლებოდა. ნისიად წამლებს ენა მოკლე აქვს. ეს კი იყო, რომ თუ ახალ გატყავებულს მოასწრობდა ძროხას თუ კამეჩს, იმ დღეს შეეძლო წვნიანი ჰქონოდა სადილად: საქონლის კუდს არ ატყავებენ, კუდი გაუფცქვნიელი მისდევს ტყავს. აი, კუდებს დაატყავებდა კოპრუა და რიკებს უგზავნიდა დიასახლისს. დედაკაცი გაახახჩხაჩებდა წყალში და შემოსდგამდა ცეცხლზე. კარგი წვენი იცის მსუქანი, ხორცსაც არაუშავს რა: საკნატუნებელია.

ესე ჯაფაობდა ოჯახი დღედაღამ, სცხოვრობდა თავის შრომით და ოფლით. არავის ხელში შემაცქერალი არ იყო, არც ვისთვისმე მეტი ბარგი. კაცი შესწევოდა შრომას და დაჰმორჩილებოდა თავის ბედს, შრომის გარეშე ველარასა ხედავდა, აღარც არას ელტოდა; არცლა ესმოდა რამე თავის ხელობის გარდა. ხალხში თუ სტუმრობაში პირუტყვივით იყო და ილალებოდა. უქმ დღეს, როცა დუქანი დაკეტილი ჰქონდა, არ იცოდა, რა ექმნა თავის თავისთვის და როგორ გაეტარებინა დრო – თავისუფლად ყოფნა ეჩოთირებოდა.

დაბადის ცოლი არა ჰგვანდა ქმარს: ყოჩალი დედაკაცი იყო, მეზრდოლი. ცხოვრების დუხჭირობას და მარად შრომას ვერ დაემორჩილებინა ის, ვერც დაეხეჩავებინა. არა ტყდებოდა მედგარი, იბრძოდა მუდამ, მოხრას არ აპირობდა მძიმე ტვირთის ქვეშ. ოჯახის ნამდვილ ბატონ-პატრონი დიასახლისი იყო, ხოლო კაცები ყველაფერში მისი კითხულნი იყვნენ, მისი სურვილის აღმასრულებელნი. ძალიან ეხათრებოდა დედაკაცისა ქმარ-შვილს, კიდევ ეშინოდა მისი. მეზობლებიც მოკრთალებულნი იყვნენ მართასთან: იცოდნენ, ის არას დაუთმობდა მათ, არც არავის დაეჩაგვრინებოდა. არ კი ეჯავრებოდა მართა, პატივსაც კი სცემდნენ, რადგან ახსოვდათ, რომ გაჭირვებაში ისევ დაბადიანთ მართა იყო მათი ქომაგი და ხელის გამმართველი. დედაკაცი შინ ტუტყიანი დადიოდა, ჩაქშეხეული, ქუსლმოგლეჯილ ფოსტლებით, მაგრამ კარზე გასასვლელად კი ერთი ხელი სუფთა ტანისამოსი ჰქონდა ყოველგვარ მორთულობით, თათმანებიც კი ელაგა ჯერ ისევ თითებ წაუცვეთელი. როცა მოირთვებოდა და გავიდოდა ლხინში თუ ჭირში, ვერავინ იტყოდა, რომ საწყალ დაბადის ცოლი იყო და არა შეძლებულ მოქალაქის მეუღლე.

ხელმოკლეობამ ყაირათს შეაჩვია დედაკაცი. იმის სახლში არაფერი არ გაფუჭდებოდა, რაც უნდა უბრალო რამ ყოფილიყო და გამოუსადეგარი. ყველაფერი თავის ადგილს პოულობდა, ყველაფერი თავის შესაფერად გამოდგებოდა. იმის სახლში ცუდად ჯდომაც ყოვლად შეუძლებელი იყო და წარმოუდგენელი: არც თითონ დააყენებდა ხელს, არც სხვას მისცემდა ნებას გულხელ დაკრებილი მჯდარიყო თუნდ ერთს წამს.

– რა ნაცარქექიასავით მისჯდომიხარ მა კერას? ადექი, ხელი გასძარ, მიდექ-მოდექ!

– დედაკაცო, ჯერ ხომ ეხლა მოვედი დუქნიდან და დამაცადე შევიქაქანო.

მაგრამ დედაკაცი არავის არ აძლევდა ნებას შეესვენა და განცხრომას მისცემოდა, მაშინვე საქმეს გაუჩენდა. უსაქმოდ მჯდომი სტუმარიც კი ეკლად ეჩხირებოდა თვალეზში.

დედაკაცი კიდევ აჭარბებდა ხელმომჭირნეობაში, გარდას გადადიოდა. ყველა დახარჯულ გროშს დაკარგულადა სთვლიდა, თუნდაც ფული ისეთ საქმეზე წასულიყო, რომელსაც შეეძლო შემდეგში სარგებელი მოეტანა.

– ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი მირჩენია! მე დღეს მიჭირს, გენაცვალეთ, და ხვალისა კიდევ ღმერთმა უწყის, – იტყოდა მართა ამისთანა შემთხვევაში.

მშრომელ მარჯვენასაც ისე უყურებდა, როგორც ნაღდ ფულს. თუ კი ვისმე შრომის უნარს შეამჩნევდა, თუ კი ვისიმე შრომა მაშინვე მოუტანდა ოჯახს სარგებლობას, დიასახლისი პირდაპირ თხოულობდა ამისთანა მუშაობას დაუყოვნებლივ, ხოლო იმისთანა შრომას, რომელსაც დღეს არა შემოჰქონდა რა და მხოლოდ ოდესმე შეეძლო გამოეღო ნაყოფი კეთილი, ის არად აფასებდა, ამისთანა გასჯისა არა სწამდა რა. ასეთი შეხედულების ბრალი იყო, რომ მისი უფროსი შვილი ბაღდადში დაწავლეს ჩაება სასტიკ ხელობაში და დარჩა უსწავლელი. იმის შვილს ივანეს ეხლა კარგად ესმოდა, რომ უმჯობესი იქმნებოდა პირად მისთვისაც და სახლისთვისაც, რომ იგი ჯერ მოემზადებინათ ცხოვრებისათვის და მერე ჩაეკრათ მისთვის თავი თუნდ რკინის ტაბიკებით, მაგრამ გვიანდა იყო; რაღას უშველიდა ეხლა?! დრო წასული იყო და ხედავდა ჭაბუკი დაღონებული, რომ მთელი თავისი სიცოცხლე მუშა საქონელივით უნდა ეწივნა ჭაპანი უმადურის შრომისა.

3

ამ ოჯახის ხელმოკლეობა, მისი გაჭირვება და დიასახლისის მეტისმეტი ანგარიშიანობა იყო იმისი მიზეზი, რომ როცა მისმა უმცროსმა შვილმა ბესომ გამოუცხადა დედას, სასწავლებელში სწავლის ფულსა მთხოვენ და ხვალ უთუოდ უნდა წარვუდგინოვო, დედაკაცი შეხტა და დაეცა.

– ფული?! საიდან უნდა მოვჭრა ეხლა შენთვის ფული? ხომ იცი, რა საცოდავი კაცია მამაშენი; იმდენიც კი ვერ შემოაქვს სახლში, კუჭი გაგვიძლოს.

– მაშ რა ვქნა, დედი? ხვალ თუ არ მოიტანო, მითხრეს, დაგიტხოვთო.

– თავი ქვას ახალონ, თუ დაგიტხოვენ! ეხლა უკვე დიდი ბიჭი ხარ, შენი საკმარისი წიგნი იცი, მუშაობაც შეგიძლიან: წადი დუქანში, მიემველე შენს მამას და ძმას; იმდენ მაინც გააკეთებ, თავი შეინახო და ტვირთად არ აწვე სახლს.

დიასახლისმა შემთხვევით ისარგებლა და წარმოსთქვა თავისი გულის ნადები. კარგა ხანი იყო, თავის უმცროს შვილს ისე უყურებდა, როგორც უკვე სახლისათვის გამოსადეგ ძალას. გამოთვლილი ჰქონდა, რა სარფა იქმნებოდა მათთვის, რომ რამე სამუშაოზე დაეყენებინა პატარა. კარგად იცოდა, რომ ბესოს ჭირივით ეჯავრებოდა მამის ხელობა; კმაროდა ის განსაკუთრებითი სუნი, რომელიც ტრიალებდა დაბადის დუქანში, რომ სამუდამოდ უარეყო ბაღდადს ეს ხელობა. თითონ დედაკაცსაც არ უნდოდა მეორე შვილიც ამავე საქმეში ჩაება; იმას უნდოდა შვილი ბაზაზთან მიეცა და სოვდაგარი გამოეყვანა. თუ პირდაპირ დაბლობაზე მიუთითა დედამ და თავის ნამდვილი სურვილი ჯერჯერობით დამალა, ეს მხოლოდ იმისთვის, რომ თავის წინადადებით შეემჩნებინა ბავშვი და მერე უკეთეს ხელობის შეძლებით გული მოეგო, დაეთანხმებინა. ბესომ რომ მოისმინა დედის სიტყვა, მკაცრი რამ გამომეტყველება აღებუჭდა სახეზე და წარმოსთქვა გადაჭრით:

– არ შემიძლიან დაბლობა! გამოსასვლელ ტყავების სუნსაც ვერ გავუძლებ. არ მინდა ეგ ხელობა!

– როდი გეკადრება მამისა და ძმის ხელობა! იქნება ცოტა ხნის შემდეგ ჩვენც აღარ გვიკადრო! – დასცინა დედამ.

– არა, დედი, მე რა ხერი მაყრია ამ ხელობაში, რომ ახლა ბესო ჩავაყენოთ ამავე საქმეში. თანაც ჯერ პატარაა, სუსტი და აბა როგორ შესძლებს ტყავების ზელას წყალში თუ იმათ ბრუნებას, – წაეჭომაგა ბესოს უფროსი ძმა.

– შენ არავინა გკითხავს! – გააწყვეტინა ხმა დედამ და ის იყო მიუბრუნდა ბესოს შესატევად, რომ მოესმა ქმრის ხმა:

– მართალს ამბობს, დედაკაცო, ვანუა: სისხლის ოფლსა ვღვრით და ხეირს კი მაინც ვერა ვხედავთ.

– განა შენც გეთქმის რამე?! მითომ შენც ვაჟკაცი ხარ, ოჯახის შემნახველი! შენი უხეირობით არის, რომ ვერაფერს ხეირს ვერა ვხედავთ, თორემ აბა დაბად ღაღუას შეხედე, როგორ ქონი მოიბა გულზე! – გააკმენდინა ქმარს ხმა და მტკიცედ მიჰმართა უმცროს შვილს:

– მე ფული არცა მაქვს და ვერც მოგცემ! რახან მამის ხელობაზე გული არ მიგდის, ხვალ წავალ ბაზაზ გიორგისთან, მოველაპარაკები და იმის მაღაზიაში მიგცემ: შენს თავსაც მოუვლი, შინაც შემოიტან ცოტა რამ შეგირდანას, – უბრძანმა დედამ და დარწმუნებული იყო, რომ იმის სურვილს დაჰყვებოდნენ პატარაც და დიდებიც, სიამოვნებით დასთანხმდებოდნენ ამაზე, მაგრამ მოსტყუვდა.

– მე სასწავლებელს თავს ვერ დავანებებ. თუ გამომადგებენ, იქვე თავს მოვიკლავ! – წარმოსთქვა ბესომ მტკიცედ და ცეცხლმა რამ გაურბინა თვალებში.

დედა დააკვირდა შვილს და იგრძნო შეურყეველი ნება თავის პატარისა. მოავლო თვალი სხვებსაც და შეატყო, ისინიც თანაუგრძნობდნენ ბაღს. მიხვდა, რომ ეხლა ვეღარ გაიყვანდა თავის სიტყვას: პატარას უკვე გაეკვლია თავისი მიზანი და მტკიცედ მიიმართებოდა მისკენ. დედაკაცი არ იყო წინააღმდეგობას ჩვეული და იწყინა ასეთი გადაჭრილი უარი. ჯერ განცვიფრდა, მერე გაფიცხდა, გამწვავდა, განრისხდა, დაცოფა იქაურობა. ეცა ქმარს, სწვდა უფროს შვილს, ჩამოქოქა პატარა, ძირს დასცა მთელი სახლი; ამაოდ დაურჩა ყოველივე: მისი ყოველგვარი ცდა ეხეთქებოდა ბავშვის მტკიცე გადაწყვეტილებას, როგორც კლდეს და იმსხვრეოდა ზედ. პატარის გაბედულმა მოქმედებამ დიდრონებიც წაათამამა, ფხა გამოაჩენინა; ეხლა ესენიც სიტყვას უბრუნებდნენ დედაკაცს, ესარჩლებოდნენ ბესოს, აზრს უწონავდნენ დიასახლისს და უწუნებდნენ. ამ არაჩვეულებრივმა ამბავმა მთლად გადარია მართა, ადამიანის სახე დააკარგვინა. შუადამე გადასულიყო, როდესაც ძლივს დაწყნარდა ოჯახი. გამწარებულმა სახლობამ როგორც იყო შეაფარა თავი სიბნელესა და ძილს.

ბესომ რომ მტკიცე უარი სთქვა დაბლის შეგირდობაზე და სამუდამოდ ზურგი შეაქცია მამის ხელობას, ეს ადვილი გასაგები იყო დედისათვის და სხვებისთვისაც: იცოდნენ, რომ სძულდა ეს ხელობა, იმის მოგონებაზე უსიამოვნოდ აჟრჟოლებდა, დაბახანის სუნის გახსენებაზე ჭირის ოფლს ასხავდა და გული უღონდებოდა. ხომ უყვარდა ბესოს მამა და ძმა, მაგრამ მათთან მიახლოება ეზარებოდა, რადგან მათ ყოველთვის სდევდა თან ეს აუტანელი სუნი. ეს ყველამ იცოდა სახლში და ამიტომ არ გაუკვირდათ, როცა ბავშვმა უარი გამოაცხადა სასწავლებლიდან დაბახანაში გადასვლაზე. მაგრამ ის კი ადვილად შესაგნებელი არ იყო სახლობისთვის, რად არ დათანხმდა მაღაზიაში შესვლაზე და უარი ჰყო სოვდაგრობის გზა.

ვერ გაეგოთ, ესე ძლიერ რამ მიიზიდა ბავშვი სასწავლებლისა და წიგნებისაკენ, რად ჩასჭიდა ამ ბოლო დროს მძლავრად ხელი სწავლას და ყოველსავე ღონისძიებასა ხმარობდა, არ მოჰმორებოდა სკოლას, პირველი ადვილი დაეჭირა იქ. ძნელი გასაგებიც იყო ეს: მართალია, სწავლა არ უძნელდებოდა ბავშვს რადგან საკმაო ნიჭი ჰქონდა და შრომის უნარი, მაგრამ სწავლის სიტკბოება სავსებით არა ჰქონდა ჯერ შეგნებული და მით უფრო მიმზიდველ ძალას ვერ წარმოადგენდა მისთვის მშრალი გაკვეთილები. ის კი მაინც თავს აკლავდა ამ გაკვეთილებს თუ წიგნებს, ჩასცივებოდა მათ, მედგრად ებრძოდა. უკვირდა ეს ყველას და მით უფო, რომ ესეთი დაჟინებული მუშაობა ბავშვმა

ამ ცოტა ხანში დაიწყო, თორემ წინად ბევრს არას დაგვიდევდა გაკვეთილების სწავლას, არც თუ წიგნებზე რჩებოდა ძალიან თვალი. ისიც კარგად ესმოდა, რომ ღარიბი მამა ბოლომდის სარისტას ვერ მიაღწევდა. არც თითონ უნდოდა ბაღს, ბოლომდის მძიმე ტვირთად დასწოლოდა ხალხს და თავის თავისათვის ენაცვალეზინა ოჯახის კეთილდღეობა. შინაობას უკვირდა ასეთი ცვლილება და ვერ მიმხვდარიყვნენ მიზეზს. რა იცოდნენ, რომ ეხლა ბავშვისათვის სწავლას შეუერთდა ბრწყინვალე რამ მიზანი და ამან სწავლა მიმზიდველად გარდაჰქმნა მისთვის. ამ ახალმა ძალამ თვალი აუხილა ბავშვს ახალი სივრცის სახილველად, დაიმონა მისი არსება, მოაჯადოვა იგი და სამუდამოდ მიაჯაჭვა წიგნზე, ყურმოჭრილი მონა გახადა წიგნისა და იგი მონობა სასიამოვნოდ დაუხატა. ეს მომხიბლელი ნათელი უეცრად მოელანდა და მიხვდა ბესო, რომ ერთადერთი გზა ამ ნათელთან მიმყვანებელი იყო ის ბილიკი, რომელიც გადიოდა სასწავლებელზე და რომელიც განათებული იყო სწავლის ბრწყინვალე სხივებით.

დაბად კოპრუას სახლი ხომ ქალაქის განაპირას იდგა,, ხევ ზევით, ვაჟთა სასწავლებელი ქალაქის მეორე ნაპირას მოჰქცევოდა. პატარას თავის სახლიდან მთელი ქალაქი უნდა გაევიწყო, რომ სკოლაში მისულიყო. ქალაქში არსებობდა ქალთა სასწავლებელიც და ეს სასწავლებელი ქალაქის მეორე ნაპირას იყო გამართული. ბესო რომ სკოლაში მიდიოდა ან იქიდან შინა ბრუნდებოდა, ყოველთვის წინ მოსწავლე ქალები ხვდებოდნენ. ბესო მათ არავითარ განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევდა, რადგან მასში ისევ ეძინა ქალთადმი მიმზიდველ ძალას. გარდა ამისა, იმ სასწავლებლის ქალები სულ სხვა ოჯახებიდან იყვნენ და არც მასთან, არც იმის სახლთან საერთო არა ჰქონდათ რა. სცხვენოდა კიდეც ბაღს ამ მოსწავლე ქალებისა: ისინი ყოველთვის სუფთად იყვნენ ჩაცმულნი და კობტად, ბიჭს კი ხან მესტები ჰქონდა დაგლეჯილი, ხან ქუდიდან თმა ამოსჩროდა ან მუხლისთავები თუ ნიდაყვები ჰქონდა მოცვეთილი და გამოგლეჯილი. მეტადრე არ უყვარდა მათი შეხვედრა წვიმა-ტალახში: ვერაფერი სანახავი იყო მაშინ ბავშვი ამოზუნზოლულ-ამოლაფული! გულისტკივილითა გრძნობდა ამას ბესო, ფეხმარდად და მორიდებით გაივლიდა მოსწავლე ქალების ახლო. მთლად გზასაც აუქცევდა ხოლმე მათ, საცა კი შეიძლებოდა: ეშინოდა, ყურადღება არ მომაქციონ და არ დამცინონ.

მაგრამ ერთხელ ისეთი მოჩვენება ნახა ბესომ სკოლის გზაზე, რომ ფეხის აჩქარებისა და მორიდების მაგივრად, შედგა განცვიფრებული, გაშეშდა ადგილობრივ, ქვად გარდაიქცა მოხიბლული.

ბესიკის მომჯადოებელი მოჩვენება იყო თენგიზ ვამეყის ძის პაწაწინა შუქია. მოსწავლედ მიეზარებინათ იგი და სასწავლებელში მიდიოდა იმ დილას. ჯარისკაცი მისდევდა უკან მოწიწებით, ხელში ბაღლის ჭრელი შალი ეჭირა და წიგნებით, სავსე ხელთაგუდა. პატარა კობტად იყო გამოწყობილი სასკოლო ტანისამოსში, ზევიდან პაწაწინა ჯუბა ჰქონდა წამოსხმული, აბრეშუმით ნაქარგი, ყვითელ ფეხსაცმელზე იდგა დაწკრილებულზე, ფაფანაკივით რამ ხავერდის ქუდი ეხურა ოქრომკედით მორთული, სხივებივით თმა გამოშლოდა ფაფანაკიდან მხრებზე, კულულებად გადმოჰფენოდა. დილის მზის სხივები ჩაჰკონებოდნენ ბავშვს კულულებში და შარავანდედად შემორტყმოდნენ მის თავს, ნათელ სახეს. მზის მხიარული ციაგით განათებული ბავშვი თითონაც იგივე ნათელი იყო მხიარული, მზის ამყოლის სახედ შენივთებული, სხივსავითვე სპეტაკი, უმწიკვლო, ეთეროვანი, კარგი.

ბესიკმა რომ ბავშვი დაინახა, ლანდად რადმე მოეჩვენა, იმ ჰაეროვან არსებად, რომელიც ზღაპარში გაეგონა ან ოცნებაში დაესახნა ბუნდად. შესდგა ბესიკი და მოჯადოებული შეჰყურებდა. პატარამ შენიშა ეს, გაჰკვირდა, კიდეც ეწყინა, ერთი გადმოჰხედა ამაყად და განაგრძო გზა ბაკიბუკით. ბაღში თვალი ვედარ მოსწყვიტა ამ ჩვენებას, სანამ იგი თვალთაგან არ მიეფარა.

ამ პატარა ქალის მამა თენგიზი პირველი კაცი იყო ქალაქში და დიდად პატივცემული. ლაშქარი იყო დაბინავებული ქალაქში და ამ ლაშქრის სარდლად ბრძანდებოდა თენგიზი. ძალიან დამსახურებული კაცი იყო, მთელი მკერდი ჯვრებით თუ სხვა საპატიო ნიშნებითა ჰქონდა სავსე. ამაყი, რიხიანი; ჯილა წარბები ჩამოჰშლოდნენ მკაცრად გამომეტყველ თვალეზზე. ჭაღარა გრძელი უღვაში ყავდას აძლევდა ისეც ბრგე ვაჟკაცს. ბრძანებლობას შესჩვეოდა თენგიზი და თუნდ მცირედი ურჩობა სისხლს უმღვრევდა და აჭარხლებდა ჟინჯილივით ვაჟკაცს. რომ ჩამოუვლიდა გამწკრივებულ ჯარს ჯინჯილებით და დეზებით შემკულ-მოკაზმული და მჭექარის ხმით დასძახებდა ბრძანებას, უნებლიეთ მოკრძალებას იწვევდა ყველაში.

დაუნდობელი იყო სამსახურში, სასტიკი, ცეცხლი იყო შემწველი უგვან ხელქვეითებისა; ამავე დროს მამა მოწყალე გამრჯელთა და აზრიანთათვის, სახლში სხვა იყო თენგიზი: გულხალვათი, ხელგაშლილი, უხვი, დარდიმანდი. მისი სტუმართ-მოყვარება განთქმული იყო მთელ მაზრაში. რა გინდა, სულო და გულო, რომ იმის სუფრაზე არა მდგარიყო! ღვინო ღვარად მოდიოდა, სამხედრო მუსიკა ალიონამდის გრიალებდა, კეკლუცთ რხევა ნაზად აღელვებდა დამთბარ დამტკბარ ჰაერს. მემრე რა ძვირფასადა ჰქონდა სახლი მორთული! ორბოები, ხავერდი, ფარჩა, რბილი სკამ-სავარძელი, არშიები, ბაბთები! ბჭყყრიალ-კრიალა ავეჯი თუ ჭურჭელი; სისუფთავე, სინათლე, სილბო, სუნნელოვანება; დარაზმული მსახური!

ეჰ, ვინა სთქვა იმ უშნომ, სიღარიბე საძრახისი არ არისო?!

დიასახლისი დიდი ოჯახის ქალი იყო, წარჩინებულისა. იმას რომ მზითევი მოჰყვა, დღესაც საზღაპროდა აქვთ ნაცნობებს. ქართულად იცვამდა სულ ფარჩაში თუ ოქრომკერდში იჯდა. გამხდარ-გამხდარი ქალი, გამჭვირვალე, ნაზი, ნარ-ნარი. არ ენახა გაჭირვება, მხოლოდ შორიდან გაეგონა სიღარიბე. იმის ბროლის თითებს არ განეცადათ მუშაობა, არ მიჰკარებოდათ ტლანქი რამ საქმე სამძიმო, ცხოვრების წალკოტში მხოლოდ ყვავილთ ფურცელი ეკრიფნა, ნექტარი ესვა, ყვავილთ სუნი ეყნოსა სუნნელოვანი. ყმაწვილობიდანვე შესჩვეოდა ყველასაგან პატივისცემას, სიყვარულს, თაყვანებას; ეხლაც კი ალერსის ბური ეხვია გარს სათუთ არსებას.

ამ ბედნიერ დედ-მამის უმცროსი ქალი იყო პატარა შუქური, რომელიც ზევით მოვლენილ ჩვენებად მოელანდა ბესიკს და რომლის სხივოსნობამ ისე მოაჯადოვა პატარა.

ბესიკმა რომ სწავლა შეიყვარა ბოლოს დროს, ის რომ დაჟინებით ჩააცივდა კითხვას და დიდი მუყაითობა გამოიჩინა გაკვეთილების მზადებაში ან სხვა წიგნების კითხვაში, ეს სულ შუქურის უნარი იყო, მისი უჩინარი ზეგავლენა ბესიკს მოელანდა ეს შუქისაგან შეთხზილი ქმნილება და თავისი თავი ერთობ ბნელად ეჩვენა მასთან შედარებით, მიწურად, მოუხეშავად, უღირსად. ორივენი ხომ ბავშვები იყვნენ, მაგრამ როგორ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან! საერთო არაფერი იყო იმათ შორის. ან კი რა უნდა ყოფილიყო საერთო ამ წარჩინებულ კაცის შვილის და ვიღაც გლახაკის ბაღლის შორის?

ახ, როგორ არაფერში ჰგავს ეს სპეციაკი ზამბის ქულა მწვირიან, თმა აჩეჩილ, გაზ-ტალახიან, ჩაქმეხეულ დარიკოს, რომელიც მისი ამხანაგია სულ პატარაობიდან და რომელთანაც თამაშობს ბესიკი! კეთილი კია, ერთ ვაშლსაც არ შესჭამს ისე, რომ ბესიკსაც არ გაუყოს. მაგრამ ეს პატარა ქალი სხვა არის, სულ სხვა!

განათდა ბესიკის აღფრთოვანებულ ოცნებაში შუქური, ეთეროვანი შეიქმნა. ამალდა, დაედარა ზღაპრულ რასმე ქმნილებას მიუწდომელს. და ესავდა ბალლი ამ საკვირველებას. ის შეიქმნა აზრი მისი ყოფისა მოჩვენება ისეთ შეუხებელ და ფაქიზ არსებად დაესახა ბესიკს, რომ მისი ნახვა, შეხედვაც კი უნდა რითიმე დაემსახურებინა. რითი შეიძლებოდა ამ ბედნიერების დამსახურება, თუ არა მეცადინეობით, სასწავლებელში პირველობით, კეთილი ქცევით. და წარმატება შეიქმნა ამ დღიდან მიზანი მისი მოქმედებისა. მარტო წარმატებას შეეძლო შეევიწროვებინა ის თვალ უწვდენელი უფსკრული, რომელიც ჩასდევდა ამ ორ პატარა არსების შუა.

რახან გაუჩნდა ბესიკს საიდუმლო მიმზიდველი, გამახარებელი და გამამხნევებელი, ბალლი მთლად გამოიცვალა. გატაცებით მოეკიდა სწავლას. დედა მისი ნავთის ყიდვას ვეღარ ასდიოდა: ზავშვს შუადამემდის ედგა ლამპარი და განუწყვეტლად მეცადინეობდა. მაშინ იყო, რომ ბესიკმა მთლად ამოირეცხა გულიდან სასწავლებლიდან გასვლა და რამე ხელობის დაწყება. სხვა ცვლილებებიც ბევრი დაეტყო; აქამდის რომ სასწავლებელში არც ისე ძალიან მიუხაროდა, ეხლა მიეჩქარებოდა, ადრიან მიდიოდა; აქამდის, რომ სუფთაობას ყურადღებას არ აქცევდა, ეხლა შეიყვარა სიფაქიზე: დაიბანდა პირს, გადივარცხნიდა ქოჩორს, ჩაიცვამდა თავის ხელით ღამითვე დაკრიალებულ მესტებს, მოიშნოიანებდა ძონძმანს და გაუდგებოდა გზას. ახლა როგორ იჭერდა სარტყელს! ჩქარობდა, რომ არ ასცდენოდა გზაზე შუქურს, მიდიოდა ფეხმარდად, სანამ იმ ქუჩას მიაღწევდა, რომელზედაც უნდა გაევიდოთ მოსწავლე ქალებს; აქ კი ფეხს დააწყნარებდა, ნელა დიოდა, შუქურის გამოვლას ელოდდა. შენიშნავდა თუ არა პატარას, სიხარულით აევსებოდა გული, ახლო გავლას კი ვერ გაჰხედავდა; ქუჩის მეორე მხარეს გაივლიდა მორცხვად, თავდახრილი, მხოლოდ ხანდისხან შენათებდა თვალეხს, რომ სასურველი სურათი აღებეჭდა გულის ფიცარზე, რახან ეღირსებოდა ამ ნეტარებას, მეტი აღარა უნდოდა რა: მთელი დღე სიამოვნების ნათელი ჰქონდა სახეზე გადაფენილი და სიხარულის ღიმი უქროდა ტუჩებზე. მაგრამ როგორ იტანჯებოდა მისი პატარა გული, თუ შუქურს ვერ შეხვდებოდა! ტკივილსა ჰგრძნობდა, სუნთქვა ეხუთებოდა. ეხლა სრულებითაც აღარ უხაროდა ბესიკს დღესასწაულები, მეტადრე გაბმული უქმეები. მაშინ ვეღარ ჰხედავდა შუქურს, მაშინ მზე ვეღარ ამოდიოდა იმისთვის.

შუქური კი მიდიოდა თავისთვის, ვერაფერს ვერ ამჩნევდა, მისთვის ბესიკი არ ამოჩენილიყო არარაობის უფსკრულიდან, არ არსებობდა მისთვის ბესიკი, როგორც არ არსებობდა ათასი სხვა „ქუჩის“ ბიჭი. მიდიოდა შუქური მალხაზად, ქორფა სახეზე ამაყი გამომეტყველება დაჰფენოდა, თუმცა იგი მედიდურობა ყოველ წუთს ჰქრებოდა და ცელქი ელვა გამოკრთებოდა იმის ცისფერ თვალეხიდან. ან რას შეამჩნევდა შუქური ვიღაც დაგლეჯილ ბიჭს? განა პატარა ვარსკვლავი გამჩნევს შენ, როცა უმზერ და შესტრფი?!

რაც რამ კეთილს მოქმედებდა ბესიკი, ყოველსავე თავის ბედის ვარსკვლავს მოწიწებით მიუზღვნიდა. დარწმუნებული იყო, იგი ძვირფასი სურათი, რომელსაც ბესიკი ატარებდა გულში, ყველაფერს ხედავდა, კეთილი ახარებდა მას, ბოროტი კი აღონებდა; ყოველივე ბოროტება შეჰბლალავდა იმ სურათის სისპეტაკეს და ისე აღარ შეეფერებოდა ეხლა ბესიკს, როგორც უშვერი სიტყვა თუ ქცევა ახლად ზიარება მიღებულს. სწამდა, რომ კეთილი ღირსადა ჰხდოდა უმანკო შუქურის ხილვის, ხოლო

უხამსი ქცევა და ბოროტი უღირსადა ჰხდიდა მას და ამორებდა მის სპეტაკ არსებას. ბესიკში თავი იჩინა ზნეობრივმა ცვლილებამ: იმის პირიდან აღარ ამოდიოდა ცუდი სიტყვა, თუმცა გარემო უგვანი თქმა თუ ქცევა ჩვეულებრივი იყო. ჩამოჰშორებოდა უბნის ბიჭებს და იმათ სათამაშო-გასართობებს, დარიკოც კი მიივიწყა, განმარტოვდა, ოცნებათა ფერად სამფლობელოში შედგა ფეხი.

ასეთი ცვლილება ბესიკისა ახარებდა დედ-მამას. მხოლოდ ერთი აფიქრებდა მათ; ყმაწვილი დაფანტულივით შეიქმნა, დაბნეული ჩანდა, ხშირად ძახილი არ ესმოდა, დაკარგული თვალებით ლანდს რასმე შესტრფოდა, ამ დროს დახშული იყო მისი ყურადღება, გარემო მოძრაობა ვეღარ აწევდა იმის ცნობიერებას, თუნდ სახლი ძირს დაგეცათ, არაფერი ესმოდა. ვერ გაეგოთ, რამ მოახდინა ბავშვში ყველა ეს ცვლილება. და ან როგორ გაიგებდნენ მიზეზს, როდესაც ძე-ქრისტიანმა არ იცოდა ბესიკის საიდუმლო და ვერც გაიგებდა: მას ღრმად ჰქონდა გულში დაკრძალული თავისი ოცნება და ისე უფრთხილდებოდა, როგორც მუნწი საუნჯეს. ბესიკმა თავისებური სასჯელიც გამოუგონა თავის თავს: იცოდა, როდის ბრუნდებოდა შუქური სკოლიდან, და როცა სწავლაში ვერ გაუმარჯვდებოდა, იმ დღეს ნებას აღარ მისცემდა თავის თავს შეხვედრიყო გოგონას, სხვა გზით დაბრუნდებოდა სახლში დაღონებული. ემინოდა კიდევ შეხვედრისა: ეგონა მიმიხვდა პატარა, როგორ ცუდად დამამარცხეს დღეს სწავლაში!

ესე გატაცებული იყო ბესიკი თავის მიზან-გაურკვეველი, გულუბრყვილო ტრფიალით და დაჰმორჩილებულიყო თავის ვარსკვლავის მიმზიდველ ძალას, როდესაც გამოუცხადეს, რომ სწავლის ფულის შემოტანამდის სასწავლებლის კარი დახშული იყო მისთვის. დედამ რომ უარი უთხრა ფულზე, რომ უბრძანა შეეწყვიტა სწავლა და დუქნის ბიჭად მისულიყო ვისთანმე, ბალღს ელდა ეცა, მთლად მისი ბუნება წინააღმდეგა დედის ამ სურვილს.

როგორ შეიძლებოდა თავი დაენებებინა ეხლა სასწავლებლის გზისათვის, როდესაც მხოლოდ ამ გზაზე იყო მისი სიხარული, მხოლოდ ეს გზა იყო ერთადერთი შარა, რომელსაც შეეძლო ერონინებინა იგი მიმზიდველ ნათელის შორიახლო... ყველა სხვა ბილიკი დამაშორებელი იყო იმ სინათლისაგან და, მაშასადამე, საზარელი, ამოსაქოლი. როგორ შეიძლებოდა დასთანხმებოდა ბესიკი დედის წინადადებას?! რომ სთქვა ბავშვმა, თავს მოვიკლავო, გულიდან ამოხეთქილი გრძნობა გამოხატა, რადგან ამ შემთხვევაში იმის პატარა ცხოვრებას აზრი ეკარგებოდა. იმ ღამეს დიდხანს არ დასძინებია და როცა დაეძინა, ნახა, რომ დასჭიდებოდნენ, ყელში უჭერდნენ, სადღაც ბნელისაკენ მიათრევდნენ. გულგახეთქილმა გაიღვიძა და წამოვარდა ზეზე. კიდევ იმედი ჰქონდა, იქნება დედის გული მოლბეს და გაიმეტოს სწავლის ფულიო, მაგრამ მოტყუვდა. როცა აიღო ხელში წიგნები და მოემზადა წასასვლელად, დედამ უბრძანა:

– სადღა მიხვალ, ბიჭო? აკი უთქვამთ, უფულოდ აღარ შემოგიშვებთო. ღარიბები ვართ, ფულს ვერ მოგცემთ. მთელი სახლი ხომ შენ არ შემოგეველება თავს. დარჩი შინ!

აქ კი ვეღარ მოითმინა ბესიკმა და ამოუშვა ტირილი. თვალთ-ცრემლიანი წავიდა სასწავლებელში, პირდაპირ შევიდა უფროსთან და შესჩივლა თავისი გასაჭირი. ზედამხედველმა გულდასმით მოუსმინა, იგრძნო, რა ბოროტება იქნებოდა, რა სისასტიკე, რომ ბავშვი გაეგდო სასწავლებლიდან და აღუთქვა დახმარება. ადვილად აუსრულა აღთქმა, რადგან ბავშვი კარგად სწავლობდა ეხლა.

ამ ბედნიერ დღის შემდეგ მარჯვედ წავიდა ბესიკის საქმე. შინაობამ თავი მიანება, ძალას აღარ ატანდა სასწავლებლისათვის თავი დაენებებინა და შესდგომოდა ხელობას თუ ვაჭრობას, რადგან ეხლა მათ ფულს აღარავინა სთხოვდა. და გარდა ამისა, ცხადად დაინახეს, რომ ბავშვთან ბრძოლა ამ შემთხვევაში ამაო იქნებოდა და სახიფათო: შეუძლებელი იყო დაეყოლიებინათ და თუ ძალას დაატანდნენ, იქნება კიდევ აესრულებინა მუქარა და მართლა აეტეხნა რამ თავის თავისათვის.

ბესიკს მოშორდა ის შიში, რომელსაც ჰგვრიდა დედის სურვილი და თავისუფლად ამოისუნთქა; მთელის ძალით მიეცა სწავლას. თვალსაჩინო ნაყოფი გამოიღო შრომამ: ბალღი მალე მოექცა საუკეთესო მოსწავლეთა რიცხვში და კმაყოფილებით აევსო გული. რახან სწავლა შეიყვარა პატარამ, ცოდნაც ეტრფიალა მას, გაუღიმა ტკბილად, გადუშალა მკერდი და მიუპყრა გამოუთქმელი სიტკბოება და სიამე, დაუსახა ფიქრთა და გრძნობათა თვალწარმტაცი წალკოტი სავსე ფერად-ფერად ყვავილებით; იქ სდიოდნენ სურვილთა თუ ოცნებათა ანკარა ნაკადნი, იქ ესვენა ხატება უცვალეზელ მშვენებისა თუ ჭემმარიტებისა, იგი ხატი აშუქებდა ედემს წყნარის ნათელით მხიარულით; მუნ მოისმოდა ხმა მწყობრი სადიდებლად იმ გარდუვალის მშვენებისა. მოსწავლე მოხიბლული იყო ამ ტურფა ჩვენებით; ის მხოლოდ ამ ზღაპრულ წალკოსტა ჰხედავდა სამყაროში, ამ წალკოტის ჰაერითა სუნთქავდა, იმის სურათებს ევლებოდა თავს, იმისკენ იყო მიქცეული მისი არსება. გარემო ცხოვრებისათვის ზურგი შეექცია, საყოველღეო ცხოვრება საიდანაც შორიდან მოქმედებდა მასზე. ყმაწვილი დაჰხწვევიო იმის პირდაპირ ზედგავლენას, განზე გამდგარიყო.

მიჰქროდა დრო. ბესიკი იზრდებოდა, ვითარდებოდა, გონივრდებოდა. უფროს კლასში ყველასაგან საყვარელი მოსწავლე შეიქმნა, სამაგალითო, საქებური გრძნობებით და მისწრაფებით კი ისევ ბავშვი იყო გულუბრყვილო, კეთილი და სპეტაკი. მისი პიროვნება სიტკბოებით იყო გაჟღენთილი და სათნოებით, ხოლო უშრეტი წყარო ამ სიკეთისა იყო მის გულში ღრმად დაკრძალული, ტკბილი საიდუმლო მისი.

8

მთელი ამ ხნის განმავლობაში ბესიკი მხოლოდ შორიდან შეჰყურებდა შუქურს, შესტრფოდა მას, შეჰხაროდა. ბესიკის ფრთაშესხმულ წარმოდგენაში თანდათან სხივოსანი შეიქმნა შუქური, ნათელმფენელი, ჰაეროვანი, რომლის არსებაში აღარ იყო არაფერი ქვეყნიური, ხორციელი, მძიმე. ყმაწვილი განცვიფრებით უმზერდა მას, სალოცველ არსებად მიაჩნდა, თაყვანსა სცემდა, როგორც ძალას რასმე უხორცოს. თითონ შუქურის შეხედულებაც ასაზრდოებდა ამგვარ წარმოდგენას: ისე იფურჩქნებოდა პატარა, როგორც შრომანა, უმანკო, სათუთი ყვავილი ნაზის გაზაფხულისა.

მხოლოდ ერთხელ მიეცა ბესიკს ბედნიერი შემთხვევა რამდენიმე წუთი ესუნთქა თავის შუქურთან ერთად ერთი და იმავე ჰაერით.

დღესასწაული გამართეს სასწავლებელში ნიჭის პატივსაცემლად და სადიდებლად. მოუყარეს თავი მოზარდებს ყველა სკოლებიდან. გამოიყვანეს შეკრებილი ხალხის წინ მჭერმეტყველნი, ლექსთა მთქმელნი, მომღერალნი. ყველანი ესენი მოსწავლეთაგან იყვნენ დარჩეულნი. შუქური და ბესიკიც წამკითხველთა გუნდში ერივნენ. ძალიან ღელავდა ბესიკი, კრთებოდა, ფერი მისდი-მოსდიოდა. განა ხალხი აღელვებდა მას; ხალხს არ უკრთოდა, რადგან ვერც კი ამჩნევდა. ამჟამად მარტო თავის ვარსკვლავსა ხედავდა ის, რომელიც მიმოიძროდა იქ, როგორც რამ ქულა თეთრი ნათელმოსილი. წარსდგა შუქური. რა წკრიალა ხმით წარმოსთქვა ლექსი! ნაზად, მაგრამ

მკაფიოდ ნათქვამი სიტყვები დაფრინავდა დარბაზში. ძლიერი ტაშის ხმა და პატარა თაიგულს თაიგულითვე მიართვეს მადლობის ნიშნად.

ერთი ხმაღა იყო საგალობელი და ბესიკი უნდა გასულიყო სათქმელად. ზაფრანის ფერი დაედო ყმაწვილს, მზად იყო ალაგობრივ გამქრალიყო, რადგან დარწმუნებული იყო, რომ შუქურის შემდეგ მისი გამოსვლა სწორედ სასაცილო იქნებოდა ყველასთვის. თვალეები აერია ყმაწვილს. ელვის სისწრაფით დაეხადა აზრი, გასცლოდა იქაურობას და გადაკარგულიყო სადმე. ის იყო კიდევ ამოდრავა ბავშვი ამ განზრახვამ, როდესაც გამარჯვებულმა და ყველასთვის გამარჯვების მოსურნე შუქურმა შეჭხედა თავის ნათელ თვალეებით და ანიშნა, წამდგარიყო წინ. შორიდან იცნობდა პატარა ამ ბიჭს, ბუნდად ჰგრძნობდა, რომ იგი მისი თაყვანისმცემელი იყო, ეხლა მსწრაფლ შეიგნო მისი გულისკვეთება და ხელი აღუპყრა, ღონე მიჰფინა. ბესიკისათვის ეს ღიმილი ცის გახსნა იყო, საბედნიერო; მსწრაფლ შეიპყრო ნეტარებამ, სიამის ბურუსში გაეხვია გამოურკვეველში და წარსდგა წინ უნებლიეთ. მხოლოდ მაშინ მოეგო ბესიკი თავს, როდესაც ისევ გაისმა დარბაზში ძლიერი ტაში. მშვენივრად წარმოსთქვა ლექსი აღელვებულმა.

ეს წამი უბედნიერესი შეიქმნა ბესიკისათვის და დაუვიწყარი. სათაყვანებელ არსების მოულოდნელმა ყურადღებამ, მისმა გამამხნეველმა ღიმილმა დაიხსნა იგი სამარცხვინო ნაბიჯისაგან, იქნება დანთქმისაგანაც; თუ ქალს არ მიეხედნა მისკენ და არ წაეხალისებინა, ის ვერ გაჰბედამდა ხალხის წინ გამოსვლას, გავარდებოდა გარეთ, დაიმალებოდა; აუტანელ სირცხვილში ჩავარდებოდა. უსათუოდ თავს მოიკლავდა ამისთანა მარცხის შემდეგ. მაშ როგორღა ეჩვენებოდა, როგორღა დაენახებოდა თვალით ან მასწავლებლებს, ან ამხანაგებს, ან სხვას?! ან რა პირითღა შეჭხვდებოდა სკოლის გზაზე შუქურს?! ქალი ხომ მაშინვე იცნობდა და დამცინავის ღიმილით გადახედავდა, ამაყად ან ზიზღით პირს შეაქცევდა. ჟრუანტელმა დაუარა ტანში ამის მოგონებაზე, იმ განსაცდელის მოგონებამ ელვა გაუტარა ბავშვს ტვინში და მწვავე რამ აღმა აუტკრიცა პირისახე.

და ბესიკის თვალში ისევ ყოვლად სრულ პატარა არსებას ახალი თვისება დაერთო: გულწარმტაცი ყოვლად კეთილობა, მოყვასთა სიბრაალული, ღმობიერება ფასდაუდები.

ბესიკის აღტაცებულ გონებაში შუქური გარდაიქმნა იმის ბედისმწერლად, იდგა იგი აწ სივრცეში განცალკევებული, მისკენ მიეპყრო ნათელი თვალეები და ეს თვალთა სხივი ამხნევებდა ყოველსავე საქმეში. ბესიკს მკაფიოდ დაესახა გონებაში იგი; ცოცხალივით ედგა ყოველჟამს თვალწინ, შესდუღებოდა იგი სურათი იმის ოცნებას დაუჩრდილავი. თუ რამ მარჯვე ნაბიჯს გადასდგამდა ბესიკი, წაღმართი რამ მოუხდებოდა, ნათელი ჩვენება გაუღიმებდა და თითონაც იზიარებდა ბესიკის სიამეს, მასთან ერთად უხაროდა სასიხარულო; თუ ბოროტი რამ წაეკიდებოდა მას, მარცხი მოუვიდოდა და უკუღმართი ნაბიჯი, ის სახეც დაღონდებოდა მოქმედთან ერთად, შუქმფენი თვალეები დაბუნდდებოდნენ, ცრემლით ივსებოდნენ და აღარ უყურებდნენ მას სევდიანები. ეს სურათი თანა სდევდა ბესიკს, განუყრელად მასთან იმყოფებოდა. ის ეხლა შეეჩვია ამ ხელთუქმნელ არსებას, როგორც თავის განუყრელ მფარველს. ეხლა გულწრფელად სწამდა, რომ თვითეულ ადამიანსა ჰყავს განგებისაგან მიჩემებული მზისამყოლი მფარველი და წინამძღვარი, რომ ბედნიერი მარად გრძნობს ამისთანა კეთილ სულის თანხლებას, ხოლო გამჭირიახი გონების თვალთა კიდევცა ჰხედავს მას.

ბესიკი უფრო ბედნიერი იყო: იგი იცნობდა თავის ბედის მწერალს, იცოდა იმისი სავანე, იმისი სახელი, მაგრამ იგი მაინც ნივთიერი არ იყო იმისთვის, ჯერ ისევ ნათელი იყო თეოროვანი.

და ეს ძვირფასი სახე წინამძღვარი იყო იმის ეკლიან და ძნელ გზაზე შემდეგაც, როცა გასცდა იგი გზა მშობლების სახლს და გავიდა ახალგაზრდა ცხოვრების თვალუწვდენელ ტაშირზე. იგი სახე ევლინებოდა ღრუბლად მაჩრდილებლად ცხოვრების უდაბნოში ფიცხელში და ესხურებოდა ცვარად მაგრილებლად ცხოვრების ალისაგან დამწვარ იმის არსებას; იგი სახე სვეტად ნათლისად უძლოდა წინ ცხოვრების წყვილიადში და უნათებდა სავალს ბნელს. იგი ძვირფასი სახე ახელმძღვანელებდა და გამბედაობას უნერგავდა, როდესაც ბესიკმა გაჰბედა მარტოდ მარტომ უსაგზოდ ტფილისში ჩასვლა საშუალების მოსაპოვებლად, რომ შესძლებიყო ახლა იქ განეგრძო თავისი სწავლა და შრომა.

– ... ახლა მსურს საშუალო სასწავლებელში განვაგრძო სწავლა, შეძლება კი არა მაქვს: უნდა დამეხმაროთ! – შესთხოვა ბესიკმა ცნობილ ქველმოქმედს.

შემძლე მობეზრებული იყო ამისთანა მთხოვნელებისაგან, ამგვარ ხალხს ჰგზავნიდა თავის მოურავთან. მას უნდა მიეცა მათთვის განსაზღვრილი პასუხი. მაგრამ ეხლა თითონ გაუწოდა აღელვებულ ჭაბუკს მაღლიანი მარჯვენა: ცეცხლი რამ შენიშნა აღგზნებული მთხოვნელის თვალეში, მიმზიდველი გარკვეული აზრი აღბეჭდოდა ფართო შუბლზე. მისი სახე, მთელი მისი არსება გამომხატველი იყო იმ წუთს გულწრფელის და ძლიერის მისწრაფებისა და ამ სანახაობამ მოხიბლა.

სწორედ სანეტარო დრო დაუდგა ბესიკს ამის შემდეგ: უზრუნველყოფილი, დაწყნარებული, ქვეყნის მაღლიერი, ეწაფა სწავლის ნაკადულს, აჰყვა ამ ჩანჩქერის ძლიერს და მალხაზ დენას; ამ ნაკადმა მიიყვანა ბოლოს იმ მეცნიერების ედემში, სადაც მრავლად არის გადაშლილი თვალწარმტაცი ყვავილი სწავლისა ფერად-ფერადი. აქ, ამ მეცნიერების ტაძარში, დაუღალავად და შეგნებულად შრომობდა ჭაბუკი და მალე შეიქმნა შესამჩნევი, თვალსაჩინო, იმედების გამღვიძებელი ახალგაზრდა.

ახ, რა ბედნიერი იყო ის დრო ბესიკისათვის: ყველა სიყვარულით და აღტაცებით იხსენებდა იმის მაღლიან სახელს და შორეული სამშობლოც ისე უყურებდა, როგორც მომავალ იმედს.

შეხედულობითაც კარგი ახალგაზრდა დადგა ბესიკი: მაღალი, ხმელ-ხმელი, ალვის ხესავით სწორე, გულმკერდიანი; გრძელი, ოდნავ ხუჭუჭი თმა მხრებზე გადმოჰფენოდა. აზრი გამოსჰვიოდა იმის მცირედ დაღონებულ თვალეში და გრძნობა ძლიერი; იმის სახეზე ფიქრთა ნასახი აღბეჭდილი იზიდავდა ადამიანს. კეთილი იყო ბესიკი ბუნებით და პირველ ნახევარზევე მიინდობდა კაცს. აზრიანი საუბარი იცოდა, მოკლედ მოჰრილი. მსჯელობდა დინჯად, დაკვირვებით. აზრთა თანისთანობა და კავშირი ძალას აძლევდა მის ნათქვამს. რწმენის კაცი იყო: სანამ აზრი მართალი მიაჩნდა და ნაგრძნობი ფაქიზი, ვერ უღალატებდა მათ, მაგრამ ხათრიანი იყო და ერიდებოდა ძალის-ძალად თავს მოეხვია ვისთვისმე თავისი შეხედულება თუ სურვილი. ხალხის შვილი იყო, გული შესტკიოდა ხალხისთვის და იმის სამსახურად ამზადებდა თავის თავს. იცოდა სიძნელე და სიმძიმე ამ საქმისა, მაგრამ სწამდა, რომ ნაღვაწი არ დაიღუპებოდა და გამოიღებდა ოდესმე ნაყოფს კეთილს.

„ხალხის შვილი ვარ მშრომლისა, ხალხმა მომანიჭა სიცოცხლე, მანვე მომცა ღონე აღზდისა თუ განვითარებისა, მოვალე ვარ ამაგი დავუფასო მას, მოლოდინი

გავუმართლო, მცირედ მაინც შევუმსუბუქო ტვირთი მძიმე ცხოვრებისა,“ – ფიქრობდა ახალგაზრდა.

არ უყვარდა ბესიკს გრძნობათა თუ სურვილთა გამოფენა, მორიდებული იყო; კეთილს ისე უფრთხილდებოდა, როგორც თვალის ჩინს.

კეთილი გრძნობები თუ მისწრაფებები დიდის შრომითა აქვს კაცობრიობას მოპოვებული, თავის ბუნებაში დანერგილი, იქ ნახარები, გადაფურჩქვნილი და მემკვიდრეობით ჩვენდა გადმოცემული. ჩვენი მოვალეობაა გავუფრთხილდეთ ამ ძვირფასს გრძნობებს, გავამრავლოთ, გავაფართოვოთ, გავამშვენიეროთ ეს ფასდაუდებელი საუნჯე, რადგან საბოლოოდ მხოლოდ ამ კეთილმა გრძნობებმა უნდა შესძლონ ადამიანთა ცხოვრების საბედნიეროდ მოწყობა“.

პიროვნება იყო ბესიკი განსაზღვრული და პირად მისწრაფების მოსპობას არც ჰფიქრობდა, არც საჭიროდ სთვლიდა და ვერც შესაძლებელად.

„თუ საქმეს პირადი მისწრაფება არ დაჰყოლია თან, ის საქმე არ არის სრული, ის საქმე გულმკვდარია და ცივი. მხოლოდ პირადი იგი მისწრაფება უნდა იყოს ფაქიზი და საზოგადო კეთილთან მჭიდროდ ჩაწულ-ჩახლართული, რომ ორივე, პირადი და საზოგადო, განამტკიცებდნენ ერთმანეთს და ერთად მიილტოდნენ საქვეყნო სიკეთისადმი“, ფიქრობდა ჭაბუკი.

თითონ ბესიკს პირად კერძოდ ის მიუხაროდა ცხოვრებაში, რომ თუ საზოგადო საქმეს გაუძღვებოდა, რამე კეთილს მოუტანდა ერს, კმაყოფილი შეიქნებოდა თავის თავისა და საყვარელი თავისიანებისა, მცნობებისა, იქნება მთელი ხალხისაც. მაშინ ხომ მისი შუქურიც მიჰხედავდა, შეჰნიშნავდა მას, მოეწონებოდა მისი შრომა და გაუღიმებდა გასამხნეველად. ეს იქნებოდა საუკეთესო ჯილდო მისთვის მიძღვნილი. სიმდიდრეს და ნივთიერ კეთილდღეობას ვერ დაიდებდა ბესიკი ერთადერთ მიზნად: სიღარიბეში აღზრდილს ხელმოკლეობა ვერ აშინებდა, თუმცა სატრფიალოსაც ვეღარა ჰხედავდა სიღარიბეში და ნაკლულევანებაში. საზოგადოდ ამ კითხვაზე მცირედს ჰფიქრობდა ჭაბუკი. მისი აზრით, საზრდო არა ღირდა იმად, რომ ადამიანს ცხოვრების მიზნად დაესახა მხოლოდ მისი შეძენა.

ბესიკს თავისი ბედის ვარსკვლავი ჩრდილოეთშიაც უბრწყინავდა შორიდან, იქაც მფარველად მოევლინა და დაიცვა ზნეობრივი ხრწნილებისაგან. იქ ბალნარია სირინოზთა, მრავალფერია სიმრავლე მათი. გრძნეულნი ჰხიბლავენ იქ მოგზაურთ სხეულთა კეთილ-გემოვნებით და სიადვილით. ბევრი ახალგაზრდა ნიჭი მოგვიშთეს თავიანთ ალერსის ბადეში, ამოსწოვეს ტვინი და სიცოცხლით სავსე იმედის ნაცვლად გადმოგვიგდეს ლეში ხენეში, მშვინიერი. ბესიკი ვერ დაიმონა ამ საცთურმა სანუკველმა, ვერ ჩანთქა იგი მთლად, რადგან ამ მაცთუნებელთა და ჭაბუკის შუა იდგა ხელთუქმნელი სურათი უმანკო შუქურისა და უხილავის ძალით უკუაგდებდა იმას მომჯადოებელ არედან.

ემზში კი შევიდა ჭაბუკი და მისმა ოცნებამ შუქურმაც ხორცი შეისხა, უნივთო განყენებულმა არსებამ ნივთიერება შეიმოსა, დაემო ზეციდან ქვეყნად და გაიფურჩქნა ბესიკის გონების თვალ-წინ სურვილთა შესაკრებელ ქმნილებად, სიტკბოების მომნიჭებელ პიროვნებად. ეხლა შუქური ყმაწვილკაცის წარმოდგენაში ღვთაება აღარ იყო უნივთო, მხოლოდ სული სათაყვანებელი, არამედ ქალი იყო სრული, ყვავილი ნეტარებისა მოსასთვლელად მზაქმნილი. ეხლა შუქური შეიქმნა ბესიკის სიყვარულის განხორციელება, უიმედო სიყვარულისა.

დიდი მზღვარი სძევს შუქურისა და ჩემს შუა, უფსკრული გადუვალი. ვინ ის, გალაღებულ ოჯახის ქალი მშვენიერი, და ვინ მე, ვიღაც დაბალის შვილი.

ოცნებაშიაც კი ვერ გაებედნა ბესიკს სათავისოდ დაესახა შუქური, მაგრამ მაინც ის იყო ერთად ერთი ქალი, რომელთანაც შეეძლო ვაჟს შეეერთებინა თავისი ბედი.

– და რადგან ესეთი ბედნიერება შეუძლებელია ჩემთვის, ხოლო სხვასთან შეუძლება არ ძალმიძს, ამისთვის ქალ-ვაჟის საკითხი უკვე ფუჭია ჩემთვის და საკუთარ ოჯახზე ფიქრი შეუძლებელი. ეს ხომ იმას ეგვანება, მოვისურვო მიახლოვება მთვარისა ან მოწყვეტა შუქურ-ვარსკვლავისა.

ეს იყო ჭაბუკის დარდი საიდუმლო, კაემანი, დანერგილი იმის გულში, სევდა ფარული, რომლის შებრძოლება ვერ ძალედვა. ეს სევდა მხოლოდ მაშინ განქარდებოდა ჭაბუკის გულში, როცა შესდგებოდა გულისცემა მისი.

11

და შუქური გადიფურჩქნა მაისის ვარდად სუნნელოვნად, სავსე მთვარედ მაცისკროვნებლად, მიმზიდველად. აივსო ქალი ნათელი ხორციტ გამჭვირვალით, შუქმფენელით. შოლტივით მოქნილი ტანი მწყობრი რხევით გულისთქმას აღვიძებდა ძლიერს. ოქროს ფერი თმა უხვად მოსდებოდა გარს ნაქანდაკებ საყვარელ თავს და თვითნებობდა ცელქი: იფურტკნებოდა წამისწამ და ემხით ეხვევოდა ბროლის ყელს, ეკონებოდა სპეტაკ შუბლს, დაჟინებით ჰკოცნიდა ვარდ ლოყებს. აბორცვებულ გულ-მკერდში ტკბილ სურვილებს დაესადგურებინათ და მძლავრად აღელვებდნენ მას. კარგად იცვამ-იხურავდა ქალი, სუფთად, კოხტად და ისეც მოხდენილ ტალავარს თითონ უფრო ალამაზებდა მშვენიერთა ხელმწიფე. მით უფრო მომჯადოებელი იყო შუქური, რომ მასში მწყობრად შეერთებულიყო ხორცის სიმდიდრესთან და კეთილ ქმნილებასთან სულის სიმდიდრე და სიკეთე.

ნამდვილი განათლებული ქალი დადგა შუქური და თანაც კეთილი, თანამგრძობი უბედოთა, მოყვასთ მოსიყვარულე. მამის სახლში ისე იყო პატარა, რომ სწავლა უადვილდებოდა: წიგნი თუ რვეული, ქაღალდი თუ კალამი, საკუთარი კუთხე და მაგიდა, ხელმძღვანელი და ყოველგვარი მიმარჯვება მზად იყო მისთვის ყოველთვის. ნიჭიერი ბავშვი ფართოდ სარგებლობდა ამგვარ ხელის შეწყობით და სასწავლებელში ყოველთვის საუკეთესოდ ითვლებოდა. ამასთან ერთად შეეჩვია წიგნების კითხვას და მალე განვითარდა. როცა ზემო სასწავლებელში გადავიდა, პანსიონში მოჰყვა და წინანდელ თავისუფალ ცხოვრებასთან შედარებით ეხამუშა ჯერ, მაგრამ მერე შეეჩვია და ამ გარემოებასაც თავისი გავლენა ჰქონდა იმის ხასიათზე: იქ შეეჩვია თავის სურვილების შეკავებას, საზოგადო წესის პატივისცემას და მიყოლას; იქვე გაიცნო ახლო მრავალი ახალი ხასიათი და შეექვსა თავის ქცევა შეეფერებინა სხვის მოქმედებასთან.

შუქური იცნობდა სოფელსაც: მის პატარობასაც და შემდეგაც თენგიზის ოჯახი ზაფხულობით სოფლად გადიოდა თავის მამულში. ჰაერის საცვლელად კარგი იყო ეს და მოსავალსაც პატრონის ხელი და თვალი ესაჭიროებოდა. შუქურს არ მოსწონდა განცალკევებული ცხოვრება და სოფლადაც გარშემორტყმული იყო ტოლ-ამხანაგებით. იქ მისი ტოლები თუ მეგობრები იყვნენ სოფლის გოგოები. უყვარდა შუქურს თავის ტოლებთან ყოფნა, მათთან თამაშობა, მათი ზღაპრებისა თუ ლექსების სმენა, გამოცანების ახსნა, მათთან ერთად ტიკინებისთვის ტანთსაცმელის ქსოვნა-კერვა, კარ-მიდამოზე, მინდორში ან ნაკადის პირას ხტომა-თამაში, ყვავილების კრეფა, პეპლების დევნა. თითონაც უამბობდა გოგოებს ქალაქისა ან სკოლის ამბებს, უკითხავდა ლექსებს.

ბავშვი წამოიზარდა, მაგრამ ტოლ-ამხანაგთან კავშირი არ შესწყვიტა, არც მედიდურად დაუწყო მათ მზერა; არ დააჩნდა იმის ქცევას არავითარი უკადრისობა, არ

დაარღვია თავის ამხანაგებთან ერთობა, მხოლოდ ამ ერთობამ ახალი სახე მიიღო ეხლა, განსაზღვრული. სოფელში ყოფნის დროს ქალი ეხლა ასწავლიდა გოგოებს. ეხლა შუქურმა იმათზე გაცილებით მეტი იცოდა და წინანდელი ამხანაგი ეხლა მასწავლებლად მოეწვინათ. საქმის დღით თუ არ ეცალათ გოგოებს, კვირა-უქმეობით გარს ეხვეოდნენ შუქურს. წიგნისა და ხელთსაქმის გარდა ქალმა სუფთაობა ასწავლა მათ. თითონ შუქური სოფლადაც ისევ ისე მოხდენილად იცვავ-იხურავდა, როგორც ქალაქში, იქაც ისეთივე ფაქიზი იყო, უმტვერო და თავის სკოლასაც ბეჯითად სთხოვდა ამ სიფაქიზეს. მისი ამაღლა ეხლა აღარ დადიოდა ხელფებტუტყიანი, გაზებტალახიანი, კაბაპერანგაფაშვილი, ჩაქშახეული. დაკერება თუ დაბან-დარეცხას შეეჩვივნენ გოგოები. ეს ყველაფერი ძნელი არ იყო, მეტს ხარჯს არა თხოულობდა. მხოლოდ მეტი ყურადღებისა და შეგნების უნარი იყო და ადვილად მოსახერხებელი.

შუქურისთვის მეტად სასარგებლო შეიქმნა ხალხთან ერთობა; დაისწავლა ქართული, რომელიც განდევნილი იყო იმის ოჯახიდან და სასწავლებლიდან, შეიგნო მისი სიტკბოება. გაეცნო მდაბიო ხალხს და ნახა მისი გაჭირვება, სიბნელე, დაჩაგრულობა, ჭირ-ბოროტი, გაარჩია სანუგეშო მხარეებიც მისი და დააფასა იგი ხალხი, პატივისცემა იგრძნო მისადმი. შემდეგში ხალხზე ფიქრი და მზრუნველობა ბუნებრივი შეიქმნა მისთვის და სასიამოვნო. საქებურად დაამთავრა შუქურმა სწავლა და წარსდგა პატარა ქალაქის ქართველ საზოგადოების წინაშე შემკობილი ყოველმხრივ, მიმზიდველი, სასიამოვნო.

12

უცხო ქვეყნიდან სამშობლოში დიდის სიხარულით წამოვიდა ბესიკი: რამდენიმე წელიწადი ფეხი ვერ მოიცვალა იქიდან სიღარიბის გამო და სამშობლოს ღრუბელი მოენატრა, საქართველოს მიწა სამთხვევლად მოესურვა, თავის ქვეყნის წყალი იაზმად მოუნდა საპურებლად. სხვაობაში დატანჯულს მის გულს ქართული ალერსი მოჰსურვებოდა, უცხო ბგერით დასერილ მის ყურს ქართული ხმები დასჭირებოდა დამაცხრობელ მალამოდ. მოდიოდა გამარჯვებული, და მოუხაროდა თავის ქვეყანაში, თავის მხარეს, თავის ქალაქში, თავის ოჯახში, სადაც ყოველ საგანს მისი კვალი ჰქონდა ზედ აღბეჭდილი, სადაც ყოველ საგანს თავისი სურათიც აღებეჭდა მის გონებაში. მაგრამ ამ ზოგად მიმზიდველ ძალების გარეშე ბესიკს თავის გულის სიღრმეში კიდევ სხვა განძი ჰქონდა დაკრძალული, სხვა სურათი იყო მის გულის ფიცარზე ამოწერილი და იგი სურათი მძლავრად იზიდავდა თავის ქვეყნისაკენ. მაგრამ ეს სურათი სიხარულთან ერთად შიშსაც ჰგვრიდა ჭაბუკს და ძრწოლას. უნდოდა ჭაბუკს მალე გათავებულიყო გზა გრძელი, ხოლო გზის შემოკლებებისა ეშინოდა. ჰსურდა სწრაფად მისულიყო სახლში და გადაჰხვევოდა თავისებს, ხოლო ამ სანატრელ წუთის მოახლოვებას უკრთოდა. იქ, თავის სამშობლო ქალაქში, თილისმა რომ დაეტოვებინა ბესიკს და ვერ იცოდა, დახვდებოდა იგი თავისსავე ალაგას თუ მხოლოდ ბინას ნახავდა მისსა ცარიელს, აფურტკნულს, უაზროს.

– ნეტავ იქ დამხვდეს შუქური და თავისუფალი! იქნება გავიცნო, იქნება გავაგებინო, ბუნდად მაინც მივახვედრო, რომ ის სულისდგმაა ჩემი, რომ უიმედო სიყვარული ლოდვიით დამწოლია გულს და მიხუთავს სუნთქვას, – ფიქრობდა ბესიკი და მით უფრო შეჰკვნესოდა გული, რაც უფრო უახლოვდებოდა სახლს.

იამა ჭაბუკს სახლის მშვიდობით დახვედრა, გაახარა ოჯახი თავის მშვიდობით და გამარჯვებით დაბრუნებით. იმის მამას ვერ დაეჯერებინა, როდესაც ნახა დავაჟკაცებული შვილი, სიზმარი ეგონა; ვერც კი ჰბედავდა მოსიყვარულე გული

გადაეშალნა მისთვის. ბედნიერება იგრძნო, როდესაც ვაჟი გადაეხვია და გადაჰკოცნა. ძმა სცდილობდა დინჯად დაეჭირა თავი, რომ გრძნობათა ტბას არ გადმოეხეთქნა ნაპირები, მაგრამ ვერ ეხერხებოდა და უნებლიეთ იღიმებოდა. დედა გარს უვლიდა ვაჟკაცს და სიყვარულით სინჯავდა, ხელს ახლებდა იმის სუფთა და ლბილ ტანისამოსს, აბრეშუმის ქოჩორს უსწორებდა.

– ბიჭო, მართლა ეგეთი ძვირფასი ვაჟკაცი დამდგარხარ, თუ დედის თვალს ეჩვენები ესე?! – შეეკითხა გახარებული დედა და განზე გამდგარმა მუშტრის თვალთ შვათვალაიერა ბესიკი.

თითონ ბესიკი აღსავსე იყო სიხარულით, დატვირთული იყო ვარდისფერ გრძნობებით, ყელთამდის იყო მოყრილი ჭრელი ბედნიერებით და ამჟამად მზად იყო, შეეწირა თავისი სიცოცხლე ამ უბრალო ადამიანებისთვის, რომელნიც ასეთის ძლიერის სიყვარულით იყვნენ გამსჭვალულნი მისადმი. რამდენი რამე ჰქონდათ ერთმანეთისათვის სათქმელი, რამდენი კითხვები ებადებოდათ და რამდენი მათგანი რჩებოდა უპასუხოდ! აწყდებოდნენ კითხვები ერთმანეთს და გზას აღარ უთმობდნენ პასუხებს. ოჯახის ბედნიერება მის წევრთა ღიმილში იხატებოდა, განუწყვეტელ გაბმულ ღიმილში და წვრილმან რამ უმნიშვნელო მოძრაობაში. რომ მიწვა ბესიკი თავისავე ლოგინში, ტახტის ბოლოს, წინანდელ ადგილს, ეგონა სუნნელოვან ვარდის ფურცლებზე მოვისვენეო. ხომ დაღლილ-დაქანცული იყო, მაგრამ მაინც ვერ ეძინებოდა. მამლის ყვილამდი ილაპარაკეს. იკითხა ბესიკმა ნაცნობები, მათს ბედნიერებაზე გაიხარა, მათ უბედობაზე დალონდა. დარიკოც მოიკითხა და ეამა, როცა შეუქეს, კარგი ქალი დადგაო, გამრჯელი. ძალიან უნდოდა ბესიკს გაეგო რამე თავის ბედის ვარსკვლავზე, მაგრამ ვინ რას ეტყოდა, როდესაც მათგანი ვერავინ იცნობდა თენგიზის ოჯახს. ვერც გაბედა პირდაპირი კითხვა, რადგან ეგონა გულუბრყვილოს, მიმიხვდებიანო. ამ ნათელ წუთებს მხოლოდ ეს იდუმალი დარდი ჩრდილავდა ვაჟისათვის.

– უხარიანთ ამ საწყლებს ჩემი გამარჯვება, დარწმუნებულნი არიან ჩემი უნარით მოვიქმედე ყოველივე, ჩემის საკუთარის გამჭირახობით. ტყუილია! მამოდრავებდა, შთამბერავდა ძალას მოქმედებისას, მინათებდა წყვილიად გზას, მიწვევდა ან გამევილო მასზე, ან ამოვფხვრილიყავ, ვარსკვლავი ჩემის ბედისა, მათთვის უჩინარი, შუქი ბრწყინვალე, ნათელი მხიარული შუქური ჩემი. ჩემს გულში დაკრძალული მისი სახე არის ცხოველსმყოფელი ძალა ჩემის არსებობისა. ვერ კი შემოდლიან საჯაროდ ვალიარო იგი ჩემ მასულდგმულეზლად ... ნება არა მაქვს ვეახლო და მადლი მოვახსენო კეთილისმყოფელს, ვერც კი შემოდლიან ვიკითხო მისი ამბავი... მადლი მოვახსენო. როგორ გაუკვირდება, როგორ ეწყინება ჩემი კადნიერება! ხომ არ იცის, რა კეთილი მიყო, ხომ ვერც კი მიმიხვდება, თუმც შესაძლო იყოს ხვაშიადის გამჟღავნება მის წინ. ან კი რა საჭიროა იცოდეს ყველა ეს შუქურმა? თვით სიკეთეა ის განხორციელებული, სიხარულის მომფენი თვის გარშემო და სად მიაქცევს ყურადღებას ყველას, ვისაც კი მის ნახვაზე სევდა უკუჰყრია. განა შეიძლება დაითვალოს მზემ, ვის გაუნათა თავის დიდებულ მსვლელობაში წყვილიადი ან რომელი მწერი გაათბო თავის ცხოველსმყოფელ სხივით!

დაეძინა ჭაბუკს. სახლის ანგელოსი კეთილი გულით დაუხვდა სახლის ძვირფას შვილს: ნაზად გადააფარა ფრთა, მიჰბერა ძილი ტკბილი და მსუბუქი, ხოლო ზმანება დამატკობელი: შუქური ნახა სიზმრად სასწავლებლის გზაზე, მის შეხედვაზე შესდგა პატარა, გაუდიმა და გაუწოდა შრომანა ნაზი. გამოედვიდა გახარებულს. ვეღარ კი მოეგონა ჭაბუკს, ჩამოართვა ყვავილი თუ არა. წამოდგა, დედა ჩაიდანს უჯდა

გვერდით. მამა და ძმა უკვე გასულიყვნენ სამუშაოდ. აღტაცებული ჭაბუკი შემოეჭდო დედას და დაუკოცნა საყვარელი სახე, ტკბილი გულ-მკერდი.

13

ყველა ოჯახში თითო კოჭობი დუღს, ყველა კაცს თითო დარდი აქვს. რაც უნდა მარჯვედ და ბედნიერად მოეწყოს ადამიანის ცხოვრება, იგი დარდი მაინც არა სდნება და არა ქარწყლდება. დროთი დრო ვარდის ფურცლით დაიფარვის იგი და არა სჩანს, მაგრამ დაჰბერავს სიო უბედობისა, გაჰფანტავს ფიფქივით მიფენილ ფურცელს და აღმოჩნდება იგი სევდა გაშავებული.

ბესიკის დარდიც ყვავილთა ფურცლით იყო ეხლა დაფარული და ვერავინ ხედავდა მას, ვერც ვინმე წარმოიდგენდა რამე სევდის არსებობას ბედნიერ ჭაბუკის გულში. თითონ კი მწვავედა გრძნობდა მას თავის ბედნიერების ყვავილთა შუა, მოხარული იყო ახალგაზრდა: თავის მიზანს სავსებით მიაღწია, გარნა გრძნობდა, რომ შესაძლო იყო მთელ მის ნაღვაწს სამირკველი გამოსცლოდა და ჩანგრეულიყო, შეიძლებოდა მის სიხარულის ნერგს მაცოცხლებელი ნაკადი ჩაჰშრობოდა და ჩაყვითლებულიყო, ჩამჰკნარიყო, გამხმარიყო.

– ნახევარსაც ღირსი არა ვარ! – იტყოდა თავის გულში მიზანმიღწეული ახალგაზრდა, – მაგრამ ცხადად ვხედავ, რომ ჩემი შრომა ვერ გამოიღებს ნაყოფს კეთილს, თუ ჩამომეცლება ის ძალა, რომელიც მამოქმედებდა აქამომდე. ვსდგევარ ცხოვრების ზღვის პირას, მზად ვარ შევებრძოლო მის ტალღებს, რომ განვახორციელო მისწრაფებები, რომელნიც დამისახნია სამოქმედოდ. შიში მიპყრობს და ძრწოლა; თუ თან არ მეყოლება უხილავი მფარველი, მოვუძღურდები, ღონე მიძხდება და მხოლოდ მიწადა დავრჩები ტლანქი, კაცის სახით მავალი და დამნთქამს დამძიმებულს ცხოვრების მორევი.

ადამიანი, თუნდ საზოგადო მისწრაფებით გამსჭვალული, პიროვნებაა განკერძოებული და რაიმე პირადი ლტოლვილება აქვს დართული მის მოქმედებას. ეს პირადი მისწრაფება შესძღვნის მის ღვაწლს თავისებურობას, არჩევს მის ნამოქმედარს სხვის ღვაწლისაგან. განა ყველა პირადი მისწრაფება სამრახისია და საგმობი; არის კერძო მისწრაფებაც ფაქიზი, საქები, რომელიც არ ეწინააღმდეგება საზოგადო კეთილს. ამგვარი პირადი მისწრაფება შეუერთდება საზოგადო კეთილს და განაცხოველებს მას, სულს ჩაუდგამს, ამოქმედებს ძლიერად.

– და განა ჩემი პირადი მისწრაფება, რომელიც მამოქმედებდა აქამომდის, ფაქიზი არ არის და მოსაწონი! განა ის ეწინააღმდეგება საზოგადო რასმე კეთილს?! სრულებითაც არა! ეს სიცოცხლეა ჩემის გულისა, სინათლეა ჩემთვის უჩრდილო, ვისწრაფი, ჩემმა ღვაწლმა ამამალოს, გამასპეტაკოს, ღირსი გამხადოს მისი. მსურს მომიწონოს ჩემმან ხელმქმნელმან. მსურს ისე, როგორც ჰსურს სულდგმულს სიცოცხლე. უიმისოდ გული მომიკვდება, ამემღვრევა ფიქრთა დენა, აზრს დაჰკარგავს ჩემი არსებობა და რაღად ვევარგები ან კერძო ან საზოგადო საქმისათვის. მაშინ ისე გავალ ცხოვრების დარბაზიდან, ისე მივეფარები ცხოვრების მეჯლიშს, როგორც რამ აჩრდილი უმნიშვნელო. და რაღა საჭირო იყო, რომ განგებამ გამომარკვია არარაობისაგან, თუკი არსება ჩემი იქმნება მქრალი, შეუმჩნეველი?! – ფიქრობდა ჭაბუკი და სევდის ზეწარი ებურვებოდა იმის სიცოცხლით სავსე სახეს.

– შვილო ბესიკი! დაფიქრება რამ დაგჩემებია. რა დარდი გაქვს, გენაცვალე? – შეეკითხებოდა დედა მზრუნველობით და გადაუსვამდა ხელს თმაზე.

მაგრამ ბესიკი მოქმედი ადამიანი იყო, მუშა ოჯახის შვილს საქმიანობა ჰქონდა თან დაყოლილი და არ შეეძლო უძლურად მისცემოდა გამოურკვეველ დარდს. ხელჩართულ ომში შუაგული ადგილი ერჩინა. უყვარდა კარზე მომდგარ განსაცდელისთვის პირდაპირ თვალეში ყურება. ეს იყო მიზეზი, რომ ჭაბუკმა განიზრახა გამოერკვია საქმის ვითარება.

– ვიწვნილებ, გავეცნობი, მოვიაზრებ, თუკი შევძლებ მოაზრებას, და ან შევებრძოლები მედგრად, ან დავიკარგები აქედან იმედმიხდილი, – ფიქრობდა ვაჟი.

მძიმედ კი ეჩვენებოდა ეს საქმე, უიმედოდ. რა იყო ამასთან შედარებით იგი მიზანი, რომელიც პატარობით დაისახა ბესიკმა და ბრწყინვალედ შეასრულა?! არაფერი, სრულებით არაფერი! ჭაბუკი გამოეწყო საუკეთესო ტანისამოსში და მიტრიალ-მოტრიალდა სარკის წინ. დედამ თვალი ველარ მოსწყვიტა თავის ვაჟს, მივიდა, რაღაც მტვერი გადაუწმინდა, გარს შემოევლო, ახედ-დახედა და მიჰმართა აღტაცებით:

– ბიჭო, რა მშვენიერი ვაჟკაცი დამდგარხარ! სწორედ მზეთუნახავის ღირსი ხარ, დედის სიხარულო!

იამა ჭაბუკს დედის ალერსი და სახე გაუნათდა. კარის ზღურბლს რომ გადააბიჯა, ორი ცხვირი დააცემინეს და გამხნევდა, თან გაეღიმა, რომ სახიფათო საქმემ ცრუმორწმუნეობა გააღვიძა მასში. ისევ ის გზა გაიარა, რომელზედაც ბაღლობისას სასწავლებელში დადიოდა. ქუჩებს არაფერი მოჰმატებოდა. სახლები თითქო დაპატარავებულიყო, გაჭუჭყიანებულიყვნენ. დიდ ქალაქის შენობებთან შედარებით მეჩვენებო ესე, გაიფიქრა. იმ ადგილას რომ მივიდა, საცა შუქური შეხვდებოდა ხოლმე, ისე იგრძნო, თითქო ეხლაც უნდა შეხვედროდა ბავშვი. მივიდა სასწავლებელში, ინახულა ძველი მასწავლებლები: ზრდილობა მოითხოვდა ამას. იქიდან დაბრუნებისას შუქურის სახლისკენ შეუხვია. ძალიან კარგად იცნობდა ამ ქუჩას პატარაობითვე. სახლი მიძველებული ეჩვენა, გალავანი ადგილ-ადგილ ჩამონგრეული. არავინ არა ჩანდა არც ეზოში, არც წინგარდზე, არც ფანჯრებში. გული დაეხშო. ფეხი დააწყენარა, ეგება ვინმემ გამოიხედოსო. დაღონებული გასცდა ქუჩას.

უიმედო საქმეს ებრძოდა ბესიკი, მაგრამ შემმართველი იყო და გაუტეხელი; იგი გაჭირვებაში თვით ღმერთს შეეჭიდებოდა და იბრძოლებდა უდრეკლად, სანამ არ გაიმარჯვებდა.

გაიგო ჭაბუკმა, რომ შუქური მამის სახლში იყო. სწავლა დაემთავრებინა, სახლში დაბრუნებულიყო და აგერ ერთი წელიწადი იყო, რაც საზოგადოებაში ტრიალებდა. სასიამოვნოდ მოესმა და გულზე მალამოდ მოეცხო, როცა უთხრეს, ქალი მშრომელ ხალხს არ ერიდება, სცდილობს კიდეც დაუახლოვდეს ბედისაგან დაჩაგრულებს და რამე სარგებლობა მოუტანოსო. არ კი სჯეროდა, ზღაპრულ რამ თქმად მიაჩნდა ეს. გარნა რა ტკბილი იყო მისთვის ეს ზღაპარი, როგორ ჭრელ იმედს ჩასჩურჩულებდა იმის გულს!

– შუქური და უბრალო ხალხის მეგობარი! ვერც მისი ოჯახი, ვერც აღზრდა, ვერც ნათესავები და ნაცნობები ვერ მისცემდნენ მას შემთხვევას და ნებას დაახლოვებულიყო ხალხს, გაეცნო ის, შეეყვარებინა და გული ასტკივნოდა იმის უბედურებით. სულ ტყუილი იქნება ეს! – ფიქრობდა ვაჟი და იმედი უქრებოდა გულში... – მაგრამ შუქური ხომ განხორციელებული სიმშვენიერია და სიკეთე. რა საკვირველია, რომ მას ღვთაებრივ ბუნებას თავისითვე შეეგნო, სად იყო სიმართლე დათრგუნვილი?! მისი გული სწორედ თავისთავად იგრძნობდა სიბრალულს დაჩაგრულთადმი და

მიჰხედავდა მათ! – ფიქრობდა და უღვივდებოდა გულში მიმქრალი იმედი, უცხოველდებოდა იგი და ნეტარების ალად ავარდნილი ადუღებდა მის სისხლს.

ნამდვილი კი ვერაფერი გაეგო ყმაწვილს, ვერც თვით ქალი ენახა, რადგან საზოგადო ნაცნობები არა ჰყვანდათ და ვერც ერთ ოჯახში ვერ შეჰხვდებოდა ქალს. გარეთაც კი ვერსად მოჰკრა თვალი, რომ ცოტათი მაინც შეეყუჩებინა სურვილი. ან სად შეჰხვდებოდა, როცა ვაჟკაცი ვერც კი ჰხედავდა იმ უბანში გავლას, სადაც სცხოვრობდა ქალი. ასეთი გამოურკვეველი მდგომარეობა სტანჯავდა ჭაბუკს. განა რისიმე იმედი ჰქონდა, მაგრამ უნდოდა პირისპირ შეჰხვედროდა უბედობას.

„ვიცი, რომ დაცინვის მეტს ვერას მივიღებ, იქნება გამიწყრეს კიდეც და გამაწბილოს კადნიერებისათვის, მაგრამ გარკვეული წამება მირჩევნია გაურკვეველ ტანჯვას, ერთჯერ მირჩევნის სიკვდილი სულმუდამ დაღონებას. წავალ მერმე, მოვშორდები აქაურობას, რაკი შევიქმნები გულმკვდარი, მხოლოდ აჩრდილებრივ ცხოვრებისათვის გამოსადეგი“.

შიეძლებოდა ამ მძიმე ფიქრებს რამე უაზრო მოქმედებისადმი გამოეწვია ყმაწვილი, რომ მარჯვე შემთხვევა არ მიჰშველდებოდა.

წარმოდგენას ჰმართავდნენ მოწვეულ განთქმულ მსახიობების დახმარებით. ეს იშვიათი ამბავი ელვის სისწრაფით მოედო პატარა ქალაქს კიდით-კიდე. ხალხი მიაწყდა თეატრის დარბაზს. წარმოდგენის გამგე ხელებს იფშვნეტავდა სიამოვნებით და მუდამ დაღრეჯილ სახეზე მამლარი ღიმილი უთამაშებდა. წარჩინებულთ პირველი ადგილები დაეჭირათ და რომ პირველობა დაემტკიცებინათ, უფრო წინ იწევდნენ. ერთს უკანა კალთები გაეწივნა, სცენის კიდეს მიჰყრდნობოდა და ლორწონს ავლებდა დარბაზს, სხვას ფეხი აედგა ზედ სცენაზე და ხმამაღლა ბაასობდა: სოფლური ქცევა იყო დიდების დამადასტურებელი. მორთულ-მოკაზმული ქალ-ყრმა ჯერ ისევ ირეოდა. ფარდა ჩამოფარებულ სცენიდან რახირუხი ისმოდა.

ბესიკი იჯდა კუთხეში, შესცქეროდა მოტბორებულ ხალხს, ვერ კი ხედავდა ვერავის, მისი თვალთ ხედვა უიმედოდ უვლიდა დარბაზს გარშემო და წამის წამ დარბაზის კარს აჩერდებოდა: შუქურს ელოდდა. შუქური კი არა სჩანდა. შუქურის მამა პირველ სავარძელში გაბრწყინვებულიყო, შუქური კი არსად იყო. ცარიელი იყო ბესიკისთვის მთელი დარბაზი, არავინ არ იყო იმისთვის იქ, მხოლოდ მისი დაღონებული ფიქრებით იყო დარბაზი სავსე. გაისმა ზარის წკრიალი. ჩამწკრივებული ხალხი მიაჩერდა სცენას. დაიძრა და აფრიალდა ფარდა, შუქური კი არსად იყო. დასწყდა იმედის ძაფები ჭაბუკის გულს. მის თვალებმა დაჰკარგეს გამომეტყველება, გაქვავდა მისი ტვინი, შესდგა მასში ჰაზრთა დენა; ცივმა არარაობამ გამოჰხედა ჭაბუკს სივრციდან. მაგრამ უეცრად იგრძნო სითბო და სინათლე, მაცოცხლებელი სხივი მოადგა გაყინულს სულს და გაათბო, გაანათა. იგრძნო ეს უცნაური ძალა და მიიხედა უკან. თავისი სიცოცხლე დაინახა უცხოდ გადაფურჩქენილი. მოდიოდა ქალი თეთრებით მოსილი. უმტვერო შაქრისაგან ნაქანდაკვე ყელზე მარგალიტი ეხვია სამპირად. მკერდი ხაიათი რამ ქსოვილითა ჰქონდა დაფარული და მაცთუნებლად გამოსჩანდა სპეტაკი. რამდენიმე ახალგაზრდა მოსდევდა უკან, ზოგნი სამხედრო ტანისამოსში. სუნნელოვანის სიხარულით აივსო ბესიკისათვის დარბაზი, გარნა სიამეს სიმძიმისი დაერთო: ქალის მოარშიყე ყმაწვილკაცობის შედარებით მჩვრად დასახა თავისი თავი, უმნიშვნელოდ, პატარა რამ სულდგმულად, უჩინარად. გამოუცდელი იყო ახალგაზრდა, თვისი ყადრი არ იცოდა. აბა საწყალ დარიკოსთვის ეკითხა, რომელმაც წედან სიყვარულით გამოადევნა თვალი ჭაბუკს და მაშინვე გაიგებდა, როგორი თვალსაჩინო იყო ის და ძვირფასი. წედან, როცა ბესიკი თეატრში წამოვიდა, დარიკო ალაყაფის კარებში იდგა და თავი დაუკრა ახალგაზრდას.

– ნეტა იმ ქალს, რომელიც შენს მკერდს მიაყრდნობს თავს და დაისვენებსო, – შეჰნატრა გულმკვდარმა.

მაგრამ ბესიკი ვერა ჰხედავდა საწყალ გოგონას, ის აღარა ჩანდა შუქურის სხივებში. როცა მზე ბრწყინვალეებს ცაზე, პაწაწინა ვარსკვლავს ვილა ამჩნევს იქ?!

15

შეჰყურებდა ბესიკი შუქურს, იმ ძვირფასს, რომელმაც ბალღობიდანვე გარკვეული მიზანი დაუსახა თვისდა შეუგნებლად, დღევანდლამდის ახელმძღვანელებდა და დღეს თვისსავე შეუგნებლად შეეძლო მოესპო მისთვის მოქმედების სახსარი. არ იცოდა ქალმა, რა სიკეთე დაეთესნა, არ იცოდა, რომ შეეძლო მოესთვლა მდელო, რომელიც ააღორძინა თითონვე და გადაფურჩქნა. რა იცის ანკარა ნაკადმა თავის ცელქ სრბოლაში რომელ მარცვალს გააღიებს, ხოლო ღივს გარდაჰქმნის დამამშვენებელ მცენარედ?! ან რა იცის მან, უკვე დიდებულ მდინარედ გარდაქმნილმა, ვის მოაშთობს თვის ძლიერ ტალღებში ან რომელ ჭანდარს მოჰგლეჯს აღელებული და ჩაჰლექნავს თავის სიღრმეში?! რა იცოდა შუქურმა, რომ მისგან ცხოვრებად მოწოდებული ბესიკი მისგანვე შეიძლებოდა მოსპობილიყო საწყალობლად.

– არ იცის ქალმა და ვერც მიჰხვდება, როგორ ათბობს და ანათებს ჩემს არსებას; ვერც იმას გაიგებს, როგორი წყვილია გამეფდება ჩემს გულში, როცა მიეფარება იგი ჩემის თვალიდან. ან რა საჭიროა გაიგოს ეს ყველაფერი?! ის ხომ ოცნებაა ჩემი გიჟური. მართალია, ხორცმესხმულია და არსებობს, აგერ თვალითა ვხედავ, მაგრამ მაინც ოცნებაა ის ჩემთვის მიუწომიელი, ციაგი რამ თვალთწარმტაცი შეუპყრობელი, შეუძლებელია ჩემი ბედნიერება!

გათავდა ორი მოქმედება და შუქური წარჩინებულ საზოგადოებას არ მოჰშორებია. საუკეთესო ახალგაზრდობა ევლებოდა თავს, ფიანდაზად ეგებოდა, იმის სურვილთა მონად გამხდარიყო; მის სიტყვას ძირს არ უშვებდა, მის ნდომას მიწაზე ფეხს არ აკარებინებდა. მათში მეტადრე ირჩევოდა ემხიანად მოყვანილი ახალგაზრდა, სამხედრო ტანისამოსში უსურვაზის წნელივით იგრძობოდა, თვალეში შესციცავებდა, შეჰღიმოდა, ქათინაურს უხშირებდა, სიტყვალამაზობას ცდილობდა, ფაქიზი ხელით უღვაშს იმწვეტებდა. გული ეუბნებოდა ბესიკს, რომ ეს ვაჟი უმიზეზოდ არ ეალერსებოდა ქალს. ალბათ ქალიც გრძნობდა ამას, რომ სწორედ ამ ყმაწვილს ეპყრობოდა მედიდურად, შეხედვას უძვირებდა, მის საალერსოებზე ღიმიც არ მოსდიოდა. რაღა იმედი უნდა ჰქონდეს საწყალ ბესიკს, როცა იმის გულს ასეთი ჯიქი კეკლუცი დაესახა სათავისოდ?! სიცილადაც არ ეყოფოდა მზეთუნახავს, რომ გაეგო, რა გრძნობებს შეუპყრია მისადმი ვილაც დაბალ კოპრუას შვილი და რა ახირებული აზრები ტრიალებდა ამჟამად მის საწყალ თავში.

„სწორედ სასაცილოა ჩემი აზრები და შეუძნობელი ჩემი გრძნობები, მაგრამ რა ვქნა, როდესაც ყმა ვარ ამ აზრებისა და მონა ყურმოჭრილი ამ გრძნობისა?!“

სცადა ახალგაზრდამ მოშორებოდა ამ მაცთურ სანახაობას, გული გაერთო და ან სცენისთვის მიეპყრო გულისყური, ან სხვა ვინმე დაენახა ამ ხალხით სავსე დარბაზში. ამოდ: ყოველი საგანი შუქურისაკენ ანიშნებდა, ყოველი ხმა მისკენ მიხედვას ჩასჩურჩულებდა. ყოველივე მოძრაობა მისკენ მიჰმართავდა ტყვექმნილს. გაიზარდა სურვილი ბესიკის გულში, გაავსო იგი და გადმოდუღდა მის ძარღვებში, ალად დამწველად ჩაფერფლა იმის ტვინში ყოველივე ცნება, ყოველივე წარმოდგენა, ყოველივე სახე, დარჩა იქ მხოლოდ სახე შუქურისა სურვილთა ცეცხლით გასხივოსნებული, მიუწდომიელი, სათაყვანებელი. და აწ ლოცულობდა მას ვაჟი,

ვედრებოდა უსიტყვოდ, აქებდა, ადიდებდა აღტაცებული და ამ ღაღადისში ჰპოვებდა მწვავ ნეტარებას. ველარ ამჩნევდა გატაცებული ბესიკი დროთა მსვლელობას. გათავდა მოქმედება, აიშალა ხალხი.

– ბესიკი, ერთ წამს ფოიეში გავიდეთ: ახალგაზრდები არიან იქ და გემახიან, – უთხრა ნაცნობმა.

ბესიკი შეუგნებლად დამორჩილდა და გაჰყვა. შევიდნენ მცირე რამ დარბაზში. ნაცნობმა შუქურს წარუდგინა.

– შუქური ბრძანდება, ბატონ თენგიზის ქალი! – და მიუბრუნდა ქალს: – ეს გახლავთ ბესიკი ნარგიზაშვილი, წელან რომ მოგახსენებდით.

ქალმა თითონ გაუწოდა ხელი შემკრთალ ბესიკს და გაუღიმა გასამხნეველად. რა თბილი ხელი იყო პაწაწა!

– სახალხო საქმე განვიზრახეთ და იმედი გვაქვს დაგვეხმარებით, ყმაწვილო! – უთხრა ქალმა.

– გვიბრძანეთ, ქალბატონო! მზადა ვარ თქვენ სამსახურად!

– შორიდან გიცნობთ, ყმაწვილო: გახსოვთ პატარაობისას მგოსნის დღესასწაულზე რომ ლექსები წავიკითხეთ ერთად?

– მახსოვს, ქალბატონო! განა შეიძლება იმისთანა ძვირფას წამის დავიწყება?!

ქალმაც და სხვებმაც განუმარტეს ყმაწვილ კაცს, რომ მთელ ზაფხულს აპირობენ მდაბიო ხალხისთვის სკოლა და ლექციები მოაწყონ და დასჭირდებათ განათლებულ ახალგაზრდობის დახმარება. ბესიკი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. რას არ იზავდა, რა შრომას არ იტვირთებდა, როცა ამისთანა იშვიათი შემთხვევა ეძლეოდა, ხშირად შეხვედროდა თავის შუქურს და დამტკბარიყო მისი ახლო ყოფნით?!

ბედნიერად დაუთავდა ბესიკს საღამო. აღტაცებული დაბრუნდა შინ. სიცოცხლე ველარ იკავებდა. ბნელ ქუჩაში რომ შევიდა, ბალღით გადახტა, შეითამაშა. შინ მძინარეები კოცნით დააღვიძა. ვახშამზე შემოისხა. ათასი რამ უამბო, სასაცილო თუ საგულისხმო. თავისი სიხარული და ბედნიერება სავსებით გადასცა თავისიანებს და მათ გულშიაც აღაგზნო სიხარულის ლამპარი, გააღვიძა და ააღორძინა ტკბილი იმედები. ჰკოცნიდა ყველას, ეალერსებოდა, ეხუმრებოდა. მთელ ღამეს მხიარული ანგელოსი დაჰფარფატებდა საწყალ კოპრუას ოჯახს.

ამ ბედნიერ საღამოს შემდეგ იღბალი უღიმოდა ბესიკს, ზედიზედ უხდებოდა ნახვა თავის ბროლ-ფიქალისა. ზაფხული იყო, ნასწავლი ახალგაზრდობა ესტუმრა ქალაქს და შუქურმა მოახერხა მათგან საკმაო ძლიერ გუნდის შეკრება. ამ წრემ მიზნად დაიდვა ემუშავა ზაფხულის განმავლობაში, ცოტა რამ სიკეთე მოეტანა ჩამორჩენილ მოძმეებისათვის. გამართეს და გააჩადეს დროებითი სასწავლებელი, სადაც საღამოობით, დუქან-ბაზრის დაკეტვის შემდეგ, წერა-კითხვას ასწავლიდნენ ახალგაზრდობას. კვირა-უქმით ეს სკოლა დილითვე სწარმოებდა და უფრო ფართო საზოგადოებას უყრიდა თავს. შიგადაშიგ ხალხს უკითხავდნენ საგულისხმიერო საგნებზედაც სამშობლო ისტორიიდან თუ გეოგრაფიიდან, ხალხის აწინდელ ცხოვრებიდან თუ უწინდელ მის ყოფიდან, მწიგნობრობიდან, მეცნიერებიდან. სცდილობდნენ, ცხადად დაეხატნათ და დაესურათებინათ ნათქვამი, რომ უფრო სახალისო და ადვილად გასაგები შეექმნათ ის. ძალიან საინტერესო ცნობებს აწოდებდნენ ხალხს და ამისთანა გაკვეთილებმა სახელი გაითქვეს საზოგადოებაში.

მთელი ამ შრომის მომწყობი და სულის ჩამდგმელი იყო შუქური. მოძრავი, სუფთა, ზრდილობიანი, მოყვარული, გატაცებული უნებლიეთ იმორჩილებდა ყველას და სარისტას აძლევდა ყოველსავე. ეხლა მას ძლიერ გამოადგა თავისი გამოცდილება, რომელიც ბაღლობიდანვე შეეძინა სოფლად, სადაც ის გარშემორტყმული იყო თავის ტოლ-სწორ გოგოებით. სოფლის გოგოებს მაშინაც ხომ მასწავლებლად მოევლინა შუქური და ხელმძღვანელად. ბაღლობიდანვე შეეთვისა მდაბიო ხალხს, ეს გრძნობა შეინარჩუნა, თანდათან შეგნებული შეიქმნა მასში იგი. ხალხის საკეთილდღეოდ აღძრულმა მოძრაობამაც უმნიშვნელოდ არ ჩაიარა იმისთვის: ჩააფიქრა, გაიტაცა და დაუსახა ცხოვრების გეგმა. მისი მოქმედების აზრი იყო: მეტი შრომა ხალხის საკეთილდღეოდ, რომ აღორძინდეს ერი, კეთილგეყოს შენც, ძეს ერისას. და ეს მცნება ხომ ბესიკის მცნებაც იყო, დედააზრი იმის მომავალ მოქმედებისა.

შუქური რომ სული იყო და გული ამ პატარა წრისა, ბესიკი შეუდარებელი აღმასრულებელი გამოდგა ყოველი დაწყებულებისა, მხნე, დაუღალავი, აზრიანი. რა ერთგულად ემზადებოდა, რომ თავი მოეწონებინა ყველასათვის, გაეხალისებინა ყველა, გაეტაცნა და დაენერგა მსმენელთა სულში გრძნობა კეთილი, აზრი მართალი და ქება დაემსახურებინა ბედის ვარსკვლავისაგან! ქალს თუ მოეწონებოდა ნათქვამი, გაუღიმებდა, თავს დაუქნევდა, იქნება მადლობაც ეთქვა მომხიბვლელი. ქალ-ყრმა შეეჩვია ერთმანეთს. შუქურმა დააფასა ნიჭიერი, მომზადებული, ხალხისთ სავესე კეთილქმნილი ახალგაზრდა, რომელმაც სულ მცირე ხანში დაიმსახურა ხალხის თანაგრძნობა. ხალხი კიდეც ამაცობდა ჭაბუკით, რადგან მისი ამხანაგი, მისი წოდების კაცი ეხლა არაფრით არ ჩამოუვარდებოდა არავის, კიდეც სჯობნიდა ყველას.

ახლო გაიცნო ბესიკმა ქალი და ნახა, რომ ნამდვილი შუქური არაფრით არ ჩამოუვარდებოდა იმ შუქურს, რომელიც იყო ნაყოფი მისი ოცნებისა; კიდეც სჭარბობდა მას. ბესიკი ვერ იფიქრებდა, რომ დიდკაცურად გაზრდილი შუქური უბირი ხალხის გულშემატკივარი შეიქმნებოდა, დაჩაგრულთა სამსახურად გამზადებული. მით უფრო ძვირფასი შეიქმნა ქალი მისთვის, მით უფრო სევდა უმძიმდებოდა ჭაბუკის გულს, როცა წარმოიდგენდა, რომ ჩქარა მოვა წამი, დადგება დრო და იგი უნდა განშორდეს იმ ჰაერს, რომლითაც სუნთქავდა მისი სიყვარული: ქალის შესახვედრად წამოსულს რომ პირი უცინოდა, ქალისაგან დაბრუნებულს სიცოცხლე ტანჯვად ეჩვენებოდა, ჰაერი მძიმედ, მოწამლულად. ახ, როგორ გრძელდებოდა ყოველი წამი და წუთი, როცა ჭაბუკი ვერა ჰხედავდა – თავის სატრფოს!

ამ ხნის განმავლობაში შუქურმაც დაკვირვებით გაიცნო ბესიკი და შთაბეჭდილება როდი იყო ჭაბუკისთვის საზარალო. გააცნო ქალმა ბესიკი თავის სახლსაც. ქალის დედ-მამამ თუ ნათესავებმა ზრდილობიანად მიიღეს ვაჟი, მაგრამ თავის საზოგადოების ნამდვილ წევრად კი ვერ ჩათვალეს: ის ძალიან განსხვავდებოდა მათგან თავისი აზრებით, მისწრაფებებით, საუბრით თუ ქცევით. მთელ ოჯახში მარტო შუქურს შეეძლო მასთან დამეგობრება. ამასა ჰხედავდა შუქური და როცა ბესიკი მათთან იყო, უფრო მეტს ყურადღებას აქცევდა ვაჟს, რომ განმარტოვებით არ ეგრძნო თავი და გულს არ დაჰკლებოდა. ეს სწყინდა შუქურის მოტრფიალე დასევადებულ ახალგაზრდებს და მტრულად უყურებდნენ ჭაბუკს. სცდილობდნენ გაეკილნათ იგი. რა იცოდნენ დაუფიქრებლებმა, რომ სწორედ ამით აახლოვებდნენ ქალ-ყრმას და იძულებულ ჰყოფდნენ შუქურს ბესიკისთვის მფარველობა გაეწია. ძნელი კი არ იყო ქალისთვის ეს მფარველობა, რადგან ჭაბუკი შეხედულობით არავის ჩამოუვარდებდა, განვითარებით გაცილებითა სჯობდა მათ და ენაც მახვილი ააჩნდა, სამართებელივით მჭრელი.

– სად კოპრუა დაბადის შვილი, სად განათლება! დაკარწახებული ტყავებს უნდა ზელავდეს ეხლა ეგ. მერე რა მშვენიერი ახალგაზრდაა!

– არა, ყმაწვილო, ზრდილობიანიც რომ არის! როგორი მოკრძალებით უჭირავს თავი და თან ამაყად, თითქო კეთილშობილიაო.

ქალი ადევნებდა თვალს ახალგაზრდას, სწონავდა, რა შთაბეჭდილებას ახდენდა იგი იმის დედ-მამაზე თუ ნაცნობებზე, აკვირდებოდა მის ჰაზრებს, იმის მოძრაობას, მოქმედებას. ქალი ძალიან დაეფიქრებინა ჭაბუკის სიახლოვეს. გრძნობიერი და დაკვირვებული ქალი იყო შუქური და მალე შენიშნა, როგორი თაყვანისცემით შეჰყურებდა ჭაბუკი, როგორის მოწიწებით ეახლებოდა, როგორის მორჩილებით ასრულებდა ყოველსავე იმის სურვილს. ისიც შენიშნა ქალმა თავის სასიამოვნოდ, რომ ჭაბუკისთვის აღარ არსებობდნენ სხვა ქალები, ის სრულებით ვეღარა ხედავდა მათ; მათი მიმზიდველი ძალა დაუძღვრებულყო ვაჟისთვის, გაქარწყლებულიყო. არც ერთს წამს არ მიიხედავდა იგი მათკენ გულისთქმით. ზრდილობიანად ექცეოდა მათ, რაინდულად, მაგრამ მათმა აღერსმა ვერც ერთხელ ვერ გაათბო ვაჟის გული, მათთვის გაყინული და გაქვავებული. შუქურს კი აღტაცებით შეჰყურებდა ბესიკი, მეტადრე, როცა ეგონა, არავინ მათვალთქვებდა. ჰკრძალავდა ყმაწვილკაცი თავის გრძნობას, რამდენიც კი შეეძლო, ცხრა კლიტულში ინახავდა, ეშინოდა, გრძნობათა დაჩენით არ ეწყენინებინა ქალისათვის, არ დაეღონებინა იგი. მაგრამ არ იმალებოდა სიყვარული ცხოველმყოფელი, მისი ნათელი სხივები გამოსჭვიოდნენ ყოველმხრიდან და ცხად ჰყოფდნენ დაფარულს. ქალი ჩააფიქრა ამ ამბავმა, ბევრჯელ გაუკრთო ძილი: მისი გულიც უკვე გაეთბო სიყვარულის სხივებს და მიეზიდმა მისი გული ჭაბუკისაკენ. ჯერ ისევ რყევაში იყო შუქური, რადგან მხოლოდ შემთბარ გრძნობებს ჯერ სისხლი ვერ აედუღებინათ მისთვის.

„მშვენიერი ახალგაზრდა, განათლებული, სადი მიმართულებისა, ხასიათიც კარგი აქვს. რა მარჯვეა, რა მახვილია, რა ადვილად შრომობს! რაზედაც სხვას მთელი დღე უნდა, მას ერთ საათში ვერ ჰყოფნის. სწორედ შესძლებს ცხოვრებასთან ბრძოლას. როგორ შევეჩვიე... წამდაუწუმ იმაზე ვფიქრობ უნებლიეთ, – ამბობდა თავის გულში ქალი. – რას იტყვის მაიკო, როცა გაიგებს, ვისზე ვფიქრობ? ტუჩს ამიკრავს, გამკილავს, არც დედ-მამას ესიამოვნება. მაგრამ იმათ ხომ ისიც არ მოსწონთ, რომ მდაბიო ხალხში გავდივარ და მათში ვტრიალებ. ეჰ, არც გასამტყუნარნი არიან: არ იცნობენ ხალხს და როგორ შეიყვარებენ?! ვერც ის შეუგნიათ, რომ ეხლა ცხოვრების ასპარეზზე ერი გამოდის მქმედად, ერი მთლიანი; მის წიაღიდან უნდა იშვნენ ხალხის წინამძღვარნიც. უსაზღვრო ძალაა დაკრძალული ერის გულში: მხოლოდ ერს შეეძლო ამოდენა თავგანწირული მოეცა ჩვენთვის, მხოლოდ მასვე შეუძლიან გაგვიზარდოს მხსნელნი ყოველგვარ სამარცხვინო მონობისაგან“, – ჰფიქრობდა ქალი და მისი გული უღიმოდა ხალხის წიაღიდან გამოსულ ბესიკს.

იზრდებოდა და ძლიერდებოდა თანდათან გრძნობა ქალისა.

ვაჟის გრძნობა ხომ აღორძინებული იყო, მთლად აღზრდილი და ფრთაშესხმული. ის ვეღარ ეტეოდა ჭაბუკის გულში, მძლავრად ქანაობდა აღელვებული, რომ გიჟურად გადმოეხეთქნა ნაპირები და წამოგრანგილიყო ღვარად ძლიერად. ბესიკი მედგრად ებრძოდა ამ გრძნობათა სავსებას, თავს იმაგრებდა: შიშობდა, რომ ვერ მიუხვდებოდა ბედის ვარსკვლავი და ჩაქრებოდა მისთვის

შემკრთალი, მიეფარებოდა, დასტოვებდა მას ბნელში, გარესკნელში მოსკობდა იმის არსებობას.

მიდიოდა დრო დაუდგრომლად, შეუყოვნებლად, შეუფერხებლად. ვინ შეატბორებდა იმის დიდებულ მსვლელობას, ვინ შეაგუბებდა?! ვინ შეაყენებდა ქვეყანას საუკუნო ლტოლვაში ან სამყაროს მის დიდებულ ბრუნვაში?! აღარ იყო ისუ ნავე და ვინღა შეჰბედავდა შეემართა მნათობთათვის: „შესდეგ, მზევ და ნუ იძვრი, მთვარევ!“ მიდიოდა დრო და უახლოვდებოდა ჭაბუკს ჟამი მძიმე, ბნელი, განუჭვრეტელი, საზარელი, როდესაც ის უნდა განშორებოდა თავის შუქურს. ის მხოლოდ ერთი ქრთილი იყო, მტვერი რამ შეუმჩნეველი უზარმაზარ ჩარხზე ცხოვრებისა, ხოლო ცხოვრების ბორბალი მძლავრად ეზიდებოდა სხვა მხარეს. უგრძნობელი და დაუნდობელი როდი ფიქრობდა ის, რომ ჭაბუკის გული ჩაჰკნებოდა მზის სხივს მოშორებული. ბესიკი ძრწოლით უმზერდა დინჯად და შეურყევლად მომავალს ჟამს შავს, მძიმეს, და უღმობელი მომავალი გულს აწვებოდა ნელ-ნელა უზარმაზარ ლოდად.

„გულს გამისრესს განშორების სიმძიმე, ვერ წავალ! მაგრამ რა ვქმნა სხვა გზა დახშულმა? – გმინავდა ჭაბუკი. – უთხარ, შეჰმართე, შეჰვედრე და იგი ან გაცოცხლებს ღვთაებურის ბედნიერებით, ან ამოგწვდის გულს და დარჩები მანქანა ცივი, უგრძნობელი; ივლი უზაროდ დედამიწის ზურგზე, მანამ დაუკმაყოფილებელი უზაროდვე არ მიეფარები ცხოვრების მეჯლიშიდან“, – ჩასჩურჩულებდა ბესიკს ხმა იდუმალი.

ჭაბუკის გულს სწვდებოდა ეს ხმა და სიამით უსმენდა მას. ბევრჯელ სცადა ბესიკმა, გაებედა შუქურასათვის მართალი, გაეცხადებინა მისთვის დაფარული, მაგრამ ქალის წინ კრთებოდა ჭაბუკი შიშით მოცული, აღექვებოდა ენა მისი სასასა მისსა და სდუმდა ბედვრული. დრო კი მიდიოდა შეუბრკოლებლად და ცივი წყვდიადი საზარლად უახლოვდებოდა ჭაბუკს და კვნესოდა მისი გული მომავალ სიმძიმის ქვეშ.

მთლად შეიპყრო ბესიკის გონება ამ საგონებელმა. განშორდა თანდითან ჭაბუკის აზრს და გრძნობას ყველაფერი, რაც არსებობდა იმის გარემო: დედ-მამა, ნათესავები, ნაცნობები თუ მეგობრები, ხალხი, ერი, ცხოვრების ვარამი ან სიხარული, ცა თუ ქვეყანა შორს გადგა მისგან, განზე გაიწია, უჩინარ იქმნა. ყოველივე არსის ხმა და გულის ძგერა შორიდანღა მოესმოდა ჭაბუკს ყრუდ, განურჩეველ-განურკვეველად, გრგვინვა თუ ხარხარი ოდნავღა თუ მოისმოდა შორეულ სივრციდან. მხოლოდღა ედგა შუქური ბესიკს გონების თვალწინ, იმის ბრწყინვალე სახეს დაეჩრდილა ყმაწვილისთვის ყოველივე, როგორც ბრწყინვალე მზეს ვარსკვლავთა გუნდი.

ახლოვდებოდა წყვდიადი განშორებისა შეუმართებელი და უხუთავდა მას სუნთქვას. ეხლა უკვე ცხადად გამოსჩანდა ჭაბუკის თვალეზში სევდა მძიმე; სევდა განხორციელებულიყო და საცნაურ ქმნილიყო მთელ მის არსებაში.

ამჩნევდა შუქური ამ გამოუთქმელ სევდას, ხედავდა იმის მიზეზს და იტანჯებოდა თითონაც: მისი გულის კარი განიხვა ჭაბუკისადმი სიბრალულისათვის. იცოდა შუქურმა, რომ მისი ერთი ღიმილი შესცვლის ბესიკის სიმძიმის სიხარულად, განაბნევს მის სევდას და განაქარვებს მას, როგორც სხივი მზისა წყვდიადს განუჭვრეტელს; ჰყვედრიდა თავის თავს, რომ გულქვა იყო და შეუბრალეხელი.

მიიწურა ზაფხული. ამოჩნდა ხომლი ცის კამარაზე, კიდეც შეიმაღლა ცაზე ამ ვარსკვლავთა გუნდმა და სიგრილე საგრძნობელი შეიქმნა ღამ-ღამე. უფრო კი გატკბა

მიღებული ზაფხული. ხალხი მას უფრო მეტად აფასებდა ეხლა, როდესაც ხელიდან ეცლებოდა იგი და ხარბად სარგებლობდა იმის უკანასკნელი სითბო-სინათლით. შეხუნებული მზეც ჯერ კიდევ გულს არ იტეხდა, ღონეს იკრებდა და უბრძოლველად არ უთმობდა ასპარეზს შორით მომავალ სუსხს; მთვარეს კი სრულებითაც არ აწუხებდა მზის სხივის გახუნება ბეჩავ ქვეყანაზე; ის თავს იმშვენებდა, ივსებოდა, იბადრებოდა და თავის ვერცხლებრივ სხივებს დაუშურებლად აფენდა შავ დედამიწას; უსასყიდლოდ მიეღო ნათელი მშვენიერი, უსასყიდლოდვე აწვდიდა ჩაბნელებულ ქვეყანას, რომ მასაც გაჰნათებოდა გული და გალალებულიყო.

მთვარის სხივებით განათებულ ველზე გამოჟიჟინებულიყო ახალგაზრდობა და ოცნებობდა სიყვარულზე, სიკეთეზე, სიმშვენიერეზე. შეჰხაროდა ახალგაზრდობა მთვარეს, შეჰკლიდინებდა და დასცურავდა ცხოვრების ზღვაზე ოცნების ნავით. აქვე იყო შუქური, მთვარის სხივით განათებული მნათობი ძვირფასი. შუქურს ახლდა მისგან დამწვარი ბესიკი. შალი გაეშალა ქალისათვის, ხოლო თითონ მოშორებით მოსჯდომოდა მოკრძალებული. შეჰყურებდა ბესიკი ქალს აღტაცებით და ვერა ჰბედავდა ეთქვა სათქმელი, რადგან ეგონა იგი სიტყვა შეარყევდა ამ ჟამს მის ნეტარებას. ქალის გულიც გაეთბო ჭაბუკის აღტაცებულ სიყვარულს და მისკენ მიექცია აზრები თუ გულისთქმა.

– ბესიკი! მე მახსოვს, როდესაც თქვენ დადიოდით აქაურ სასწავლებელში. შემხვდებოდით თუ არა, შეჩერდებოდით და მიყურებდით გაკვირვებული. ბოლოს ისე შევეჩვიე თქვენთან ერთსა და იმავე ადგილას შეხვედრას, რომ თუ ვერ გნახავდით, თითქო თვალში მაკლდა რამე, – მოუთხრობდა ქალი.

ჭაბუკის შეგუბებულ გრძნობას ეს საბაზილა აკლდა, რომ გადმოეხეთქა კიდეები და გადმოდენილიყო ღვარად წამრღვნელად. დაიწყო ჭაბუკმა აღელვებულის ხმით და მოუთხრა დაწვრილებით, რა ძალა ჰპოვა მან შუქურში იმთავითვე, ძალა მიზნის მიმცემი, გზის გამკაფავი; რომ მხოლოდ შუქურის ნათელი სახე უძლოდა ბავშვობიდანვე ცხოვრების ძნელ გზაზე და მისი შემწეობით გაიკვლია, წავარნა სძლია ყოველსავე დაბრკოლებას; რომ იგი შეიქმნა იმთავითვე მისი ბედის ვარსკვლავი, მისი ოცნება მიუწთომელი; როგორ შეისხა მისმა ოცნებამ ხორცი და მოევლინა უძლეველ სიყვარულად.

– მიყვარხარ, სულისდგმა ხარ ჩემი და აზრი ჩემის სიცოცხლისა, – წარმოსთქვა ჭაბუკმა და გაჩუმდა უეცრად თავისივე სიტყვებით შემკრთალი და ათრთოლებული.

სდუმდა შუქური, დაეხარნა წამწამი ძირს და სდუმდა. ჭაბუკის სიყვარულს ცეცხლი დაეგზნო ქალის გულში და იმის მკერდს აღელვებდა გრძნობათა ტალღა. შუქური ხედავდა თვის გვერდზე მხოლოდ მოყვარულ არსებას, ქმნილებას სრულს, ღირსს სიყვარულისას. იმაზე აღარა ფიქრობდა, ვინ იყო თითონ და ვინ იყო ბესიკი, რომელი წრისა, წოდებისა თუ მოდგმისა. ამ წამს ბესიკიც ისეთი ბუნების შვილი იყო, როგორიც შუქური. ორივენი შეპყრობილნი იყვნენ ბუნების უძლიერესის ძალით, რომელიც განხორციელებულიყო მათში და განუყრელად აკავშირებდა მათ, ჰქმნიდა მათ ერთხორც და ერთსულ. ქალი აწ აღარა ფიქრობდა, მხოლოდ გრძნობდა ნეტარებას მომხიბვლელს და სდუმდა.

აღელვებულმა ჭაბუკმა ვედარ შეიმაგრა თავი და შეუგნებლად მოჰკიდა ქალს ხელი ხელზე და დაეწაფა, როგორც მწყურვალე ნაკადულს. ქალმა ხელი არ გააცალა, ოდნავ მოუჭირა კიდეც ხელი ხელს და ეს მცირედი მოძრაობაც საკმარისი იყო, რომ გაეღო ჭაბუკისთვის კარი ბედნიერებისა, გიჟურის ნეტარებისა.

მთვარე კი მისცურავდა ლაჟვარდ ცაზე მხიარულად და უღიმოდა ახლად გამონასკვნილ ბედნიერებას. მთვარე კეთილია, იმის გულს ახარებს ტკბილის

სიყვარულის გარდაფურჩქვნა და სხივების გვირგვინით ამკობს შეყვარებულთ. იცის, რომ მხოლოდ სიყვარულია გრძნობა უკვდავი და უხარიან მისი აღზნება.

შინ რომ მიდიოდნენ ტრფიალნი, ქალს თან აედევნა ფრაზა: დაუტეოს კაცმან დედა თვისი და შეერთდეს ცოლსა თვისსა. ეს ფრაზა მიფარფატებდა ქალის წინ და მხიარულად ჩასცქეროდა ნათელ თვალებში. ქალიც არ უფრთხოდა, თვალს არ არიდებდა, დამშვიდებით უყურებდა მას, როგორც მეგობარს ერთგულს.

19

გაჩაღებული იყო პატარა ქალაქის დიდი ეკლესია: ჭალი, სანთლები, ლამპრები მხიარულად ლაპლაპებდნენ; მათი შუქი კრთებოდა ხატების ვარაყზე და იპნეოდა გარშემო. ხალხით გაჭედული იყო ტაძარი, მაგრამ ხალხი ისევ მოდიოდა მოზღვავებული, მოსდევდა ტალღა ტალღას გაუთავებლად. მოდიოდა მაღალი საზოგადოება, ქალი თუ კაცი ძვირფასად ჩაცმული; მოდიოდა ჩოხიანი ხალხიც და ქალ-რძალი ლეჩაქ-თავსაკრავიანი. გაივსო ეკლესია, გაიტენა, ჭდევა აღარ იყო, ნემსის ყუნწიც ვერ ჩავარდებოდა. ბული იდგა ეკლესიაში საშინელი, ჰაერი ძლიერ შეხუთული იყო.

შუა ტაძარში აღისფერ ფარჩის ფიანდაზი ეშალა და ზედ იდგა შუქური უმტვერო თეთრ ტანისამოსით მორთული სადედოფლო ლეჩაქით თავზე, ლამპრების შუქით განათებული ციდან მოწყვეტილი შუქურ-ვარსკვლავი. სიამოვნების სხივით განათებული ოდნავ მოღიმარე მისი სახე იზიდავდა თვალს. გვერდს ედგა მაუდის ტალავარში გამოწყობილი ბესიკი. გვერდზე გადავარცხნილი ხუჭუჭი თმა ყორნის ბოლოსავით უბრწყინავდა. ფიქრიანი მაღალი შუბლი აწ სიამით გაჰშლოდა, ნეტარება შეჰხებოდა ბესიკს და სახე გაებრწყინებინა მისთვის. ელიმებოდა, ეცინებოდა, უნდოდა ხარხარით მოჰხვევოდა ყველას, მაგრამ იცოდა, რომ არ შეიძლებოდა ცელქობა, დინჯად ეჭირა თავი. შუქური ედგა გვერდზე, აწ თავისი შუქური, და უნდოდა ხშირად მიეხედნა იმისკენ, სულ მისკენ უნდოდა მიბრუნებულიყო, მაგრამ გრძნობდა, უხერხული იყო ეს და ხან სხვასაც უყურებდა. მოუთმენლად ჰსურდა შეჰხებოდა, მხოლოდ ცოტად შეჰხებოდა შუქურის მკლავს, მაგრამ ჰგრძნობდა, ეს არ შეიძლებოდა და თავს იმაგრებდა, დინჯად ეჭირა თავი.

– რა მშვენიერებაა ქა! ავი თვალთ არ ინახებიან კურთხეულის შვილები! – შესძახა ხმამაღლა ვიღაცა დედაკაცმა და იქვე დალოცა მეფე-დედოფალი.

პატარძლის მხარეს სულ სუფთა ხალხი იდგა, სამხედრო თუ საერო, წარჩინებული. ქალს გვერდში ამოსდგომოდნენ მორთულ-მოკაზმულნი ფერიებივით მშვენიერი ასულნი. იქვე იდგა ძვირფასად მორთული პატარძლის დედა, ხოლო იმის გვერდით ჯინჯილებით, ჯვრებით და საპატიო ნიშნებით გაბრწყინვალეებული თენგიზი. შალვრის ტოტებზე წითელი ბაბთები ჩასდევდა, ბრჭყვრილა წაღებზე დეზები ეკეთა.

ვაჟის მხარეს უბრალო ხალხი იდგა, ვაჭარ-ხელოსანი ჩოხა-ახალუხში, ვერცხლის ქამრებით, შალის განიერ შარვლებით, წულა-მესტებით ფეხზე. ვაჟს გვერდზე ედგა მისი უფროსი ძმა ვანუა. მოკლე კალთებიანი ახალუხი ეცვა ცისფერ ქიშმირისა, ბრტყელი ვერცხლის ქამრის შუა გობაკი ღვთაების გუმბათივით აწეულიყო. გულზე ეკიდა ვერცხლის გრძელი ძეწკვი საათისა. წელმოკლე შავი ნაოჭმიყრილი ჩოხა, განიერი შარვალი, ჩუსტის ყელში ჩატანილი. ქამარში ერთი წვერით გამაგრებული აბრეშუმის ჭრელი ხელსახოცი. დინჯად იდგა, ამაყად, თითქმის უძრავად. ვანუას გვერდით, ცოტა უკან, იდგა დარიკო. სუფთად ეცვა. იმის მაგარ და მაღიან აგებულობას მკაფიოდ

ასურათებდა ლბილად შემოხვეული ჩითის კაბა. გული უჩქროლავდა, მკერდი უღელავდა, სახეზე კი მორჩილება აღბეჭდილიყო ბედისადმი. უყვარდა დარიკოს ბესიკი, უყვარდა ჩუმად, უსიტყვოდ, საიდუმლოდ, მაგრამ ეხლაც კი არ ემდურებოდა ბესიკს, მისი ძუმუ კიდეც ჰლოცავდა: ქალი არ იყო ცხოვრებისაგან გალადებული, იგი დათმობას იყო ნაჩვევი და მოთმინებას, ხოლო მისი აზრიანი თვალი ხედავდა, რომ ვერ შეეფერებოდა ბესიკს და ვერც შეედრებოდა შუქურს. უკან, მოშორებით, იდგა მეფის მამა მობეჩავო ღიმილად გარდაქმნილი; ისეთის თვალით შეჰყურებდა შვილ-რძალს, თითქო ლოცულობსო მათზე. წინ დარჭობილიყო ბესიკის დედა, მორთული თავის სადღესასწაულო ტანისამოსით, ყელმოდერებული; შახად იდგა, ტოქად, თითქო საბრძოლველად იწვევს ყველა იქ მდგომს, მთელ ხალხს, მთელ დუნიასაო.

ბრწყინვალედ შემოსილი მღვდელი ჯვარსა სწერდა. გარკვევით, ხმა მაღლა როცა წარმოსთქვა „იქორწინების მონა შენი კეთილშობილი ბესარიონ“, შუქურის მამა შეტოკდა, მსწრაფლ ფეხი შეიცვალა, დეხები შეაჟღერიალა, კინალამ შესძახა: „კეთილშობილი ბესარიონ, დაბად კოპრუას ბიჭი ბესო?!“ მაგრამ დღეს ეს კოპრუას შვილი მისი სიძე ხდებოდა და აბა რაღას იზამდა?! ღელავდა ბატონი თენგიზი, ბობოქრობდა, მაგრამ ხედავდა, აუცილებელი რაღაცა ხდებოდა დღეს იმის თავს და ბოღმას გულშივე იტრიალებდა. მეტადრე აცოფებდა თენგიზს ბესიკის დედა. ერთი ფეხი წინ წაედგა, თავის აელო, კეხიანი ცხვირი საყვირით მაღლა აეშვირნა. თენგიზს აზიებდა იგი ცხვირი, ბრაზზე მოჰყავდა. ვაჰ, რომ არ შეიძლებოდა მისი მახვილით წაკვეცა! მობრუნდა დედაკაცი. მივიდა პატარმალთან და სადედოფლო ჩიქილა გაუსწორა. შუქურმა მომხიბლავად გადაჰხედა დედამთილს და ნაზად თავი დაუხარა. თენგიზის ცოლმა ტუჩი აუკრა მძახალს, ბატონი თენგიზი აიმღვრა, ნაპერწკლები დააკვესა მისმა მრისხანე თვალებმა; შემოჰკრა ფეხი ფეხს, დეხები შეაჟღერიალა, უნდოდა შეეძახნა თავხედისათვის:

„შესდექი, გასწორდი, ხელები ძირს!“ მაგრამ გრძნობდა, უღონო იყო და ბოღმის ალს გულშივე იტრიალებდა. იძროდა ხალხი ეკლესიაში, ხმაურობდა მხიარულად, გუგუნებდა სასიამოვნოდ, ხოლო ეს გაურკვეველი გუგუნე აცოფებდა ბატონს, სურდა შეეძახნა თავისებურად, რიხიანად:

„წყნარად!“

მაგრამ გრძნობდა, ხალხთა კრება ვერა ჰგვანდა იმის მონა ჯარისკაცთა მწკრივებს და ისევ ჰყლაპავდა ბოღმის ნაკვერჩხლებს, სახე უსისხლიანდებოდა, მარღვები ებერებოდა, მძიმედ ქშინავდა...

გათავდა ჯვარის წერა. ხალხიდან გამოვიდა ჩასპანდურად ჩაცმული მოსხეპილი ჯეელი თაიგულით ხელში, ეშხიანად მიაართვა ყვავილთა კონა დედოფალს და მიჰმართა მეფეს:

– ბესიკო, ძმაო, მოგვილოცნია ბედნიერება! ღმერთმა ისე გაგაბედნიეროს, როგორც სთხოვს შენი გული და როგორც შეეფერება ამ შენს მზეთუნახავს. ჩვენც გვიხარია, ძმაო, შენი სიკეთე: ჩვენი ხარ, ჩვენი ძმა, ჩვენი სისხლ-ხორცი და ვამაყოფთ, რომ ეგეთი კარგი ხარ. იხარეთ ორივემ ქვეყანაზე! ჩვენც ნუ დაგვივიწყებთ; ნუ დაივიწყებთ, თვალს ნუ აარიდებთ საწყალ ხალხს!

ბესიკმა გარდაკოცნა მიმლოცველი, შუქურმა ხელი ჩამოართვა და გაუღიმა ტკბილად.

მსახური ეკლესიისა

1

შეალო ეკლესიის კარი იაკობ მღვდელმა, გადიწერა პირჯვარი და წარმოსთქვა სასოებით:

– შევიდე სახლსა შენსა, თაყვანის ვცე ტაძარსა წმიდასა შენსა!

ხმა მისცა მოძღვარს ცალიერმა საყდარმა, გაიმეორა მისი სიტყვები, უკანვე დააბრუნა მისი ხმა, გარნა აწ მრავალკეცი, დაწმედილი, კრიალა: ძველებური საყდარი იყო, თაღებში დატანებული ჰქონდა წვრილი რამ ქოცოები ხმოვანობის გასაძლიერებლად და კამარა რომ ისხლეტამდა ბგერას, სახმოები ამრავლებდნენ მას, ასპეტაკებდნენ, განამტკიცებდნენ და ხმა გრგვინვით ბრუნდებოდა ძირს; უბრალო გალობაც კი მსმენელთ ყურის დამატკობელ გუგუნად მოისმოდა საყდარში.

მღვდელმა მოიყარა მუხლი ამბიონის წინ და წარმოსთქვა მცირე რამ ლოცვა. ადგა, მოავლო თვალი ეკლესიას, მივიდა თახჩასთან, გამოიღო აბრეშუმის ქსოვილი და მოწიწებით დაუწყო წმენდა ხატებს, შანდლებს, კანდელებს, ჩუქურთმებს, წიგნებს; თუ სადმე სანთლის ღვეთი იპოვნა, ამოფხიკა, თუ სადმე დაჭმუჭნული ფარდა იყო ან წიგნის ფურცელი, გაასწორა. იაკობ მღვდელი გართული იყო ამ საქმეში და თან ღიღინებდა სძლისპირებს, ხოლო ეკლესია მის ღიღინს საამო ხმებად უბრუნებდა მისსავე დამტკბარ სმენას.

მღვდელს თანდათან ართობდნენ საეკლესიო საგალობლები, იზიდავდნენ, უფრო და უფრო იტაცებდნენ სამღთო ხმები და მის გულში ძლიერდებოდა გამოუთქმელი რამ სიამე, ნათელი მყუდრო და მხიარული ეფინებოდა მის სულს. განელდა, ბუნდოვან იქმნა მის გონებაში ცხოვრების სინამდვილე, მთლადაც მიეფარა იგი სინამდვილე ცხოვრებისა მის გონების თვალიდან; გაილივნენ, უჩინარ იქმნენ, განქრნენ მის გულში საყოველღეო წვრილანი გრძნობები და აღტაცებამ შეიპყრო მისი არსება. ეს ეხლა მთლად მოწყვეტილი იყო ქვეყნიერებას, მას დაეტოვებინა აწ ყოველივე ზრუნვა ამაო, ზე აღტაცებულიყო სამოთხედ და გრძნობდა თავის თავს ანგელოზთა, წმიდათა და ნეტართა შორის; უკვე მოესმოდა მის მოხიბლულ სმენას სიტყვანი უთქმელნი და გალობა მწყობრი სამოთხისეური, სამოთხისავე სუნნელოვან სუნსა გრძნობდა მისი დამტკბარი ყნოსვა. დედამიწაზე ფეხი აღარ ეკარა, ჰაერში იდგა ნეტარი და განიცდიდა სიახლოვეს თვით ღვთაებისა.

ხატებიც გაცხოველმყოფელიყვნენ მის გარემო, გაცოცხლებულიყვნენ; ხორცი შეესხათ ჰაეროვანი, ამომრავებულიყვნენ, გამოსულიყვნენ უძრავ ჩარჩოდან; თვალს აღარ ამორებდნენ მოძღვარს, თვისკენ იწვევდნენ მას, თავიანთ გვერდზედ უთმობდნენ მას ადგილს. დაუტკბნენ ყველანი, წმ. ნიკოლოზის სასტიკი მშრალი თვალიც კი მოლბა ამ წუთს და ხუცესმა წინანდებური შიში აღარ იგრძნო მისდამი, როდესაც სწმენდა მის სახეს. მეტადრე კეთილად უყურებდა მღვდელს მთავარანგელოსი მიხილი. მაინც ხომ ყოველთვის კეთილი იყო ის, თუმცა ცეცხლის მახვილი ეპყრა ხელთ აბგარ-აბჯარში ჩამჯდარს, მაგრამ დღეს უფრო ღმობიერად იყურებოდნენ მისი ლურჯი თვალები.

– ახ! ამისთანა სახიერ და უძლეველ მცველის მფარველობით უშიშრად განვლის სული უბადრუკი ჰაერთა სივრცეს, სავსეს ეშმათა უსახურთა მაცდურობით და მივა უვნებლად ადგილსა მას განსასვენებელსა, – გაიფიქრა მოძღვარმა.

და უძლეველი რამ სიყვარული იგრძნო მისდამი და მიმზიდველობა, ის სიყვარული იმედოვანი, რომელსაც გრძნობს სუსტი არსება ძლიერ და მოყვარულ მფარველის კალთაში. მოუთმენლად მოჰსურდა მღვდელს მასთან მიახლება და სასოებით ემთხვია ხატს მუხლზე.

– მამი, აქა ხარ? – შემოსძახა უეცრად აბრამ დიაკვანმა; – მე კი რამდენს დაგეძებდი.

დიაკვნის მოულოდნელმა გამოხმაურებამ მსწრაფლ შემოსძარცვა მოძღვარს ნათელი ნეტარებისა და ლოდივით დაუშვა დედამიწაზე. ისე იგრძნო თავი იაკობმა, თითქო სანატრელი სიზმარიდან გამოერკვიაო უსიამოვნო ცხოვრებისათვის.

- სადღა ვიქნებოდი, კაცო, კვირა დღეს ეკლესიის გარეშე?! რა იყო?
- კიკოლაანთ ივანე მოვიდა, ნათლობა მაქვს და ჩქარა წამოდიო.
- კარგი, შვილო! ვინა ჰყავთ ნათლიად?
- ცალხელაანთ თომამ უნდა მოუნათლოს.
- წადი, შეამზადე ყოველივე და მეც ეხლავე მოვალ.

2

ეკლესია სოფლის თავში იდგა და ზევიდან დასცქეროდა მას. ზარი რომ დაირეკებოდა, მისი გუგუნი მთელ სოფელს ეფინებოდა მორწმუნეთა საიმედოდ და სასიამოვნოდ. სოფელს გვერდით ჩამოუდიოდა მდინარე, რომლის ნაპირებზე ვენახები იყო გაშენებული. ზევით ატეხილი ჭალა ასდევდა მდინარეს. ეს მდინარე და ჭალა იყო სიმდიდრე სოფლისა და სამკაული. პურიც კარგი მოდიოდა, თავთუხი. სოფლის ბოლოს ხევს ბაქები გადაშლილი ჰქონდა, დაბალი და აქედან დაწყობილი უკვე შესაძლო იყო წყლის გაყვანა მინდვრების მოსარწყავად. ამ სარწყავ მინდვრებზე სიმინდი მოჰყავდათ.

ხევის პირას იდგა იაკობ მღვდლის მამა-პაპეული სახლი. მღვდლიაანთ ვენახი მდინარის ნაპირამდინ ჩასდევდა ხევს. იაკობი ამ ბაღში ყველა ხეხილს იცნობდა, ყველა ვაზის ამბავს მოგითხრობდათ, რადგან მას აქ გაეტარებინა თავისი სიყმაწვილე და აგერ აქვე ბერდებოდა. მის მამა-პაპასაც აქ დაელივნათ თავიანთი სიცოცხლე და იქვე იყვნენ ეკლესიის გალავანში დასაფლავებულნი. ადრიდანვე მღვდლიაანთ ჩამომავლობა იყო ეს გვარი და მღვდელი არც შეწყვეტილა ამ ოჯახში. ერთი ძმა რომ ხუცესად გამოდიოდა, მეორეები გლეხადვე რჩებოდნენ. დებიც უმეტეს ნაწილად გლეხებზე თხოვდებოდნენ, ისე რომ იმავე სოფელში თუ გარემო სოფლებში დიდძალი ნათესაობა ჰყვანდა იაკობ მღვდელს. უწინ დიდი მამული სჭეროდათ იმათ, მაგრამ ეხლა დაწვრილმანებულიყო ის, განაყოფებს გაეტანათ; მღვდლის ოჯახობის ბედობაზე ერთი პატარა ვენახილა დარჩენილიყო და შვიდიოდ დღიური სახნავ-სათესი. სამი დღის მიწაც თითონ შეიძინა იაკობმა. მღვდელი გლეხურ შრომას და ცხოვრებას მისდევდა და მემამულესაგანაც იღებდა მიწას იჯარით.

– ეჰ, ის დრო ემჯობინებოდა მღვდელ-დიაკვნისათვის, როდესაც ყველა ეკლესიას თავისი მამული ჰქონდა საკმაო და ეკლესიის მსახურთ არა სჭირდებოდათ სხვისა მამულის შემუშავება! – იტყოდა იაკობი, როდესაც დასჭირდებოდა მიწის ქირაობა.

თითონ იაკობს სასწავლებელში არ გამოეცლო. მისმა მამამ მონასტერში მიაბარა პატარა და იაკობმა იქ შეისწავლა წიგნი, სამღვთო მსახურების წესრიგი და გალობა. მაღლიანი მასწავლებელი შეხვდა: მორწმუნე, მწიგნობარი, მგალობელი. ისე შეიტკბო პატარა, როგორც ნამდვილი შვილი. უძეოდ გადაგდებულმა ღვთისმოსავმა თავს შემოავლო იაკობს თავისი დაუკმაყოფილებელი მამობრივი სიყვარული. მისი მამა-მასწავლებელი არ იყო დიდად განვითარებული, მაგრამ ღრმად მორწმუნე კაცი იყო, ღვთისწიერი. იმან თავის გულუბრყვილო რწმენა მთლიანად გადაწერა ნორჩი შეგირდის გულში და გადასცა შეურყევლად თვის ჰაზრთა თუ გრძობა-ლტოლვილებათა სახე: ეხლა იაკობი სწორედ ისე უყურებდა ცხოვრებას თუ ქვეყანას, როგორც მისი მასწავლებელი.

– ვმადლობ ღმერთს, რომელმაც მომანიჭა შვილი სულიერი, სახე და მზგავსება ჩემი! მე ცოდვილმა ვერ შევსძელ მთლად უარმეყო ცხოვრება ამა სოფლისა, მალონებდა და გულს მიწყლავდა ის, რომ ჩემ შემდეგ ამ ქვეყნად უნდა მოსპობილიყო არა მხოლოდ ხორციელი სახე ჩემი, არამედ სახეცა ჩემი სულიერი. ისმინა ღმერთმა ჩემი ვედრება, მომივლინა მოწაფე გულისამებრ ჩემისა და აწ საუნჯე ჩემი სულიერი. დარჩება ჩემ შემდეგ ქვეყნად და უფრო განსპეტაკებული! – ფიქრობდა ამზრდელი, როცა უკანასკნელად ლოცავდა აღზრდილს.

იაკობი მონასტრიდან პირდაპირ თავის მამასთან გადმოვიდა დიაკვნად და შეეშველა მოხუცს ოჯახის კეთილად წარმართვაში. როცა იგრძნო მისმა მამამ სიკვდილის მოახლოება, მოუწოდა შვილს, აკურთხა იგი და უთხრა:

– იაკობ, შვილო! უკვე დადგა ჟამი ჩემის აღსასრულისა. მამის გვერდზე დამმარხე. ჩემ შემდეგ განაგრძე მღვდლობა კეთილად. ვინძლო შენს შვილს გარდასცე ეს წმიდა სამსახური, რომ არ მოისპოს ჩვენს გვარში მსახური წმიდისა ტრაპეზისა. კვეთაზე მოგვიხსენებდე წინაპართ: გახსოვდეს, რომ ჩვენ ყველანი უხილავად თანამსახურნი ვიქნებით შენი ეკლესიაში. გიყვარდეს მრევლი. დაიცევ თავი ყოვლისაგან ბოროტისა: შენ შენის ნაკურთხის მარჯვენით უნდა გადასცე მაღლი ღვთისა მრევლს და მარჯვენა იგი არ უნდა იყოს უწმიდური.

იაკობი აკურთხეს მამის ადგილას. მაშინ ადვილი იყო ეს. შკოლაში გამოვლილი და სწავლა დამთავრებული ღვდელი იშვიათი იყო მაშინ, სოფელსაც არა კადრულობდნენ ამისთანები. სწავლა დაუმთავრებელთა შორის კი იაკობი უპირველესი იყო, რადგან მონასტერში ზედმიწევნით შეესწავლა სამღვთო წერილი, ხოლო თვის ხანგრძლივ სამსახურის დროს ყოველივე საეკლესიო წესი თუ ჩვეულება.

ადრიდგანვე ჰქონდა შთაგონებული იაკობს, რომ რაკი მღვდლობა დაისახა ცხოვრების მიზნად, თავი წმიდად უნდა შეენახნა და ღირსეულად. გულწრფელად სწამდა მას, რომ უნდა შექმნილიყო ჭური მაღლისა ღვთისა და ქნარი ტკბილხმოვანი სულისა წმიდისა, როგორ შეეფერებოდა ბიწიერს ეს მაღალი დანიშნულება?!

გრძნობდა კიდევ იაკობი, რომ განგება მას ამ მძიმე მოვალეობისათვის ამზადებდა, რომ შემოქმედს მისთვის იგი წმიდა სამსახური დაესახა ამ ქვეყნად. მაშ რის მომასწავლებელი იყო ის, რომ იაკობს ხშირად ესმოდა ჯერ ისევ მონასტერში ხმა იდუმალი, ძახილი რამ საიდუმლო, რომელიც მიუწოდებდა მას კეთილმოქმედებისადმი? ან რასა ჰნიშნავდა იგი წინასწარმეტყველური სიზმრები, რომლებიც ამცნებდნენ მას მომავალს და ცხადებოდნენ ისეთის სისრულით, როგორც სიზმრები მამათმთავრის იოსებისა? ან რას მოასწავებდნენ იგი საოცარი სანახავეები,

რომლებიც ეჩვენებოდნენ მას ჰაერში თუ მიწაზე, სახენი ნათელი, გამჭვირვალენი? მაკურთხელებელი მარჯვენა ღვთისა საცნაურ იქმნებოდა მასში. მისი მამობილი და მასწავლებელი მოწიწებით მოისმენდა ხოლმე ამგვარ შემთხვევებს და პირჯვარს გადისახავდა სასოებით.

– ჭეშმარიტად მადლმან სულისა წმიდისამან გამოვიჩია, შვილო! იგი განგამზადებს მსახურებად ეკლესიისა: ეგ ხმები თუ ჩვენებანი იმის მომასწავებლენი არიან. ძველადაც მომხდარა მაგისტანა შემთხვევები, – ეტყოდა მოძღვარი და მოუთხრობდა ისტორიიდან ამისთანა შემთხვევებს.

– მეცა მქონდა ოდესმე მაგვარი ჩვენებები, მეც მომესმოდა საიდუმლო ხმები, გარნა შეიმღვრა ჩემში სახე ღვთისა და განმეშორა სული მეცნიერი! – დაუმატებდა გულნატკენად.

იაკობი გულმოდგინედ ისმენდა სამლო მოთხრობებს და დაკვირვებით ადევნებდა თვალს მსგავს შემთხვევებს ცხოვრებაში. მისი გონება მიხრილი იყო უნივთო არსებათა და მოვლენათადმი, მისი გამახვილებული გრძნობა მიდრეკილი იყო ზეციურ საგნებისაკენ. მადლი უფლისა გარდმოსულიყო ჭაბუკზე, სული ღვთისა იქცეოდა რჩეულსა ზედა და დაუცხრომელად იზიდავდა თავისკენ მის სურვილებს თუ მისწრაფებებს. ხშირად განიცდიდა იაკობი მომავალს ან იგრძნობდა მას ბუნდოვანად: სული მეცნიერი ახლდ მას და შთააგონებდა ყოველსავე.

– ვაჰ, რომ ქვეყნიურ ხმებით დახშული ყური გარკვევით ვერ ისმენს იდუმალ ხმათა ბერას, ამო სურათებით დაბინდული თვალი ვერ ხედავს ეთეროვან ჩვენებებს სხივოსნებს, მიწიერ გრძნობათაგან დატყვევებული გული ვერ მოსწვდება საგრძნობელს სათუთს და ნაზს! ქვეყნიურ ზრუნვათაგან ტყვექმნილი სურვილი ამოებისაკენ მისდრეკს ადამიანის მოქმედ ნებას, ნივთიერი ქმნილება ამძიმებს ჰაზრს, ფრთას აკვეცავს მას და უშრეტს ძალას აღმაფრენისას...

შემდეგმა ცხოვრებამაც ვერ ჩაწყვიტა ის უხილავი სიმები, რომლებიც აკავშირებდნენ იაკობს ზეცასთან, აქაც მოესმოდა ხოლმე მას ხმა იდუმალი, აქაც ევლინებოდა ჩვენება მიუწთომელი და ხან ისე ნათლად, ისე ძლიერად, რომ ედარებოდა მის ბედისწერას. ესეთი ნათელი იყო ჩვენება იაკობისა მის ქორწინების წინადღებში.

მღვდელობა რომ ითხოვა იაკობმა, ქალაქს დაიბარეს გამოსაცდელად. მოეწონათ სამღვდლოდ განმზადებული ვაჟკაცი. ქართველ არქიელს კიდევ შეექო მისი კითხვა და გალობის კილო. მისცეს შესაფერი ქალაღი და გამოისტუმრეს, რომ მოეძებნა თანამგზავრი ცხოვრებისა, შეუღლებულიყო წესისაებრ ეკლესიისა და ისე წამდგარიყო საკურთხებლად. ავიდა სოფლად და დაიწყო სასძლოდ განმზადებულ ქალების თვალიერება. მიაგდო ხმა აქათიქით, შესძრა ნათესავები თუ უცხო მაჰანკლები. ბევრმა შეაძლია ქალი. ან კი რომელი ოჯახი დაუჭერდა ქალს გლეხობაში თუ სოფლის სამღვდლოებაში იმისთანა ღვთისნიერ, გამრჯელ და სახიერ ვაჟკაცს და მერმე როდესაც ხელთ ეჭირა მღვდლობის ნებართვის ქალაღი?! მაგრამ ვერავინ აირჩია იაკობმა: გული არ მისწევდა არავისკენ. თვალს ბევრი მოსწონდა, გონებაც ბევრს ადასტურებდა საპატარძლოდ, ვნებათა ღელვაც ბევრ ჩაკვირებულ გოგონასაკენ იზიდავდა სიცოცხლით სავსე სასიძოს, გულისთქმას უღვიძებდა შეუმართებელს, მაგრამ ბუნდოვანი რამ გრძნობა უარმყოფი უკუაყენებდა მას, ნებას არ აძლევდა გადაჭრილი სიტყვა ეთქვა, გაბედული ნაბიჯი წაედგა. დრო კი მიიწურა, სულ ორიოდ ეკვირალა დარჩა პაემნამდინ. მხურვალედ ლოცულობდა იაკობი, რომ უფალს შთაეგონებინა მისთვის განზრახვა კეთილი და ფიქრი სწორი.

– უფალო, ღმერთო მამათა ჩვენთაო! გზასა მსახურებისა შენისას ვსდგევარ, წარმართე სვლა ჩემი; წყალობა შენი თანამავალ მეყავნ მე! მომეც თანაშემწე, ვითარცა ადამს; გამოაჩინე სასწაული შენი და მიჩვენე თანამგზავრი ცხოვრებისა ჩემისა; მომივლინე ანგელოსი მახარებელი ნებისა შენისა, ვითარცა წარუვლინე ანგელოსი ელიაზარს მიმავალს ძებნად სასძლოსი!

ლოცულობდა იაკობი და დარწმუნებული იყო, რომ ამგვარ ძნელ შემთხვევაში ხმა იდუმალი უწინამძღვრებდა მას და ამცნებდა ხილვა რამ საიდუმლოს, მაგრამ ვერ ეღირსა იაკობი ვერავითარ შთაგონებას, თითქო დაჰშორებოდა მას სული მეცნიერი და პირი შეექცია მისთვის. ლოცულობდა იაკობი, რომ უფალს ჩაეგონებინა მისთვის განზრახვა კეთილი, მაგრამ თითონვე გრძნობდა, რომ ლოცვა მისი არ იყო სპეტაკი და აღმამფრენი; იგი მძიმე იყო, წითელი, სუნი რამ ასდიოდა ხორცეულისა: ეშხით აყვავებული საპატარძლოები ვედრების დროსაც არ ეშვებოდნენ მის გონების თვალს და ქვეყნიურ გრძნობებით და სურათებით ამძიმებდნენ ლოცვად მდგომის აღმამფრენას.

ფიქრებით წაღებული, დაქანცული ვაჟკაცი მიწვა დერეფანში და გაჰყურებდა ლაჟვარდ ცას, ჩამამავალი მზის სხივებით გაელვარებულს. უეცრად შემოესმა ფეხის ხმა და შრიალი. წამოჯდა, გაიხედა. მისკენ მიდიოდა ქალწული ნორჩი. შავგვრემანი იყო, მაგრამ სახეს უმშვენებდა დაღონებული თვალები; ჩალის ფერი კაბა ეცვა, თავსაკრავზე ზამბახი ჰქონდა ამოქარგული, მაჯაზე ქარვის კრიალოსანი ეხვია. იაკობმა ყველაფერი ეს კარგად შენიშნა. ქალი შესდგა და ხვეწნით მიაპყრო თვალები ვაჟკაცს. იაკობი წამოხტა შესაგებებლად, მაგრამ ქალმა მორცხვად დახარა თავი, დაიწია უკან და მიეფარა. ვაჟკაცი გაჰყვა თან, მაგრამ ველარავინ ნახა. განცვიფრებულმა მიიარ-მოიარა ეზო, გადიხედა ბაღჩაში, დაათვალიერა ოთახები, მაგრამ ვერვინ ვერ იპოვა. ჰკითხა თავისებს თუ მეზობლებს, მაგრამ ამაოდ. ალბათ ჩაგეძინა და მოგეჩვენაო, უთხრეს.

– სწორედ გზმანებია! აქაურ ქალებს ხომ ყველას იცნობ, უცხო სტუმარი კი არავინ არის ეხლა სოფელში, – უთხრა იაკობს მისმა დამ.

იაკობმა დაიჯერა, რომ სიზმარი იყო უბრალო და დამშვიდდა. რამდენიმე დღის შემდეგ ხატობაში მოუხდა წასვლა შორს და მის განცვიფრებას სამზღვარი არა ჰქონდა, როდესაც ხატის კარს სწორედ ის ქალი შეხვდა, რომელიც ეჩვენა მას და სწორედ ისე ჩაცმულ-დახურული. შეძლებული გლეხის ოჯახიდან აღმოჩნდა ქალი. დაინიშნა. ყისმათს სად წაუვიდოდა?!

– დაგინახე თუ არა, ქალო, მაშინვე გიცანი! მივხვდი, რომ ჩემი უნდა გამხდარიყავი, – ეუბნებოდა დანიშნულს ვაჟკაცი და უამბობდა, როგორ ეჩვენა ქალი მას.

– აბა შენ საიდან გეცნობებოდი?! მე კი გიცნობდი, – მიუგო ქალმა.

– რას ამბობ, ქალო, შენ საიდლანლა მიცნობდი?!

– შარშან გნახე ამავე დღეობაში და მაშინვე გული ჩამწყდა: უშენოდ გაძლება აღარ შემეძლო, შენი გაცნობა კი ვერ შეიძლებოდა. ვერვის გავენდე, დედასაც კი ვერ ვანდე ჩემი საიდუმლო. სულ ვტიროდი და ვლოცულობდი. როცა მითხრეს, მღვდლად უნდა ეკურთხოს და ქალს ეძებსო, გული შემეხუთა, მომიკვდა. შენი სახე აღარა მშორდებოდა, ფიქრით სულ შენთან ვიყავი, – უთხრა ქალმა და ვაჟკაცის უბეში ჩამალა დარცხვენილი თავი.

კარგი ქორწილი გადიხადეს. ქალი არა ბრწყინავდა სიმშვენიერით, ვერა ჰგვანდა იგი რახილს, თვალთწარმტაცს, მაგრამ მეუღლე გამოდგა ნაკურთხი და დალოცვილი.

დიდად აღელვებული იყო იაკობი კურთხევის დღეს. სიონის ტაძარში აკურთხეს დღესასწაულ დღეს აუარებელი ხალხის წინ. იაკობი მხოლოდ სოფლის ხალხს იყო ჩვეული და მიყრუებულ მონასტერს, და მღვდელთმთავრის სადღესასწაულო წირვა შიშსა ჰგვრიდა მას და კრძალვას.

იაკობს სწამდა დაჭეშმარიტებით, რომ ის დღე დიდმნიშვნელოვანი იყო მის ცხოვრებაში: გადმოვიდოდა მაშინ მასზე მაღლი სულისა წმიდისა და ეს ზეციური ძალა გარდაჰქმნიდა მას რჩეულად, წინამძღვრად ხალხისა, მწყემსად კაცთა და იმათ მიყვანებად წინაშე მამისა ზეცათასა; ამიერიდგან ის შეიქმნებოდა აღმასრულებელი ღვთაებრივ საიდუმლოთა და შუამდგომელი ღვთისა და მრევლს შორის. ეს მაღალი მოწოდებაც აღელვებდა მას და გულს უჩქროლებდა.

ამისთანა მძიმე და პასუხისსაგებელი ტვირთი აღემატებოდა ადამიანის ჩვეულებრივ ძალას, თუ მისი ბუნება არ ამალდებოდა ღვთაებრივ ძალით და მით არ გაძლიერდებოდა, თუ მასში არ დამკვიდრდებოდა სასწაულთმოქმედი მაღლი უფლისა. დღეს ამ მაღლის გადმოსვლას მორწმუნე იაკობი მოელოდა მოწიწებით და კრძალვით, შიშით და ძრწოლით, რადგან ჩაგონებული ჰქონდა და სწამდა კიდევ, რომ მაღლი იგი არის შემწე ღირსეულთა, აღმაფრთოვანებელი და განმასპეტაკებელი რჩეულთა, ხოლო შემწველი და დამანავლებელი უღირსთა და არა რჩეულთა. იაკობს სწამდა, რომ დღეს ამ სასწაულებრივ ძალას ნივთიერადაც იგრძნობდა ის და გაიგებდა მის გარდამოსვლას მასზე.

– მე რომ მღვდელმონოზნად მაკურთხეს და ხელნი დამასხნა მღვდელთმთავარმა, ვიგრძენი ძალა ღვთისა, გარდამოსრული ჩემზედ, ვითარცა ელვა. მაღლმან ღვთისამან განანათლა სული ჩემი, როგორც რამ ალმა ანაზდეულმა, – მოაგონდა იაკობს თავის მასწავლებლის სიტყვა.

აგერ იაკობს მუხლი მოადრეკინეს ბრწყინვალედ შემოსილ მღვდელთმთავრის წინ. ეპისკოპოსმა დაასხნა ხელნი და აღიმაღლა ხმა:

– „მაღლი ღვთისა, რომელი იგი მარადის უძლურთა განკურნებს და ნაკლულევანთა აღავსებს, ხელთა დაასხამს კეთილად მსახურსა იაკობს და განაჩინებს მას მთავარდიაკვნობისაგან მღვდლად! ვილოცოთ, რათა დაიმკვიდროს ამასთანა მაღლმან სულისა წმიდისამან“.

წარმოსთქვა თუ არა მაკურთხებელმა ასამაღლებელი, იაკობის გამახვილებულს ყურს მოესმა შრიალი რამ მსუბუქი მსგავსი ნიავისა და გაეღო გული და აღივსო არსება მისი გამოუთქმელი სიამით: ცხადად იგრძნო იაკობმა მაღლი ზეცისა გამამხნეველები და მომცემელი ღვთაებრივის ძალისა.

დაივანა ამ ჟამიდან ძალმა ზეცისამა მასში, ვითარცა ჭურში რჩეულში და დაადგრა უკანასკნელ დღემდე ცხოვრებისა მისისა. იგი ძალა სასწაულებრივი ახელმძღვანელებდა მას სიცოცხლის განმავლობაში; იხსნიდა სასოწარკვეთილებისაგან, როდესაც დაჰბერავდა მის ხომალდს ცხოვრების ზღვაზე ქარიშხალი სასტიკი; იგივე ძალა იხსნიდა მას ჭარბ კმაყოფილებისა და უჯერო პატივისაგან თავის თავისადმი, როდესაც მზე ბრწყინვალე დაჰნათობდა მის სიცოცხლის ზღვას დაწყნარებულს და ნიავი თანამსრბოლი კეთილად წარმართავდა მის ხომალდს. ყოველსავე კეთილს, რომელსაც მოიმოქმედებდა იაკობი, აწერდა არა თავის თავს, არამედ ღვთაებრივ ძალას, რომელიც მოქმედებდა მასში; ყოველსავე ბოროტს, რომელსაც ნებსით თუ უნებლიეთ იქმოდა იაკობი, მიაწერდა თავის ცოდვიან ბუნებას, რომელი უღირსი იყო მასში მყოფ ღვთაებრივ ძალისა და რომელიც ამგვარი ხენეში მოქმედებით უღირსად ამღვრევდა მას. იგივე მაღლი უფლისა იხსნიდა მას უზომო ჭმუნვისა და უიმედობისაგან განსაცდელში, სასოწარკვეთილებისაგან, რომელი დანთქამს მოქმედ ნებას ადამიანისას,

ამოსწვდის სულს ცხოველს, მოღვარსლავს ადამიანს და გარდაჰქმნის მას მჩვრად რადმე უხმარად. ეს მადლი ღვთისა შეიქმნა მოძღვარში იმ უხილავ ძალად, რომელი დაუდგა კვარცხლბეკად და საფუძვლად მის ზნეობრივ პიროვნებას, რომ ვერ შეეძრა იგი ფერად-ფერად სიჭრელეს ცვალებადის ცხოვრებისას და ვერ დაეხარნა თავისკენ.

დღეს დარწმუნდა იაკობი, რომ მადლი სულისა გადმოვიდა მასზე და დაემკვიდრა მასში და ამ გრძნობამ ააფრთოვანა ის, გრძნობები აუმაღლა, იმედებით აავსო და ისეც მიზანმიღწეული ვაჟკაცი მთლად ბედნიერი გახდა. განიბნა და განქარდა ამჟამად მის გულში ყოველივე ბოროტი, ამოიფხვრა ამ წუთს მის არსებიდან ყოველივე ავი. აწ ყველა და ყოველივე კეთილი იყო მისთვის და კეთილქმნილი, მშვენიერი: ხატები ღმობიერად უყურებდნენ მას და აკურთხებდნენ, მღვდელთმთავარი სათნო იყო და სახიერი, მთავრები თუ დიაკვნები მეგობრულად გარს ეხვეოდნენ იაკობს და კმაყოფილებით შეჰკლიმოდნენ; მგალობლები ანგელოსთა კრებულად გარდაქმნილიყვნენ და სანატრელ ხმებს იტყოდნენ; ამბიონიდან რომ მთავარდიაკვანი გრგვინავდა, იგი გრგვინვა ცხებული სუნნელოვან ნელსაცხებლად ეფინებოდა მის არსებას. ნეტარებასა გრძნობდა იაკობი, ნეტარების ღიმილი გადაჰფენოდა მთელ მის სახეს.

მშვენიერი იყო ქვეყანა ღვთისა! მზე დიდებულად მისცურავდა ლაჟვარდ ცის კამარაზე და განმაცოცხლებელ ნათელსა ჰფენდა სამყაროს; დედამიწის გადაშლილ მკერდზედ აღმოცენებულიყო ყოველივე მდელო ხასხასი და მოქარგულიყო იგი მკერდი სუნნელოვან ყვავილით ფერად-ფერადით; მფრინველთა გუნდი შესწირამდა ქებას ზე ცას, ხოლო ქვე დედამიწას; მოჩუხჩუხე ნაკადები მიიტყოდნენ და მიიმღეროდნენ დიდებასა ღვთისასა.

სამღვდელო ტანისამოსში დამშვენებულს იაკობს სოფლის ნაცნობი გზა დღეს მოქარგული ეჩვენებოდა ია-ვარდით, ეს კი იყო, რომ გაგრძელებულიყო იგი გზა, აღარ თავდებოდა. ქვა, მდელო, ჯაგი თუ ბუჩქნარი სალამს აძლევდა მას, უღიმოდა, კურთხევასა სთხოვდა; მგზავრებიც ქუდს უხდიდნენ ახალ მოძღვარს და შენდობას იღებდნენ.

– შენდობა, ბატონო! – შესძახა ნინიკამ და გასცდა ჩქარის ნაბიჯით მიმავალი: ველარ იცნო ანაფორაში იაკობი:

– გაკურთხოს ღმერთმა, ჩემო ნინიკავ! – მიუგო მოძღვარმა მხიარულად.

ნინიკა შესდგა და გაკვირვებით დააშტერდა მღვდელს. იაკობი გადმოხტა ცხენიდან და გადაეხვია მეზობელს. სასიამოვნო წუთი იყო და ღირსსახსოვარი!

ღმობიერს და ყოვლად მოწყალე შემოქმედს დღეს წყევა პირველი მოეხსნა ტვირთმძიმე დედამიწისთვის; იგი ქვეყანა დღეს აღარ იყო შეჩვენებული, ნაკურთხი იყო იგი და კურთხეული. იაკობიც კეთილი იყო! ყველას მადლიან სიტყვას ეუბნებოდა, ყველა ბუჩქს კურთხევას უთვლიდა, ყველა წყაროს ჯვარსა სახამდა, ყველა მფრინველს ალერსით ადევნებდა თვალს.

შინაურებიც მხიარულად დახვდნენ იაკობს: მისი ახალგაზრდა მეუღლე ეზოში იდგა. ლეჩაქადაფრიალებული დღეს სახიერად მოეჩვენა იაკობს თვისი ღია და კეთილქმნილად. ოჯახმა, ნათესაობამ, მთელმა სოფელმა გულწრფელად მიულოცეს წარმატება. ერთი შური თვალის კი ვერ შენიშნა ახალმა მღვდელმა თვის გარშამო; ყველა კარგად იცნობდა იაკობს და ყველა დარწმუნებული იყო, რომ იგი წარმატება მისცემოდა მას სადიდებლად ეკლესიისა და სასიკეთოდ მრევლისა.

ღვთისმოსავი კაცი იყო იაკობი, სარწმუნოების მტკიცე ნიადაგზე დამყარებული და მცნება ღვთისა ახელმძღვანელებდა მას ყოველსა ჟამსა ცხოვრებისა მისისასა. მცნებისამებრ ღვთისა ჰქონდა მას დასახული აზრი ამ ქვეყნად ცხოვრებისა, მარტივად და ნათლად.

იაკობ მღვდელი ადამიანი იყო ხორცშესხმული და ცხოვრება უნდოდა ქვეყანაზე, ესაჭიროებოდა პური არსობისა თავისათვის თუ თავის ოჯახისათვის, მახლობელთათვის თუ მოყვასთათვის. და იაკობს სიმცროდანვე ჰქონდა შეთვისებული ის ერთადერთი სამართლიანი და უყვედური სახსარი ცხოვრებისა, რომელიც დაუსახავს განგებას. ყოვლად ძლიერმა შემოქმედმა რომ მოჰმადლა ადამიანს ძვირფასი ნიჭი არსებობისა, იმანვე, ყოვლად მოწყალემ, ამცნო მას მართალი საშუალება არსებობისა.

– ოფლითა პირისა შენისათა სჭამდე პურსა შენსა! – ბრძანა უფალმა და დააწესა სახსრად ცხოვრებისა შრომა პირადი.

შემოქმედის ბრძნული განგებით იმ ოფლითა პირისა თვისისათა ადამიანს უნდა მოერწყო დედამიწა, იგი უნდა შექმნილიყო „მოქმედ ქვეყნისა“, შემმუშავებელ მიწის წიაღისა და იგი მიწა, დედა ყოვლისა არსისა, მისცემდა მას საზრდოს და განაძლებდა. მართალია განრისხებულმა უფალმა დასწყია ადამიანის მუშა-მარჯვენა, მისი გაჩენის ჟამი, დღენი მისი ცხოვრებისა და თვით შესამუშავებლად დადებული ქვეყანა.

– წყეულ იყავნ ქვეყანა საქმეთა შინა შენთა! ეკალსა და კუროსთავსა აღმოგიცენებდეს შენ იგი. მწუხარებითა სჭამდე პურსა შენსა ყოველთა დღეთა ცხოვრებისა შენისათა! – ბრძანა მან.

გარნა არა სრულიად განრისხდა უფალი, არცა უკუნისამდე ძვირი იხსენა.

– ნაყოფი ნაშრომთა შენთა სჭამო შენ და კეთილ-გეყოს შენ!

კვლავ ბრძანა ყოვლად-ღმობიერმა და კვლავ მოჰფინა მადლი თვისი ქვეყანას, კვლავ განამრავლა ქვეყანაზე წყალობა თვისი, ხოლო კვლავ მადლშემოსილმა და გალალეულმა დედამიწამ მოსცა სიხარული გულსა მუშაკისასა და ადავსო სახლი მისი ნაყოფისაგან იფქლისა და ღვინისა და ზეთისა, რომელ განმრავლდნენ.

– შრომა და მიწა დაგვიწესა გამჩენელმა სახსრად ცხოვრებისა სამოთხის გარე-ვისაც მიწაზე უდგა ფეხი და შრომის უნარი ჯერ არ მოჰსპობია, იმას არ ეშინიან, არც უნდა ეშინოდეს ცხოვრებისა, – ფიქრობდა იაკობ მღვდელი.

და როცა დაბრუნდა სახლში ნაკურთხი და დაბინავდა მრევლში, უფრო მეტის ხალისით და ეშხით განაგრძო თავისი წინანდელი შრომა. სწორედ ისე მუშაობდა, როგორც მისი სოფლის გლეხები, არაფერში არ ჩამორჩებოდა თვითეულ თავის მრევლს. გულგაღებლი, თავწაკრული, ქალმებით ფეხზე ებრძოდა მადლიან მიწას მძიმედ, აუჩქარებლივ, მოზომვით, გარნა წარბშეუხრელად, დაულალავად, შეუდრკომლად, იმედიანად. ალტობდა შავს დედამიწას სისხლის ოფლით, რომ დაეღბო და გაენოყიერებინა მისი ფართოდ გადაშლილი მკერდი ცხოვრების მომცემელი. მუშაობდა მღვდელი ბაღში, როგორც მეზაღე დახელოვნებული, უვლიდა და ამრავლებდა საქონელს, როგორც მამათმთავარი იაკობ ლავვანისას, მისდევდა ხვნა-თესვას ჰაზრიანი მეურნე, მკაში თუ კალოში არ ჩამოუვარდებოდა არც ერთ ვაჟკაცს სოფელში. მის გამოყვანილ გუთანს თუ ურემის თვალს შორიდანვე იცნობდი. ისე დაუდებდა საძნე ურემს, შეხედვა გაიმებოდათ. მისი დადგმული ზვინი საყდარს ედარებოდა ნაქვითიან მოყვანილობაში.

შრომობდა განუწყვეტლივ იაკობ მღვდელი, შრომობდა არა დაღრეჯით და უნებლიეთ, არამედ სიამით და ხალისით. იმედით სავსე ჩაჰყურებდა დედამიწას, ღრმად დარწმუნებული იყო მის დაუშრეტელ სიუხვეში, მის ულეველ სიმდიდრეში.

სასოებით აფუფუნებდა მის წიაღს და რწყავდა მას ოფლით. იცოდა, რომ ყოველივე წვეთი ოფლისა არ გაშრებოდა უკვალოდ მიწის ნოყიერ უბეში, არამედ აღმოცენდებოდა მადლობით და დაუბრუნდებოდა მას ასევე განმრავლებული.

– დალოცვილია დედამიწა, ის თვით ხელია უფლისა, პეშვი ღვთისა სავსე ულეველის საზრდოთი. ხოლო შრომა არის ის ერთადერთი იარაღი, რომელიც გააღებს ამ საუნჯეს უთვალავს, აღაღებს ამ ხელს კურთხეულს, რომელი მოსცემს საზრდოს სიყვარულისაგან თვისისა და განამღებს ყოველსა ცხოველსა ნებისაებრ თავისისა, – ფიქრობდა იაკობ მღვდელი და კმაყოფილება ესახებოდა მიმზიდველ სახეზე.

იაკობ მღვდლის მეუღლე მართა სწორედ შესაფერი ადამიანი გამოდგა მღვდლის ოჯახისათვის. მისი პიროვნება უნაკლულოდ იყო ჩამოსხმული მტკიცე რამ ნივთიერებისაგან და დასრულებული. ქალის მამის ოჯახში უმთავრესი აზრი ცხოვრებისა იყო შრომა დაუღალავი, სარისტა აზრიანი და კმაყოფილება მცირესა ზედან. თუ გამრჯელობისათვის ან მტკიცე წესიერებისათვის ეღალატნა მის მამის დიდ ოჯახს, ბურჯი შეერყეოდა მას, დაინგრეოდა და თვის ნანგრევებ ქვეშ მოიტანდა თვის წევრებს. ესეთი შეხედულობა სიმცროდგანვე ჰქონდა შეთვისებული თვითეულ წვერს ამ ოჯახისა, ესეთი შეგნებით იყო გამსჭვალული ყოველი მათგანი და ეს დედა აზრი სპობდა ოჯახის შვილთა შორის წრესგადასულ კერძო მისწრაფებას, დამთქმელს სახლის კეთილდღეობისა. ერთხელ და სამუდამოდ მიღებული წესი და ჩვეულებები ამოდრავდნენ ამ დიდ ოჯახის წევრებს ერთმანეთის გვერდზედ მიზანშეწყობილად და თანხმობით. აქ ყველა თავის ტვირთს ეზიდებოდა, ყველას თავის უღელი ედგა ქედზედ, ყველა განსაზღვრულ კვალში იყო ჩაყენებული, ყველა წვერი ოჯახისა აუცილებელი მუშაკი იყო ერთისა და იმავე მიზნისა და ოჯახის მამუნებელი.

მართამ ესეთი გარკვეული და სამართლიანი წესი ცხოვრებისა უკლებლივ გადმოიტანა თავის საკუთარ სახლში და მალე მისცა მას განსაზღვრული სახე და საიმედო მსვლელობა. ოჯახში რომ ჩადგა მართა და მიიხედ-მოიხედა, ჯერ იმას მიაქცია ყურადღება, რა საფუძველზე იყო იგი აშენებული ან რამდენად იყო მკვიდრი იგი საფუძველი. ნახა, რომ ოჯახის ნიადაგი ნაცნობი იყო, უკვე მამის სახლში მისგან შეთვისებული და უფრო მკვიდრიც: ბინა საკუთარი და ფართო, ვენახი და ბოსტანი ნაკადულის პირზე, რამდენიმე დღიური სახნავ-სათესი, ქმარი განთქმული მუშა და თანაც მღვდელი. რაღას უნდა შეეფიქრებინა ახალგაზრდა დიასახლისი? არაფერს, სრულიადაც არაფერს! ღვთისგან კურთხეული ნიადაგი დახვდა ფეხქვეშ ნაცნობი და მიჰყო ხელი შეჩვეულ შრომას, დატრიალდა ჯარასავით. სახლს უვლიდა, პურს აკეთებდა და აცხობდა, სარეცხს რეცხავდა, სადილ-ვახშამს ამზადებდა, ძროხებს სწველავდა, ფრინველს ამრავლებდა, ქმარ-შვილს ჰმოსავდა, ბოსტანში თუ კალოზე მუშაობდა. მისი გამჭირახი თვალი სწვდებოდა ოჯახის ყველა კუთხეს, მის მახვილ გონებას არაფერი არ გამოეპარებოდა ოჯახის მოძრაობაში, მის მარჯვე ხელს არაფერი არ ასცდებოდა სახლში. მისმა წალმა ტრიალმა წალმა წარმართა ყოველივე საოჯახო საქმე.

ტრიალებდა ოჯახში დაუღალავად მადლიანი დიასახლისი და არა უნებლიეთ, უილაჯოდ, დაღრეჯილი და მგმობელი ბედისა, არამედ კმაყოფილი და მადლიერი განგებისა, რომელმა მიანიჭა მას ისეთი ოჯახი, სადაც ესე გამოსადეგი იყო და ხვავიანი მისი შრომა, სადაც თავისის თვალითა ხედავდა კეთილს ნაყოფს თავის გამრჯელობისას.

– სახლში შემოგულებული დოვლათი ერთიორად იქცევა, თუ მას ოჯახში დახვდა სარისტიანი ხელი გამრჯელი დიასახლისისა, თუ არა, ფუჭად ჩაიშლება იგი და

ცრემლად დაიღვრება, – ფიქრობდა დიასახლისი და კმაყოფილებით ევსებოდა გული, როცა ჰხედავდა მადლიანად დაცულს სავსე ოჯახს.

და საღამო კმაყოფილებით შეაგებებდა ერთმანეთს ამ დაუღალავ მშრომელ ცოლ-ქმარს. მიმწუხრს იგინი ჰმადლობდნენ და აქებდნენ შემოქმედს, რომელმან ჰქმნა მათზედ დღის განმავლობაში მოწყალეობა მრავალგვარი და ევედრებოდნენ მიეცა მათთვის ძილი განსასვენებლად ხორცთა.

და სიამით იყო სავსე სარეცელი მათი: ყოველნი ზრუნვანი ნივთიერნი მიეფარებოდნენ თვალთაგან მათთა და მოიცავდა მათ ძილი ტკბილი, მსუბუქი, ოცნებათაგან განწყენებული, დამატკბობელი ხორცთა გემოვნებისა.

6

იაკობ მღვდელი კაცი იყო-მეთქი ხორციელი, ცხოვრება უნდოდა ამ სოფლად და საცხოვრებელი; მას ესაჭიროებოდა პური არსობისა თავისთვის თუ მახლობელთათვის და უნდა ეზრუნვა ამაზე, ეღონა რამე. აკი კიდევ ზრუნავდა: თავის ხელით ამოჰქონდა სანოვაგე დედამიწის უღვეველ სალაროდან და ინახამდა ოჯახს.

გარნა არა პურითა ხოლო სცხონდების კაცი! იაკობს სულიც ედგა უკვდავი, შემოქმედისაგან შთაბერილი, თვით ნაწილი ყოვლადმეცნიერისა და სულისათვისაც საჭირო იყო საზრდო შესაბამი. ეს საზრდო სულიერი, ეს სანოვაგე უნივთო ააღორძინებს ნივთიერებაში მოყოლილს და მით დამძიმებულს, დამაბუნებულს სულს, მისცემს მას ძალას ბრძოლისას, შეასხამს ფრთებს მსუბუქს, რომ განერიწოს ამქვეყნად ყოველსავე ბოროტს, ხოლო შემდეგ ხორციდან დახსნისა აღფრინდეს ზეცად და მიხვდეს მას თვისსა ნდომასა.

ბოროტი სდარაჯობს ადამიანის სულს ყოველ ჟამს მისი ცხოვრებისა, უგებს მახეს ძნელს ყოველ გზაზე მისის მსვლელობისა, უთხრის მთხრებლს, რათა ჩასთხიოს იგი ქვესკნელს; თანა სდევს იგი ბოროტი ადამიანს სიკვდილამდე, ხოლო სიკვდილის შემდეგ ევლინება მის სულს სასტიკ და საზარელ ჰაერის მცველთა სახით. თუ ადამიანს არ მიუპყრეს საზრდო, უნივთო, დაიმშვევა სული მისი, დაუძლურდება, დაეშვება ძირს და შთანთქამს მას ბოროტი.

იაკობ მღვდლის რწმენით საზრდო სულიერი იყო მარტოოდენ მტკიცედ აღსრულება ეკლესიის მოთხოვნილებათა, აღსრულება ყველა ამ სამღვთო წესებისა და ჩვეულებებისა, რომლებიც დაუდგენიათ წმიდა მამებს. გარეშე ამ წესწყობილებისა ყოვლად შეუძლებელი იყო საზრდოობა სულისა ამქვეყნად და მისი სასუფეველად მიყვანება იმ ქვეყნად. თვით სიკვდილის შემდეგ მხოლოდ ამ საეკლესიო წესებისა და ჩვეულებების აღსრულებით შეიძლებოდა შველა საიქიოს მყოფ უძიმედოდ და უმწეოდ დარჩენილ უზადრუკ სულთა და ამისთვის ყველა მოვალე იყო, ვისაც კი სიკეთე უნდოდა თავის თავისთვის ამ ქვეყნად თუ საიქიოს, ეზრუნვა თვის კეთილდღეობაზე ამ საშუალებით, ეკლესიის დახმარებით.

კერძოდ ყველა მღვდლისთვის, როგორც ხუცესისთვის, როგორც უხუცესისთვის და წინამძღვრისთვის მრევლისა, ეს ზრუნვა სულიერ პურის მოსაპოვებლად დიდი იყო და მეტად პასუხისსაგები: იმას უნდა ეზრუნვა არა მხოლოდ თავის თავზე, არამედ სხვაზედაც; მას არ უნდა წაეწყმიდა არც ერთი მათგანი, რომელი მისცა მას მამამან ზეცათამან საზრუნველად. იგი რჩეული იყო, აღნიშნული სულისაგან წმიდისა და მინიჭებული ჰქონდა ძალი და უფლება შეესრულებინა ყოველივე საღმთო თვისი მრევლისათვის, გადმოევილინა მადლი მაცხოვრებელი მრევლზე და წაემძღვარებინა იგი მადლი ყველასათვის ყოველ სათანადო კერძო შემთხვევაში ცხოვრებისა. თუ ეს მადლი

არ მიენიჭებოდა იმათ, მაშინ ისინი შეიქმნებოდნენ სულიერად უძღურნი მავნე ძალებთან საბრძოლველად, მაშინ სული ბოროტი სძლევდა მათ და დაიპყრობდა.

ამისთვის მღვდლობა ძლიერ საშიში იყო თვით აღმასრულებელისათვის სამღვთო წესისა, თვით ხუცესისათვის: თუ არ შეასრულებდა თავის მოვალეობას, ან წესისამებრ ვერ შეასრულებდა, ვერ მიაშველებდა სამწყსოს ძალასა ღვთისასა საჭირო შემთხვევაში, არ მიაწვდიდა ეშმაკთან საბრძოლველ იარაღს და ჰშველოდა ისეც გალადებულ ბოროტს, ხელს უწყობდა მაცთურს მის მისწრაფებაში, შეიმქნებოდა ეშმაკის მუშა და თვით მაცთური. რაღა მოძღვარი იქნებოდა მაშინ?! არაფერი! უმჯობესი იყო მისთვის დამოეკიდა ქვა წისქვილისა ქედსა თვისსა და დანთქმულიყო უფსკრულსა ზღვისასა.

თუ მღვდელს უზიარებელი მოუკვდებოდა ვინმე მრევლში, მაშინ გარდაცვალებულის სული მოკლებულ იქმნებოდა თვით იესოს და ეშმა ბილწი ადვილად შეიპყრობდა უბადრუკს, ხოლო ამ უბედურების მიზეზი იქმნებოდა თვით მოძღვარი; თუ დროზე არ გაუნათლამდა ვისმე სახლს, მაშინ მის მიზეზით მელოგინეს ავი სული დაეპატრონებოდა და დააკვეთებდა; თუ გვალვაში დაიზარებდა პარაკლისის გადახდას, ღრუბელთა შამკვრელ ბოროტ ანგელოსთ მსახური გახდებოდა და დაღუპავდა ქვეყანას. და ესე ყოველ ჟამს, ყოველ ნაბიჯზე.

ესე სწამდა იაკობ მღვდელს და თვალხმიერად ედგა თავის მრევლს, რომ არც ერთი მღვდელთმსახურება და საეკლესიო წეს-ჩვეულება არ ასცდენოდა მას და ამით უნებლიეთ ბოროტი არ მოეტანა სამწყსოსათვის და არ შეემძიმებინა თავისი სული, პასუხისმგებელი არ შექმნილიყო წინაშე სამსჯავროსა ქრისტესასა. უკლებლივ სწამდა ეს იაკობს, ძრწოდა შიშით მეუფის წინაშე და თითონვე ადევნებდა მრევლს თვალს, რომ დაუდევრობით თუ სირეგვნით არ გაეშვათ რომელიმე საეკლესიო წესი და ცოდვაში არ ჩაეგდოთ მოძღვარი.

ეს იყო მიზეზი, რომ იაკობ მღვდელი შიშით და კრძალვით აღასრულებდა ყოველსავე სამღვთო მსახურებას თუ მოქმედებას.

მღვდელი ხომ მზირად იყო და შიშობდა რამე სამღვთო მსახურება არ გაეშვა და ცოდვა არ ჩაედინა, თანაც სამღვთო მოქმედების აღსრულება თვით სიამოვნება იყო ღრმად მორწმუნესათვის და ნეტარება: ღვთის მსახურების დროს ის გრძნობდა, ხედამდა ცხადად, რომ უახლოვდებოდა ღმერთს, მის ანგელოსებს, მის წმიდანებს; ის განიცდიდა მათ სიახლოვეს, გრძნობდა, რომ ძალნი ცათანი მასთანა უხილავად მსახურებდნენ. საუკუნო ნეტარების წინათგრძნობა იყო ეს მისთვის. როცა აღასრულებდა რომელსამე საიდუმლოს თუ სხვა საეკლესიო წესს, იაკობი გრძნობდა ცხადად თავის არსებაში იმ ღვთაებრივ ძალას, რომელიც შთაინერგა მასში ხელთდასხმის დროს, გრძნობდა, რომ იგი ძალა გამოვიდოდა მის მაკურთხებელ მარჯვენიდან კურნებად და სალხინებლად სამწყსოსი, და ნეტარებდა ხუცესი, როგორც ნეტარებს დედა, როდესაც მიუპყრობს ძუძუს ჩვილს და აღტაცებითა გრძნობს თვისაგან გამომავალ სიცოცხლის წყაროს ასაღორძინებლად ახალის არსებისა.

და სიხარულით, სიყვარულით აღასრულებდა იაკობი ყოველსავე სამღვთო მსახურებას.

– რამდენჯერ მითქვამს თქვენთვის, ამ ოთახში ნუ შემოდინხართ-მეთქი! წიგნებსა და ქალაღებებს აქოთებთ და მემრე უნდა ალაგოს ადამიანმა. ეს საკმეველი ვიღამ

დააპნია? კევს თუ აკეთებდით, თქვე პირშავებო! – დაუტატანა მართამ პატარებს და გარეკა.

– შენ რაღასა სწორკნი ამ კარის ბჭეში, ეზო ვერ გიტევს? – მიუბრუნდა დიასახლისი მოჯამაგირეს. – ეს ერთი ოთახი მაინც სუფთად იყოს. აგერ ბლადოჩინს უპირებია მოსვლა; უეცრად რომ თავს წამოგვადგეს, სად უნდა მივილოთ?

ისე სტუმრის დარდი არა ჰქონდა დიასახლისას, როგორც თითონ მღვდლისა: მეორე დღეს ფერისცვალება იყო და ლოცვიდან დაბრუნებული მღვდელი ამ ოთახს გაიხდიდა სავანედ, რომ შემზადებულიყო წირვისათვის. ამისთვისა ცდილობდა დიასახლისა. იცოდა, რომ როცა მღვდელი ლოცვად დადგებოდა, მისთვის არავის და არაფერს არ უნდა შეეშალნა ხელი. ის იყო მორჩა მართა ოთახის ალაგებას, რომ შემოვიდა მღვდელი დერეფანში.

– გწყალობდეთ ლოცვის მადლი! – მიესალმა სახლობას და ჩამოჯდა ტახტზე.

– შენი მწყალობელიც იყოს! – მიუგო მეუღლემ და შეეკითხა:

– იყო ვინმე ეკლესიაში?

– იყვნენ, კარგა ხალხი იყო. ნენე კი არ მოვიდა. ავად ხომ არ არის? შენ რატომ აღარ მოხვედი, ქალო? შენ ადგილას იმედაანთ თამარა იდგა.

– ვერ მოვიცალე. ათასი საქმეა სახლში. ახლა ი ბლადოჩინს უბრძანებია მოსვლა და ოთახს ვალაგებდი, – იცრუა მართამ, რადგან ეხათრებოდა ნამდვილი მიზეზი დაესახელებინა.

– მართა, მართა! ზრუნავ და სწუხარ მრავლისათვის, ხოლო ეს ერთი არს სახმარ! – მიუგო მღვდელმა სახარების კილოთი.

მართას ეწყინა დაუმსახურებელი ყვედრება და თვალი გაუშტერა ქმარს. კაცი ეხლა კი მიხვდა ნამდვილ მიზეზს საყდარში წაუსვლელობისა, ღიმილით წარმოსთქვა:

– განწმიდე, მეუფეო, მხევალი ესე შენი მწიკვლოვანებისაგან ხორცთა! – და გადასახა ჯვარი ცოლს.

და რომ სიტყვა შეეცვალნა, მიუბრუნდა ბავშვებს:

– ზარის ხმა რომ გაიგონეთ, რატომ არ წამოხვედით ლოცვაზედ? ახლა უდედოდ აღარ შეიძლებოდა წამოსულიყავით? არა ჰგებართ აბრამს! ისე დარკვევით ჩააწკრიალა ნეტარარსი, რომ ყველას სასოება მოჰგვარა.

იაკობ მღვდელი წირვა-ლოცვის შესახებ სწორედ სასტიკი იყო. თითონ უკლებლივ ასრულებდა საეკლესიო წესს და სწყინდა, როცა ან მისი სახლობა ან მრევლი აკლდებოდა წირვა-ლოცვას და საყდარი სამსე არ იყო ხალხით.

– ვაჟკაცები კიდევ შეიძლება მინდვრად იყვნენ ან ტყეში, გზაზე თუ სხვაგან და ამისთვის ვერ მოვიდნენ საყდარში, დედაკაცები კი სულ შინ არიან და მხოლოდ მცონარეობის გამო თუ დააკლდებიან ღვთის მსახურებას, – ამბობდა მოძღვარი.

თუ სადაგ დღეში ილოცავდა და სწირავდა, მაშინ მრევლისაგან არა თხოულობდა მოსვლას. სადა სცალიან ამისთანა დღეში გლეხკაცს?! კვირა-უქმეში კი უსათუოდ უნდა მისულიყო მრევლი და წირვა-ლოცვა მოესმინა.

– ღვთის მცნებას გადასდიხართ! ღმერთმა ბრძანა, ექვსი დღე იმუშავე, ხოლო დღე იგი მეშვიდე წმინდა ჰყვენო. შენც აასრულე! თავისუფლად ამოისუნთქე, კვირა დღეს. დიაკვანი რომ კვირამალზე ზარს ჩამოჰკრავს და დაარისხებს, აიღე ხელი საქმეზე. ხარ-კამეჩიც შეასვენე, რომ ღმერთი არ გაგირისხდეს და ხელი არ შეგახმეს მხარზედა, – სწრთვნიდა მოძღვარი მრევლს.

მღვდელმა ლოცვათ უკან შეისვენა მცირედ, წაიტეხა ლუკმა, მოიყუდა ლიტრა და შევიდა პატარა ოთახში. ეს ოთახი მისი სამლოცველოც იყო, მისი სამდივნოც. მას მხოლოდ ამ ოთახში შეეძლო განმარტოებულიყო და თავი გაეთავისწინებინა. ეხლა კი

მისთვის თავი უნდა დაენებებინა ყველას. მხოლოდ გაჭირებაში შეიძლებოდა მისი გამოყვანა იქიდან, თუ ან საზიარებელი შეიქნებოდა ვინმე, ან სხვა რამ აუცილებელი საქმე გამოჩნდებოდა.

– აღახვენ ბაგენი ჩემნი ლოცვად და გალობად, წარმართე გონება ჩემი ვედრებად შენდა, წმიდაო სამებაო! – წარსთქვა ხუცესმა და შეუდგა ლოცვას მხურვალეს.

მთელი ღამე ლოცვაში გაატარა. შიგადაშიგ თუ ჩაეძინებოდა, ან ოჯახის დასათვალისწინებლად გამოვიდოდა. კითხულობდა ლოცვებს უკლებლივ, ხმით კითხულობდა ნელით: უყვარდა, როცა სასმენელი მისი სტკებოდა სამღთო სიტყვათა წყობილ მიმდინარეობით. ლოცულობდა მოძღვარი და თან ალტაცებაში შედიოდა.

– იესო ტკბილო, განკურნე სულისა ჩემისა წყლულებანი და დაატკბე გული ჩემი ტანჯული! – ამბობდა მღვდელი და გრძნობდა, როგორ ეღებოდა გული ტანჯული და ეცხებოდა მას ნელსაცხებელი ტკბილმკურნებელი.

– სასოვო განწირულის სულისა ჩემისაო! შეწევნისა ხელი მიპყარ მე და მიხსენ სიღრმისაგან ბოროტისა! – იტყოდა ხუცესი და გრძნობდა უხილავ ძალას, რომელი აღუპყრამდა მას ხელს და აღამაღლებდა დასათრგუნად ბოროტისა.

და ცვილის სანთლის შუქით ოდნავ განათებულ სიბნელეში მქრალად იხატებოდა დაღონებული სახე ტანჯულის იესოსი, თანდათან ირკვეოდა იგი სახე სანდომი და აწ თვალწინ ედგა ძე ღვთისა სანატრელი აღმდებელი ცოდვათა სოფლისათა.

– ვარდო, ღვთივ-მშვენიერო, კეთილსუნნელოვანო მარიამ! მოიხილე ჩვენ ზედა სიხარულისა თვალითა, გვიხსენ ბნელისაგან ცოდვილნი და აღმოგვიბრწყინე ნათელი სამღრთო! – შეჰღაღადებდა ხუცესი დედოფალს.

და მშობელი ღვთისა ჩჩვილი ყრმით ხელში გამოჩნდებოდა მის ალტაცებული ხედვის წინ, მიმოიძროდა ოთახის ბინდბუნდ ციაგში და განმამხნეველად უღიმოდა მოძღვარს.

– ანგელოსო, მცველო ჩემო! მაჭირვებს მე მტერი და მასწავლის მარადის ყოფად თვისისა ნებისა. ნუ დამტოვებ, წინამძღვარო ჩემო, და მტერნი ჩემნი სულიერნი აოტენ! – ღაღადებდა ხუცესი.

და უკვე გრძნობდა ანგელოსის ფრთათა შრიალს, უკვე მოესმოდა მის გამახვილებულ ყურს ხმა გამამხნეველი. გამოკრთაცა სიბნელიდან ნათელი სახე მცველისა და მახვილი იქცევისა ხელისა მისისა.

მოძღვარი უფრო და უფრო შორდებოდა ცხოვრებას ქვეყნიურს და მის ამაოებას, მთელი თვისი არსებით ეძლეოდა სარწმუნოებრივ ალტაცებას. მისი სხეული თანდათან ჰაეროვანი ხდებოდა, გამჭვირვალე, მსუბუქი; იგი სხეული ეძარცვებოდა სულს და გრძნობდა სული ნეტარი თავისუფლებას, ეძლეოდა აღმაფრენას; აწ ცის სივრცეში ეღვარებდა მსუბუქ ფრთაგაშლილი, უერთდებოდა ბრწყინვალე ანგელოსთა გუნდს და მათთან ერთად აღუვლენდა დიდებას მამასა მას ზეცასათა.

ძვირფასი იყო იაკობ მღვდლისთვის ეს წამები, დაუვიწყარი! იგი უკვე განიცდიდა საუკუნო ნეტარების აჩრდილს, რომლისადმი ისწრაფიდა სული მისი, ეტყოდა მას გული განსვლად და ქრისტესთან ყოფად.

მეორე დღეს მხიარულადა სწირავდა იაკობ მღვდელი: წუხანდელი ალტაცების კვალი ისევ ზედ ეტყობოდა მას. მზის სხივებმა და სინათლემ განფანტა და განაქარვა მისი საიდუმლო ჩვენებები, თუმცა მისი თვალი აწ ჰხედავდა მხოლოდ ნამდვილი

ცხოვრების სურათებს, მაგრამ მის გონების ხედვას ჯერ კიდევ არ მიჰფარებიყვნენ სრულიად იგი ჰაეროვანი არსებები, ხოლო მის გულში ჯერაც არ დამწყდარიყო ის ნაკადი სიხარულისა, რომელი გადმოსქდა იქ ზეციური ნეტარების განცდით? მწირველი მღვდელი ეკლესიაშიც ისევ გრძნობდა უხორცო არსებათა სიახლოვეს, ოდნავ კიდევ ესმოდა მათი ტკბილხმიანობა: ძალნი ცათანი აწც უხილავად მსახურებდნენ მასთან.

ხალხიც ბლომად იყო ეკლესიაში. მრევლი ისევ შეჩვეული იყო წირვა-ლოცვას და დღევანდელ დიდ დღესასწაულს ხომ მთელი სოფელი მიეზიდნა. თავისუფლად იდგა ხალხი საყდარში; იძროდნენ, ჩურჩულებდნენ, მეტადრე მანდილოსნები. ზოგი ღვდლის სიტყვებს იმეორებდა სასოებით, ზოგი დიაკვნის გალობას ასდევდა ემხში მოსული, ზოგს შეგუბებული გრძნობა ველარ შეემაგრებინა და შიგადაშიგ ხმამაღლა წარმოსთქვამდა ღვთისადმი ვედრებას. ეკლესიაში ნელი გუგუნი იდგა სასიამოვნო და იგი გუგუნი შესწყდებოდა მხოლოდ შესანიშნავ წუთებში ღვთისმსახურებისა: სახარების წაკითხვის დროს, ბარძიმ-ფეშხუმის გამოსვენებისას და მისთანა შესანიშნავ წუთებში. ხშირად გაისმოდა ოხვრა და გულში ხელის ბაგუნი გრძნობაში მოსულ მლოცავისა.

მღვდელი ამ ჩუმ ხმაურობას თუ მოძრაობას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, ბუნებრივად მიაჩნდა ეს ყოველივე და ჩვეულებრივად, ოღონდ კი მოუხეშავად არავინ გასჯილიყო ან უხერხულად არ აემალლებინა ხმა; ქართველი დღეს თავის ზეციურ მამის სახლში იყო ყოვლად ღმობიერისა და ჰაი, ჰაი, შეჰშვენოდა თამამი ქცევა და პირზედ ღიმი. განა სასტიკ ბატონის სახლში იყო დაუნდობელისა, რომ მონასავით გათანგული მდგარიყო საათობით ან შიშის ზარს და ძრწოლას აეტანა ის!

საკურთხეველთან, ხატებწინ დიდძალი ახალი ხილი იდგა თეფშებით, ლანგრებით, სინებით თუ ტაბაკებით. დღეს ხილის კურთხევა იყო, მიცვალებულთა ხსენება და საყდარში მიეტანათ ყურძენი, ლეღვი, ვაშლი, მსხალი, ატამი თუ სხვა ხილი რჩეული. წირვის უკან ნაკურთხი ხილი უნდა დაერიგებინათ და მთელი სოფლის ბაღლები მიეზიდნა ამას საყდრის ეზოში. მღვდელმა აკურთხა ხილი. დიაკვანმა გადილო ნაწილი და დანარჩენი პატრონებსვე მიაწოდა. ხალხს ჩამოურიგეს იმათ, მხოლოდ მცირედი რამ დაიტოვეს თავისთვის, რომ ნაკურთხი ხილი ოჯახში შეეტანათ.

– მიყვარს ჩვენი ეკლესიის ეს კურთხეული ჩვეულება! – მიჰმართა მრევლს საყდრიდან გამომავალმა მღვდელმა და თან ჭრელი ხელსახოცით ხელს იწმედდა. ხილს ვაკურთხებთ, მიცვალებულს ვიხსენიებთ. განსვენებულნი ამაგდარნი არიან: იმათ უზრუნვიათ ჩვენზე, ვყვარებივართ, გული შესტკივნიათ ჩვენთვის, მოუციათ სიცოცხლე ძვირფასი, დავუფარივართ მრავალი განსაცდელისაგან. ჩვენცა გვეყვარებია ისინი, მათთან პური გაგვიტეხნია, ერთად ყოფნა გაგვხარებია, დაშორებას დავუღონებივართ. ცოდვაა მათი მთლად დავიწყება! მიწა გრილია, კაცის გული ქვა არის ცივი და თუ ეკლესიამ არ იზრუნა მათ ხსოვნაზე, ცოდვა იქნება.

– მართალია, მამაო იაკობ, ნაკურთხი ხილი თუ სხვა რამ ტაბლა მიუვაო მიცვალებულის სულს?

– მართალია! მიცვალებულნი განისვენებენ ადგილსა მას მწვანილოვანსა. იქ სულნი მიცვალებულთანი ელიან უკანასკნელ დღეს განკითხვისას. მანამდის კი კავშირი აქვსთ ჩვენ ქვეყანასთან და ურთიერთობა ჩვენთან. მოგვეჩვენებიათ სიზმრად, გველანდებიათ ცხადლივ, გვამცნობენ მომავალს; ელიან შევავედროთ მათი სული ღმერთს, შევსწიროთ მათთვის მსხვერპლი სიმართლისა. ჩვენგან შენაწირი იმათ მიეზღვნით იმ ქვეყნად. კერძნი წინ უდგათ მათ საიქიოს და იხმარებენ კმაყოფილნი.

რომელ მიცვალებულსაც მომხსენებელი არა ჰყავს ამ ქვეყნად, მისი სუფრა ცალიერია, მის წინ არაფერი სდგას, ის დამშეული შეჰყურებს სხვას, მარჯვე შემთხვევაში კიდევ ეტანება სხვის ტაბლას, მაგრამ საიქიოს მტაცებლობა ვერ შეიძლება და უმძიმდება ცოდვა ამისთანა საბრალო სულს. იგი ივსება შურით, იტანჯება და ავის თვალთ არის ქვეყნად დარჩენილ თავისიანებზე.

ხალხი შეჯგუფებულიყო მღვდლის გარშემო და პირდაღებული შესცქეროდა მას. მოძღვრის სიტყვა გულზე ხვდებოდა ყველას, რადგან თითონაც სწორედ ესე სწამდათ, ესე იცოდნენ.

– ვაი, იმათი ბრალი! – გულში ხელს იცემდა დედაბერი.

– ბიჭო, იმ დღეს კიკოლაანთ სესეს მოსჩვენებოდა თავისი მამა და თურმე აღრჩობდა გაჯავრებული; ზვარა დაუყენა, – თქვა ბერუამ.

– ვიცი, – მიუგო ღვდელმა, – ჟამის წირვა შემომიკვეთა.

მღვდელი წახალისდა და დღესასწაულის ამბავიც უამბო მრევლს. ჯერ ის უთხრა, რაც სახარებაში სწერია, ხოლო შემდეგ ზედ წააბა:

– ფერისცვალების დღეს ერთი კაცი თურმე კალოსა ჰლენავდა. დღეს ხომ ფერისცვალობაა და კალო რად გიბიაო, – ჰკითხა მგზავრმა. რის ფერისცვალება?! ჩემმა ქალებმა დიდი ხანია ფერი იცვალესო, მიუგო იმან. რამწამს ესა სთქვა, გასქდა დედამიწა და ჩაიტანა ისიც და მისი მთელი სახლკარიც. იმ ადგილას ახტალა ამოვიდა და ნაცარტუტი დულს.

– გამიგონია, ახტალას ეხლაც ამოაქვსო ხან ჯამი, ხან კოვზი ან სხვა რამ საციქველი, – ჩამოართვა სიტყვა ერთმა.

– ჰეი, დიდება შენდა, ღმერთო! ალბათ იესო ქრისტე იქნებოდა ი მგზავრი, აი!

9

იაკობ მღვდელი ცხოვრებას და მის ყოველ შემთხვევას უყურებდა სამღთო წერილისა თუ სამღთო გარდმოცემის თვალთ, მაგრამ მის გონებაში სამღთო სჯულთან შედუღებული იყო ხალხური რწმენა და თქმულება. ხუცესი ვერა გრძნობდა და ვერც არჩევდა, სადა თავდებოდა სამღთო სჯული, წესი და ამბავი, ან სად იწყებოდა ხალხური ძველის ძველი ჩვეულება თუ მოთხრობა. ეს ორგვარი ერთისა და იმავე სათავიდან წამომდინარე შეხედულობა ქვეყნიერებაზე მტკიცედ იყვნენ შესისხლხორცებულნი მის გონებაში; იგინი იყვნენ განუყოფელნი, ერთგვარად ღირს საწამებელნი, ღვთის განგების თუ ნების ერთნაირად გამომხატველნი.

მღვდელი რომ სავსებით ასრულებდა საეკლესიო წესრიგს და წმიდად იცავდა ოჯახში ყოველსავე ქრისტიანულ რიგს თუ ჩვეულებას, ამავე დროს სასტიკად იცავდა თავის სახლში ყოველსავე ხალხურ ჩვეულებასაც; იქ ზედმიწევნით იცოდნენ ყოველივე ხალხური მოქცევა, თქმულება, ლოცვა თუ შელოცვა ან მოქმედება. როგორ შეიძლებოდა ახალწლისათვის ბასილა და ბედისკვრები არ დაცხობილიყო, ან ახალ წელს აბრამის ტაბლა არ შემოჰვლებოდა სახლს, ან ნათლისღებამდინ ცეცხლი გამქრალიყო კერაზე?! განცხადებას რომ წყალს აკურთხებდა იაკობი და ეკლესიაში სასოებით კითხულობდა დადებულ ლოცვებს, საყდრიდან დაბრუნებისას თითონვე ავიდოდა მიწურ ბანზე, ჩაასხამდა საკომიდან იაზმას და ჩასძახებდა ოჯახს: მოვიდა ზეცით მანანაი! დიდ-მარხვის აღებლამეს უთუოდ უნდა გადაეგდოთ სანათურიდან მგლის ვახშამი, ყეინობის ორშაბათს მოხალული ხორბალი უნდა ეჭამათ, ხოლო პატარებს თავგები უნდა გაერეკნათ ბაგაზე მჯდომებს, ნამცეცობა დაეყენებინათ. და ყველა ამას და ამისთანებს

ისეთივე რწმენით ასრულებდნენ მღვდლის სახლში, ისეთივე სასოებით, როგორც სამღთო რამ დადგენილებას.

იაკობ მღვდელმა მშვენივრად იცოდა ხალხისაგან თავისებურად გადაკეთებული სამღთო ისტორიაც და გულუბრყვილოდ მოუთხოვდა ზღაპრულს ისტორიულთან შერევით.

– ... და აი ეს ილია წინასწარმეტყველი, – დინჯად უამბობდა მღვდელი ხალხს სუფრაზე, – ამაღლდა ზეცას ცეცხლის ეტლით და თავის მაგივრად დატოვა თავის მოწაფე ელისე. „ ელია ამაღლებული ცეცხლისა ეტლზე ჯდებოდა, მისსა მოწაფეს ელისეს ხალენი წილად ხვდებოდა“... ამაღლდა ელია ცაში, დაემკვიდრა ღრუბელთა ზედან და შეიქმნა ღრუბელთა მეუფე, სეტყვისა თუ მეხ-მედგარის წინამძღვარი. მაგრამ ეხლა ბრმა არის ელია და ბრმად ისვრის მეხს თუ სეტყვას. სეტყვის დროს ზარი უნდა დაირეკოს და მით ენიშნოს წინასწარმეტყველს, რომ ის უნებლიეთ ანადგურებს ქრისტიანეთა ჭირნახულს. მეორედ მოსვლის წინ რომ ანტიქრისტე გაჩნდება ქვეყანაზედ, ეს ელია ჩამოვა ციდან, შუშის ფეხებს შემოამტკრევს იმას და შეჰმუსრავს.

ხალხი შესცქეროდა მოძღვარს და თანხმობის ნიშნად თავს იქნევდა.

– მეორედ მოსვლის დღე ძნელი დღე იქნება, – ასწავლიდა მღვდელი საყდრის ეზოში საზიარებლად მოზღვავებულ ხალხს. – გამრავლდება უსჯულოება, აღსდგება ნათესავი ნათესავზე, ხალხი ხალხზე, მეფე მეფეზე. შიმშილობა ჩამოვარდება და დიდი ჭირიანობა. მზე დაბნელდება, მთვარე შუქს დაჰკარგავს, ვარსკვლავები ჩამოცვივდებიან, ცა წარიგრანება და შეირყევა ქვეყანა, გაიხსნება საფლავები და ყველა აღსდგება მკვდრეთით.

– ი ბეწვის ხიდს რომ იტყვიან, ის რაღა არის? – შეეკითხა თომანთ მათე.

– ჰოდა, მაშინ გამოჩნდება სამოთხემდინ გაბმული ბეწვის ხიდი. ხიდის ქვეშ უფსკრულში ჯოჯოხეთია, კუპრი დულს, ალი ამოდის, გველები და გველეშაპები დაცურავენ ეშმაკთა ბილწ საბრძანებელში. ვისაც მაღლი ჩაუდენია, ისე მსუბუქად გაივლის ბეწვის ხიდზე, თითქო ფრთები ასხიაო, ფეხსაც არ დააკარებს; ვისაც ცოდვა ჩაუდენია, ტყვიასავით დამძიმდება, ჩაუწყდება ხიდი და საუკუნოდ დაილუპება ბედშავი. ტყუილად კი არ არის ნათქვამი:

„აღდუღებით აღცასტირდე აღსასრულის ამბობსო“.

მსმენელნი სულგანაბულნი შეჰყურებდნენ მღვდელს. იმათ ესმოდათ ყოველი სიტყვა მოძღვრისა, ენიშნებოდათ ყოველი მისი ჰაზრი და სწამდათ ღვდელიც, მისი ნათქვამიც, მისი წვრთნაც, მისი ქადაგებაც, მისი მოქმედებაც. სოფლის შვილი იყო იაკობი, სოფლის რწმენისა და შეხედულების მატარებელი. ხალხის სარწმუნოება და მღვდლის სარწმუნოება ერთი და იგივე იყო, ხალხის ლოცვა თუ ღვთის მსახურება და ღვდლის ლოცვა ან ღვთისმსახურება ერთი და იგივე ლოცვა იყო და სამღთო-მოქმედება. ღმერთი ერისა და ღმერთი ღვდლისა ერთი და იგივე ღმერთი იყო, განუყოფელი. მხოლოდ თვით მღვდლის პიროვნობაში თუ მის ოჯახში იგი ღმერთი უფრო ცხადქმნილიყო, სამღთო მოქმედებები თუ სამღთო თქმულებები უფრო სავსენი და გარკვეულნი იყვნენ, ისე რომ სარწმუნოების საქმეში მღვდელს და მის ოჯახს პირველი ადგილი ეჭირათ სოფელში და სწორედ სამართლიანიც იყო ის, რომ სოფლის ეკლესია და მასში მღვდელთმოქმედება იაკობს ებარა, როგორც უფრო ღირსს და ცოდნით უხუცესს, რომ სწორედ მას მიეღო მაღლი სულისა წმიდისა და ამ ზეგარდამო ძალას დაედგინა ხუცესად სოფლისა, მწყემსად მრევლისა, შუამდგომლად ღვთისა და სოფლის შუა. ეს პირველობა იყო, არა უფროსობა და ბატონობა, არამედ უხუცესობა ტოლთა და სწორთა შორის.

იაკობ მღვდელი წევრი იყო ხალხისა განუყოფელი, მათივე კაცი; ხორცი ხორცთა მათგანი და სისხლი სისხლთა მათგანი, სოფლის ვარამში თუ სიხარულში თანაზიარი, ჩამოუცილებელი. იაკობ მღვდელი იყო მწყემსი კეთილი სოფლისა, ხოლო სოფელი იყო სამწყსო მისი ღვთისაგან მისადმი მიწოდებული.

10

იაკობ მღვდელი წევრი იყო მთელი სოფლისა განუყოფელი და საუკეთესო. მისი ოჯახი ნაწილი იყო სოფლისა განუკვეთელი და საიმედო და არამც თუ ლოდივით არ ეწვა სოფელს გულზე, არამედ შეღავათი იყო მისი და იმედი.

მწირია ჩვენებური სოფელი, ხელმოკლე, ყოველს ჟამს გაჭირებული, ყოველგნავ ხელაღუპრობელი. ძლიერ საფასურია მისთვის ლუკმა პური, საკუთარის ხელით მძიმე დედამიწიდან ამოღებული ლუკმა. უდიერად შრომობს სოფელი, საკმაო სარჩო მაინც ვერ შეუტანია: ბნელი იგი, განუვითარებელი. მუშაობს სისხლის ოფლამდინ, გარნა შრომობს შეიარაღებული უწინდელი ბლაგვი, მძიმე და საცოდავი იარაღით, ხოლო შეჭურვილია უცოდინარობით და სირეგვნიტ. ამისათვის მიწა ვერ აძლევს მას ნაყოფს უხვს და საუკეთესოს. და თუ ამოაცენებს დედამიწა ნაყოფს კეთილს, იმასაც ართმევენ მშრომელს და პირიდან აცლიან მას ბუნების მკაცრი ძალანი და კაცნი მტაცებელნი. ამიტომ ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლისათვის ყველა ხარჯს, რომელიც ლოდივით აწევს მის გამხდარ, გამძალტყავებულ და მისუსტებულ მკერდს. მუქთა მჭამელი და უქნარა პირი ოჯახში ეკალივით ასვია სახლს და მარად აღონებს; მუქთა მჭამელი ოჯახი სოფელში, სოფლისთვის არრას მქმნელი და მისი შესანახი ოჯახი, ხიჭვია სოფლის ტანზე ღრმად დასობილი და მარად აღონებს, აწუხებს, აბოროტებს მას.

გლებს ემინიან ამ ბნელი ძალებისა, რომელნიც სტაცებენ მას პურს არსებობისას, შეურიგებელიც სძულს ისინი.

ბუნების ავნი ძალანი ხალხს მიაჩნია განგებისაგან მოვლინებულად. იგინი მძლავრობენ მასზე აუცილებელიც, მათთან ბრძოლა შეუძლებელია. რას უზამს ადამიანი სასტიკ მოვლენას ბუნებისას? სიტყვას ვერ შეუბრუნებს მას და ხმაღს ვერ მოუქნევს! და ცდილობს განუვითარებელი ღმობიერ ქმნას იგი ძალანი: სანთელს უნთებს, აღთქმას აძლევს, სამღთოს უკლავს, დიდებას დადის, შეულოცავს, პარაკლისს ახდევინებს.

მტაცებელნი ადამიანნი შემთხვევითნი მტერნი არიან სოფლისა და მათთან ბრძოლა კიდევ შესაძლებელია: ესენი ხომ მაინც კაცნი არიან, თუმცა უფლებით აღჭურვილნი. და ცდილობს გლები შეასუსტოს მათი ბოროტი გავლენა ადამიანური საშუალებით: პირს არ უჩვენებს, ზურგს აქცევს, ლანძღავს, უღერებს, სცემს, გულს უპობს; ან უღიმის, თავს უკრავს, ეხვეწება, ემუდარება, აღუთქვამს ყოველსავე კეთილს გულში ყოველივე ბოროტის მსურველი. ატყუებს, ყოველი ღონისძიებითა ცდილობს ხელიდან დაუძვრეს და მხოლოდ მაშინ აკმაყოფილებს მას გულზე სისხლმორეული, როდესაც მეტი გზა აღარა აქვს, არც ღონე. მაშ რა ქმნას ბედშავმა, როდესაც მის პატარებს სხვა აცლის პირიდან სისხლის ოფლში ამოღობილ ლუკმას?!

ეს ორი წყობა მცხოვრებთა ბუნებითი მოწინააღმდეგეა ერთმანეთისა და მტერი შეურიგებელი. სხვადასხვა ნიადაგზე დგანან ისინი, მათი მორიგება მოუხერხებელია, მათ შუა ბეწვის ხიდის გაბმაც კი შეუძლებელია. ძალდატანებითა მათი ერთად ყოფნა, ხოლო მათი ურთიერთობა გულჩახვეულობაზეა ამოშენებული.

ვაი რომ დუხჭირ დროთა ბრუნვის გამო მღვდლის ოჯახი ეხლა ერთ ამ ხორცმეტათგანი შეიქმნა ქართველ სოფლის თავში ამოსული!

– ნეტა რაღაში მთხოვს თუმანს?! იმან თუ ერთი საათი ირუტრუტა, მე ლაზათიანად გავუმასპინძლდი. თუმნად მე ერთი თვე უნდა ვთხარო შავი მიწა, ან ვზიდო ლოდი.

– კაცო, თუ რასმე გაგვიკეთებს, მაშინვე ვამღვეთ გასამრჯელოს, უსასყიდლოდ ფეხსაც არ გადმოსდგამს არსაით და ე პურს თუ ქერს, ღვინოს თუ ნაღდს გადაკვეთილს რაღაში ვამღვეთ წლიდან წლამდის? – კითხულობდა სოფელი შევიწროებული და ვერ გაეგო.

სოფელი ვერც გაიგებს ამ საკვირველ საიდუმლოს, ვერასოდეს ვერ გაიგებს! იაკობ მღვდელი სოფლის შვილი იყო უფროსი და ესმოდა ხალხის სულისკვეთება; სოფლის სული ედგა მღვდელს და იცოდა, როგორი ძნელი საშოვარი იყო პური არსობისა და ცოდვად მიაჩნდა წაერთმია რამე გლეხისათვის, გამოეწირნა რამე მის სიბეჩავისათვის. არც საჭირო იყო მისთვის! ის თითონაც ისე შოულობდა პურს არსობისას, როგორც სოფელი. ის არაფერს არ ედავებოდა თავის მრევლს. იმ ჯაფის შედარებით, რომელსაც ის თითონ აღვრიდა მიწას, მრევლზე დადებული შრომა არაფრად მიაჩნდა, არც ძვირად აფასებდა, სრული კმაყოფილი იყო იმისი, რასაც გაიმეტებდა მისთვის მიმწვევი ოჯახიშვილი. იაკობი მორწმუნე კაცი იყო, მისი სამსახური იყო ღვთისმსახურება და ცოდვად მიაჩნდა ან დაეყვედრებინა ხალხისათვის ღვთისმსახურება, ან ფასი დაედო და გაეყიდნა მღვდელთმოქმედება.

– ვწირავ თუ ვლოცულობ, ღმერთს ვვედრები, ვავედრებ ჩემს თავს, ჩემს ოჯახს, ჩემს მრევლს, მთელ კაცობრიობას; ვმადლობ მას, რომ ღირს მყო შევიდე ტაძარსა წმიდასა მისსა, შევიმოსო შესამოსი, ვითარცა ნათელი და წარვსდგე მეუფის წინ შუამდგომლად და მავედრებელად ერისა. დიდი ბედნიერებაა ჩემთვის ეს და როგორ შეიძლება ამ სამდლო მოქმედების დაფასება, ვისმე ყვედრება და შეწუხება?!

თუ ვინმე მიათმევდა რასმე ღვთის მსახურებაში და წესის აღსრულებაში, იგი მადლობით მიიღებდა; თუ არ მისცემდნენ, გულშიც არ გაივლებდა საყვედურს. წლის ბოლოს მაინც იმოდენა შემოსავალი უგროვდებოდა მრევლიდან, რო ღირსეულ ფასად ჩაითვლებოდა მათზე დადებული ამაგი და მათზე დაკარგული დრო. და ჰმადლობდა იაკობი შემოქმედს მთლად კმაყოფილი.

ესეთი საღი შეხედულება ღვთის სამსახურზე იმიტომ იყო შესაძლებელი, რომ მრევლისაგან შემოსული სარჩო მხოლოდ ზედმეტი იყო, რადგან ოჯახის შენახვა და კეთილდღეობა სრულებითაც არ იყო დამყარებული მრევლის ქედზედ, არც ტაბლაზე მინდობილი: მღვდლის ოჯახი დაფუძნებული იყო ნიადაგის შემუშავებაზე და მინდობილი იყო ოჯახის წევრთა შრომაზე. ამ ოჯახსაც, როგორც ყველა ოჯახს იმ სოფელში, ფესვები ნიადაგში ჰქონდა გამდგარი და იქიდან, იმ დალოცვილ დედამიწიდან სწოვდა რძეს მაცოცხლებელს. ამისათვის იყო იგი სახლი ნოციერი, იმედიანი, საყვარელი, კურთხეული.

თანაც იაკობ მღვდლის ოჯახი, როგორც ყველა მიწის მუშის ოჯახი, არ იყო გალალეზულ-განაზებული: სახლი მხოლოდ იმას ხარჯავდა, რასაც მიუპყრობდა მისი ოფლითვე მორწყული ნიადაგი. იქ სუფრა არც მეტად უხვი იყო და თავგადმოდენილი, არც მრავალგვარი და გემოვნებათა დამატკობელი; იგი იყო სამყოფი, უყვედური, იმედიანი; იქ სხვის ოფლის სუნი არ ასდიოდა სანოვაგეს, სისხლის გემო არ ჰქონდა საზარელი.

მრევლსაც უყვარდა თავისი მღვდელი და მისი ოჯახი, რადგან მას თვისი ფესვები მრევლის ჯანში არა ჰქონდა გადგებული, სისხლს არა სწოვდა მას თვის საზრდოდ, როგორც რამ ფითრი გალალეზული მსხლის ტოტზე დაჩაგრულზე ან სოკო რამ ბოროტი ხეხილის დაბეჩავებულ ღეროზე. მრევლი მადლიერი იყო თავის

მღვდლისა. მღვდლის სახლი სოფლის თავში ბუნებრივი იყო და სასარგებლო, სასიკეთო. იგი სახლი სოფლისავე ნაწილი იყო განუყოფელ-განუკვეთელი. მღვდელი ერთ მეკომურთაგანი იყო სოფელში. სწორედ მღვდლის სახლიდან იწყებოდა სოფელი.

იაკობ მღვდელი არამც თუ არ ცდილობდა მოეხვეჭა სხვისაგან, წაერთმია ვისთვისმე, დაერბია ვინმე, მოემკო იქ, სადა არა დაეთესნა და შეეკრიბნა იქ, სადა არა განებნივნა და შეეტანა თავის ოჯახში ლუკმა ჰარამი, არამედ თავისსაც ძუნწად არ ჩასჭიდებოდა და არ იწვა ღვთისაგან მიცემულ დოვლათზე, ვითარცა ძალი მღრინავი. სახლის კარი ღია ჰქონდა მოყვასთათვის. მის სახლში გაჭირვებული ყოველთვის ჰპოვებდა თავშესაფარს და ლუკმას. გაჭირვებული კი ბევრი ეტანებოდა მის ოჯახს.

მრავალი ჰყავდა იაკობ მღვდელს ხელმოკლე ნათესავი თუ ნაცნობი და მის ოჯახში ყოველთვის იყო შეკედლებული ვინმე ყელგადაგდებული. მიკედლებულთა რიცხვი მრავლდებოდა ზაფხულობით: ბევრი მისი ქვრივ-ოხერი და ღარიბ-ღატაკი ნათესავი ქალაქს იყო გახიზნული. ისინი იქ უფრო ადვილად შოულობდნენ საზრდოს: ჰხერხავდნენ, ბარგს ეზიდებოდნენ, დღიურ მუშად გადიოდნენ მოედანზე, ჰქსოვდნენ, ჰკერავდნენ, რეცხავდნენ, აცხობდნენ, ხელზე ემსახურებოდნენ და ათას სხვა საქმეში ჰშველოდნენ შეძლებულებს.

რაკი დადგებოდა ზაფხული და ქერს მოსჭრიდნენ, ეს სოფლიდან გასული ხალხი სოფელსავე მოედებოდა, რომ ზაფხული სუფთა ჰაერზე გაეტარებინათ და ცოტა რამ კიდევ წაეგლიჯნათ სოფლისათვის საზამთროდ. ბევრი ამ ნიადაგგამოცლილ ხალხთაგან იაკობ მღვდლისას იდებდა ბინას.

მღვდლის სახლი მიწური იყო, დიდი, ბევრი ოთახებიანი. ოდესმე იმ სახლში დიდად გამრავლებულ ოჯახს ეცხოვრნა და შუა-დარბაზისათვის ათასი ბუნაგი მიემუნებინათ. დარბაზს წაბმული ჰქონდა შინსახლი, სათონე, მარანი, ოდა, გომური, დიდი ოთახი, პატარა ოთახი, დერეფანი. ყველა ამ ბუნაგის კარი ჰქრიალით ტრიალებდა ცალფეხზე და ურდულით იკეტებოდა. მხოლოდ პატარა ოთახი იყო გემოვნებაზე გაკეთებული, ფანჯრებიანი. ყველა მისული ცალკე იკეთებდა საკუჭნაოს ამ სახლში. ბინა-საცხოვრებელი კი არ უნდოდათ ცალკე, რადგამ მისვლის უმალ დაშინაურდებოდნენ ხოლმე. კუთხე მხოლოდ იმისთვის სჭირდებოდათ, რომ თავიანთი სავაჭრო დაებინავებინათ და მონაგარი შეექუჩებინათ. ამ კუთხეს სასტიკად იცავდნენ, მზირის თვალთ სდარაჯობდნენ და ყველას აღმაცრივ უყურებდნენ, თუნდა საჭირო საქმისთვის მიმდგარიყო იქით. ამ კუთხეებში ეწყო და ეკიდა სავსე ბოხჩები, კალათები, დატენილი პარკები, ტოპრაკები, ტომრები, ხურჯინები, ცოცხების კონები და ათასი სხვა მოხვეჭილი სარმო-საბადებელი. ყოველივე ეს შექუჩებულ-შემქნილი იყო ყიდვით თუ გაცვლით, თხოვნით, დატყუებით და ათასგვარი თვალთმაქცობით. ყველაზე დიდი კუთხე ეჭირა მოლოზან გუქას. აქ გასაცვლელ-გასასყიდი არა ეწყო რა, რადგან გუქა მხოლოდ ხატის წყალობით შოულობდა ყველაფერს. მისვენებდა ხატს გულზე და დადიოდა უბნიდან უბანს, სოფლიდან სოფელს: ხორბალს თხოულობდა მონასტრის საზრდოდ, სახლში ის მეტ პატივს აძლევდა თავის თავს და სხვა ჩამოსახლებულებთან თავს არა სდებდა. სადილ-ვახშმად მღვდელს ამოუჯდებოდა მუხლში და შეექცეოდა მასთან სამღთო საუბარს თვალეზირსდახრილი. თვალწყლიანი დედაკაცი იყო, მწითური, მკერდმაღალი. როგორღაც ვერა გვანდა უხორცოთა ძალთა თანაზიარს.

– ქალო, გულქან! კიკო შევარდნიძე მართლა ჯერ ხატს ემთხვია და მემრე შენ გეამბორა ლოყაზე?

– მაგასა რასა ბრძანებ, მოძღვარო! უხუმრიათ: კიკო დარბაისელი კაცია და როგორ გამიბედავდა ღვთის საწყენ საქმეს?!

მღვდლიანნი მოთმინებით ელოდნენ შემოდგომას, როდესაც რთველის შემდეგ, ეს ამოდენა კალია აიყრებოდა სახლიდან და გაემართებოდა თავის ზამთრის ბინისაკენ. ოჯახი ილაჯ გაწყვეტილი იყო მათგან და ნიათგამოლეული, მაგრამ მოთმინების მეტი რა გაეწყობოდა? გლახაკთა შეწყნარება მცნებაა უფლისა.

ერთი კარგი ზნე კი სჭირდა ამ შემოხიზნულ ხალხს: არა ნაზობდა, არც აზიზობდა; არც გულჩათხრობილნი იხდნენ დაღვრემილ-დაღრეჯილები. ქალაქში მშიერ-მწყურვალნი და შიშველ-ტიტველნი, ჩახშულ-მიბნელებულ სარდაფებში ჩამწყვდეულნი, ჯაფით ხელებ დაკოჟიჟებულ-დატყავებულნი და სახე აშუშხულ-ალანძულნი აქ თავისუფლად იყვნენ – იალაღზე გამოფენილნი, ლუკმა მზანი და ქორწილად მიაჩნდათ აქაურობა. ხმელი პური ნაზუქად ეჩვენებოდათ, ჭრიანტელი თუ ნიორტაკი გემოვან რამ სახვრეტელად და თუ ხორცი გაჩნდებოდა სახლში, სიხარულ-სიამის ნათელი აღარ შორდებოდათ სახიდან. მღვდლის სახლი ხომ მცირედზედ იყო კმაყოფილი და მადლიერ-მოდიმარე და ეხლა იგივე მცირე სწორედ გულს უნათებდა ყველას: სიტყვამახვილობა, ხალისობა, მხიარულობა, სიცილ-ხარხარი და თქართქარი არ მოეშლებოდათ მთელ ზაფხულს. რამდენს ახალს ამბობდნენ, რამდენი ჭორი თუ მართალი შემოჰქონდათ! ზაფხულობით ოჯახში შემოტანილი სიტყვა, თქმა თუ შაირ-გამოცანა, თხრობა თუ ამბავი მთელ ზამთარსა ჰყოფნიდა სალაპარაკოდ იაკობ მღვდლის ოჯახს.

12

შემოდგომა იყო. იაკობ მღვდლის სახლში შეხიზნული ხალხი იბარგებოდა, წასვლას აპირობდა და ოჯახი უკვე მოელოდდა დაწყნარებას. წლის მოსავალი უკვე შემოგულეებული იყო სახლში. ორმოები, ბეღელი თუ ტომრები პირამდინ იყო სავსე თავთუხით, შაფხით, დიკით, ქერით, სიმინდით, ფეტვით და სხვა ჭირნახულით. ათას გვარი სამარხვო მარცვლეულობით დატენილი პარკები, ხახვისა და ნივრის გალები, საზამთროდ გამხმარი მწვანილეული თუ სხვა რამ ბალახ-ფოთოლი ჩამოემწკრივებინათ კედლებზე, ბოძებზე, ძელებზე. კართოფილით, ჭარხლით, სტაფილოთი თუ სხვა ბოსტნეულობით გატენილი იყო სახლის კუთხეები. ღვინისა და ხილის მოსავალი კარგი ჰქონდა იაკობს და მარანი სავსე იყო დოვლათით: სავსე ქვევრები, ყურმნისა თუ მსხალ-ვაშლის ჯაგნები, სხვადასხვაგვარი ჩირის ასხმულები, ათასგვარი კერკი პარკებით თუ ხონჩებით, ჩურჩხელა თუ ტყლაპ-თათარა, დარაზმული წნილის ქილები... გულსავსედ იყო იაკობის კურთხეული ოჯახი, იმედიანად და გულდინჯად შეჰყურებდა მკაცრ თვალებში მომავალ ზამთარს.

მრევლიც გულმაგრადა ჰყვანდა მოძღვარს: გამჩენმა უხვად მოჰმადლა მთელ სოფელს ყოველივე კეთილი, მოწყალე თვალთ გადმოხედა ქვეყანას და გააღალა გული მუშაკისა.

იაკობ მღვდელი ისეც ხომ ყოველთვის მადლიერი იყო ცხოვრების მომნიჭებელისა, ხოლო ეხლა მისი გულკეთილობა ვარდად გადაშლილიყო და წითლად დაღანებდა. სუფრა დერეფანში ჰქონდა გაშლილი დიდ ტახტზე. სუფრის თავს მოეკეცნა თვით მამამთავარ იაკობს. ახალუხის ამარა იჯდა, ღილებ ჩახსნილი, წელზე ფოჩიანი სარტყლით. გარს შემოსხდომოდნენ მისი სახლობა და ჩასახლებულები. უხვ

სანოვაგეს, წითელ ღვინის ციმციმს, თეთრ კბილს და თეთრსავე გულს მასპინძლისას სუფრა გაემხიარულებინა და აეხმაურ-აემღერებინა. მიერთვეს გუქას სადღეგრძელო და დააგუგუნეს მრავალჯამიერი. გალობაში მოქნილ-მოწრთვნილი ხმა მოლოზნისა გვერდში ამოუდგა მოძღვრის რიხიან ძახილს, ფეხდაფეხ აედევნა მას; ხან ეკრძალებოდა, განზე იწევდა, ჰშორდებოდა; ხან უახლოვდებოდა, ეტოლებოდა, ეყრდნობოდა, ჩაეხვევ-ჩაეწნოდა და მინახებულის ოდნევიდა ფეთქავდა. ეშხში მოსული მენახენი ალტაცებით უერთდებოდნენ მოძღვრალთა სიმღერას და მწყობრი ხმებით სავსე იყო მთელი ეზო, როდესაც უეცრად გაიღო ალაყაფის კარები და ცხენდაცხენ შემობრძანდა თვით ბლალოჩინი.

წამოიშალნენ სუფრიდან. მღვდელს მსწრაფლ მიართვეს კაბა-ანაფორა და ქოშები. გადაფრინდა აბრამ დიაკვანი, ჩააჩუმა ალაველებული ძაღლები, ხელზე ემთხვია ბლალოჩინს და ავჟანდა დაუჭირა, რომ გადმობრძანებულიყო ცხენიდან. შემოეხვივნენ საპატიო სტუმარს. მღვდელმა რომ შენდობა აიღო და ხელზე ემთხვია, მოძღვართუხუცესმა პირზე აკოცა მას და მიულოცა:

– მომილოცნია, მამაო იაკობ, მოძღვართმოდღვრობა! ჩემმა საბლალოჩინოს მღვდლებმა ერთხმად ამოგირჩიეს თვის მოძღვრად. თითონ მეცა მსურს გითხრა ხოლმე აღსარება და შევიქმნე შენი სულიერი შვილი.

მღვდელს გული გაუნათდა, სუნნელოვან რამ ნელსაცხებლად ეცხო მთელ მის არსებას ეს კეთილი ამბავი. ნიშნად მადლობისა კვლავ ეამბორა უფროსს. წარსდგა შენდობისათვის მოლოზონი გუქაც. უხვი სანოვაგისაგან და ტკბილ ღვინისაგან შეწითლებულ-შელაჟღაჟებული ისეც დაღანა ქალი მისის ვარდად გარდაფურჩქენილიყო შავ თავსაფარში. დახედა ბლალოჩინმა და ფართოდ გადასახა ჯვარი: გულს ეფონა; ერთს წუთს, მხოლოდ ერთ წამს, აღიმალა მასში ქედი ანგელოსმან სატანისამან და განმახვია ძლიერად საწერტელი ხორცთა მისთა და როდესაც გუქა დაიხარა ხელზე სამთხვევად, მოძღვართუხუცესმა მხარზე აკოცა მას. ახ, რა ახლო იყო მისი ფუნთუშა ლოყა! ვაჟკაცმა სითბო იგრძნო მისი და კეთილსუნნელება. მოძღვართუხუცესი რომ გუქას მხარზედ ემთხვია, ეს ყველამ მიიღო ნიშნად მისის თავმდაბლობისა და ეკლესიისავე მსახურისადმი პატივისცემისა.

განაახლეს სუფრა, წაუმატეს, ძალიან მოუმხიარულეს მოსულ სტუმარს. მზის გადახრამდინ შეექცეოდნენ. სადილთ უკან მოძღვართუხუცესს პატარა ოთახში მოუსვენეს. სახლი მთლად გაკრძალეს, რომ ძილი არ შეჰფრთხობოდა ისეც ყოველთვის პატივსადებს, ხოლო დღეს ძვირფას სტუმარს.

მზე ჩასვლაზედ იყო. მოჰბერა საღამოს ნიავემა. დიაკვნები გარს ეხვეოდნენ პატარა ოთახს და ყური მზირად ეჭირათ, რომ უფროსის გაჩუქუნება არ გამოჰპაროდათ. შემოდუნძულდა ალაბემა და მიეგდო პატარა ოთახის კარებში. ელდა ეცათ დიაკვნებს. უნდოდათ ძალლი უჩუმრად მოემორებინათ კარებისთვის და ხან პური უჩვენეს, ხან ძვალი, ხან უწრუწუნეს ხორციით ხელში, მაგრამ ამაოდ: ძალლი ყურსაც არ იბერტყავდა. დაუძახეს აბრამ დიაკვანს, მაგრამ გაყვინიზებულმა ქოფაკმა პატრონსაც აღარ გაუგონა. აბრამამ წამოავლო სახრეს ხელი და შეუმაღლა შესაშინებლად, მაგრამ გულმა ვეღარ გაუძლო, ვეღარც ხელი შეიმაგრა და მარჯვედ დაუშვა შოლტივით მოქნილი ჯოხი. ისე მძლავრად გაისმა ძაღლის ღრიალი ამ სიჩუმეში, მკვდარს წამოახტუნებდა. წამოფრინდა შემკრთალი ბლალოჩინი, გახლიჩა ოთახის კარი გაწეწილმა და რა დაინახა გაფითრებული ხალხი და აბრამ დიაკვანი სახრით ხელში, მყის მიხვდა ყოველსავე და ერთი ისეთი გულიანად გადიხარხარა, რომ ყველას სიცილი აუტეხა. ბევრი იკისკისეს. საოხუნჯოდ გახადეს ეს შემთხვევა და შემდეგშიც ბევრს იცინოდნენ ხოლმე მის მოგონებაზედ.

მოდღვართუხუცესი ნასიამოვნები და კმაყოფილი წავიდა ამ საფუძვლიან და კეთილგანწყობილ ოჯახიდან. წასვლისას იაკობ მღვდელმა სთხოვა თავის ძვირფას სტუმარს წინანდებურად მიეღო მისგან შესაწირავი იფქლით და ღვინით, გარნა წლეულ მრჩობლად.

- რად სწუხარ, მოძღვარო, მეც საკმარისი მაქვს ღვთის მოწყალება.
- რა შეწუხება გახლავსთ?! მოვალე ვარ საწირავი გაახლოთ: კვეთის დროს მომიხსენებთ მე უღირსს.

13

– და უწოდა ადამ სახელი ცოლსა თვისსა სიცოცხლე, რამეთუ იქმნა იგი დედა ყოველთა მცხოვრებელთა.

იაკობმაც სიცოცხლედ დასახა თვისი მეუღლე მართა, ვინაიდგან არა იყო იგი ბერწ, ვითარცა სარრა, არამედ მუცლად ილო და შვა ძე. განიხარა მამინ იაკობ და სთქვა:

- მოგვეცა კაცი ღვთისა მიერ!

უწოდა მას აბრაამ და იგულვა იგი მსახურად ეკლესიისა თვის შემდეგ. ჯერ ჭაბუკი იყო იაკობი, როცა შეეძინა მას ძე პირმშო. ღმერთმა უკურთხა იაკობს გვირგვინი მეუღლობისა და კვლავც უშობდა მას მეუღლე მისი ძეთა და ასულთა.

იაკობს უმცროსი ძმასავით წამოესწრო თავისი პირმშო შვილი აბრაამი.

ხელღონიერი და ჰაზრიანი პატარა მარჯვე მორბედი შეიქმნა: ცეცხლი, წყალი, ხბო თუ ცხვარი, საქონლის წყალზედ გარეკვა, ბზის დაყრა, ზღვების დასუფთავება, ცხენის მოვება, მეხრეობა, კევრი თუ ურემი, ბაღჩა თუ ბოსტანი და ყოველივე მისთვის შესაფერი სოფლური საქმე გაუკეთებელი არ დარჩებოდა აბრაამს. ძალიანაც უყვარდა მიწა თუ მცენარე, პირუტყვი თუ მფრინველი, მოსწონდა მათთან ყოფნა, მათი მოვლა, ალერსი, პატრონობა. ბატკანი თუ ციკანი მისი საუკეთესო ამხანაგი იყო, ძალღი – მისი გულითადი მეგობარი. მუშაობაში თავის ტოლ სოფლის ბიჭებს არ ჩამოუვარდებოდა, არც განირჩევოდა მათგან ჩაცმა-დახურვით თუ სმა-ჭამით. მძიმე ბაღლი იყო, ნელი საქმე იცოდა, მაგრამ მკვიდრი მუშაობა უყვარდა დასრულებულ-დამთავრებული. საქმის ერთგულიც იყო, არასოდეს არ შეუშინდებოდა გასაკეთებელს, არც ეცრუვებოდა.

– წყალობის თვალთ გადმოხედა უფალმა ჩვენ სახლს და აკურთხა იგი, როცა მოგვცა ამისთანა იმედიანი ბაღლი; მიწას უხარიან ამისთანა ერთგული მუშაკი.

ეკლესიაც უყვარდა აბრაამს და მოსწონდა ღვთისმსახურება. მუშაობაში ხომ მხარში ედგა თავის მამას და უკან დასდევდა, სამღთო მსახურების დროსაც არა ჰშორდებოდა მას გვერდიდან: საცეცხლურს უვლიდა, მდულარებას ამზადებდა, საკმეველს ჩაჰყრიდა, სანთელს აქრობდა თუ ანთებდა, წინ უძღოდა მღვდელს ეკლესიაში. მალე შესძლო დავითნისა და სამოციქულოს კითხვაც საყდარში და აღტაცებაში მოჰყვანდა მლოცველნი თავის წკრიალა ხმით.

– ამისთანა მსახური უხარიან ეკლესიას! უყვარს სამღთო მოქმედება და ნიჭიც შესწევს მისი აღსრულებისა. ეს განაგრძობს ჩემს შემდეგ მღვდლობას და დაიცავს ჩვენს გვარში მადლსა უფლისა ჩვენისა, – ფიქრობდა კმაყოფილი მამა.

– ადამიანისათვის როცა კეთილი უნდა დალოცვილ ღმერთს, შვილს მისცემს კარგს. ყველაფერი ეხერხება ამ ბაღლს: ჩვენი გლეხკაცური საქმეც, წიგნიც და გალობაც. დიაკვანია და დიაკვანი, რაღა აკლია?! – ამბობდა ეკლესიაში ნასიამოვნები ხალხი.

ათი წლისა სრულდებოდა ბაღლი, როდესაც ის სხვების რჩევით და თითქმის ძალდატანებით წაიყვანა იაკობ მღვდელმა ქალაქში სასწავლებლად. იაკობს თითონ არ გამოეველო სასწავლებელი და უნდოდ უყურებდა მას. გაეგო, რომ მხოლოდ რუსულს

ასწავლიდნენ იქ და ვერ იცოდა, რაში გამოიყენებდა აბრამი მხოლოდ რუსულს, როდესაც მას სამღვდლოდ ამზადებდა სოფელში. დედასაც ძალიან ენანებოდა ბავშვი გასაგზავნად, რადგან იცოდა, რომ იქ უდიერად ეპყრობოდნენ ბავშვებს და აწამებდნენ, მწყსიდნენ მუნ კვერთხითა რკინისათა. მაინც დათანხმდნენ: მეტი გზა არ იყო. უყიდეს აბგა, წიგნები, ქალაღი თუ საწერ-კალამი, დააყენეს ერთ ნათესავ დალალ დედაკაცთან, რომელსაც ზაფხულობით ბინა იაკობ მღვდლიანთან ედვა ხოლმე და მიანებეს თავი.

დაიწყო ბავშვმა სიარული სახლიდან სასწავლებელში და სასწავლებლიდან სახლში, მაგრამ ამ ტანტალს მისთვის არაფერი მოჰქონდა; მასწავლებელს მისი დარდი არა ჰქონდა და ჯავრი, შაგირდს კიდევ მასწავლებლისა არა გაეგებოდა რა, არც ესმოდა. მწრთენელმა რამდენჯერმე გაწვიპა ბაღლი, ისიც სინიდისის დასამშვიდეზლად, და მიანება თავი. გავიდა თვეები და უსაქმო ბაღლმა ქუჩაში დაიწყო ყიალი. გაიცნო ტოლები და მიჰყო ხელი მათთან თამაშობას, დროს გატარებას. გავიდა წელიწადი, მოტრიალდა მეორე, აბრამი კი ვერ გასცდა თავის კლასის კარებს. დაითხოვეს.

სკოლიდან დაბრუნების შემდეგ ერთი წელიწადი დაჰყო აბრამმა სახლში. მუშაობდა წინანდებურად, თუმცა პირველ ხანებში წინანდელი უნარი ვეღარ გამოიჩინა სოფლურ მუშაობაში: მიწა აღარ უყვარდა წინანდებურად, ჩამწყდარიყო ზოგიერთი სიმები, რომლებიც მას აკავშირებდნენ მიწასთან და მის სინოყივრესთან წინათ. ბიჭმა თითონ მოსთხოვა მამას, გაეგზავნა ის მონასტერში საეკლესიო წიგნების და წესის შესასწავლად. სრული სამი წელიწადი დაჰყო ბიჭმა მონასტერში და მისი იქ ყოფნა ნაყოფიერი გამოდგა: შეიგნო და შეითვისა სამღთო მსახურება და მისი ყოველივე წესი, ხოლო თავისი თავმდაბლობით და განუწყვეტელი შრომით თავი შეაყვარა მონასტრის მთელ კრებულს. თვით არქიელმა მიაქცია მორჩილს ყურადღება ამ მონასტერში ყოფნის დროს და გაამწესა ახალგაზრდა მის მამასთან დიაკვნად. მას აქეთ იყო, რომ აბრამ დიაკვანი გვერდში ამოუდგა თავის მამას, როგორც იმედიანი მუშა მიწისა და მორწმუნე თანამსახური ეკლესიისა. გავიდა დრო და ისევ გამთელდა და გაება მის გულსა და მიწის შუა ის უხილავი ძაფები, რომლებიც ჩაწყდნენ მის სასწავლებელში ყოფნის დროს.

14

იაკობის მეორე ვაჟი დათიკო სხვა ხასიათისა და მიმართულებისა დადგა. სიმცროდანვე ეტყობოდა, რომ პირი სხვა მხარეს ეჭირა: არც ეკლესიისაკენ იყურებოდა, არც მიწას ჩაჰხაროდა, გაქსუებული დადიოდა.

აბრამის შემდეგ იაკობ მღვდელს ზედიზედ ქალები მიეცნენ და დედ-მამას მოენატრა ვაჟი. ღმერთმა უსმინა მათ: ნატვრა აღუსრულდათ, ვაჟი მიეცათ. სახლი ზედ შემოევლო ბაღლს: გაანებივრეს, გათხლიშეს. დედისა და დების კალთაზე სათუთად გაზრდილმა ბავშვმა შემდეგში ძალიან იუცხოვა ყოველგვარი ზრუნვა. ლიტრა რომ ფეხქვეშ ჰგორებოდა, არ ააყენებდა.

– ჯერ პატარაა, ქა! წამოიზრდება, თავზე ხელს მოისვამს და ჰნახამთ, როგორ ჯარასავით დატრიალდება, – ბოდიშსა ჰხდიდნენ უქნარას.

– რაღა დროს მაგის პატარაობაა?! მაგ ხანში აბრამი სწორედ ძვირფასი მორბედი იყო სახლში, – ამბობდა მისი მამა და არ მოსწონდა დათიკოს უსაქმობა.

თავისუფლად გრძნობდა ბავშვი თავს და მთელი დღე უგზო-უკვლოდ დაეხეტებოდა წყალზე, ტყეში, მინდორში. ამ დღე ჩიტებს დასდევდა, ან ძაღლს თუ კატას ეთამაშებოდა. სცადა მისმა მამამ საეკლესიო წიგნები და წესი შეეყვარებინა მისთვის, საყდარში თუ მრევლში მღვდლის მოხმარებას შეეჩვია, მაგრამ ამაოდ:

ფსალმუნების დაზეპირებას ხანგრძლივი ჯდომა უნდოდა და ჩიჩინი, მას კი არც ერთი ეხერხებოდა, არც მეორე. არც საყდარში უდგებოდა გული: ერთ ადგილას გაჩერება და დგომა ენაჯიშებოდა. უნიჭო კი არა სჩანდა: ოღონდ ყური მოეკრა რისთვისმე და მისი დაუხსომებელი არ გადარჩებოდა. ის იყო საკვირველი, რომ ბავშვი არც ეკრძალებოდა ვისმე, არც ეხატებოდა. იაკობ მღვდლისა ხომ ყველას დიდი ხათრი ჰქონდა ოჯახში – არც ცოლი, არც შვილი ადვილად არას შეჰკადრებდნენ, დათიკო არაფრად აგდებდა მას და ყურადღებასაც არ აქცევდა მის დარიგებას, შუბლის შეკვრას ან ჯავრობას. ლირფი რამ იზრდებოდა, ღვთის გარეგანი.

– ძალიან თავისწვერა ბავშვია და თავხედი, სწორედ კისერს მოიტეხს სადმე ეგ ცოდვილი, – იტყოდა მისი მამა დაფიქრებული.

სასწავლებელში დათიკომ ფხა გამოიჩინა: დაუბრკოლებლივ გადადიოდა კლასიდან კლასში. ბედმაც გაუღიმა: ექსარხოსის მგალობელთა ლოტბარმა გასინჯა მოწაფეები და მოიწონა დათიკოს ხმა. ბალდი ჩარიცხეს მგალობელთა დასში და დააბინავეს არქიელის ხარჯზე. ეხლა ის კარგად სჭამდა, კარგად სვამდა, თავისუფლადაც გრძნობდა თავს, რადგან გალობას ადვილად მიხვდა და დაიმსახურა უფროსის ყურადღება. არქიელის მგალობლებს სასწავლებელში შეღავათს აძლევდნენ და დათიკო დაუბრკოლებლივ გადადიოდა კლასიდან კლასში და ყოველ წელიწადს გამარჯვებული ბრუნდებოდა შინ. სიხარული კი არ მოჰქონდა თან: ალქატი, დაუდგომელი, ჟინიანი ახალგაზრდა პირველ დღეებშივე თავს აბეზრებდა ყველას. არც საქმეს უხაროდა მისი სახლში დაბრუნება: მთელ ზაფხულს ისე გაატარებდა, ჩხირს არ გადააბრუნებდა; ეშინოდა, ხელებს კანის სინაზე და სიფაქიზე არ დაჰკარგოდა. დაშტერებით შეჰყურებდა სამეზობლოდ მოსულ სოფლის გოგოებს მზისგან დარუქულ ტიტველ-ტიტველა გაზებში.

სწავლის დამთავრების შემდეგ რამდენიმე კვირა დარჩა სოფლად. წაჰგლიჯა მამას ნაღდი რამ და გასწია ტფილისისაკენ. დათიკო შეცურდა ქალაქის ტბორში და ხან ყურყუმელობდა შიგ, ხან ამოჩნდებოდა აქა თუ იქ, ხან თითონ იჭერდა თევზს მღვრიე წყალში, ხან თითონვე წამოედებოდა უფრო მარჯვე მეთევზურის ანკესს. ათას სამსახურს იცვლიდა, ყველგან კი ფეხი უსხლტებოდა: შრომას თხოულობდნენ და მუყაითობას, იმას კი არც ერთი შეეძლო, არც მეორე. ერთხელ მახეშიც გაყო თავი: მოეხიბლა ჭაბუკი ბრჭყვიალსა მას ვერცხლისასა და ხელი გაეპარებინა ჩხრიალასაკენ. ძლივს დაამკრინა თავი. ორჯელ-სამჯერ საკვირველი წერილიც მოუვიდა მისგან მის მამას: ფულსა თხოულობდა აჩქარებით: ჩემი ბედი მაგ ფულის გამოგზავნაზედ არისო დამოკიდებული, იწერებოდა.

– ნეტა რად უნდა ი ბიჭს ფული და მემრე ერთად ამოდენა?! ხუთი თუმანი! ადვილად იტყვის ენა. განა ადვილი საშოვარია ამოდენა ფული ერთად, რომ ავილო და გავუგზავნო, – ფიქრობდა განცვიფრებული იაკობ მღვდელი.

მართლა და ათასში ერთხელ თუ შეუგროვდებოდა იაკობ მღვდელს ამოდენა ფული ერთად. ან საიდან უნდა ეშოვნა ნაღდი? მრევლიდან იმოდენაც ვერ შემოდიოდა, რომ მოსეს გასწორებოდა ნისიად წამოღებულ ჩით-ჩუთში და ხშირად პურსა და ქერს უწყამდა მას. პური, ღვინო და ყველა ღვთის მოწყალება უხვდა ჰქონდა ოჯახში, მაგრამ ჯალაბიც დიდი იყო, გამოსაკვები ბევრი ეხვია თავს და არ შეიძლებოდა ამ ქონების კარზე გატანა და ნაღდად ქცევა. საზრდო მეორე წლისთვისაც უნდა შეჰყოლოდა სახლს: შეუძლებელი იყო წინაღვე ეთქვა ადამიანს, როგორი წელიწადი დაბრუნდებოდა შემდეგ. იაკობი ვერ უგზავნიდა ფულს. შვილის ამგვარ თხოვნებზე მამა მხოლოდ გულმტკივნეულ წერილით უპასუხებდა და ევედრებოდა შინ დაბრუნებულიყო, სოფლად, გაჭირვების თავიდან ასაცილებლად.

– ყოველივე უხვად გვაქვს სახლში და უყვედური; ჩამოდი, იცხოვრე შენს ჭერქვეშ. ჩვენც გაგვახარე და შემოგვეშველე, შენს თავსაც ნუ სტანჯავ.

მაგრამ რა ჭირად უნდოდა დათიკოს ან მამის დარიგება, ან სოფლური ღვთის მოწყალება?! მას ფული უნდოდა, რომ ეცხოვრნა განათლებულად: ჩაეცვა და დაეხურნა კოპწიად, თეატრსა და გასართობებს არ მოჰკლებოდა, მეგობრები რომ ბანქოს თამაშს შეუდგებოდნენ, უკუარაქცეულიყო უვერცხლოდ სირცხვილელი. ნაღდი უნდოდა მას ბლომად, ნაღდი! გარნა ფულს ვერა შოულობდა იგი საკმარისს, დაწყევლილ საათზე იყო გაჩენილი და, დახეთ! სწავლადამთავრებულ ქოჩორა ახალგაზრდას ხან ფეხთსაცმელი დაჰქონდა გონჯად მოღრეცილი, ხოლო შაპო – კეწკეწი; ხან მაღალქუსლა მარჯვედ ჩახლართულ-ჩადილული წულები, ხოლო ქუდი მწარედ დაღრეჯილი და ფრთებჩამოყრილი.

15

ეს იყო იაკობ მღვდლის დარდი, რომელიც განუყრელად სდევდა მას თან. ეს ნაღველი ხან მიწელდებოდა და თითქმის განქარდებოდა, როგორც სიზმარი რამ მძიმე, როდესაც სახლში მოვიდოდა ამბავი, დათიკოსათვის ადგილი მიუციათ და ჯამაგირში ჩავარდნილაო; ხან ძლიერდებოდა და სევდად გარდაიქმნებოდა, როდესაც რამე უგვან ამბავს გაიგებდა მის შესახებ ან წერილი მოუვიდოდა შეუფერებელი. დარდის მთლად გაქრობა კი იაკობ მღვდლის გულიდან ვერ მოხერხდა: მას ვერ შეეგნო, რაღას უნდა ეცხოვრებინა ადამიანი, თუ იგი ფესვებს დააცილებდა ნიადაგს და ბურბუშელასავით აგორდებოდა ცხოვრების ტრიალ მინდორზედ.

– ვაჟკაცია აგერ ოცდაექვსი წლისა, მთელ ოჯახს უნდა აცხოვრებდეს ეხლა, იმედი უნდა იყოს თავის თავისაც და სხვისაც; ის კი ვერ გამაგრებულა ერთ ალაგას, ბინა ვერსად დაუდვია საბოლოოვო, დღედღეურად სცხოვრობს და პატარასავით თვალი ისევ შინისაკენ უჭირავს. სადაური განათლებაა ეს და ცხოვრებისთვის შემზადება?! – დარდობდა მოძღვარი.

სხვად იაკობ მღვდელის ცხოვრება მიდიოდა მშვიდად, ერთგვარად, აუღელვებლივ. მას მარტივად ჰქონდა ცხოვრება მოწყობილი და სადად დაყენებული. მის ცხოვრების გზაზე ქარიშხალი არ იცოდა, მხოლოდ უმნიშვნელო ღელვა იყო ხანდისხან. ჭერი თავისი ჰქონდა უყვედური და არ ეშინოდა ვისმე განედევნა იქიდან მისი ოჯახი; პური და ღვინო არ შემოეღეოდა, რადგან მისი ოფლით მორწყული მაღლიანი დედამიწა აღმოუცენებდა მას ნაყოფს კეთილს, არასოდეს არ მოაშივებდა თავის ერთგულ შვილს, არ გაჰხდიდა შვილსა მართალსა მთხოვნელს პურისა. კმაყოფილი იყო მოძღვარი თავის ბედისა და ჰმადლობდა გამჩენელს, რომელს მიენიჭებინა მისთვის სიცოცხლე ძვირფასი და მიეპყრო საზრდო საიმედო. სხვა რაღა უნდოდა?! განა ნაბუქოდონოსორი იყო მძლავრი, რომ დაეპყრო ქვეყანა, განეძარცვა ტაძარნი წმიდანი და შეეკრიფა საუნჯე უთვალავი! მცირედზე იყო იაკობი სარწმუნო და მრავალთა ზედან დამკვიდრებას არ ესწრაფებოდა. სწამდა იაკობს, რომ ლუკმა პურის გარეშე ყოველივე სიმდიდრე აშენებული იყო მოყვასთა ჩაგვრაზედ და ეშმაკისაგან მახედ დაგებული ამო ამოებათა.

იაკობ მღვდელის მეუღლე მართა სრულიად კმაყოფილი იყო თავის ქმარ-შვილისა და ოჯახისა. იღბალს არც ის ემდურებოდა და მარად ჰმადლობდა ყოვლადმოწყალეს. ამისთანა მკვიდრ ოჯახს და პატივსადებ ქმარ-შვილს ნატრობდა ის თავის ქალობაში და ოცნება მთლად აუსრულდა ბედიანს. არც ეცალა მართას მოსაწყენად და დრტვინვისათვის: შრომაში იყო ქალი მარად გართული. არც რამ

მიუწომელ მოთხოვნებებით იყო ქალი გამსჭვალული ან დაუკმაყოფილებელი სურვილებით და ამისთვის გულწმიდად იყო გახარებული თავის აწინდელი ყოფამდგომარეობით და დოვლათით. გულსავსე, კმაყოფილი, მოლიმარე კარგი ადამიანი საყვარელი და პატივსადები შეიქმნა ყველგან და ყველასაგან.

ქალები თავის გვერდზედ ჰყვანდა დაბინავებულნი საუკეთესო ოჯახებში. სახლში იყვნენ ისინი აღზრდილნი დედის კალთის ქვეშ. ბევრი არა იცოდნენ რა: წერაკითხვა, ხელთაქმე, მეოჯახობა სოფლური. ჯან-ღონით სავსე ზნეფაქიზ ქალებს ბევრი უყურებდა მუშტრის თვალთ და წამოიზარდნენ თუ არა, საუკეთესო ოჯახიშვილებმა ითხოვეს უქრთამ-უმზითვოდ. რას აგებდნენ?! ღვდლის ქალები ერქვათ სახელად, თორემ გამრჯელობით და საქმიანობით არც ერთს გლეხის ქალს არ დაუვარდებოდნენ არც ერთ სოფლურ საქმეში და კიდევ აღემატებოდნენ მათ ფაქიზი ქცევით თუ წიგნისა და ჭრა-კერვის ცოდნით. ოსტატები იყვნენ სოფლის ქალ-რძალისათვის.

უფროსი შვილი აბრამ დიაკვანი დაულაღავი მუშაკი დადგა და სწორედ ღვთის წყალობა თავის სახლისათვისაც და სოფლისათვისაც. სასწავლებლიდან ჩამოყოლილი გულგრილობა შემდეგში ხომ მთლად განქრა მასში და ისევ განუცხოველდა წინანდელი სიყვარული მიწისადმი. ეხლა ის ბურჯი იყო ოჯახისა, საუკეთესო გუთნის დედა სოფელში და თანაც მშვენიერი მცოდნე ეკლესიის წეს-მსახურებისა. მისი ცოლ-შვილი შეექვსა და შეუხორცდა იაკობის ოჯახს, გაამრავლა სახლში მუშა ხელი და მრჩობლად მოჰფინა სახლს მადლი უფლისა და გაავსო იგი ყოველივე ღვთისმოწყალებით.

მრევლი წინანდებურად გულდინჯად, იმედით და სიყვარულით უყურებდა თავიანთ მღვდლის სახლს, რომელიც განუყოფელი ნაწილი იყო სოფლისა და რომელიც ღვთით საუკეთესო კვამლადვე უნდა შერჩენოდა სოფელს.

მიდიოდა დრო დაუსრულებელი. მისდევდა ერთმანეთს და ენაცვლებოდა წამი წამს, საათი საათს, დღე ღამეს, წელიწადი წელიწადს. ჟამთა განუწყვეტელ და შეუფერებელ სრბოლას მიჰყვებოდა თან ქმნილებათა განუსაზღვრელ-აღურცხავი სიმრავლე რიგი რიგზე, გუნდი გუნდზე, ტალღა ტალღაზე.

არსებათა უთვალავი სიმრავლე იღებდა განსაზღვრილ სახეს მიუწომელ და საიდუმლო ოკეანეში დასაბამისა, ხოლო იშლებოდა, ჰკარგავდა თავის სახეს განსაზღვრილს და დაინთქმებოდა მიუწდომელ, წყვდიად და საიდუმლოვე ოკეანეში დასასრულისა. და დაინთქმებოდა ყოველივე არსება არა მისთვის, რომ მოსპობილიყო იგი საბოლოოდ, განქარვებულიყო საუკუნოდ, არამედ იმისთვის, რომ განეცადა დაუსრულებელ დროთა ბრუნვაში საიდუმლო ცვლილებანი მრავალგვარნი და კვლავ მიეღო განსაზღვრულივე სახე თვისის არსებობისა, კვლავ აღმოჩენილიყო წყვდიადიდან, წარმოშობილიყო საარსებოდ, ხოლო უფრო განვითარებული და კეთილქმნილი.

მიიგრანებოდა დრო დაუსრულებელი და წარსულთა ჟამთა სიმრავლე ტვირთად მძიმედ უმძიმდებოდა იაკობს: წელში გაიხარა მოძღვარი, მთა დაუთოვლა მას, წისქვილები დაუდგა. აქამდის თუ კვერთხს მაშინ იღებდა ხელში, როცა ჩაიცვამდა ანაფორას, დაიხურავდა კალმუხის წოწოლა ქუდს, შედგებოდა ქომებზე და ვიდოდა მსახურებად ღვთისად და მწყსად ცხოველთა მათ მეტყველთა, ეხლა არგანი განუშორებელი თანამგზავრი იყო მისი, რადგან მიწა უკვე ძლიერად იზიდავდა მას თავისკენ და ხელისაბყრობა ეჭირებოდა. იაკობ მღვდელს და მის თანამემცხედრეს პირი დაუსრულებელ წარსულისაკენ მიექციათ, რომლის დაუცხრომელ მიმდინარეობას

მრავალი მათი მეგობარი და თანაზრდელი წარეტაცნა. კვეთის დროს თითქმის მთელ სეფისკვერს ნაწილებად ამოიღებდა ხოლმე ნათესაობაში თუ მრევლში მოსპობილ წევრთა მოსახსენებლად.

– მოიხსენე, უფალო, მონა შენი ივანე! – ჩურჩულებდა იაკობ მღვდელი სამკვეთლოსთან და ეშლებოდა ფიქრი-ფიქრზე: – რა ჭკვიანი კაცი იყო! სოფლის თვალი იყო და სიამაყე, მის დაუკითხავად ხალხში არაფერი არ გაკეთებულა. მოიხსენე, უფალო, მონა შენი ვარდენი. საწყალი! ერთად ვისხედით ხოლმე გუთანზე. ძალიან ხელღონიერი ბიჭი დადგა; სოფლის მასახელებელი იყო ჭიდაობით. მოიხსენე, უფალო, მხევალი შენი მელანია! სადა ხარ, საწყალო?.. რამდენჯერ მომიტანია მისთვის ჯიბით ვაშლი თუ მსხალი, როდესაც მამაჩემს დავდევი დიაკვნის მაგივრად. ახ, რანაირად გვიყვარდა ერთმანეთი! – და სამკვეთლოდან მოხუცი მოძღვარი თვალთცრემლიანი ბრუნდებოდა ტრაპეზისაკენ.

მიექანებოდა დრო და მიჰქონდა თან იაკობ მღვდლის ძალღონე. უღმობელი სიბერე ჩასჭიდებოდა მას და თანდათან მძლავრად ჰლუნავდა მას მიწისაკენ. აგერ თავის მარჯვენას კანკალიც შეატყო ბარძიმის ალების დროს, თავის ძლიერ მარჯვენას...

– მოვხუცდი ვედრებასა შინა ღვთისა ჩემისა! ვმადლობ უფალსა, რომელმან ღირს მყვა მსახურებად თვისად წელთა მრავალთა. ჩვენს გვარში ტრიალებს მადლი უფლისა და იგი არ გამოგწირავს მღვდლობას. ჩემი შვილი აბრამი სწორედ ღირსია მიეახლოს ტრაპეზს წმიდას: მორწმუნე კაცი დადგა და მშრომელი; ეკლესიას არ დააკლებს თავის წესს და ხალხსაც ჩემ შემდეგ არ შეუმძიმებს ტვირთს, მვირად არ დაუსვამს ღვთის ვედრებას. დროა აწ გარდმოვიდეს მასზე მადლი სულისა წმიდისა, შეიმოსოს სამოსელი მღვდლისა, ვითარცა ნათელი და აღილოს კვერთხი მწყსად, – ფიქრობდა ჟამითი ჟამად იაკობ მღვდელი და ჯერ არვის უზიარებდა თავის ფიქრებს.

მეტი გზა კი აღარ იყო: უნდა ეთქვა სათქმელი, რათა გაეზიარებინა ვისთვისმე თავისი ფიქრი, რადგან იგი ფიქრი ყოველთვის თანა სდევდა მას და თავს ევლებოდა.

– მართა, ქალო! მომისმინე, დაჯექი და კარგად დამიგდე ყური, – მიმართა იაკობმა მეუღლეს. – დროა ვაკურთხეხინოთ ჩვენი აბრამი ჩემ მაგივრად. განსვენებული მამა ჩემიც ჩემს ხანში იყო, როდესაც მაკურთხეხინა და გადმომცა ეკლესია. მე კი ისევ ჭაბუკი ვიყავი მაშინ, მე ხომ სიყრმის შვილი არა ვარ. მცირედ ჟამსლა იცოცხლა მას შემდეგ საწყალმა! დროა განსვლისა!

მართას ფერმა გადაჰკრა, როგორღაც ჩაიფუფქა ის ადგილობრივ და ისე შეაჩერდა თავის მოხუც მეუღლეს, თითქო მხოლოდ ეხლა შენიშნა მისი სიბერეო.

– რას შეკრთი, ქალო? განა მართლა მთლად მოვხუცდი! ჯერ არც ისე ცუდად არის საქმე, შენ რომ გგონია, – გაეხუმრა მეუღლე.

მართას სიწითლე მოერია მიმკრთალებულ-მინაოჭებულ სახეზე და გაიღიმა.

– გული როგორღაც შემეკუმშა უეცრად, თორემ მეც რამდენჯერ მომივიდა ეგეთი ფიქრი. მართლა და დროა დავუთმოთ ჩვენი ადგილი ჩვენ შვილ-რძალს. ოჯახი არ დაქვეითდება ამით, არაფერიც არ შეეტყობა: ისეთი ღვთის შვილი ადამიანია ჩვენი რძალი, რომ სახლს ჩემზედ მარჯვედ და კეთილად წარმართავს.

– არა, შენოდნობას კი ვერ გასწევს ჩვენი ღიზა, სად შეუძლიან! მაგრამ დალოცვილი დედაკაცია და მაგის ხელშიაც ნაკურთხი იქნება ჩვენი ოჯახი.

დაასკვნეს, განუზიარონ თავიანთი ჰაზრი შვილსა და რძალს, შეამზადონ ყოველივე და შემოდგომაზე აკურთხონ აბრამი.

– ვაკურთხეხინოთ, ვაკურთხეხინოთ, ღმერთო, შენით! ჩვენის თვალითა ვნახოთ ჩვენის შვილის ბედნიერება.

ნაღველის რამ მუქი ბურუსი გადაეფარა მათ გულს და სდუმდნენ: თუმცა სასიხარულოა მათთვის შვილის ბედნიერება, მაგრამ ეს გადაწყვეტილება მაინც უჩინარ დარდებს უშლიდა მათ: თითქო მათი ეს ნაბიჯი უახლოვდება იმ საიდუმლო ბჭეს, რომლის იქით გაშლილია საიქიო, ეს წყვილია დით მოსილი და განუჭვრეტელი მხარე.

რამდენიმე დღის შემდეგ იაკობ მღვდელმა განუზიარა თავისი ჰაზრი თავის შვილს. იმან ჯერ იუცხოვა ეს, მაგრამ შემდეგ დათანხმდა, როდესაც მოიფიქრა, რომ ეხლა უფრო მარჯვე დრო იყო და ადვილი მოსახერხებელი მისი მღვდლად კურთხევა: თანდათან ძნელდებოდა სასწავლებელში გამოუვლელთათვის მღვდლობის მიღება და მეტი დაყოვნება სახიფათო იყო.

შეატყობინეს თავიანთი განზრახვა მრევლსაც. სოფელში ამ ახალმა ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა არ გამოიწვია: ეტყობოდა, იმათშიც ეტრიალნა ამ ფიქრს, თუმცა ყრუდ და განურკვევლად. მრევლი კარგადა ხედავდა, რომ აბრამიც სწორედ შესაფერი მოძღვარი იქნებოდა მათთვის, რადგან იმათივე კაცი იყო ის, მათი მოძმე ჭირში თუ ლხინში, და როცა მღვდლად ეკურთხებოდა, შეიქმნებოდა მხოლოდ უხუცესი მათ შორის, მოძღვარი და მამა მათი სულიერი, მწყემსი კეთილი და არა მგელი მოსისხლე და მტაცებელი. ცოტა ხანს ჩაფიქრებული და ჩაჩუმებული სოფელი აყაყანდა, ახმაურდა და განაცხადა, რომ მამა იაკობის ფიქრი კეთილი იყო, სასარგებლო და შესაწყნარებელი. მხოლოდ ერთმა იკითხა:

– მამაო იაკობ! ახლა ე ჩვენი დიაკვანი აბრამი რომ ეკურთხება მღვდლად, შენც ისევე გექნება ნება სწირო ხოლმე, ან სახლი გვიკურთხო?

იაკობს გაეღიმა იმ გულუბრყვილო კითხვაზე და მიუგო:

– კაცო, ეხლა ამ შენს შვილს ვარსიმეს რომ უჭირავს გუთანი შენ მაგივრად, განა შენ აღარა გაქვს ნება მოჰკიდო მას ხელი ხანდისხან, თუკი სურვილი გექნება ან გაჭირვება? გუთანი ხომ მარტო იმისთვის დაუთმე შენს შვილს, რომ ეხლა ეგ შენზედ უფრო ხელ-ღონიერია და მარჯვე.

– ჰაი, ჰაი, ღონიერია და მარჯვე! მაგრამ მაგის ხანში კი მე ვსჯობდი მაგას. სიბერეს რა უთხრას კაცმა, თორემ ვინ წამიდგებოდა წინ...

– ჰო და აბრამის ხანში მეც ყოჩალი მოძღვარი ვიყავი და დაუზარელი, მაგრამ ეხლა მოვხუცდი და მინდა ჩემს ადგილას ჩემი შვილი ჩავაყენო. ეკლესიას კი სიკვდილამდინ ვერ მოვშორდები: ვილოცავ და ვსწირავ თქვენ სადღეგრძელოდ, და თქვენ მიცვალებულთა მოსახსენებლად.

მარჯვედ დატრიალდა საქმე: ბლალოჩინს გამოსაძიებელი საქმე გაუჩნდა მახლობელ სოფელში, ამობრძანდა ქალაქიდან და იაკობ მღვდლისას შეიარა გზა-გზა. მღვდელმა მოახსენა მას თავისი გულის წადილი და სთხოვა გზის ჩვენება და დახმარება. ჩაფიქრდა მოძღვართუხუცესი.

– მთავრობა სწავლა დამთავრებულს აძლევს უპირატესობას, თხოულობს ისინი წარვადგინოთ. რასაკვირველია, განვითარებული ადამიანი სჯობია, მაგრამ როგორ უნდა მოთავსდნენ ერთმანეთთან მრევლი და იგი განათლებული, როცა მათ შორის აღარაფერია საერთო?! მათ აღარ იციან ხალხის ენა, ხოლო მათგან წაკითხული საეკლესიო წიგნი გმობაა ღვთისა და შეურაცხყოფა ენისა; მათ დავიწყებული აქვთ ხალხის ზნე-ჩვეულება და აბუჩად აგდებული; მათი საღმთო მსახურება არ არის რწმენაზე დამყარებული და გარეწარია; მათ არ უყვართ მიწა, თითონ არ ამოაქვთ საზრდო დედამიწის სიუხვიდან და მთელი თვისი სიმძიმით დასწოლიან სოფელს.

ფესვები არა აქვთ გადგმული ნიადაგში. მათი ხომალდი მარად აფრა გაშლილი სდგას, ყოველ ჟამს მზაა განეროს მრევლს და მიაშუროს უფრო ფართე და ღრმა ნავთსაყუდელს. ეჰ, მოძღვრად განმზადებული და ხალხი ერთ ნიადაგზე უნდა განვითარებულიყო, რომ განმტკიცებულიყო მათ შორის ერთობა და სიყვარული და კეთილად წარმართულიყო დაობლებული ეკლესიის მსვლელობა... გარნა ვინ შესცვალოს გზა განგებისა ანუ ვინ წინაღუდგეს მას?!

იაკობ მღვდელი შეჰყურებდა მოძღვართუხუცესს და ვერ გაეგო, რატომ მაშინვე არ მიიღო მან მისი ჰაზრი, ან რამ დააფიქრა იგი ესე ღრმად. ეჭვი შეეპარა: ეგონა, იმისთვის ჰყოვნებდა მოძღვართუხუცესი და არას ამბობდა, რომ გასამრჯელოს გამოელოდდა რასმე.

– მამაო ბლალოჩინო! გთხოვთ მოაგვაროთ ეს საქმე და ხელი აღმიპყრათ სიბერეში. თქვენ ისეც ყოველთვის შემწე ბრძანდებოდით ჩვენი და მფარველი, მე კი თქვენ წინაშე არავითარი პატივი არ მიმიძღვის. გთხოვთ დამავალოთ და ნება მომცეთ სიკეთე გადაგიხადოთ!

– რასა ბრძანებ მაგას, მოძღვარო! მე ისეც პატივცემული ვარ თქვენგან და მადლობელი... ჩემთვის ძვირფასია და დიდად სასიამოვნო, რომ ერთობა გაქვთ მრევლთან და კეთილგანწყობილება. დარწმუნებული ვარ, რომ აბრამიც არ მოშლის ამ სიყვარულს, – ბრძანა ბლალოჩინმა და მიჰმართა აბრამ დიაკვანს, რომელმაც ის იყო ცივი წყალი მოართო მას:

– აი გაკურთხოს ღმერთმა და შენს მღვდლობას შეგვასწროს!

დიაკვანს სიხარულის ალმა აჰკრა. რამდენიმე წუთს გაშემებული იდგა ყბა გახლეჩილი. მემრე მოეგო თავს და მოწიწებით ემთხვია ხელზე თავის უფროსს და კეთილისმყოფელს.

მზე იდგა აქამდისინ იაკობ მღვდლის კარს და განათებული იყო მისი ეზო-ყურე; წყნარი სიხარული დასტრიალებდა მის ოჯახს და კმაყოფილება. იყო მის კარსაც მარცხი, აღრეულობა; სიკვდილმაც კი შეიხედა ერთხელ მისას და წარატაცა ყრმა ჩჩვილი, გარნა იგი რყევანი მისი ცხოვრების გზაზე არ იყვნენ ისეთი ძლიერნი, რომ დაელეწათ ხომალდი მისის სიცოცხლისა და დაენთქათ იგი: ჯერ ახალგაზრდა იყო ის მაშინ, ძალ-ღონით და იმედებით სავსე, ცხოვრების გზა ჯერ ნახევარიც არა ჰქონდა გავლილი და მხნედ მიაბიჯებდა. არ ეშინოდა შემთხვევითი რყევისა: ხელთ ეჭირა საჭე რწმენისა და მწედ ჰყვანდა ღმერთი ძლიერი; რადღა შეეშინებოდა მას?!

ეხლა იაკობს უკვე გავლილი ჰქონდა გზანი ცხოვრებისანი, მზად იყო განხმულიყვნენ მის წინაშე ბჭენი საუკუნენი და იგი უკვე ესალმებოდა ამ წუთისოფელს. სევდის მომგვრელი ხანი იყო ეს. მაინც გულსამსედ მიემართებოდა მოძღვარი ცხოვრებისაკენ დაუსრულებელისა და საიდუმლოსი: მას პატიოსანი შრომით გაეტარებინა ცხოვრება თვისი, თავის მეცადინეობით და გონიერი მზრუნველობით ოჯახიც და თვისი მრევლიც დაეცვა ბოროტისაგან, სიყვარული დაემკვიდრებინა მათში, ხოლო დარაჯად ამ სიყვარულისა და ერთობისა სტოვებდა ისეთს კაცს, რომელსაც უნარიცა ჰქონდა და სურვილიც, წარემართა ცხოვრება ისეთივე თანხმობით და კეთილად. ყოველივე ისე მოაწყო იაკობმა, როგორც მოითხოვდა კეთილგონიერება და გული მოყვარული. იაკობი აწ დაწყნარებულ-დამშვიდებული განაგრძობდა ცხოვრებას დღითი დღე.

მაგრამ ეწია იაკობ მღვდელს უსაზომო რისხვა ღვთისა და გაუმწარა მას უკანასკნელი დღენი ცხოვრებისა. და რა მოულოდნელად მოხდა უბედურება! ცა მოწმენდილზე წამოუარა მას ქარიშხალმა სასტიკმა და ალგავა პირისაგან ქვეყნისა ყოველივე იმედი მისი და სიხარული.

მკათათვე იყო. დედაკაცები და წვრილფეხობა რომ კალოს უვლიდნენ და დასტრიალებდნენ, ვაჟკაცები ჯერ ისევ ძნას ეზიდებოდნენ. შემოდოდა სოფელში ძნით დატვირთული ურემი ურემზე სასიამოვნო ჭრიალით. მზე გადასცდა საშუადღოს. მღვდლიაანთ ნიჩბით უქციეს კალოს და ბალღებმა ისევ შეატრიალეს კევრები. იაკობ მღვდელმა მოიწმინდა შუბლიდან ოფლი და საბძლის ჩრდილოს შეეფარა. მოისმა ურემის ჭრიალი, საქონლის ლაღვის ხმა და გამოჩნდა ძნით დატვირთული ურემი. აბრამ დიაკვანი იჯდა ურემზე და ამხნევებდა საქონელს. ლაღას ძლიერ დასცხრომდა, ენა გამოეგდო და აქაქანებული აწვებოდა უღელს. მარჯვნივ რუ ჩამოწანწკარებდა, ლობეში შედიოდა; ადგილ-ადგილ დაეტბორებინა. გალექებულმა ლალამ ველარ მოითმინა წყალის დანახვაზე, მთელი ტანით მიაწვა ურემს და ლაფისკენ მიღრიჯა ის. აბრამი გადააფრინდა ყორანას და შეუტია სახრით. კამბეჩმა ფიცხად მიიწია მეორე მხარეს და ურემის ბოლომ ლობეზე მიძეწვა აბრამი, დაეცა ვაჟკაცი. სისხლი წაჰსქდა პირიდან: გულის ფიცარი ჩაჰმტვრევოდა. რამდენსამე დღეზე გათავდა დევივით კაცი და დაენგრათ მღვდლიაანთ ოჯახის საძირკველი.

უბედურებამ გააბრუა მოხუცი. მის გამშრალ თვალებში ადამიანური აზრი აღარა სჩანდა. ეუბნებოდნენ, უჩვენებდნენ, ჩასძახოდნენ, მაგრამ გარკვევით ვერას ასმენდნენ. იძროდა, მიდი-მოდიოდა, კიდევ ამბობდა, მაგრამ უაზროდ, უყურადღებოდ, უმიზნოდ. ვაიმე, შვილო, ვაიმე! გაისმოდა დროთი დრო მისი კვნესა. მხოლოდ ერთი ცხადი ჰაზრი შერჩენოდა მის გატანჯულ გონებას, ერთსა და იმავე კითხვას უბრუნდებოდა მისი გონება:

– ისეთი რა შეგცოდე, უფალო, რომ მოსპე სიხარული ჩემი, ნუგეში ჩემის ოჯახისა, იმედი ჩემის მრევლისა?!

პასუხს კი ვერა ჰპოვებდა, მცირედ მაინც დამაკმაყოფილებელ პასუხს და კითხვა უმეტესის ძლიერებით უბრუნდებოდა მის გონებას, გახურებული შანთივით უვლიდა მის გატანჯულ ტვინს.

დასაფლავებაზე ბლალოჩინიც მიიწვიეს. საყდარში იაკობი თავს ედგა მიცვალებულს და აქაც იმავე კითხვას იმეორებდა უნებლიეთ, ცეცხლის ასოებით აღბეჭდილ კითხვას. პასუხი კი არსად იყო, არსად! გახედა ხატებს. გაჭირვების დროს ბევრჯელ ამოუკითხავს იაკობს მათ ჭკვიან თვალებში საჭირო გრძნობა თუ რჩევა. იმედი ჰქონდა, ეხლაც ამცნებდნენ რასმე, მოაშორებდნენ ამ მტანჯველ კითხვას, მაგრამ მათ გაყინულ თვალებში დღეს ველარაფერი თანაგრძნობა ველარ ამოიკითხა, ვერც ჰაზრი. ღვთისმშობელიც კი ცივად უყურებდა, ღვთის მშობელი, რომელსაც გამოცდილი ჰქონდა საყვარელი შვილის ტანჯვით სიკვდილი!

ქელეხზე მთელი სოფელი დაესწრო. აბრამის ძმა დათიკოც ამოვიდა ქალაქიდან. თეთრი თავთა ეცვა. გამოწყობილი ტალავარი ზედ შემოჰლესოდა ზერდაგს. ფეხსამოსი მოუსაპნავ ღერძივით უჭრიალებდა. რუსულს ამბობდა. ხალხს არ ეკარებოდა, უკადრისობდა, თუთუნს აბოლებდა, ბლალოჩინისაკენ იწევდა, მას ეტმასნებოდა. მოძღვართუხუცესმა აილო ჭიქა და მოჰმართა ჭირისუფალს:

– ძმაო იაკობ! დიდი უბედურება გეწია სიბერის დროს, მაგრამ ყოველივე განგებაა ღვთისა და ნება მისი. ნუ მიეცემი სასოწარკვეთილებას! ღმერთმა შეუნდოს განსვენებულ აბრამს და გიცოცხლოს სანუგეშოდ ეს შენი მეორე შვილი დავითი.

აბრამის მაგივრად ეხლა ამას გიკურთხებთ მღვდლად. სურვილი უკვე გამოაცხადა. განათლებული კაცია და სახელოვნად განაგრძობს თქვენს გვარში მღვდლობას.

იაკობ მღვდელმა შეხედა თავის შვილს, გადახედა თავის საყვარელ მრევლს და ცრემლთა ნაკადმა გადმოხეთქა თვალთაგან თეთრად გაპენტილ წვერზე.

[1910 წ.]

ალუჩა

1

ალუჩობის დრო იყო, მწვანე ხილეულობის ჟამი. ყველაზე ძალიან ეს დრო მომწონს; ახალი გაზაფხული კი არა, გაზაფხულის მეორე ხანი, თითქმის დამლევი.

– რითი სჯობია ის დრო ახალ გაზაფხულს, ან ზაფხულს, თუნდ შემოდგომის დამდეგს?

– არაფრით, სრულებით არაფრით. მაინც უფრო მომწონს: ისეთ დროს მაგონებს ის ჩემის ცხოვრებისას, რომელსაც ხშირად ვუბრუნდები გონების თვალთ და გაკვირვებით შევყურებ, თითქო რამ ძნელ ამოცანას, ჩემგან ჯერაც ვერ ამოცნობილს.

– რას უფრო შევყურებ, მიღეულ გაზაფხულს თუ ალუჩას?

– გაზაფხულის სადამოს.. არა, ალუჩას... ეჰ, არა! სადამოს გაზაფხულისას, ჩემს მზეს ამომავალს და ალუჩას, – სამივეს ერთად.

– რას ამბობ, კაცო? სად სადამო, სად ამომავალი მზე?! ხუმრობ თუ!

– რა მახუმრებს?! ერთად ვხედავ-მეთქი ტყემლის ალუჩას, დაპურებულ გაზაფხულს, ჩემს ამომავალ მზეს.

– ტყემალს თუ ალუჩას?

– ტყემლის ალუჩას. არ იცი?! ერთი ნამდვილი ალუჩაა, მჟავა, ძალიან კი არა. მეორე ტყემლისაა: სახე სწორედ ალუჩისა აქვს, ხან იმაზე მსხვილიც არის: გემოთი თუ სიმჟავით კი ნამდვილი ტყემალია. ამაზე ვამბობ. ის ორ დაუვიწყარ დროს მაგონებს მე, განცდის რამ წამებს, განსაცდელის წუთს.

– გიყვარს ალუჩა?

– არ ვიცი. გეტყვი ყველაფერს და შენ თითონ მითხარი, მიყვარს თუ არა ტყემლის ალუჩა. მერე რა მსხვილი იყო, ხომანდულის ტოლა... ჩემზე წინად ეხლაც ვერვინ იყიდის ახლად შემოსულს.

– მაშ გყვარებია!

– რომ მიყვარდეს, კიდევ ვსჭამდი. არასდროს პირში არ გავიკარებ!

– მაშ რაღად ყიდულობ?

– დამაცა, კაცო. ჯერ მათქმევინე, მერე მითხარი.

2

ყმაწვილი ვიყავი, შედერებული, ესე თერთმეტ-თორმეტი წლისა. ფეხმარდი, მარჯვე. ციყვივით ავირბენდი ხეხილზე. ჩვენ ბაღში მარტო ქოჩორა კაკალი მეურჩებოდა: ტოტები არა ჰქონდა, დაესხიპნათ, ლიტაოდ აეზარდნათ და ფეხს ვერ ვიკიდებდი, მკლავებსაც ვერ ვაწვდენდი, მსხვილი ღეროიანი იყო.

მითქვამს შენტვის: ჩვენი ბაღის გვერდზე ძიანთ ვენახი იყო გადასალაჯებელ რამ ღობით გადაყოფილი. ბაღებს გარშემო მაღალი ღობე ევლო, მაგარი, შიგნით კი მაგდენად საშიში არ იყო: მეგობრულ-მეზობლურადა ვცხოვრობდით ორივე მეკომური და ერთმანეთის სარჩოს მაინცდამაინც მტრულად არ ვეტანებოდით. ბაღლებიც შურით არ ვუყურებდით მეზობლის ვენახს: სავსე ოჯახი გვქონდა, დახაციცებულნი არ ვიყავით. ესეც არ იყოს, რაც იმათ ედგათ ბაღში, ჩვენც გვედგა ის, და თვალი არაფერზე გვრჩებოდა.

მაგრამ არა! იყო წლის განმავლობაში ისეთი დრო, როცა ბაღლებს თვალი იქითა გვრჩებოდა, ძიანთ ვენახისაკენ, და ვმადლობდით ბედს, რომ ისეთი დაბალი ღობე ჰყოფდა ჩვენს ბაღს იმათ ბაღისაგან. ეს იყო ალუჩობის დრო: მარტო იმათ ედგათ ეს ხილი, მთელი ორი ძირი ალუჩა! მერე რა ტყემლის ალუჩა! ნამყენ ქლიავივით მსხვილი, გაზაფხულის ფოთოლივით მწვანე, ხასხასი. როგორ ესხა: ფოთოლზე მეტი...

საშიში კი იყო გადაპარვა, ხეხილთან მიახლოვება: ძია დემეტრე ფხიზელ დარაჯად ედგა ვენახს იფნის სახრით ილიაში, რა მარჯვედ ხმარობდა მოქნილ იფანს დალოცვილი! ქათამს რომ წამოუსვამდა, წამზე თავს გააგდებინებდა. მაინც ამ სახით დაჰკლავდა ფრინველს. არც დევნა იყო მისთვის საჭირო: რახან ყოველთვის ილიაში ეჭირა სახრე, ფრინველს აღარ ეშინოდა ჯოხისა: გულუბრყვილოებს მისი სხეულის ნაწილი ეგონათ იგი.

ჰოდა, რომ ვუყურებდით ბიჭები დემეტრიანთ ალუჩას, კბილები გვიკაწკაწებდა, ელეთ-მელეთი მოგვდიოდა, ძლივს ვიმაგრებდით თავს. აკი მაინც დავკარგეთ მოთმინება და მახეში გავყავით თავი. სულ სოლიკოს ბრალი კი იყო ეს, დაუდეგარისა:

– აბა, ბიჭო, გადავიპაროთ შენ ძიანთ ვენახში!

– ძია დემეტრე?

– ერიჰა! ის დილა-ადრიან გაღმა წავიდა, სოფელ დამწვარაში. მე ჩემი თვალითა ვნახე, ბოგირზე რომ გადიოდა ცხენდაცხენ.

– დედაკაცები?

– რას გვიზამენ დედაკაცები, თუნდაც დაგვინახონ! გავექცევით.

წავედით. გადვიპარენით. ტყემლის ალუჩას თავს მოვექეცი. მაღალი იყო, ბლომად გაბარჯილი. ღვთის წყალობა გაქვს, ჯავრი ვიყარე! წაილო კბილები, დამჭრა, დამკვეთა. ვინ დაგიდედა?! წამალი ვიცოდი: როცა სამშვიდობოს გავიდოდი, ნიგოზს გავცოხნიდი და მაშინვე მომირჩებოდა. გავივსე ახალუხის ჯიბეებიც. მერე რა ახალუხისა! სულ ორი დღის ჩაცმული არა მქონდა. ყაყაჩოსავით წითელი ყვავილი ეყარა. ჩითი იყო, ფარჩასა სჯობდა. ტოლები შურით თვალს ვერ აშორებდნენ. ის იყო, გული ვიჯერე და ახალუხის უბეს ვიხსნიდი, რომ მომესმა მჭახე ძახილი:

– ეჰეი! ეჰეი! აბა ერთი მანდ დამიცადეთ!

გავიხედე, დემეტრე მორბის, სახრეს ჰაერში მოათამაშებს. ელდა მეცა.

გადავხედე, სოლიკო კიდეც ჩასულიყო.

– ჰარიქა, დათიკო! – დამიძახა იმან და გადაევლო ღობეს.

ჩამოვეშვი ტოტიდან ტოტზე. კიდეც მოვასწრებდი ჩამოსვლასაც, გაქცევასაც, მაგრამ... ამისხლტა ფეხი, წამოვედი თავ-თავქვე. ნეტავ ჩამოვვარდნილიყავი! არა მიშავდა-რა: ლბილი მიწა იყო და ბალახი. ორკაპ-ტოტში ახალუხის ჯიბე მოჰყვა გატენილი და... სამარცხვინოდ ჩამოვეკიდე, ჩამოვკონწიალდი. მომატანა გაბოროტებულმა. გაიშხივლა ჰაერში სახრემ. სახრის წვერმა სულ ერთ მტკაველზე გაიზუზუნა ჩემ ცხვირწინ. ეწყინა დემეტრეს. შემოავლო ხელი ხეს: ამოსვლა იწყო. ერთი წუთი და მის ხელში ვიქნებოდი, გაბრაზებულის ილიაში. ვიგრძენ, რა დღევ დამადგებოდა, დავიკვივლე განწირულის ხმით, გავიბრძოლე უკანასკნელად და...

ბრაგვა გამცვივდა მიწაზე. ახალი ახალუხის ჯიბე კალთიანად ტოტზე დარჩენილიყო. ვერ ვიგრძენ რამ ტკივილი. წამოვხტი, მოვკურცხლე, გადავფრინდი ღობეზე. სანამ დემეტრე ხიდან ჩამობრუნდებოდა, მე სამშვიდობოს ვიყავი. თუმცა, ეჰ, ნეტავ ახალუხი არ დამფხრეწოდა, რაც უნდა მომსვლოდა: ნასახრალი მალე მორჩებოდა, ახალუხი კი ველარ გაახლდებოდა.

3

- მას აქეთ შეგძულდა ალუჩა?
 - თვალის დასანახავად შემჯავრდა! არამც თუ თითონ მე აღარ ვეკარებოდი, სხვასაც ვუშლიდი იმის ჭამას. ან რა საჭმელია! მოუწევარი, მწვანე, მჟავე, ყოვლად სავნო და საძაგელი! ჟრუანტელი მივლის, როცა სხვა ახრამუნებს.
 - ძალიან შეგშინებია მაშინ, რომ სამუდამოდ აგიკვეთია ის ხილი.
 - იქნება ისე შიშმა არ მიყო და ახალუხის ჯავრმა, როგორც ავადმყოფობამ: იმ დღესვე ცუდად ვიგრძენ თავი და მთელი ორი კვირა ველარ ავდექი: ციება, ბალღამი, ოფლი, საზარი ჩვენებები, ბეწვაშლილი მაჯლაჯუნა, კბილებლრჭენილი... ის დღე იყო და ის დღე, ალუჩას ხსენებაც კი საძაგელ ჟრუანტელს მაგრძნობინებს ტანში.
 - ნუ ახსენებ!
 - არც ვახსენებდი, აღარც ვახსენებ. მაგრამ მე, დაიჯერებ? მას შემდეგ ერთხელ კიდევ იძულებული შევიქმენ მეჭამა ალუჩა, მთელი მუჭა ტყემლის ალუჩა...
 - ძალას ვინ გატანდა, შე დალოცვილო?!
 - ალბათ მატანდნენ! და მერე როგორ! ვსჭამდი, ვაქებდი, ვიღიმებოდი. არ კი მგონია, ლამაზი ყოფილიყოს ის ჩემი ღიმილი.
 - მიკვირხარ, ღმერთმანი!
 - ბევრი საკვირველი შემთხვევაა კაცის ცხოვრებაში, განსაცვიფრებელი.
 - მაინც?
 - ინებე!
- გავიდა ბაღლობის ხანა. აკოვრდა უღვაში. ხუჭუჭი წვერი. დავბზინდი. დავვაჟკაცდი. საზღვარგარეთიდან ახლად ჩამოსულს თავი რაინდი მეგონა. უტეხ-უძლეველს ქუდად ცა აღარ მიმაჩნდა, ქალამნად დედამიწა. ვინლა მოიგონებდა გაგლეჯილ ახალუხს: საუკეთესოდ მეცვა, ფარჩის სარჩულეებს შარიშური გაჰქონდათ. ჩემი მძლეველი, თუნდაც შემბმელი?! ახლა თუ გამოჰგზავნიდა ღმერთი თავის ნათლულ ამირანს! ჩემი მბრძანებელი?! სპარსთა ყეინი თავს ვერ მომახრევეინებდა! ალუჩა, ტყემლის ალუჩა?! რა საკადრისი იყო, თუნდაც მყვარებოდა: მხოლოდ საიშვიათო ხილს მივირთმევდი სერისკუდადა. მალლა ამელო თავი, ვარსკვლავებს ვეთამაშებოდი და...
- გავები მახეში... მერე როგორ! იტყვიან: ოთხივე ფეხით:
 - მიაძბე!
 - გიამბო... ადვილად იტყვი! გახსოვს, ტარიელს რა ეძნელებოდა ამბის მოთხრობა, როგორ ემზადებოდა?
 - ზეპირად ვიცი. მაინც მიაძბე!
 - გეტყვი, რახან დავიწყე. სად წავუვალ ძმობილის სურვილს?

4

გაზაფხული იყო, მაისის პირველები. მთვარე არხეინად მიცურავდა ცის კაბადონზე. ისე ანათებდა დალოცვილი, თითქო მზეს ეცილებათ ბრწყინვალეობაში. წიგნი წაიკითხებოდა მის შუქზე. მარტო დავდიოდი. თავი გამეთავისწინებინა, ვითომ ღრმად ჩაფიქრებულს. მრავალ ნაცნობებში არავის ავედევენე; სასაუბროდაც არვინ ავიყოლე. არ ვიცი, ასეთ გუნებაზე ვიყავი, თუ მეგონა, ამგვარი ქცევა უფრო ყავდას გამიკეთებდა; არ მახსოვს. იქნება აღარც ვინ მიმაჩნდა იქ სანუკვარად, საყურადღებოდ. ვგონებ, ესე იყო.

ვნახოთ, ჩემ პირდაპირ მოდის სულ ახალი სული. შევსდექი გამტერებული. განა ქალი იყო: მთვარეს მოსწყენოდა ცაზე განმარტოება, ძირს ჩამოსულიყო ხალხში სამყოფად. შაპო მკლავზე გადაეკიდა. თმა შეკოპილი არა ჰქონდა, შემოხვეული; ლახტებად გადაეშვა მძიმე ნაწნავები. ვარსკვლავი ხომ გინახავს ბლომად სხივმიდევენებული, კუდიანი ვარსკვლავი საიშვიათო? ის მისი სხივები თმად აეკრიბნა პირმანგს სალამაზოდ. ბერიკაცი ახლდა გვერდზე, ჩემთვის უცნობი. გავშეშდი. აღარ დავიძარ ადგილიდან: მეგონა, ისევე ჩამომივლიდა. მოგტყუვდი: მთელი საათი ვიდექი იქ, მაგრამ ამოდ. წავედ შინ დაღონებული. სისხამ დილაზე ავდექი. ვინ მე, ვინ ადრე ადგომა! რამდენი ხანი იყო, აღარ მენახნა ამომავალი მზე. ვიარე. ვეძებე. ვიკითხე. მივაგენ. გავიცან. გამოვები ნაწნავთ ბოლოზე უწყვეტი ჯაჭვით ხელებშეკრული. მაშინდა შევიგენ ძახილის ძალა:

„მე მონად შევექმნილვარ ერთისა მზისა!“

რა მაგრა ვეჭირე პაწაწა ხელში! თვალ-წარბში შევეყურებდი, სურვილთ ნასახებსაც ავუსრულებდი. მოდი ერთი, ნუ აასრულებდი, როცა მის სახეზე აჩრდილის კვალიც გულს შიშით გიპობდა, ძრწოლასა გგვრიდა. ერთიც ვნახოთ, რამე არ მოსწონებოდა შენში და... გამწყრალიყო, გაგმორდებოდა. რაღას აპირებდი მაშინ?! ეჰ, სრულიად ვიგემე ტკბილი მონობა და სანატრელი შებორკილება.

თითქო თანდათან ლბებოდა მისი გული ჩემთვის: მიახლოვდებოდა, მეტყოდა; გამომკითხავდა; ათასში ერთხელ სასეირნოდ გამომყვებოდა. ბერი არ ელის სამოთხის ბჭეს ისეთი სურვილით, როგორი სიხარულითაც მე ველოდი მათ კარს მისვლასა. ეს ბედნიერებაც ეხლა ხანდისხან წილად მხვდებოდა...

– დაგავიწყდა: ალუჩაზე დაიწყე წელან, სულ სხვას ამბობ.

– მაგა, თუ ღმერთი გწამს!

მივედი ერთ საღამოს. გული გამელო: პირმანგი ბაღჩაში დამხვდა განმარტოებული. წინ მაგიდა ედგა და ზედ ბროლის საინით... ტყემლის ალუჩა. მიირთმევდა, აკნაწუნებ-ახრამუნებდა. რა კბილები ჰქონდა! მძივივით მოსხმული, წვეტიანი, თეთრზე უთეთრესი. დავხედე, ჟრუანტელმა დამიარა, უსიამოვნო რამ შექრჟოლებამ.

– აბა ამას რას მიირთმევთ, ქალო! კბილს მოგჭრით, გაწყენთ.

– ძალიან მიყვარს. რა უშავს, თუ კბილს მომჭრის!

– ნუ ინებებთ! სხვა რამ ხილი მიირთვით.

– განა თქვენ არ გიყვართ, ყმაწვილო, ალუჩა? ტყემლის ალუჩა გახლავთ, საუკეთესო, – მითხრა ლამაზმა.

და ორაზროვანი ღიმილით დამაცქერდა. წადი შენ ეხლა და უთხარი, არ მიყვარს, არ ვარგა-თქო. ერთიც ვნახოთ, შენი სიტყვებიდან აზრი დაასკვნა, ჩვენ ერთნაირი გემოვნება არა გვქონიაო, გავიფიქრე მე და შევკრთი, მუხლი ამითრთოლდა.

– რამ შეგამინა?

– რამა?! შენ არ იცი, ამისთანა თქმას, ამგვარ დასკვნას რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ლამაზის მხრივ?! შეყვარებული არა ჰყოფილხარ არასოდეს, არ გიწვენევია...

– არა, როგორ არ მიყვარს ალუჩა, მეტადრე ტყემლისა... პატარობისას... მაინც საშიში გახლავს, არ გაწყ...

– აბა ნახეთ, რა კარგია! მიირთვით! – მიბრძანა უწყალომ.

და მომაწოდა ალუჩა. განა თეფშით მომიბყრო, ერთი ამელო; მარგალიტის სადაფს რომ უგვანდა მუჭა, იმ ხელით მომაწოდა, რამდენიც შესძლო. ჩამოვართვი. კინალამ ხელზე ვაკოცე. ვერ შევბედე. ჩავიდე პირში, გავკვნიტე. ნაკვერჩხალი დამეკვნიტა, ის კი მერჩინა: შესაძლო მაინც იქნებოდა, დავლრეჯილვიყავ. სანამ ვსჭამდი, მოდიმარე თვალებს არ მაშორებდა. სულ გავათავე...

– ხათრით?

– არ ვიცი, ხათრით თუ შიშით. მაინც გავათავე და... კიდევ კარგი, შემდეგში დამიფასდა ჩემი გმირობა, თავის განწირვა.

[1910 წ.]

ვაშლები

1

ზოგ ადამიანის სახეს ძალიან სცვლის დრო. რაც უნდა ჩააკვირდე, ვეღარ იცნობ, თუნდაც ოდესმე მახლობელი ნაცნობი იყოს; ზოგ სახეს კი ისეთი რამ დამლა აზის, თუ ერთხელ თვალი დაჰკარ, თავის დღეში აღარ დაგავიწყდება: ვერც განვლილი ჟამი, ვერც დროთა ბრუნვისაგან დაჭდული ცვლილებანი შენს გონებაში ამ სახეს ვერ წაჰშლიან.

რამდენი ხანია, არ მენახა ჩემი ნაამხანაგარი სანდრო. ჯერ ისევ ბალები ვიყავით, როცა ერთმანეთს დავშორდით, ჯერ უღვაშიც კი არ აგვზიზინებოდა; მაგრამ შევხვდი თუ არა, შევხედე თუ არა ჭაღარას ჭაღარამ, მაშინვე ვიცან.

ეს წაუშლელი დალი მის სახეზე, ეს აღმოუფხვრელი ნიშანი მის თვალთა გამომეტყველება იყო.

შეგინიშნაით ყასაბხანაში მარად დამშეული არსების თვალთა იერი? მსუნაგი, გაუმადლარი, ქურდულად მომზადებული, დატუქსული, კუდამოდუებული?..

მუცელგაუმადლარ სახლის შვილი იყო სანდრო, უპოვარ-უშოვარი, ხოლო გიჟმაჟ ბუნებას მახვილი ყნოსვა-გემოვნება მიეცა და სირაქლემის კუჭი დაეტანებინა. მას, ჩემს სიყმაწვილის მეგობარ სანდროს ეკუთვნის ხარბი თქმა: „ნეტა ეს უზარმაზარი სახლი პურად აქცია, შიგ შემსვა, რომ ვსჭამო და ვსჭამო!“

და თუ სადმე წამოასწრობდა სანოვაგეს, ლხინად მოგეცეს, რაც მას დღეს დააყენებდა! საჭმელი თრთოდა მის წინაშე, მსწრაფლ ილეოდა მისი შიშით, ჰქრებოდა. ნეტა მუცელი მაინც სჩნეოდა დალოცვილს! უმუცლო ბიჭი იყო, მხარბეჭგანიერი, ცოტა წინ წახრილი. არც შემდეგ დაემსახურებინა ღიპი რამ, დაფუკული ვაჟკაცი დამდგარიყო.

მეტადრე ელეთ-მელეთი მოსდიოდა სანდროს ხილის დანახვაზე. წითლად დაბროწილი ვაშლის ლოყები საკბეჩად იზიდავდნენ მას. ისეთის ღმობიერებით უმზერდა თურამაულს დუქნის თაბახში თუ გოდრის პირზე ეშხიანად მოწყობილს, როგორც სატრფოს გულდატყვევებული მოტრფიალე. ძალიან უყვარდა თეთრ-წითლები, გული უთქვამდა მათთვის, თვალთ უაღერსებდა მათ. ვაი, რომ

მიუწვდომელნი იყვნენ მისთვის! მხოლოდ მზერით იკლამდა ჟინს, მითი კმაყოფილდებოდა.

და თუ ოდესმე მოხვდებოდა გვერდწითელი მის გრძელ და ოდნავ მოკაუჭებულ თითებს, მშვიდობით! ისე ჩანთქამდა ქერქიან-კურკიანად, რომ ქრთილის ტოლას არ გადააგდებდა, ფერფლს არ დაჰკარგავდა.

აი, ამ ჩემ მეგობარს შევხვდი იმ დღეს. ათასი რამ ეყიდნა, ბადის ტოპრაკში ალაგებდა და თან იღმურძლებოდა. გამეხარდა, გადავეხვიე.

– გამარჯვება, სანდრო, ჩემო მეგობარო!

– გადღეგრძელოს ღმერთმა! უკაცრაოდ კი, ველარა გცნობთ.

– აღარ გახსოვარ შენი ძმობილი დათიკო იკვლივამე?!

– შენა ხარ, ჩემო დათიკო?! როგორ გამოცვლილხარ, კაცო!

– დრო გვითხრობს, გენაცვალე, დრო! შენ კი ძალიან არ დაგჩნევია ცვლილება.

მივესურვილეთ ერთმანეთს, მოვიკითხეთ. მთხოვა, მის სახლში მივსულიყავ, მისი ჯალაბი გამეცნო. ბინაც მასწავლა.

* * *

ახალწელიწად დღეს ვეწვიე, საღამო ხანზე. შემიწვიეს. ოთახი სავსე იყო ავეჯით და სუფთად მოწყობილი. ჰაზრიანი დიასახლისის ხელი ეტყობოდა. მეორე ოთახიდან ბაღლის ხმა ისმოდა. ერთმანეთს საკითხი ვკითხეთ. ვუამბეთ. სანდრო სამმართველოში მსახურებდა თურმე, საკმაო გასამრჯელოს იღებდა, თუმცა ამ ჯამაგირით ფართო ცხოვრება კი არ შეეძლო. კარი გაიღო და ლეჩაქგაფარფარებული დიასახლისიც გამოვიდა. ფაშფაშა ქალი იყო, თვალები უღიმოდა, ლოყები ეჩვრიტნებოდა; რბილი ხელი ჰქონდა, ფაფუკი. მიაბა, რომ შევხედე, გამეხარდა. კარგია, როცა მანდილოსანს ჟამის სახე არ გამოაქვს დარბაზში, თავ-პირი არ ჩამოსტირის, ზეთი არ ჩამოსდის.

– სანდრო გუშინ ძალიან ნასიამოვნები დაბრუნდა! მიაბო თქვენი ნახვა და გამომცნაურება.

– ვერ მიცნო, ჩემო ბატონო; მე კი მაშინვე გავიხსენე.

– მითხრა, ვერ ვიცან, ძალიან გამოცვლილაო; მიაბო, როგორ ძმად შეფიცულები ჰყოფილხართ პატარაობას.

ტკბილად ვიმუსაიფეთ. მთხოვა, სახლობაც გამეცნობებინა. გამომკითხა ოჯახის გარემოება, თითონაც მიაბო თავისი და სახლის ამბები. მესიამოვნა, რომ ამისთანა კარგი თანამგზავრი შეჰხვედროდა სანდროს ცხოვრების გზაზე. მეგობარიც გახალისდა, ძველი ამბები მოიგონა, სასაცილოც ბევრი სთქვა. ისე ტკბილად ვჭუკჭუკებდით სამნივ, როგორც დიდი ხნის დაშინაურებულნი.

ჩაი მოიტანეს, ნამცხვარი, სასმელები, ხილეული. მთელი დიდი მაშრაფა სამსე იყო დაკრიალებული ვაშლებით. საუკეთესო ჯიშის ვაშლი იყო და მშვენივრად შენახული; ერთი ბეწო დაშავებული ადგილი არსადა ჰქონდა. სწორედ ეს ვაშლით სავსე მაშრაფა იყო სუფრის მაზა და მშვენება.

შევუდექით. უფრო გავმზიარულდით. დიასახლისსაც უფრო და უფრო გაუნათდა სახე. ერთი მაკვირვებდა: ამ კეთილ სახეს წარბებ შუა ღრმა ღარი ასდევდა. სრულებით არ უდგებოდა, არც უხდებოდა ამ მტკიცე სახეს იგი ნაოჭი. ნეტა რამ გაღარა ესე ღრმად სპეტაკი შუბლი ქალისა?! გავიფიქრე ერთ წამს, მაგრამ მალე მივანებე თავი ამ ფიქრს: შევექცეოდით, ფიქრისთვის არ მეცალა. ეჰ, ყველა ოჯახში თითო კოჯობი დულს, ყველა ოჯახს თავისი დარდი აქვს, დავიწყნარე ჰაზრი, მაგრამ გაღვიძებულმა ექვმა აღარ მიიძინა და დავუწყე მასპინძლებს იდუმალი თვალიერება.

* * *

სანდრომ დასუნთქა ნამცხვარი. დიასახლისი ხამუმ-ხამუმ მიანათებდა მას თვალებს. ქმარი თვალს არიდებდა, თანაც ქვეშ-ქვეშ გაიმზირებოდა მისკენ; კაცის თვალში რიდი და კრძალვა კრთებოდა. გავათავეთ ჩაი, მივყავით ხელი ტკბილეულს. სანდრომ აიღო საუკეთესო ვაშლი, გაფცქვნა ნახევარი სუფთად და მომაწოდა ნაჭერი; დანარჩენს ოდნავ ააძრო აქა-იქ ქერქი, მოიმარჯვა მადიანად ხელი, გახლიჩა პირი და ვაშლის ყუნწილა შერჩა თითებში. დიასახლისმა მსწრაფლ შეანათა მას თვალი. მეუღლე უგემურად შეინძრა და შეიკუმშა.

დავლიეთ! გავხალისდით, შევქეფიანდით. ნელ-ნელა გაიტეხინა სანდრომ, გაბედა! მთლადაც აუშვა თავისი შეუკავებელი მადა, მოხსნა სახლართი უძირო კუჭს, ადლო ბაგემაფრაშა. ახლა კი მთლად დავრწმუნდი, რომ ისევ ჩემ ძველ მეგობართან ვიყავ, უცვლელ სანდროსთან. შესუსტდა ქალის თვალთა ძალა, დაჰკარგა მან გავლენა, ვეღარ გასჭრა: დაწყვიტა მეგობარმა, დაზეზდა იგი და აწ მისი შეკავება ვეღარავის შეემლო. მოედუშა სახე დიასახლისს, ჩაუღრმავებნელდა შუბლის ნაოჭი. მეც რაღაც ავმა სულმა გამიტაცა და თვითონ დავუწყე მასპინძელს შეპატიჟება; ზედიზედ ვაწვდიდი ვაშლს, მსხალს, ღვინით სავსე ჭიქას და ყველა კეთილს. ნუნუა უფრო და უფრო უტკებოდა მეგობარს. გამბედაობით აევსო გული. ენა აეცრა. მალე მოიფოთლა იქაურობა, ფსკერი დააჩნდა ჭურჭელს.

* * *

არა მგონია, იმ წუთს კეთილი გულით ყოფილიყოს ჩემზედ მშვენიერი დიასახლისი. რომ გული მომეგო მისთვის, რამდენჯერმე მივმართე მას საალერსო სიტყვით, ქათინაური ქათინაურზე ვუთხარ. მოვალბე. შუბლი გაეხსნა ქალს, ისევ გამიღიმა. რომ უფრო გამემხიარულებინა ქალი, შევაქე მისი უნარი, მისი სარისტიანობა, გამჭრიახობა. ვკითხე, როგორ ინახავს წილს თუ სხვა სანოვაგე-სანუკვარს. როცა ქალმა მიაბზო, რომ ოჯახისათვის ვაშლს შემოდგომობითვე ყიდულობს, რადგან მაშინ იაფიც არის და ადვილი ასარჩევიც, შევეკითხე:

– როგორ ახერხებთ, ბატონო ჩემო, რომ ესე მშვენივრად ინახამთ ვაშლს? თითქო დღეს არისო მოწყვეტილი!

– ადვილი გახლავსთ, ბატონო, ოღონდ კი სარდაფი ჰქონდეს ბინას: ყუთები მაქვს მომზადებული; გადავარჩევ უხინჯოებს და ჩავალაგებ წყობისად; ერთი პირი მშრალი ნახერხი უნდა ჩაიყაროს, ერთი პირი ვაშლი ჩაიწყოს და ესე თავამდინ; მერმე მაგრად დაიხურება ყუთები და სარდაფში დაიდგმება, რომ სიგრილე და მცირე ნესტი არ აკლდეს; მხოლოდ ხანდისხან გაჰხსნით, ნახერხს გაუმზევლებთ.

– ადვილი ყოფილა! სწორედ ვისარგებლებ თქვენის გამოცდილებით და მეც ეგრე შევინახამ ვაშლებს, – მივუგე მე.

– არ გირჩევ, დათიკოჯან, სწორედ არ გირჩევ! – ჩამოერია ლაპარაკში მასპინძელი.

დიასახლისს უცბად სახე მოედუშა, შუბლი ჩაუნაოჭდა, თვალბში სისასტიკემ გაუელვა.

– რატომ, კაცო?! – გავიკვირვე მე.

– რატომ და იმიტომ, რომ ვაშლის კარგად შესანახად სრულებითაც არა კმარა მხოლოდ ის, რასაც ჩემი საბედო გეუბნება.

– მაშ, კიდევ რა არის საჭირო?

- კიდევ ის არის, ძმაო, საჭირო, რომ ვაშლის ყოველ გადარჩევაზე ჩამბალ-ჩაშავებული ცალები შენ უნდა ჩანთქა.

- კარგი, გეთაყვა, ახლა შენებურ უთავბოლო ხუმრობას ნუ მოჰყვები! - შეუხმამკვანა ცოლმა.

- როგორ თუ ჩამბალ-ჩაშავებული მე უნდა შევჭამო?!

- ისე, ძმობილო, რომ რაც ოჯახს მოვეკიდე, იშვიათად თუ შემხვედრია სადი ვაშლის გაფცქვანა. შემოდგომაზე რომ გოდრებით ვიყიდი ვაშლს, სულ ბოლომდის ნელ-ნელა უნდა გავასალო დაშავებული: ყველა გადარჩევაზე დამბალს თუ დამბალს მე გადმომილაგებს ეს ჩემი საყვარელი მეუღლე, ხოლო სადებს ისევ ჩააწყობს და მაგრამ ჩაჰკეტავს! - სთქვა სანდრომ მწარის ღიმილით და ხმაზე ემჩნეოდა, რომ სწორედ თავის გულისტკივილს შემომჩიოდა.

- აბა თუ ეგრე არა, მაშ ვინ გაგამლობს შენ, ყმაწვილო?! - შენიშნა ქალმა გესლიანად და აილეწა.

ეხლა კი მივხვდი, რომ უცაბედად წამოვკარ ფეხი იმ ჯავრის კოჭობს, რომელიც დულდა მეგობრის ოჯახში; ვნახე, რომ აქ სახეირო აღარა იქნებოდა რა და წამოვდექ. მოწიწებით გამოვეთხოვე დიასახლისს, დავეუკოცნე ბუნჩულა ხელი და წამოველ. სანდრო თან გამომყვა. ბევრი ვუშალე, ბევრი ვეხვეწე, საჭირო არ არის-მეთქი გაცილება, მაგრამ ვერ შევასმინე. ეჰ, ვიცოდი პატივსაცემად არ მომდევდა მეგობარი, შინაურ ჩხუბის ასაცილებლად გამოეირიდა სახლს; მაგრამ სად წავიდოდა? შინ არ უნდა დაბრუნებულიყო?! დავემშვიდობე. გზა-გზა ისტორიული ფრაზა დამტრიალებდა თავს.

„სად ილტვის ალექსანდრე წინაშე უძლეველისა?!“

[1911 წ.]

თებერას დანიშნული

1

ერთი საწყალი მეღორე იყო თებერა, ობოლი ბიჭი, სხვის მოჯამაგირე, მაგრამ სოფლის გოგო-ბიჭებს ისე გვიხაროდა იმისი მოსვლა, თითქო უფროსი ძმა ყოფილიყოს ჩვენი, მოსიყვარულე და კეთილისმყოფელი. ხშირად არ დახედავდა თებერა ჩვენ სოფელს: ერთხელ-ორჯელ ზამთრობით შემოჰრეკავდა ღორს რამდენისამე დღით და მიატარ-მოატარებდა კარ-მიდამოზე თუ კალო-საბძელთან; ან ხევს ააყოლებ-ჩააყოლებდა, სადაც ღორი ძირხვენისა თუ სხვა ბალახის ძირსა სთხრიდა და იკვებებოდა. ღამე ღორს გომურში გამოამწყვდევდა და თითონ ოდაში მოუჯდებოდა ცეცხლს. თებერას მეპატრონე ჩვენ სოფელში არა ცხოვრობდა, მაგრამ იქაცა ჰქონდა მამული და სახლკარი. თითონ თებერა ჩვენი მეზობელი იყო და ბატონ ნუგზარს ემსახურებოდა სხვა სოფელში. გაზაფხულზე და ზაფხულში თებერა სრულებით მიეფარებოდა ჩვენ თვალიდან, მაგრამ რაკი ყანები მოიმკებოდა და ჭირნახული კალოებზე გადაიზიდებოდა. უსათუოდ გაჩნდებოდა ის ჩვენი სოფლის მინდვრებში ჩვენდა სასიხარულოდ. ღორი ნამჯაში დაუდიოდა, ჩარჩენილი თავთავით თუ ჩაბნეული მარცვლით ჰკვებავდა.

- ბიჭო, ეხლა-კი, სადაც არის, გამოჩნდება ჩვენი თებერა.

- რა იცი, კაცო, ვინ გითხრა?

- რა თქმა მინდა? აბა გახედე მინდვრებს, ათეული აღარსად სჩანს, მთლად მოწმენდილია; ამ დროს მორეკავს ხოლმე თებერა ღორს.

- მერე რამდენი თავთავი და მარცვალი ჰყრია ნამკალ-ნათიბში!

- მართლა და შარშანაც ამ დროს ედგა თებერას ღორი ჩვენ მინდვრებში.

- არა, ბიჭო, შარშან უფრო ადრე მორეკა, შიგადაშიგ ათეულები ისევ იდგა. გახსოვს, ტახი რომ გაუღორდა და ძალზე იწევდა ათეულისაკენ? ვეღარც გაჯავრებამ გასჭრა, აღარც ცემამ იმოქმედა. ჯიუტად იწევდა ძნისაკენ.

- მერე-კი, ღვთის წყალობა გაქვს, კარგი ხერხი იხმარა თებერამ: დასტაცა ტახს ხელი უკანა ფეხებში, ერთი მოქნევით მოიკიდა ზურგზე და კოლტშივე გადაისროლა გაჯიუტებული.

- ძალიან ღონიერი ბიჭი კი არის თებერა! ჭიდაობა რომ იცოდეს: მუხათელ ჯუნასაც გაუმკლავდებოდა.

და გავაზამდით საუბარს თებერაზე, გატაცებული ვლაპარაკობდით ამ ჩვენ შეუდარებელ მეგობარზე. ისეთის სიამოვნებით მოველოდით მას სოფლის ბაღლები, თითქო დიდი რამ სიკეთე უნდა მოეტანა ჩვენთვის, ან ნათელი უნდა მოეფინა ბჭყვრიალა ჩვენ ერთგვარ, ბუნდ და უფერულ ცხოვრებისათვის.

2

მართლა კარგი ბიჭი იყო თებერა და ჩვენთვის დაუფასებელი. ბუნებით კეთილი, გულჩვილი, მუდამ მოლიმარე. გაჯავრება სრულებით არ იცოდა. ვუყვარდით ბაღლები. სოფელში რომ მოვიდოდა უთუოდ რასმე მოგვიტანდა: სათითაო შვილდს, ისრებს, ქორის ფრთებს ისრებისათვის, სალამურებს, ჯოხებს თუ კომბლებს, ჭრელ-ჭრელ ქვებს და ყოველსავე საიშვიათოს, რასაც-კი მოჰხელავდა ტყეში ან ველში, მთაში თუ მდინარის პირას. ამისთანა კარგ რამეებს ყველას ჩვენთვის შეაგროვებდა, დაამზადებდა და მოგვართმევდა საჩუქრად. თითონაც დიდ სიხარულსა ჰგრძნობდა თუ ჩვენ გაგვახარებდა. ამისთვისაც მისი მოსვლა ჩვენთვის დღესასწაული იყო და მხიარულება.

ღორს ნუგზარისავე გომურში აბინავებდა. გომურის წინა ნაწილი გადაფიცრული იყო. აქ მიწის იატაკი უფრო მაღალი იყო: მიწა დაეყარნათ. გაემადლებინათ და რომ არ გადაშანშლილიყო, გარს ფიცრები შემოეწყოთ, დაემაგრებინათ. გომურის ამ ნაწილში ბუხარიც იყო. გარშემო მორები ეწყო ჩამოსასხდომად. ჭერში ყველგან გახირობილი კომბლები, კავები, ორთითები, - ყველა ეს თებერას ნაწარმოები. გარს ტყე ერტყა სოფელს, თებერა მარჯვე თვალისა და ხელის პატრონი ბიჭი იყო და აბა ისე როგორ გაუვლიდა ახლო რამე იარაღისათვის ან საციქელისათვის გამოსადეგ ხეს, რომ არ მოეჭრა და არ გამოეყენებინა?! ამას ყველაფერს თებერა დიდ განძადა სთვლიდა, იმ სანატრელ დროისათვის გამოსადეგ საუნჯედ, როცა ღმერთი უშველიდა მას და საკუთარ ოჯახს გაიჩენდა თავის აწ

თავმინებებულ და გაოხრებულ ქოხში; ჩამქრალ კერას ისევ გააჩაღებდა, სოფელში მეკომურადვე ჩაითვლებოდა. მაშინ მისი საკომიდან ამონადენი კვამლი პირდაპირ წავიდოდა ზეცისაკენ, აბელის მსხვერპლის ბოლივით თავმომწონედ! ვაჰ, რომ შესაფერი ხელსაწყო არა ჰქონდა ხელმარჯვე თებერას, თორემ ფიწლისა და ნიჩბის გამოჭრასაც შესძლებდა, არნადისა თუ კაბდოს გათლასაც მოახერხებდა. შვილდებს კი ხანჯლით გვიკეთებდა, ისრებს დანით გამოგვიჭრიდა.

- ეჰ, ბიჭო, ერთი ნაჯახი რომ მქონდეს და საჭრეთელი, რამდენ რასმე გავაკეთებდი ტყეში. აბა ხანჯლით თუ დანით რა უნდა მოვსჭრა, ან რა უნდა გავთალო! - იტყოდა გულნატკენი თებერა.

როცა ზამთრობით, მორეკავდა ღორს თებერა, ჩვენი სიხარული მაშინ იწყებოდა, ბუნების სისასტიკე ნებას არ გვადლევდა ჩვენებურად გვექროლნა აღმა თუ ჩაღმა, ცხვირებ ჩამომვებულნი ვისხედით სახლში და თებერას მოსვლა დღესასწაულის დადგომა იყო ჩვენთვის. რაკი დააწყნარებდა ბიჭი თავის საქონელს, აანთებდა ცეცხლს ბუხარში და ჩვენც შემოუსხდებოდით გარშემო. ახლა ჩვენთვის მოიცლიდა თებერა. რას არ გვიამბობდა! ტყისა თუ ველის ამბავს, მთისა თუ მდინარის ცხოვრებას, ფრინველისა თუ ნადირის ნამოქმედარს, წყლისა თუ მასში მოციმციმე მნათობთა დანაბარებს; ჩიტების მოფრენას ან წასვლას; მწერთა თუ ქვემძრომთა გულისთქმას. გვეტყოდა დათვის მოუხეშავ ძლიერებაზე, გაუმაძღარ მგლის ოინებზე და მათთან აღმასას თუ ტუგას ბრძოლაზე. გრძნეული იყო თებერა: ცხოველის საუბარაც ესმოდა, ფრინველთა ენაც, წყლისა თუ ტყის ჩხრიალ-შრიალიც შეგნებული ჰქონდა.

ხევებში და ჭაობებში მცხოვრები ფერიებიც ენახა თებერას და მათი საკვირველი ხმა და სტვენა-სიმღერა გაეგონა. მერე როგორი რწმენით მოგვითხრობდა ყველა ამას, როგორი ცოდნით! არც საკვირველია: მთელ თავის სიცოცხლეს მათთან ერთად ატარებდა ბუნების კალთაზე, იმათში იყო გართული. იმათი ნაწილი იყო და კერძი; ისე იყო მათთან დაშინაურებული, როგორც თავისიანებთან და თავის ტოლსწორთან.

- ხომ იცით, ბაღლებო, სად მიყენია ღორი ღამე, როცა ტყეში დამიდის წიფელზე შემოდგომობით? რამდენჯერ მითქვამს თქვენთვის! ტყე რომ თავდება, რამდენიმე მანძილი მარტო თხილიანი მოსდევს ხევს და ბუჩქნარი. მერე ხევი ერთ ალაგას განიერდება, მოზდილ ტაფობად გარდაიქმნება და ეს ადგილი ისევ აყრილი ტყით არის შემოსილი. აქ ერთ ალაგას წყარო ამოდის წიფლის ძირას. ამ წყაროს წყალიც და ხევის წყალიც მოფანტულია ტაფობში. დედამიწა მთლად გაჟღენთილია წყლით, ჭაობად არის გადაქცეული. ჭყანტობი დაფენილია ლელით, ბუერით, ჯორის-კუდათი. სტვირებისათვის ლერწამს აქ მოგიჭრით ხოლმე. იქა გვაქვს ალაჩოყები გაკეთებული და ღამღამობით იქ მივერეკებით საქონელს. მოხერხებული ადგილია: დიდი არ არის და ადვილი დასათვალიერებელია, ნამდვილ დიდ ტყიდანაც მოწყვეტილი. მივალთ თუ არა ბინაზე, ძაღლები მაშინვე დაურბენენ მთელ ამ ადგილს და მგელს ან დათვს-კი არა, ძირს კურდღელს და მაღლა ციყვს არ დასტოვებენ შეუყეფავად. ალაჩოყები ტყის მხარესა გვაქვს გამართული, რომ ხევ-ხევ ნადირი არ მოგვეპაროს. ღორისთვის გაკაფულ-გაწმენდილი ადგილი, გარშემო ჯაგ-ჯუგით შემოფარგლული.

- თებერავ! წაგვიყვანე იქ: არც ხომ ისე შორს არის ის ადგილი?

- კარგი, წაგიყვანთ! იცით, როდისა სჯობია თქვენთვის იქ წამოსვლა? თხილი რომ მოიწვევა, მაშინ.

- ჰო და, ბიჭო, შარშან ზაფხულს, ღვთის წყალობა გაქვთ, მე იქ შიში ვჭამე! ძალიან ცხელი დღე დადგა, ტყეც კი ველარ გვიფარავდა სიცხისაგან, ღამეც სიცხის ბული იდგა, სიო არსაით იძროდა. სიცხისაგან ჭაობი სულ ბუყბუყებდა, ბუშტებს ისროდა, შამბს ანძრევდა. უმთვარო ღამე იყო და თოფი მზად მეჭირა. მიმძინებოდა თოფით ხელში. შუა ღამე იქნებოდა, რომ ამ ბნელ ღამეში უცნაურმა სინათლემ გამომადვიმა. შევხედე, ციაგი რამ ნათელი დაჰფენოდა მთელ ჭანჭრობს. გამიკვირდა, რომ დავაშტერდი, შევნიშნე, ალაგ-ალაგს ცრიატი ალი ამოჩენილიყო, ნელ-ნელა ირყევ-ირხეოდა, მოლურჯოდ ციმციმებდა, წინწანაქარი ხომ აგინთიათ თითზე? ჰო და სწორედ იმგვარი ნათელი იყო. ის მაღალი და წვრილად ასული ნათლის სვეტები იძროდნენ, ირხეოდნენ, მიდი-მოდიოდნენ, გადაეხვეოდნენ ერთმანეთს, ისევ გაიყრებოდნენ, გამიკვირდა, ძალიანაც შევფიქრიანდი, რომ ჩავაკვირდი; ალის ყველა სვეტში ქალის სახე მოჩანდა. თმაგაშლილი ქალები იყვნენ ისინი და ანათებდნენ იქაურობას. ფერი მეცვალა: მივხვდი, რომ ალქაჯები იყვნენ! პირჯვარი გადავისახე, "ჩვენთან არს ღმერთი", ვთქვი, მაგრამ არ გაჰქრნენ ი წყეულები. ზოგმა ჩემსკენა ჰქნა პირი. ერთი დაწინაურდა, ჩემკენ წამოვიდა, მე თოფი მოვიმარჯვე აცახცახებული ხელით, მაგრამ აღარ დავცალე: ვიცოდი, ალქაჯს ტყვია ვერაფერს დააკლებდა.

- სწორედ ალქაჯები გინახავს! აბა თოფი რას ავნებდა თითონ მავნეებს და შეჩვენებულებს?

- ჯვარი უნდა გეჩვენებინა, ბიჭო, და მაშინ გაქრებოდნენ.

- ჰაი, თუ მქონოდა ყელზე ჯვარი, კი ვაჩვენებდი, მაგრამ სად იყო დალოცვილი? აი ეს ეხლადა ვიყიდე მეწვრიმანისაგან, - სთქვა თებერამ და გვიჩვენა ყელზე ჩამოკიდებული სიწმიდე.

გვიამბობდა თებერა ამისთანა საკვირველებას და თმა ყალყზე გვიდგებოდა მსმენელთ, შიშის ჟრუანტელი გვივლიდა. გოგოები ხომ ვერხვის ფოთოლივით თრთოდნენ და გაფითრებულნი ეკროდნენ ერთმანეთს. მეტადრე შეშინებულიყო გზირიანთ ეონა. ისეც ფერმიხდილ გოგოს მთლად ნაცრის ფერი დასდებოდა სახეზე. თვალეები უელავ-უბრწყინავდა. ისეც ჯალჯივით თმა აბურძგნოდა. თებერა როგორღაც დაჟინებით ჩაკვირდა ეონას.

- იცით, ბიჭებო? ჩემკენ რომ ალქაჯი მოდიოდა, სწორედ ესეთი გაფითრებული სახე ჰქონდა და ესეთი თვალეები, როგორც აი ეონას. თმაც ესეთივე ჰქონდა გაშლილ-გაბურძგნილი! - სთქვა განცვიფრებულმა ბიჭმა და ეონას კრძალვით თმაზე ხელი შეახო.

მივიხედეთ იმისკენ. გოგოს მთლად დაჰკარგოდა ფერი, სისხლის ნასახი აღარ ეტყობოდა სახეზე. თვალეები დაჰგანიერებოდა შეშინებულს; შუქი რამ ციაგი გამოჰკრთოდა მის თვალეებიდან.

- სწორედ ეონასა ჰგვანდა ის ალქაჯი, მაშინ რომ მეჩვენა! - გაიმეორა ჩაფიქრებულმა თებერამ და ისევ განცვიფრებული დააკვირდა შემკრთალ-შემძრწუნებულ გოგონას.

ამის შემდეგ აღარც მიეფარა ეონას სახე თებერას გონების თვალიდან. წაუშლელი დაღივით ამოიწვა მისი სახე ვაჟის გონებაში.

- მერე კაცო, მერე?

- მერე და მოდიოდა ჩემკენ ის ალქაჯი და მიზიდავდა მიძახოდა: მოდი ნუ გეშინიან, ჩემი ხარ, ჩემიო. ისეთი ტკბილად მეჩვენა მისი ხმა, როგორც სალამურის სტვენა; მისმა ძახილმა რბილად დამიარა ტანში და გამათბო; მთლად მიმიზიდა იმისმა ღიმილმა. უნებლიეთ წავედი მისკენ. ვიცოდი, ხელს მომხვევდა და დამლუპავდა; მაინც მისკენ მივდიოდი: მიამებოდა და მივიწევდი. უეცრად გაისმა თოფის გრიალი და ძაღლების ყეფა. შევკრთი, ბურანს გამოვერკვით. ალქაჯი გაჰქრა. ზედ ფლატის პირად ვიდექი. სხვა მელორესაც შეენიშნა ალქაჯები და შეშინებულს თოფი დაეცალნა.

4

გზირის გერი იყო ეონა, მის მეორე ცოლს მოჰყვა თან. რაც თავი შემესწავლა, სულ გზირობაში მენახა კაკლუა. არა სცვლიდნენ: უკეთეს გზირს ვერც იშოვნდნენ. საშინელი ავლანი ადამიანი იყო ის გზირი, მისი ყვირილი სოფლის თავიდან ბოლოში გაისმოდა; ყოველთვის ხმამაღლა ლაპარაკობდა, ომხიანად. სიტყვას თავისებურად ადასტურებდა, თავისგან შეთხზილ-შემუშავებულ გინებით; ნათქვამს სახრის წვერით ჰბეჭდავდა და ამტკიცებდა. სახრე განუყრელი თანამგზავრი იყო კაკლუასი, ყოველთვის მასთან მყოფი, მის ილღიაში თავ-შეფარებულ-ჩათბუნებული. რომ იტყოდა და ნათქვამს განმარტავდა, თან მარჯვედ და ხელოვნურად აათამაშებდა გველივით მოქნილ იფნს, ეშხიანად ჰზნექავდა მას წელში, გამოცდილი ხელით უმარჯვებდა მობაასეს, თუნდ მასთან მეგობრულად მოლაპარაკეს. შეჩვეული ჰქონდა მარჯვენა! თანამდებობის ასრულების დროს უთვალავჯერ ეცადნა ურჩის ზურგზე იგი სახრე, ბევრსა ჰქონდა ნაწვნივი იმ სახრის სიღბო, სიმარჯვე, სიკისკასე და გამჭრიახობა.

გზირობას ოჯახიდან გაექსუვებინა კაკლუა, ბეჯითად მუშაობაზე ხელი აელებინებინა; შესჩვევოდა კაცი მუშაობის გაწყვეტას უდროვო დროს და უადგილო ადგილას, მთლად მის თავმინებებასაც. მოუვიდოდა ბრძანება, ისიც აიჩრიდა ილღიაში სახრეს და დაწანწალებდა კარის-კარს თავის სოფელში თუ ხევგაღმა მეორე სოფელში, რომელიც მისსავე საბრძანებელს შეადგენდა. ბოლოს მთლად შეექვსა კაკლუა საქმის ხელიდან დაგდებას; ხშირად თავს ანებებდა თვით გასაჭირ საკეთსაც და გადაერგოდა რომელსამე უბანში, თუნდაც არავის დაეძახნა მისთვის, არც არავითარი საგზირო საქმე ყოფილიყო სოფელში. თუ შინაური ვინმე გაუბედავდა რასმე, ღრიანცელს მორთავდა საშინელს, ერთ აურ-ზაურს ასტეხდა.

პირველი ცოლის დროს მის სიტყვას ოჯახში მაინცდამაინც დიდი ფასი არა ჰქონდა, არც გასავალი; მისი ანჯახი თქმა, თუნდ ძახილი უბრალო რყევა იყო ჰაერისა და გუგუნის. მარჯვე მეუღლე არაფერში არ ჩამოუვარდებოდა ქმარს და არამც თუ უსწორებდა უღელს, წინაც იწევდა: თოქმა, ორმაგი, ძვალმსხვილი, თვალეზ

წამოკაკლული, მარად ჟამს აზეზილ-ატკრეცილი მარინე შიშისა და მორჩილებისათვის არ იყო გაჩენილი. ოჯახს ჯარასავით ატრიალებდა თავის ღონიერი მკლავით და ქმარიც ისევე ასდევ-ჩასდევდა მის ჯარის ტრიალს, როგორც სხვა ყველა მის სახლში. მაგრამ რადგან სიკვდილი თვით მარინეზედაც ძლიერი გამოდგა და დაამკვიდრა იგი წიაღთა შინა სარრაიასა თუ რებეკასი, ხოლო კაკლუამ მეორე ცოლი მოიყვანა, გზირის ანჯახობამ ოჯახში ფართოდ განმარტა ფრთები. ახალმა ცოლმა სიტყვის შებრუნება ვერც გაბედა, ვერც შესძლო. თხელი ქალი, სუსტი, მოკრთალებული ვერ შეჰმართავდა ორ სოფელთან ბრძოლაში გამოცდილ-გამოჯეკილ ვაჟკაცს. ენაც მოკლე უნდა ჰქონოდა. ჯერ მადლობელი უნდა ყოფილიყო ახალი ქმრისა, რომ ახალგაზრდა ქალი იხსნა ქვრივ-ობრობისაგან, გარდა ამისა ქალი მოჰყვა თან და ფრთხილად უნდა ყოფილიყო, რომ მამინაცვალს ავი თვალით არ შეეხედნა გერისათვის, არ აეძულნა ის და არ გაემწარებინა მისი სიცოცხლე. შრომობდა დედაკაცი ახალ ოჯახში, თავჩაღუნული მუშაობდა, არაფერ საქმეს არ ერიდებოდა, სრულებით არ ზოგავდა თავის სუსტ ძალ-ღონეს. ქმარმა ისარგებლა ამ გარემოებით და ნელ-ნელა აეშვა საქმეებიდან, მთლადაც გამოეშვა საოჯახო მძიმე უღლიდან.

კაკლუას გერი ეონაც უსარგებლო არ იყო ოჯახისათვის. არც მეტი ბარგი. დედასავით თხელი და ჩია გოგო დედასავით ხატრიანი იყო და გამრჯელი. მართალია, მძიმე საქმეს ვერ ებრძოდა, მაგრამ წვრიმანი საქმე ძალიანაც ეხალისებოდა, კიდევ ემარჯვებოდა ყაისნალი ხომ მისი საყვარელი იარაღი იყო. მძიმე საქმეს იმისთვის ვერ ებრძოდა, ჯანი არ მოსდევდა ბეჩავს. ამაზე ჯავრობდა მისი მამინაცვალი, დედასაც და შვილსაც აყვედრიდა, სუსტები ხართ, ცალპირად ნაქსოვები და საგლეხო საქმის შეუფერებელი. ერთი კიდევ იმაზე უჯავრდებოდა კაკლუა თავის გერს, რომ გოგოს არ შეეძლო ფეხშიშველა სიარული. კაბა-თავსახური რომ დაბდღვნილი ჰქონდა და დაკონკებული, ფეხთ უთუოდ უნდა სცმოდა ჩუსტი თუ მესტი და ყელიანი წინდები.

- აზნაურის ქალი ბრძანდები და როდი გეკადრება ფეხშიშველა რბენა! - აყვედრიდა მამინაცვალი, რადგანაც ეონას მამა, საიდანლაც გადმოვარდნილი კაცი, აზნაურობის მამიებელს ეძახდა თავის თავს და საბუთის ქალაღდები მარად ჯიბით დაჰქონდა.

ჰკვიანი გოგონა კი იყო ეონა, მიხვედრილი; წიგნსაც კითხულობდა ჩათვლით; ზღაპრები და ამბები პურსა და წყალს ერჩივნა. მაგრამ ერთი ცუდი ზნე სჭირდა: უდროვო დროს იცოდა გაშტერება. ცოცხით ხელში, ან სურაწამოკიდებული მიაჩერდებოდა რასმე დედამიწაზე თუ ჰაერში, იდგა გარინდებული, თვალეზდაკარგული, შესტრფოდა რაღაც ჭრელ ხილვას, სანამ ვინმე არ შეუტყვდა და არ გამოარკვევდა ოცნებიდან. ამაზე ფიცხდებოდა ეონას მამინაცვალი და ცეცხლდებოდა; ამაზევე დავცინოდით ეონას ყველანი, თორემ სხვად გვიყვარდა ის და უფრთხილდებოდით თამაშობის დროს, თუ საერთო მუშაობაში. სუსტი იყო და მაშ რა უნდა გვექნა? ეს ეონა იყო, თებერამ რომ ფერიას მიაძგავსა და ასე უეცრად შეაკრთო და გააოცა.

უჯიშო კაცი უდროვო დროს გიღალატებს და უადგილო ადგილს! სწორედ უჯილაგო ადამიანი გამოდგა ჩვენი მოჯამაგირე გელა: მარჯვე და ხალისიანი არას

დროს არ ყოფილა, არც კეთილი. მაგრამ რაკი ზაფხულის სიცხემ დააჭირა და სამუშაო გახშირდა, ტვინი მთლად აემღვრა, გაავკაცდა, გაბოროტდა. აღარც საქონელს ინდობდა, აღარც სამუშაო იარაღს თუ მოწყობილებას; ბუზლუნებდა, ქვემ-ქვემ გამოიყურებოდა, საქმეს უგულოდ ეკიდებოდა, შანშლამდა.

- ჩვენი მოჯამაგირე ღალატს აპირებს ამ გაჭირვების დროს: ან გასვლა უნდა ჩვენგან, ან ჯამაგირის მომატება ჰსურს, - სთქვა მამამ და კალმუხის ქუდით შუბლი მოიწმინდა.

- გაგვტანჯა მაგ უჟმურმა ბოლო დროს! წყურვილით რომ ვიხრჩობოდეთ, კოკით წყალზე ვერ გაგვიგზავნია, მთელი საქმე მოახლეს აწევს თავს. დავითხოვოთ! - გადასჭრა დედამ.

- აბა მკისა და კალოობის დროს ვილა ვიშოვოთ, რომ ეგ დავითხოვო? შემოდგომაზე, ღვთის წყალობა გაქვს, ბევრიც შემოგვეხვეწება, მაგრამ ეხლა ძნელია. ეჰ, მაინც ხეირი აღარ გამოვა ეხლა მაგისგან! ნეტა მეკალოვეს ვიშოვნიდე ვისმე.

ამ ლაპარაკში იყვნენ ჩვენები, რომ ძაღლის ყეფა მოგვესმა და ვილაცამ დაგვიძახა:

- სტუმარი არ გინდათ?

- მობრძანდი, სტუმარი ღვთისაა! - მიუგო მამამ.

გავედით დერეფანში. წვრილფეხობაც თან გამოგვეყვა. კარებში თებერა იდგა, გულა-ნაზად აკიდებული, ჩომბახით ხელში. გაგვეხარდა. შემოვიწვიეთ. დავსვით, მოვიკითხეთ. მოგვიკითხა. გამოგვიკითხეთ ამბავი. ყავლი გასთავებოდა მეპატრონესთან და აღარ მოესურვა მასთან მოჯამაგრობა.

თებერა ადრიდანვე იმის ნატვრაში იყო, თავისი აოხრებული და ჩაჩუმებული კარ-მიდამო ისევ აღედგინა და აეხმაურებინა, კარგამოკეტილი სახლი საცხოვრებელ ბინადვე გარდაექმნა, ოჯახი გაეცოცხლებინა, კერის ანგელოზი გაედვიძებინა და ისე პატიოსნად განეგრძო მეკომურობა, როგორც პატიოსნად ეცხოვრნა მის მამა-პაპას. ეხლა ბიჭმა უკვე თავზე ხელი მოისვა: დავაჟკაცებული ახალგაზრდაა და თავისით ცხოვრებაც შეუძლიან. რაღა საჭიროა სხვის კარს მოჯამაგრობა? ობოლ-ოხრობაში დახშულ სახლის კარს გააღებს, ბახჩას შეღობავს და შეამუშავებს, თავის ნაჭერ მიწას როგორმე მოხნავს, იშრომებს დაუზარებლივ და ღმერთი უშველის. რასაკვირველია, პირდაპირ სახლში ცხოვრებას და მეკომურობის გაჩაღებას ჯერ ვერ შესძლებს, რადგან ოჯახს ახლად მოწყობა უნდა, ხოლო მოწყობას ბევრი საფანელი. თავის სახლში ბინის დადება-კი შეუძლიან. ჯანს გარჯის, დღიურად იმუშავენ და საზრდო გამოუღეველი ექნება. თანაც თავის სახლს მიხედავს საღამ-საღამოობით თუ კვირა - უქმეებში, გასასწორებელს გაასწორებს, გასამართს გამართავს, ჩამოქცეულს შეაკეთებს და ყველაფერს კეთილად წარმართავს. დასასვენებლად არ დაანება მოჯამაგრობას თავი, ან საზარმაცოდ! ეხლა უფრო მეტს გარჯის ჯანს და მეტს იშრომებს. მაშ რა ექმნა ახალგაზრდას, როდესაც გულმა ველარ გაუძლო სხვაგან, როდესაც სულ მამა-პაპის კერისაკენ იწევდა?

სხვა ძალაც იზიდავდა ეხლა თებერას თავის სოფლისკენ: იქ ეგულებოდა თავისი ალქაჯი, თავის სურვილთა ჯერ გადუფურჩქნელი კოკორი. ეს ანდამატებრივი ძალა იზიდავდა მას, თუმცა ჯერ თვით მისთვისაც გამოურკვეველი იყო და საიდუმლოებით მოცული.

- ჭკვიანი ბიჭი ხარ, კარგად გიფიქრია! ნიადაგ ძვირფასია საკუთარი კერა: თავის სახლში ადამიანი თავისუფალია, თავის თავის კითხული, სხვის ოჯახში-კი ფუფუნება-კი იგივე მონობაა აუტანელი, უთხრა - მამამ და დედას გადახედა.

დედა მიუხვდა სურვილს და თავისი აზრიც ანიშნა. ეს ნიშნებით საუბარი ისე სწრაფად მოხდა, როგორც ელვა. თებერამ ვერაფერი შენიშნა, მე-კი მაშინვე გავიგე, რაც უთხრეს ერთმანეთს: ვიცოდი მათი საუბრის ჰანგი.

- კარგ კაცს კარგი აზრი მოგსვლია! ეხლა სწორედ მოხერხებული დროა დღიურად მუშაობისა, გამრჯელი მარჯვენა კარგადა ფასობს და ყველასაც გვიჭირს მუშა ხელი ამ არდადეგებში. აი მეც მეკალოვე მინდა და მოდი ჩემთან იმუშავე დღიურად კალოკრეფამდის!

თებერას იამა სიტყვა. შეთანხმდნენ. ძალიან გამეხარდა ეს ამბავი. თებერასაც გაეხარდა, რომ პირველი ნაბიჯივე მარჯვედ გადადგა. სულ პირი უღიმოდა გულკეთილს.

6

თებერას უფრო იმისთვის გაეხარდა ჩვენთან მეკალოვედ დადგომა, რომ მისი სახლ-კარი ჩვენს ახლო იყო. ჩვენი კალო თუ კარმიდამო ზედ დაჰყურებდა მას. სადაც დღეს რომ ჩვენთან იმუშავებდა და მხოლოდ დასაძინებლად წავიდოდა შინ, კვირა-უქმე მთლად მისი იყო; თავის საკუთარ სახლში მიდგებ-მოდგებოდა. მის ქოხმახს ძლიერ ეჭირებოდა მომვლელი და ჭირისუფალი: უპატრონო სახლს ბოროტნი დაჰპატრონებოდნენ, გაექელ-გაენადგურებინათ: ასაგლეჯ-გასატანი ყოველივე გაეტანათ, დასანგრევ-წასალები გაეფუჭებინათ თუ წაეღოთ; იქაურობა არ დაენდოთ გავევრანებინათ, აეტირებინათ სახლ-კარი. ყველა ამას გასწორება უნდოდა, აღდგენა, გაკეთება. ეხლა-კი ცრემლი შეაშრება თებერას სახლის ანგელოზს: მოსიყვარულე პატრონი დაუბრუნდა სახლს და დაუღალავი მშრომელი! ეხლა სახლი ისევ წარმატების გზას დაადგება, ჭერ ქვეშ ისევ სავსება დაივანებს და სიხარული დაისადგურებს.

სოფელსაც გაეხარდა თებერას დაბრუნება. მხოლოდ მისი ბიძა დემეტრე იყო წყენით: გულხარბს თებერას წილი სახლკარი თუ ბაღ-მინდორი თავის კერძად მოსჩვენებოდა და სახლში დაბრუნებულ ობოლს მტრად მოჰკიდებოდა, თითქო თებერას რამე წაერთმია მისთვის. გულმართალი და მოსიყვარულე თებერა არა ჰხედავდა ამას. ბიძის ავობა დაჰვიწყებოდა და პატივისცემით ეპყრობოდა მას.

სოფლის სამდივნოს წინ ხალხი შეყრილიყო და ყაყანებდა, სამართალს ეძებდა, ასამართლებდა, ედავებოდა, ჩხუბობდა, ილანძღებ-იგინებოდა, იქოქებოდა, ფიცულობდა, ურიგდებოდა. კვირა დღე იყო და უღლიდან გამოშვებული ხალხი ენას ანძრევდა, ქარს იღებდა, გულის ბუხარს ყრილობდა, ტვინს ავარჯიშებდა, აზრსა ჰმახავდა. თებერაც იმათში იყო, წვერ-ულვაშ ახლად ამობიბინებული. იმედიანად

ნაგები, ორმაგად ნაქსოვი ამაყად იდგა კრებაში და თავმომწონედ: დღეს ის სოფლის ყრილობაში გარეულიყო, როგორც სოფლის მეკომური და მოსახლეთა თანასწორ-თანაბარი. ეხლა სხვის მონა-მოსამსახურე-კი აღარ იყო თებერა, თავისუფალი კაცი იყო, თავის თავის ბატონ-პატრონი; ეხლა ის ყველასაგან დაბრიყვებული ობოლი კი აღარ იყო, ყველასაგან ხელის წამოსაკრავი, ვაჟკაცი იყო, თავის მიწა-წყალზე დამდგარ-დასახლებული, თავის ჭერ-ქვეშ დაბინავებული, თავის მშრომელ მარჯვენაზე დანდობილ-დაყრდნობილი. ეს გრძნობა ამაყ შეხედულებას აძლევდა მას, მიმზიდველად ჰქმნიდა მის კეთილს და გამომეტყველ სახეს.

- კაცო, თებერავ, ერთი წინ წამოდექი, შე მამაცხონებულო, რომ გნახოთ და დაგინახოთ! - მიჰმართა გზირმა თებერას და ხალხის ყურადღება მიაქცია.

თებერა ცოტა შეწითლდა, მაგრამ თავისუფლად და გაბედვით წარსდგა - წინ ნაბიჯი. გზირმა ახედ-დახედა და თვალში მოუვიდა სუფთად ჩაცმული მოლიმარე ახალგაზრდა.

- მაგარი ბიჭი დამდგარხარ, მე და ჩემმა ღმერთმა, და შნოიანი! სწორედ სოფლის შესამატია ამისთანა მეკომური. მაგრამ შენ, ეი! სოფელში რომ ჩამოდექ, მხარშიაც უნდა ამოუდგე სოფელს: ხარჯი-ბორჯი, მღვდელი თუ ერი, საყდარი თუ სკოლა, - ყველაფერი ჩვენ გვაწევს კისერზე და მხარი უნდა დაგვიჭირო, უნდა შემოგვეშველო, პატარა-კი აღარა ხარ, ვაჟკაცი ხარ მოწიფული! - ეუბნებოდა გზირი თებერას და მოქნილ სახრეს მარჯვედ გარს უთამაშებდა მას: ხან მარჯვნივ დაუღერებდა, ხან მარცხნივ, მის წინ ჰაერში სწმახნიდა; ბეჭებისკენ თუ წვივებისკენ მიუზომ-მიუქნევდა, მოსხლეპილი თებერა-კი წარბშეუხრელი იდგა მოლიმარე და დინჯად დასცქეროდა მოსაუბრეს.

- დღეის ამას იქით ისევ სოფლის შვილი ვარ და სოფელია ჩემი ღონე! თქვენთან მიგულეთ ჭირშიაც და ლხინშიაც; ღმერთმა ნულარაფერში გამომარჩიოს სოფლიდან!

- ბარაქალა, ბიჭო!

- გეტყობა კარგი მამის შვილობა და!

- კვიცი გვარზე ხტისო, იტყვიან.

გამოეხმაურა თებერას მის პასუხით ნასიამოვნები ხალხი.

- მა რა! უნდა ჯანი გაიგდებინოს და მხარში ამოუდგეს სოფელს: ეყო, ძმავ, ამდენი თარხნობა! - ამოიღო ხმა თებერას განაყოფმა.

- არა, ღვთის წინაშე, თებერა არც აქამდის იყო თარხანი: ყველაფერს რიგზე ვახდევინებდით, ჯამაგირს ვუჭერდით, თუმცა მცირეწლოვანიც იყო და ვერც თავის მიწა წყლით და სახლ-კარით სარგებლობდა: სხვები ეტანებოდნენ მის მამულს, სხვებს ეჭირათ ის და სარგებლობდნენ. - გადაჰკრა გზირმა სიტყვა თებერას ბიძას და მარჯვედ შეათამაშ-შემოათამაშა მისკენ გაწვდილი სახრის წვერი. მერე მიჰმართა ისევ თებერას:

- ბიჭო, ისე კი არა ჰქნა, რო კერა არ დაგვალოცვინო! მღვდელს იაზმა ახდევინე, დედ-მამა მოიხსენიე, სახლის ანგელოზი გაახარე.

- კარგი კაცი ყოველთვის ჭკვიან სიტყვას იტყვის! - დაურთო სიტყვა ნაცვალმა.

- ბატონი ბრძანდებით! ჩემი სახლის კარი ყოველთვის ღიაა კარგი კაცისათვის, - მიუგო თებერამ.

7

საკალოვე დარი იდგა დალოცვილი. მთლად მოწმენდილ. ლაჟვარდ ცაზე მზე ამყად მიცურავდა და უხვად აფრქვევდა ბჭყვრიალა სხივებს, უანგარიშოდ. არავისთვის არა ჰმურდა ნათელთა დიდებულ შესაკრებელს არც შუქი, არც სითბო, მიმოაპნევდა მეუფე ცისა ყოველსავე სიკეთეს სავსებისაგან თვისისა. გავარვარებული ჰაერი ლაპლაპებდა და თვალსა სჭრიდა. გაფიცებული ჭირნახული კვერ ქვეშ ანაზდად იფშვნიტებოდა, იქუმლებოდა. სამი კვერი ტრიალებდა ჩვენ კალოზე. მოჯამაგირე, მეკალოვე თებერა და ჩვენც ყველანი დიდიან-პატარიანად კალოს ვეხვეოდით, შევტრიალებდით, შევხაროდით. ისეთ ოროველას დასძახოდა თებერა, რომ მისი ხმა ქვემო უბანსაც ეფინებოდა. ყოველთვის ხალისიანი და მხიარული თებერა დღეს ეშხითაც იყო მთვრალი და სურვილით არაკრავებდა რჩეულ ლექსებს. ჩვენ აგვიყოლია თებერას მადლიანმა მუშაობამ შუბლი გაგვიშალა, აგვაჟივჟივ-აგვახმაურა. მხოლოდ ჩვენი მოჯამაგირე უფრო და უფრო იღრუბლებ-იღუმებოდა: ჯავრი აღრჩობდა გულჩახვეულს, რომ ღრძო აზრი გაუცრუვდა და მუხრუჭი ვერ მოგვიჭირა გაჭირვებულ მუშაობის დროს.

- რა გახტუნებს, ბიჭო, ან რა გამღერ-გამხიარულებს ამ სიცხე-პაპანაქებაში, ჯოჯოხეთურ მუშაობაში?! - შეუტია აბრამამ თებერას.

- რას ამბობ, კაცო?! ღმერთმა მოსავალი მისცა ქვეყანას, კაცის საზრდო თუ საქონლის საკვები ფეხქვეშ გვიშლია და რა მაქვს დასალონებელი?

- განა შენია ჭირნახული, სულელიო?!

- ჩემიც არის და შენიც! ვმუშაობთ და კერძი ჩვენც გვერგება; თუ არაფერი იქნებოდა, ჩვენ რაღაზე ვიმუშავებდით?

თებერას გულწრფელადა სჯეროდა, რომ დღეს მისი განსაკუთრებული ხალისის მიზეზი უხვი სამუშაო იყო და ბრწყინვალე დღე. ვერ გაეთვალისწინებინა ჭაბუკს თავის გადამეტებული მხიარულების ნამდვილი მიზეზი. მართალია, როცა სოფელი სავსეა დოვლათით, სოფლის შვილიც იმედიანად არის და მხიარულად, მაგრამ დღეს თებერას დიდი ხალისის უმთავრესი მიზეზი სხვა იყო: იმისათვის გაჰნათებოდა მას სახე, იმისთვის ვეღარ შეეკავებინა პირზე ღიმილი, იმისთვის ამღერებულ-აჭიკჭიკებულები იყვნენ ის, რომ ერთ-ერთ კვერზე ეონა იდგა. თებერას კვერი რომ მარცხნივ უვლიდა კალოს, ეონას კვერი მარჯვნივ მოსრილობდა. გოგოს სიახლოვე მაგრილებელ ნიადად ეფინებოდა ახალგაზრდას, გამაცოცხლებელ ნამად ეპკურებოდა მას და გამოუთქმელ ნეტარებას ჰფენდა მის გულს. ეონას სიახლოვე ლომისებურ ძალას სძენდა და ქალის გვერდზე შრომა თამაშობად მიაჩნდა მას, დღესასწაულად. კვერები რომ

შეხვედებოდნენ ერთმანეთს და ეონა მიაპყრობდა მას ოცნებათაგან გატაცებულ ბიჭისათვის საოცნებო თვალებს, ახალგაზრდას მზე ამოსდიოდა, სულის მანათობელი.

- ფერიის თვალებია, ალქაჯისა, და მოდი ახლა გაუძეულ შენ მათ მიმზიდველობას!

ეონას აზრუმული წითელი ჩუსტები საბძელთან დაეყარნა და გრძელ-ყელიან თეთრ წინდებით შემდგარიყო კევრზე. თეთრივე კაბა ეცვა პირისფრად დაწინწკლული, დაფოთლილი რამ თავის ჩითი ეხვია ჩარდახულად. ფეხსაცმელში ნაზარდი ფეხი სუფთა იყო და პატარა. ბიჭს სულ პაწაწად ეჩვენებოდა იგი ფეხი, სათუთად უბეში შესანახ-საალერსოდ. რა, ვუყოთ, რომ კაბა ჩაჰხეოდა ჩაქებად?! თვალს კიდეც უხაროდა ეს: შიგნით შეჭვრეტას ვეღარ უშლიდა. გამხდარი, ყლორტივით ასული ტანი რხევით მოსრიალებდა კევრთან ერთად და მსწრაფლ გადასამტვრევად იზნიქებოდა კევრის ყოველ მოცურებაზე. ვგონებ ნიავსაც-კი შეეძლო გადაზნექ-გადალეწვა! მკრთალი, მიმქრალი სახე, მიტაცებულ-მიბზნედილი თვალები, თითქმის ფერფლის ფერი ხუჭუჭა თმა ჰაეროვან შეხედულებას აძლევდა გოგონას. მთელი არსება ქალისა იზიდავდა თებერას, როგორც რამ ალქაჯი გრძნეული, და თან უსაზღვრო სიბრალულს იწვევდა ახალგაზრდის გულში. ოო! ეონა თებერას ფერია იყო, ნაზი, სუსტი, ჰაეროვანი. როგორ შეიძლებოდა მოუხეშავად მისი შეხება. მაგრამ ნეტა რად იყო .იგი ფერია ესე ძლიერი და დამმონებელი?!

- სწორედ მშველელი მარჯვენა უნდა საბრალოს და მფარველი. ვინმე მარად გარს უნდა უვლიდეს მას, თავს ევლებოდეს. ისეა მისთვის ზრუნვა საჭირო, როგორც მოვლა ჩვილისათვის, თორემ გადატყდება წელში, როგორც ყვავილის ღერო რამ ნორჩი, და დაკვნება უდროვოდ, ჩაშავდება, - ფიქრობდა თებერა.

და უნდოდა შეჰხვეწნოდა ქალს, რომ ჩრდილოს შეჰფარებოდა ის, მაგრამ თანაც ვერ ეთმობოდა, ძალიან უნდოდა გვერდით ჰყოლოდა თავისი ეონა.

- ხიოო, ხი! - შეაყენა თებერამ კევრი, როცა დაუსწორდა ეონას და წინ გადაეღობა ქალის ხარებს. - აპეური უჭერს ამ დალოცვილს! - სთქვა ბიჭმა. გამოხსნა ხარი, გაუსწორა უღელი, ისევ გამონასკვა აპეური, ჩამოართვა ქალს სახრე და მხარი შეუცვალა კევრებს.

ხერხი იყო ეს თებერასაგან მოგონებული, თორემ არც უღელს და არც აპეურს არაფერი გასწორება არ ესაჭიროებოდა. მაშ რა უნდა ექმნა ბიჭს, როცა ძალიან მოუნდა გოგოსთან მიახლოება?! სახრე რომ მიაწოდა ქალს და ხელი ხელზე მოავლო, თბილმა ელვამ დაურბინა ტანში, სურვილი ყელში ბუშტად მოებჯინა. ბედნიერებამ შიგ თვალებში ჩახედა ჭაბუკს.

ეონამაც იგრძნო, რომ უღლის გასწორება, თუ კევრის შებრუნება მომიზეზება იყო უბრალო, რომ ბიჭი მხოლოდ მისთვის გადმოხტა კევრიდან, რადგან მოუთმენლად მოუნდა მასთან მიახლოება და მისი შეხება. ესმოდა ეხლა ეონას ეს ყველაფერი, განა პატარადა იყო! მადლობელი დარჩა გოგო მოხერხებულ ბიჭისა: მისი გულიც ამ სურვილით იყო გამსჭვალული.

- ახ, - ფიქრობდა გოგონა, - რა ბედნიერება იქნება მისსავე კვერზე მის გვერდზე დგომა, მის ძლიერ მკერდზე მისვენება და უზრუნველად თავის დავიწყება მთლად ბოლომდის, სიკვდილამდის!

გული მოუღბა ქალს და იგი გონების თვალთ უკვე დაენდო დასასვენებლად ბიჭის იმედიან მარჯვენას, მიეყრდნო მის ძლიერ მკერდს და დამონებულმა, მთლად დაწყნარებულმა, თავისუფლად შეაცურა ფიქრთა ნავი ოცნებათა კამკამ ზღვაში. სუსტი არსება იყო ეონა, თითონაცა გრძნობდა თავის სისუსტეს; ხედავდა კიდეც გარემო ცხოვრების სიმკაცრე-უგულობას და მისაყრდნობელი რამ სიმტკიცე იზიდავდა ფათალოსავით, რომ თავს შემოჰკვლებოდა მას, გარს შემოჰხვევოდა, მტკიცედ ჩასწმახნოდა და შეერთებინა თავისი პიროვნება მისთვის. მთლადაც შთაენთქა იგი თავისი პიროვნება მის ძლიერ და იმედიან არსებაში.

8

პატარა აღარ იყო ეონა, აგერ თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ქალი იყო. სუსტი აგებულების გოგონა, მართალია, ტოლ ქალებთან შედარებით დასრულებული არა ჩანდა, არც ჯერ ქალობაში ჩავარდნილი, მაგრამ წლოვანების კვალობაზე-კი მოწიფულ ქალწულად ჩაითვლებოდა, საპატარძლოდ. კარგა ხანი გავიდა მას აქეთ, რაც პირველად მიაქცია თებერამ ეონას ყურადღება და მას აქეთ გაიზარდა ქალი, საროსავით მაღლა-მაღლა წავიდა. გაბურძგვნილი თმა ეხლა ჩაწნული ჰქონდა და ლახტებივით ნაწნავები წელზედა სცემდა; ბაგე ეშხით ევსებოდა და საკოცნელად ეპობოდა, მკერდი უფუფდებოდა და გრძნობათა შესაკრებელნი ბორცვდებოდნენ ზედ: ახლად გაღვიძებულ-გაღვიძებული სხეული ფშოდა სუნნელად, ატკობდა ყნოსვას და თვისკენ იზიდავდა სურვილებს. მაგრამ თითონ ქალის არსებაში მძლავრი ნდომა მაინც ჯერ ვერ გამოფხიზლებულიყო, ჯერ არ აემაღლებინა ხმა მბრძანებელი: იგი ჯერ ისევ იშმუშნებოდა, ნელ-ნელა იღვიძებდა და ერკვეოდა. ამისთვის იყო, რომ ეონა ისევ გულგრილად ეპყრობოდა მოტრფიალებს და მათ მაცთურად თუ ნდომით შეხედვას, ან ორაზროვან სიტყვას თუ შეხებას გოგო ისე მეამიტად და გულუბრყვილოდ უყურებდა, თითქო ამგვარ მოძრაობათა აზრი სრულებითაც არ ესმისო. ამით გულს უსიებდა ახალგაზრდობას, ჯავრზე მოჰყვანდა და თავის უნებლიეთ და შეუგნებლად სურვილს უფიცხებდა მათ, უძლიერებდა.

- ბიჭო, ეს ეონაა რაღაც, სწორედ ხექალაა, უსისხლო! იმ დღეს ჯერ სიტყვა გადავუგდე, მერე ხელი მოვკიდე და უნდა მეკოცნა, მაგრამ ისე წყნარად და ცივად ამალებინა ხელი, რომ მევე შემრცხვა ჩემი საქციელისა და თავი დავანებე.

- არა ჰგავს ნახატაანთ ბაბოს: ერთ შეხედვაზე თონესავით ვარვარდება, იმის ჯანის ჭირიმე!

- მაღლი-კი იქნებოდა, მე და ჩემმა ღმერთმა, კაცს გაეგებინა მა ეონასათვის, რომ პატარა აღარ არის, ქალია თვალშესულ-შემწიფებული.

- იქნებ განძრახ გავეკიდება ცივად ეონა, რა არის გაგვაზიოს და ნდომა გაგვიძლიეროს?

ვერ გაეგოთ ჭაბუკებს, რომ ეონა ეშხისათვის ჯერ ეხლა ღვივდებოდა და ინთებოდა; არც ის იცოდნენ, რომ ქალს ბუნების ახალ განთიადზევე შეხვდა გულის დამხვეველი ახალგაზრდა, რომლისაკენაც მიიმართა მისი გრძნობათა ნაკადი, რომელმაც გრძნობები გაუზიარა, ხოლო სურვილები მძლავრად არ შეუგუბა გულში, გზა მისცა მათ დენას. აზრადაც არ მოსვლოდათ ბიჭებს, რომ ეონა უკვე ამორჩეული ჰყვანდა თებერას, კიდევ ეგრძნობინებინა მისთვის თავისი სურვილი და თებერასათვის გულმომბალი ქალი ყურადღებას ვეღარ მიაპყრობდა საცოლედ შეღერებულ სხვა ბიჭებს.

საცოლე ბიჭების პატრონებს-კი, მეტადრე მათ დედებს თუ დებს სრულებით არ მოსწონდათ ეონა, არც უნდოდათ იგი სასძლოდ. ვიღაც ობოლი გოგო, დოდრიალა გზირის გერი, თითონაც თხელი რამ, ხაითად ნაქსოვი და სუსტი! რა გლეხის ოჯახის შესაფერი იყო ან შესაწყნარებელი?!

- რა უნდა გამიკეთოს, ქა, ეონამ სახლში?! იმ დღეს სურა შეედგა მხარზე და ისე საცოდავად იზნიქებოდა წელში, თითქო დიდი რამ საპალნე ჰკიდიაო.

- ბაღის ხელებს უგავ ი ხელები რძენაწყენს: ან ცომი როგორ უნდა მომიზილოს, ან პური როგორ უნდა ჩააკრას?!
- კარგი თავადის ქალივით ფეხშიშველა კი არ გაივლის, გულმკვდრის შვილი!

ესე ტუჩაკვრით უბნობდნენ დედაკაცები ეონაზე და არ მოსწონდათ შვილებისათვის საცოლედ. ისე რომ სოფლის ოჯახიშვილების მხრივ არავითარი საფრთხე ან განსაცდელი არ მოელოდა თებერას სიყვარულს, მისი საბედო ახალგაზრდებში სხვას არავის ჰყვანდა ნიშანში ამოღებული, და ბიჭს შეეძლო ამ მხრივ დაემინებული ყოფილიყო და დამშვიდებული. მაგრამ თებერასაგან არჩეულ გოგონას სხვა ვინმე უყურებდა არამი თვალთ, მისგან ამორჩეულ ჭრელ ხოხობს გველი რამ მისჩერებოდა მზირად და თვის აუცილებელ მსხვერპლად დაესახნა ის. ეს საშიში გველეშაპი მედუქნე თევდორა იყო.

სოფელ გვერდნგრეულში ორი დუქანი იყო და ამათში თევდორას დუქანი უფრო მარჯვედა ვაჭრობდა. თევდორა ამავე სოფლის გლეხი იყო, პატარაობიდანვე ქალაქში ნათრევ-ნუთრევი, სირაჯხანის აღმართში აღზრდილი, გაქნილი და ათასნაირად ნაცვეთ-ნაცადი. გამოწრთვნილი. თავის სოფელს დავაჟკაცებული დაუბრუნდა თანხით ხელში და გახსნა დუქანი. მარჯვედ დაატრიალა სოფელში ნაღდი: მოსავლის პირს ყიდულობდა, ვენახებს იჯარით იღებდა, ნაქურდალ თუ ნატაცებ საქონელს ხოცავდა, ფულს მამასისხლად ასესხებდა. ყველაფერი გამოუვიდოდა ხელიდან. ხათრი და მოკრძალება არ იცოდა. სირცხვილის ან შებრალების გემო არ ახსოვდა. ძალიან გაიდგა ფესვები. სოფელი ხელში დაიჭირა: სწურავდა და მისი სისხლით თუ სიჩხინტით პირს იპოხავდა, სუქდებოდა. ეხლა თევდორა შუახნის კაცი იყო, ჭადარაშერთული; ერთი პირი ცოლ-შვილი ამოეჭამა და ახლა სოფლად ნადირობდა: ხნიერი, ახალგაზრდა, ქალი თუ რძალი სულ ერთი იყო იმისათვის, ოღონდ კი ხელთ ეგდო რომელიმე. ძალა შესწევდა, ფული ხელთ ჰქონდა და კოჭაობდა. თორემ თითონ ვერაფერი სანუკვარი იყო: თვალეზ ჩასისხლიანებული, ახმახი, ხმელი ცხვირ კეხიანი, წითელ ლაშებიანი. წაბილწა სოფელი ბილწად

მიმართულმა! მსხვერპლს შოულობდა, სურვილს ადვილად ისრულებდა და ძალიან გაიგემა, ურცხვი რამ შეიქნა და თავხედი. რაკი ვისმე ამოიღებდა მიზანში, აღარ მოეშვებოდა, გველის ხვრელში გაძვრებოდა და თავისას-კი გაიტანდა. აი, ამ თევდორას მოუვიდა თვალში ტანტინიკი ეონა და შეეცადა თავისას. წინდაწინვე ტუჩებს ილოკავდა პირწყალ მორეული, რადგან გამარჯვება ადვილი მიაჩნდა: ეონა სხვისი გერი იყო, სახლიდან განაპირებული, მამინაცვალი მუცელმერთა ჰყვანდა, დედა - ბეჩავი და დაჩაგრული. ვინდა გაუმადრდებოდა თეოდორას ყვითელ ოქროს, ვინ აღუდგებოდა წინ მის ძლიერ სურვილებს?!

9

თევდორამ გადასწყვიტა, ხელთ ეგდო ეონა და დაუყოვნებლივ შეუდგა ჩვეულ საქმეს. თუმცა ეჭვი არა ჰქონდა, რომ დაიკმაყოფილებდა ამ ახალ ჟინს, მაგრამ მაინც შორიდან დაიწყო გაწრვთნილმა.

- კაცო, კაკალო, - გადაეღობა ეონას მამინაცვალს თევდორა, - ირემანთ ბიჭი რომ ნისიას აღარ იძლევა, ნეტა რა უნდა მოვუხერხო?

- რომელი? ვანუა?

- სწორედ ვანუა, ი პირშავი!

- დააცა, კაცო, ალბათ არა აქვს, თორემ მოგცემდა. სხვა არა იყოს რა, აღარ დასჭირდება შენს კარზე გავლა? ბარათები ხომ გაქვს?

- ბარათებიც მაქვს და ხელიც უწერია, რა შვილი ვარ, ისე ვანდო რამე! მაგრამ რა შორიდან ვლაპარაკობთ, კაცო, შემო დუქანში და ყველასფერს გიჩვენებ!

თევდორამ შეიპატიჟა გზირი დუქანში, დავთარი აჩვენა, რჩევა ჰკითხა, დახმარება სთხოვა და ისეთი კილოთი, თითქოს, კაკლუა უბრალო გზირი-კი არა, თითონ მამასახლისი ყოფილიყო. თანაც ორი ჭიქა პილატეს ცრემლი გადააცეცხლა, ზურგიელი დაუთალა, შოთი მოუმტვრია.

გზირს ეამა პატივისცემა, შექეფიანდა, შეწითლდა: აღუთქვა ყოველივე დახმარება ნისიის განაღდებაში. ძალიან ნასიამოვნები დაბრუნდა შინ. ამის შემდეგ თევდორა ხშირად პოულობდა მიზეზს გამოხმაურებოდა გზირს და პატივი ეცა მისთვის. შეიტკბო კაკლუა მედუქნემ, დაიმეგობრა; ნისიას უარის უთქმელად აძლევდა, ფულითაც-კი უმართავდა ხელს და ისიც უთამასუქოდ. იქამდის შეეტყუა კაკლუას, რომ ის იძულებული შეიქნა თითონაც პატივი ეცა მედუქნისათვის, სახლში შეეყვანა ის. სხვა არა იყოს რა, ზრდილობა მოითხოვდა ამას! თევდორა მაინც ხელცარიელი არ შედიოდა ახალი მეგობრის სახლში; ხან ქიშმიშ-ლაბლაბოს მიიტანდა, ხან თხილს თუ წაბლს ხელსახოცით, ან შაქარლამას.

გზირს და მის ოჯახს რომ უახლოვდებოდა თეოდორა, თან ეონასაკენ მიცურავდა ჭრელი: ხილს მიაართმევდა, სიტყვას გადაუგდებდა, ეხუმრებოდა, უღრეჭდა, აქებდა. ეონა მემამიტად ეპყრობოდა სტუმარს, არ ესმოდა მისი ქცევის მიზანი და არც განსაკუთრებით ყურადღებას აქცევდა მის სიტყვას თუ მოძრაობას, მით უფრო,

რომ უკვე სხვისკენ იყვნენ მისი ფიქრები მიქცეულნი. ან რას მიხვდებოდა გამოუცდელი გოგო, რა ბოროტი აზრი ჰქონდა გულს ჩადებული ჭადარაშერეულ ვაჟკაცს მის შესახებ? ეონა არც ცივი იყო თევდორასათვის, არც ცხელი, არც უფროთხოდა მას, არც უახლოვდებოდა. ხედავდა თევდორა, რომ ეონაზე მისი სიტყვა თუ ალერსი სხლტებოდა, ფეხს ვერ იკიდებდა და ჯავრი მოსდიოდა მოუთმენელს, მით უფრო, რომ გოგოს სიახლოვემ უფრო და უფრო, გაამწვავა მისი ნდომა. გაძლიერებულმა სურვილმა მთლადაც დაიმორჩილა ვაჟკაცი და დაიმონა. რაკი ეონას დაინახავდა თევდორა, ეშმაკი შეუჯდებოდა გვერდებში, ააღელვებ-აადულებდა და თავისსავე ქაფში სთუთქავდა მას დაუნდობელი. რას იზამდა? იძულებული იყო ბრჭყალები დაემალა ვერაგს და თავი მოეკატუნებინა. აკი ასეც იქცეოდა!

ბოლოს მოთმინება შემოელა ვაჟკაცს, ველარ შესძლო ბრძოლა გაცეცხლებულ ნდომასთან; თანაც ეგონა, უცხო ნადირი საკმაოდ იყო შეჩვეული და დააპირა ემოქმედნა გაბედვით. მარჯვე შემთხვევასდა ელოდდა მტაცებელი. შემთხვევამ ააჩქარა ის: ერთ საღამოს თებერა და ეონა განმარტოებით ისხდნენ სათარზე და ჭუკჭუკობდნენ, როგორც შინაურები. გული გაუსკდა თევდორას.

- სწორედ ის ბიჭი წაიყვანს ეონას და წადი მერე, ჩაიგდე გოგო ხელში! - გაიფიქრა იმან და გადადგა ნაბიჯი.

წყაროს გზაზე ჩაესაფრა თევდორა ეონას, შამშის პირას. ქალი გამოჩნდა ხევის ბილიკზე, კოკის ქვეშ ლერწამივით იზნიქებოდა, ლამის გადატეხილ-გადამტვრეულიყო. თევდორამ მიაპყრო ხარბი თვალი ქალის რხეულ ტანს და ნდომით აივსო მისი გვამი, მოუთმენელი სურვილით აპირთავდა.

- ქალო, ეონა! ერთი წყალი დამალევიანე შენს გაზრდას! ქალი შესდგა და გადმოიღო მხრიდან კოკა. თევდორა მოეწაფა წყალს, მაგრამ მალე დადგა კოკა და მგლურად მიანათა ქალს ვნებით სავსე თვალეები, შემფოთდა ეონა და შეწითლდა. თევდორამ ხელი ჩაჰკიდა მკლავში, მძლავრად მიიზიდა თავისაკენ, ჩასჩურჩულა:

- გოგო, ვიწვი შენი სურვილით! განა ვერა ხედავ? აღარ შემიძლია უშენობა! გამომყე, ჩემი გახდი და მთელი ჩემი ქონება შენი იყოს!

შიშმა აიტანა ეონა. ძალზე გაწითლდა. თევდორამ წადგა წინ ფეხი, უნდა ჩაეთრივ-ჩაეჯმუჯნა გოგო, მაგრამ ზევიდან ხმამალა ლაპარაკი მოესმა და გაუშვა მსხვერპლი ხელიდან, მხოლოდ დაიღმუვლა მხეცურად და დაიხლაკნა სიმწარით.

ამის შემდეგ სრულებით აღარ მოუსვენა თევდორამ ეონას, ჩრდილივით უკან დასდევდა. სად ფული შეაძლია, სად საკაბე თუ ბაღდადი მოუტანა. მაჭანკალს მაჭანკალზე უგზავნიდა, მაგრამ ველარ მოინადირა ქალი, ერთხელ შემფთხალი სათოფედ აღარ ეკარებოდა კაცს.

- ეს რა მომდის ნეტა?! აღარ შემიძლია სიცოცხლე, თუ ის გოგონა ხელთ არ ვიგდე! სუნთქვა მიძნელდება უიმისოდ, გული ჩქროლავს, სული მეხუთება. დახე, რა მიყო ი ჩაქმახეულმა! ველარც დუქანს ვუგდებ ყურს, ველარც სახლს. ლამის გავგიჟდე. ნეტა რითა სჯობია ის გამოფიტული გოგო ჩემ ფუნთუშა ფეფენას? მაგრამ რა ვქნა, რომ

აღარ შემიძლია არ მოვხვიო ხელი მის წვრილ წელს. მუჭაში დაიჭირება, მუჭაში! ამბობდა გონება დაბნეულ-დაბნელებული თევდორა და ძლიერი ნდომა სწვავდა მას უწყალოდ.

აქამდის ჩიქილის ყურზე გამობმულმა ვაჟკაცმა, აქამდის კაბის კალთის მოთაყვანე უძღებმა, ეხლა შეიზიზღა დედაკაცები და ყოველივე პატივი აჰყარა მათ. თითონაც გაუკვირდა, როდესაც მასთან ნამალავად მისული ფეფენა საზიზღრად დაამცირა და სახეშიაც კი შემოჰკრა დამდაბლებულს. რას ერჩოდა მისთვის ნამუსგანწირულ დედაკაცს? არაფერს! მაგრამ საზიზღარი ბოროტება დულდა ეხლა მასში და ეონას ჯავრს სხვა ქალებზე ყრილობდა გამწარებული.

- ვაჰ, რა მომივიდა მაშინ, რომ ვეღარ შევიმაგრე თავი! როგორ დანდობილი მომაწოდა სურა! არა, შე ოხერო ჩემო თავო, რა გაჩქარებდა? ვითომ რა გენება იმ შარა მინდორზე? ნელ-ნელა შეიჩვევდი რაღა. სახლშიც ხომ დანდობილი მოდიოდა სამეზობლოდ და იმას მაინც მოახერხებდი, რომ ბანგი შეგეპარებინა! - ნანობდა თევდორა და ბოლდამორეული მწარედ აყვედრიდა თავის თავს.

მაგრამ ბოლმით და ჯავრით რაღა გაეწყობოდა? თავს უნდა დასწყენარებოდა კაცი და ახალი მახე დაეგო ამ შემფრთხალ ფრინველისათვის. მწარედ დარწმუნდა, რომ სოფლად აქამდის ნაცადი ქსელი აღარ გამოდგებოდა, რომ ეს ჭრელი კალმახი არ მოსდევდა იმ ანკეს, რომლითაც აქამდის ნადირობდა. იმედმიხდილმა დაასკვნა, უკანასკნელ ხერხისთვის მიემართა.

ეონასადმი სიყვარული ბედნიერების წყაროდ გადაექცა თებერას. ეს სიყვარული იყო იმის მიზეზი, რომ ბიჭმა მალე გაბედა სხვაგან, სხვის ოჯახში და სოფელში მოჯამაგირეობაზე ხელის აღება და ისევ თავის ქობს დაუბრუნდა: უნდოდა ახლო ყოფილიყო თავის ალქაჯთან, ყოველ დღე დაენახა ის. იგივე სიყვარული იყო იმის მიზეზი. რომ ბიჭი მუხლ-ჩაუდრეკლად და დიდი ხალისით მუშაობდა შინ თუ გარეთ, ბუდეს ამზადებდა, თავშესაფარს აწყობდა, რომ ღირსეულად დახვედროდა მასთან შემომავალ მზის შუქს: ჰაეროვანი ეონა სწორედ მზის სხივად ეჩვენებოდა ბიჭს, კარებთან შინ შემომდგარ სხივთა სვეტად. "მზევ, შინ შემოდიო", ჩაილიღინებდა თებერა და უღიმოდა მისთვის ნათელ სახეს ეონასი.

რა ვუყოთ, რომ ეონა სუსტია და პეპელასავით ფრთაფარფატი?! თითონ თებერა ხომ ძლიერია და მხნე! სახლში მხოლოდ ისეთ საქმეს მიაწოდებს ქალს, რაც საადვილო იქნება და მსუბუქი. დანარჩენს სულ თითონ გააკეთებს. ეხლა მარტოდმარტო უძღვება ოჯახს და მაშინ ხომ შემწედ ეყოლება გვერდზე თავისი ეონა!

და სწორედ კარგად უძღვებოდა თებერა თავის სახლს: დანგრეულ-ჩამოქცეული შეაკეთა, აგლეჯილი დააკრა, კარჩხები თუ მარგილები ჩაყარა, ღობე და ხარიხები შემოავლო, ეზო დააკრიალა; მოტეხილ-მოგლეჯილ ხეხილის ბადლად ახალი დარგო და ახარა. ეხლა თებერას ეზოში ქათამი დადიოდა, ძაღლი იყეფებოდა, ღორი ღრუტუნობდა; ბაკში ისეთი უღელი მოხვერი ება, ნახვა გიამებოდათ: კარწინ საბარო ურემი ეგდო, მართალია, ნახმარი, მაგრამ არც ისე დანჯღრეული, რომ ტვირთის ზიდვა

ვერ შესძლებოდა. მარტოხელი გლეხის კვალობაზე აღარაფერი უჭირდა თებერას, მით უფრო, რომ ამო ხარჯი არა ჰქონდა-რა. მე ვიცი, თუთუნზე დახარჯავდა, ან ღვინოზე! თავდაჭერილი ბიჭი დადგა თებერა, ფხიზელი. კიდევ დადიოდა თებერა დღიურ სამუშაოზე; მაგრამ საკუთრადაც შრომობდა ოჯახიშვილურად: შეშას ეზიდებოდა გასასყიდათ, მცირე რამ ქირა გადაჰქონდ-გადმოჰქონდა; ბარავდა, სთოხნიდა, გუთანს მისდევდა.

- ჰეი! სად არის ეხლა ერთი უღელი კამბეჩი, თორემ მე ამ სოფელში აღარავის ჩამოუვარდებოდი! მაგრამ არა უშავს რა, ღმერთია მოწყალე. იმასაც მოვესწრებიო! - გაიფიქრებდა თებერა და ეს იმედი შრომის ხალისს უორკვეცებდა ახალგაზრდას.

უღელ კამბეჩსაც მალე გაიჩენდა გამრჯელი ჭაბუკი და ძროხასაც, ოღონდ-კი სახლში მეწესე ჰყოლოდა და თანაშემწე. ეხლა-კი მის შრომას ისეთი ხვავე ვერა ჰქონდა, როგორც მოსალოდნელი იყო: ეხლა სახლში ბევრი რამ უფუჭდებოდა და აკლდებოდა, მეტადრე მაშინ, როდესაც თებერა მთელი დღეობით შინ არ იყო. სახლი უპატრონოდ რჩებოდა და უპატრონო კერას ყოველგვარი ავი ეტანებოდა. მეტი გზა არ იყო, ცოლის შერთვა უნდა დაეჩქარებინა დროცა ჰქონდა! რამდენი ხანილა უნდა ყოფილიყო მარტოდმარტო?

სოფელში კარგადა ჰხედავდნენ ბიჭის უნარსა და თვალის ეჭირათ მისკენ. მდიდარ ოჯახებს-კი არა, რადგან მათთვის დიდს რასმე სახარბილოს არ წარმოადგენდა მოჯამაგრობაში გამოზრდილი და დღიურ მუშად გამოსული ბიჭი; ქვრივ-ობლებისა და ხელმოკლე ოჯახებისათვის-კი სწორედ მისწრება იყო და სანთლით საძებნელი. სასძლოდ მოწიფულ გოგოებს-კი დიდ ოჯახებიდანაც მოსწონდათ ეს მხიარული, მოდიმარ-მოცინარე, მომღერალი, მშრომელი და ისე არ ჩაუვლიდნენ გვერდზე, რომ თავზე თავის-ჩითი არ გაესწორებინათ და ქვემ-ქვემ მაცდურად არ გაეხედნათ მისკენ. თებერა ამჩნევდა გოგოების წადილს და მისი მოყვარული გული კეთილად უღიმოდა სოფლის კეკლუცებს, მაგრამ რა ექნა, ან რა პასუხი გაეცა მათთვის, როდესაც ის უკვე ტყვე იყო: ეონა იყო ერთადერთი მისი ნათელი და სიხარული!

ეხლა ეონამაც უკვე იცოდა, რომ მოსწონდა ის თებერას, უყვარდა ბიჭს. განმკურნებელ მალამოდ ედებოდა ეს სიყვარული ობლობაში დაჩაგრულ ქალის გულს და შემკრთალ-შეფიქრებულ გონებას. გოგოსთვის იმედად ეგულებოდა თებერა, ურყველ ზღუდედ მისაყრდნობელად, თავის ობლობის შესაფერ მკვიდრ ყუდედ: მამინაცვლის იმედი არასოდეს არა ჰქონია მას. ძალიანაც ეშინოდა მისი და მისი სახრისა, დედამისი ხომ მთლად გაწყალებული ადამიანი იყო და გამქრალი. ვილა უნდა ჰყოლოდა განაპირებულ სუსტ არსებას ნუგეშად, თუ არა მისი მოსიყვარულე თებერა?! ეონა არ იყო ლამაზი სოფლური სილამაზით: არც წითლად დაჟღაჟებდა, ვერც მიწას ანძრევდა ძაგი-ძუგში და ვერც მძიმე უღლის გასწორებას შესძლებდა გლეხურ ცხოვრების ტლანქად ტრიალში. ეს ყველაფერი კარგად ესმოდა დაფიქრებულ ეონას და გული არ მისწევდა დიდ ოჯახის სძლობაზე, თუნდაც ეთხოვნათ ის ამისთანა ოჯახებს. ან-კი ვის რად უნდოდა მიმქრალი გოგო სძლად და ისიც ვილაც გზირის გერი? მართალია, საცოლო ბიჭები ყურადღებას აქცევდნენ ეონას, რამდენჯერ გადუკრავთ მისთვის სიტყვა ან ხელი წაუტანებიათ, მაგრამ ეს მხოლოდ გაკვრით და შემთხვევით ან დაუდეგარობით, თორემ ეონა საცოლედ რად უნდოდათ მძიმე შრომის შვილებს, ან

რაში გამოადგებოდათ! და თუნდ მოენდომებინათ კიდეც, ვინა ჰკითხავდა იმათ? ოჯახი თითონ აურჩევდა მათ საპატარძლოს და ჯვარსაც თითონ გადასწერდა თავის ნებით.

- მე არც ერთ ოჯახს არ მოვწონვარ. თებერა სულ სხვაა: იმას ვუყვარვარ კიდეც და არც დამშლელ-მრჩეველი ჰყავს ვინმე. ალბად მეც მიყვარს თებერა! მაშ რა არის, რომ მიხარიან მისი დანახვა? როცა იმასთანა ვარ, ვერც-კი ვიგებ, როგორ მიჰქრის დრო, სწორედ ის არის ჩემი ბედი და იღბალი! ხომ გამათხოვებენ და მე თებერას მეტს ვერვის გავეყვები. ოღონდ მითხოვოს! ოღონდ დამეკითხონ! - ფიქრობდა ქალი და მომავლის შიში ფერს უცვლიდა ისეც ფერმიხდილს.

ყველაზე ძალიან-კი აშინებდა გოგოს მედუქნე თევდორა: მან ცხადად დაინახა მისი ბინძური გულისთქმა, იგი გულის წადილი მთლად გამრცვლილი ეჩვენა მას წყაროს გრაზე და შეძრწუნდა გოგონა.

სასძლოდ შედერებული ქალი სოფელში ძალიან ერიდება ვაჟს. ცდილობს შორს მოუაროს მას, რადგან უწვრთნელი ახალგაზრდობა ხშირად თავს ვერ იკავებს და შემთხვევას არ გაუშვებს ორაზროვანი ბინძური სიტყვა არ გააყოლოს, არ წაუმღეროს, ან ხელი არ წაატანოს. რა ქმნას ბეჩავმა? ცხოველებთან აღზრდილმა, პირუტყვებთან გაწვრთნილმა როგორ შეიმაგროს თავი ან როგორ გამოხატოს თავისი გრძნობა, თუ არ მოუხეშავად. სად ისწავლიდა თავის დაჭერას, ან ვისგან შეითვისებდა უფრო სათუთად მოპყრობას? იქნება გოგოს გულში კიდეც უხარიან ესეთი მიმართვა ვაჟისა, რადგანაც თითონაც ამგვარ მოარშიყეს ნატეხ-ნაჭერია, თითონაც ხბორებში თუ ბატებში იწვრთნება. მაგრამ გოგო მაინც დიდ ყურადღებას აქცევს გარეგნობას, სახელის სუფთათ შენახვას; ცეცხლივით ეშინიან გაჭორვისა, რადგან სახელგატეხილს თავგატეხილი სჯობია და თუ ქალს ერთი ცუდი ხმა დაუვარდა, დაიღუპება, გაუძნელდება გათხოვება.

ეონა ხომ ისეც საწყალი იყო, მოკრძალებულ-მორიდებული და რაკი ქალობის ნიშანწყალი დაეტყო, დამფრთხალ შველივით გაურბოდა ყოველ საექვო შემთხვევას და შეხვედრას! მაგრამ ბედმა გოგო იმ თავითვე გერად მოიკიდა, ეხლაც, ჯერეთ უმანკოს და გამოუცდელს, მოევლინა ბიწიერება მხეცქმნილ თევდორას სახით და მოუწამლა ისეც გამწარებული სიცოცხლე. ჩასაფრებულ მედუქნისაგან გულგახეთქილი გოგო ისე მორბოდა სურით მხარზე, თითქო გულშეწუხებულისათვის უნდაო წყალი. ჩამოიღო სურა, მიაყუდა კუთხეში, მიიყუჟა ტახტის ბოლოს და თრთოდა შეშინებული, კბილს კბილზე აცემინებდა.

- გოგო, რა დაგემართა, რა ნახე, რომ ცოდვილივით ცახცახებ.

- დედი, დედიჯან! ვგონებ, უკან დამედევნა! მოვრბოდი, აი სახელოც დამახია.

- რასა ჰბოდავ, გოგო? ვინ დაგედევნა? მცურავი ხომ არ დაგიხვდა შამბებში? - ჩაეკითხა გაფითრებული დედაკაცი ეონას და ხელი წაატანა.

- თევდორა დამიხვდა ხევში, დამიჭირა, მიმათრევდა.

- რას ამბობ, შე გულმკვდრის შვილო? როგორ თუ თევდორამ დაგიჭირა? რად დაგიჭირა? საით მიგათრევდა? - ჰკითხავდა გაშეშებული დედაკაცი ზედიზედ.

როგორც იყო, აამბობინა ქალს, რაც შეემთხვა მას წყაროს გზაზე და ცოტათი დაწყნარდა: უარეს ამბავს მოელოდდა გულგახეთქილი დედა.

- დახე იმ არა წმინდას! მეც არა ვსთქვი, რას გვეტმასნება მეთქი შეჩვენებული! მაგრამ, შვილო, ნურას ეტყვი შენ მამინაცვალს: აყვირდება, მთელ ქვეყანას შეგიყრის. ხომ არავინ დაგინახა, შე საცოდავო, ის კაცი რომ გეტანებოდა? რა ვქნა, შვილო, ჩვენი შავი ბედისაგან არაფერია გასაკვირველი. მეერიდე, გენაცვალე ი კაცს, თვალით აღარ დაენახო.

ეს იყო მთელი ძალა და მფარველობა, რომელიც აღმოუჩინა დედამ თავის ქალს ამ გაჭირვებაში. რა უნდა ექმნა უმწეო გოგოს ან როგორ უნდა აესრულებინა დედის დარიგება, როდესაც კაცი არ ეშვებოდა და მეორე დღესვე რაღაც მოიმინებოდა, ურცხვად გადმოვიდა კაკლუასას. ათასნაირად გაქნილ-გაგეშილ უძღებს ეს უბრალო მარცხი როგორ შეაშინებდა თავის შეუკავებელ სურვილის აღსრულებაში.

გაიგო თუ არა ეონამ თევდორას ხმა, მაშინვე გავარდა სახლის მეორე კარიდან და ისე მიიმალა საბძლის კუთხეში, ეშმაკიც ვეღარ იპოვნიდა. ბევრი უძახა კაკლუამ, ბევრი იჯავრა, ბევრი იყვირა, მაგრამ ვერ გამოსდევნა დამალული თავის ბუნაგიდან.

- სად დაკარგულა, დედაკაცო, შენი გოგო, რომ ვერ დამისაქმებია? ან ცივი გვინდა, ან ცხელი, მომსვლელია ან წამსვლელი; ის დაწანწალებს უგზო-უკვლოდ და უსაქმოდ! შეუტია კაკლუამ ცოლს და თან სახრე აათამაშა, მარჯვედ აადევნა სახრის წვერი თითო-თითო სიტყვას.

დედაკაცმა სიტყვა ვეღარ შეუბრუნა ქმარს და ისე ეჭირა თავი თითქო არცკი იცისო, ეონა რად დაიმალა ან სად გადაიკარგა. დიდ საფიქრებელში კი ჩააგდო ეონას დედა ამ შემთხვევამ, თევდორას ამისთანა ურცხვობამ.

- დიდი განსაცდელი მოელის ჩემს ეონას ამისთანა დაუდევარ და შეუგნებელ მამინაცვლის ხელში. აქაო და ხანდისხან არაყს მასმევსო, დაიმეგობრა და სახლი შემოალახვინა ყველასაგან ავაზაკად მიჩნეულ კაცს, თითონვე ხელს უწყობს იმის ბინძურ სურვილებს სწორედ შეგვარცხვენს ეს თევდორა და არ ვიცი.

როგორ ავიშორო თავიდან უბედურება, რა შავ ქვას ვაწყვიტო თავი, სად დავმალო ეს ცოდვის შვილი, სად გადავკარგო, ნეტა ერთი ნათესავი მაინც ჰყვანდეს ვინმე ამ საცოდავს, რომ გავგზავნო ცოტა ხნობით მაინც, - ღონობდა დედაკაცი და გზა ვერ ეპოვნა ხსნისა.

ეონაც ამ გასაჭირზედვე ფიქრობდა და მის გაწვალეულ ფიქრსაც ვერავითარი სავანე ვერ ემოვნა უზრუნველ-უშიშარი. არსაიდან სჩანდა იმედი. მხოლოდ თებერა თუ გამოვიდოდა მის მშველელად და ხელის ამპყრობელად. დედამიწის ზურგზე თებერას მეტი წრფელი მეგობარი და გულშემატკივარი არა ჰყავდა

მას. ამას ჰგრძნობდა ქალი. რა უნდა ექმნა და როგორ გაეგებინებინა ბიჭისათვის, რა დარდი აწუხებდა მას, ან რა განსაცდელი მოელოდა?

- ხომ ვერ გავიქცევი და ვერ ჩავახარებ, ასეთი საძრახი საქმე დამემართა და მომეშველე-მეთქი! დედაც ვერას ეტყვის: ის ხომ ვერაფერს მოახერხებს ხოლმე. ნეტა რა ვქნა, რა წყალში ჩავარდე?! - ღონობდა დამძარებული.

12

შემოდგომა მიიწურა. სოფლად მუშაობა შემცირდა. დაუწყნარებელმა ზრუნვამ და შრომამ ნელ-ნელა დაუთმეს ადგილი დასვენებას და სიხარულს. ყოველგვარი საზრდო შემოგულელებული იყო სახლში, იმედიანად იდგა კაცი და შეეძლო მცირე ხნით თავი დაეღწია წყევის უღლისათვის, რომელიც ქედს ადგა ადამიანთა უმრავლესობას და თავის სიმძიმით მიწამდისა ჰხრის მას მუშა პირუტყვივით უსპობს სახსარს აღმა მზერისას, ართმევს ყოველსავე სახეს აღმაფრენისას. ეხლა გლესაც შეეძლო ადამიანურად ამოესუნთქა და თავისუფლად ემოძრავნა: ან ცისათვის შეეხედნა და მის სიმშვენიერზე გაეღიმნა, ან ჰაერში გაენავარდნა თავისუფლად იქ მიმომცურავ ფრინველებთან ერთად, ან ანკარა ნაკადულისათვის აეყოლებინა თავისი სურვილი და ყვავილთა შორის გაეშალ - გაეფანტა თავისი გულისთქმა. სოფელი გულჩათხრობილი აღარ იყო ეხლა და მოღუშული, იგი ილიმებოდა, იცინოდა, ხარხარებდა, კასკასებდა. ბევრი რამ ჰქონდა მას ახლა სამხიარულო: ნათლობა, ნიშნობა, ქორწილი, საღვთო, წვეულობა, ხატობა და ყველანაირი დღეობა. ეხლა მოჰგონებოდა, კუჭ-გამამდარს და ბეწვ-დაბზინებულ სოფელს.

თებერასაც ეხლა მხოლოდ დღიურ სამუშაოდ - კი აღარ იწვევდნენ მეზობლები, სამხიარულოდ და დროს გასატარებლადაც ახსენებდნენ. ღირდა კიდევ თებერას მიწვევა: კარგი მუშა რომ იყო ახალგაზრდა, თანაც გულახდილი და ხალისიანი სტუმარი იყო. სადაც მივიდოდა, თავის წილ მხიარულებას თან მიიტანდა. სწორედ ასეც უნდა. მაშ ის არის კარგი, რომ თან შავი ჩრდილი მოგდევდეს მასპინძლის გულის გასასიებლად და სიხარულის ჩასაქრობ-ჩასაშავებლად?

ქორწილში წასასვლელად ემზადებოდა თებერა, ირთვებოდა. თავს იკაზმ-ილაამაზებდა. თან ილიმებოდა: გული მხიარულად უცემდა ჯანსაღ და სიცოცხლით სავსე ახალგაზრდას, სიამე ძარღვებს უთამაშებდა და უნებლიეთ ამოდრავებდა ჭაბუკს. სწორედ ხელს გამლიდა და ჩამოუვლიდა დედაბოდის გარშემო, თუ ცეკვა სცოდნოდა დალოცვილს. რატომაც არ გაიხარებდა? ოდესმე ყველასაგან დაჩაგრულ-დაჩათინებული თებერა დღეს მეფის მაყარი იყო საუკეთესო ოჯახში! მარჯვედ უნდა შეხვედროდა დედოფლის მაყრიონს და თავმომწონედ, რომ ეჩვენებინა მათთვის, რა ტალიკ-ტალიკ ბიჭებსა ზრდიდა სოფელი გვერდნგრეული.

ახალშენი კაცი იყო თებერა. მაგრამ მაინც მოახერხა სასტუმრო ტანისამოსის შექმნა. კოხტად ჩაწნულ-ჩახლართული ქალამნები თეთრ წინდებზე, თეთრი შალის შარვალი, ჩალილულ საცვლებში ჩამაგრებული, თეთრი შალისავე შავ ჩაფარიმ მოვლებული მოკლე ჩოხა, ბჭყვრიალა ბალთა ღილიანი ქამარი, კოხტა ხანჯალი და ნაბდის ქუდი ქოჩორა თავზე - რა უშავდა? კარგი ბიჭი იყო! ეს კია, რომ მოჯამაგირეობისა და მელორეობის დროს შუმპარი ვერ ესწავლა ჭაბუკს და მაშ დღეს ვერ შესძლებდა თავის

ეონასთან დავლურში გასვლას. ეჰ, აჰ სხვისათვის უნდა დაეთმო მას ბურთი და მოედანი, ბედიან ვისმე უნდა ჩამოსცლოდა გზიდან და კუთხეში მიმდგარმიჩლულიყო. რა ვუყოთ? უდარდელი და უხინცო კაცი სხვა ვინ გინახავთ ან როდის, რომ თებერა ყოფილიყო ეხლა სრული და მთლად კმაყოფილი?.

აკი დაღონდა კიდეც ბიჭი, როცა ქორწილში გაჩაღდა დაირ-ნალარა და თითისტარივით ჩამოტრიალ-ჩამობზრიალდა მოცეკვავე ახალგაზრდობა გულდაჩაგრული მოშორდა თებერა მხიარულ წრეს და შორიდან ადევნებდა თვალს თავის ეონას. როდესაც საუკეთესო მოცეკვავე ოჯახიშვილმა გამოიწვი ეონა, თებერას გული ეტკინა, მთლად ჩაიფუფქა-ჩაითუთქა. დაილია, დაპატარავდა. გაქრა ალაგობრივ ეონა თავისებურად დაღონებულ-დაფიქრებული შეცურდა წრეში და შეირხა. ჯერ ეშხი და სიმკვირცხლე არ ეტყობოდა მის მოძრაობას. მაგრამ ნორჩმა. ბუნებამ თავისი გაიტანა და გაიტაცა ქალი. ლერწამ ტანის მსუბუქმა და შეწყობილმა რხევამ ააღელვა ისეც აღფრთოვანებული ხალხი. აღტაცებაში მოიყვანა და უნებლიეთ საერთო ტაშით დააჯილდოვეს მოცეკვავენი.

ეონა გახარებული გამოვიდა წრიდან და ჩადგა. ტოლ-სწორში ყელმოღერებული. დასანიშნმა ბიჭებმა სურვილით გააყოლეს თვალი წერწეტ გოგონას. სადედამთილოების მკილავე გულიც-კი მოლბა მისდამი ამ საერთო აღტაცების წამს. ძალიან ნასიამოვნები დარჩა ეონა და ბედნიერი. ოღონდაც რომ სასიამოვნო იყო დაჩაგრულისათვის მთელი საზოგადოების ყურადღება: დღეს ოჯახიშვილების ქალ-რძალიც-კი პატივისცემითა და სიყვარულით ეპყრობოდა მას და განა ეს ბედნიერება არ იყო ყველასაგან აბუჩად აგდებულ გოგოსათვის? ეტყობა, მართლა არა ჰკარგავს ღმერთი თავის გაჩენილს და ერთხელაც იქნება წყალობის თვალით გადმოჰხედავს მას. მხიარულად იყო ეონა, წელში გაშლილი იდგა მწყაზარი, პირს შროშანა გადაჰფენოდა თეთრი, ერთი ათად ქცეულიყო ყარყატი. თებერა შორიდან შეჰყურებდა სატრფოს და ეშხით ითვრებოდა.

- ახ, რა კარგი ხარ, შე წყეულო, რა კარგი! - იმეორებდა თებერა და გულში მუშტს იცემდა, სურვილთა გამოსახატავად.

”რა კარგი რამ ხარ, ხოხობო, რა კარგი რამ ხარო!” - მოისმოდა ეზოდან მწყობრი გუგუნნი.

- სწორედ ეონაა ჩემი ბედი და ყისმათი! უნდა დავნიშნო. ისე მოვაწყობ ოჯახს და დავამშვენებ, რომ მტერსაც-კი ეამებოდეს! არა, გენაცვა მა სულში? - ეკითხებოდა თებერა ქალს ფიქრით და თვალი აღტაცებით მიეპყრო ნორჩისათვის.

ბიჭის წრფელი გულისთქმა ესმოდა ქალის გულს. ეონაც თებერაზე ფიქრობდა ამ წამს, მისი თვალიც მას ეძებდა. უნდოდა, რომ ბიჭს შეენიშნა იგი ამ მისთვის სასიხარულო წამში, როდესაც ეონა სხვის გერი კი აღარ იყო დაფლეთილ-დაბრიყვებული, არამედ ქალი იყო მოწონებული, ოჯახიშვილების დარი და ტოლ-სწორი!

- ხედავ, ბიჭო, არც მე ვარ მთლად გამორჩეულ-გამოწვევითი. რა ვუყოთ, რომ ობოლი ვარ და უმწეო-უპატრონო? ობლის მამა ღმერთია და აი ჩემკენაც გადმოიხედა დალოცვილმა. შენც ხომ ჩემსავით ობოლი ხარ, ბიჭო, და დაჩაგრულ-გაწამებული! - ფიქრობდა ეონა და სწყუროდა თვალი მოეკრა ბიჭისათვის, მაგრამ თებერა მიჰფარებოდა მის თვალთახედვას, და გული სტკიოდა ქალს.

- ეჰ, ერთი ბედნიერი წუთი მხვდა და მაშინაც ვერა მნახა ი საწყალმა, ნეტა სად წასულა, სად დაკარგულა? - ფიქრობდა ქალი და ათვალთვლიერებდა იქაურობას.

ნეტა არ ეთვალთვლიერებინა და არც აეხედნა! მთლად ჩაუშხამდა წუთიერი სიხარული ბეჩავს: დერეფანში გამოსულიყო თევდორა და ჩასისხლებული თვალეზი ხარბად მიეპყრო ეონასათვის. შეზარხომებული, ვნებათაგან გახლებული კაცი მთლად ცხოველად გადაქცეულიყო და ამ წუთს სწორედ შესაზარი იყო მტაცებელის სახის გამომეტყველება. ქალმა თავის სულთამხუთავი დაინახა და შეკრთა, შეძრწუნდა, ათრთოლდა შიშისაგან. მაინც ხომ ბედის მწერელი იყო თევდორა ეონასი და სულთამხდელი ბოროტი, რადგან სურვილს და ვნებათა ღელვას ისე დაემორჩილებინა ვაჟკაცი, რომ გადაეწყვიტა, ყოველ ხერხისა და ავაზაკობისათვის მიემართა, ჟინი-კი დაეკმაყოფილებინა.

თევდორა ნელა-ნელა იწევდა ქალისაკენ, უახლოვდებოდა მას. თუმცა პირდაპირ მასთან მისვლას ვერ ჰბედავდა. აგერ კიდევ შეერია ის ახლო მდგომ დედაკაცების ჯგუფში და დაიწყო მათთან ლაზღანდარობა და ღრეჟა. თვალს-კი მაინც არ აშორებდა თავის მსხვერპლს, უნდოდა თვალთა ისრით გაეგმირა ქალი და დაემონებინა. დედაკაცები იცინოდნენ მის ორაზროვან სიტყვა-შენიშვნაზე და თან თითოს ტუჩებზე იფარებდნენ კდემის ნიშნად. ეონას გულში კი ყველა მისი ნათქვამი ზიზღს იწვევდა, ისე ეშინოდა მისი მიახლოვებისა, თითქო რამ ლორწოიანი რა ქვემძრომი მიიწვესო მისკენ. ქალი ვერ იძროდა ადგილიდან. არც შეიძლებოდა გარიდება და გაქცევა: მისი ტოლ-სწორი ქალი აქ იყო შეგროვილი და ის ვიდასთან წავიდოდა? ვეღარც ახერხებდა წასვლას: მუხლი წაერთვა, დამძიმდა, მიემსჭვალა იმ ადგილს უბედურს. ისა არის ხოლმე ადგილობრივ გაქვავებული გველის თვალეზისაგან მოხიბლული ფრინველი, როდესაც ის იტანჯება და ვერ კი იძვრის ადგილიდან საზარელი ჩამნთქმელის მიახლოებაზე.

- რა ვქნა, როგორ დავახწიო თავი ამ ვეშაპს? სწორედ ჩემსკენ მოდის ის ღვთის გარეგანი! დედაც აქ არ არის. თებერა მაინც ახლოს იყოს, რომ დამიხსნას. თებერავ, ბიჭო, სადა ხარ? ხელი მომეც. შე ჩემი ცოდვით სავსე, ვილუპები! ღმერთო, შენი ძალის და მადლის ჭირიმე, ჩააგონე თებერას, რომ მოვიდეს და დამიხსნას ამ ფოცხვერის პირიდან! - ლოცულობდა შერცხვენის მომლოდინე ქალი და თვალს რეტად ავლებდა გარემო.

სწორედ საძრახს რასმე შეამთხვევდა ეს გველეშაპი უმწეო ქალს. გასაწბილებელ რასმე შეჰბედავდა თავწასული, თუ მხსნელი არ აღმოსჩენოდა და მშველელი: თებერა თავის მხრით თვალს არ აშორებდა ეონას, დღეს უფრო მეტად ასდუღებოდა მას სიყვარულის კოჭობი და ახლო ხლებას რომ ვერა ჰბედავდა, შორიდან შესტრფოდა თავის სიხარულს. მაშინვე შენიშნა იმან თევდორა და მისი გაუმძღარი თვალი, მიხვდა მის მოძრაობის აზრს, დაინახა მისი ხერხიანი სვლა ქალისაკენ და

გულს სისხლი მოერია. იგრძნო, როგორ იტანჯებოდა ეონა ამ ბოროტის მიახლოებაზე და უკანასკნელ წუთს მოახერხა მიშველება: ის იყო ერთი ნაბიჯილა აკლდა თევდორას ეონამდის, როდესაც თებერა მარჯვედ გადავიდა ქალისაკენ და დაუძახა:

- ქალო, ეონა! გვერდელაანთ მარო გეძახის, მოდი, დაირა დაუკარიო.

ეონა გამოერკვა შიშის ბურუსს და ისეთი მაღლობით შეხედა თებერას, როგორც წმ. გიორგის ქალწულმა გველემჰაპისაგან დახსნისათვის. მაშინვე გაჰყვა ბიჰს მოთამაშეთა მეორე წრისაკენ, რომელიც თუთის ქვეშ გროვდებოდა.

- ეონა, გოგო, ველარ გამიძლია უშენოდ, გენაცვალე! - წასჩურჩულა გზაზე აღელვებულმა ახალგაზრდამ.

ეონასაც ტკბილად მოესმა ბიჰის სიტყვები; ისე გამოაცოცხლა იგი ამ მიაღერებამ, როგორც გვალვისაგან ჩამჰკნარი რამ ყვავილი ცივმა წყალმა.

- თავს შემოგვევლოს შენ შენი ეონა! - ოდნავ მოესმა ბიჰს ხმა მაცოცხლებელი.

თევდორამ ჯავრით კბილები გააკრაჰუნა, როცა თებერამ ესე მოულოდნელად აუფრინა მას წინიდან თეთრი მტრედი, და მოსისხლე მტრად დაესახა ბიჰს. მაგრამ თებერა ეხლა ბედნიერი იყო. იმისთვის აღარ არსებობდა არც თევდორა და მისი კბილთა ღრჰენა, არც სხვა რამ ბოროტება. ის ეხლა თავის გარშემო მხოლოდ ნათელსა ჰხედავდა, სიკეთეს და სიამეს. მთელი თავის ახალგაზრდა და სიცოცხლით სავსე არსებით მიეცა ის უჩრდილო მხიარულებას.

ძალიან ცუდ გუნებაზე დადგა თევდორა, მთლად გაუშხამდა ქორწილის მხიარულება. ბოროტების აღმური ასდიოდა სახეზე, თვალთაგან ცეცხლს აფრჰვევდა, ღიმილის მაგივრად ფილენჯიანივით იღრიჯებოდა, სალადობო თქმის ბადლად სალანძღავ სიტყვებს ისროდა. სამხიარულო-კი ბევრი იყო გარშემო, სიცილ-ხარხარი და ყიჰინა მთელ სოფელში გაისმოდა, ზურნის ძახილი ზეცას სწვდებოდა. ეს ამოდენა მორთულ-მოკაზმული სტუმრები, ეს უხვი სანოვაგე, წითელი ღვინო ღვარივით, ოხუნჯობა და სიტყვა-წყლიანობა, ცეკვა-თამაში, არშიყობა, ლექსობა თუ შაირობა, რა გინდა, სულო და გულო, რომ იჰ არ იყო კაცის გუნების სამხიარულოდ, გადასაფურჩქნად! რალა ადგილი ჰქონდა იჰ სიბოროტეს და დამძარებას?! მაგრამ ადამიანის გული თავის საზომითა ჰზომავს ყველაფერს. თევდორას გული უკმაყოფილებას აეპირთავებინა, ბოროტებას აედუღებინა და ამჰამად მასში აღარავითარ სხვა გრძნობას აღარა ჰქონდა ადგილი და სავანე. არ იჰნა, ველარაფერმა გაართო ვაჰკაცი. ეხლა მას ერთადერთი საგანილა ჰქონდა ცხოვრებაში: ერთ წამს შეუზღუდავ მფლობელად შექმნილიყო ეონასი, ჟინი მოეკლა, გამოეწურ-გამოეჰურა მისი არსება და მთლად გამოფიტული გადაეტყორცნა იგი დამცირების ჰაობში. მაგრამ ფონს ვერ გადიოდა და იტანჯებოდა ბოროტად. შეუყენებელ ნდომას შთაენთჰა მასში ყოველივე სხვა მისწრაფება, იგი ნდომა რკინის სალტასავით შემორტყმოდა მის არსებას და აშთობდა უწყალოდ. ამ ჟამს მხოლოდ ეონა უნდა მას, ეხლავე ჰსურს მიეახლოს მას, მიეკროს, ხელში იგრძნოს მისი თბილი სხეული და თავს შემოივლოს, ინაცვლოს. ამ ერთ ნდომას სხვა ყოველივე მისი აზრი, გრძნობა ან მისწრაფება შეებოჰა,

დაემონავებინა, გაენადგურებინა. ეხლა თევდორა მხოლოდ განხორციელებდა იყო ეონასადმი მისწრაფებისა, ხოლო ეონა ერთადერთი მიზანი ამ განხორციელებისა.

გაბოროტებულმა კაცმა ღვინოს დაატანა ძალა, მაგრამ ველარც ღვინომ უშველა: არამც თუ არ ჩაანელა მისი ნდომა, უფრო გააფიცხა იგი. გააძლიერა; სასმელი ნავთად ესხმოდა მის გულში აღგზნებულ სახმილს, აპრიალებდა მას და ტანჯვას უათკეცებდა. ეხლა ეონა უნდოდა მას მხოლოდ ვნებათა ჩასაქრობელად და დასაოკებლად, მხოლოდ ხორციელი არსება უნდოდა, მისი სხეული, თვით ქალი-კი სძულდა მას განუსაზღვრელი სიძულვილით, თვით პიროვნება ქალისა სამტროდ აღძრავდა მის მოქმედ ნებას.

- ახ, ერთი სურვილს ავისრულებდე და მერე ჩემის ხელით დავახრჩობდი ჩემს მტანჯველს! თუ არ დავინებზე, ვერ გავძლებ, ვერ ვიცოცხლებ. მიყვარს და მძულს! თუ ჩემი ხელშივე არ მოვსპე ის ჩემი უარმყოფელი, მე თითონ მოვისპობი ბოლმით!

ღვინომ სახმილი ვერ დაუშრიტა თევდორას, მაგრამ მაინც თავისი გაიტანა: გალახა კაცი, მუხლთ მოჰკვეთა, გონება აჰხადა, მოადუნა, გაქელა. მეორე დღეს რომ გამოეღვიძა ნაბახურევს ისევ ეონას სახე დაუდგა თვალ წინ და ცხადად წარმოუდგა გუშინდელი თავისი აზრები თუ გრძნობები. ცოტა არ იყოს, შერცხვა თავისი უცნაური გულისთქმისა და ცდილობდა მოეგონა, ხომ მოუხეშავი რამ საქციელი არ ჩაიდინა, ან უაზრო რამ არ წამოროშა და უნებლიეთ არავის გაუზიარა თავისი ხვაშიადი. მაგრამ მეხსიერება ამისთანას არაფერს უკარნახებდა კაცს და ის ცოტათი დაწყნარდა. მაინც საჭირო იყო დარწმუნებულიყო ამაში. პირი დაიბანა, ჩაიცვ-დაიხურა. დუქნის წინ გაიარ-გამოიარა უღვაშების გრეხით, გადიარა კაკლუას ეზოსაკენ და გამოეხმაურა გზირს. კაკლუამ მხიარულად მისცა პასუხი, მისი ცოლი მეამიტად მიემშვიდობა.

- მადლობა ღმერთს, არაფერი შეუნიშნავს ცუდი! - გაიფიქრა თევდორამ და გააბა გუშინდელ ქეიფზე საუბარი.

ბევრი ილაპარაკა თევდორამ, ბევრი ათვალიერა ეზოცა და დერეფანიც, მაგრამ ქალს თვალიც ვერსად მოჰკრა. დაბრუნდა შინ ისევ ნაწყენი და შეუდგა ისევ იმის ფიქრს, რომ გოგოც ხელში ჩაეგდო და წყალიდანაც მშრალი გამოსულიყო, ხოხობიც დაეჭირა და ბარდებიდანაც დაუკაწრავი გამომძვრალიყო. ბევრი ბოროტი აზრი დაეებადა თავში, ბევრი ეშმაკურად მოჭახრავებული ხერხი წარმოუდგა ოცნებაში, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ განხორციელდებოდა: თევდორას ეშინოდა სისრულეში მოეყვანა თავისი გულისთქმა მის მოქმედ ნებას დარაჯად იდგა მისივე შიში, რომ ავაზაკობისათვის სამართალს არ ჩაჰვარდნოდა პირში. იმ ხერხებით ქალის ხელში ჩაგდება ძალიან სახიფათოდ მოჩანდა.

- რა მომივიდა, რა, რომ მაშინ ავჩქარდი და წავეტანე! უდროვო დროს გამოვამქლავნე ჩემი სურვილი. კიდევ კარგი, რომ დამალა - მაშინ და არაფერი უამბო ან თავის დედას ან თავის ავღან მამინაცვალს. ნელ-ნელა რომ შევპაროდი, ჩემებურად გავწალდავდი საქმეს. მაგრამ ეხლა გვიანდა არის. ეხლა მეტი ღონე არ არის. ჩემ უკანასკნელ ხერხს უნდა მივმართო. გავიმარჯვებ, უთუოდ გავიმარჯვებ! სულ თებერამ კი მიყო, შეჩვენებულმა. არ შევარჩენ. მოვალ ი მეღორის ოხტიდანაც! - ფიქრობდა თევდორა.

ეონა-კი თევდორას ხმის გაგონებაზე თრთოდა და იმალებ-იჩქმალეობდა, კაცის სახეს რომ წარმოიდგენდა, გული შიშით უსკდებოდა და ცუდი წინათგრძნობით უკვნესოდა.

- დედი, დედიჯან! მიშველე რამე, დამიხსენ უკეთურის ხელიდან, თორემ გამაუბედურებს. მდიდარია და ძლიერი, ვინ დამიფარავს იმისაგან?! ვინ გადაეღობება იმას წინ?! - ეხვეწებოდა ეონა დედას, როდესაც თევდორა მოშორდა კაკლუანთ ეზოს, და თვალეbs აფეთებდა, როგორც ეშმაკეული.

15

თევდორას რომ ესე ბოროტად მოსდომნოდა ეონა და ისწრაფოდა დაეკმაყოფილებინა თავისი წუთიერი სურვილი, თებერაც ამავე დროს გაეტაცნა ეონაზე ფიქრს, გარნა ეს მისი ფიქრი ნაზი იყო, როგორც ყვავილის ფურცელი; ჭრელი, როგორც პეპელის ფრთა; ანკარა, როგორც მთის წყარო; ნათელი, როგორც სხივი მზისა. თებერასაც ძლიერ მოჰსურვებოდა ეონა, მაგრამ იმისათვის კი არა, რომ თავს შემოევლო ის და მერე გადაეტყორცნა ან დავიწყების, ან სიბოროტის უფსკრულში, არამედ იმისთვის, რომ თითონ თავს შემოჰვლებიყო მას, მისი თანამგზავრი გამხდარიყო ცხოვრებაში და საფლავის კარამდის აღარ მოჰშორებოდა თავის ბედისწერას და სიხარულს.

- ობლობა გამოვიარე მწარე, დედა მე აღარ მახსოვს და მამა, დაი მე არ გამაჩნია და ძმა, არასოდეს გულშემატკივარი არა მყოლია, არც მოყვარული, გული-კი ემებს ნათესავს თუ მეგობარს. ეონა უნდა დაენაცვლოს ყველას, თითონაც ხომ ობოლია და დაჩაგრული. გავახარებ, ობლობას დავავიწყებ. ჩვენ საწყალ კერას ავახმაურებ, სახლის ანგელოზს გავამხიარულებ. ღმერთო და წვერის წმინდა გიორგივ, კეთილი ყურით ისმინე ჩემი სიტყვა; ხელი მომიმართე! - ფიქრობდა ბიჭი და ემზადებოდა, ყველაფერი გაემჟღავნებინა ეონასათვის.

მაგრამ საქმის შესრულება არც ისე ადვილი გამოდგა, როგორც ეგონა: ბიჭს ვერ მოეხერხებინა შეეტყობინებინა ან ქალისათვის ან მის დედისათვის თავისი სურვილი, ვერა ჰბედავდა, ვერც სხვისთვის მიენდო სიტყვა. ან ვინ უნდა დაესაქმებინა სანდო, როცა ბიძა-ძალუა მტრად მოჰკიდებოდნენ მას და არაფერს კეთილს არ მოისურვებდნენ მისთვის. სხვა გამოცდილი და მისანდობი მახლობელი-კი არავინ ჰყვანდა. თუ თითონ მისულიყო და თავის პირით ეთქვა ყოველივე, ესეც ვერ გაებდნა: სცხვენოდა და ეხათრებოდა, ცოტა კიდევ ეშინოდა. ტყუილად-კი ღონდებოდა თებერა: ბედი ჯერ მისკენ იყო და მას უღიმოდა.

თებერამ ერთ დილას თვალი მოჰკრა, რომ ეონას ძროხა მიჰყვანდა ტყის-პირისაკენ. სადაც ნახირი სძოვდა: ფური ვერ მოეწველათ თავის დროზე, ვერც მწყემსისთვის გაეტანებინათ და ეხლა თითონ ეონას მიჰყვანდა ნახირში. მსწრაფლ გაუელვა ბიჭს ბედნიერმა აზრმა. შევიდა. შემოიკრა წელზე ხელსახოცით პური, გაიდო მხარზე ნაჯახი და გაუდგა ტყის გზას. მშვენიერი იყო ბუნება, მომხიბლავი. ახლად ამოსულ მზეს ოქროს ფრად დაევარაყებინა შეყვითლებული ფოთლები; ტრიალ მინდორზე აქა-იქლა მოსჩანდა თივის ზვინები; შემოდგომის სუსხისაგან მოშუშულ მდელოს ვეღარ ახარებდა მზის სხივი და გულ-ჩათხრობილი იყო არემარე, სასტიკი

ზამთრის მოლოდინით დაღონებული. ნათელ სხივებს და ლაჟვარდ ცას მოელამაზებინათ ბუნება, მაგრამ იგი მისი სილამაზე ხნიერი კეკლუცის მორთვასა ჰგვანდა და მოკაზმვას: გული იმისავითა ჰქონდა სევდით მკვდარი, იცოდა, რომ მისი სიმშვენიერის დღეები დათვლილი იყო, რომ კარს ედგა ზამთარი, დაუნდობელი, რომლის ერთი სასტიკი დაბერვა კმაროდა, რომ გაეცრიცა მის ღაწვებზე ციაგი, ჩაეჭკნო და ჩაელურჯებინა მის ლოყებზე ვარდის ფურცელი, მოეშუშა და მოესპო მისი სიკეკლუცის ყვავილები, შემოემარცვა მისთვის ნათელი მშვენიერებისა და შორს გაეტყორცნა სავალალოდ განხმელი, ცხოვრების მეჯლიშიდან გარიყული. მზის სხივებით მორთულ-მოკაზმული ბუნება გულის სიღრმეში გრძნობდა ყველა ამას და შიგა და შიგ კვნესოდა დარდიანი, მისი წიაღიდან დროთი-დრო გმინვა გამოისმოდა სევდის მომგვრელი. სურვილით გატაცებული თებერა-კი ვერა გრძნობდა ყველა ამას, ვერა ჰხედავდა, ვერც ამჩნევდა. მას თვალი მიეპყრო თავის ბჭყვრიალა ბედნიერებისათვის; მხოლოდ მასა ჰხედავდა იგი, მხოლოდ იგი ერთი არსებობდა მისთვის ეხლა მთელ დუნიაზე.

ეონამ შეურია პროხა ნახირში, ერთ წამს შეჩერდა და მერე გადაუხვია განმარტოვებულ პანტისაკენ, რომელიც ტყეს გამოსცლიყო, მინდორზე იდგა განცალკევებული. პანტის ხეც წითელ ყვითლად აფერადებულიყო. მაგრამ ეს მისი ფერად-ფერადობა სიხარულის ნიშანი არ იყო, იგი სიმძიმის ნასახი იყო და ავადობისა. ეონა ჩამოჯდა პანტის ფესვზე, უიმედოდ ჩამოჰყარა მკლავები. მძიმე ფიქრს მიეცა თავის დაღონებულ ყოფაზე: თან ყურს უგდებდა, როგორი გმინვით ჰმორდებოდა ფოთოლი ამზრდელ რტოს და ძირს ეფინებოდა უნუგეშოდ. ფიქრებში წასული ქალი შეკრთა, როდესაც თებერა წაადგა თავს და მიემშვიდობა.

- დილა მშვიდობისა, ქალო! აქ რამ მოგიყვანა ესე ადრიან?

ვაჟკაცის ხმაზე ზე წამოიჭრა ეონა, მაგრამ მოღიმარე ბიჭს რომ შეხედა, გული გაუნათლდა და დაწყნარდა. სალამზე სალმითვე უპასუხა. ბიჭი ერთხანს იდგა ქალის წინ უაზროდ და ირხეოდა უღონოდ: ენა დაება, ბაგე ველარ გახლიჩა, სიტყვა ველარ დასძრა. ქალმა იგრძნო მისი უხერხული მდგომარეობა და მიეშველა:

- გეტყობა, ტყეში მიდიხარ; ალბად შეშა უნდა ააგროვო.

- არა, ქალო, ტყე მხოლოდ მოვიმიზეზე: თვალი მოგკარი, რომ მოდიოდი და ცულს ხელი დავავლე, ვითომ ტყეში მქონდა საქმე.

ქალმა ხმა არ გასცა, თავი ჩალუნა, თვალეები ძირს დაუშვა.

- ველარ გამიძლია, გოგო, უშენოდ. თუ შენ არ მეყოლები გვერდზე, მე სოფელში დამდგომი აღარა ვარ, ისევ გადავიკარგები სადმე.

ქალს ელდასავით ეცა თებერას სიტყვა; ეს ბიჭი ერთად ერთი მისი მეგობარი იყო და გულის შემატკივარი, თუ ესეც წავიდოდა სოფლიდან, მთლად უბედური დარჩებოდა და მზე დაუბნელდებოდა.

- ნუღარსად წახვალ! ცოდვა არა ხარ, ისევ მოჯამაგირედ დადეგ სადმე? - წარმოსთქვა ქალმა და თვითონვე გაწითლდა თავის სიტყვაზე.

- რახან შენ მითხარ, ფეხსაც არ მოვიცვლი! სად ჯანაბას წავალ, ან სად გავძლებ უშენოდ? ოღონდ შენ-კი უარს ნუ მეტყვი, გენაცვალე, და წავალ, შევხვებწები თქვენებს, შენს თავს ნუ გამომწირავენ მე.

ქალი თავდახრილი იდგა და კაბის კალთას სჭმუჭნიდა ხელში.

გული სიხარულით ევსებოდა, სიტყვა-კი ვერ დაეძრა ბიჭის სანუგეშებელი: სცხვენოდა, მთლად გაეზიარებინა ბიჭისათვის თავისი გულის ნადები. თვალები-კი უბრწყინავდა სიხარულით, ბიჭს ქვეშ-ქვეშ გაჰყურებდა. თებერამ ნახა, რომ პირი მისკენა ჰქონდა გოგონას და წახალისდა:

- მითხარ, გოგოჯან, თუ წამომყვები, თორემ, ღმერთსა ვფიცავ, თავს მოვიკლავ! იქნება სხვა ვინმე მოგწონს, სხვაზე შეგვარდნია გული და გინდა იმას გაჰყვე?

- უწინამც დღე დაედიოს შენს ეონას! - ამოიღო ხმა ქალმა და უსაზღვრო სიყვარულით შეხედა ბიჭს.

თებერას ცა გაეხსნა, უნდოდა ეხლავე მოჰხვეოდა თავის სატრფო-საბედოს, მკლავიც-კი გაშალა შემოსაჭდომად, მაგრამ შეწითლებულმა ქალმა უკან დაიწია და ჭაბუკმაც ველარ გაჰბედა შემოხვევს.

16

ქალ-ვაჟის სასიყვარულოდ შეხვედრამ სიხარული და სიამე მოჰფინა ამ დაჩაგრულ ხალხის გარემო და კეთილად აახმაურა იგი კუთხე. უდარდელად აამღერა, ხალისიანად გააღიმ-გააცინა. ეონა აღტაცებული დაბრუნდა შინ და მაშინვე ჩაახარა თავის საიდუმლო თავის დედას. დედაკაცი ჯერ შეკრთა და დაიბნა.

- გოგო, შე გულკვდრის შვილო, ის ბიჭიც ხომ თევდორასავით არ გატყუებს? ვინ იცის, რა ცუდი აზრი ჩაიდო გულში და შეცდენა უნდა შენი.

- არა, დედიჯან, ძალიან კარგი ბიჭია თებერა! ისე ვუყვარვარ, ისეთი თავგადაკლულია, რომ... იცი დედიჯან ბევრი რამე უნდა ეთქვა, მაგრამ შეეხათრა, მაშინვე წავიდა.

- იქნება გაკოცა კიდეც, შე გაგლეჯილო?!

- არა, ღმერთმანი, ხელიც არ უხლია საწყალ ბიჭს.

ეონას დედამ სიამოვნებით მიიღო ეს კეთილი ამბავი, თუმცა ეჭვით უყურებდა ქალის ნაამბობს ვაჟის ქცევის შესახებ; ვერ წარმოედგინა, რომ ბიჭმა გოგო გაიმარტოვოს, სიყვარული გამოუცხადოს, თანაგრძნობა ნახოს და ისე ჩამოჰშორდეს, კოცნაც კი ვერ გაუბედოს. ვაჟკაცის მხრივ ესეთი მოკრძალება არ გამოეცადნა მას. თითონ აგერ ორჯერ იყო გათხოვილი და კაცები ესე ფაქიზად და ფრთხილად სრულებითაც არ მოჰპყრობოდნენ მას. პირველი ქმარი ხომ აზნაურობის მაძიებელი იყო

და იმასაც-კი არ ესმოდა ასეთი კეთილშობილური ქცევა. არ იცოდა დედაკაცმა, რა ფრთხილია ნამდვილი სიყვარული, როგორი მოკრძალებული და გაუბედავი.

მალე გამართლდა ეონას სიტყვა: თებერამ იმ საღამოსვე შეატყობინა ქალის დედას თავისი სურვილი.

ამის შემდეგ თებერა ხშირად გადადიოდა კაკლუასას: ხან საპერანგე მიჰქონდა გამოსაჭრელ-შესაკერავად, ხან საახალუხე, ხან ხილს რასმე მიაერთმევდა მეზობლურად ან კაკლუას ხელს წაახმარებდა რამე სამძიმო საქმეში. ღობეს ჰკოცნიდა ყურძნის სიყვარულით, ეონას სიახლოვე სწადდა და მიზეზს იღებდა. თუ სადმე გოგოები დაირ-ნადარას გააჩაღებდნენ, იქაც გვერდით ამოუდგებოდა თავის ეონას და ღიმილად გადაქცეული შესცქეროდა. ქალ-ვაჟი თანდათან ეჩვევ-ეთვისებოდნენ ერთმანეთს და სიყვარული უცხოველდებოდათ. წინდაწინ რომ პირობა დადეს, სააღებლამოდ ბარემ ნიშნობაც და ქორწილიც ერთად უნდოდათ გადაეხადნათ. ეს ამბავი ჯერ სამთა საიდუმლოს შეადგენდა, მაგრამ კაკლუასაც მალე განუცხადებდნენ. ისიც იცოდნენ, კაკლუას ეონას ბედ-იღბალი სრულებითაც არ აფიქრებ-აღონებდა, იმისთვის სულ ერთი იყო, ვის გაჰყვებოდა გოგო, ოღონდ-კი თავიდან მოჰშორებოდა მას. მაინც კაკლუასაგან არაფერი დასაწუნი არა ჰქონდა გამრჯე ახალაგაზრდას.

ქალ-ვაჟის დაახლოვება მამინაცვალს რომ სრულებით არ აღონებდა, არც აფიქრებდა, ის რომ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ამ დაშინაურებას და არც-კი ამჩნევდა ამას, თევდორას პირიქით ეს მათი დაახლოვება ჯავრით გულს უპობდა. ახალგაზრდების არც ერთი მოძრაობა არ გამოჰპარვია მას. ის თავიდანვე მიხვდა თებერას აზრს, გაითვალისწინა, რა ადვილი შესაძლებელი იყო, ეონა ხელიდგან გამოსცლოდა მას, მთლად მიუწვდომელი შექმნილიყო მისთვის და ტვინი აემღვრა ბოროტად, აირია კაცი. სწორედ რასმე ავაზაკობას ჩაიდენდა და სამართალში გააბამდა თავს, თუ უკვე ხასიათად გარდაქმნილი სიფრთხილე და შიში არ აპყოლოდნენ წინამძღვრად და ხელმძღვანელად.

იფიქრა თევდორამ და გადაწყვიტა: ისევ მხოლოდ თავის თავს მიჰნდობოდა და არავისთვის გაეზიარებინა თავისი გულის ნადები. აქამდის ხომ საკუთარის მოხერხებით თუ თაღლითობით გაეტანა თავისი ლელო, აქამდის ხომ მოყვრის ღალატი იყო მისი გზა, ხოლო უღმობლობა მისი იარაღი და ეხლა რაღად უნდა ემტყუნა ნაცად-ნაცნობ გზას? სწორედ იმავე გზას უნდა დაადგეს გამოცდილ-გამოწვრთნილი. ამ გზაზე დაჰყვანდა თევდორა იმ მავნეს, რომლისათვისაც სული მიეყიდნა მას და რომელსაც სანაცვლოდ აღეთქვა მისთვის დახმარება ყოველივე საეშმაკო საქმეში? ისევ რბილ ეკლად უნდა გადაქცეულიყო ბოროტი, შეყვარებულად და კეთილსაიმედოდ უნდა მოეჩვენებინა თავი ეონასთვისაც, მის ოჯახისთვისაც; სამართლიან გზაზე უნდა შემდგარიყო უსამართლო, კეთილთა ბილიკს უნდა დასდგომოდა ბოროტი; ცხვრის ტყავი უნდა წამოესხა მგელს მტაცებელს, ისე უნდა მიახლოვებოდა ჩასანთქმელად კრავს უსიტყვოს.

შორიდან მოვლა და დაყოვნება აღარ დასჭირდა თევდორას ამ გზაზე, რადგან გარემოებებმა საქმე ააშურ-ააჩქარეს. გავრცელდა ხმა, თებერა ეონას თხოულობსო. სოფელში აბა რა დაიმალებოდა? ნიშანი დღე-დღეზე იქნებოდა. თევდორამ თითონაც იცოდა, რომ თებერა აქეთკენა სწურავდა თავის აზრს თუ მოქმედებას. მსწრაფლ ამავე

იარაღით შეებრძოლა თავის მეტოქეს, რომ თავისკენ მიეღრიჯ-მიებრუნებინა ხელიდან წასული საქმე.

17

- თუ ვიღაც თებერა მოახერხებს ქალის თხოვნას და დანიშვნას, მითომ მე რაღა იმაზე ნაკლები ვარ? წუნს რასმე დამდებენ და უარს მეტყვიან თუ! რომელი ოჯახის ქალი ვითხოვო, სიხარულით არ გამომყვეს! ნახეთ, როგორ გაეხარდეთ კაკლუანთაც და გოგოსაც! ჩაქმახეულ ეონას სიზმრადაც არ მოსჩვენებია ამისთანა ბედი და იღბალი. სოფელში კი ძალიან გაუკვირდებათ, როცა გაიგებენ ამ ახალ ამბავს. კაკლუანთ ეონა და თევდორას მეუღლე! კონკია ჟღარუნა და ამოდენა სიმდიდრე! სწორედ ბედნიერი ზმანება იქნება მისთვის და სიზმარივითაც გაუქრება ეს ბედნიერი ჩვენება იმ შეჩვენებულს. ახიც იქნება: მომაჯადოვა ვაჟკაცი. სწორედ სიყვარულის წამალი მომცხო. ბელგას მივცემ, სახლში შევალ, ნიშანსაც ვაკურთხებინებ და მერე... ის ცოცხალთ იციან, მკვდარს საითაც უზამენ თავს! - ფიქრობდა ეშმაკის კვალზე შემდგარი და ბოროტად იღიმებოდა.

თევდორა უკვე გამარჯვებულად სთვლიდა თავის თავს, რახან გარკვეულ გზას დასდგომოდა, და სიამოვნებდა იმ სურათის ხილვით, რომელიც დაეხატნა მისთვის მის აღზუნებულ ოცნებას, მის გაშმაგებულ მისწრაფებას. აწ შემკრთალ-დამფრთხალი გოგო, მაშინ დამშვიდებით მიენდობოდა მას, იმედიანად დაუახლოვდებოდა თავის დანიშნულს, ნდობით დაეყრდნობოდა ამის მარჯვენას და გაეღებოდა თევდორას სამოთხის კარი, აუსრულდებოდა ნატვრა. მერე ბატონი გახდებოდა ქალისა, სრული მისი ბრძანებელი. ეონა მჩვრად იქცეოდა მის ხელში, უბრალო რამ ძონძად, ლაფანივით მოიქნებოდა მის მკლავზე. მაშინ ჩაუნელდება ვაჟკაცს მწვავე სურვილი, მთლადაც ჩაუქრება! მაშინ, დეე, მოვიდეს მისი თებერა და უშველოს, სადაც უნდა წაიყვანოს!

რახან სამოქმედო გზა გაიკვლივ-გაითვალისწინა თევდორამ და თანაც ისეთი გზა, რომლითაც, ჯერჯერობით მაინც, საჯაროდ სვლა შეიძლებოდა, მაშინვე შეუდგა წადილის განხორციელებას: მომქმედი კაცი იყო, ბევრი ყოყმანი არ უყვარდა, აღარც შეიძლებოდა დახანება. თუ მაშინვე არ მოჰკიდებდა ხელს, ქალი სამუდამოდ დაუძვრებოდა მას ბრჭყალებიდან, ისე გაუფრინდებოდა მას ეს ხოხობი, რომ მისი ერთი ჭრელი ფრთაც არ შერჩებოდა ხლში. აღარც თითონ ვაჟკაცს შეეძლო მეტი მოთმენა: ნდომამ ძალიან დაჰრია ხელი და დაიმორჩილა. ამ მდგომარეობაში თევდორამ ისევ კაკლუა წაიმძღვარა წინ, მის კალთას ჩასჭიდა ხელი და აჰყვა ეონასაკენ.

- დიდება შენდა, ღმერთო! - ეუბნებოდა შეზარხოშებული კაკლუა თევდორას, - აბა რა მომაგონებდა. ჩვენი ეონა მოგვწონდა და იმის სანხავ-სასინჯავად გადმოდრიოდი ჩვენსა? იმ თავითვე ბედი კი ჰქონდა მა გოგოს, მე და ჩემმა ღმერთმა: ჯერ ერთი, რომ მშიერ-მწყურვალნი ჩემს ოჯახს შემოვაფარე და ეხლა კიდევ, დახე, საუკეთესო კაცის ცოლი უნდა გახდეს სოფელში, ყველაზე მდიდარი ოჯახის პატრონი!

- ძალიან გულში ჩამივარდა, ჩემო სასიამაო, შენი გერი! ვიცი, რომ არც ისე ლამაზია, მაგრამ გულმა იმისკენ გაიწია და აბა ადამიანი სად წაუვა თავის გულს?! დალიე, ოჯახის ახალი სული დამილოცე!

- ოღონდაც, რომ ვერსად წაუვა! განა მე-კი კარგი ოჯახის ქალები არ მემღეოდნენ, ქალწულები და ლამაზები, მაგრამ დავინახე თუ არა ეონას დედა, მაშინვე თვალები ამება. გაჰქირი ცხენივით შევდექი იმის კარს, ვეღარ დამძრეს და ვეღარ! ისე მეგონა, იმის მეტი ქალი ქვეყანაზე აღარ არსებობს-მეთქი!

- ეგა თქვი და! რაკი ეონა მომივიდა თვალში, ვეღარც ერთ ქალს ვეღარ შევხედე საჩემოდ, თორემ შენ კარგად იცი, რომელი ოჯახიდანაც მინდა, იქიდან გამოვიყვან საცოლეს!

- ჰაი, ჰაი, რომ გამოიყვან! მართლა და ძალიან-კი მოგდევენ, ქალები. ისე მოფრინავენ შენსკენ, როგორც პეპელა ჭრაქისაკენ. ვიცი ყველაფერი! ნეტა რაღა ეშველება ეხლა უშენოდ გვერდელაანთ ფეფენას? - უთხრა კაკლუამ და თან სახრის წვერი მუცელში წაატაკ-წაუღიტინა ნიშნად ხუმრობისა და დაახლოებისა.

კაკლუა სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, რაკი სასიძოდ ამისთანა მდიდარი და ძლიერი კაცი იშოვნა. ფიქრადაც არ მოსვლია, რომ შეიძლებოდა ეონა არ გაჰყოლოდა თევდორას, ან ეონას დედა თუნდ ერთ წამს შეეყოყმანებულებოდა ამ საქმის თაობაზე. კაკლუამ მხოლოდ შეატყობინა ცოლს, თევდორა ხვალ სადამოს ბელგის მიცემას აპირებს და ეონა სუფთად ჩაცმულ-დახურული დაგვახვედრეო. ეონას დედამ ხმაც ვეღარ ამოიღო საწინააღმდეგოდ. ჯერ ერთი, რომ თევდორა უფრო ჭკუაში დაუჯდა სასიძოდ, ვინემ ლატაკი თებერა, და თუნდაც ასე არ ყოფილიყო, რა წინააღმდეგობას გაუბედავდა დაჩაგრული დედაკაცი, როდესაც გახალისებული კაკლუა თან ბრძანების კილოთი ეუბნებოდა დედაკაცს, თან შოლტივით მოქნილ სახრეს გველივით ზნექდა მის ცხვირწინ. იცოდა დედაკაცმა ამ სახრის უნარი. ნაგრძნობი ჰქონდა, როგორ ასპიტი გველივით იცოდა იმ სახრემ თემო-გვერდებზე ჩახვევ-ჩაწმახვნა. მეტი გზა აღარ იყო, უნდა როგორმე გაეგებინებინა ეს ახალი ამბავი ეონასათვის. არც ისე ძალიან აფიქრებდა ეს: თითონ დარწმუნებული იყო, რომ ეს ახალი ბედი ათასჯერ სჯობდა უკვე არჩეულ სასიძოს და ძნელი არ ეგონა თავისი ქალიც დაერწმუნებინა ამაში და დაეთანხმებინა.

მშვენიერ გუნებაზე იყო კაკლუა. შუადღის უკან უბანშიაც-კი აღარ ჩაიარა საჩხუბრად. ეზოში ჩხირკედელაობდა, იქაურობას ალაგებდა. ძველი ურემი გვერდზე მიაგდო, ჩამოყრილი შეშა თუთაზე ააყუდა, წუმპე გაშხიპ-გადახვეტა. ნახირი რომ მოვიდა, ძროხები თითონ შერეკა ბაკში და თან თითო-თითო სახრე უცხუნა. საჭირო-კი არ იყო, - ძროხა თითონაც მიდიოდა თავის ადგილას.

არც ეონას დედა იჯდა გულხელდაკრეფილი: სახლი და დერეფანი გამოგავა, ეზო გადაგავა, წყალი მოადრეობით ამოიტანა, სახლი მიალაგ-მოალაგა. ბოლოს თავი დაიხურა, კავი დაიხუჭუჭა, ლეჩაქი გადაიფარა და ქალს დაემსგავსა, დიასახლისს. სრულებითაც ვეღარ იტყოდი, კაკლუას გემოვნება არა ჰქონია, ქალის არჩევა არა სცოდნიაო.

ძვირფას სტუმრებს მოელოდნენ კაკლუაანი, საუკეთესო ოჯახი მიდიოდა მათთან სამოყვროდ და ჰხამდა გულლიად და მხიარულად დახვედრა. ყველაფერი განემზადებინათ მსხვერპლის შესაწირავად. თვით მსხვერპლი-კი არსად ჩანდა. ეონა

არსადა ჩანდა არც სახლში, არც ეზო-ყურეში. საპატარძლო სახლის უკან ჩამომჯდარიყო კუნძუზე და თებერას კარს გაჰყურებდა წყალწაღებული. მაგრამ თებერას კარმიდამოზე არავინა ჭაჭანებდა, მისი სახლი დახშული იყო დღეს და დაკეტილი.

- ნეტა სად წასულა და სად გადაღუპულა ი ჩემი ცოდვით სავსე? - ფიქრობდა ეონა დაღონებულ-დამმარებელი. - თვალი მაინც მომეკრა, რომ გამეგებინებინა ჩემი განსაცდელი. თევდორა გთხოვლობს, ძალიან შეჰყვარებიხარ, დღეს ბელგა უნდა მოგცესო. არ მინდა არც თევდორა, არც მისი სიყვარული. არც მისი ბელგა! აფთარია ის და ჩემი სისხლი სწყურია. კარგად ვიცი! აკი უთხრა თებერამ დედაჩემს, ეონა უნდა დავნიშნოვო. აკი მეც ვუთხარი, თებერას მეტს არავის გავყვები-მეთქი. ბიჭო თებერავ! ძალად ათხოვებენ შენს ეონას, მოჰხედე, შე დამწვრის შვილო! იქნება, შენც მიღალატე? ვაი, თუ გგონია, ჩემმა ეონამ ჩემ თავს თევდორა ირჩია, სიმდიდრეზე გამცვალაო?! თავს მოვიკლავ და სხვას-კი არ გავყვები!

- გოგო, ეონავ! სადა ხარ, შე გულმკვდრის შვილო? - მოესმა ხმა და დაინახა მისკენ მიმავალი დედა.

ქალმა ხმა არ გასცა დედას, არც ადგილიდან დაიძრა. დედა მიუჯდა გვერდზე, ბევრი ურჩია, ბევრი უაღერსა, მაგრამ ვერაფერი შეასმინა. შემინდა და შეწუხდა დედაკაცი, უილაჯოდ ჩამოყარა მკლავები, ტირილი ამოუშვა: იცოდა, რა ამბავიც მოჰყვებოდა ქალის ჯიუტობას და წინდაწინვე გული უკვდებოდა საცოდავს.

გზაზე კიდევ გამოჩნდა თევდორა, შავი ჩოხა ჩაცვა, ვერცხლის ქამარ-ხანჯალი შემოერთყა, განიერი შარვლის ტოტი მაღალ-ყელიან ჩექმაში ჩაება, კალმუხის მაღალი ქუდი დაეხურა. ახლად მოპარსულ სახეზე ბარაქიანი ცხვირი უფრო შემადლებულიყო და ამაყად სდარაჯობდა ფილთაქვის მაგვარ ნიკაპს. დინჯად მიდიოდა თევდორა, დარბაისლურად ხელში აბრეშუმის ხელსახოცი ეჭირა, ხილულობით სავსე. მას გვერდით მისდევდა მისი დეიდაშვილი თეკლე და ქოლგას მიაქან-მიათამაშებდა.

კაკლუა და მისი ცოლი ეზოშივე მიეგებნენ სტუმრებს და მრავალი მოკითხვის შემდეგ შინ შეიწვიეს. თევდორა ეონას ათვალთვრებდა მსუნაგის თვალთ, მაგრამ ქალი არსადა სჩანდა. ალბად სცხვენთან გამოსვლისა, გამოიყვანენო, -გაიფიქრა თევდორამ და ჯიბეში ბელგად წამოღებულ ბეჭდის კოლოფი გაისინჯა. დასხდნენ, ისაუბრეს, ეონა კი არსად იყო. თეკლესაც მოუსვენრობა დაეტყო: კედელ-ყურეს ათვალთვრებდა, სახლის კარებებს აჩერდებოდა. ეონას დედას ფერი მისდი-მოსდიოდა, შიშით გულს ეყრებოდა. მაგრამ ვედარაფერი მოეხერხებინა, თავწყალი ვერ გაედინა. კიდევ ილაპარაკეს, სთქვეს ამ მთის თუ იმ ბარისა. ეონა-კი არსად იყო. კაკლუამაც შენიშნა, რომ ქალი ძალიან იგვიანებდა და მიმართა ცოლს:

- სად არის, დედაკაცო, შენი ქალი? რატომ არ გამოვა? წადი, უთხარი. ისეც მოსწონხართ, დიდი მორთვა-მოკაზმვა საჭირო აღარ არის-თქო!

დედაკაცმა უხერხულად მოხადა ქალს ბოდიში და წელმოწყვეტილი გავიდა სახლიდან. ქალი ისეც ბაღჩისაკენ იჯდა კუნძუზე. გაქვავებულიყო: დიდ ხვეწნა-მუდარაზე არც ხმას ალებდა, არც იძროდა ადგილიდან. დაშტერებით გაჰყურებდა

თებერას სახლს, იქიდან მოელოდა შველას, თებერას სახლს-კი შავი შეემოსა და იდგა უხმოდ ჩაბნელებული: პატრონი შინ არ ჰყვანდა და იმისთვის არ ხმაურობდა, არც გული ჰქონდა განათებული. დედა ხელცარიელი შებრუნდა შინ.

- ძალიან სცხვენიან ბეჩავს და ვერ შემოუბედნია შინ, - ცრემლიანი ხმით შეეცადა გაემართლებინა ქალის ჯიუტობა.

თევდორამ იგრძნო, რომ ანგარიში შეერყა და ისე ღრმად მოფიქრებული და ბოროტად მოჭახრაკებული საქმე წაუხდა: მიხვდა, რომ ამ ხერხითაც ვეღარ მოიგდებს გოგოს, ამ საკენკუხედაც ვეღარ მოიტყუებს შემფრთხალ ფრინველს. და აემღვრა გუნება. ვეღარ უნდა სწოდა გულის წადილს. ქალისაგან დაწუნებული სოფლის სამასხარაოდ უნდა გამხდარიყო. რა გამოეპარებოდა ათას თვალთან სოფელს?! უწყალოდ, გაცრუებულმა იმედმა, გაცხოველებულმა ნდომამ, დამცირებისა და გათახსირების მოლოდინმა მთლად გადარია ადამიანი და გამძვინვებულ მხეცს დააგვანა, სისხლის მსმელს.

- ქა! აკი გითხარ, უზრდელია-მეთქი ეონა და სრულებითაც არ არის შენი საფერი! - წამოროშა თეკლემ და დაურთო ჯოჯოხეთს მუგუზალი.

თევდორამ საძაგლად შეხედა დედაკაცს და აღშფოთებული წამოდგა ზეზე. ნესტოები ებერებოდა, ფშვინავდა, აღმური ასდიოდა, ცეცხლს აკვესებდა თვალებიდან. კაკლუა ჯერ გაოცებული შეჰყურებდა ხან თავის ცოლს, ხან თავის სტუმრებს, გამოშტერებული ატრიალებდა თვალებს და ვერაფერი გაეგო, მაგრამ როცა თევდორას დეიდაც წამოდგა ალურსულ-აჭარხლებული, კაკლუა უეცრად მოეგო თავს, მიხვდა ყველაფერს, გველნაკბენივით წამოხტა და შესძახა გოგოს თავისებურად. ეონა ისე იყო დაშინებული მამინაცვალისაგან, ისე იყო მიჩვეული მის ხმის მორჩილებას, რომ ეხლაც შეუგნებლად წამოვარდა ზეზე და გასწია მისკენ.

- დასხედით! - უბრძანა კაკლუამ სტუმრებს და მიუბრუნდა ჯიუტს: - გოგო! ეს პატიოსანი ხალხი გვეწვია, ზღაპრული ბედი კარს მოგდგომია და იმდენი შეუგნებელი როგორა ხარ, რომ პატივისცემა არ იცი და სადღაც იჩქმალეები?! ღირსი-კი ხარ ამათ ოჯახისა?

თეკლეს ჯერ სრულებითაც არ უნდოდა ამ ოჯახში მისვლა და კაკლუანთ ქალის დანიშვნა თავის დისწულისათვის, ახლა ხელცარიელი უკან დაბრუნება აუტანელ შეურაცხებად მიიჩნია და თანაც ძალიან შეეფიქრა თევდორასი; ამისთვის დასძლია თავისი თავი და სცადა საქმის წაღმა დაბრუნება, მისი კეთილადვე მიმართვა.

- მოდი, შვილო, რას გვერიდები? დიდი ქალი ხარ ეხლა, აღარც ეგეთი დარცხვენა ვარგა, მოდი, ლამაზო, აი აქ გვერდზე დამიჯექ: ჩვენი ხარ ეხლა და ჩვენი!

გაჯიქებულმა გოგომ ამ ალერსიან ხმაზე თავი მაღლა აიღო და გაიხედა სტუმრებისაკენ, მაგრამ როცა მისი თვალი შეხვდა თევდორას გამხეცებულ თვალებს, ქალი შეძრწუნდა, ფერი დაკარგა და უკან-უკან წავიდა ათრთოლებული. მამინ-კი მთლად მიხვდა კაკლუა ყველაფერს და წაიწია ქალისაკენ.

- გოგო, დიდი ბედნიერება გეწია დღეს: აი, თევდორა გთხოვლობს, ბელგა მოუტანია; ღმერთს მადლობა შესწირე და მოდი, დაჯექ აქ! - შეუტია ეონას და სახრის წვერით მიუზომა ის ადგილი, სადაც უნდა დამჯდარიყო ქალი.

ეონამ უფრო უკან დაიწია და წარმოსთქვა აკანკალებულის ხმით:

- არა, არ მინდა, ვერ გავყვები მაგას, მეშინიან!

- რაო?! არ გავყვები?! გეშინიან?! არა, მგელი თუა ე პატიოსანი კაცი, შე მ. . . . ! - შედრიალა კაკლუამ და ნაჩვევი ხელით დაუშვა შემალლებული სახრე.

შოლტივით მოქნილი იფანი გადაეჭირა ქალს მხარზე, გადაეჭდო ზურგზე და დასწვდა წვერით ქორფა ტანს; იამა სახრეს ნორჩი ხორცი ერთი კიდევ შეითამაშა ჰაერში და კვლავ ჩაეწმახნა გოგონას, მთლად ჩააკვდა შიგ. თეთრიან კაბაზე წითელ წინწკლებად ამოშხაპუნდა თბილი სისხლი და გოგო მოფშვნიტილი საროსავით დაეცა ძირს.

19

თევდორა იმ თავითვე ჩვეული იყო, ყოველ საშიშ და სახიფათო შემთხვევას გასცლოდა და გაჰშორებოდა, რომ შემდეგში არაფერი დაჰბრალებოდა და ხათაბალაში არ გაბმულიყო, ან პასუხისგებაში არ ჩავარდნილიყო. მეტადრე ძალიან უფრთხოდა როცა კეტი თუ ხანჯალი იწყებდა მოციქულობას მებრძოლთა შორის. იმის დუქანში ხშირად იყო ამისთანა წითელი შემთხვევა. რამდენჯერ დაჰრევინა ერთმანეთს სასმელისაგან ტვინშეხურებული მისი სტუმრები, რამდენჯერ წასულა მისი მუშტარი დუქნიდან პირდაპირ სატუსალოში თუ სასამაროლოში, მაგრამ მედუქნე-კი ვერ ჩაუთრევია საქმეში: აყალ-მაყალის დროს ქაფურით გაქრებოდა, ხოლო ჩხუბის გათავებისას პირველ ადგილს იდგა, რომ ანგარიშში მოეყვანა დუქანში წანახედაკარგული. ეხლაც, რაკი საცოდაობა დატრიალდა სახლში, მაშინვე დაიძრა თევდორა, მაგრამ ვერ შესძლო წასვლისას ერთი მაინც არ დაეხედნა ქალისათვის: ეონა ლაფანივით მოშვებული გამხლართულიყო მიწაზე, მკლავები გადაეყარა, კაბის კალთა ასწეოდა მაღლამდის, უჩანდა კუწუბები და თეთრი ხორცი, ოდნავ პირისფრად შეფერილი. თევდორა ერთ წამს მსუნაგად დაამტერდა ამ რბილს, კარებიდან ერთი კიდევ გადაჰხედა მას სისხლმორეული თვალებით.

- აკი გითხარი, ადამიანო, თავი დაანებე-მეთქი მა გლახაკებს! რა შენი საქმეა ვიღაც ეონა გოგო, რა შენი საფერია და ტოლი?! მაგრამ ნათქვამია: “თუ ჭკვიანი არა სცდეს, რეგვენი...”

- ხმა გაიწყვიტე ეხლავე, თორემ შენზე ვანთხევ ბოღმას!

თეკლემ შიშით ხმა გაკმინდა, ენა მოიკვნიტა, იცოდა, რა შეუკავებელი იყო ამისთანა შემთხვევებში გააფთრებული თევდორა. მიდიოდა თევდორა თავდალუნული და გაჩუმებული. მხოლოდ სტვენა-ქშენა გაისმოდა მის კეხიან ცხვირიდან, როგორც მანქანის მილიდან.

გამფოთებული კაკლუაც ვეღარ მოთავსდა სახლში. ჯერ სტუმრებს მიჰყვა უკან რამდენსამე ნაბიჯზე, მაგრამ როცა იმათ ყურადღება აღარ მიაქცის მას, უკან ჩამორჩა და შეუხვია ბაღისაკენ. აღარც ეს ადგილი მოეწონა, უკანვე დაბრუნდა, გასცდა ეზოს, მცირე ხანს იყილა იქ და დაეშვა ქვემო უბნისაკენ. მის თავში მხოლოდ ერთი ფიქრიღა ტრიალებდა ეხლა: გაეგდო ეონა თავის სახლიდან. ეს ფიქრი ახალი არ იყო მისთვის, ადრევე შეიძულა იმან გოგო, მაგრამ მაინც ითმენდა, ხალხისა სცხვენოდა, ეხლა კი ეს აზრი გაუძლიერდა და დაჟინებით თხოულობდა დაუყოვნებელ აღსრულებას.

- თუ გათხოვება არ უნდა, დაიკარგოს ჩემი სახლიდან! მე მისი შემნახავი აღარა ვარ. წავიდეს, იმუშაოს, ვისაც უნდა ემსახუროს, თავი ქვას ახლოს და თავი ირჩინოს!

ეონას დედა, მუხლებზე დამდგარი, ჩასჩერებოდა თავის ქალს, ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა ღაწვებზე; უხმოდ იფუფქებოდა გამწარებული, ბუწუწებს იბდღვნიდა. სწორედ თავი ჰქონდა მოსაკლავი: ბეჩავს მისი ნანინანატრი ეონა უსულოდ ეგდო მის წინ ნაცემ-ნაგმევი და გათახსირებული. ეონა რომ გადაიქცა, ერთი-კი დაიძახა, ვაიო და თრთოლა დაიწყო, ხელს აწყვეტდა, მერე გაშეშდა და იდო გამოტოლი უძრავად, მხოლოდ თვალებს აფეთებდა, საშინლად ატრიალებდა. მერე თვალებიც დახუჭა და გაითანგა, ისე დაიბნა დედაკაცი და გადირია, რომ პირველ ხანს ძახილიც ვეღარ მოახერხა, რომ მიჰშველებოდა ვინმე გაჭირვებაში. მაგრამ როცა ქალი ვეღარ მოასულიერა და ცნობაში ვეღარ მოიყვანა, მაშინ-კი გამოვარდა კარზე და იწყო მეშველის მოწოდება. მისცვივდნენ მეზობლები. ჰაი წყალი, ჰაი ძმარი, ჰაი შელოცვა და, როგორც იყო, მოასულიერეს ქალი, მაგრამ სრულ ცნობაზე კი არ იქნა. ვერ მოიყვანეს. აცხროებდა, ფეთდებოდა: დაიხელთა გოგო, გადირია. რალა გაეწყობოდა?! ჩააწვინეს ავადმყოფი ლოგინში და წავიდ-წამოვიდნენ. სოფელში ელდასავით გავარდა ხმა ეონას ავადმყოფობის შესახებ.

თებერა ამ დროს შინ არ იყო, ქირა წაეღო სხვაგან, გვიან დაბრუნდა. ხარ-ურემი რომ დააბინავა, კოკას წამოავლო ხელი და წყაროზე წავიდა. წყალზე სხვებიც, ჩამოსულიყვნენ და იმათგან ეს ახალი ამბავი შეწუხებულ-შეშფოთებულმა ბიჭმა მაშინვე გადირბინა კაკლუანთსა. ეონას დედამ, შესტირა ბიჭს და თან ჩასძახა ავადმყოფს:

- აი, გოგო, თებერა მოვიდა შენს სანახავად, აბა თვალი გაახილე, შე საცოდავო!

- ეონავ, ქალო, რა დაგემართა, რომ ლოგინად ჩავარდნილხარ? რა ჩაგწყდა იმ ერთი დაკვრით, რომ ვეღარ მობრუნებულხარ? მიუახლოვდა თებერა და ჩაეკითხა.

თებერას ხმის გაგონებაზე ქალი შეიშმუშნა, წამოჯდა, ერთი ჩააშტერდა ბიჭს, თითქოს ცნობას მოვიდა და მერე ისევ ცახცახი დაიწყო.

- მიშველეთ! მიშველეთ! აგერ ფოცხვერი! - შესძახა ქალმა განწირულის ხმით და გაიბრძოლა.

როგორც იყო, შეიმაგრეს ავადმყოფი, დაამშვიდეს და მიაწვინეს. ბიჭმა ცრემლი ვეღარ შეიმაგრა და თვალების წმენდით გავიდა გარეთ.

20

კაკლუა გვიან შემოვიდა სახლში. მიიხედ-მოიხედა დაღვრემილმა და ქალი რომ ლოგინად დაინახა, ხმა აღარ ამოუღია, თუმცა ყანყრატო ექავებოდა და ენა თავისთავად ენძრეოდა ლანძღვის წამოსანთხევად. ქალი ლოგინში იწვა, ჭრაქის ციაგი დაჰნათოდა და მკრთალი სახე უფრო მიმქრალი მოსჩანდა, ჩანავლებული. თვალის უბეები მორღვეოდა, ჩალურჯებოდა, გადაქანებული თვალის კაკლები თეთრად მოსჩანდნენ. თავით დედა ეჯდა და ჩაჰყურებდა თვალცრემლიანი. თუ ფეხზე დაენახა კაკლუას ეონა, რაც დააკლო, შეუსრულებდა, მაგრამ ამ ავყოფაში რო ნახა, შეინძრა და ჩაფიქრდა.

აღარც მეორე დღეს გამობრუნდა ეონა. ფეხზე-კი წამოდგა, კიდეც ჩაიცვ-დაიხურა, მაგრამ საღად ვერ გამოიყურებოდა: შიში ჰქონდა გულში ჩავარდნილი და თრთოდა, იმალებოდა, აფთარი თუ ფოცხვერი ელანდებოდა, სიტყვას ჰრევდა. თანაც ისე მიესუსტებინა გუშინდელ ამბავს, რომ წუთსა და წუთს ღონე ეცლებოდა. თვალებს ლულავდა, მკლავებს ჩამოჰყრიდა მოტეხილი ფრთებივით და ქანცგაწყვეტილი მიესვენებოდა ტახტზე.

- რა იყო, გოგო, რა დაგემართა, შე საწყალო? ასე ვთქვათ. მედუქნე თევდორა შემოვიდა სახლში შენ სათხოვნელად და ეგრე საცოდავად რამ დაგაფრთხო, რამ გაგაშემშიშა? - ეკითხებოდა შიშით და ჯავრით გამქრალი დედა.

- თევდორა-კი არა, აფთარი იყო, დედიჯან! იმის თვალებიდან აფთარი მიღრენდა და მიკაკუნებდა. აკი მწვდა კიდეც და კბილი ჩამიჭირა! - ბოდავდა ეონა.

- რას ამბობ, გოგო, აფთარს რა უნდოდა ჩვენს სახლში?

- მიშველე, დედიჯან, კიდეც მოდის ის აფთარი, ტვინი უნდა ამომწოვოს! - დაიძახა ავადმყოფმა და ფორთხალი დაიწყო გულშემოყრილმა.

- უი შენს დედასა, შვილო! - შესძახა დედაკაცმა და კავები ჩამოიწიწკნა, მუხლებზე ხელები დაიკრა.

წუხილით და მუხლებზე ხელის დაკვრით ვეღარა ეშველებოდა რა ეონას; მეტი გზა არ იყო, რამე სხვა ღონე უნდა ეღონათ, დაუძახეს მოძღვარს. იმან ლოცვები წაუკითხა ავადმყოფს, აიაზმა ასხურა, სახარება დააბერტყა თავზე. თითქო ეგონა, ავადმყოფს: გონს მოვიდა, დაწყნარდა. მაგრამ მერე ისევ გული შეუფერდა, სიტყვა შეშალა, თვალის იერი დაჰკარგა. უწამლეს სოფლურად, მაგრამ არ არგო არც ბალახ-ბულახებმა, არც გალესილმა თუ ჩაფხეკილმა წამლეულმა; ვერ გასჭრა ვერც შელოცვამ, ვერც სათვალ-ღვრინჭილისა თუ შანის შებმამ, ვერც ზვარას დაყენებამ. აღარც ფთილის ჩამოსხმა ამცნებდა რამ სანუგეშოს. დაავადდა ბეჩავი ეონა, დაავადდა.

დაღონებულ-დამმარებულმა ეონას დედამ აღარ იცოდა, რა ექნა და როგორ მოქცეულიყო ან რა წყალში გადავარდნილიყო: ავადმყოფისთვის მოეარნა და ყოველ

წუთს თვალყური ედევნებინა, აღრენილ-აყეფებული კაცი დაეოკებინა, თუ სახლისა და ოჯახისაკენ ჰქონოდა ხელი.

- დედაკაცო, რა გულხელი დაგიკრეფია და წყალს მისცემიხარ მდინარსა?! ადექ, წაიყვანე შენი გოგო ვაშლოვანს და აკითხვინე: ხომ იცი, რა გულთმისანია იქაური მკითხავი.

მართლა და ეს ერთადერთი იმედიღა დარჩენილიყო შველისა. ეონას დედამაც დაუყოვნებლივ მიჰმართა ვაშლოვნურ მარჩიელს.

21

კაკლუაანი რომ გაღვივებულ ნაღვერდალზე იწვნენ და იდაგებოდნენ, ვედარც თევდორაანი წამოწოლილიყვნენ ვარდის ფურცელზე სანეტაროდ. ძალიან წარბშეკრული დადიოდა მედუქნე. ყველას უბუხუნებდა, ოხრავდა, იმუქრებოდა, ბობოქრობდა: თავის ქერქში ვედარ ეტეოდა. ერთი და ერთი რომ შეუჯდა ეშმაკი გვერდებში და ააღელვა ეონას ნდომით, აღარ უსვენებდა იგი მაცთური, ნდომას უძლიერებდა. სურვილს უგზნობდა და იქამდის მიიყვანა ე ქეთხუდა კაცი, რომ ყველაფერი დაავიწყა: თავმოყვარეობაც, რიდიც, სირცხვილიც და კანონის შიშიც-კი. გუშინ რომ საძაგელი მარცხი მოუვიდა, დღესაც იმავე საგანს ეტრფიალებოდა. ისეთ საოცარ გუნებაზე დადგა, ლამის გაქცეულიყო კაკლუაანთას და რამე უგუნურება ჩაედინა, ოღონდ-კი ერთი კიდევ დაეხედნა წამოწოლი ქალისთვის, თუნდაც ავადმყოფის სარეცელზე წამოქცეულისათვის. ამ მძლავრ და აწ უაზრო სურვილის ჩასანელებლად და ეშმაკის დასათრგუნად ხან არაყს ატანდა ძალას, ხან ღვინოს, მაგრამ სასმელიც მავნეს თანამოაზრე გამხდარიყო: უფრო და უფრო აღზნებდა მის გულში დატრიალებულ ცეცხლის ალს.

- წავალ, ეხლავე წავალ და ხანჯალს ჩავცემ მუცელში შეჩვენებულს! მაშინაც აღარ ჩამომშორდება გონებიდან მისი სახე?! მაშინაც აღარ მომცემს მოსვენებას ის ეშმაკის კერძი?! ერთი-კი დავეკონები, დავაკვდები! - იძახდა გადარეული და ლამის სისრულეში მოეყვანა საოცარი ფიქრი.

კაკლუაანთასა მომხდარ უჯიშო ამბის შემდეგ სოფელმა აღმაცერად დაუწყო ცქერა თევდორას. წინადაც ხომ არ უყვარდა იგი სოფელს. ჰხედავდა სოფელი, როგორა სჩაგრავდა მედუქნე ხალხს, მაგრამ რა უნდა ექნა, როდესაც ფული მხოლოდ იმას ეჭირა ხელში და ძალაც იმის ხელში იყო. გაჭირვებაში ისევ თევდორასთან უნდა მისულიყო ყელმოტეხილი; მისგან უნდა გაემართნა ხელი. აკი თითქმის მთელი სოფლის მევალე იყო თევდორა. ხოლო მთელი სოფელი მისი მოვალე. ხომ იცით, ფულისაგან ამნაირად შეჭედულ ურთიერთობის ჯაჭვს რა აღრენილი კავშირი მოსდევს ვალის გამცემთა და ამღებთა შორის? ახლა ამას ისიც დაერთო, რომ ეს სოფლის მღვარსლელი ძალიან მსუნაგი იყო ქალთა შესახებ, გაუმაძღარი. პატარობიდანვე გასალახანავებულმა მთლად გარყვნა და წაბილწა სოფელი. ბევრი ოჯახი შებღალა, ბევრ ვაჟკაცს მოხადა ქუდი, მაგრამ ძალა აღმართსა ჰხნავდა და ყველა იძულებული იყო, მოუნელებელი მტრობა გულშივე ეტრიალებინა, მოსისხლე მტრისათვის სამეგობროდ გაეწოდა მარჯვენა.

თევდორამ კარგად იცოდა, რომ სოფელსა სძაგდა ის, მაგრამ რას დაგიდევდა ვისიმე სიყვარულს თუ სიძულვილს, როდესაც მთელი სოფლისათვის მკლავი გველივით შემოეხვივნა და სწურავდა, როდესაც მოძმისათვის ყანყრატოში ჩაეკიდნა უწყალო ხელი და მის ნებაზე და ქეიფზე იყო ხალხის დაღობა თუ შვების მიცემა!

ეხლა-კი, როდესაც მარცხი მოუვიდა თევდორას, როდესაც ბოროტების გზაზე შეუდრკომლად მსვლელობას რყევა დაეტყო, შეიძრა ხალხი და აიმრიზა. სწრაფად მოედო სოფელს ეონას ამბავი. ზოგი ეონას დედამა სთქვა, ზოგი თევდორაანთ წამოაყრანტალეს; სხვა თებერამ დასძინა და მთლიანი ამბავი შესდგა სრულის სინამდვილით. ეხლა სოფელი აღარც-კი ერიდებოდა თევდორას: მიუხვდნენ, რა აზრით ჰსურდა ეონას დანიშვნა, ხელზე დაიხვიეს ეს ამბავი და აყაყანდნენ. ეონას ახსენებდნენ, თავის გასაჭირს მოსთქვამდნენ; საბაბად ეონას მოიღებდნენ, თავის ვარამს დაატირებდნენ ეონას ამბით დაიწყებდნენ, თავიანთ დარღვებით დაათავებდნენ. ერთი მცირე რამ შემთხვევად იყო საჭირო, რომ სოფელს შეგუბებული ნაღველი გადმოენთხია და თევდორას კეთილდღეობა წაეღებინა.

თევდორემაც იგრძნო. სოფელი ხელიდან უსხლტებოდა და, უსამზღვრო ბრძანებლობას შეჩვეული, ეს ახალი ყაიდის მებატონე ირეოდა, გონებასა ჰკარგავდა და შეცდომას შეცდომაზე აგებ-აშენებდა, რომ თვითონვე მოჰყოლოდა ქვეშ თავისსავე ბოროტებათა კომპის ნანგრევებს.

აკი აგრეც მოუვიდა თევდორას, შემდეგში, როდესაც ხალხი თავს მოეგო და გონს მოვიდა.

ძალიან თავის ნება ადამიანი იყო ვაშლოვანელი მკითხავი და თავის წვერა! იმასთან ყოველთვის შიშით და კრძალვით მიდიოდა ხალხი. თუ გუნებაზე არ იყო, არ უკითხავდა, კიდევ შეუტევდა, და დაითხოვდა თავის კარიდან. ხალხს ეშინოდა მისი, თანაც უფრთხილდებოდა, პატივსა სცემდა. ძალიან მკითხავი-კი იყო! რომ დაიდგამდა წყლით სავსე ვერცხლის თასს და აღმასის ბეჭედს ჩააგდებდა შიგ, დაწვრილებით ამოიკითხავდა კამკამ წყალში ყოველსავე გარდასრულს თუ გადასავალს. მე ვიცი სახელი შეეშლებოდა შენი ან დაფარულ აზრს ვერ გაიგებდა!

ეონას დედა კრძალვით შევიდა მკითხავთან, მით უფრო, რომ მცირე შესაწირავი ეჭირა ხელში. მარჩიელი საქმეში იყო გართული, მიმსვლელნი ეხვივნენ გარს. რიგრიგად უახლოვდებოდნენ მსურველნი. მიდგა ჯერი ეონაზე. მკითხავი ერთხანს ჩააკვირდა ავადმყოფს, მერე წამოდგა ზეზე და მდაბლად დაუკრა მას თავი. გაუკვირდათ მისი ესეთი ქცევა.

- სულთ მეცნიერი დაგპატრონებია, შვილო! აქ მოდი ჩემთან, საყვარელო, ახლო დამიჯექ! - უთხრა მკითხავმა და გვერდზე მოისვა ქალი.

შეუდგა მკითხავობას. ოხრავდა, ამთქნარებდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტს ამბობდა. მიქელ გაბრიელის მიზეზი ამოვიდა. ნათქვამიდან გამოირკვა, რომ ეონა ეხლავე უნდა ხლებოდა მთავარანგელოზს. სამი წელიწადი უნდა ყოფილიყო ამ ხატის კარს მონად.

მერე განთავისუფლდებოდა ქალი, დაუბრუნდებოდა მას. თავისი ჯანიც, თავისი გონებაც და თან მიემადლებოდა ნიჭი გულთმისნობისა.

- განითქმის ხალხში სახელი შენი, შენს ქმარ-შვილს გააბედნიერებ. ჩემ სახელს რომ ნელ-ნელა დაივიწყებს ხალხი, შენი სახელი სათაყვანებელი გაუხდება მას. მაღლიანი ხარ და მაღლი ღვთისა გფარავს შენ! - უწინასწარმეტყველა მარჩიელმა და პატივისცემით გამოაცილა ქალი. ეონას დედამ გაბედა და საწირავი შეაძლია მკითხავს, მაგრამ იმან ზედაც არ შეხედა დედაკაცს, არც ფული ჩამოართვა.

გაიგეს სოფელში ეს ამბავი და ძალიან გაუკვირდათ. თითონაც კრძალვით და მოწიწებით დაუწყეს ქალს ყურება. მხოლოდ კაკლუამ ვერ მოიბრუნა გული და მტრულის თვალთ უმზერდა თავის გერს.

ეონა-კი ისევ ავად იყო, გონებაზე ვერ მოსულიყო, უმიზეზოდ ემინოდა, ფრთხებოდა, აკანკალებდა. საჭირო იყო, რაც შეიძლებოდა ჩქარა წაეყვანათ ხატში. შეაბეს ყელზე შანა, შეუკერეს თეთრები: გაამზადეს ქალი ხატის კარს წასაყვანად. შორს იყო მთავარ-ანგელოზი, თითქმის ერთი დღის სავალი იყო ურმით. დედაკაცს ემინოდა, ეთხოვნა ქმრისათვის, ურემი შეება მათთვის და წაეყვანა. მეტი გზა-კი აღარ იყო, შეეხვეწა ცოლი, მაგრამ ცოლის სიტყვაზე ისეთი შეღრიალა კაკლუამ, რომ მთავარი ცნება დაუკარგა დედაკაცს. არ იცოდა ბედშავმა, ახლა რაღა უნდა ექნა და ვისთვის მიემართნა- მაგრამ ხატმა თვითონ მიჰგვარა მას მშველელი და ხელის გამმართველი.

თებერა თვალს არ აშორებდა ეონას. ქალის უცნაურმა ავადმყოფობამ შეაღონა ახალგაზრდა, თანაც სანუგეშოდ ჰპოვა ამ უბედურებაში. ადამიანი ყოველ გასაჭირში რამე სანუგეშოს და ხელმოსაჭიდს გამოსძებნის ხოლმე. ვიღაც ობოლ ბიჭს, რასაკვირველია, არ შეეძლო ბრძოლა იმისთანა ძლიერ მეტოქესთან, როგორც იყო თევდორა; რახან თევდორამ მოინდომა ეონას დანიშვნა, თებერას უკვე დაკარგული ეგონა ეონა თავისათვის და ეს-კი აუტანელი იყო მისთვის. უყვარდა გოგონა და სხვა ვინმე თავის მეუღლედ და ცხოვრებაში თანამგზავრად ვერ წარმოედგინა. მოუთმენლად მოსდომნოდა ეონა და მხოლოდ ჟინის მოსაკლავად-კი არა, მასთან სამუდამოდ შესაერთებლად, მასთან და მისთვის მარადჟამს საცხოვრებლად. ეხლა კი თევდორა მთლად ჩამოსცილდა ეონას. მორჩება ეონა და ველარავინ შეუშლის ხელს მასთან შეერთებას. ეონასთან ყოფნა და ალერსი, მასთან შრომა თუ განსვენება, მასთან სიცოცხლე სამუდამო და დათრგუნვა სიკვდილისა! ეონასთან სიცოცხლე ხომ საუკუნო იქნება და დაუსრულებელი. ბნელი სიკვდილი ველარ მიეკარება მათს ნათელ ყოფას: ორნივე ერთად შეებრძოლებიან მას და სძლევენ. ბიჭი ხორციელი რომ იყო და ძლიერი, მძლავრად უთქმინდა გული ქალისათვის და ეს ხორციელი გულისთქმაც საუკუნო იყო და დაუშრეტელი წყარო ნეტარებისა.

ეხლა ხომ ავადმყოფი იყო ეონა, დასაფიქრებელი ავადმყოფი, მაგრამ თებერას მისდამი სიყვარული არ გაჰგრილებია; კიდევ გაძლიერდა ეს სიყვარული, რადგან ზედ სიბრალული დაერთო მას. უნდოდა ბიჭს, როგორმე მიჰშველებოდა ავადმყოფს, ჭირი გაეადვილებინა მისთვის და ტანჯვა გაეზიარებინა ეს თავის საკუთარ ბედნიერებად მიაჩნდა ბიჭს. მერე, როგორ უჭირდა ეხლა მიშველება ბედისაგან დაჩაგრულ გოგონას! თებერას სამოქმედოდ იწვევდა აღფრთოვანებული გრძნობა და დროც ეხლა იყო მოქმედებისა.

თებერამ გაიგო, კაკლუა ურემს არ აბამს ავადმყოფის ხატში წასაყვანადო და დაასკვნა, თითონ წაეყვანა ის ხატის კარს თავის ხარ-ურმით. გადაიარა გზირიანთსა, ერთხანს ტყუილად იყილა მათს კარ-მიდამოზე, მაგრამ ვერ გაბედა ეთქვა თავისი სათქმელი, ვერ მოახერხა. გადმოვარდა ჩვენებთან და ჩვენებს გაანდო თავისი სურვილი. ძალიან მოუწონეს ბიჭს ეს კეთილი და ღვთისნიერი აზრი. დედამ მაშინვე შეატყობინა თებერას სურვილი ეონანთ.

ეონას დედა შეწუხდა, რომ უცხო უნდა გაესარჯნა თავის საქმეზე, მით უფრო, რომ იმან იცოდა, თებერას სურვილი ქალის შესახებ და ეხლა დანაშაული მიუძღოდა მის წინაშე. მართალია, დედაკაცმა შეიგნო აწ თავისი შეცდომა, მაგრამ შეუძლებელია იყო საქმის გასწორება; ფიქრიც აღარ შეიძლებოდა ამაზე. რაღა საპატარძლო იყო ეხლა დასწრელებული ქალი?! ეხლა დედაკაცისაგან თებერაზე სათავისოდ ფიქრი უაზრობადა იქნებოდა. ამან შეაწუხა დედაკაცი. უარი-კი ვერ უთხრა: რა დროსღა უარი იყო ამ უკიდურეს გაჭირვებაში?! ეონამ შეიგნო ეს ამბავი და სრულებითაც არ იუცხოვა; ისე მიიღო, თითქო სწორედ ასე უნდა მომხდარიყო, სწორედ თებერას უნდა წაეყვანა ისინი ხატის კარს.

გახარებულ-გახალისებულმა თებერამ ნაჯახით ხელში შემოუარა თავის ურემს: იქ ფერსო ჩამოუკვერთხა, აქ წნელი გამოუცვალა ღერძის თავს, ჭინჭილაქები თუ სოლოები დაამაგრა, შოლტი გაპოხა, სახრე ხელსატაცად დაიდვა; მიჰხედა და მიეაღერსა თავის წყვილ ხარს; ბოლოს შექამა პურის ლუკმა, აღმასასაც მიუგდო პური და მიწვა. ისე მარდად მიეძინა და მაგრა, თითქო ბანგდალეულიაო.

ის იყო ღამე იწურებოდა, როცა უეცრად გამოეღვიძა თებერას. თითქო განძრახ ხელი წაჰკრესო გამოსაღვიძებლად. გარედ გამოვიდა. მძლავრად მომავალ ნათელს წინაწარექცია წყვილიადი, ბრწყინვალე მნათობს დაეძლია ღამე და სვეტად ნათლისა ამომართულიყო ცის კამარაზე. ფრინველს გაჰღვიძებოდა, ჟივჯივებდა ჯერეთ გაურკვეველად, ჯერ კი არ დაძრულიყო ღამის ბინიდან. ღამაზე ყვავილს სხივთა მოახლოებაზე სიხარულის ცრემლი მოჰსვლოდა ჟუჟუნა თვალზე და ცვარად გადმოჰკიდებოდა მორცხვად დახრილ წამწამზე. იღვიძებდა ბუნება, ჯერკი მთლად ვერ გამორკვეულიყო ღრმა ძილისაგან, ისევ ფერად ზმანებას უღიმოდა მსუბუქ რულში. თებერამ წყალი შეისხა პირზე, პირჯვარი გადაიწერა აღმოსავლეთისაკენ და შეუდგა მზადებას. ის იყო, აღმოჩნდა თვით მზე ცხოველმყოფელი და პრიალა შუქი გადმოაფრქვია მადლიანმა ჩაშავებულ დედამიწას, როდესაც თებერას ურემი მიჭრიალდა კაკლუაანთ კარს.

გამოვიდნენ ეონანი. თებერას მოხიბლულ თვალებს საოცნებოდ მოეჩვენათ თეთრებით ჩაცმული თეთრი ქალი. მისი მიმქრალი სახე ჰაეროვნად მოსჩანდა დილის ციაგზე. ქალს თვალებში ცნობიერება დასჩნეოდა. მივიდა თებერასთან, მშვიდობის დილა უსურვა, ხელი ჩამოართვა. მზე მთლად ამოვიდა და ლაპლაპებდა ცის კამარაზე ძლევამოსილი. თებერასაც ეხლა ამოუვიდა მზე, ნათელი სიხარულისა. ისეთის სიფრთხილით ასვა ქალი ურემზე, თითქო რამე სათუთი ხატი უნდა დაასვენოს ნიშშიო. გაჭრიალდა ურემი, გაიტყლაშუნა შოლტმა. მგზავრებმა პირჯვარი გადაისახეს. გაღვიძებულმა სოფელმა კეთილი თვალი გაადევნა ხატის კარს მიმავალთ. უსურვეს

ავადმყოფს განკურნება. სიამოვნებით და გაკვირვებით უმზერდნენ კოფოზე მჯდარ თებერას, უქებდნენ სამადლო საქმეში დაუზარებლობას და გულჩვილობას.

კეთილშეზავებულმა ჰაერმა, ფერად-ფერადმა სანახაობამ, მშვენიერმა ბუნების სიკეკლუცემ თვალ-წარმტაცმა, ღრმა რწმენამ, რომ ხატის კარს მადლი მაკურნებელი მიეფინებოდა მას, კეთილად იმოქმედეს ქალზე და დაუშუშეს ნატკენი გული, დაუწმინდეს ამღვრეული გონება, დაულაგ-დაუამეს არეულ-აწეწილი ნერვები და ადამიანური აზრი ჩაუსახეს თვალეზში. ენაც-კი ამოიდგა ეონამ თებერას გასახარად: ქალი აწ წყნარად ლაპარაკობდა, საღად მსჯელობდა, კიდევ იღიმებოდა.

- ღმერთო და მთავარ-ანგელოზო მუხისაო! შენ შემოჰხედე წყალობის თვალით ჩემ საწყალ გოგოს, ულხინე მას და ნუ დამიღუპავ წვა-დაგვით გამოზრდილ შვილს! - უჩუმრად ეხვეწებოდა ეონას დედა ძლიერ ხატს.

- კეთილი ბრძანდება მთავარ-ანგელოზი მუხისაი და წყალობის თვალით შემოგვხედა დალოცვილმა. იცის, რომ ბოროტი რამ არ ჩაგვიდენია, აზრადაც არ გაგვივლია რამე ცუდი და იმიტომ მოგვაშველა მფარველი მარჯვენა ძლიერმა, - ამბობდა გულში თებერა.

- ობლის მამა ღმერთია, და თქვენც ხომ ობლები ხართ, შვილო! ღმერთი იქნება თქვენი მფარველი და მთავარ-ანგელოზი ძლიერი, ვენაცვალე იმის მადლს! - განაგრძობ ხმამაღლა ბიჭის ფიქრი ეონას დედამ

შუაღამემ მოატანა. საქონელი დაიღალა. მგზავრებს მოშივდათ. გზა მთის ფერდობზე ჩაევლო ალმაცერად. თებერა წინ მოექცა ხარებს და ფრთხილად მიერეკებოდა თავქვეზე. ჩაათავა თავდაღმართი. დაიწყო ჭალა-მუხნარი. ჭალას პირზე, გზის იქით, მშვენიერი რამ ველი მოსჩანდა, ტყით შემოზღუდული. ველს ნაპირი ხევისაკენ ჰქონდა დაქანებული და ამ თავქვეზე გადაჩხრიალებდა მთის ნაკადი, რომელიც ველს შუაზე ჩამოუდიოდა. ველი ხასხასი მდელოთი იყო დაფენილი და მწვანის კორდებით. თითონ ნაკადს მაღალი ბალახი ჩასდევდა, რომელიც შიგა და შიგ ირხეოდა წყლის დენაზე. მშიერმა ხარებმა თითონ მიიწიეს ველისაკენ და პატრონიც სიამოვნებით დაჰყვა ჭკვიან საქონელს. დაისვენეს მგზავრებმა, ისადილეს. ეხლა გზა საკმაოდ იყო შემოკლებული: ჭალა უნდა გაევლოთ, გასულიყვნენ მდინარეს, შესდგომოდნენ აღმართს, გაევლოთ სოფელი ხატისი, რომელიც ფერდობზე იყო გაშენებული და ასულიყვნენ მთის წვერზე, სადაც ბრძანდებოდა მთავარ-ანგელოზი მუხისაი. დღე გატეხილი იყო, როდესაც გაიარეს სოფელზე.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ მლოცავნი ეკლესიას, რომელიც თეთრად მოსჩანდა მთის წვეროზე, იმდენად მეტი ღელვა ეტყობოდა ავადმყოფს. სოფელს რომ გასცდნენ, ქალი აღარ დადგა ურემში: გადმოვიდა და ფეხით შეუდგა გზას. ეხლა ეონა მთლად მიიზიდა საყდარმა, ჩანთქა მისი ყურადღება; თავის გარშემო სხვას ვედარას ამჩნევდა; აღარც პასუხი აღირსა ვისმე თებერა და ეონას დედა უკან მისდევდნენ ქალს და ფრთხილობდნენ, რომ არ დაერღვიათ მისი მყუდროება. ხარებსაც-კი ხმა მაღლა ვედარ უჯავრდებოდა ბიჭი, რომ როგორმე არ შეეკრთო ქალი. ეონამ გაიხადა

ფეხთსაცმელი და ფეხშიშველი შეუდგა აღმართს. ქვა-გორობიანი გზა სჩქლეთდა უჩვევ ფეხს, ალურჯებდა. ეკალ-უკალი ადვილად ესობოდა ფეხთსაცმელში განაზებულ კანს და ასისხლიანებდა. ქალი არაფრად სთვლიდა ამ ტანჯვას, არც ყურადღებას აქცევდა მას. თებერას სიბრაღულით ევსებოდა გული. ახ, რა სიხარულით დაისვამდა ეხლა ქალს თავის ძლიერ მკლავზე და ბალღივით ხელში აყვანილს, მიაართმევდა მთავარ-ანგელოზს! მაგრამ რა ექნა, როდესაც არამც თუ შეხება, ხმის გაცემაც კი არ შეიძლებოდა ქალისა და უკან მისდევდა დაფიქრებული. ბოლოს მაინც ვეღარ გაუძლო თებერას გულმა და წაეტოლა.

- ეონა, ქალო! მომეცი ე ფეხსაცმელი, ხურჯინში შეგინახავ.

ეონამ გადასცა ბიჭს ფეხსამოსი, მაგრამ ზედ არ შეხედა, არც ხმა გასცა. კიდევ უნდოდა ეთქვა რამე ქალისთვის; ვერ გაბედა, უკანვე ჩამოდგა.

ეკლესიას თეთრი გაღავანი ერტყა. ალაყაფის კარი ღია იყო. კარის თავს მთავარ-ანგელოზის ხატი ესვენა. მშვენიერი ვაჟკაცი იყო დახატული. ჩაჩქანი ეცვა, მარჯვენა ხელში ცეცხლის მახვილი ეჭირა, მარცხენაში ფარი. ხუჭუჭი თმა მხრებზე გადმოჰფენოდა. მისი მეტყველი თვალი სულ შენ გიყურებდა; საით მხარესაც უნდა მოჰქცეოდი, მაინც თვალს გადევნებდა.

- აი, თებერავ, ის ვაჟკაცი, მე რომ მეცხადება ხოლმე სიზმრად! - მიუბრუნდა ეონა ბიჭს.

